

ვერსიუმი თეოლოგია

# ვერსიუმი

III



გამომცემლობა «მეცნიერება»  
თბილისი

4 + 4 Γ  
4 + 499.962.1  
■ 776

ვ. თოფერიას შრომების III ტომში თავმოყრილია ავტორის გამოკვლევები ქართველურ ენათა საერთო საკითხებზე. სტატიები გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში და მათი უმრავლესობა დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. პირველად ქვეყნდება ავტორის სამი გამოკლევა. ტომს ერთვის პირთა, სიტყვაფორმათა და მორფოლოგიურ ელემენტთა საძიებლები.

სარედაქციო კოლეგია: ივ. გიგინეიშვილი, ვ. შაფერია, ქ. ლომთათიძე (თავმჯდომარე), ივ. ქავთარაძე, მ. ქალდანი, თ. შარაძენიძე. არნ. ჩიქობავა

## ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში

### I

ახეივით მოვლენათა თანამიმდევრობა\*.

### I

ჩვენი წერილის მთავარ საგანს შეადგენს ქართველური ენების ზოგიერთი სიტყვის ისტორიის გათვალისწინება, დაწვრილებით წარმოდგენა ყველა იმ ბგერით მოვლენათა, რომელთა თავისებური დაჯგუფების მეოხებით ესა თუ ის სიტყვა ზოგადი ფონეტიკური წესიდან განხრილა და „გამონაკლის“-ის სახელწოდება დაუმსახურებია. აქ მოყვანილი მასალა მხოლოდ ნაწილია იმისა, რის დაგროვებაც საერთოდ შესაძლებელია: აღნიშნული ენების შედარებითი თვალსაზრისით შესწავლა მათ რიცხვს უთუოდ გაადიდებს და მოცემულ სათაურს ქვეშ ამ პირველ წერილს აღმათ სხვებზე მოჰყვება...

მაგრამ ჯერ, ვიდრე პირდაპირ საგანზე გადავიდოდე, საჭიროდ მიმაჩნია ქართველური ენების შედარებითი ფონეტიკიდან ზოგი რამ გავითვალისწინოთ. მით უმეტეს, როცა, ჩვენდა საშუაზაროდ უნდა ვთქვათ, ამ ენების არაფრე მთლიანი და ჩამოყალიბებული შედარებითი ფონეტიკა არ მოგვეპოვება, არამედ ბექტური მასალების მიხედვით ელემენტარ ნაწილზედაც სრული წარმოდგენის მიღება ჰქირს<sup>1</sup>. რამდენადაც

\* წაკითხულია მოხსენებად „ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოების“ საჯარო სხდომაზე 1925 წლ. 24 ნოემბერს.

<sup>1</sup> პროფ. ალ. ცაგარლის თავის დროისთვის მნიშვნელოვან ნაკვლევს Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, СПб. 1872, შედევლობაში ვერ მივიღებთ, რადგანაც იგი მორფოლოგიის მიმოხილვას შეიცავს და არა ფონეტიკისას.

მეგრულ-ქართულ ბგერით შესატყვისობათა დადგენაში პროფ. ალ. უაგარლის *Мингрельские этюды* მეორე ნაკვეთს *Опыт фонетики мингрельского языка* (СПб. 1880) დაუყრდნობით, იმდენად შეუძლებელია სვანურ-ქართულ თუ სვანურ-მეგრულ შედარებით ფონეტიკაში ვისმეზე დამყარება. მართალია, ამ მხრივ აკად. ნ. მარჩი ნაკლს აესებს და ზოგჯერ თავის ნაშრომებში ამ ენათა ბგერით ექვივალენტებს იძლევა, მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში! და თუ ანგარიშს გავუწევთ იმ მდგომარეობასაც, რომ აკად. ნ. მარჩის მიერ მოცემული ეს მცირე ცნობები გაბნეულია მის უამრავ წერილებში, რომელთა თავის მოყრა გარკვეულ დროს მოითხოვს, ერთის მხრით, და, რომ მეორის მხრით, მის მიერ დადგენილი ფონეტიკური შესატყვისობანი ხანდახან ისე მერყევი და არადამაჯერებელი არიან, როგორც ხშირად მისი ეტიმოლოგიები, დავინახავთ იმ საჭიროებას, რომლის გამო ჩვენ იძულებული ვხდებით ქვემოთაყვანილ ბგერათა შედარება მოვახდინოთ; წინააღმდეგ შემთხვევაში აღვილი შესაძლებელია გამოთქმული მოსაზრებების შესახებ იქვე დაიბადოს.

მაგალითები შედარებიდან <sup>1</sup>:

1. ქართ. დ = სვან. დ = მეგრ. (-ქანურ \*დ >) თ:

1. ლათვი (ძვ.-ქართ. ლათჲ) = ს. ლაშდჲ = მ. თუნთი (აქ ნ ჩარ-

<sup>1</sup> წერილში ხმარებულ შემოკლებათა გახსნა:

აკად. ნ. მარჩის წიგნათვის: 1. გრ. დრ.-გრუზ. яз. = Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград 1925.

2. Извл. св.-рус. сл. = Извлечение из сванско-русского словаря, Птрг. 1922.

3. Гр. чанск. яз. = Грамматика чанского (лазского) языка, СПб. 1910.

4. Др. гр.-р. сл. = Древнегрузинско-русский словарь к 1—2 главам евангелия Марка, СПб. 1913.

5. Поездка в Св. = Из поездок в Сванию: Христианский Восток, т. II, в. I, СПб. 1913.



თულია, რაც მეგრულის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს);  
სამაგიეროდ ქანურში გვაქვს თუთა, მ-თუთა.

2. შეილ-ი (ძვ.-ქართ. შუდი) = ს. ი-შეჟიდ (Поездка в Св.,  
19; Пол. აბხ. яз., 7) = მ. შჳით-ი (ქან. შჳით, შჳით).

3. ზ-ღარე = ს. ხა-ღრა ('ცული'; სენურს ეს სიტყვა  
შედარებით ხარისხში შეუნახავს. ეგების იგი ქართულიდან არ  
იყოს ნასესხები).

4. ქერდ-ი = მეგრ. ქვირა-ი (აქედან სენურში უნდა იყოს  
შესული, სადაც ქჳითრისა ('ქურდი') და ლიქჳურის ('ქურ-  
ლობა') სახითაა დაკული).

5. ცველ-ი, ცველანი = მ. ჩუთუ<sup>1</sup>...

6. ТР=Тексты и разыскания по армяно-грузинской фи-  
лологии.

7. ЯЭ=Яфетические элементы в языках Армении.

8. Опр. Ах.<sup>2</sup>=Определение языка второй категории ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языко-  
знания, СПб. 1914.

9. Пол. абх. яз.=К вопросу о положении абхазского языка  
среди яфетических, СПб. 1912 და

10. Отн. абх. яз.=П. Ч а р а я, Об отношении абхазского язы-  
ка к яфетическим, СПб. 1912.

11. Гр. минг. яз.=И. К и п ш и д з е, Граммат. мингрельского  
(иверского) языка, СПб. 1914.

12. სენ. ტექსტები=არსენაჲ კონაჲ; ნ, ლუნუ ამბუარ ლ-  
ლა: შხუ შუმი ნინშუ, პეტროგრად 1917 და სხვადასხე.

სენური მაგალითები უმთავრესად ბალსზემოურიდან მოგვყავს.

<sup>1</sup> აკად. ნ. მარის მაგალითი სენ. „ლიშჳაღი“ ('ქედვა'),—  
რომლის... основа შკდ [в тубал-кайнских яз.] предлежит с законо-  
мерным под'емом Ш в К, так чан. კკად (ათ. კად)... [ქართ.] კედა  
(ЯЭ, I, 145)—სხვადასხვა მოსაზრების გამო ზევით არ შევიტანეთ.  
შეიძლება აგრეთვე ამ შესატყვისობის შემავრება მორფოლოგი-  
ური ფორმანტებით, როგორცაა მაგ. მიმართულებითი ბრუნვისა, ნა-  
მყოფისა და ოპტატივის დ (უკანასკნელისათვის იხ. Пол. აბხ.  
яз., 25) და სხვ., მაგრამ მორფოლოგია სხვაგვარ მიდგომას მო-  
იხილოს და ჩვენც ამიტომ გვერდს ვუვლით მას.

2. ქართ. თ = სვან. შდ = მეგრ. (-ქან.) თ:

1. თაგვი (ძვ.-ქართ. თაგვ) = ს. შდგუჭი = ქან. თუგვი (თუ-ჯი, მ-თუგვი—ლიალექტური ვარიაციით; მეგრულში ამის კანონზომიერი ექვივალენტი არ მოგვეპოვება).

2. თხილი = ს. შდის = მ. თხირი (ნ. მარი, Яфетич. назв. дерев. и раст., ПТГ. 1915, გვ. 827, შნშ. და Где сохр. св. скл., 1201).

3. დათვი = ს. დანშღე = მ. თუნთ-ი (იხ. ზემოთ 1, 1).

4. სვან. შდა დღეს ხორბლეულის (resp. მცენარის) 'თავ-თავ'ს, 'კუეილ'ს აღნიშნავს, მაგრამ რომ მას პირველად 'თავ'ის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ეს მტკიცდება ერთის მხრით ჩერშდა კომპოზიტივ, სადაც პირველი ნაწილი ჩერა—(ყალკე აღებული—'თითისტარ'ს უღრის (შდ. ჩერია), ხოლო ჩერშდა<sup>1</sup>—'ჩერიის თავ'ს, 'კვირისთავ'ს და მეორის მხრით შდაშუ სიტყვით (რომელიც მოქმედებით ბრუნვას წარმოადგენს და უღრის ქართ. 'თვ'ს; შდ. Извл. св.-р. сл., გვ. 6, კვ'ს ქვეშ და სვან. ტექსტები, 72<sub>1</sub>); ამის შესატყვისი ქართულში ჩვენამდე ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში გაქვავებული სახით მოწეული 'თვს, თვთ'ის \*თუ ძირი უნდა იყოს, ხოლო მეგრ.-ქანურით თი ('თავი': თი-მანდილანი — თავმანდილიანი, ქალი; თი-ტეტელი—თავტიტელი; თი-შჩხუ—თავმსხეილი „ВАЖ-НЫЙ, ЗНАТНЫЙ“ და სხვ.; იხ. ქან. და მეგრ. ლექსიკონები. შდ. Отн. абх. яз., 42, 39; Опр. Ах<sup>2</sup>, გვ. 65; Др. гр.-р: сл., გვ. 9, 1. თვთ; Гр. др.-гр. яз., გვ. 93-95)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ალბათ აქედანაა მსხლის „ჩერეშტოლ“ სახელწოდება წარმოებული, რაც არს. ონდანიის სიტყვით „ჩერა მაჯან იცხ“ არის („თითისტარის მსგავსი მსხალი“; იხ. მეგმარეშ ი ბალხარე ეახლე ხო-რავ, პტგ. 1917, გვ. 3).

<sup>2</sup> წერილის დამძიმების შიშით სრულებით არ ვეხებით აკად. ნ. მარის მსჯელობას „თუ, დუდი, თავ“ის ურთიერთობისა და \*თვთ'ის ძირის ილღენის შესახებ. საქმის ვითარება ჩვენ სხვაგვარად გვაქვს წარმოდგენილი...

5. ათ-ო = ს. ა-ეშდ = მ. ვით-ო (ამის შესახებ იხ. ჩემი „ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში“: ტფ. უნ. მოამბე, VI, გვ. 295, შნშ. 3).

6. ხუთ-ი = ს. ჭოხჭიშდ (< \*ხუშდ; ჭო- ჭოშოხჭიშის ანალოგიით უნდა იყოს დართული \*ხჭიშდ(ს) = მ. ხუთ-ი (ქან. ხუთ).

7. თიბგა = ს. ლი-შდზ (‘მუშაობა’ს ნიშნავს საერთოდ) = მ. თიფუა, ქან. თიფაღა. სვანურში, როგორც ვხედავთ, სემასიური მნიშვნელობა გაფართოებულია. მოთიბული ბალახის სახელწოდება მეგრულ-ქანურში თიფი გახლავთ, რომლის ექვივალენტი ქართულში \*თიბი უნდა ყოფილიყო და არა თივა [შდ. ქლიბი — ქლიბვა; ბარი — ბარვა; \*თიბი — თიბვა (სათიბელი ქუქუა. ნაშ. გრგ. ხანძთ., ია, 29); \*თიბი — თიფი; ღებვა — ღაფუა...]<sup>1</sup>.

8. თოკს = ს. შდუჭე = მ. თუნს (ქან. თუმს, შ-თუფს) სვანურ-ქანურის მიხედვით ძირად \*თე უნდა მივიღოთ. მართალია, ჭ იწმყოს ჯგუფში -უნ, -უმ. (მეგრ.-ქან.) და -ოვ (ქართ.) სუფიქსების დართვის წყალობით გვექარგვის, მაგრამ დაცული გვაქვს ქან.-ის ნამყოსრულის მიმღეობაში: თვ-იარი, შ-თვ-იარი, სადაც -იარ-ი ვნებითი გვარის ნამყოს სრ. მიმღეობის მაწარმოებელია. მეგრული უფრო შორს წასულა: იგი ძირეულ ჭის მიმღეობაშიაც ჰქარგავს: თ-იარი (‘თოვლი’), მაგრამ არა მარტო ამ სიტყვაში, არამედ სხვებშიაც (შდ. ჭვ-იარი || ქ-იარი ‘ფქვილი’). თოვაში -ოვ რომ მართლაც სუფიქსია და არა ძირეული, ამაში ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით. რაც შეეხება თოვდ ნომენს, იგიც მეგრული თიარის მსგავსად ნამყოსრულის მიმღეობას წარმოადგენს, მაგრამ -ილ სუფიქსის ნაცვლად -ლთ წარმოებულს. თანაბარი მაგალითი საკმაოდ მოწეულა ჩვენამდე: თესლი, კუშლი, ღუაწლა... (ამათ შესახებ მაშინ ვიმსჯელებთ, როცა „ქართველური ენების სრულს ხვოვანება“ზე გვექნება ბაასი (შდ. Пол. ах. яз., 28)...

<sup>1</sup> რაც შეეხება სვან. „ლი-თი“-ს (‘მკა’), შეიძლება სესხების გზით ქართ. \*თიბვა“-საგან იყოს მიღებული.

3. ქართ. შ = სვან. სგ ( || შგ ) = მეგრ. სქ ( || შქ ):

1. ვაშლი = ს. ჭისგუ (< უსგუ) = მ. უშქური (ქანურში ოშქურიც არის; იხ. Где сохранилось сван. скл.: ИАН 1911, გვ. 1201 და Яф. назв. дер. и раст., 825).

2. შენი = ს. ი-სგუ = მ. სქანი (მეორე პირის ნაცვალსახელისთვის იხ. Извл. св.-р. сл., 28, სი).

3. შუბლი = ს. სგობინ ('წინ': Где сохр. св. скл., 1203, შნშ. 2).

4. შუა (< შოვა: ხელნ. № 1147) = ს. ი-სგა = მ. შქა.

5. შვიდი = ს. ი-შგუდი = მ. შქვითი (იხ. ზემოთ 1, 2).

6. სვან. შგორი = მეგრ. შქერი (ქართულში ეს სიტყვა მეგრულიდან უნდა იყოს შემოტანილი).

7. სვან. ლი-ფუშგე ('გახსნა', ნაფიშგუ — 'ნახსენი'; ძი-რია: ფიშგე) = მეგრ. ფაშქუა, ფეშქუა (ფეშქვინია 'ბატბუტი').

8. სვან. ლი-შგდე (< \* ლი-შგედე) = მეგრ. შქიდირი ('კალ-რება'); აქედან უშგდა = უშქიდარი ('უქადარისი')<sup>1</sup>...

4. ქართ. გ = სვან. (\*გ || ) ჯ = მეგრ. (-ქან.) გ:

1. იგი = ს. ეჯი, ეჯა (Сравн. обз. морф. ибер. гр., 10 და Пол. аѡх. яз., 21).

2. გობა, გბოფა = ს. ლი-ჯაბ = მ. გიბუა (რაც მეგრულში აბედის ხარშვა-მზადებას ნიშნავს, ხოლო ქანურში ოგაბუ, ოგუბუ = 'ხარშვა').

3. გველი = ს. ჭიჯ = მ. გვერი (ნასესხებია ქართულით).

4. რგვა (ნე-რგ-ი) = ს. ლი-ღჯენი = მ. რგუაფა.

5. ჭკავს = ს. ხაჯკუ (ლი-ჯონე) = მ. გუ...

5. ქართ. ხ = სვან. შ = მეგრ. (-ქან.) = შ:

1. ასი = ს. აშირ = მ. ოში (შლ. ЯЭ., I, 145).

2. ასე = ს. აშ = მ. აში || თ-აში.

3. სვან. -შაღ = მ. შორო (ხინშაღ — ხანაშორო 'ენასავით')

<sup>1</sup> ქართ. შ და სვან. შგ-ს შესატყვისობისათვის იხ. Яф. назв. дер. и раст., 829, შნშ. 1.

4. სიკება = ს. ღი-შიე = მ. შინაფა.  
 5. სეენება = ს. ღი-შეშინე || ღი-შეშემ (ფუქცია: შიმ) = მ. შეანდა ( || სეანჯა).  
 6. შისუამს = ს. შინშა = მ. შიშუმი (სვანურ-მეგრულით ძირია \*შუ, ქართულით კი \*სუ: სუმა (სუ-ამ-ს), შუ-შა; იხ. ОТН. ანх. Яз., 23)...

კმარა. ეს ნაწილი ისედაც გაგვიგრძელდა. როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ჩვენ სრულებით არ მოგვიყვანია აქ ხმოვანთა შესატყვისობა. ეს განგებ ჩავიდინეთ: ხმოვნების საკითხი თანხმოვნებთან შედარებით გაცილებით რთულაა; იგი სპეციალ მიმოხილვას საჭიროებს. ამჟამად კი ჩვენი მიზანი შემოფარგლულია და იმით იხსნება, როგორც მასალის ასე მკორე ოდენობით წარმოდგენა, ისე გვერდის ახვევა ისეთი დიდი საკითხისათვის, როგორიცაა აკად. ნ. მარის გამოთქმით ე. წ. „თუბალ-კაინური ფენის არსებობა სვანურში“ (იხ. Тубал-каинский вклад в Сванском, СПб. 1912 და სხვა წერილები). მოყვანილი შედარების გამართლება მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ქვევით საანალიზოდ დაგროვილი მასალა სწორედ იმგვარივე ხასიათისა და ბგერითი შედგენილობისაა, როგორც ზემო სახელდახელოდ შერჩეული მაგალითები. ამიტომ გასაკვირი არ იქნება, თუ ჩვენ ამ წერილში არ ვიმსჯელებთ სვან. ჟ'სა და შ'ს გენეტურ ბუნებაზე: პირველი (ჟ) მართლა იგივე გაპალატალებული გ'ანია თუ არა, ან სვანური შ'ინიანი სიტყვები მეგრულიდან შემოხიზნულია თუ არა. ზემოხსენებულსა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს ჩვენ ცალკე დაუბრუნდებით და დაწერილებით განვიხილავთ...

II

ამგვარი წინასწარი შემზადების შემდეგ შეგვიძლია პირდაპირ საგანს შევებოთ და შეძლებისდაგვარად გამოვარკვიოთ ყველა ის ფონეტიკური მოვლენა, რომელთა შეხვედრის წყალობითა ზოგი სიტყვა იმდენად შეცვლილა, რომ დღეს სულ

სხვა სახით გამოიყურება. მათი პირვანდელი ფორმის მისაღებად საკიროა მხოლოდ შედარებით-ისტორიულ მეთოდს მივმართოთ.

### ა. ასიმილაცია.

მეზობელ ბგერათა შორის დამსგავსება ქართულში ჩვეულებრივ მოვლენადაა ქცეული. მაგრამ უფრო მეტი გავრცელება მოუპოვებია მას კილოებში, განსაკუთრებით კი გურულში (საიდანაც შეიძლება ასეთი მაგალითების დასახელება: ფხარი (< მხარა); ვინცხა, რაცხა (< ვინც + ღა, რაც + ღა); წახთა (< წახდა < წაკდა); გუშხამ (< გუშლამ: Гр. ძრ.-გრ. შა, 113); ხეფა (< ხბო < კბო);... აგრეთვე ბეჩაფი (< ბეთშაფი < ბედშაფი: Гр. ძრ.-გრ. შა., 016) და სხვადასხვა შრავალი). სევანურს კი ასიმილაცია მაინცდამაინც არ ახასიათებს; მაგრამ არის ერთი შემთხვევა სევანურში, რომელიც თავიდან ბოლომდე გატარებულია: ეს გახლავთ დ'ს ხ'სთან დაყრუება, ე. ი. თ'დ ქცევა, დამსგავსება.

აი მაგალითიც: ზემოდაღგენილი ფონეტიკური შესატყვისობის თანახმად

1. ქართ.-მეგრ. ოთხ'ისა და ქან. ოთხა'ს გვერდით სევანურში ჟოშდხჟ (სადაც ჟ ო'ს წინ განვითარებულია; შდ. ვ-ოთხი) უნდა ყოფილიყო, გვაქვს კი ჟოშთხჟ. ცხადია, აქ ასიმილაცია მომხდარა დ'ისა ხ'თან. ამ სიტყვის პირვანდელი სახე იქნებოდა \*ოშდხჟ, რაც სწორად აქვს აღდგენილი აკად. ნ. მარს (იხ. ИЗВЛ. СВ.-р. сл., 18)<sup>1</sup>.

2. ბალსზემოურად 'წიხლი' იქნება იშდჟ, ხოლო ქვემო-სევანურად — იშთხჟ (ИЗВЛ. СВ.-р. сл., 33). უკანასკნელში ხ'ს დართვით წინამავალი დ დაყრუვდა... მაგრამ ასეთები არ გვანტერესებს. ჩვენთვის გაცილებით უფრო საყურადღებოა სხვადასხვა ბგერითი მოვლენების შეხვედრა. განვიხილოთ

<sup>1</sup> აქ ვერ გამოვეციდებით აკად. ნ. მარსისთვის „ოთხ'სა და „ბორდღა || ფორთხვა...“ს შორის შესაძლებელი კავშირის განხილვას (ძრ. გრ.-რ. сл., 8; Гр. ძრ.-გრ. შა., 77).

**ბ. ასიმილაცია რედუქციის შემდეგ.**

სათაური გულისხმობს, რომ ერთსადაიპირვე სემასიურ ერთეულში ჯერ რედუქციას უნდა ჰქონდეს ადგილი და შემდეგ ხმოვნის დაკარგვის გამო შემთხვევით შეხვედრილ ორ თანხმოვანს შორის ასიმილაციას. მაგალითისათვის ფილოთ სვანური სიტყვა შდის, რომლის ფონეტიკურ-სემასიური ექვივალენტი 'თხილი'ა. თუ ამას ჩვენ ხმოვნით დათავებულს (თავში) ან ხმოვნით დაწყებულს (ბოლოში) ფორმანტს წავეუბრებთ, მაშინ იდუკარგება და დაჩეზობლებული ღს > თხ'დ, როგორც ამას ზემოთკვეანილი მასალა გვიჩვენებს. მაგრამ კითხვა იზადება, თუ რატომ უნდა დაერთოს ასეთი ფორმანტი? პრაფ. აკ. შანიძის განმარტებით „რედუქცია... იმაში მდგომარეობს, რომ უკეთუ პრეფიქსი ხმოვნით თავდება და მაშასადამე მისი მარცვალი ღიაა ბოლოში, იგი ჩვეულებრივ ფუძის დასაწყის თანკმოვანს მოიკრავს და მარცვალი დაიხურება, რასაც შედეგად მოჰყვება ხოლმე უჩვეულოდ მომდევნო კმოვნის ამოღება ფუძიდან. ხოლო როდესაც სუფიქსი კმოვნით იწყება და მაშასადამე ღიაა თავში, მაშინ იგი წინამავალ ფუძისეულ თანკმოვანს მიიკრავს ხოლმე და ამით წინამძღოლ ფუძისეულ კმოვანს ამოიღებს ხოლმე“ („წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“: ქართ. საენათმეცნ. საზოგ. წელიწადეული, I—II, გვ. 7). მაგრამ მიუხედავად ამგვარი პირობის დაცვისა, სვანურში სხვა ვითარებაც არის გასათვალისწინებელი; სახელდობრ ის, რომ სვანური, რომელსაც უაღრესად განუვითარებია ხმოვნის შეკუმშვა-დაკარგვა, რედუქციას ერთმარცვლიანებში არ ახდენს, რაც აქვე მაგალითებით შეიძლება განვამტკიცოთ: კან ('ხარი'), კან-წარ, კან-იშ; ჭიშხ ('ფეხი'), ჭიშხ-წარ, ფუშხ წხ; ქორ ('სახლი'), ქორ-წლ (< ქორ-წარ); ცხეკ ('ტყე'), ცხეკ-წარ, ცხეკ-იშ და სხვ. ამ მხრით სვანურსა და ქართულს შორის დიდია განსხვავება და იგი, რასაკვირველია, ცალკე საფუძვლიან დამუშავებას მოითხოვს. სვანურში რომ რედუქციას დაურჩეს ადგილი, საჭიროა სიტყვა უსა-

თუოდ ორ- ან შერთ-პარცელიანი იყოს, ანდა ერთპარცელიანი— გასამპარცელიანდეს, ე ი. პრეფიქსი და სუფიქსი დაერთოს (იგულისხმება ხმოვნით დათავებული პრეფიქსი და ხმოვნით დაწყებული სუფიქსი!). ასე ემართება ჩვენს შდისხსაც.

1. შდინ ('თხილი'), ხოლო შდისინდ || შდესინდ ('თხილის ხე'); თუ უკანასკნელს მწარმოებელ ლე-პრეფიქსს დაეურთავთ, მაშინ ი დაიკარგება და ზემოთქმულის თანახმად ღხ—თხ'ს მოგვცემს: \*ლე-შდისინდ > \*ლე-შდესინდ > ლეშთხინდ და ეს უკანასკნელი გვაქვს კიდევ. სწორედ ისეთივე გზითაა მიღებული სოფ. იხუარს ახლო მდებარე ადგილის საკუთარი ღხ'შთხულ (< \*ღა-შდის-ულ) სახელი.

2. ღი-შდეს'ს ('შემოღვევა; შემცირება, დაკლება') მიმატებული მრავლობითობის მაჩვენებელი -წლ სუფიქსი (ან სხვა ფორმანტი) იქცევა ღიშთხწლ'ად (< \*ღი-შდეს-წლ), რაც მართლაც ასეა ხმარებაში.

3. 'დამარხვა, დასაფლავების' აღმნიშვნელი სიტყვის ძირი სევანურში \*შდუხ-ჟ || \*შდუღაჟ რომ არის, ამას ცხადად ამტკიცებს ნამყარულის მიმღეობა: ნაშდუღჟ || ნაშდუხ(ჟ)<sup>1</sup> ('ნამარხი'). ქვემოსვანურში თუ მას ზემოაწერილის მსგავსს ფორმანტს დაეურთავთ, მაშინ რედუქციამნილი ჟ მომღვენო ჟ'ს გავლენით დაიკარგვის და ღ და ხ ერთურთს შეხედება, რაც საკმაო პირობაა პირველის თ'დ ქცევისა: \*ღი-შდუხჟი > \*ღი-შდუხჟი > \*ღი-შდხჟი > ღი-შთხჟი. ეს უკანასკნელი (და მისთანები: ზჟა-შთხჟი 'ემარხავ', მიშთხჟა 'მიმარხავს...') გ. ფოჩიანის მო-

<sup>1</sup> ბალსზემოურში ძირეულად ღა მიჩნეული, ხოლო ქვემოსვანურში ხ. ამიტომ დასადგენია მისი პირვანდელი სახე. ვინიცობა დამტკიცდა, რომ პრიმარი ზ'ანია, მაშინ დაისმება საკითხი „შდუხჟ“-სა და ქართ. „თხ(ა)რა“ და მეგრ. (-ქან.) „თხორუა“ს ურთიერთობის შესახებ. თუ სევანურის ფონეტიკური სატყვისი \*თხ [v=vocalis, რითაც ჩვენ უარჯობით აღუდგენელს (ა'ა, ე'ა, ო'ა, თუ სხ.) ხმოვანს აღუნიშნავთ] „თხ(ა)რა“ში არ აღმოჩნდა, მაშინ ეგების მოიძიოს „თხ-უნ-ელ-ა“ში (?). ერთი კი ამ თავითვე ცხადია, რომ მას არაფერი საერთო უნდა ჰქონდეს „თიკა“ და „თოკ“თან.



წმობით მართლაც ასე უოფილა გავრცელებული ლაშხეთში: ამიტომ გამოთქმის დაცვის თვალსაზრისით და ჩვენი წესის მიხედვით შევტომად უნდა ჩაითვალოს ბ-ნ არსენ ონიანის მართლწერა: ღაშღხაჲ, ჩჳაშღხაჲ, ჩუღუშღხაჲ... (იხ. მისი სვან. ტექსტები, 34<sub>8</sub>, 37<sub>24, 34...</sub>).

4. ზეტჳან ('პაიკი') თავის ფორმით — -ნარ დაბოლოებით — თუ dualism არა, მრავლობითი რიცხვი შინც არის; წინააღმდეგ შემთხვევაში (-ნარ რომ ძირის კუთვნილება უოფილიყო) რედუქციის ადგილი არ ექნებოდა. დღეს იგი შესისხლხორცებულია და ფუძისეულად მიიჩნევა. ამ სიტყვის ძირი \*ზეტჳეჳ || \*ზეტჳეჳ რომ არის, ეს შემდეგი მაგალითებიდან ირკვევა: ზეტჳან || ზეტჳანარში — პირველი ხმოვანია ეჳე; ღუშღჳეჳარ ('საპაიკე'), უშღჳეჳარ ('უპაიკო'), ღუშღჳეჳარში ('პაიკიანი') — ე მეორე ხმოვანია (პირველ შემთხვევაში — ზეტჳანარში — მეორე ე დაიკარგა რედუქციის გამო, ხოლო დანარჩენებში — პირველი ე ან ე). მაშასადამე გამოდის, რომ აქაც რედუქცია-ასიმილაციის შეხვედრასთან გვაქვს საქმე: \*ზეტჳეჳანარ || \*ზეტჳეჳანარ > \*ზეტჳეჳანარ > ზეტჳანარ<sup>1</sup> (შდ. Яф. назв. дер. и раст., გვ. 772)...

მოგვეპოვება თუ არა ქართულში ამის მსგავსი მაგალითი?

5. ტჳა ზმნას თუ ვაწარმოებთ ნასახლარი ზმნის \*ელ<sup>2</sup> ფორმანტით, მაშინ, ცხადია, ფუძისეული ე შეიკუმშება და

<sup>1</sup> უნდა შევნიშნოთ, რომ ღონის ხ, კართან ასიმილაციისთვის ალბათ ერთი პირობაც უნდა იყოს დაცული, ე. ი. შეხვედრილ (რედუქციის გამო) ღხ, ღჳ კომპლექსს წინ სხვა თანხმოვანიც უნდა უძლოდეს, როგორც ეს ზემოთ გვქონდა (ჩუღუშღხაჲ, ლიშთხაჲ, ლიშთხაჲ), რომ ასიმილაციას დაურჩეს ადგილი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დამსგავსება არ მოხდეს. ამას გვაუქრებინებს ქვემოთხსენებული „ზეტჳეჳარ“ და ბალსზემოური „ლადჳეჳარ“ (< \*ლა + დაჳეჳარ) 'სათხე, დასამწვედვეი' სიტყვები.

<sup>2</sup> ნასახლარი ზმნების შესახებ ჩვენ ცალკე (ეტიმოლოგიებში) გვექნება შესჯელობა და მაშინ შევებებით ამ ფორმანტსაც.

ტხ კომპლექსი მოგვევლინება, რაიც ასიმილაციის გამო ტუ<sup>1</sup>ს<sup>1</sup> მოგვეცემს; ამიტომ, რომ ქართულში ტუხ<sup>1</sup>ს<sup>1</sup> მედიო-პასივი ტუდოჲ გვაქვს (შდ. აკ. შანიძე, ნასახელ. ზმნები ქართულში: ტფ. უნივ. მოამბე, I, 89).

6. სვან. ღი-ჯიშ<sup>1</sup>ის ('ქსოვა') ფონეტიკურ ექვივალენტად ზემოდადგენილი წესის თანახმად ქართულში უნდა გვეკონდეს: ჟ<sup>1</sup>ს<sup>1</sup> მაგიერ გ, ი<sup>1</sup>ს<sup>1</sup> ნაცვლად  $v^2$  და შ<sup>1</sup>სი—ს, ე. ი. \*ტ<sup>1</sup>ს<sup>1</sup>, რამაც -ოგ<sup>3</sup> სუფიქსის დაოთვით ჯერ ხმოვანი (v) დაკარგა და შემდეგ გ<sup>1</sup>ს<sup>1</sup> ს<sup>1</sup>თან ასიმილაცია განიცადა და მოგვეცა ქსოვ (< \*ტ<sup>1</sup>ს<sup>1</sup>+ოგ > \*გ<sup>1</sup>ს<sup>1</sup>-ოგ)<sup>4</sup>; ამის შესატყვისი მეგრ.-ჭანურში შ-უ-აჲ, ო-შ-უ

<sup>1</sup> ტხ<sup>1</sup>საგან ტუ კომპლექსის მიღებაში უთუოდ ხელი უნდა შეეწყო ტუ<sup>1</sup>ს<sup>1</sup> ჩვეულებრიობას ქართულში: „სიტყვა, ტყუილი, ტყვე“ და სხ.

<sup>2</sup> ჯერ გამოსარკვევია ეს ი („ლი-ჯიშ<sup>1</sup>-ში) ნამდვილად ძირეულია, თუ თანხმოვანთ გასაყარი, როგორც ამას მეგრულში ხშირად აქვს ადგილი; მაგრამ ეს ცალკე. მანამდე კი პირობითად დავტოვოთ ი<sup>1</sup>ს<sup>1</sup> ძირეულობა.

<sup>3</sup> -ოგ<sup>3</sup>ის სუფიქსობას ამტკიცებენ: 1. მისი გაქვევებული სახით ხშირი არსებობა ზმნებში: „წოვა, ძოვ-ნ-ა, პოვ-ნ-ა, თოვა (შდ. ზემოთ გვ. 202), გლოვა; თხოვ-ნ-ა“... 2. ის, რომ იგი ძველს ქართულში ჯერ კიდევ ალბათ ცოცხალი ელემენტი იყო, როცა აწარმოებდა „ტრემლოვინ (ი<sup>1</sup>ე ბოლნ. 50<sub>14</sub>); ტრემლო<sup>1</sup>ვ<sup>1</sup>ოდა (TP, III, ლდ<sub>30</sub>); პეროვოდა (მ<sup>1</sup>რკზ IX, 20, ბენეშევიჩის გამოცემით); თესლო<sup>1</sup>ვ<sup>1</sup>ოდა (გამოსლვათაჲ 9<sub>3</sub>); მალლოვინ“ (ი<sup>1</sup>ე ბოლნ. 54<sub>14</sub>, 60);... 3. ისიც, რომ სხვადასხვა ფორმანტებით წარმოების დროს იგი იკარგვის: კხ-ოვ-ნ-ა : კხ-ენ-ებ-ა; ქს-ოვ-ა : ქს-ელ-ი (ს. ჯანაშიას შენიშვნით); მი-ტ-ეე-ებ-ა : და-ტ-ოვ-ებ-ა... 4. მასდარის სუფიქსების სისტემა: -ამ<sup>1</sup>:-ემ<sup>1</sup>:-ომ<sup>1</sup> || \*აბ<sup>1</sup>:-ებ<sup>1</sup>:-ომ<sup>1</sup> || -ავ<sup>1</sup>:-ევ<sup>1</sup>:-ოვ<sup>1</sup> (ამათ შესახებ დაწერილებით ცალკე) და უკანასკნელ წ. მეგრულ-სვანურში მისი უგულებელყოფა: გლ-ოვ-ა = ლი-გ<sup>1</sup>წ-ი = ნ-გარ-ა ('ტირილი'; პროფ. ა. შანიძის ჩვენებით); წოვა = წულა [ძირია წ(წ)]; შდ. Огшоа. ანჯ. жз., 46; Гр. др.-гр. жз., 150); თხოვნა = თხულა (ძირია: თხ) და სხვ. -ოგ<sup>3</sup> რომ მართლაც ძირისეული ყოფილიყო, იგი მეგრულსა და სვანურში უსათუოდ იქნებოდა წარმოდგენილი.

<sup>4</sup> ამგვარსავე დასკვნამდე მისულა პროფ. აკ. შანიძე, როგორც ეს მასთან პირადად აზრის გაზიარების დროს გამოიჩინა.

მიმოხილველი I

გვაქვს, რომლის შ ძირი, აკად. ნ. მარის სამართლიანი შენიშვნით, ს'ს ეთანაბრება, მაგრამ არ არის ქარა. ქ მეგრულში წარმოდგენილი. მას ჩვენ არც მოველოდით, რადგანაც უკანა-ენისმიერი ბგერები (ხ, კ, გ...) ანლაუტში, ციშლაუტების (ს, შ, ზ...) წინ მდგომი, მეგრულს ნიადაგზე იკარგვის: ქს-ოფა = \*ქშ-უაღა > შუაღა; კსენ-ება = \*ხშინ-აფა > შინაფა; კტე = სზე (ასეა ქანურში, მაგრამ მეგრ.-ში) > ზე... (ამის შესახებ ცალკე გვექნება წერილი). ყველა ამის შემდეგ ჩვენ უმართებულოდ გვეჩვენება როგორც პ. კარგის, ისე აკად. ნ. მარის ქსოფა ზნასთან დაკავშირებული მსჯელობა (ОТН. аѠх. яз., 25).

7. პრაფ. აკ. შანიძეს ძე.-ქართულში ხმარებული შთაწინდებული (შთაბურა, შთაბეჭდილება, შთაქდა...) შე + და პრეპოზიციებისაგან წარმომდგარად მიაჩნია, რასაკვირველია, ე'ს აშოვარდნითა და შდ'ს ასიმილაციით.

შეიძლება ახალი-ქართულიდან თანაბარი მაგალითების საკმაოდ წარმოდგენა, როგორცაა, ვთქვათ, ცადა ზმნისაგან მიღებული ცთის (გამოცთა) და სხ., მაგრამ ესენი იმდენად ადვილი გამოსარკვევენი არიან, რომ ნათ შესახებ ბაასით წერილის დბტიკითვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია<sup>1</sup>... ახლა ვნახოთ

## ბ. ასიმილაცია თანხმოვნის დაკარგვის შემდეგ.

მაგალითები გვექნება ახალი-ქართულიდან. ძველი-ქართულის ენობრივი მახალა ახალში თანხმოვნის ამოვარდნით საკმაოდ გამარტივდა; ამას ზოგიერთ შემთხვევაში სხვა ფონეტიკური მოვლენა (კერძოდ: ასიმილაცია) დაერთო და სიტყვაც შეიცვალა. იი ფაქტი:

1. ძე.-ქართ. ხლდომა (ვიდოდა და ხლდებოდა: ს. ჯანაშია, ცხ. წმ. საბაძისი, 18<sub>39</sub>; შოგალს ხლდომით შთათა ზეღა:

<sup>1</sup> რაც შეეხება „საბრკე“ სიტყვას, მიღებულს „სა-ფერკი“-საგან, მას ცალკე (ეტიმოლოგიებში) განვიხილავთ.

აღ. ც ა გ ა რ ე ლ ი, Свед. I, 25) ახალში ხტომა || ხთომა'დ იქცა, რასაკვირველია, ღ'ს გამოცლის შემდეგ.

2. ღრჭენა (ღრჭენაჲ კბილთაჲ: აღიშ. სახ., მათე VIII, 12; იღრჭენ კბილთა: იბ., მრკზ. IX, 18...) თანამედროვე ქართულში ხჭენა'დ მოგვევლინა (გზედაჲ კბილეჲ-დახჭენილ ძაღლს: ქ. ლომთათიძე, II, 20; ახჭენს კბილეჲს: მისივე, ტ. I, 15<sup>ნ</sup><sub>22</sub>)... ასეთივე გზითაჲ მიღებული, ვთქვათ, გურულში: აკტა (= აკლდა; ძვ. საქართ., IV, 47<sub>11</sub>); შოკტა (იბ., 47<sub>15</sub>); გაჩთა (იბ., 51, 58<sub>13</sub>...) და სხვადასხვ., რომელთა ჩამოთვლა შორს წავვიყვანს.

მეგრულიდან მხოლოდ ერთ ცნობილ მაგალითს მოვიყვან, სახელდობრ დღევანდის ნომენებს:

3. თუთაშხა, თახშხა, ჟუმაშხა, ცაშხა... (შდ. ქანური), რომლის გენეზისი პროფ. ი. ყიფშიძემ მშვენიერად წარმოგვიდგინა: თუთაშ (‘მთვარე’—ნათ. ბრ. ფორმას) + ღღა (‘დღე’); ცაშ (‘ცა’) + ღღა... აქედან ღ'ს გამოცლითა და ღ'ს შესთან დამსგავსებით მივიღეთ ზემოხსენებული სახელები (იხ. Гр. мингр. яз., § 129 და ამ წიგნის შესახებ აკად. ნ. მარის რეცენზია, გვ. 5; შდ. Пол. аѣх. яз., 33)... კმარა მსგავსი შემთხვევების ჩამოთვლა. ახლა განვიხილოთ

## დ. ასიმილაცია მეტათესის შემდეგ.

ვარგისი მაგალითი უნდა იყოს მხოლოდობით რიცხვში მოცემული

1. სვანური დაჯღ (‘თხა’), რომლის -ჯღ ნაწილი ალბათ მის კნინობითობის მარჯვენებელაჲ, თუმცა სვანთ ეს სიტყვა კნინობითად არ ესმის (შდ. ჟემილ, დაშდუდ: იხ. ქვემოთ). მრავლ. რიცხვში -ჯღ ნაკვეთი ზოგიერთ კილოში ჩვეულებრივ იკარგვის და ასე გამოთქვამენ: დაჯარ, დაჯარეშ (ნათ. ბრ.; იხმარება, რასაკვირველია, დაჯარ'იც, უდაჯღა—‘უთხო’)..., რაც გვაძლევს საბუთს -ჯღ ფორმანტად მივიჩნიოთ და \*დაჯ ძირად გამოვაცხადოთ. ამ უკანასკნელს ქართულში სემასიურად და ფონეტიკუ-

რადაც 'თხა'-სიტყვა ჰფარავს [ძვ.-ქართულითაც თხა გვაქვს: თხათა მისთა სადგური... არს (ხანძთ., პე<sub>4</sub>); აქედან: თხიერა (ი.ხ. Др. гр.-р. сл., 10); არაინ შთასხის ღუნთა ახალი თხიერთა ქუელთა უკუეთუ არა განხეთქის (sic)... თხიერნი... თხიერნი იგი წარწყმდინ... თხიერთა ახალთა შთასხის (ადიშ. სახ., მ'კვზ II, 22; შდ. მათე IX, 17; ლკ. V, 37, 38)]. მაგრამ კითხვა იბადება, თუ როგორ შეიძლება ფონეტიკურად შევეუთანხმოთ ერთერთს \*დაჟ და თხა? ამ საკითხის გასაშუქებლად საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ სვანურსა და ქართულში არსებულ ხმოვანთა განარკებებს. ჩვენი ექსკურსი, ცხადია, მეტისმეტად მოკლე იქნება ამ შემთხვევაში (მას ცალკე დავუბრუნდებით), მაგრამ საყურადღებო. აღსანიშნავია, ერთის მხრივ, ის გარემოება, რომ როცა ქართ.-მეგრულში ხმოვანი ბოლოკიდურია, მაშინ იგი სვანურში ინლაუტად გვევლინება, რაშიაც ქვემოჩამოთვლილი მაგალითებიც დაგვარწმუნებს: ღღე || ღღა — ღა — ღღელ; მზე || მჟა — მიე (ღგმგე 'სამზეო') .. და თუ, მეორის მხრით, მხედველობაში მივიღებთ იმ ადვილად დასაშვებს (და ვგონებ, სწორს) მოსაზრებას, რომ ქართულშიაც სვანურის მსგავსად დღეს გარემოქცეული ხმოვანი ოდესღაც ინლაუტი უნდა ყოფილიყო, რომლის მშენებარე საილუსტრაციოდ ძმ-ის მიგვაჩნია [შდ. ღღაია, მამია, ღაია..., სადაც -ია ფორმანტია; ძამ — ძირი (წოდებითში: ძამ-ო) > ძმა'ღ და არა ისე, როგორც პროფ. ნ. მარს ესმის (Яф. происхож. афх. терминов родства; 1912, გვ. 429; შდ. ქართ. ერის კულტ უბული... „მნათობი“ 1925 წ. № 5-6, გვ. 295; ხოლო ხმოვანთა „მოდრაობისათვის“: Заметки по яф. клинописям: ИРАИМК, III, Ленг. 1924, 298)] და უკანასკნელ, მესამე მხრით, ბევრით შესატყვისობასაც გავუწევთ ანგარიშს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ქართულში დღევანდელი თხა მის პირვანდელ \*დაჟ სახიდან უნდა იყოს წარმოშობდარი. მაშასადამე, თხა აღდგენილი სახით \*დაჟ ყოფილა. სვანურს იგი უცვლელად შეუნახავს, ხოლო ქართულში მას „პერტურბაცია“ განუცლია: ჯერ ა ბოლოში გადაუტყორცნია (მეტა-

რესი) და შეხვედრილი ღ კი კ'ს დამსგავსებია: \* თჳ. მაგრამ, როგორც ცალკე წერილში გვექნება აღნიშნული, ქართულის ბუნება თჳ კომპლექსს ვერ იგულებს და ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ იგი ძველს ქართულში თხ'ს მართლწერით გვხვდება. აქედან დასკვნა: სეან. \* ღჳ და ქართ. თხა ფონეტიკურადაც შეესატყვისებთან ერთმანეთს, ოღონდ უკანასკნელი თუ „განხრილად“ გვეჩვენება, ეს იმიტომ, რომ მან ჯერ მქტათესი და შემდეგ. ასიმილაცია შეიწყნარა: \* ღჳ > \* ღჳ > \* თჳ > თხა.

რაც შეეხება მგერულს, მასში ეს სიტყვა ქართულიდან გადმოტანილად უნდა აღვთხოვოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნება მისი ამ სახით არსებობა (მგერ. თხა'ს ქართ.-ში \* თხე შეესატყვისებოდა, როგორც ეს არის: დღა — დღე; ტუა — ტუე; ბუა — ბუე'ში... და თუ მართლაც ეს ასეა, მაშინ თხაღ-ეფ'ში (plur.) ღ'ს ფლზისეულად მიჩნევა საკითხის გადასინჯვას მოითხოვს)<sup>1</sup>.

2. სეან. ღი-შეჭდი (ძირია: \* შეჭდ; ღუ-შეჭდ 'დამხრჩვალის') = მგერ. შეჭიდა || შეჭიდაფა და ქან. აშკვიდეუ || თშვიდეუ ['ხროვა'; ძირია: \* შეჭიდ (< \* შეჭდ). აქედან: შეჭიდეკი ('ხრობილი'), ჟა-შეჭიდეუ || ჟა-შეჭიდა (მცენარ.; სესხების გზით სეანურშიაც შესულა: ჟაშეჭტაჲ (არს. კონიჲნ, მეგმ. ი ბალხ... ხორაჲ, 39) და სხ.). ამის სემასიური და ფონეტიკური შესატყვისი ქართულში \* შეჭდ ძირი იქნება, ხოლო ზმნა -- \* შეჭდობა, რედუქციით: \* შეჭდობა. აქედან ნომენი: \* სი-შეჭდ-ილი > ში-შეჭდ-ილი<sup>2</sup>. ნამდვილად კი როგორაა ეს სიტყვა ძველს ქართ.-ში წარმოდგენილი? აღმოსტყნდეს ეკაჯნი და შეაშთივეს იგი (აღიშ. სახ., მათე XIII, 7; ლკ. VIII, 7); და მტერი... მოაშთევე წყალთა შინა (ძვ. სას. პ., რგ<sub>115-6</sub>); წუღით რღუნისა შთვიღნი (TP, IV, 3, 43); ბაგისშიერი ბგერა თუ დაერთო, ეს ფ'ც იკარგვის: შეიწერა იგი და შეაშთობდა მას (აღიშ. სახ., მათე XVIII, 28); შეაშთობდა

<sup>1</sup> ეგების რამდენ გენეტური კავშირი იყოს „თხა“-სა და „თხილუა“-ს ('წყესვა') შორის, როგორც ამას არნ. ჩიქობავა ჰფიქრობს.

<sup>2</sup> მშვენიერი მაგალითია ჟ'ს გენეზისისათვის (ჟ'ს საკითხს ძველი ქართულის ძველებს მიხედვით ცალკე გავაშუქებთ).

მას (კიმენი, 33<sub>3</sub>); შეხედველთა შეაშთობდა (ი. აბულაძით ვეფხ.-ტყ. 694<sub>2</sub>)... ამგვარად, მოყვანილი მაგალითების მიხედვით, ძირად \*შთ უნდა მივიღოთ, შედარების გზით კი—\*შუდ. როგორ შევათანხმოთ ერთურთს? იქნებ სხვადასხვა ძირია? თუ ერთიდაიგივეა, რად არის ასეთი სხვაობა? პასუხი გავსცეთ იმავე ძველი ძეგლებით: ჯერ ერთი—თ'ს ნაცვლად დიყო მოსალოდნელი. გვაქვს კიდევ: საცთურმან... შეაშდვის სიტყვაჲ (აღიშ. სახ., მათე XIII, 22); აღმოსცენდეს ეკაღნი და შეაშდვეს იგი (ib., მ'რკ. IV, 7); ვაშს ეკაღთა... არა დაიშდენიან (TP, III, მ<sub>28-29</sub>); რნი შეშდვიდსა თაფთა თჳსთა შეიმთხუევენ (ib., LI)... და მეორეც — უ თანხმოვანთა შუაა მოქცეული: და დააგლო ვეცხლი იგი ტაძარსა მას და მივიდა და შიშუდილ იბა (აღიშ. სახ., მათე XXVII, 5). მაშასადამე, ჩვენ მიერ აღდგენილი \*შუდ-ობა სწორი ყოფილა; მას ძველი-ქართულიც აჯერებს. ამიტომ მიუღლებელია აკად. ნ. მარის რწმუნება, რომ თითქოს \*შეთ იყოს ძირი (ЯЭ, VII, 358, შნშ. 1). მაგრამ ზემოდანსმული კითხვისთვის—შთგ და \*შუდ'ის ურთიერთობის შესახებ—ჯერაც არ გაგვიცია პასუხი. ექვს გარეშეა, რომ პირველი უკანასკნელისგანაა მიღებული, რასაკვირველია, ბგერათგადასმითი გზით: შდგ (< \*შდჟ<sup>1</sup>; -ჟ ხომ რედუქციაქმნილი უ'ა. შეკუმშვა, ცხადია, მეტათესამდე განიცადა. აღიშის სახარების გადაწერის დროს მას, როგორც ჩანს, მეორე საფეხურიც (ასიმილაცია) განვლილი ჰქონია...). ამის მაგალითები ზემოთ ვნახეთ. შდვ'ს რომ შემდეგში ასიმილაციით შთგ მოეცა, აქ გასაკვირი არაფერია. დასკვნა: ძველსა და მით უმეტეს საშუალო-ქართულში ხმარებული შიშუდილი, შუდობა და სხ. წარმომდგარია მისი პრიმარი სახის შიშუდილი, შუდობა და სხ. სიტყვიდან. მან ორი ფონეტიკური მოვლენა შეითავსა: მეტათესი და ასიმილაცია.

ახლა გადავიდეთ უფრო რთულ პროცესზე, სადაც ორის მაგიერ სამი ბგერითი მოვლენა იყრის თავს; ეს ვახლავთ

<sup>1</sup> გადასმის შემდეგ ჟ გამოთქმის მხრით ალბათ ძალიან ახლოს იდგა ვ'სთან, თორემ სხვა პირობებში მისი (ჟ'ს) არწერა გაუგებრობად (შეტომოდ) უნდა ჩაითვალოს.

## II. ასიმილაცია რედუქციის შემდეგ ბგერის დაკარგვის დართვით.

ესეც შედარებითი გზით გამოიწვლილება.

1. სვანური დუთხელ (შედარებითი ხარისხით: ხო-დთხელა 'თხელი') მიღებულია \*დუთხ (< \*დითხ) ძირისაგან -ელ სუფიქსის დართვით. უკანასკნელი (-ელ ბოლოსართი) თუ ქართულისაგან არ არის შეხიზნული (მისი ქართულობა ადვილად დასაშვებია), მაშინ სვანურს ნიადაგზე უნდა აიხსნას (შდ. ჯჷინ-ელ 'ძველი'). ამის ფონეტიკურ შესატყვისად მეგრულში, როგორც მოველოდით, თითხუ<sup>1</sup> გვაქვს, ხოლო ქანურში — თითხუ, თუთხუ, თუთხი. ქართულში კი ბგერითი ექვივალენტების დაცვით \*ღუთხ<sup>2</sup> უნდა გვქონოდა, ნამდვილად თხე-

<sup>1</sup> რაც შეეხება მეგრულშივე ხმარებულს „თხითხუ“ ფორმას, ე. ი. პირველ მარცვალშიაც ხს გამოყენებას, უნდა ვთქვათ, რომ იგი, როგორც ი. ყიფ შიძეს სამართლიანად შეუნიშნავს, მეორე მარცვლიდანაა გადმოსული (შდ. „ცხორცხალი, შხაშხი... Гр. мингр. яз., 07, § 3, 1).

<sup>2</sup> გამოადის, რომ სვანურშიაც და ქართულშიაც ერთიდაიგივე (\*ღუთხ || \*ღუთხ) სახე გვქონია, რაც, ამ შემთხვევაში ფონეტიკური კანონზომიერების დაუცველობის გამო, მიუღებელია. ამიტომ უნდა გვეფიქრა, რომ სვანურმა (რომელშიაც \*ღუთხ < \*ღუშხ უნდა ყოფილიყო) იგი ქართულისაგან (\*ღუთხ) ისესხა, მაგრამ ამას ვერ ვამართლებთ, რადგანაც სვანური თუ ისესხებდა, ისესხებდა მას -ელ სუფიქსით, რა დროსაც ქართულში დ-თის შორის ხმოვანი შეუძლებელია ყოფილიყო (სვან.-ში ხომ „ღუთხელ“ არის, ქართულში კი \*ღთხელ || \*თთხელ იყო!). ჩვენის მოსაზრებით, რაც ქუასთან ახლოა, სვანურს იგი „დითხ“-ს სახით მაშინ უნდა გადმოეცანა მეგრულიდან, როცა ამ უკანასკნელშიაც \*დითხ იქნებოდა, ხოლო შემდეგში -ელ ფორმანტის დართვით ღუთხელ მოგვცა. რომ მეგრულში ქართ.-სვან. დ'ს შესატყვისად დ უნდა ჰქონოდა, ამას მრავალი ფაქტი უპერს მხარს, მაგრამ თუ იგი დღეს თ'დ მოგვევლინა, ამის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ; კერძოდ კი: „თუნთ'სა, თუთა'სა, თითთ'სა“ და სხვ. მისთანებში პირველი მოსალოდნელი დ'ს დაყრუება (დ > თ) მომდევნო თ'ს ზეგავლენას უნდა მიეწეროს, როგორც ეს პროფ. აკ. შანიძემ მოხსენებით გამოწვეული მსჯელობის ეამს აღნიშნა.



დი მოგვეპოვება. საიდან? ცხადია \*ღვთხ'საგან. თხელ'ში ადამ-  
ქტივობის მაჩვენებელი ელ სუფიქსია (შდ. კმ-ელი—კმ-ობა;  
გრძ-ელი — გრძ-ობა, სი-გრძ-ე; სქ-ელი — უ-სქ-ეს-ი, სი-სქ-ე;  
წით-ს (ცაჰ) — წით-ელი; ვრც-ელი — სი-ვრც-ე; კურ-ელი —  
კურ-ეტა და სხვ.), რომლის მიმატებით \*ღვთხ'ში ხმოვანი (V)  
რედუქციის გამო ამოიღებოდა და \*ღთხელ სახეს მოგვეცემდა. უკა-  
ნასქნელი კი ასიმილაციით \*თთხელ'ად იქცეოდა; და თუ მოვი-  
გონებთ ქართულისათვის დამახასიათებელ წესს, რომ ორი თა-  
ნაბარი თანხმოვნიდან ერთი იკარგვის, მაშინ ჩვენთვის ნათე-  
ლი წარმოსადგენია თანამედროვე და თუნდაც ძველს ქარ-  
თულშივე გავრცელებული თხელ'ის (ხოლო იყო... კორცითა  
თხელ: გრგ. ხანძთ. ბჳკ) \*თთხელ'იდან წარმოშობა. ამგეა-  
რად, თხელ'ის ისტორია თვალსაჩინოდ ასეთია: \*ღვთხ (ძირი) +  
ელ-ი (ადამქტ. სუფ.) > \*ღთხელი > \*თთხელი > თხელი. რომ ჩვენი  
მოსაზრება სწორია და ასეთი რისამე დაშვება შესაძლებელია,  
ამაში მეორე მაგალითით დავრწმუნდებით.

### მ. ასიმილაცია მეტათესის შემდეგ ბგერის დაკარგვის დართვით.

ამის მაგალითად და ზემოთქმულის პრეცედენტად ძველი-  
ქართ.-ის თთუე გვეგულება, რომლის ისტორია მეგრულ-სვა-  
ნურის მეოხებით გაიგება.

1. სვანური დოშდუღ ('მთვარე') კნინობითი ფორმითაა  
წარმოდგენილი, სადაც კნინობითობის მაჩვენებელი -უღ სუ-  
ფიქსი ახალი მინალები უნდა იყოს. მისი არაძირეულობა  
და შედარებით ახალი წარმოშობა მტკიცდება ამ სიტყვის ძვე-  
ლიდანვე შემონახული ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, სადაც  
მას ადგილი არა აქვს; ეს გახლავთ დღის სახელწოდება დო-  
შდიშ (დოშდიშ, დოშტიშ, დეშდიშ, დეშტიშ — დიალექტური ვარი-  
ანტებია: ИЗВЛ. СВ.-р. сЛ., 22), რაც სიტყვა-სიტყვით  
'მთვარისა' იქნება და ისე კი 'ორშაბათ'ს ნიშნავს (შდ.

ფორმით მსგავსი ჭეშხაშ—‘ფერკისა, ფერხული’, ხოლო სემასიურად მეგრ.-ქან. თუთაშხა || თუთაჩხა—იხ. ბ. ვ). ნათესაობით ბრუნვაში მოქცეული დომში კი საშუალებას იძლევა, რომ ძირად \*დომდ (+იშ—ნათ.ბრ. ფორმანტია) მივიჩნიოთ და მეგრ.-ქან.-ში დაცული მისი კანონზომიერი ფონეტიკური ექვივალენტით, როგორცაა მაგ. თუთა (< \*დუთა), შევამაგროთ. ამათ შესატყვისად ქართულში, თუ, რასაკვირველია, ზემომოყვანილი შედარების მონაცემით ვიხელმძღვანელებთ, უყოყმანოდ \*დუთ-ე უნდა გამოვაცხადოთ, რომლის მსგავსი, მართალია, ჯერ არსად ძეგლებში არ შეგვხვედრია, მაგრამ ასეთი რისამე არსებობას ძველი-ქართ. თთუე ერთის მხრით და მეორის მხრით მეგრ.-სევან. თუთა (< \*დუთა) და \*დომდ გვაფიქრებინებს. ძველი-ქართ. თთუე<sup>1</sup>ს კი შემდეგი მაგალითებით შევაჯერებთ: ესე შეექუსე თ თჳკე არს (ადრშ. სახ., ლკ. I, 36); გიორგიწმიდობისა თთუეჲ რაჲ დადგეს (ხანძთ., იზ<sub>31</sub>); თთუესა იანყარსა (კიმენი, 106<sub>21</sub>; 111<sub>16</sub>); თთუესა მიჭრაქნისასა... (TP, IX, 13<sub>10</sub>); თთუესა მას...მიიფდინს (ლკ. I, 26); აღესრუღნეს კექუსნა თთუენი (№ 1147, 10 ხ<sup>2</sup>) და სხ. ახლა კითხვა ისმება, თუ რა ურთიერთობაა \*დუთე<sup>1</sup>სა და თთუე<sup>1</sup>ს შორის? ჩვენ გვგონია, რომ მათ შორის ისეთივე მიმართებაა, რასაკვირველია, პირველი ბგერითი მოვლენის გამორიცხვით, როგორც \*ღვთხ<sup>1</sup>სა და თხელ<sup>1</sup>ს შუა იყო, ე.ი. უკანასკნელი (თთუე) პირველისაგან (\*დუთე) არის მიღებული ჯერ მეტათეზითა და შემდეგ ასიმილაციით. თვალსაჩინოდ რომ გავხადოთ ეს, შემდეგნაირად შეგვიძლია მისი განვითარების საფეხურები წარმოვიდგინოთ: \*დუთე > \*დუთე > თთუე; ბოლო სახე კი ძველი-ქართულითაჲ დაეადასტურეთ. მაშასადამე, აკად. ნ. მარის მოსაზრება არ შეიძლება გაზიარებულ იქნას იმდენად, რამდენადაც მას ძირად \*თჳთ<sup>1</sup> მიაჩნია და არა

<sup>1</sup> აკად. ნ. მარის მიერ აღდგენილ \*თჳთ ძირს თითქოს ძველი-ქართულიც უმაგრებს ზურგს, სახელდობრ ადიშის სახარებაში იკითხება: „და იძალეიდა თაჳსა თჳსსა ხუთ თჳთე და თქჳა“ (ლკ. I, 24), მაგრამ ეს ჩვენ უბრალო lapsus calami-დ მივიღეთ.

\*დუთ-ე (Др. гр.-р. сл., 10; შდ. Опр. Ах.<sup>2</sup>, გვ. 64, § 65).  
 არც პროფ. ი. ყიფშიძეა მართალი, როცა იგი ორი თ'ს  
 თაემოყრას (თთუე'ში) მათ შუა მოქცეული ხმოვნის თითქოს-  
 და გამოცლის (ვაშაფარდნის) შედეგად თელის (ნასიმილატ. და  
 დისიმილატ. წესი“...: ტფ. უნივ. შიამბე, I, გვ. 3).

ამგვარად, ძვ.-ქ. თთუე ორი ბგერითი მოვლენის წყალო-  
 ბით არის \*დუთე'საგან მიღებული: ჯერ მეტათესითა და შემ-  
 დეგ ასიმილაციით მაგრამ პროცესი ამაზე როდი შეჩერებულა:  
 მან საერთოდ ქართულისათვის დამახასიათებელი წესიც, რომ-  
 ლის მიხედვით ორი თანაბარი თანხმოვნისაგან ერთი იკარ-  
 გვის, შეიწყინარა, და სიტყვა გამარტივდა, ერთ თ'მდე დავი-  
 და. ერთ-ერთ თ'ს გაქრობას კი დასაბამი ძველსავე ქართულ-  
 ში მიეცა; იქ ვკითხულობთ: სამ წელ და ექუს თუე (ლკ. IV, 25);  
 თუეს მარტსა (ТР, IX, ავ<sub>2</sub>); ნოემბრისა თუს დადგით გან  
 (ხნძთ., იზ<sub>35</sub>) და სხ.; მაშასადამე, ახალი-ქართულის თუე (ძვ.-  
 ქ. მართლწერით: თუე) < თთუე'საგან ერთი თ'ს დაკარგვით,  
 ხოლო უკანასკნელი, როგორც ზევით იყო ნაჩვენები, < \*დუ-  
 თე'საგან. აქედან დასკვნა: თუე რომ \*დუთე'საგან მიგველო,  
 საჭირო ყოფილა სამი ბგერითი მოვლენის შეხვედრა, მათი მო-  
 ქმედების თანამიმდევრობის დაცვა: მეტათესი + ასიმი-  
 ლაცია + ბგერის დაკარგვა. ამდენადვე ჩვენი სათაურიც  
 გამართლებულია.

რაც შეეხება \*დუთე'ს სემასიურ მხარეს, უნდა ვთქვათ,  
 რომ მას ქართულში ოდესღაც ისეთივე მნიშვნელობა უნდა  
 ჰქონოდა, როგორც დღეს მეგრ.-ქან. თუთა'სა აქეს, ე. ი.  
 იგი მატარებელი იქნებოდა როგორც 'მთვარის', ისე 30 || 31  
 დღის (მთვარის მოქცევის, 'თვის') სახელწოდებისა, მაგრამ  
 პირველი შინაარსი (მნათობის სახელი) ქართულში მას წაართ-  
 ვა თოფა ზმნისაგან ნაწარმოებმა მთოვარე (ახ.-ქართ. > მთვარე)  
 მიმღეობამ (მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თუსი: შთ. XXI ო,  
 29; შ'რ. XIII, 24; იეოს სსწყაული მზესა და მთოვარესა:  
 ლკ. XXI, 25), ხოლო მეორე მნიშვნელობისაგან ('თვის',

30 || 31 დღის, ნომენისაგან) სვანურში იგი დაცალა ქართულიდან შექრილმა თჳე სიტყვამ (შდ. Опр. Ах<sup>2</sup>., § 65; ნ. მარკი ცთება, რომ მას სვან. თრჳ, თრ, თეჳ [მისი მაგალითებია] ბოლო თ მოკვეცილად მიაჩნია); მეგრულ-ქანურმა კი მისი პრიმარი შინაარსი დღემდე შემოინახა.

ახლა გვრჩება ერთი საკითხი, რომლის გადაქრას ჩვენი უკანასკნელი მაგალითების განსამტკიცებლად მნიშვნელობა აქვს. კითხვა ეხება ისევ ძველი-ქართ. მართლწერით დაცულ თხელ'სა და თთუე'ს: რატომ არის, რომ უკანასკნელი ორი თ'ანითაა ძველს ძეგლებში დადასტურებული და ჩვენთვის მოსალოდნელი და აღდგენილი \*თთხელა კი მუდამ ერთი თ'ანითაა (იმავე ძეგლებში) გადმოცემული? განსხვავება დროში უნდა ვეძიოთ. ჩვენ გვგონია, რომ თხელ'ში ორი თ'ს წარმოშობა და ერთი მათგანის დაკარგვა იმ დროს უნდა განეკუთნებოდეს, როცა მწერლობა ან ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო, ან სულ არ არსებობდა. მწერლობის დაწყების ეპოს აღბათ იქ ორი თ არ ისმოდა და ამიტომ, ცხადია, გრაფიკულ გამოხატულებასაც ვერ იპოვიდა. ხოლო თთუე სახე კი შედარებით გვიან, ყოველ შემთხვევაში მწერლობის დაწყების ეპოქაში, მიღებული უნდა იყოს და ამის გამო მისი. ორი თ'ც დაზღვეული აღმოჩნდა.

23. XI. 1925:  
ტფილისს.

## 3. თოფურია.

### ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში.

#### II

#### გვარით მოვლენათა თანამიმდევრობა <sup>1</sup>.

ეს წერილი წარმოადგენს ამავე სათაურით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო „მიმოზილველ“-ის №1<sup>2</sup>ში დაბეჭდილი სტატიის გაგრძელებას და უმთავრესად გულისხმობს შედარებითი გზით აღდგენას სიტყვის ძირისას ისე, როგორც ეს თავის დროზე უნდა უფილიყო, მაგრამ ეამთა ვითარებაში სხვადასხვა ფონეტიკური მოვლენის შეგვარდინების წყალობით სახე უცვლია. ჩვენი მიზანია სწორედ ამ ბგერით მოვლენათა გაშრობა. ჯერ დავიწყეთ მარტივით.

#### I

#### ასიმილაცია.

ასიმილაცია, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, საკმაოდ გავრცელებული ბგერითი მოვლენაა: იგი გვხვდება როგორც ცალკე სიტყვებში, ისე ფუძისა და პრეფერბ-თანდებულთა თავ-და ბოლო-კიდურ თანხმოდან-ქმედანთა შორის. დიალექტებში ამის მაგალითი ურიცხვია, სალიტერატურო ენა კი ცდილობს ასიმილაციას მოერადოს, მიუხედავად ამისა მისი გამოვლენის არა ერთი და ორი შემთხვევა მოგვეპოვება ახალქართულთან ერთად ძველშიაც: აქცა (← გცა: იოან. 4.10, აღიშ.), აარა მოსე მოქცა თქნე (იოან. 7.19, აღიშ.), ატრტვნვიდეს (ლუკ. 5.30, აღიშ., შდ. ატრტვნვიდეს: ლუკ. 19.7, აღიშ.), ავლალატყავე (TP, IX, § 29, ა, 12) და სხვადასხვა. სენურში <sup>3</sup> კი ქართულთან შედარებით ასიმილაცია მაინცდამაინც გავრცელებული არ არის. მისი მიღების წესიც ჩვეულებრივია, ამიტომ მათზე შეჩერება. აქ არც კი ღირდა, რომ სანდჰის ორიოდე მაგალითს უურად-ღება არ მიქცია. ჩვენ ვლაპარაკობთ წინა სიტყვის ბოლოკიდურ და მომდევნო

<sup>1</sup>) I და III თავი წაკითხული იყო მოხსენების სახით ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1926 წლის 26 ოქტომბერს.

<sup>2</sup>) შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი: ბზ. = ბალსხემოური, ბკვ. = ბალსქვემოური, ბგჩ. = ბეროურის ეპრ. = ეცურული, ლშხ. = ლაშხური, ლნტ. = ლენტეხური.

სიტყვის თავიკიდურ ბგერათა დანსგავსების შესახებ, სახელდობრ: ბზ. აღწერ-  
ბეთ ლუარაა → ლზზ. აღწერბეთხარაა (არს ონიანი სიტყვები, 33<sup>33-4</sup>, 'ღმერთ-  
მანი'). რომ აღწერბეთ ლუარაა პირველადი, ამას ამტკიცებს ბალსზემოური და  
იგივე ლაზზური, სადაც იხმარება აღწერ ლორღე ლვარაა (ib., 33<sup>33-7</sup> 'ღმრთის სიტყ-  
ვებში'). ეგვევ გვეთქმის ბზ. აწმწელღე 'იმოდენა, იმდენი', ბზ. აწმწანღ, ბქვ. აწმწენღ  
'იქიდან' კომპოზიტთა შესახებ. ესენი წარმოდგენ: აეჯ + შელღე და აეჯ +  
ხან||ხენღ სიტყვათაგან. პრევერბის თანხმომავანიც რომ იმსგავსებს ფუძის ანლაუტს,  
ამის ნიმუშად გამოდგება ე(კრ. აესხრიე და ლნტ. აასხრიე 'შიდის' მაგალითი,  
რომელიც შეიცავს ეს||ას - პრევერბსა და აღგრიე — აწმწყის ფუძეს (ხმნას). ანა-  
ლოგიური შემთხვევები არცთუ მცირეა, მაგრამ ჩვენ ამით დაეკმაყოფილებით  
და ქვევით შევეხებით ასიმილაციას სხვა ბგერით მოვლენასთან დაკავშირებით.

### ბ. ასიმილაცია მეტათესის შემდეგ.

ამისათვის მაგალითი აბლარტიე და აბლერტიე ლიტერატურაში უკვე ცნობი-  
ლია. სამწერლობო ენის აბარტიე და აბერტიე სიტყვებმა ჯერ მეტათესი განიცა-  
დეს და მოგვცეს: \* ბუარტიე და \* ბუერტიე, შემდეგ ძელღრმა ბმ ყ აქცია ლღ.  
ღსა და ეს შენაცვლების სხვა შემთხვევაც დადასტურებულია მწერლობაში:  
აწყაე (ვისრამიანი, გვ. 131<sub>1</sub>) ← აწ-ღს შეერთებით. ამდენად აბლარტსა და აბლერ-  
ტიეში ორი ბგერითი მოვლენა — ჯერ მეტათესი და მერე ასიმილაცია — გვევლი-  
ნება<sup>1</sup>. ასევე გაშუქებულია დიალექტური ავანტყოფის წარმოშობა. ეს სიტყვა  
პირვანდელი ავანტყოფისაგან ჯერ მეტათესით (ავანტყოფი), შემდეგ ასიმილა-  
ციითა (ავანტყოფი) და უკანასკნელ სუბსტიტუციით (ავანტყოფი) არის მიღებუ-  
ლი. აქ, მაშასადამე, სამი ფონეტიკური მოვლენა (მეტათესი + ასიმილაცია + სუბ-  
სტიტუცია) იყრის თავს<sup>2</sup>... რა თქმა უნდა, მსგავსი მაგალითებით დიალექ-  
ტოლოგიური მასალები ძალიან მდიდარია<sup>3</sup>. მათი აქ მოტანა შორს წაგვიყვანს,  
ამიტომ უჩუბქსია ჯერ გამოუჩვეველი და ძნელად გამოსააშკარავებელი ქარ-  
თული სიტყვები ავიღოთ.

### ბ. ასიმილაცია რედუქციის შემდეგ.

სვანურში ამის მაგალითებია:

1. ბზ. აღიშტკენე 'რკობა, სრება'. აქედან: აბაშტკენე 'არკობს, მაგრამ აო-  
რისტში თუ გადავიტანთ, მაშინ ძირისეული ტ სხვა სახით წარმოგვიდგება:  
ათშლტკენე 'დაასო', ათშლტკენი 'დაასობს'. ცხადია, აბაშტკენე 'ასობს' და

<sup>1</sup>) არნოლდ ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: „არლიღ“. გვ. 71.

<sup>2</sup>) ibid.

<sup>3</sup>) განსაკუთრებით ი ნ გ ი ლ ო უ რ ი, სადაც გვხვდება: ნწგზი ზირამ (182<sub>2</sub> ← ნიგზი ზი-  
რამ), რქს (183<sub>4</sub> ← გქეს), ბოწ (187<sub>4</sub> ← ბეწე) და სხვა შრ:ვალი. ამ შემთხვევებში ჯერ მეტა-  
თესი უნდა ვივარაუდოთ და შემდეგ სუბსტიტუცია, რადგანაც ინგილოურში უე → ო და უი → უ  
(თქონ, წორ... მიუწრს, შუღობით...). აგრეთვე: ნობოთ (189<sub>4</sub>, 1 ← ე-ნახ-ობთ), დამიხტო (185<sub>3</sub> ←  
დამიხტა: → დამიხტა → დამიხტო → დამიხტო) და სხვა (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო: ძველი  
საქართველო, ტ. II, ტფ. 1913, განყ. IV, ტექსტები: გვ. 181—211).

მსგავს შემთხვევებში რედუქცია-ასიმილაციასთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, ჯერ რედუქციაა (ა\*ლი-შდჯენე → ლი-შდჯენე) და შემდეგ ასიმილაცია (ლი-შტკენე) ერთვის მას. სწორედ ასეთივე განმარტებით მოგვეყავს

2. ბზ. ალიშტკუნე 'სლოკინი', აშშტკუნე 'შასლოკინებს', მაგრამ ამ-შდჰკუნე 'დამასლოკინა', ამშდჰკუნე 'დამასლოკინებს' და სხ. აქედან ჩანს ღ'ს ტ'დ ქცევის მიზეზი: ა\*ლი-შდჯენე → ლიშდჯენე → ლიშტკუნე. ეცერულში რედუქცია-ასიმილაციის თანამიმდევრობა დაკულია, მაგრამ შეცვლილ ფორმაში: ალიშტკუნე (შდ. ლშხ. ალიშტკუნე), აშტკუნე 'სლოკინებს' (ლშხ. ახაშტკუნულუნე 'ასლოკინებს'), აორისტში კი აშდმდექალე 'დაისლოკინა' და სხ.

3. ნამყოში ხმარებული ბზ. ათსასტკენე 'ეწყინა' (ჩხათსასტკენე: *Cf. .am.*; X, 186<sub>2</sub>, 'ეწყინა', ათსასტკენხე: *ib.*, 164<sub>2</sub>, 'ეწყინათ', ლშხ. ათსასტკენე, ეცრ. ათსისტკენე) რომ ზემოთხსენილ მაგალითებს უერთდება, ამას ააშქარავენ მისი აწმყოს ფორმა: ახსდიკე 'სწყინა' (ათესსსდიკე, ათსსსდიკე, ად-სსსდიკე *sic: Cf. .am.*, XVIII, 107<sub>1</sub>, 2<sub>2</sub>-ა 'ვიწყინე'... ეცრ. აღისდიკელე 'წყენა') და სხვა.

თუ დასახელებულ შემთხვევებში ძირისეული -ღ- ხმოვნის შეკუმშვის გამო დამეზობლებულ ძირისეულსავე -კ-ს დაემსგავსა, შეგვიძლია გამოვწინათ ისეთი მაგალითებიც, სადაც იგივე -ღ- იმავე გარემოებაში სხვა თანხმოვანს როგორ ეერთფეროვნება.

4. ბზ., ეცრ. აშთქე (ლაშხ. აშთქე: ტექსტ. '68<sub>1</sub>, 'შაკე'), ბზ. აღინშთქე 'შაკება' ზნის ფორმაში რომ მოვაქციოთ, დაეინახავთ შემდეგ: ეცრ. აღინშდქალე 'შაკობს', ბზ. აღდნშდქე 'დაამაკა', ეცრ. აღინშდქალე 'შაკება' და სხვა. ჩანს: ძირში -თ- მიღებული არის -ღ-საგან ქ'ს ზეგავლენით და ისიც რედუქციის შემდეგ.

5. ეცრ. ანშთქე 'ნამგალი' ნასიმილაციეგია, მის ნაცვლად სხვა დიალექტში გვხვდება: ბზ. ანშდქე, ბერ. ანშდქე, ლშხ. ანშდქე და ლნტ. ანაშტპქე. ანშთქეში ხმოვნის შეკუმშვასა და ასიმილაციასთან გვაქვს საქმე. საჭიროა ხსენებულ სიტყვებში რედუქციას დაურჩეს ადგილი, რომ მყის ასიმილაცია მისი თანამხლები გახდეს, მაგ.: ბზ., ბერ. ანშთქარე, ლშხ. ანაშთქარე. ანალოგიური მოვლენებით ხასითდება: ბზ. ლშმდიქ (← შდიქ 'კბილი', ლშმდიქ 'კბილიანი = ფოცხი'), აღაშდიქ 'საკბილე', აღაშმდიქ 'კბილა, ერთი ხნისა, ტოლი', აფინდიხე 'ტყვია' და სხვა. მრ. რიცხვში იქნება: აღშმქარე, ლაშმქარე... აფინთხიშე (*genet.*) და სხ.

რა თქმა უნდა, რედუქციის შემდეგ ასიმილაციას სხვა თანხმოვანთა შორისაც ურჩება ადგილი. საილუსტრაციოდ ორიოდ მაგალითით დავამყარებთ: ბზ. ასაჩიშარე, ლშხ. ასაჩიშარე 'საჩივარ' სიტყვისაგან მასდარი აღიშჩიშარე (ლშხ. აღიშჩივარი: 46<sub>2</sub>) და ზმნა ახშიშჩიშარე, ახიშჩიშარე, აიშჩიშარე 'ვუჩივი, ვჩივლობ'... ისე მიიღება, როგორც ბზ., ეცრ. ანაჩქარე 'საჩქარი'საგან ბზ. აღიშჩიქარე, ეცრ. აღიშჩიქარე 'ჩქება', ბზ. ანაშჩიქარე 'ვაჩქებ', ლშხ. აქა ბაშჩიქარე (66<sub>2</sub>) 'აჩქა' და სხვა ასეთები გვაქვს. ასევეა წარმომდგარი ეცრ. ახაშხაე

1) სვანურს მაგალითებში ხმარებული უ ასო წყვილბაგისმიერ ხ ბგერას გადმოგვიცემს. უ = ლაშხ. ტექსტებში გამოყენებულ ვ'სა და პროფ. აკ. შანიძისა და ჩვენს წერილებში ნახ-მარ უ'ს.

(ჩხეხა), ლშხ ახაშხაე (ტექსტ. 1.) ახეხაესაგან, ხოლო უკანასკნელი — ლნტ. ახეხაესაგან 'ჰქია' (შდ. ეახე, ქართ. ძახ-ილრ, ქან. ჯოხო) და სხვადასხვა. ამ წერილში მაგალითების ამოწურვა არ დაგვისახავს მიზნად. ჩვენი უკრადლება მიეკა მხოლოდ ზოგიერთთ, მათი მიბაძვით სხვათა გამორკვევაც არ არის შეუძლებელი, როგორც მაგ.: ბზ., ეტრ. ახატკლებე 'ენანება' — ლნტ. ახადაკლებე, და სხვა. არც ამათი გამოჩინება იყო ძნელი; რადგანაც სხვადასხვა კომბინაციებში პირვანდელი სახე ყოველთვის აღგვიდგებოდა... ამას ვერ ვიტყვით იმ მაგალითების შესახებ ქართულიდან, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს. მათი ძირის მოსახაზად საქირთა მგლიო-პასიეი ზმნების შესწავლა.

II<sup>1</sup>

სენურში II უღლილებიდან<sup>2</sup> მიჩნეული ზმნები აქტივისა და მედიო-პასივის ფორმებს ერთუთისაგან ფუძის ღრეკადობით ასხევებენ: პირველს - ახასიათებს ფუძეში, ხოლო მეორეს - ე-. მართალია, აწყოსეულ დროებში ფუძე-ღრეკადი, იგივე II უღლილების, ზმნები გართლებულნი არიან სხვადასხვა სუფიქსით, მაგრამ დროთა II ჯგუფში, განსაკუთრებით კი აორისტში, მათ შორის სხვაობა მხოლოდ -ე-სა და -ი-ს ხმარებაში გამოიხატება, სხვა მხრით კი სრული იდენტობაა. თქმულის დადასტურება სათანადო მაგალითებითაც შეიძლება. ნიმუშებს ბალსზემოური დიალექტიდან მოვიტანთ:

აწყოს ჯგუფი:

ნამუხს ჯგუფი:

	ა. აქტივი	მედ.-პასივი	აქტივი	მედ.-პასივი
ე	1 ტუბ-ე ვაბრუნებ	ტუბ-ნი ვბრუნდები	ო-ტებ დავაბრუნე	ვ-ტუბ ვაბრუნდი
ა	2 ტიხ-ე	ტეხ-ნი	ა-ტებ	ვ-ტებ
ა	3 ტიხ-ე	ტეხ-ნი	ა-ტიხ	ა-ტახ
ნ	1 ტუბ-ის ვაბრუნებდი	ტუბ-ენდის ვბრუნდებოდი	ო-ტებ-ა/ე დავაბრუნე	ო-ტებ დავბრუნდე
ნ	2 ტიხ-ის	ტეხ-ენდის	ა-ტებ-ა/ე	ა-ტებ
ნ	3 ტიხ-ა	ტეხ-ენდა	ა-ტებ-ას/ეს	ა-ტებ-ს
კ	1 ტუბ-ენდ ვაბრუნებდე	ტუბ-ენდენდ ვბრუნდებოდე		
კ	2 ტიხ-ენდ	ტეხ-ენდენდ		
კ	3 ტიხ-ენდს	ტეხ-ენდენდს <sup>3</sup>		

<sup>1</sup>) ეს თავი ცალკე მოხსენებად იყო წაკითხული ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1928 წ. 27 მარტს.

<sup>2</sup>) ზმნების უღლილებად დაყოფა როგორც ქართულში, ისე სენურში პროფ. აკ. შანტის ვკეტის (ქართული ზმნის საქვეყი: „ტფ. უნივ. მოამბე“, VII, გვ. 316 და შემდ. და უმლაუტ სენურში: „არალი“ — პროფ. ივ. ჯაქაძის შეიღილისადში მიძღვნილი კრებულო, გვ. 191, § 11).

<sup>3</sup>) ზოგი გამოყოფილ სუფიქსთაგანი, რა თქმა უნდა, იშლება, მაგრამ მისი შედგენილობა აგრამად არ გვანტერესებს. აქ მთავარი ყურადღება ექცევა აველა დროში განმეორებულ ტიხ- / ტეხ- ფუძეს.



აწმყოს ჯგუფში წარმოდგენილ ტიბ-/ტებ-ში -ი- აქტივისა და -ე- მედიო-პასივისა აშკარად ჩანს, გამოსარკვევია ნამყოს ჯგუფის ამავე ფუძეში -გ-სა და -წ-ს გამოვლენა და აორისტის პირველს ორს პირში -ე-ს უგულვებლყოფა. საფიქრებელია, რომ აქტივის -გ- იმავე -ი-ს სუბსტიტუციით იყოს მიღებული, ხოლო III პ. მედიო-პასივ ფორმაში -წ- თეორიულად მოსალოდნელ -ე-ს აბლაუტს უნდა წარმოადგენდეს, რომლის (ე. ი. -ე-ს) რედუქციით დაკარგვამ პირველსა და მეორე პირში პრევერბისეული ა- გააუმლაუტა. თქმულის თანახმად აღდგენილი სახე ამ ზმნისა აორისტში ასე წარმოგვიდგება:

1 \*ა-შტებ → ო-ტებ. სუბიექტური პრეფიქსი -შ- იმსგავსებს წინდებულის ა-ს და იძლევა ო-ს.

2 \*ა-ტებ

3 \*ა-ტებ → ატებ. ალბათ სუფიქსის მოკვეციის გამო -ე- → -ა-<sup>1</sup>.

მართლაც, თეორიულად დაშვებული ფორმა სვანურის სხვადასხვა დიალექტში ნამდვილად გვხვდება, სახელდობრ:

ბეჩოურში	ვერულში	ლაშურში	ლენტებურში
1 ო-ტებ	ო-ტებ	ო-ტებ	ა-ტუებ
2 ა-ტებ	ა-ტებ	ა-ტებ	ა-ტებ
3 ა-ტახ	ა-ტახ	ა-ტახ	ა-ტახ

რაც შეეხება ნამყოსეულ კონიუნქტივს, იქ ფუძეში -ე- მოგვეპოვება, მაგრამ კონიუნქტივის მაწარმოებელი -ე ნიშანი ბალსზემოურში არა ჩანს, -ს ფორმანტი კი მხ. რ. III პ. მიგვიჩიოვებს. თუ სხვა დიალექტებს მივმართავთ, დავინახავთ, რომ ნამყოსეული კონიუნქტივის მაწარმოებელი -ე არის, მაგ.:

ბეჩოურში	ვერ-ლაშურში შდ.	ბალსზემ.
ონ-ტუებ-ე მოვბრუნდე	ო-ტებ-ე დავბრუნდე	ო-ტებ
ან-ტებ-ე	ა-ტებ-ე	ა-ტებ
ან-ტებ-ე-ს	ა-ტებ-ე-ს	ა-ტებ-ს (უმლ., გვ. 193)

-ე სუფიქსი ბალსზემოურში მოკვეცილად უნდა ვიგულოთ, როგორც ეს მას სხვა შემთხვევაშიც სჩვევია.

ზემოთ წამოყენებული დებულების განმტკიცება (რომ აქტივისათვის -ე- და მედიო პასივისათვის -ე- გვევლინება) შეიძლება დროთა III ჯგუფის მიხედვითაც:

ბალსზემოური	ვერული
მიტნა მიბრუნებია	ამტება დამბრუნებია მიტნა ამტება
ჯიტნა	აჯტება
ხოტნა	ახტება ხოტნა ახტება

<sup>1</sup>) ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა., სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში (სტფ. უნივ. მოაბბე“, VII, გვ. 310).

	ლენტესური	ლაშხური
მიტიხა	ამატეხა	მიტინხა ამტეხა
ჯიტიხა	აჯატეხა	ჯიტიხა აატეხა    აჯტეხა
ხოტიხა	ახატეხა	ხოტიხა ახტეხა

მდგომარეობა არც ნაშენარ სახელებში იცვლება. საჭიროა მაგალითები ერთმანეთს დაეუპირისპიროთ, რომ ამაში დავრწმუნდეთ:

a. მასღარი:	აქტივი	მედიო-პასივი
	ლი-ტხ-ე (← *ლი-ტიხ-ე) დაბრუნება	ლი-ტხ ვიავრათიხა
b. მიმღეობა:	ლგ-ტრხ (ლშხ.) დაბრუნებული (= რომელიც დააბრუნეს)	მე-ტხ-ე (← მე-ტიხ-ე — ეს უკანასკნელი ფორმა იხმარება ლენტესურში) დაბრუნებული (= რომელიც დაბრუნდა) <sup>1</sup>
	ნატხიშ ნაბრუნები	ნატახშ (*ნა-ტიხ-ე-შ) ნაბრუნები <sup>2</sup> და სხვ.

ამგვარი ზმნები არცთუ მცირეა. უმრავლესობას ორივე ფორმის მოცემა შეუძლია, როგ. მაგ.:

ლი-დგ-ე	ლი-დეგ ქრობა აქედან:	დიგ-ე აქრობს: დეგ-ნი ქრება
ლი-კუშ-ე ტეხა	ლი-კუშე ტუდომა	კუშ-ე ტეხს: კუშ-ნი ტუდება
ლი-თუფ-ე	ლი-თუფე დაკარგვა...	თუფ-ე კარ- : თუფ-ნი იკარ-გავს გება, ქრება
ლი-გბ-ე	ლი-გებ დასვრა	გბ-ე სვრის: გებ-ნი ისვრება
ლი-ფეშ-ე	ლი-ფეშე გახსნა	ფეშ-ე ხსნის: ფეშ-ნი იხსნება
ლი-ნეკუ-ე	ლი-ნეკუ მოხრა, ლუნვა	და სხვა მრავალი.

ზოგი კი მხოლოდ მედიო-პასივის ფორმით კმაყოფილდება და აქტივს არ ავითარებს <sup>3</sup>, მაგ.:

ლი-პეფ მალვა	აქედან: ხეპენი ემალება
ლი-სედ დარჩენა	სედნი რჩება... მაგრამ არ არის წარმოებული:
ლი-კუშედ ნდომა	*პიე-ე, *პიდ-ე და სხვა მსგავსი აქტივი ფორმა.
ლი-ეცხ ღვიძება, და სხვა.	

მოტანილი მაგალითებიდან აშკარა უნდა იყოს -ი-სა და -ე-ს ფუნქცია: პირველის ფუნქციის ჩართვით ზმნა აქტივი ხდება, ხოლო -ე-ს გამოვლენით იგი მედიო-პასივის ფორმას ინიჭებს, რაც შეეხება აწმყოში მოცემულ -ე და -ენ-ი (ზემო-სვან. და ლაშხურში -ენ ი → -ენ-ი) სუფიქსებს, ესენი თემატურნი არიან და, ცხადია, ამით აიხსნება ღროთა II და III გგუფში მათი უგულებელყოფა.

<sup>1</sup>) აკაკი შანიძე, უპლაური სვანურში, გვ. 186.

<sup>2</sup>) ib., გვ. 202.

<sup>3</sup>) ib., გვ. 196, შენიშ. 1.

<sup>4</sup>) რომ -ნ-ი (სედ-ნი და სხვებში) რედუქციის გზით არის მიღებული -ენ-ი სუფიქსისა-გან, ამას ამტკიცებს ერთის მხრით ისეთი ფორმა ზმნისა, სადაც ბოლოსართებთან დაკავშირებით რედუქციას არა აქვს ადგილი, მაგ.: ბზ. «ხედ-ენ-ი» 'ქრება', «სედ-ენ-დნს» ეცრ, «სედ-ენ» 'რჩება' და მეორის მხრით რედუქცია განუვითარებელი ლენტესური დიალექტი: «სედ-ენ-ი» 'რჩება', «დეგ-ენ-ი» 'ქრება'...

რომელი უღლილები ზმნებია ქართულში ამათი შესატყვისი?

სვანურ II უღლილები ზმნებს, როგორც ეს სპეციალ ლიტერატურაშია აღნიშნული<sup>1</sup>, კონსტრუქციითა და მორფოლოგიური აღნაგობით ქართულში III უღლილები ზმნები შეეფარდება, ასეთებია, მაგ.: უ დნები, დნები, დნები-ს || დნე-ბა; ვ-თბები, თბები, თბები-ს || თბება, ვ წვები, ვ-დგები, ვ-ცთები, ვ-ხმები და სხვა.

კონსტრუქციით საერთო მათ შორის ის არის, რომ ორსავე ენაში მედიო-პასივ ფორმებს დროთა ყველა ჯგუფში ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში მოეპოვება: აეჯა დგენი 'იგი ქრება': აეჯა ადგა 'იგი გაქრა'... და თუ მათგან რეალური ფორმა ვაწარმოვეთ, მაშინაც სვანური კონსტრუქცია ქართულისაგან განსხვავებული არ არის: აეჯა (სახ.) ხოდგენი ეჩახე (მიც.) = იგი უქრება მას', აეჯა ოთდგა ეჩახე = 'იგი გაუქრა მას'...

მორფოლოგიური შედგენილობის მხრივაც ისინი ერთმანეთს ფარავენ: 1. სვანური ზმნების მედიო-პასივ ფორმებში გამოყენებული -ენ-ი სუფიქსი ქართულში -ებ-ი ბოლოსართით წარმოგიდგება: ლნტ. ადგ-ენ-ი = ქრ-ებ-ი-ს, 2. ორივე — სვანური -ენ-ი და ქართ. -ებ-ი—ერთი ფუნქციითაა აღქურვილი: იხ-მარება აწმყოს ჯგუფის მედიო-პასივ ზმნებში: ადგ-ა-ს : დგ-ებ-ი-ს, წევ-ს : წევ-ბ-ი-ს, ა-ქრ-ობ-ს : ქრ-ებ-ი-ს ; ადიგ-ე 'აქრობს' : ადგ-ენ-ი 'ქრების'... 3. ორივე თემატურია და ამიტომ II და III ჯგუფის დროებში არ გვევლინება: ადგ-ენ-ი : 'ქრ-ებ-ი-ს', მაგრამ: აა-დგა : 'გა-ქრ-ა', ახო-დგ-ა 'უ-ქრ-ი-ა', და სხვა.

აგრეთვე კონიუნქტებ II-ის წარმოება ორსავე ენაში -ე სუფიქსის მეშვეობით ხდება: ეცრ. აა-დგ-ე-ს — 'გა-ქრ-ე-ს'<sup>2</sup>.

ამაირად, დაპირისპირებით გამოირკვა სვან. II უღლ. და ქართ. III უღლილებისად მიჩნეულ ზმნათა ერთგვარობა: მათ კონსტრუქციის გარდა მორფოლოგიური მსგავსებაც აღმოაჩნდათ. ამით ჩვენი დახასიათება დამთავრებულად ჩაითვლებოდა, რომ ერთს ფრიალ საინტერესო გარემოებას ყურადღება არ მიექცია: სვანურ მედიო-პასივებში ყოველთვის -ე- გვაქვს, რომლის მაგვარი ქართულში ერთის შეხედვით არ მოგვეპოვება, მაგრამ ქართ. III უღლ. ზმნათა ყველა ფორმა რომ გაეითვალისწინოთ, დავინახავთ, რომ ძირში თითქმის მუდამ -ე- გვხვდება. ზმნის ძირი კი ჩვეულებრივ აორისტის I და II პირშია წარმოადგენილი. დავსვათ ხსენებულ დროში:

ე-დგ-ებ-ი. ს-დგ-ებ-ი

-ვწვ-ებ-ი. წვ-ებ-ი

ე-ძერ-ებ-ი, ძერ-ებ-ი

ე ძლ-ებ-ი, ძლ-ებ-ი

ე-წყრ-ებ-ი, ს-წყრ-ებ-ი

ე-დგ (TP, III, 13<sub>16</sub>), აღ-დგ (ძვ. სას. 3., 15<sub>28</sub>), ახალს ქრთულში: ა-ე-დგქ'ი, ა-დგქ'ი.

და-ე-წევ, და-წევ, ახალს-ქართულში ადგქ'ის ანალოგიით გვაქვს დაწევქი, დაწექი (პროფ. გ. ახვლედიანი, ყრუ mediae ქართულში: „განათლება“, № 4-5, 1920, გვ. 9).

გა-ე-ძვერ-ი, გა-ძვერ-ი (ძვ.-ქ.: ვ-ძვერ, ს-ძვერ)

გა-ე ძელ (გა-ე-ძებ-ი, გა-ძებ-ი)

გა-ე-წყერ-ი, გა-ს-წყერ-ი

<sup>1</sup>) უმლაუტი სვან., გვ. 195, 265.

<sup>2</sup>) დაწერილებით „სვანურ გრამატიკა“ში.

ე-ყვ-ებ-ი, ჰ-ყვ-ებ-ი (ამბავს) მო-ე ჰ ყვე-ი, მო-ჰ-ყვე-ი  
 ვ-თერ-ებ ი, თერ-ებ-ი და-ვ-თვერ-ი, და-თვერ-ი  
 ამათ შეიძლება დაეწმარათ ისეთი ზმნებიც, რომელთა ძირს, ვფიქრობთ,  
 \* ელ ფორმანტი გამოეყოფა:

ვ-ჯდ-ებ-ი, ჯდ-ებ-ი და-ვ-ჯედ-ი, და-ჯედ-ი ( -- და-ვ-ჯექ-ი, და-  
 ჯექ-ი: იხ. ყრუ mediae, გვ. 9)  
 ვ-სხდ-ებ-ი-თ, სხდ-ებ-ი-თ და-ვ-სხედ-ი-თ, და-სხედ-ი-თ და, სხვა<sup>1</sup>.

არის რიგი ზმნებისა, რომელთაც დროთა I ჯგ. -ებ-ი ელემენტები გააჩნიათ, მაგრამ ზემოთქმულს, ძირში რომ -ე ბეგრა იყოს, არ ემართლებს, ასეთებია. მაგ.: ავ-ცხრ-ებ ი, ვ-კვდ-ებ-ი, ვ-შერ-ებ-ი, ვ-ცთ-ებ-ი, ვ-კრთ-ებ-ი, ვ-ხდ-ებ-ი-ე და სხვა. ესენი აორისტის I და II პ., როგორც შევნიშნეთ, -ე-ს არ აღი-დგენენ: ადა-ვ-ცხრ-ი, მო-ვ-კვდ-ი, შე-ვ-ცთ ი, შე-ვ-კრთ-ი, გა-ვ ხდ-ი-ე და სხვა. ავ-შერ-ებ-ი-ე კი აორისტში სხვა ძირით. გვევლინება. აქ ჩვენი წესი თითქოს ირ-ღვევა, მაგრამ ითუ ახალი-ქართულის ფარგლებს გავსცილდებით და ძველს თხზუ-ლებებში ამ მაგალითებს მიმოვძებნით, იქ აღმოვაჩინეთ:

შერ-ებ-ი (რამსა თვს შოვრები: ი-ე ბოლნ., 19, 1-) და-ე-შურ (ნოვ ოვკოვც  
 ცოვდად დაეშოვრ: იხ., 18<sub>ა</sub>)

ვ-კვდ-ებ-ი მო-ვ-კედ (ჰე უწინარეს  
 მისსა მოკვეუდ ? : ჰაგ. მას., 16—17,)

ე-ხდ-ებ-ი \*წა-ხედ ( -- წარ-კედ: შთა-  
 კედ, გარდამო-კედ, გარეწარ-ჰ-კედ: ძვ. ს. პ., 1, 2)

ვ-ცხრ-ებ-ი, ს-ცხრ-ებ-ი და-ვ-ცხერ, და-ს-ცხერ

ვ-ქრ-ებ-ი, ჰ-ქრ-ებ-ი გა-ვ-ქერ, გა-ჰ-ქერ

ვ-ცთ-ებ-ი შე-ვ-ცეთ (მცნებ-თა შენ-  
 თაგნ გე არა შეესცეთ: უც. ხელნ., № 38, 179 r.)

უკანასკნელთ და ამათ შგავს სხვა ზმნებსაც ახ. -ქართულში ძირისეული -ე- I და II პირში იმიტომ არ აღმოაჩნდათ, რომ მათ III პირისაგან ნარედუქციალი ფუძე ისტესს და ამით ერთგვარობა დაამყარეს: აშკრთ-ა ( -- \*შე-კერთ-ა), შე-ჰ-კრთ-ი, შე-ვ-კრთ ი; შე-ცთ-ა ( -- \*შე-ცეთ-ა), შე-ს-ცთ-ი, შე-ვ-ცთ-ი-ე და სხვა,

<sup>1</sup>) თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს ეს მოკლენა აღნიშნული აქვს თავის „ქართულ გრაფიკა“-ში (ტფ. 1939, გვ. 55—56, შენიშვნა), მაგრამ ზოგა მაგალითის მიხარა უნარით ემართებულა განმარტებას იძლევა. იგი წერს: „სახელ-ზმნარო, დაბოლოებულნი მარცხელთა «ოლა» და «ომა», არ ემორბილებიან ხმო-ნაჩეუნებ კანონებს მიმოქცეოთა. ეყენი აზრყოში იცლიან საბოლოოს მარცხელთა: «ებო» (ე-ვ-ი-ბო) მაგ. ცდომა = ვცდ-ებო, ქრ-ოლა = ექრ-ებო, აგრეთვე: ვკვდ-ებო, ვშერ-ებო (შერ-ობა), ვედ-ებო, ვყვ-ებო (ყოლა), ვრჩ-ებო (რჩობა), ვთერ-ებო (თერ-ობა) და სხ. ნამყო უსრულში ნიმიტებენ «ოლა»-ს; ნამყო სრულში მიმიტებენ ხმოვანსა «ი» სიტყვას ძირში, თუ მოხსენებულ საბოლოოთა წინ უხისო უბმონა და ანუ თე» და «ტე» მაგ. ცდთ-ობა [sic] = (შე)ცთ-ი, კვდ-ობა = (მო)კვდ-ი (მაგრამ ჯდობა = დაეჯექ); დანარჩენ შემთხვევაში-ი ჩაისკვნენ სმოვანსა «ე» უბმოებუა, მაგ. დგ-ობა = აედ-ე-გ (აედექ), ქრ-ოლა = გაექ-ერ, შერ-ობა = ვშე-ერ, დეცხ-ერ; გაეწყ-ერ; მაგრამ თუ ძირში ერთის მეტი უბმო არ არის, მაშინ ბოლოს „აერთვის მარცხელი ევე»: წ-ოლა = (და)ეწ-ვე (დაეწექ), ცოლა = (წა)ეც-ვე“. ჩანს, ავტორის უბმოებუა «ე» ძირისეულად არ ეგვრება.

<sup>2</sup>) -ედ ამ სიტყვაზე-აუ ფორმანტი უნდა იყოს.

სწორედ ისე, როგორც ეს გვაქვს: ა-ა-ც-ვი, ა-ც-ვი, ა-ც-ა; ვ-სე-ვი, (ჰ)-სე-ვი, სე-აე, რაც ძვ.-ქართ. განსხვავებულია: არა შე-ვ-სუე (მათე 28.42, აღიშ.), ასუ-თე (მათე 26.27), მაგრამ III ჰ, არა სუ-აე (იე ბოლნ., 49<sub>22</sub>). აქედან დასკვნა: მედიო-პასივი ზმნები ძირში მუდამ -ე- ბგერას შეიცავენ. ეს დებულება, რა თქმა უნდა, ზემომოტანილი მაგალითებიდან გამომდინარეობს, მაგრამ თუ აღმოჩნდა III ულლ ზმნა, რომელსაც არცერთ ფორმაში -ე- ხმოვანი არ გამოვევლინება, ჩვენ თეორიულად მაინც შეგვიძლია დაეუშვათ -ე-ს არსებობა ძირში, სახელლობრ შენდევს მაგალითებში: ა-ქ-რ-ებ-ი—გა-ვ-ქერ-ი (ახლაც იხმარება), ვ-ხმ-ებ-ი—გა-ვ-ხმ-ი ← \*გან-ვ-კემ (და შე ვ ათივთა განვეკემ: უნ. ხელნ., № 38, 148 v<sup>1</sup>, ვ-დნ-ებ-ი — და-ვ-დნ-ი ← \*და-ვ-დენ, ვ-ტფ-ებ-ი—გა-ვ-ტფ-ი<sup>2</sup> ← \*გან-ვ-ტფე, ვ-შრ-ებ-ი — გა-ვ-შრ-ი ← \*გა-ვ-შერ და სხ. ამას ადასტურებს ერთის მხრით ძირში -ე- ბგერის შემცველი წრავალი ზმნა და მეორის მხრით მეგრული, სადაც -ე-ს ადგილას სათანადო ხმოვანი გვევლინება, მაგ.:

- ვ-ქრ-ებ-ი, ძირია : ქერ (გა-ვ-ქერ, გა-ჰ-ქერ, გა-ქრ-ა) = ძირს: \*ქირ—გონ-ქირ-აფა 'გაქრობა'.
- ვ-ხმ-ებ-ი, " კემ (გან-ვ-კემ, გან-ჰ-კემ, გან-კმ-ა) = ძირს: \*ხომ (←კომ)—ხომ-აფა 'ხმობა', ხომ-აფ-ირი 'გამხმარი'... ანალოგიური შესატყვისებია: კუორ-ი = მ-წყურ ი, გო-კუორ-ი = გა-წყურ-ი.
- ვ-დნ-ებ-ი, " დენ (\*და-ვ-დენ, და-ს-დენ, და-დნ-ა) = \*დინ: დინ-აფა 'დაკარგვა'.
- ვ-ტფ-ებ-ი, " : ტფე (\*გან-ვ-ტფე, გან-ს-ტფე, გან-ტფ-ა) = \*ტიბ: ტიბ-აფა 'ტფობა, თობა', ტიბუ 'ტფილი' = სევანურ ტებ-ძირს : ტებდი — \*ტებ-იდ-ი 'თფილი'.
- ვ-შრ-ებ-ი, " შერ (\*გან-ვ-შერ, გან-ჰ-შერ, გან-შრ-ა) = \*ხქირ: სქირ-აფა 'შრობა', სქირ-ე 'შხრალი', გო-ვ-სქირ-ი = \*გა-ვ-შერ — გა-ვ-შრ-ი...

ჩანს, მეგრულ-სევანურიც ამტიციებს ძირში დაშვებულ -ე-ს, ამდენად უფლებად გვეძლევა ზემოთ წამოყენებული დებულების რიხედვით ა-ტ-ებ-ი, ვ-ქ-ებ-ი, ვ-ლ-ებ-ი და მისთანებში ყველგან ძირში -ე- ვივარაუდოთ.

ამგვარად, სევანურის II ულლ. მედიო-პასივი ზმნები როგორც სინტაქსურად, ისე მორფოლოგიურად, სრულებით ფარავენ ქართული ზმნების იმავე ფორმებს: 1. კონსტრუქცია ერთგვარი ახასიათებთ და 2. მორფოლოგიური აღნაგობაც იდენტურია. ეს მსგავსება ერთი ფაქტითაც გაძლიერდა: სევანურის მედიო-პასივებს ფუძეში -ე- ხმოვანი მოეპოვებათ, ეგვემ -ე- ქართულ მედიო-პასი-

1) უნ. ხელნ. № 38-დან ამონაწერები არნ. ჩი ქო ბ ა ე ვ მ გადმოძეა, რისთვისაც მას ნაღლობას ვუცხადებ.

2) ტფ კომპლექსის გაძლიებას ძველს-ქართულში ტფილ-სიტყვას და სხვებში პროფ. გ. ახვლედიანი იმით ხსნიდა, რომ ტ-თან ხმოვნის ჩანაბა იგულისხმებოდა (ქართ. საენათმეცნ. საზ. 1926 წლ. სხდომის ოქმი № 4/17).

ვებსაც აღმოაჩნდათ<sup>1</sup>. მაგრამ განსხვავებასაც ვამჩნევთ: სვანური ზმნები ფუძე-დრეკადნი არიან, ზემომოტანილ ქართულ მაგალითებში კი დრეკადობას ადგილი არა აქვს. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ სვანური და ქართული ამ უკანასკნელ შემთხვევაში ერთმანეთს შორდებიანო, მაგრამ თუ მოვიგონებთ, რომ ზემომოტანილები მხოლოდ მედიო-პასიენი არიან და ფუძის დრეკადობით აქტივის წარმოება ვერ ძალუძსთ, როგორც ეს ზოგი სვანურის ზმნის მიმართაც აღენიშნეთ (იხ. ზემოთ, გვ. 297)<sup>2</sup>, მაშინ ცხადი გახდება ჩვენი დაპირისპირების მეთოდოლოგიური შეცდომა: ფუძე დრეკადის ფუძეუცვლელთან შედარება სრული ანალოგიისათვის კი, აშკარაა, სვანურ ატიხ-ე — ტეხ-(ე)ნ-ი ტიპის ზმნებს ქართულშიაც ფუძედრეკადი უნდა მივუყენოთ, ე. ი. უკანასკნელთა საარვისო ქცევა ტიხ-ე — ტეხ-(ე)ნ-ის მსგავსად ნულ-მაქცეკრით უნდა იყოს წარმოდგენილი ერთის მხრით და მეორის მხრით ფუძის ხმოვანთა შეცვლასაც უნდა დაურჩეს ადგილი. ასეთი ზმნებია ქართულში:

	აქტივი	მედო-პასივი	
აქტივი	1 ვ-დრეკ	ვ-დრკ-ებ-ი	ამას მისდევს:
	2 ს-დრეკ	ს-დრკ-ებ-ი	კრებს, კრიბ-ა — შე-კრბ-ა (შეკრბა... ერი: ძვ. ს. პ., 5 <sub>15-16</sub> )
	3 დრეკ-ს	დრკ-ებ-ი-ს	შრეტ-ს, შრიტ-ა — და-შრტ-ა გლეჯ-ს, გლიჯ-ა — და-გლჯ-ა
პასივი	1 ვ-დრკ-ე	შე-ვ-დრკ-ი	წყუედ ს, წყვლ-ა — მო-წყუა (—*მო წყუდ-ა. ახ.-ქ.
	2 ს-დრკ-ე	შე-ს-დრკ-ი	წყვეტ-ს, წყვიტ-ა — გა-წყტ-ა)
	3 დრკ-ა	შე-დრკ-ა	წრედ-ს, წრილ-ა — *და-წრლ-ა, და სხვა (ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში: „უნივერსიტეტი“, № 1, გვ. 92, შმშ.).

აქ აღსანიშნავია შემდეგი: აქტივ ფორმათა ფუძეში -ვ- -ი- ხმოვანი გვაქვს, თუ რომელია ამათში პირვენდელი, ეს არა ჩანს, ყოველ შემთხვევაში ისინი გარკვეულად სვანურ -ი-ს მოგვაგონებენ; მედიო-პასივიში კი, დებულების თანახმად, -ე- არის მოსალოდნელი, პარადიგმაში -ე- არ მოგვეპოვება: მისი დაკარგვა რედუქციას შეიძლება დაეპრალოთ, მაგრამ ამით ხომ ვერავის დაეარწმუნებთ. საჭიროა რაიმე გზით დებულების გამართლება. ახალი-ქართული ამ ზმნათა მედიო-პასივ ფორმებს საერთოდ გაურბის, იგი უფრო ი- პრეფიქსით გვიწარმოებს ვნებითებს: აი-შრიტ-ებ-ა, ი-წრიდ-ებ-ა, ი-კრიბ-ებ-ა<sup>3</sup> და სხვა, ამიტომ

<sup>1</sup> ამ შემთხვევაში სახელებისაგან მედიო-პასივის მაწარმოებელი \*-ენ- || -ედ- (დაგლახანების: ძვ. სს. პ., 5<sub>15</sub> განმარტებების: იხ. მთ 3) არ გვანტირებს, თუმცა -ე- ყურადღებას იქცევს -ენ- || -ედ-ში.

<sup>2</sup> ქართულში მედიო-პასივებისგან აქტივთ აფიქსების დართვით ვლებულობთ: ადნ-ებ-ის, თბ-ებ-ა, ხმ-ებ-ა, წვ-ებ-ა, დგ-ებ-ა და სხვათა აქტივი იქნება: აა-დნ-ობ-ს, ა-თბ-ობ-ს, ა-წვ-ენ-ს, ა-დგ-ენ-ს... ასევე ჩადის სვანურიც ფუძეარადრეკად მედიო-პასივების მიმართ: ახ-ე-ატ-ენ-ი 'ემალეა', აეცხ-ნი 'იღვიძებს' — ან-პ-უნ-ე 'მალავს', ან-აცხ-უნ-ე 'აღვიძებს'.

<sup>3</sup> II ულლილ. ზმნათა ი- პრეფიქსით წარმოება ვნებითში სვანურსაც ახასიათებს (ბზ. ლშ. ი-დრგ-ი იჭრობა, და სხვა).

სჯობია ძველ-ქართულს მიემართოთ, ეგების იქ აღმოჩნდეს აორისტის I და II პ. -ე-: ადა ყ'ი სიმრავლს ერისაჲ შემოკერბითე (ი'ე ბოლნ., 24<sub>11</sub>). სამწუხაროდ ერთადერთი მაგალითი მოგვეყავს, მაგრამ მსჯელობისათვის ესეც კმარა. აკრებ-ს კრებ-აჲ (-ე/-ო-ს შემცველი) აქტივია, ხოლო აშემო-კერბ-ით-ა (-ე-ს მქონე) მე-დიო-პასივი. პირველ შემთხვევაში კ-ს მომდევნო -ე-ს რედუქცია მოსდის, ხო-ლო მეორე შემთხვევაში -ე/-ო- გვეკარგვის. ძირში რომ ორივე უნდა ვივარაუდოთ, ამას მეგრული აკორობ-უაჲ გვაუწყებს (\*კერე/იბ = კორობ-უაჲ, შდ. ახმებისის ძირი ა\*კეშ = \*ხომე.). ამაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ აშრეტ-ს, ღრეკ-ს, წრედ-ს, გლეკ-ს, ლღეტ-ს და სხვა მედიო-პასივ ფორმებში თავიიდურ თანხმო-ვანთა შორის -ე- ხმოვანს აღიდგენენ, და აორისტის I და II პ. თავისუფლად და-ეუშვებთ: ადა-ე-შერტ, და-პ-შერტ (და-შრტ-ა); შე გ-ღერკ, შე.ს ღერკ (შე-ღრკ-ა), და-ე-წერდ, და-ს-წერდ (და-წრდ ა) და სხვა, მით უმეტეს ეს თეორიულად მო-სალოდნელი ფორმები მეგრულით დასტურდება ადრეკ-ა ← \*ღერეკ-აჲ = ღერიკ-უა, \*შერეტ-ა = შქირიტ-უა, \*წერედ-ა = წირიდ-უა, \*ღღეტ-ა = ღიღიტ-უა<sup>1</sup> და სხვა (შდ. ადნ-ებ-ი-ს, შრ-ებ-ი-ს და მსგავსი მაგალითები, გვ. 300).

ამგვარად, თითქოს ქართულშიაც აღმოჩნდა სვანური ატიხ-ე—ტიხ-ე(ენ)-ის მსგავსი ადრეკ-ს—ღრკ-ებ-ის ტიპის ზმნები თავიანთი მედიო-პასივებში -ე- და აქტივებში -ე/-ო- ხმოვნებით. მაგრამ საჭიროა აქვე დავსძინოთ, რომ მიუხე-დავად ამ მსგავსებისა, ფუძის ღრეკადობით ქართული ზმნები საკმაოდ განსხვავ-დებიან სვანურისაგან, ამიტომ უმჯობესი იქნება ამჟამად მედიო-პასივის ფორ-მებში -ე-ს გამოაშკარავებით დავეკმაყოფილდეთ და სხვა მნიშვნელოვანს საკი-თხებს ამასთან დაკავშირებით მომავალში დაუბრუნდეთ<sup>2</sup>.

### III

ეს გრძელი ექსკურსი იმისათვის დაგვეკირდა, რომ გამოვეჩვენოთ: სვანური მედიო-პასივების მსგავსად ქართულის იმავე ფორმების ზმნებს ფუძეში -ე- ხმო-ვანი აღმოაჩნდებოდა თუ არა. მონათესავე ენებთან შედარებამ და ძველმა-ქარ-თულმა გარკვეული დებულება წამოგვაცაყენებინა: III ულლ. მედიო-პასივ ზმნათა ძი-რებში -ე- არის. იგი ძირისეულად გამოიყურება ა-ღეგ (ღგ-ელ-ი-ს) ტიპის ზმნებ-ში, ადრეკ—ღრკ-ებ-ი-საში კი მისი ფუნქცია სარკვევია. მეგრულთან შედარება მასაც ძირის კუთნილებად ხდის.

ახლა თავშივე წამოყენებულ საკითხს დაუბრუნდეთ და „ბგერით მოვლე-ნათა თანამიმდევრობისათვის“ ქართულშიაც სათანადო მაგალითები მიმოძებ-ნოთ. ამჟამად ჩვენს ყურადღებას მიიქცევენ ისეთი სიტყვები, სადაც ორს ფო-

<sup>1</sup>) ქართულის მაგვარად მეგრულშიაც ფუძის ღრეკადობა და ხმოვანთა დაკარგვა შეიჩ-ნევა: აშქი რ ი ტ-უა—შრეტ-ა, შქი რ ა ტ-უა — \*შრტ-ომა, ნა-შქი რ ი ტ-ა — ნა-შრეტ-ო, შქი რ ა ტ-ილი — \*მ-შრტ-აროი და აშქი რ ი ტ-უნ-ს — შრეტ-ს, ღო-შქი რ ი ტ-უ — და-შრიტ-აჲ, მაგრამ: აშქი რ ტ-უნ(ს) — შრტ-ება, ღო-შქი რ ტ-უ — და-შრტ-აჲ...

<sup>2</sup>) გამოასარკვევია, თუ: რა დანიშნულებისაა არიან ქართულში -ე/-ი-(ღრეკ/იკ) და -ე-(ღერკ), რა მიმართებაში იმყოფებიან ესენი სვანურ -ი-სა და -ე-სთან (ტიხ—ტიხ), რომელია ძირისეული ხმოვანი და სხვა (იხ. სვან. გრამატ.).

ნეტიკურ მოვლენას თავი მოუყრია: რედუქციასა და ასიმილაციას. თანამედროვე ქართულში ასეთების გამონახვა არც ისე ძნელია, მაგრამ ძვ.-ქართულის მიმართ კი უფრო კირს: იქ შედარებითი მეთოდის წამოშველება აუცილებელია ზოგი შემთხვევის ნათელსაყოფად. საილუსტრაციოდ ორი მაგალითი მოგვეპოვება: 1. ადა-შთ აე და 2. აშე-ს-ცთ-აე ორივე აორისტის III პირია. გვხვდება სხვადასხვა სახით:

1. შთ ძირისაგან: აარა დაშთა. მათგანი (კიმენი, 41<sub>2</sub>), აშე განუშალებელი დავშთი (უნეი. ხ., № 95, 340 a). ადაშთის (სახისმეტყვე., 28<sub>33</sub>), აკელნი დაშთომილი (ძვ. სას. პ., პა<sub>22</sub>), აარა რაა დაშთომილი (TP, III, 31<sub>17</sub>), „არა დაშთა შვილი (ლკ. 20. 31, აღიშ.)... აქედან იქნება: აშთ-ომ-აე (შდ. დგ-ომ-ა, წყრომ-ა): აე-შთ-ებ ი, პ შთ-ებ-ი, შთ-ებ-ი-ს... რლ ნეშტა დაუშთებოდის (კიმენი, 163<sub>3</sub>) და სხვა მრავალი.

2. ცთ ძირისაგან: აგანსცთიან (სახისმეტყვე., 6; 1<sub>1</sub>), აშუნქუესვე ცთიან (მრკ. 4. 17. აღიშ.), აქესკულად ცთის (მთ., 13. 21, ib.), აშაშინ ცთენ მრავალნი (24. 10, ib.); აქედან კაუზატივი ფორმა: აკთუნება (შდ. არწმ-უნ-ებ-ა, ხტუნ-ებ-ა): ათვალე შენი გაკთუნებდეს (მრკ. 9. 47; მთ. 5. 29, აღიშ.)... ასატურისაგან (ძვ. სას. პ., ით<sub>18</sub>), ამატურისა (ib., ოთ<sub>12</sub>), აშეცთომა, ცთომილი, ვცთები, შემცთარი და სხვა მრავალი.

ორივე ზნა — ადაშთა, განსცთა — III უღლილებისაა, მედიო-პასივი ფორმა, ამდენად ძირში, ზემოთწამოყენებული დებულების თანახმად, -ე- ხმოვანია მოსალოდნელი, ამიტომ უნდა გვეჩონოდა: ა\*და-ე-შეთ, \*და პ შეთ (და-შთ-ა), ნამდვილად კი ქვ-ქართ. ადა-ე-შთ-ი (TP, III, 39<sub>4</sub>) გვევლინება. ცხადია, III პ. ეფუძე I და II პირშია გადასული (შდ. მსგავსი შემთხვევები ზემოთ). რაც შეეხება აშესცთა ზნას, იგი მართლაც ძირისეულ -ე-ს აღიდგენს: ავ ს-ცეთ (...მე არა შეესცეთ: უნ. ხ., № 38, გვ. 179 r), ს-ცეთ (ს-ცთ-ა) და სხვა. მაშასადამე, -ე- ხმოვნის მიღების შემდეგ შეთ და ცეთ ძირები გვექნება. კითხვა რისის: არიან თუ არა ეს ძირები პირვანდელი სახით წარმოდგენილნი? თუ შევადარებთ მეგრულ-სევანურს, დავინახავთ ასეთი კითხვის ბუნებრივობას: მათი მიხედვით აქ შეცვლილ ძირებთან გვაქვს საქმე. მართლაც (და: შთ(ომა) მეგრულში სქიდ ძირს ემთხვევა (მ-სქიდ-უ-ქე 'ვრჩები, ვიკურნები, ვისაზრდოები'; ალო-ფ-სქიდ-ი 'დავრჩი'...)). ფონეტიკური შესატყვისობა გვიკარნახებს, რომ ქართ. \*შეთ ← \*შედ, რადგანაც მეგრ. სქ = ქ. შ (სქანი — შენი, სქვერი — შეელი, სქულა — \*შე-ობა — შობა), ე = -ე. (იხ. მედიო-პასივი ზნები ზემოთ, გვ. 300) და მეგრ. დ = ქ. დ (პრევერბი ალო-და : დო-ჭარუ — და-ჭერა, კიდა -- კედელი...)). მაშასადამე, პირვანდელი ძირი გამოდის ა\*შედ, რომელმაც უკერ რედუქცია განიცადა (და იქცა \*შედ-დ) და შემდეგ ნშვიანე უსთან დას შეზობლობისას ასიმილაციას დაურჩა ადგილი. ამიტომაც ასე: \*შედ — \*შდ — \*შთ — უკერ რედუქცია, მერე ასიმილაცია. ამ ორი ფონეტიკური მოვლენის თავის მოყრით სიტყვის ძირი შეიცვალა. ახლა გასაგები უნდა იყოს ანეშტე-სიტყვის შედგენილობასთან ერთად (ადა მოვიღე ნეშტი იგი პურისაა: უნ. ხელნ., № 1104, 15 a) ძირისეული ტ-ს წარმოშობაც: \*ნეშედ-ი → \*ნე-

1) მეგრულში ასქიდ-უე ზნას იმდენივე მნიშვნელობა აქვს, რამდენიც ქართ. რჩ-ებ-ა-ს.



შდ-ი → ნეშტ-ი<sup>1</sup>. აქაც რედუქცია-ასიმილაციის მოვლენებთან გვაქვს საქმე. აგრეთვე ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ თეორიულად აღდგენილ ძირს ძველი-ქართულიდან ამოღებული მაგალითებით დავადასტურებთ: ადაგ შდების თქნ სახლი თქნი ოკერი (მთ. 23. 38, ადიშ.), აარა დაშდეს აქა ქვაჲ ქვასა ზაე (მთ. 24. 2, ib.), შვილი არა დაშდეს (მრკ. 12. 19, ib.), აარა დაშდეს ქვაჲ ქვასა ზაე (მრკ. 13. 2, ib.). ამდენად ა\*შდ-ე პირვანდელ ძირად მიიღება.

თითქმის ეგვევ გვეთქმის \*ცთ ძირის შესახებაც. აქ პირველად ფონეტიკურ მოვლენად, რა თქმა უნდა, რედუქცია მიიჩნევა, ხოლო მეორად ბგერითი მოვლენის — ასიმილაციის — ნაწყალობებს წარმოადგენს (აქთომილ, მაცთურაში...) ძირისეული -თ, რომლის ნაცვლად თავის დროზე -დ უნდა ყოფილიყო. ჩვენი დაშვებით ცთ ← \*ცედ. მაშასადამე, ძვ.-ქართ. ას-ცთ-აში რედუქცია და ასიმილაცია თაემოყრილი. განსხვავება \*შედთან შედარებით იმაში გამოიხატება, რომ იქ მეგრულმა გეიკარანახა -დ'ს არსებობა და ქვ.-ქართულმა დაამოწმა, აქ კი ძვ.-ქართ. ვერაფერს გვიდასტურებს და ვერც მეგრული ეგვევლის მაინცდამაინც. მიუხედავად ამისა, ა\*ცედე ძირის პრიორიტეტობა უდაოდ მიგვაჩნია. ამაში სევანური აღიქმდა 'აცთობა' გვარწმუნებს (ახუე-ქდ-იე, ლნტ. ახუე-ქდ-იე 'ვცთები', ახუ-ა-ქდ-ენ-იე 'ვაცთენ', აუჯნემ თუეფ ათქაღ ნიწანს 'მან თოფი ააცთინა ნიშანს', აღი-ქდ-უნ-იე 'ცთ-უნ-ებ-ა' და სხვა, ძირია: აქადე). ქართ. \*ცედ სრული სემასიური და (თანხმოვნებში) ფონეტიკური შესატყვისობით არის წარმოდგენილი სევანურში: ქად (ქართ. ც = სვ. ჭ: ცუ-მა-ა ← \*კუ + ამა-ლი-ქუ-ემ — პროფ. ა. შანიძის დაკვირვებით, ხოლო აქად. ნ. მარით: ცრემლი — ქიმ, ცდენა — ლი-ქდუნე, ქართ. ცე: ვიცაე — სვ. ქბ: უქ:ოკშ 'საიდუმლოდ' Адам<sup>2</sup>, გვ. 4, 15; ქ. დ = ს. დ: „ფონეტ. დაკვ. ქართ. ენებში“: მიმომხილველი, № 1, გვ. 199). მაშასადამე, სევან. ქად-ძირი ქართულში ცედ<sup>2</sup> შეისატყვისებს, რომლის პირველი მაოცვალი (ცე-) ძვ.-ქართულით შეეკრებულა, ხოლო პრიმარი -დ სევანურის მიხედვითაა აღდგენილი. ამდენად თანამედროვე ქართულში ხმარებული: აშედლობა, შეცდა, ცდება (ცად ფუძისგან ნაწარმოები ვეცდი, ვცდი, ცდაე და სხვათა გავლენით მიღებული) უფრო ახლოს დგას პირვანდელ ძირთან, ვიდრე ძველი: აქთომილი, საცთურიე და სხვა. ძვ.-ქართულის ავ-ს-ცეთ, ს-ცეთე ფორმებში -თ III პირიდან არის გადმოსული (ას-ცთაე), ანდა აუსლაუტშია დ (\*ცთ'ისა) დაყრუებული.

<sup>1</sup> ნეშტი სხვა წერილშია გარჩეული („ნე, ნი, ნა-პირფიქებისათვის ქართ. დლში“).

<sup>2</sup> ხოლო აქად. ნ. მარით ამ სიტყვის ძირი ცდნ, ცთნ არის და... могут быть позн-шеямишии перерождениями корня \*цдн... (Основ. табл., გვ. 10), რაც სიმართლეს არ შეეფერება.

ე. თოფურია

## ზონეტიკური დაკვირვებანი ქართულურ ენებში

### III

#### კ და ხ სიბილანტ-აფრიკათათან მათგანობაში \*

ძველს-ქართულში გამოყენებული ორი გრაფიკული კ და ხ ნიშანი რომ ორი სხვადასხვა არტიკულაციის ბგერის გამომსახველი იყო, ეს ცხადად მტკიცდება ერთის მხრით იმავე ძველი-ქართულის ტექსტებით, სადაც მათი ხმარება განსაზღვრულ სიტყვებში იმდენად სასტიკადაა დატული, რომ აღრევას არცერთხელ არა აქვს ადგილი<sup>1</sup> (იხ. აკად. ნ. მარის Грам. др.-гр. яз., § 12) და მეორის მხრით ცოცხალი დიალექტებითა<sup>2</sup> და სივანური ენით. ძველს-ქართულში ხ'ანიტ ან კ'არით გადმოცემული სიტყვა ზოგიერთ თანამედროვე კილოში დღესაც შესაფერისს ბგერას შეიცავს, მაგ.: სახე, ხატი, ხუთი, ხანი, ხახვა, სახელი,

\* წაკითხულია მოხსენებად „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ საჯარო სხდომაზე 1926 წლ. 1 ივნისს.

<sup>1</sup> თუ კი მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ სიტყვას, სადაც ხ'სა და კ'ს შენაცვლება გვხვდება, სახელდობრ: განგრწნაღსა უგრწნელისა სათლისაჲ გან (უნ. სიძველეთსაც. ხელ. № 95, 284b) და უზრწნელო (ტრ, XII, გვ. LVI), ამ გარემოებას ჩემი ყურადღება არნ. ჩიქობავამ მიაქცია.

გვიანდელს ხელთნაწერებში მათი აღრევა არც ისე იშვიათია განსაკუთრებით სიგლებში.

<sup>2</sup> კვესურული, მოკეური, ქიზიყური, ინგილოური, ფერეიდნული და სხ.

ე. თოფურიას წერილი, რომელიც არსებითად ენათმეცნიერების დარგს ეკუთვნის, „საქართველოს არქივში“ იმიტომ იბეჭდება, რომ ძველი ტექსტების გამოცემის დროს სწორი ტრანსკრიპციის დასაცავად და შერყენილი ადგილების აღსადგენად ზოგიერთი სასარგებლო წესების შემცველია. ვფიქრობთ, ამ მხრივ იგი ქართველ არქივისტებსაც გამოადგება.

რედაქცია.

ტეხა... მგრამ: ფეკი (ფერეკლა), კელი (კელიფანი, საკელური, კელმწიფე), შკარი, შკეცი, კარი, კმა და სხვა მრავალი. სვანურიც, რასაკვირველია, სათანადო წესს იცავს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართულიდან შესული ზოგი გარკინი სიტყვა იქ ხანად გამოითქმის, როგორც მაგ.: ხელწიფ, ხედ (|| აედ), ხმწლ, ხსსწრ (|| სასწრ) და სხ., რაც იმის მაჩვენებელია, რომ ესენი სვანურში მხოლოდ მას შემდეგ არიან შექრილნი, როცა ქართულის ზოგს კილოსა და სალიტერატურო ენაში კ დაიკარგა და მისი მაგივრობა პირველმა მიიჩნემა. თანამედროვე მეგრულ-ქანურში კი კ სრულებით არ მოგვეპოვება; უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი, როგორც აღვებანდელს სალიტერატურო ქართულში, ხ'შია გათქვეფილი.

I

უკეთუ გვინდა ვიცოდეთ, თუ რა შემთხვევებში გვხვდება ხ ან კ, ამისთვის საჭიროა საგანგებოდ შედგენა იმ სიტყვების სიისა, რომელნიც ამა თუ იმ ნიშნის მატარებელნი არიან, რადგანაც მათი ხმარებისათვის საერთო წესის გამომუშავება შეუძლებელია. ოღონდ კერძო შემთხვევაში, როგორც ამაში ქართველურ ენებზე დაკვირვებამა და მათმა ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლამ დაგვარწმუნა, ხ და კ ზოგიერთ თანხმოვნებთან მეზობლობაში, როგორც არიან, მაგალითად: ს შ (ზ ჟ) ციზლაუტები, წ ჯ ც ჩ (ძ ჯ) აფრიკატები და წინაენისმიერი თ, გარკვეულ წესს ემორჩილებიან, თითქოს ერთგვარი სისტემის შექმნაც კი შეიძლება იმისდამიხედვით, თუ რომელი ადგილი უჭირავთ მათ ჩამოთვლილ ზგერებთან მეზობლობაში: წინა თუ უკანა. დაგროვილი მასალა გვაჯერებს, რომ:

A. უკეთუ ს შ ც ჩ თ ბ გერებს შემდეგ ხ ისმის, იგი უსათუოდ უნდა გადმოვცეთ ხ'ანით. ამის დასადასტურებლად თვით ძველი-ქართ. ტექსტებიდან და ცოცხალი ენებიდან აჰოლებული მაგალითები ავამეტყველოთ:

ქართულიდან:	მეგრულ (-ქანურიდან):	სვაჭურიდან:
სხ: სხვა	სხაჰვა ხტომა, ცეკვა	წესხჴინდ ფესვი
სისხლი	სხუნჴა რჩევა, სხლვა	მასხრწჴ წკნელი
სხეულა		უსხუნჴა უსხი
შხ: შხამი	შხუ სხვილი	აშხაღ ტოტი
შხუილი	შხვა სხვა	შეშხე შავი
შხლართვა	შხური ცხვარი	ეშხე ერთი

ცხ: ცხეა	კირცხი სეტყვა	ჩხეკ რყე
რიცხუი	ჩხოტუა სხეპვა	ცხიკ კალათა
ცხრა	ოჩხოჯი (ჰან.) საეარცხელი	ცხამ ღვარძლი
ცეცხლი	მურიცხი ვარსკვლავი	მჩხი ცივი
ჩხ: ჩხრეკა	ჩხომი თევზი	კიჩხ კიბე
ჩხირი	კუჩხე (ჰან.) ფეხი	იჩჩხ ფიჩხი
კირჩხაბი	ჩხონაფა ცხონება	მჩჩხე მცენ.
ჩხაკვი	ჩხორთ ცხრა	კაჩხე კოკლი
თხ: თხელი	თხოზინი დევნა	თხერე მგელი
თხრა	ღოთხაფა დაეარდნა	ჭითხ წყრთა
თხრობა	თხოშე თხმელა, მურყანი	ათხე ახლა

მსგავსი მაგალითების რიცხვის გადიდება უსაზღვროდ შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ თუ აქ თითზე ჩამოსათვლელითა და დავმაყოფილით, ეს იმიტომ, რომ სხ შხ ჩხ ცხ თხ კომპლექსებიანი სიტყვების მონახვა და ზემოთქმულის შემოწმება ყველას შეუძლია რომელიც უნდა ძველი აიღოს. ოღონდ ქართულისა და დეგრულ-ჰანურის ჩვენ მიერ საგანგებოდ გადასინჯულ უამრავ ტექსტში ჩვენ ვერ შევძელით ზხ ჟხ; ძხ ჟხ; წხ ჴხ კომპლექსიანი მაგალითი მოგვეპოვა. თეორიულად ასეთ ჯგუფებს არც მოველოდით, რადგანაც პირველი ოთხი (ზ ჟ ძ ჴ) მუდგარია და ორი უკანასკნელი (წ ჴ) — ყრუ, ამიტომ, ბუნებრივია, მათ მეზობლად ხ'ს მაგიერ მისი შესატყვისი და მათი შესაბამისი ლ და ე გვექონოდა, რაც მართლაც ასეა; აი, ზდ ჟდ ძდ ჴდ წე ჴე მაგალითებში: ზდვა, ზდუდე; ჟდერა, ჟდენტა; ძდოლა, ძდგინი; ჴდაზა, ჴდაზი; წეაღი, წეაზა; ჴეაღეა, ჴეაღეა...

სევანურში კი ხმოვანთა რედუქციის წყალობით, რომელიც, როგორც ცნობილია, მეტად გავრცელებულ ფონეტიკურ მოვლენად ითვლება, ქართულ-დეგრულისათვის უჩვეულო ეს წხ ჴხ.. კომპლექსებსაც წავაწყდებით, თუნდაც აი ამ მაგალითებში:

ხაგხა [ || ხაშხა ჰქეია ] < ჟახე (სახელი);

გოწხირ (კოწახური). ეს სიტყვა ქართულიდანაა შესული ჯერ ა ხმოვნის ამოვლებით, როგორც ეს გვაქვს დედაბერ (დედაბერი), კაღპეტ (კლაპოტი), მოღღატ (მოლალატი), გაღჴან (გალაფანი) და სხვებში. შემდეგ უ'ს გაუმლატებითა და კ'ს გ'დ გადასვლით; ე. ი. კოწახურ-ი > \* კოწხურ > > გოწხირ;

დიწხუნი (< \*დი-წხუნი წუხება). ესეც ნასესხებია ქართულიდან.  
 დიწხუი (< \*დი-წხუი-ი ცხნა; გათვალვა). ალბათ აქედანაა ნაწარმო-  
 ები მუწხუია (ყული თვალისა; =ჰქრია);  
 დიწხე (< \*დი-წხე დაქირვება; მაწხე მქირია);  
 მუჭხუი (< \*მუჭხუი ტბილი);

რედუქციისავე შემდეგ უნდა იყოს მიღებული მუწხლდ (კრავი  $1/2$   
 წლ.), მანჭხუარაჲ (მცენ.) და სხვა მსგავსი რამოდენიმე სიტყვა.

ამგვარად, ირკვევა, რომ ქართველური ენებისათვის და-  
 მახასიათებელი ყოფილა სხ მხ ცხ ჩხ თხ; ზდ ჟდ ძდ ჯდ [დდ]; წუ ჭუ  
 [ტუ] კომპლექსები. თუ კი სვანურში ეს სისტემა ოდნავ შერყეულია, ეს,  
 როგორც ვთქვით, რედუქციის გავრცელებულობას უნდა მი-  
 ეწეროს, რის გამოც იქ შესაძლებელი გახდა წხ ჭხ... ჯგუფების აღმოჩენა.  
 ქართული კი ასეთს დაჯგუფებას თავს აღწევს, თუნდაც რედუქციის წყა-  
 ლობით მასში მისთვის არაკანონზომიერი კომპლექსები მივიღოთ. თავის  
 დასაღწევად მოშველებულია ქართულში საკმაოდ ფართოდ მოღებული  
 ასიმილაცია. თქმული რომ საბუთიანი იქმნას, საილუსტრაციოდ  
 მოვიტანთ ცნობილ მაგალითს ტეხა ზმნიდან, რომლის მედიო-პასივი  
 ფორმა უნდა ყოფილიყო \*ტეხ-ედ'-ამ-ა (როგორც \*ჟ-ედ-ამ-ა, \*ე-ედ-ამ-ა...)  
 > \*ტხდ-ამა'დ (მსგავსად: ჯდ-ამა, ედ-ამა'სი), მაგრამ უკანასკნელმა სწორედ  
 მასში უჩვეულო კომპლექსის მიღების გამო „ფერი იცვალა“ და მოგე-  
 ცა ტედემა<sup>2</sup>. სვანურს კი რადგანაც ქართულივით ასიმილაცია მაინც  
 დამინც არ ახასიათებს, ამიტომ წხ ჭხ და მსგავსი ჯგუფები სრულ  
 გამძლეობას იჩენენ. აქედანვე ჩანს აგრეთვე, რომ ქართველურ  
 ენებში ციშლაუტებსა და აფრიკატებს შემდეგ ე შეეუქმე-  
 ბელია იყოს: არა გვაქვს სე შე ტყ... კომპლექსები<sup>3</sup>. მაგრამ:

**B.** ხსენებულ (ციშლაუტ-აფრიკატ) ბგერებს წინ უთუოდ  
 ე უნდა იყოს და ე'ართვე უნდა აღენიშნოთ. აი თვით  
 ფაქტი:

ეს'ათვის: კხ-ნ-ა: ჰირი იესენ (უნ. ხ., № 1142, 10 ა); მესნელისა (კიმე-  
 ნი, 104<sub>20</sub>); რ'ეს აღჰქსნის (TP, III, ია 70); კსნილ არს (ib., კე 23); დაჰქსნდეს ძა.

<sup>1</sup> მედიო-პასივის -ნ||-დ ფორმანტი რომ -\*ენ|-\*ედ'საგან არის წარმო-  
 მდგარი, ეს საკმაოდ დამაჯერებელი საბუთებით დადგენილი იყო არნ. ჩიქობა-  
 ვას. მიერ ერთერთ მის მოხსენებაში.

<sup>2</sup> აე. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში: ტფ. უნ. მ., I, 89.

<sup>3</sup> მაცკოვარშან (ფიზიოლ., 42<sub>23</sub>), რასაკვირველია, კორექტურული შე-  
 ცთობაა.

რღუნა (ხანძრ., მთ. 10); ესნეინება, სკსნილო; აგრეთვე სკსარი: სკსრად სუ დისა ჩემისა (ივ. ჯაეახიშვილი, ქართ. პალეოგრაფია, 162<sub>10-20</sub>); სკსრად (№ 1142, 59 b); შიძე სკსარს არ შაგვიტანენ (კევეს. მას., 169<sub>20</sub>)...

კს-ენ-ებ-ა: შოკსენება (კიმენი, 103<sub>20</sub>); შან შოკსენა სიტყუა (TP, V, 57<sub>60</sub>); სკსენებელდ (№ 1142, 18 a); კს-ოგ-ნ-ა: სკსოგარი, შკსოგარი; კსოგება; შკსენოს (№ 1142, 11 a); შკსიერი; დაკსონებენ (კევეს. მას., 139<sub>27</sub>)...

კშ: კშირი: კშირთა (უნ. ხ., № 95, 485 b); განკშირდა (ib., 83 a); სიკშირე... სიკშოდა: სიკშოდასიკან ქკათაქსა დაბკოლდებოდა (№ 95, 113 b)...

კშვა: დაკეს კარი (ილიშ. სახ., მათე XXV, 10) || დაკეს კარი (ტბეთ. სახ.); საკეველი იგი ბკეთა (№ 95, 339 a); დაკეუი (ib., 340 a); დაკშული შტილი (ib., 19 b); დაშიკშიდა (№ 1142, 58 a)...

ილსანიშნავი აქვე კ'ს უ'დ შენაცვლება: და გ'ა დრმათა უფსკრულთა-გან დაუშობილსა მას... განაღვებდა (№ 95, 468 b) ანდა პირუკუ: და შკესკულად სიტყუას მას მისსა აღიფხურა ბორცვ იგი (ib., 189 a)...

კც: შკცე: დაკეა შკერდსა ზ'ა მისსა გოდებითა და შკცეთა თქსთა იფხურიდა (კიმენი, 164<sub>25</sub>); შკცოვანება არს გონიერება გაცისა (გრგ. ხანძრ., გ 42-3)...

სხვა მოსალოდნელი კ' აქ კვ... კომპლექსებიანი მავალითი ჩვენ ძველი-ქართულიდან არა გვაქვს. დიალექტებსა და სალიტერატურო ქართულში არსებული ორიოდ შემთხვევა, როგორცაა: ხკენა, ხთამა, მოხთა, ხთის; ხნობა, ხწევა<sup>1</sup> ... ძველი-ქართულისათვის უცნობია და ამდენადე ახალი მონაცემი. პირველი წყების სიტყვებში ასეთი კომპლექსების მიღება რომ ან ხპოვნისა და ან თანხპოვნის გამოცლას მიეწერება, ამაში ჩვენ მათი პირვანდელი სახე გვარწმუნებს: დრკენა, ხლდამა და სხ. (იხ. დაწერილებით ჩენი: „ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა“; მიმოშხილველი, I, 210-11 და პროფ. აკ. შანიძე, „კევეს. მასალები“; წელიწადული, I-II, გვ. 323: ხთიშვილი). ხწევაში კი ხ დართულია. მაშასადამე, ჩვენ მიერ წამოყენებული დებულება ქართულით გამართლებულია. მაგრამ

როგორაა საქმის ვითარება ქართულის მონათესავე ენებში წარმოდგენილი? სვანური, რომელსაც კ შემოუნახავს, ამ სისტემის დაცვაში ძველს-ქართულსა და კ'ს შემკველ ცოცხალ დიალექტებს მისდევს. ამას

<sup>1</sup> სიტყვათა განმეორებით წარმომდგარი ჩუხჩუხი, ჩახჩახი; ჭიხჭიხი; ცაცცი; თუხთუხი, თახთახი მხედველობაში არ მიიღება...

გვაფიქრებინებს ის მცირე მასალა, რომლის თაემოყრა ჩვენ შეეძელით. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ქართველურ ენებში რამდენადაც მეტია რიცხვით სს შს ცხ... კომპლექსიანი სიტყვა, იმდენად ნაკლები მოგვეპოვება ეს კმ... გვუფიანი ლექსიკა, აზიტომ ტქმულის დასამოწმებლად ესლა მოგვეყავს:

დეკზრ (მთის საკუთარი სახელია);

მანქუნა (ხელაბატონები); (< ღი-ეჟმუნე < \*ღი-ეჟმუნე; ფუძეა: ეჟმ ხელა);

ღიეშდე (< \*ღი ეშდე ყეფა);

ღიეშდანი (< \*ღი-ეშდანი ხერა ძელისა);

ღიეჟი (< \*ღი კიჟე ცვეთა, მეგრ. ხიჟა); ღიეჟი (< \*ღი-ეჟი დაეკესება);

ღიეცე (< \*ღი-ეცე გამრღდება; დალუპვა, დაქცევა); ღიეცი (გაწყრომა წმიდანის)..

თითქმის ყველა აქ მოყვანილი მაგალითი ქართული და-კმ ზმნის ტიპისაა, ე. ი. რედუქტიკმნილი აჩიან. მაგრამ ხმოვნის შეკუმშვამდეც რომ უნდა არსებულებოთ თითქმის ამ მაგალითებში კ, ეს მტკიცდება იმ შემთხვევებით, სადაც რედუქციის შემდეგ შეხვედრილი ხფ ხ'ხ... უცვლელად რჩება და არ იქცევა კფ კ'დ... მაშასადამე. აქაც იგივე გაძმლეობაა, როგორც ზემოთ გვქონდა. აი საბუთი:

ღისცქე (< \*ღი-ხი/ცქე გასკომა, ხირცქეა—ნასესხებია მეგრულით);

ღისზჟი (< \*ღი-ხაზჟი ხაზვა—ნასესხებია ქართულით);

აფხაზ აფხაზეთი (გენ. აფხაზი; pl. აფხაზი აფხაზები);

ღისჯენე (< \*ღი-ხეჯენე ხახენი);

ღისშმე (< \*ღი-ხაშმე ხაშმება—ნასესხებია ქართულით)..

რედუქციის შემდეგაა მიღებული ნახთად (|| ნაკთად) იც ნამჯა.

ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ სვანურიც ბუნებრივ კომპლექსებს იცავს ქართულის მსგავსად. თუმცა, მართალია, ქართულისებრი თვალსაჩინო და ურყევი საბუთი ამისთვის არა გვაქვს, მაგრამ საკმარისია, გვეგონოს, ისიც, რომ ყველა ზემომოყვანილი მაგალითი სვანურია, რაც შესაძლებლობას ბადებს დაეუშვათ, რომ რედუქტიკამდე ეკების ყოფილიყო, ვთქვათ, ღი-ხი-ე, ხოლო ხმარენის ამოღების შემდეგ ქცეულიყო ღი-ეჟ'დ. ამით ის დაიცავდა კომპლექსის ჩვეულებრივობას. რომ ეს დაშვება არც ისე უსაბუთო უნდა იყოს, ამას გვაფიქრებინებს ღიეზრჟი ზმნა, რომლის პარალელებია: ღიხიზჟი; ნამყო-სრულში ანკოზჟე || ანხიზჟე... რედუქციის სიხშირით გამოწვეულმა შეხვედრამ იგი კომ-

პლექსად მიიჩნია. მაგრამ თუ ეს ასე არ მოუვიდა ღიხშე, ღიხზაჴისა და მისა., ეს იმიტომ, რომ ისინი გვიან შემოსულნი არიან სესხების გზით, და თკით შემომტანთ კი თანამედროვე ქართული, სადაც კ არ მოგვეპოვება, კარგად იციან. ამ გარემოებას ჩვენ ზემოთ დასაწყისშივე მივაქციეთ ყურადღება.

როგორ ექცევა ჩვენს კომპლექსებს მეგრულ-ქანური? ხსენებულ ენებს კ არ გააჩნიათ, ამიტომ იგინი იძულებული იქნებოდნენ ეს ბგერა ს'ში გაეთქვიფათ. ასეც მოხდა, ოღონდ კომპლექსებისადმი მოპყრობა სხვადასხვაგვარია. დავაწყობთ მეგრულით. ამ ენაში მაგალითი მცირე გვაქვს. რაც არის, ისიც ორი ტიპისაა:

ა. თუ ქართულიდან ნასესხებია ამ კომპლექსით, მაშინ მეგრულში მას მეტათესი<sup>1</sup> მოსდის:

ქსნა (=ქს-ნ-ა) = რ-სხ-ება (ქს > სხ)

ქს ნ-ილ ი = რ-სხ-ინ-ი

გ-ქს ნ-ება = რ-რ-ცხ-უ (ქს > სხ > ცხ)

შ-კც ე = რ-ცხ-ვანე (რ მეგრულ ნიადაგზეა დართული), ხოლო

ბ. თუ ქართულის შესატყვისია, მაშინ მოსალოდნელი კ (> ხ) დაკარგულია<sup>2</sup>:

ქს-ენ-ება (ქს-ო-ენ-ა) = შ-ინ-აფა (< \*ქშ-ინ-აფა. ამდენადვე პროფ. აკ. შან იძის მოსაზრება, რომ ესენი ექვივალენტები არიან, გამართლებულია);

მ-კც-ე = ზე (< \*ქე თეთრი). აქედანაა ალბათ რ-ჩინუ'ც (მოხუცი).

ქანური კი ამ სიტყვის ისტორიულ სახეს იცავს; გვხვდება: ხჩე || ქჩე || ქშე (თეთრი); აქედან: ხ/ქჩე-ჭარეი (ქრელი); ხჩენჯა ( || ქჩენჯა || ქშენჯა; ჯახჩე) = მეგრ. ჩეჯა (ალვის ხე, თეთრი ხე)..

ხჩინი ( || ქჩინი) = მეგრ. რ-ჩინუ (მოხუცი); ოხჩინუ || ოქჩინუ (გაქალარაეება)..

ხც || ქც: ოქცუ (ლბობა); ხცაფერი || ქცაფერი (დამპალი); იხ. ნ. მარი, Гр. чанс. яз., 235 და.პ. ქარაია, Об отнош. аѣх. яз., 54).

<sup>1</sup> ქართულს დილექტებშიაც არა იშვიათია ამ მაგალითებში მეტათესი: შხირი, სხნილი, სხნა, მცხოვანი (უკანასკნელი სალიტერატურო ენაშიც შეიქრა).

<sup>2</sup> კიდევ მეტი: მეგრული გ'საც კარგავს, რის ფაქტი ჩვენ ერთი მაგალითის მიხედვით დავადგინეთ (იხ. ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა: „მიმო-მხილველ“, I, 210). მეორე მაგალითის შოტანაც შეიძლება: ძე. ქ. გ'ზ-ნ-ა (აღაგზენ საკემილი: ძე. სას. პ., ლე) = ქან. ო-გ'ზ-აფუ (ვოგ'ზამ ვანთებ) = მეგრ. რ-ზ-ამა: აქაც გ დაიკარგა.



მაშასადამე, მეგრული ისტორიულ ე'ს (>ხ'დ და მასთან ც, ქ'ს...) ციშლაუტ-აფრიკატების წინ კარგავს, ხოლო ქანური იცავს<sup>1</sup>; ეს კი იმის მდასტურებელია, რომ მეგრულ-ქანურიც წინა ეპოქებში ქართულ-სვანურს გვერდში უდგა და ამ კომპლექსებს ატარებდა.

დასკვნა: ყველა ზემოთქმულისდაკვალად გამოდის, რომ უძველეს პერიოდში ქართველური ენები

1. ს შ ც წ ციშლაუტ-აფრიკატებისა და წინაენისმიერი თ'ს მომდევნო მეზობლად ხ'ს, [ღ] ზ ჟ ძ ჭ'სთან ღ'სა და [ტ] წ ჯ'ს გვერდით ე'ს ატარებდნ და ქნნიდნ სხ შხ ცხ ჩხ თხ; [ღღ] ზღ ჟღ ძღ ჯღ; [ტე] წე ჯე კომპლექსებს<sup>2</sup>; ხოლო

2. ხსენებული ბგერების წინ კი— ე'ს და გვერდით: ე'ს კე; ან კე; [ად. \*\*ეხ აე ა' აჟ აწ აქ] ჯგუფები. ვარსკვლავქვეშ მოქცეულთათვის მაგალითი არ მოგვეპოვება<sup>3</sup>.

## II

მაგრამ თუ ძველი-ქართულისა და ნაწილობრივ სვანურის ტექსტებს გულდასმით გადავათვალიერებთ, იქ აღმოვაჩინებთ ისეთ ფაქტებს, რომელნიც ჩვენს დასკვნას ერთის შეხედვით არააუ ოდნავ შეარყევენ, არაედ ნიადაგსაც კი გამოაცლიან. აი, თუნდაც სახელდახელოდ მოვიტანოთ მაგალითები: შტახსი, ჰიტიახში, ნახჭი, ოხჯანი და სხვა საკმაო რიცხვი მსგავსი შემთხვევებისა. ჩვენი დებულების თანახმად მოველოდით \*ნაკჷი, \*ჰიტიაჷი... მართლწერით, გვაქვს კი ნახჭი; ე'ს მაგიერ ხ! რით აეხსნათ ეს? ან ჩვენი დასკვნა არ შეესაბამება სიმართლეს, ან ეს მაგალითები. თუ კარგად შევისწავლით საქმის ვითარებას, დავინახავთ, რომ დასკვნაც სწორია და მაგალითებიც მართებული. ოღონდ თუ მათ შორის არ არის თანხმობა, ეს თვით ფაქტებით იხსნება: არცერთი მათგანი არ არის წინდა ქართული; ყველა ნახესხეგია. მიუყვეთ კვალდაკვალ:

<sup>1</sup> რომ მეგრულიც არ ღალატობდა ამ წესს, ჩანს გეოგრ. ნომენკლატურიდან სუხჩე (სენაკ. მ. სოფელია), თუ, რასაკვირველია, ეს მეგრული წარმოებაა. შეიძლება სხვაც მოინახოს.

<sup>2</sup> შდ. აკად. ნ. მარის Грам. ррз. яз., § 042.

<sup>3</sup> მსგავსივე წესი, გვერდით, უნდა ყოფილიყო დაცული სხვა სამეულ (ღ ტ თ; ბ ჰ თ) თანხმონებთან. მაგრამ ამ წერილში თუ მხოლოდ ჩამოთვლილით დავკმაყოფილდით, ეს იმიტომ, რომ წესი მათი მეოხებით უფრო აშკარა და ნათელია.

შტახსი (შირონ-გუნდრუკად, შტახსად, კასიად: აბულუმ. აკად. ნ. მარის გამოცემით, 8, 2<sub>1-2</sub>) = Σταχη, სომხ. *Մտախ* (TP, III, XCI, 285.) || შტახში (შეკრული შტახში—ძმისწყლაკი წეში: პროფ. ალ. ცაგარელი, Свед. пам. гр. письм., I, 22);

ზადახში, ბადახშანი გინა ბადახში (...ბადახშითა და ლალითა: ვეფხ-ტყ, 1926, 1277...; ნ. მარი, TP, IV, 46; ი. აბულაძე, ვეფხ-ტყ. ლექსიკ.);

პიტიახში (მოსვლად პიტიახშისა: № 95, გვ. 737, b სვეტი; აღდა პიტიახში: 739 a); გვხვდება პიტიახში<sup>1</sup>ც;

არტახშე (ესთერ არტახშსგ<sup>2</sup>ნ განურა: ფიზ., 27 55-6; ამის შესახებ აკად. ნ. მარი ამბობს:... в груз. имя Артаксеркса красуется в семит., resp. сир. форме артахш... в м. артахшес..., с сохранением гортанного б перед шипящим. тогда как в арм-ом это гортанное уже скрадено: *Արտաշէս* ib., 98—99); შდ. მეგრული.

დუხჭირი (...მის თვალად არ დუხჭირისა: ი. აბულაძით ვეფხ-ტყ. 587, 2); სპარს. (TP, IV, 46; ვეფხისტყ. ლექსიკ., გამ. ი. აბულაძისა 1926);

ოხჯანი (შიდიო შანტა ოხჯანი ამის ცხორებისა: უნ. ხ. № 95, 78 b; დიხს იქმენ უოხჯნოსა ცხორებასა: ძვ. სას. პ., ლც); სომხ. *վախճան* (TP, IV, 46)...

ნახჭი (არდარა ნახჭი გამოტყუოლდომ და არცა ქელსა შეცნირებისასა შეხებულ: TP, III, ნდ 57-60; ნახჭნი ფერკთა მისთანა: № 95, 476 b; იხ. აკად. ნ. მარის TP, III, LXV)...

ასევე ნახსებნი არიან ზოგი სომხურიდან, სპარსულიდან, ზოგიც თურქულიდან შემდეგი სიტყვები: თახსირი (არაბ.; < თახსირ-ი); სახსლამათი (არაბ.; < სად-სლამათი); ვახში; იახშიოლ; ბახჩა (< ბად-ჩა); ზარდახჩა, resp. ზარდახშა (TP, IV, 46); ზანდუხჩა; ბოხჩა; თახჩა; უუდუხჩი (თუდუხჩი; შე-თუდუხჩე); ჩახჩური (შალეარა); მუხთალი; ვახთი (დრო); ახთი (დარდი); საბახთან (დილით; სამი უკანასკნელი იხმარება ქანურში); დოხთური (ДОКТОР); ვახშამი და სხ. მრავალი, რომელთაგან არცერთი ძველს-ქართულში არ გვევლინება. მაშასადამე, შედარებით გვიან შემოხიზნულან ქართულში; ამდენად ჩვენს დებულებას მათ თავზე ვერ მოვახვევთ. რაც შეეხება პირველთ, ძველი-ქართულით ამოკრებილთ, განსაკუთრებით შტახსი, ნახჭი, ოხჯანი... ესენი მწიგნობრული გზით შემოსულან და, ცხადია, ჩვენს წესს არ ექვემდებარებიან, ან უკეთ: საერთო სისტემა მათზე ვერ გავრცელდებოდა. აქედან კვლავ დასკვნა: ქართველურ ენებში სესხების

გზით შემოტანილი სიტყვები კომპლექსებისათვის დამახასიათებელ წესს არ ემორჩილებიან. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ სვანურში ვახშჷ, ვახსან და სხვა ამ სახით გვევლინებოდეს. თუ ნასესხები სიტყვები გამოვრიცხვთ (რაც ბუნებრივია), მაშინ ჩვენი დებულება აქაც ძალაში დარჩება<sup>1</sup>.

III

მართალია, ქართულმა და სვანურმა ეს სისტემა ვერ გაატარეს უცხო მასალაში, შემოსულ სიტყვებში, მაგრამ საკუთარს ქონებას კი ცდილობენ ეგ წესი დააცვეინონ. ამას გვაფიქრებინებს ის ორიოდ მაგალითი, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს:

1. ნახშირი რომ ნაშინი<sup>1</sup>საგანაა მიღებული, ამას ცხადყოფს მეგრულ-სვანურთან შედარება (იხ. ა.ჩ. ჩიქობავა, გარე-კახური დიალექტოლოგიურად: „არილი“, გვ. 61 62). იგი ძველი ქართულის ტექსტებში არ შეგვხვდრია. ხევსურულში ლიტერატურული სახე აქვს შენარჩუნებული, ე. ი. მეტათესმოზდარი იხმარება, ოღონდ ჩვეულებრივი კომპლექსის დაცვის ტენდენციისა გამო ხ > კ'დ შ'ს წინ, და ვკითხვლობთ: აიდუხს ჟამით ნაშირს (კვესურ. მასალები ბ. გაბუურისა პროფ. აკ. შანიძის რედაქციით: „წელიწდული“, I—II, 150.); მოსკრის დანია ცოცოტას ამ ნაშირს (იხ. 7-ა)...

2. ვაკშამი: იქ ივაქშიქინ (იხ., 142<sub>26</sub>); ოკშამზე რა დამსდარან (183<sub>11</sub>); ოკშამბა მოვიდა (195<sub>22</sub>); იყაქშეს (იხ., 196<sub>14</sub>)... ხევსურულს კომპლექსების ბუნებრივობა დაუცავს: პირველ შემთხვევაში მეტათესით შეხვედრილი ხშ და მეორე შემთხვევაში ნასესხებ სიტყვაში მოცემული ხშ კმ'დ გადაუკეთებია<sup>2</sup>.

სვანურში რომ რედუქციით დაჯგუფებული ხშ ხზ... სრულ გამძლეობას იჩენენ ამის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. შეიძლება ამას ჟა ბა... კომპლექსებიანი მაგალითიც დაეურთოთ: ჟაჟჷრ (ხვა); ჯეჟჷრ (საკ. სახელია ადგილისა მულახს ახლო); ალბათ აქედანაა: მუჟჷრ || მუჟჷრ (ჩიტია). აგრეთვე:

<sup>1</sup> ხს, როგორც პრეფიქსულ ელემენტს, ან -ზე, -ში, -თან... თანდებულს, ანგარიშში ვერ მივიღებთ, მიუხედავად იმისა, რომ მათი დართვით კომპლექსი შეიქმნება: ოახშაბათი; ოთხთან; ოთხში; ანდა: ხწურის; ხჭრის... სვანურადან: ღახსგურდა; ოხსეკ; ღახსტემა; ახწინდა; ოხცხა და სხ. მრ.

<sup>2</sup> მაგრამ შდ. ხთიშვილი (და არა: კთიშვილი!).

ზუტკარ || ზითკარ (< \*ზს/იღკარ < \*ზღღკარ: იხ. ბგერით მოვლენათა ანამიმდევრ., 208);

ცაჭემდ (შვილდ-ისარი) < ცსჭი + კემდ (ცსჭი—ისარი, ტყვია + კემდ შვილდი; ცსულანკემეტ: ლაშხურად, გვ. 56 არს. ონიანის ტექსტებით)..

მაგრამ მიუხედავად ამგვარი „გამძლეობისა“, სვანურშიაც ვაჩვენებ ხევისურლისებურ ტენდენციებს, აი მაგ.:

1. \*ლი-ხოჩ-ოჭი > \*ლი-ხჭჩრჭი > ღიხჩრჭი (მორჩენა, განკურნვა): რედუქციით ო > ჟ და რ'ს მეზობლობაში დიკარგა; დაჯგუფდა ხჩ, რომელიც ზოგიერთების გამოთქმაში კჩ'დ მოისმის: ღიკჩრჭი (შდ. ზემოთ).

2. ნახთად (ნამჯა) ნარედუქციალია; მიღებულია ხათად'ისაგან (ერთი ღერო). ზოგიერთების გამოთქმით ნაკთად გვესმოდა, — უეჭველია ხ-თ'ს დაჯგუფების გამო.

3. მუღკუჭჩრჩი || მუღკუჭჩრჩი; ასიმილაციით: მუტკუჭჩრჩი მცენარეა (შდ. ზუტკარ); უკანასკნელს ზოგიერთნი მუთხჭჩრჩ'თ გამოთქვამენ. იგივე გვითქმის ზემომოყვანილ

4. ცაჭემდ || ცაჭემდ'ის შესახება; ამ კომპოზიტიში, რომელიც ერთ სიტყვად წარმოიღვინება სვანის ცნობიერებაში, თითქოსდა უჩვეულო დაჯგუფების თავიდან ასაცილებლად, ზოგი ი'ს ჩაურთავს და ზოგიც პირდაპირ ცხ'ს ხმარობს, და თქვენ გესმით: ცსჭემდ; ციკუჭემდ || ციკემდ; ცაჭემდ<sup>1</sup>...

მსგავსივე მოვლენა უნდა გვქონდეს ქართულის შემდეგ მაგალითებში:

1. ერთხელ: რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს (გრგ. ხანძთ., ნე<sup>1</sup>) < ერთ + კედ, რომლის შესახებ აკად. ნიკო მარი წერს: Слово это по-является и в древних памятниках, напр. в Ж. Гр. X., но здесь в м. в. вульгарный х (ЯЭ, II, 470, შნშ. 2). ხ'ს „ვულგარობაში“ ალბათ თ'ს უღევს წილი.

2. თხა რომ მიღებულია \*თკა'დან და ეს უკანასკნელი წარმომდგარია დაკ'იდან, ეს ჩვენ განვიხილეთ „ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა“ში (გვ. 211—13).

<sup>1</sup> საინტერესოა აღსანიშნავად ის შეგნებული დამოკიდებულება სიტყვებისადმი, რომელსაც სვანი ინტელიგენტები იჩენდენ. როდესაც მე გარკვეულად მესმოდა ფინთხაშ (gen.) და ასეც ვწერდი, ისინი მისწორებდნენ დ'დ (ფინდხაშ) და საბუთად მოჰყავდათ ფინდიხ სიტყვა (ტყვი); ასევე ეპყრობოდნენ ღიხჩრჭი'ს და აწარმოებდნენ ზოჩა'დან (კარგი)...

მ. მ-კედ-არი; ს-კედ-არი<sup>1</sup>ს ძირი კედ (<კ-ედ) გამოყენებული უნ-  
და იყოს სხდომა-ში, სადაც ს ისეთივე ფორმანტია ალბათ, როგორც  
ს-ედა, ს-ეიდვა, ს-რბოდა, ად ს-არება<sup>2</sup>ში, რომლის დართვის შემდეგ კ > ს<sup>3</sup>დ;  
მაშასადამე, \*ს-კედ-ომა > \*სკდომა > სხდომა. ამ მაგალითს ჩემი ყურადღება  
არნ. ჩიქობავამ მიაქცია.

4. გულის-კმა: გულის-კმა უვის (აღიშ. სახ., მათე XIII, 23); გერ  
გულის-კმა უონ (იბ., მრკზ IV, 12; ლკ. VIII, 10); გულის-კმა (გრგ. ხანძთ;  
ცხ. საბაძი, 13 ჯგ ..) ნაწარმოებია ისე, როგორც გულის-წერომა, გულის-  
ეური, გულის-თქუმა. ძველი-ქართულის ტექსტებში ის გულისსმა მარ-  
თლწერით ხშირად გვხვდება (გულის სმა უონ: უნ. ხ. № 38, 31 ხ; გ<sup>4</sup>ლის  
სმა: № 1142, 195 ა და მისთ.) და ალბათ ამან აფიქრებინა აკად. ნ.  
მარსა, პროფ. კ. კეკელიძესა და სხვ., რომ გულისკმა უმა-  
რთებულად გამოეცხადებინათ. პროფ. ი. ყიფშიძეს იგი გულის-  
სუმა<sup>5</sup>მდე აქაყვს (Др.-груз. хрестоматия, გვ. 45), მაგრამ, როგორც  
სვიმონ ჯანაშიამ სრულიად სამართლიანად აღნიშნა, ეს გაუგებრობა  
(ცხორება საბა ასურისა: „არილი“, 23), და მიუღებელია გულისკმა<sup>6</sup>ს  
გულისსმა<sup>7</sup>დ შეცვლა (კიმენი, XLVII). ხოლო თუ ძველს ტექსტებში გუ-  
ლისსმა იხმარება, ამის მიზეზი ამ სიტყვის გაკომპოზიტების შემდეგ ს<sup>8</sup>ში  
უნდა ვეძიოთ<sup>1</sup>, რაც პროფ. აკ. შანიძეს არაერთხელ აღუნიშნავს.

\* \* \*

ამ კომპლექსების დადგინით შესაძლებელი ხდება ზოგი სასარგებლო  
დასკვნის გაკეთება:

1. ირკვევა, რომ ქართველურ ენებს გაყოფამდე ციშლაუტ-აფრი-  
კატებს შემდეგ ხ, ხოლო წინ კ გამოუყენებიათ და ჰქონიათ: ხხ შხ  
ცხ ჩხ...; კხ კშ კც კჩ... კომპლექსები.

შენიშვნა I. ნასესხები სიტყვები ამ წესს არ იცავენ (ამდენად  
გამოგვადგება ეს სისტემა უცხო მასალის გამოსაყოფად).

შენიშვნა II. სალიტერატურო ქართულმა და ზოგმა დიალექტმა კ  
ხ<sup>9</sup>ში გათქეფა და ერთგვარობა დაამყარა. ასევე მოიქცა მეგრულ-ქანუ-  
რიც. ოღონდ მეგრული უფრო შორს წავიდა: მოსალოდნელ კ + ხ შ

<sup>1</sup> დაუმატებთ ფერეიდნულიდანაც, სადაც კ<sup>10</sup> კომპლექსი მეტათესს შემდეგ  
სხ<sup>11</sup>დ იქცა: გასხნან, დავასხნათ (<გაკსნან, დავიკსნათ: არნ. ჩიქობავა,  
ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: „ტფ. უნ. შოამბე“, VII, გვ. 201).

ც ჩ კომპლექსში კ დაკარგა საკუთარს სიტყვებში, ხოლო ნასესხებში გადასმო (მეტათესი) მოახდინა და ზოგეცა ს შ ც ჩ+ხ (ამდენად აღვილდება მეგრულში შემოხიზნული ქონების გამოცალკევება და საკუთარი სიტყვებისათვის ისტორიული სახის მიცემა).

2. ძველი ტექსტების გამოცემის დროს შერყეული ადგილის აღსადგენად (რასაკვირველია, იმ ქართული სიტყვებისათვის, რომელნიც ამ კომპლექსებს შეიცავენ) ეს სისტემა, გვგონია, გამოგვადგება.

3. საერთოდ ეტიმოლოგიისათვის, ვფიქრობთ, ფართოდ გამოიყენების. ამის მცირე ნიმუში ზევიჯაც არის მოცემული. საინტერესოა აგრეთვე გამოიკვეს: წუ ტუ ჰუ კომპლექსებში რა წარმოშობისაა ყ: არის ეს მიღებული ხ'საგან (როგორც ტუღომა'ში), თუ სხვაგან უნდა ვეძიოთ მისი სათავე? ამას აღბათ მომავალი გვიჩვენებს, [და დასასრულ

4. სხვათა შორის თვით სიტყვის დამარცვლისათვისაც უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა].

30. V. 1926

ტფილის.



## მარტო ტოვობა

### ფონეტიკური დაკვირვებანი ქართულზე ენებში

#### IV

##### ბუნებრივი კოვლანობისათვის

წინასწარი შენიშვნები. 1. გრამატიკულ ლიტერატურაშიც გვხვდება ფორმის უმართებულო ანალიზი; მაგ.: თანდებულადაა მიჩნეული თ უ რ თ (დ. ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი, ქართ. ლრამატიკა, XXVIII) და დ მ ი, დ ა მ ი, დ მ ი ს, დ მ ი ნ (იქვე; ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, ქართ. გრამ., 48), ნაცვლად უ რ თ და მ ი თანდებულებისა (შვილით-უ რ თ, კაცისად-მ ი და სხვა). ამგვარი უმართებულო ანალიზის შედეგია, რომ რუსულში *от, с, и* წინდებულების *и* ელემენტი შეუერთდა. *от, с, и, и* ნაცვალსახელებს და მ-ვილეთ არა მარტო *с-и-от, с-и-и, с-и-и*, არამედ ამათი ანალოგიით *от и-от, у и-от, перед и-и* და სხვა, ნაცვლად *от от, у от* და მისთანებისა<sup>1</sup>.

2. უმართებულო ანალიზი უფრო ხშირად მოსალოდნელია სანდვის შემთხვევებში. უკანასკნელი გულისხმობს ერთი სიტყვის ბოლოკიდური და მეორე სიტყვის ან ნაწილაკის თავკიდური ბგერების ურთიერთზეგავლენას, ზოგჯერ შერწყმასაც. ასეთ პირობებში მიღებულ ე ა შ ხ ა, თ უ თ ა შ ხ ა' სა და კვირის სხვა დღეთა სახელწოდებებში შ ხ ა გამოყოფილი ჰქონდა ნიკო მარს და უკავშირებდა მას აფხაზურ ა-მ გ-შ 'დღე'ს. ნამდვილად კი გამოსაყოფი იყო ხ ა, რადგანაც ე ა შ ხ ა, თ უ თ ა შ ხ ა და სხვა წარმომდგარია ბ ე ა შ-დ ლ ა 'მზის დღე', თ უ თ ა შ-დ ლ ა'საგან 'მთვარის დღე' (ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, Грам. мингр. яз., § 129 *Ab prim.*). უმართებულო ანალიზის გამო იყო, რომ ზოგჯერ -დან მიაჩნდათ თანდებულად, რომელიც, როგორც ცნობილია, შეიცავს მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოების -თ ელემენტსა და გ ა ნ-თანდებულის -ან ნაწილს: ქალაქი თ გ ა ნ — ქალაქი დ გ ა ნ — ქალაქი დ ა ნ. აღსანიშნავია ისიც, რომ სულხან-საბა ო რ ბ ე-ლი ანს წინა სიტყვის ნათესაობითის ნიშნის ს ელემენტი მომდევნო სიტყვის კუთვნილებად მიუჩნევა, მაგ., სამარ სიტყვაში 'მისი იმედნეული'. სამარი მიღებულია ამი-ს+ამ არ'საგან (შდრ. ამარი 'იმედნეულივით' საბასავე ლექსიკონში. ა. შ ა ნ ი ძ ი ს ჩვენებით).

მეგრულში არის თანდებული წკალა, წკელა, წკემა || წკგმა ანუ ნ-წკგმა, ნ-წკმა და უდრის ქართ. თან'ს. ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს განმარტებით „Эти послелогии сочетаются с обесформленным Р. падешом, напр., კ ო ჩ ი-წ კ ა-

<sup>1</sup> А. Томсон, Общее языковедение, Одесса 1910, გვ. 343.

ლა (<კოჩიშ'ი-წკალა) с человеком, დიდა-წკემა с матерью, ფარეფი-წკალა с деньгами (§ 19 b); ან: 1. წკემა или с наращенный б: ნ-წკემა и 2. წკალა, гесп. წკელა с, вместе с, у, при, управляют оба обесформленными Род. падежом, напр. ...თი-წკემა с ним და სხვა (§ 121).

ამ თანდებულის სრული შესატყვისია ჰანური კალა. ნ. მარჩის სიტყვით «Из послеложных в таблицу склонения вносят напрасно еще соитственный падеж с послелогом კალა с. Сопутственный падеж представляет сочетание послелога კალა с Род. усеченным или обесформленным, напр. ბერე-შ კალა А или ბერე-კალა с мальчиком, ფუჯი-შ კალა А или ფუჯი-კალა с коровою» (Грамм. чанского яз., §§ 17 b, 51 a). უახლეს ლიტერატურაში ნათქვამია, რომ «წკემა || წკელა || წკალა... იგივე «კალა»-ა -წ- დართული; ეს წ, ალბათ, ისეთივე წარმოშობისაა, როგორც ჰანურ «ქკულე»ში» (არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, § 16 a). ამგვარად, წკალა || წკელა || წკემაში პირვანდელ სახედ კალა || კელა მიჩნეული და წ დართულადაა გამოცხადებული.

ქკულეს შესახებ ასეთი ცნობაა ზემოხსენებულ გამოკვლევაში: «...ბრუნვის დაბოლოებას ხშირად დაირთავს ზმნის ფორმა; მაგალითად: «ფარა ქეკო-ფუ-შ-კულე ძიციწერ-ძიციწერი ოხოიშა იგზალუ» ...ფული აილო-ს შემდეგ სიცილ-სიცილით წავიდა შინ, ე. ი. «ფული რომ აილო»... ან: «მას შემდეგ, რაც ფული აილო»... ამ მაგალითში -შ- ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებაა; «კულე» ზმნისართია («შემდეგ»); «კულე»-ს დართვისას ხშირად იკარგება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -შ- და ვითარდება ჭ: ხოფურს კილოკავში ეს ქკულე ჩვეულებრივია: ჩხომიქ ეეაეალა დუწუ-ქკულე მუში ქერ-ცელაშენ ეურ თანე ნიწკუ... თევზმა მადლობა უთხრა-ს-შემდეგ თავის ქერცილიდან რჩი ცალი აიძრო»... ე. ი. მას შემდეგ, რაც თევზმა მადლობა უთხრა... (§ 15 ე). მეორე ადგილას: «ძალიან ხშირად ამ ნაწილას [-ში-ს] შოერთის -უკულე || -კულე შემდეგ»; თავიღურ-უს-ს დაკარგვისას ვითარდება -ჭ- და შკულეს-ს ნაცვლად ვიღებთ ქკულეს-ს...» (§ 50; შდრ. ნ. მარჩის ჰან. გრ., § 126 და ი. ყიფშიძის დამატებითი ცნობები, გვ. 6). ამგვარად, როგორც წკალა || წკელა || წკემაში წ, ისე ქკულეში ჭ განვითარებულად არის მიჩნეული ნათესაობითი ბრუნვის შ-ნიშნის დაკარგვის შემდეგ.

მაგრამ უნდა შევანზნოთ შემდეგი: 1. წ, ჭ არაა ნარჩარი ან ბაგისმიერი ბგერა (როგორც, მაგ.: ნ, რ, შ, ვ...), რომ მისი დართვა შეიძლებოდა; 2. არა გვაქვს ანალოგიური შემთხვევა, რომ წ, ჭ დართული იყოს და 3. ესენი ჩნდებიან განსაზღვრულ პირობებში; ესაა: ნათესაობითი ბრუნვის ფორმა+კალა || კელა || კემა (მეგრულში) და კულე (ჰანურში). საფიქრებელია, რომ ამ პირობებში მოღებული შკ კოპლექსი გადაიქცა მეგრულ-ჰანურისათვის დამახასიათებელ წკ-ჭკ კოპლექსებად. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ჰანურივე და, მეორე მხრივ, ქვემოთმეორეული. ჰანურის ათინურ კილოკავში ქკულე არ გვევლინება იმიტომ, რომ «ათინური... მკვეთრების შემდეგ საერთოდ ვერ იტანს კ-ს» (გვ. 17). მას შეუძლია დაიცვას შკ ან მარტო ჭ. იმიტომაც, რომ გვაქვს ნა-



თესაობითის ფორმა +კუ ლე, რაც იქცევა ვიწურ-არქაბულ-ხოფურში ქკუ ლე'დ: დუწუ-შ-კუ ლე - დუწუ-ჭ-კუ ლე 'უთხრა-ს შემდეგ'<sup>1</sup>, ხოლო მეგრულში ნათეს. ფორმა +კალა იქცა წკალა'დ: ათინ. სკანიშ-კალა - მეგრ. სკანი-წ-კალა 'შენთან'. ანალოგიური მდგომარეობაა ქვემოიმერულში კენ თანდებულთან და -ყე ნაწილაკთან დაკავშირებით. მაგ.: „ამ გზას რო დაადგებოდი და ტყიწყენ მიცემდი პირსო... ფეხები გაშვერილი ქონდა ცეხლიწყენ... მამაჩემს ტილიფონით დოუძახებია ზეიდან: ყველი ამეიყვანო წყენ ქალებმაო“ (შ. ძიძიგურის ჩანაწერებიდან). პირველ ორ შემთხვევაში მოცემულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმა +კენ: ტყიხკენ, ცეხლისკენ, სადაც ხკ - წყ'დ; ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში—ამეიყვანო ხყენ-წ'ში ხყ - წყ'დ. სხვაგვარი ახსნა ამას არა აქვს.

ამგვარად, მეგრულ წკალა || წკელა || წკუმა თანდებულში წ და ქანურ ქკუ ლე'ში ჭ წარმომდგარია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -შ ელემენტისაგან მომდევნო მკვეთრ კ'სთან შეხედრის დროს, და პირვანდელი სახე ამ თანდებულებისა არის კალა || კელა || კუმა მეგრულში და კუ ლე ქანურში.

საკითხი, თუ შკ კომპლექსი რატომ გადაიქცა ქანურში ჭ და მეგრულში წყ'დ, ცალკე მოითხოვს განხილვას.

## V. TOPURIA

### OBSERVATIONS PHONÉTIQUES SUR LES LANGUES KARTVÉLIENNES

#### IV

#### Sur les complexes naturels

#### (RÉSUMÉ)

La langue mégrélienne possède la postposition *çkala*, *çkela*, *çkoma*, *çkuma* 'avec'. Elle se rencontre avec le génitif dont la désinence *š* a subi l'élision: *koči-çkala* 'avec l'homme'. Son équivalent dans la langue tchane est *kala* qui s'emploie avec le génitif: *beres-çkala*—*bere-çkala* 'avec l'enfant'. On remarquera que la postposition *kala* de la langue tchane acquiert un *ç* dans le mégrélien. La langue tchane possède également l'adverbe *kule* 'après' qui se rencontre avec la forme verbale dont la terminaison est un *š*, indice du génitif: *para k'eçopuš-kule...* *oxoiša igzalu* 'après avoir reçu de l'argent ... il alla à la maison'. Souvent la désinence *š* semble disparaître, et on a alors un *çkule* au lieu d'un *kule* (du-

<sup>1</sup> შდრ. ვიწ-არქ. ლემქკვა = ათინ. ლემშკვა 'წერწყვი' (გვ. 17).

çu-š-ķule—duçu-čķule 'après avoir dit'...). Dans le mot čķule, le č semble être ajouté. Mais il faut y voir la transformation du complexe šķ en čķ dans le mégrélien et en čķ dans la langue tchane (\*kočiš-ķala — kočičķala, duçuš-ķule — duçučķule). On observe un cas analogue dans le dialecte iméréthien occidental ou l'indice de la troisième personne ou bien celui d'un cas, c.-à-d. le s, de même que le ķ de la postposition ķen et le q de la particule qe se transforment en çq: tqis-ķen — tqičqen, ameiqvano-s-qe-n — ameiqvanoçqen... On voit donc que l'aspect primitif de čķala ou čķela est ķala ou ķela.

27. XII 36

---

### 3. თოფუხია

## ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში

### V

#### მ სონანტის გადასვლა ლვ, ზვ, ჰვ-დ<sup>1</sup>

ქართველურ ენებში შენიშნულია უკანაენისმიერ თანხმოვანთა როგორც დაკარგვა, ისე განვითარებაც. კ, ჭ, ქ ბგერებდაკარგულად ჩანს სიტყვები: რკო, რწყილი, რკალი, რგვალი, რცხილა, რგოლი, რჩხა, ზღარბი ..., რომელთა აღრინდელი ფორმები დატულია ს ა ბ ა ს ა და ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ლექსიკონებში: კრკო, კრწყილი || გრწყილი, კრკალი || გრკალი, გრგვალი, ქრცხილა<sup>2</sup> || ქრცხემლი, გრგოლი, კრჩხა || გრჯღა, გძღარბი...<sup>3</sup>; ხოლო ხმოვნითურთ შემონახულია მთის კილოებში: კურკო (თუშ., ფშ.), გირკო (ხევს.); კირწყილი (მთიულ.), გირწყილი (ხევს.); კირკალი (ფშ., მთიულ.), გირკოლი. (ხევს.); გურგვალი (თუშ.); კირცხილა (ხევს., თუშ., ფშ., მთიულ.)<sup>4</sup>...

ასევე გაუჩინარებულა მეგრულში გ, ქ და აკრთვეე ხ (—ქ) თანხმოვნები, მაგრამ არა რ'სთან, არამედ ციშლაუტ-აფრიკატთა (ხ, შ, ზ, ჩ, ც) წინ: შუალა=ქხოვა (—\*გხოვა), რ-ზამა=გზ-ემა ('ნთება'), შინაფა=კხენება, ჩგ=მ-კვ-ე და სხვა<sup>5</sup>.

სამაგიეროდ ვითარდება უკანაენისმიერი თანხმოვნებივე გ, ქ და ლ ბაგისმიერთა წინ, განსაკუთრებით ვ'ს წინ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწესხულია ასეთი მაგალითები:

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად ქართველურ ენათა განყოფილების საჯარო სხდომაზე 23 დეკემბერს 1940 წ.

<sup>2</sup> აქედანაა ნაწარმოები ც ხ ი ნ ვ ა ლ ი (აწ სტალინირი), რომელიც ძველი წარმოთქმის მიხედვითაა წარმოდგენილი ვ ა ხ უ შ ტ ი ს გეოგრაფიაში: ქ ც ხ ი ლ ვ ა ნ ი (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, გვ. 111).

<sup>3</sup> ფიზიოლოგში გრძობაია (TP, VI, გვ. 22).

<sup>4</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში („კრებული“, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1915, გვ. 192).

<sup>5</sup> ვერცლად ნ. ავტორის ფონეტიკური დაკვირვებანი, I და III („მიმოშობილველი“, გვ. 209—210; „საქართველოს არქივი“, II, გვ. 180).

ღ-ს მქონენი:

სვან. ღვინაღ, ლშხ. ღვინელ, მეგრ. ღვინი, ქან. ღვინი || ღინი, ქართ. ღვინო<sup>1</sup>, შდრ. ვენახი

სვან. ღვაჟი, ქართ. ვაჟი; სვანურში ნაწარმოებია ბზ. ღვაჟმარე; ლშხ. ღვაჟ-მარე 'ვაჟაკი', ბზ. ლიღვინელ (—\* ლი-ღვაჟ-წლ) 'შშობიარობა'...

ლშხ. ღვაჟ, ლშხ. ვაჟ, ქართ. ვაჟი, სომხ. վազ

სვან. ღვაჟი, ქართ. ვაჟი, მანჭო, სომხ. վաճ<sup>2</sup>

ღვაჟარ, ლშხ. ღვაჟარ, ქართ. ვაჟარი, სომხ. վաճար; აქედან: ლიღვარე 'ვაჟობა'...

ღ შენიშნულია არა მარტო ქართულ-სომხურადან საზიარო სიტყვებში, არამედ თვით სვანურ ხმნისართებშიც:

ბზ. ღვეშღ || ვეშღ, ლშხ. ღშღ 'უკან'

ღვეშინ || ვეშინ, ლშხ. ღშინ 'უკან' (ნ. მარო, Опред. яз., 12)

ღვეშინპილს || ვეშინპილს, ლშხ. ღშინპილს 'უკანასკნელ; ბოლოს'.

გ-დართულნი:

გვირაბი=სომხ. գիրապ ვირაბ. ამის მიხედვით ნ. მარს წესი გამოჰყავდა: ქართ. გუ შეესატყვისება სომხ. გ-სო და საფიქრებელია, რომ გვესი 'შჰაკ-ვარი და დიდად გლისი' (ს ა ბ ა) უდრიდეს სომხ. ვე ს-სო (...gves-i=არმ. վէս ნეობრძანისი, жестокый, упрямый, сварливый)<sup>2</sup>.

გუსპურაგანი=ვასპურაგანი<sup>3</sup>.

ქან. გურინი, ქან.-მეგრ. გირინი=ვირი. გურინ'ში -უნ სუფიქსადაა შიჩ-ნეული, ხოლო გურ — გვირ'ისაგან და გ დართულია<sup>4</sup>.

ვიდრე გავარკვევდეთ ღ, გ-ს განვითარების მიზგზს, საჭიროა დამატე-ბითი მასალები მოვიძიოთ. მართლაც,

<sup>1</sup> ღ ვ ი ნ-ის ვინ ნაწილი წარმოდგენილია ინდოევროპულ ენებში: რუს., ძველ სლ. вино, ლათინ vīnum, გერმ. Wein, სომხ. 'գինի' და სხვა (А. Преображенский, Этимолог. словарь русского яз., 1910, გვ. 84; Н. Горяев, Опыт сравнит. этимол. словаря, 1892, გვ. 23; A. Walde, Lateinisches etymologisches Wörterbuch, 1910, S. 839 და სს.). არ ვებებით ღ ვ ი ნ-ის სიტყვის წარმომავლობას.

<sup>2</sup> ღკ-ხალ, ღვაჟ, ღვაზ, ღვაჟ—ასეთი მართლწერითა და ქართულ-სომხურადან შეფარდებით მოცემული აქვს ნ. მარს: Определение языка второй категории Ахем. клинобразных надписей, გვ. 12; ღ ვ ა ზ-ს ეხება აგრეთვე გამოკვლევაში: Яфет. наз. деревьев и раст., გვ. 941—2; ღ ვ ი ნ-ის იაფეტრდებ-საგან წაღებულად მიაჩნია ევროპისა და წინა აზიის ხალხთა მიერ (Ивир. работы, I, გვ. 172); შემდგომი ხანის ნაშრომში თავიკიდრით თაუისებურადაა ახსნილი (Ивир. работы, IV, გვ. 224). ღ ვ ა ჟ შესამოწმებელია სვანურში. ამ მნიშვნელობით იხმარება ქვ ა ჯ 'მანჭო; ცულის ტარის ხელმოსაკიდი'. შაჰ-ს ქართულიდან შესულად თულის სომხურში აკად. ფ. ჯ ა ვ ა ზ ი შ ვ ი ლ ი (საქ. გეოგ. ისტ., I, გვ. 208; შდრ. Н. Н ü b s c h n a n n, Armenische Grammatik, 191).

<sup>3</sup> TP, VI, გვ. XLV, 268. 1

<sup>4</sup> ნ. მარო. Аснургияны, გვ. 4, 268. 2. ამ წყაროზე მიმითთა პროფ. ა. შანისძემ რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებ.

<sup>5</sup> არნ. ჩ ი კ ი ბ ა ვ ა ჯ, ქან.-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკონი, გვ. 80.

ღ-ს გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა:

1. სვან. ღგაშ 'მამალი ჯიხვი', რომლის ეკვივალენტია ვზი და მეგრ. ირ-ი. უკვე დადგენილია, რომ სვან. შ = ქართ. ც = მეგრ. ჩ (რეც: სა-რეც-ელი = ნო-ჩჩ-ალი = ლე-ჩ-ი 'საგები' და სხ.¹). მაშასადამე, ღ მეორეულია. ამდენად გამართლებულია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით: "ეგების აქაც ღ ძირეული არ იყოს" (ქართ. და კავკ. ენების... ნათესაობა, გვ. 175).

2. ლოლნოშო, ლოლნაშო (საბა). კვემოიმერულში ოლნაშო იხმარება. უკანასკნელი საექვოს ხდის ღ-ს ძირისეულობას.

3. სვან. ლოლაქ 'ცხვარი', რომლისაგან ნაწარმოები ლშხ. ლალელაქ II ლალელაქნირ, ბზ. ლალოლაქნირის ('ფარეხი, საცხვარე') პარალელურად გვხვდება ღ-ს გარეშე ბზ. ლაეულაქნირ (პროზ. ტექსტები, I, 101<sub>ა</sub>) და ეს გვაფიქრებინებს ღ-ს დართულად.

4. ბზ. ღვარკლაჲ, ლშხ. ღვარკლაჲ 'წვივშიშველი', რომლის -ჲ-ა თვისების, პროფესიის, მოყვარულის გამომხატველია: ბზ. შურჲა 'მაწყანარი', შდუგჲა 'მეთაგვე', ლელჲა 'ხორცის მოყვარული'... ამდენად ღვარკლაჲ შეიძლება დავუუკავშიროთ ბარკალ სიტყვას მით უფრო, რომ მეგრულში ე-მარჲალ-აჲა ('ამბარკლება') ნიშნავს 'შარვლის ტოტის აწვევას, აკეცვას' და ღ-ვარჲალი 'ფეხების საესავს, ქნევას'. თუ ეს ასეა, მაშინ საველისხმოა ბ-ს გვადასელა გ-დ.

5. ღვრილა, მეგრ. ო-ღურინია, სვან. ვირვილი 'სათამაშო, ტრიალისას ხმას გამოსცემს'². ქანურთან შეპირისპირება ააშკარაებს ღ-ს მდგომარეობას.

6. ღვარი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძირია ღვ და არა ღვარ, მაშინ ღვ ეგების შეესატყვისებოდეს მეგრ.-ქან.-სვან. ბ ძირს: ღა-ღვ-რა = მეგრ. ღო-ბ-უმა = სვ. ღო-ბ-ღე 'დასხმა'. აქაც ღ-სთანაა დაკავშირებული ბ-ს ქცევა გ-დ (შდრ. ღვარკლაჲ).

გ-ს გამოყოფენ:

1. გვალე ზნა. „გვალე იარე“ (საბა), „ზნა ესე იხმარების მხოლოდ ბრძანებითად: იარე, წარეუდ, წადი, ჩჩ, ცუჩაჩ...“ (ჩუბინაშვილი); სვანურში ქართულიდანაა შესული: ბზ. გვალ, ლნხ. გვალ 'წადი, გასწი'. გ შეუძლებელია იყოს ობიექტ. პრეფიქსი II პირისა³. ვალ ნაწილი უთუოდ იგივეა, რაც მი-ვალ, მიზ-ვალ ზნაში. ამდენად გ მეორეული ჩანს.

2. სვან. გვეშ-ი, ლაშხ. გოშ-ი 'სავსე', აქედან ღ-გვეშ-ილე 'გავსება', ღ-გვეშ-ი 'დასხმა', ეს-გვეშ — ლაშხ. ეს-გოშ-ი 'დაუსხა'... გოშ/გვეშ შეედრება ქართ. ვს და მეგრ.-ქან. ფშ (— ვშ) ძირს: გვეშ-ი = სა-ეს-ე = მეგრ. ე-ფშ-ა, სვან. ო-ფშ-ა 'სავსე'. ჩანს, გ სვანურში მეორეულია.

3. გულმაშარ⁴ 'ულვაშები'. შესულია ქართულიდან 'ულვაშო' და უ-ს წინ გ გაჩენილია (ჩვეულებრივ იხმარება ბზ. ულნაშ, ლშხ. ურმაშ).

¹ ავტორის ქართულურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III (უნივ. შრომები, XV, 49—49)

² ი. ყ ი თ შ ი ძ ე, მეგრ.-რუს. ლექსიკონი, 353: ო-ღურინია.

³ როგორც ეს ნ. მარს ეგონა და შემდეგ უარყო (Граммат. ар.-груз. яз., 194).

⁴ სვანური პოეზია, I, 264.

4. გვიდაში 'შიდამო, საკურთხეველი': ისგაშხან ისგვი გვიდამი 'შიგნით შენი საკურთხეველი'<sup>1</sup>. დღესაც ცოცხალია ზს. გვიდამ, ლშხ. მიდამ 'შიდამო, არე'. ჩანს, გვიდამ წარმომდგარია ქართულიდან ნასესხებ მიდამო-სგან, და ამდენად გ მეორეული იქნება და ვ—მ<sup>2</sup>. ანალოგიურია

5. გინდვერ 'მინდორი'(?): გინდერიშ დამდე ხეიუმბლეველ 'მინდერის დათვი დაებაჯბაჯებ' (სიან. პოეზია, 240), თუ აქ გეოგრაფიული სახელი არ არის, როგორც ესაა: ცნაშ დამდულდ'ში ('ცენის დათუნა', შდრ. ბალა თხე-როლ 'ბალის მგელი'), და ნამდვილად ქართ. მინდორ სვანურში იქცა გინდ-ვერ'ად, მაშინ ვასაგებია, რომ მ—ვ'დ და გ'ს გამოვლინებისას ვ დაიკარგა. უკანასკნელი მოვლენა საერთოდ ცნობილია (ლათ. vinum, კომრული gwim და სომხ. gini)<sup>3</sup>.

ქ განვითარებულთა სიტყვებში, როგორცაა:

1. ქვიშა. ეს სიტყვა საბაას ლექსიკონში არ არის, დ. ჩუბინაშვილის შემოუტანია რ. ერისთავის ლექსიკონიდან, სადაც ნაჩვენებია: ზალუ-ბალი, ბალლოჯი, ბალლინჯი (грус.), ქვიშა (имер., гур., мингр.)<sup>4</sup>. მართ-ლაც, ქვიშა დასავლურ კილოებშიდა გვხვდება. იგი გავრცელებულია მთელს ევროპაში: რუს. вихрь, ძვ. რუს. вишня, ჩეხური višne, პოლონური wiśnia, ძვ. ფრანგ. visne, იტალ. visciola, თურქ. vişne...<sup>5</sup> უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სიტყვა შემოსულია თურქულიდან (ვიშნე) და ქ ადგილობრივი წარ-მოშობისაა.

2. ნიქვთი, ნაცვლად ნივთისა, გვხვდება რაქულში, იმერულში, კახურში (ლ. კიკნაძის, ა. ჯიშიაშვილის ცნობით). ამჟამად, ქ ახალი წარმონაქ-მია (ძველმა ქართულმა იცის მხოლოდ ნივთი, სომხ. նիქթ).

3. ექვხი, ძვ. ქართ. ექუსი: „მოჰყარა მათ... ყრმა მცირე ვითარ ექუსისა წლისად“ (საბა ასური<sup>6</sup>, 16<sub>ა</sub>). ქართველური ენები იძლევიან ასეთ შესატყვისობებს: ექესი = მეგრ. ამში = კან. აში || ანში = სვან. უსგვა. მეგრ.-კანურში მ/ნ გაჩენილია. სვან. უსგვა'ს მიხედვით მეგრ.-კანურში უნდა გვქონოდა ახქვ, არის კი აშვ და ქართულში—ეხვ. სვ-ს გადასმის შემდეგ (ვს'დ), რასაც ადასტურებს ალბათ სომხ. վից (ავეც)<sup>7</sup>, ქ განვითარებული ჩანს და ძვ. ქარ-

<sup>1</sup> ასე თარგმნის ივ. ნიქარაძე, სვანური ტექსტები (СМОМПК, XXXI, 2<sub>б</sub>).

<sup>2</sup> ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ბუფეტისა და ბულვარის წარმოთქმა ხალხში გუფეტისა და გულვარდის სახით.

<sup>3</sup> ასეთივე ურთიერთობა: თუ არა სა-პულ-არსა და მეგრ. თ-გვაჯ-ეს შორის, ძნელი სათქმელია (შდრ. Основн. таг. 4).

<sup>4</sup> რ. ერისთავი, მოკლე ქართ.-რუს.-ლათ. ლექსიკ., 3.

<sup>5</sup> ა. პრეობრაჟენსკი, ნ. გორიანევი, Ор. с., вишня.

<sup>6</sup> გამოცემულია სომ. ჯანაშიას მიერ („არილი“—ქრებული, მიძღვნილი ივ. ჯანაშიაშვილისადმი).

<sup>7</sup> თუმცა վից შედარებულია ბერძ. ξεί, ლათ. sex, სპ. ša და სხვებს და აღდგენილია ინდოევრ. \*svék's, \*vek's, sek's (H. H ü b s c h m a n n, Armenische Grammatik, S. 495, შდრ. A. W a l d e, 707: sex).

თულის საერთო წესის თანახმად უკანაენისმიერებთან გ გადასულია უპარც-ვლო უ'დ და გვაქვს: ექუსი (—\*ევს-ი—\*ესე-ი). ამდენად, ექუსი ქართულში არც ნასესხებია სვანურიდან<sup>1</sup> და არც მეგრ.-კან. ქს უღრის ქართ. შს<sup>2</sup>.

4. ექვთიმე. სახელი ბერძნულიდანაა შემოსული: Ἐκβίμοσ. ძველ ქართულში გვხვდება: ვეთამე და ვეთამე; იოანე და ეთთჳმე (ათონის მონასტრის ხელნ., 5<sub>7</sub>); რომელ არს ნეტარი ეთთჳმე (ib., 4<sub>11</sub>)<sup>3</sup>. უკანასკნელი სახით უფრო ხშირად გვევლინება. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ცნობით, ეს კომპლექსი საშუალ ბერძნულში წარმოითქმოდა ეფ-ად. ამდენად ეთთჳმე ზეპირი გზით მომდინარეობს. ქ ქართულ ნიბდაგზეა განვითარებული ალბათ ვეთამე სახელში.

სხვა შემთხვევები ლ, გ, ქ'ს დართვისა არც ისე ადვილსარწმუნოა და ამიტომ ამით დავკმაყოფილდეთ<sup>4</sup>.

გასარკვევია, ლ, გ, ქ განვითარებულია თუ მოკვეთილი? ნ. მარი ერთ-მანეთის საწინააღმდეგო განმარტებებს იძლევა: ლ მას დაკარგულად მიაჩნია არა მარტო ქართულში, სომხურში, არამედ თვით სვანურ დიალექტებშიც; ამიტომაც, რომ ასე ალაგებს: „св. лѡзѡ > ვაზი, арм. վաղ ღოზა виноградная“ ... და ასეცნის: „Этот закон падения касается не специально среднего q [ხ] или звонкого g [ლ], а вообще всех твердых ассибилованного и аспированного рядов...“ (Опред. языка, გვ. 12, შდრ. Полож. аѡ. яз., გვ. 41; Избр. раб., IV, 224), მაგრამ ვასპურაგანთან დაკავშირებით გვაუწყებს, რომ: „У грузин тот же термин сохранил начальный v, но с обычным его перерождением в gw...: Gwasuragan-i...“ (Аспургианы, გვ. 4, შწ. 2): აქ უკვე გ განვითარებულად არის გამოცხადებული (v—gw).

ამათგან მეორე მოსაზრება გ'სა და მასთან ერთად ლ, ქ'ს განვითარების შესახებ გასაზიარებელია. მის სასარგებლოდ ლაღადებენ როგორც დასახელებული მაგალითები, ისე ანალოგიური ფონეტიკური მოვლენა, ცნობილი ინდო-ევროპულ ენებში. მართლაც,

1. ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში ექვთიმე, გვახბურაგანი, გულმაშნ, გვიდშ, ქვიშა და სხვა ნასესხებია ერთი ენიდან მეორეში და თვალნათლივ ჩანს ლ, გ, ქ'ს დანართობა,—ეს ერთი მხრივ; მეორე მხრივ, ქართველურ ენათა შეპირისპირებითაც (ღვამ—ვაგი, ამშვი—ექვზი და სხვა) აშკარაა ამავე ბგერების მეორეულობა.

2. ინდოევროპულ ენებში სონანტი ჭ ბევრგან შეიცვალა კბილბაგისმიერ გ'დ, ხოლო სომხურსა და ბრიტულ ენებში ჯერ იქცა გჭ'დ და შემდეგ უკანასკნელი გამარტივდა სომხურში გ'დ; ახალ სპარსულს კი ჭ ხან სომხურისებრ

<sup>1</sup> ნ. მარი, Грамм. др.-лит. груз. яз., გვ. 76.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., 216.

<sup>3</sup> შდრ. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული შამაკეთასახელების გადმოცემისათვის ქართულში („არილი“, 95, შწ. 5).

<sup>4</sup> საინტერესოა გავიგოთ, აქეთ თუ არა რამე საერთო ერთმანეთთან ფერდ-სა და გვერდ-ს, მეგრ. გვირა-სა და ზვირა-ს (ითქმის ფართოთვალბაზე), ღვეველ-სა და პვეველ-ს ('ყვირილი')?

გ'დ აქვს წარმოდგენილი და ხან ბ'დ. ამით აიხსნება, რომ სანსკრ. *vēda*, ზენდ-*vacda*, ბერძნ. *ὄνεια...* უდრის სომხ. *գիտ-ևմ* („გიტ-ემ“) 'ვიცი'; ან სანსკ. *vr̥ka*, გუთ. *vulf-s*, რუს. *волк* უდრის სპარს. გურგ'ს 'მგელი' და სხვა<sup>1</sup>. ქართველურ ენებშიც სომხურ-სპარსულ-ბრიტულის მსგავსად ვ'ს წინ განვითარებულია უკანაენისპიერი თანხმოვანი, მაგრამ მარტო გ კი არა, არამედ ლ და ქ-ც. მსგავსება გვაფარადღებინებს იმასაც, რომ ეს ვ ქართველურ ენებში წყვილ-ბაგისძიერი უნდა ყოფილიყო. სევანურში ვ ზართლაც ასეთია და ამის გამო გვაქვს მეტი შემთხვევებიც.

ვ'ს გადასვლა გვ'დ ახსნილია მისი სხვაგვარი არტიკულაციით: ენის უფრო მიახლოებისას რბილ სასასთან ვ იქცეოდა გვ'დ, ხოლო ბაგეთა უფრო მეტი დაახლოებისა ვ იცვლებოდა ბ'დ (მაგ., ახალ სპარსულში)<sup>2</sup>. ჩვენს ენებშიც ანალოგიური ფონეტიკური პროცესია: ვ'ს განსხვავებული არტიკულაცია (ენის მიახლოება სასასთან) არის მიზეზი მისი გურტურალიზაციისა: ვ'ს გადასვლისა

ღვ, გვ, ქვ'დ.

ამგვარად: 1. ქართველურმა ენებმაც იციან ვ'ს გურტურალიზაცია რო-გორც საკუთარ, ისე ნასესხებ სიტყვებში. ამ მხრივ ისინი მოგვაგონებენ სომხურს, სპარსულს და ზოგიერთ სხვა ინდოევროპულ ენას.

2. ვ უნდა ყოფილიყო წყვილბაგისძიერი. ასეთი ვ ახასიათებს სევანურს და ამიტომ იქ ვ'ს გურტურალიზაცია უფრო ხშირია.

მ. ვ'ს გადასვლა ღვ, გვ, ქვ'დ აიხსნება მისი არტიკულაციით: ენის უფრო მეტი მიახლოებით სასასთან. აქაც იგივე ფონეტიკური პროცესია, რაც კარგა ხანია შენიშნულია სომხურსა, სპარსულსა და სხვა ენაში.

<sup>1</sup> H. H ü b s c h m a n n, Op. c., S. 431—437; A. M e ã e, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, გვ. 132—3 (ესარგებლობ მეშვიდე ფრანგ. გამოცემის მიხედვით შესრულებული რუსული თარგმანით).

<sup>2</sup> A. M e ã e, Op. c., 132—3.



### 8. თოფუჩია

## ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებები

### 1. ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის<sup>1</sup>

ქართველურ ენათა მორფოლოგიაში სიტყვაწარმოება ერთ-ერთ საინტერესოს და სარკვევად რთულ თავს წარმოადგენს. მრავალფეროვანი და სხვადასხვა ფუნქციებით აღჭურვილი პრეფიქს-სუფიქსებიდან, რომელთაც დასახელებულ ენებში ადგილი აქვთ, ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად დაჭარბვით წარმოებითი უნარი და ისე მკიდროდ შეხლართვიან ძირებს, რომ ოდესღაც აფიქსად გამოყენებული, დღეს ძირის განუკვეთელ ნაწილად გამოიყურება.

ჩვენი წერილის ეს ნაწილი ვიწროდაა შემოფარგლული: იგი სათაურში წამოყენებული ნე-, ნი-, ნა- ელემენტების პრეფიქსობის დამტკიცებას შეეცდება. მაგრამ ნე-, ნი-, ნა- მარცვლების შემცველი ყოველი სიტყვა როდესაც გამოდგება საანალიზოდ, არამედ ისეთნი, რომელთა დაშლა შედარების გზით უსკვო და ავტორთან ერთად სხვებისთვისაც სარწმუნო იქნება. აქ მოტანილი მაგალითების სიმცირით იმიტომ დაეკმაყოფილდით, რომ მიზანი გარკვეულია: ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსების დანიშნულება უნდა გამოვიძიოთ და არა მათი გავრცელებულობა. ანალოგიური შემთხვევების გამონახვა შემდეგშიც არ არის მოუხერხებელი.



დღევანდელს სვანურში მეტად ცოცხალია და ხშირ სახმარებლადაც გამოყენებული ლი-, ლე-, ლა- თავსართები. პირველის, ლი- პრეფიქსის, მოვალეობას შეადგენს მასდარის წარმოება, მაგ.: ლი-ყ-ღ-ი ყიდვა, ლი-ხ-ტ-ი ხატვა, ლი-ლ-შ-ი თესვა, ლი-კ-ნი ხენა, ლი-კ-ლ-ჭ-ი ლეწვა, ლი-თ-ი მკა და სხ., ხოლო ლე- გვხვდება, როგორც ჩვეულებრივს, ისე ნაზმნარ სახელებთან. უკანასკნელ შემთხვევაში იგი მყოფადის მიმღეობას აწარმოებს: ლე-კ-ლ-ჭ-ი

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1925 წლ. 29 დეკემბერს. აიწყო და ნაწილი დაიბეჭდა კიდევ „ტფ. უნივ. შოაზის“ XI ტომში, მაგრამ ეს ტომი არ გამოიშალა. აქ იბეჭდება მკითრე ცვლილებათა შეტანით.

სალეწი, ლე-ბტჰი სახატავი, ლე-ლჰში სათესი, ლე-ე-ნი სახნავი... ლე-ზდიკარ საპაიკო, ლე-ქქერ სასახლო, ლე-ე-ნ სახარო და სხვა. ეგევე ლე-, როგორც სიტყვაწარმოებელი პრეფიქსი, ადგილის საკუთარ სახელებში გვევლინება, რა თქმა უნდა, თავისი ძირითადი დანიშნულების დაცვით: ლე-შუქჰი, ლე-გოგინარ, ლე-ბთაგ (სოფლებია) და სხვა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლე- თავსართის გავრცელება სვანეთის ტერიტორიას სცილდება და იგი ქართულსა და მეგრულში არის მიღებული როგორც გეოგრაფიული სახელის მაწარმოებელი: ლეჩხუმი, ლებაჩილე, ლეგოგოი, ლეხაინდრე, ლექარდე... (აღ. ცაგარელი, Мингрельск. этюды, II, გვ. 50-51. ივ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტ., I, ტფ. 1913, გვ. 7-8; მ. ჯანაშვილი, ქართ. გრამ., გვ. 10 და ი. ყიფშიძე, Грам. мингр. яз., გვ. 128, § 128 d, e).

რაც შეეხება ლა- პრეფიქსს, იგი იმავე მოვალეობას ასრულებს, რასაც ლე-, ოღონდ მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც უნდა ყოფილიყო ქართულ სა-—ო და სა-—ე აფიქსებში (სააგურო—სააგურე, სათავო—სათავე, სამარილო—სამარილე...), ე. ი. ლე-თი ნაწარმოები სახელი, არსებული ტერმინებით რომ ვთქვათ, ადიექტივს წარმოადგენს, ხოლო ლა- თავსართიანი—სუბსტანტივს უახლოვდება, იგი ან loc. actionis არის, ან თვით ნივთი, რომელსაც სასაზღვრი სახელი არ მოსდევს<sup>1</sup>, მაგ.: ლე-ქმე-სა-ციხი (ვთქვათ: თივა), ლე-ქმა-სათიბი (ადგილი ან იარაღი); ლე-თ-რე და-სალევი (სასმელი წყალი, ღვინო...), ლა-თ-ა-სასმელი (ადგილი, სადაც და-ლევა შეიძლება, ან კურკელი, რითაც სმენ); ლე-ფ-ჰ-ლი შესაბერი, ლა-ფ-ჰ-ლა-ბუტი; მცენარეა ერთგვარი; ლე-შიდიქ საკბილო, ლა-შიდიქ ტოლი, ერთი ხნისა; ლე-ლმესგ საცეცხლო, ლა-ლმესგ საცეცხლე (ადგილი); ლა-გ-ზე-ლნარ (← გეზალ) საშვილოსნე; ლა-ჯგმ მარილიანი ადგილი; ლა-მ-თილარ (← მიმთილ) „სამამთილე“ (ადგილი) და სხვა. ამიტომ არის, რომ ლა-პრეფიქსი ხშირად გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მოგვეპოვება: ლალხორ (← შესაკრები), ლაგურკა (← კვირიკე), ლაუსგუჰ || ლაჟუსგუჰ (=სა-ვაშლე; ყანის სახელია), ლასილ, ლახირ, ლადრერ და სხვა<sup>2</sup>.

სვანური ლი-, ლე-, ლა- ფორმანტების დაახლოებითი მნიშვნელობის წარმოდგენის შემდეგ უნებლიეთ იბადება სურვილი მათი ფონეტიკურ-მორფოლოგიურად შესატყვისი ელემენტების ძიებისა ქართულში. ასეთად სი-, სე-, სა- თავსართები წამოიყენება. მართლაცდა, დაპირისპირებული საწარმოებელი პრეფიქსები მორფოლოგიურად ერთმანეთს ფარავენ: სვანური ლი- ხომ მასდარის, ი. ი. actionis, განყენებულ სახელთა მომცემია, ეგევე ვახლავთ ქართ. სი-სი-ყმილი, სი-ტყვა, სი-მშილი, სი-ძვა (შდრ. მე-ძავე), სი-ხარული.

<sup>1</sup> იხ. თ. ყორღანიძე, ქართ. გრამ., გვ. 76-78, შდრ. გ. ახვლედიანი, „სა-ო“ და „ური“-ს მნიშვნელობა: „ჩენი მეცნიერება“, ტფ. 1923, № 2-3, გვ. 56-61.

<sup>2</sup> მ. ჯანაშვილით (ქართ. გრამ., გვ. 9-10) „ლა და ლე ქართულშიაც შეინიშნება, მაგალ., ლახატრ (სოფ. თიანეთის მაზრაში) = სახატო, ლა-ჩხუტი (სოფ. ოხურგ. მაზ.) = სა-ჩხუტი ხშირდამ ჩხუტვა—თლა, გამწვეტიანება... შდრ. „ნაშრომი“, ტფ. 1917, გვ. 63. (სხვებულ პრეფიქსთა შესახებ დაწერილებით „სვანური ენა, I“, გვ. 216, 221-223).

სი-ში ი (← ში-ში), სი-მ ლერა, სი-ზ მარი, სი-ც ხე<sup>1</sup> (სუფიქსები არ გვიან-ტერესებს და ამიტომ არცაა გამოყოფილი)... ეგვეე სი-მეგრულს უსესებია და მით nom. abstracta's გვეწარმოებს: სი-ნ-ჩ ხე სიციხე, სი-ლ-ლ ე სიმრუ-დე და სხვა. მის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ ეკვივალენტად მეგრულ-ქანურში ე (← შე-) უნდა გვექონოდა და აკი მოგვეპოვება კიდეც: სი-ზ მარი-ე-ზ მოჯა (ქანური). დანარჩენი ლა-, ლე- ქართულში სა-, სე- ფორმანტთა შეპირისპირებას გვაგვლისხმებინებს, მაგრამ სა-ს მნიშვნელობა ქართულში სეანურ ლა-სთან შედარებით განსხვავებულია: თუ წარმოებითი ფუნქცია ლა-, ლე-ს შორის სეანურში განაწილებულია და თითოეული მათგანი თავის გარკვეულ მოვალეობას ასრულებს, ქართულში კი პირიქით: სა-ს მონომოლოგიური ხასიათი აქვს, მის კომპეტენციაში შედის დღეს უკვე შეკდარი სე- პრეფიქსის ფუნქციაც. ამით აიხსნება სა- თავსართის ასე ხშირი ხმარება როგორც მიმ-ლეობაში, ისე სახელებში: სა-წერელი, სა-ხილველი, სა-კითხი, სა-თესი, სა-ლესი, სა-ქმე, სა-რცხი, სა-რეცელი, სა-ცერი, სა-ვსე, სა-შო, სა-დგური, სა-დილი და სხვა აურაცხელი. ზოგ სიტყვას, მართა-ლია, იგი შესისხლხორცებია, მაგრამ გამოცალკეება მაინც არ არის ძნელი: სახე, საბრკე, სახრეში სა-ს არა ძირისეულობას ბოლოსართი -ე გვაუწყებს: სა-ხ-ე, სა-ბრკ-ე || სა-ფრკ-ე (← ფერკ-ე), სა-ხრ-ე (← ხარი), შდრ. სა-ყურ-ე, სა-თვალ-ე, სა-კაც-ე, სა-კმლი (← კმობა)..

სე- ელემენტი, როგორც ზევით იყო თქმული, დღეს შეკდარია, იგი მხოლოდ ნაშთის სახით შემოგვენახა რამდენსავე სიტყვაში. ორი მათგანი ი. ყიფ-შიძეს აქვს მოყვანილი; ესენია: შეშა (← სე-შა) და ცეცხლი (← სე-ცხ-ლი). ამათ ასე განმარტავს: „გვეხდება კი ისეთი სიტყვებიც, საიდანაც ძირითადი ფორმა სავსებით განდევნილია დამკავსებული ფორმის სასარგებლოდ; მაგალ., შე-შა (კილოკავებში ში-შა), ნაცვლად ფორმისა \*სე-შა (\*სი-შა, მეგრ. დი-შქა); სიტყვისაგან ცხელი, სიტყვ-სთან ერთად, გვაქვს ცე-ცხლი, ნაცვლად ფორმისა \*სე-ცხლი, სრული რეგრესიული ასიმილაციის ძალით ხანისა ცანთან (მეგრ. და-ჩხირი)“<sup>2</sup>. ანალიზი მისაღებია. სე-ს პრეფიქსობას მეგრ. დი-, და- თავსართები გვიდასტურებს; უკანასკნელთა ელემენტობა დო-ხო რე სა-სახლე და (ქანური) დი-ცხირი სი-სხლი მაგალითების დაპირისპირებიდანაც ჩანს<sup>3</sup>. მოტანილ შემთხვევათა რიცხვის გადიდება შეიძლება შემდეგი ნიმუშით: სესხი (სესხება, ასესხა, ნასესხები...), სერტყი და ეგების სერტყვა სიტყვითაც. პირველი—სესხი—ძირად სხ კომპლექსს გამოიყოფს<sup>4</sup>, ამაში გვარწმუნებს მისი თანამოინახე ვა-სხება; მათი პირისპირ

<sup>1</sup> ნ. მარი, Пособие для изучения груз. яз., § 59 Ба. სი-ძე, სი-მამრ-, სი-დედრ- მაგალითებში მას სი- პრეფიქსად არ მიაჩნია (§ 61; Др.-груз.-р. слов., გვ. 21).

<sup>2</sup> ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: „ტფ. უნივ. შოამბე“, I, გვ. 4-5; შდრ. მისივე Груз. др.-литерат. хрестоматия, II ტრ., 1918, გვ. 75 ცხელი.

<sup>3</sup> ცეცხლი ი'ს ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით სე-ს პრეფიქსობა უფრო გარკვეულია, ამიტომ აქ არას ვლაპარაკობთ.

<sup>4</sup> სე-სხებაა სიტყვის ასე დაშლა გვაჯერებს, რომ ავტორს სე- ელემენტი ძირის გაწურულ ნაწილად არ მიაჩნდა (ი. ყიფშიძე, Груз. хрест., გვ. 63).

წაყენება სე- მარცვლის არაძირისეულობას გვაუწყებს<sup>1</sup>. მეორე სერტყი—  
ლექსიოგრაფების ახსნით არის „ნერგნი კერპთან, საზორავნი“ (საბა), დუბ-  
рава, роща (ჩუბინაშვი.). სე-ს ელემენტად მიჩნევის შემდეგ ძირად რტყ  
მოგვევლინება, რაც თავის მხრით ჩვენს ცნობიერებაში ეკვივალენტად არტყ-  
ამ-ს (მო-ი-რტყ-ა, სა-რტყ-ელი; ძირია: რტყ) გამოიწვევს და მნიშვნელო-  
ბით იქნება „კერპს შეწირული ადგილი შემოარტყმული“. სერტყვა, სეფე  
(შდრ. მეფე, უფალი<sup>2</sup>, სუფევა, ფლობა) სიტყვებშიც სე-ს გამოცალ-  
კეების შესაძლებლობა არის.

ამგვარად, სვანურ ლი-, ლა-, ლე-ს მორფოლოგიურ შესატყვისად ქარ-  
თულში სი-, სა-, სე- მაწარმოებლები გამოენახა<sup>3</sup>. უკანასკნელი (სე-) სა-  
პრეფიქსში გაითქვიფა და დღეს იგი აღარ იხმარება.

ეს მორფოლოგიურად შეფერებული ელემენტები ფონეტიკურად ერთმა-  
ნეთს მაინც არ შეესატყვისება, მიუხედავად იმისა, რომ ამის სასარგებლოდ  
ზოგი ფაქტორი მასალის ალაპარაკება შეიძლება, თუნდაც: ლჭრტყ—სარტყ-  
ელი, ლი არის, ლ-გგ დგახ... (ე. ი. III კ. სუბიექტ. პრეფიქსი ლ- და იმა-  
ვე დანიშნულების ქართ. -ს), მაგრამ აქაც მორფოლოგიური ეკვივალენტებია  
წარმოდგენილი (ლა=სა-პრეფიქსები, ლ-=-ს პირის ნიშნები), რაც სრულებით  
არ გვაულებს მათ შორის ფონეტიკური ნათესაობის დადასტურებას. ლ-გჯე—  
სძე (რძე) კი (ლ—ს) მათ ბგერით შესატყვისობას გვითითებს, მაგრამ ლ შეუ-  
ძლებელი არ არის სხვა გზით აიხსნას. ამიტომ დაუშვებელი და შეცთომა არ  
იქნება, რომ სვან. ლე-, ლა-, ლი- ფორმანტებს სხვა, ფონეტიკურად უფრო  
აალო მდგომი, პრეფიქსები გამოუენახოთ. ასეთად ჩვენ ქართულ-მეგრულში  
დაცული, დღეს, მართალია, ძირს შეხორცებული, მაგრამ თავის დროზე, რო-  
გორც ირკვევა, ხშირად გამოყენებული ნე-, ნა-, ნი- თავსართად გამოსაცხა-  
დებელი ელემენტები მიგვაჩნია. მათი პრეფიქსად მიღების ისტორია მოკლეა  
და მცირე ლიტერატურით ამოიწურება. ნ. მარი თავის ქანური გრამატიკის  
ლექსიკონში შენიშნავს: ლე- префикс в именах существительных (карт-  
ნე- или н-), ხოლო ნე- იქვე აქვს მიჩნეული როგორც префикс в именах  
действия и вообще в существительных. იმავე გრამატიკის სიტყვაწარ-  
მებაში ლი, resp. ლ, არის префикс для образования названий расте-  
ний или плодов: ლი-ვორი *бузина*, ლი-მხონა *пшпоротник*, ლ-ერი  
[← ლი-ერი] *чеснок*. Сюда же примыкает префикс н- в н-ди (быть  
может, ნ-ედი) *орех* (§ 119 e; შდრ. ნ. მარისავე Яф. названия дерев. и

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავას სიტყვით მეგრულში ესხერი 'სესხებულს' ნიშნავს და შეტ-  
ყება ქართ. სე-ს-ხ-უ-ლი, იწლება ასე: ე-ს-ხ-ერ-ი (შდრ. სიხმარი—ე-ხ-მოჯა,  
ი-ხ-მოჯა: грамм. чанк. яз., § 119a), სადაც ერ ნამუსო მობღობის სუფიქსია.

<sup>2</sup> ნ. მარი, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრ. (Тексты и раз., VII), გვ. LXVIII, ფლვ;  
Опред. ахем., 40, 43; ЯЭ, VII, 360, 365.

<sup>3</sup> აკ. შანიძემ ერთ-ერთ თავის მოხსენებაში ჩამოთვლილი ქართ. და სვან. თავსარ-  
თები ერთმანეთს წაუყენა და მათი ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატყვისობის და-  
სამტკიცებლად სხვა საყურადღებო ფაქტები მოიყვანა. სვან. ლა- ნ. მართთ დაპირისპირე-  
ბულია ქართ. სა-სა და მეგრ.-ქან. ო-ს (К вопросу о полож. ахк. яз., § 13).

რატ., § 12, შწმ.). მისივე სიტყვით ნი- პრეფიქსია ნისკარტში (ნი-სკარ-ტი-ნი-კარ-ტი)<sup>1</sup>. როგორც ლე-, ლა-, ისე ნა-, ნი- თავსართად აქვს გამოყოფილი ი. ყიფშიძეს მეგრულ გრამატიკაში (§ 28 d, e, i, j, და ლექსიკ.), რომლის მაგალითები სათანადოდ აღვიღას იქნება მოტანილი.

საინტერესოა გავიგოთ, თუ რა შემთხვევებში და რა დანიშნულებით გვევლინება ეს ნე-, ნა-, ნი- ფორმანტები.

## I. ნე-

1. ნერწყვი, ძველი ქართულით ნერწყვ, მასდარი: ნერწყუა. აქედან ზნაჰნერწყვს, აორისტში ჰნერწყუა: დაჰნერწყუა ყურთა შნაჰმისთა (მრ. VII. 33, აღიშ.). ძირია რწყ<sup>2</sup>; ხოლო ნე- პრეფიქსია და ფუძისეული (მე ნაშთია ზნის საწარმოებელი -ავ სუფიქსისა (მურა-ი : მურავ-ს, ბარა-ი : ბარავ-ს...), წარმომდგარია რწყავ-ს ზმნისაგან (და მოჰრწყავს იგი ფლდას ფინიკოვანსა: კიმენი 324-; აღმოაცენე წყაროჲ მადლთაჲ და მორსწყენ სი მორწმუნეთა გულნი: ძვ. სას. პ., გვ. რლაჲ-; შდრ. ა-რწყე-ეს : ა-რწყე-ი). მოტანილი მაგალითებით ნათელია ზეს ბოლოსართობა. ნერწყვის მეგრული შესატყვისი ლერქევა ი. ყიფშიძეს სწორად აქვს გაგებული, როცა იგი ნერწყვთან ერთად მას შლის ლერქევად (მეგრ. ლექსიკონი, გვ. 314); სვანურში ნეწე 'ლეზვი' ქართულიდანაა შესული.

2. ნერგი (ნერგნი ნაყოფიერნი დაჰნერგენ: ძვ. სას. პ., ებ<sub>11</sub>; ნერგი... აღორძნდა: ხანძთ., გვ.). ძირად გამოიყოფა რგ (რგავ-ს, რგულ-ი, ნარგ-ი...; შდრ. მეგრ. -რგ- და სვან. -ლაჯ- ძირები), ამდენად ნე-ს პრეფიქსობა ექვს არ იწევს. მასასადავს, მართალია ი. ყიფშიძე, ძვ.-ქართ. ქრესტომათიის ლექსიკონში რგ ძირთან ნერგ-ი რომ აქვს მოქცეული (გვ. 61).

3. ნერჩი საბას განმარტებით 'ქუედა კერძო', 'გარეგანი ქუედაჲ მიწის კერძოჲს<sup>3</sup>, ხოლო ჩუბინაშვილით 'ქვენაკერძო ჭურჭლისა<sup>4</sup> აღნიშნავს და თავისი რჩ ძირით ქართულში სარჩულ-ი და მეგრულში რჩაფა 'რეცა, გება, შლა' (ნორჩა-ლი ქვეშსაგები, დორჩე-ლი გაშლილი) სიტყვებს მოგვეგონებს. ლექსიკოგრაფების მიერ მოცემული ახსნა რომ სწორია, ამას სამეგრელოში დაცული ნერჩის ლოცვა ადასტურებს: Слово нерчи непонятно. В общежитии этим словом обозначается основание чего-либо или тот клочок земли, на котором стоит дом. Если дом стоит высоко, т. е. имеет пол деревянный, то в нем [ნერჩის ლოცვა — ვ. თ.] нельзя совершать (ი. ჭობალია, Сб. мат. Кавк., XXXII, отд. III, გვ. 97). ძირის

<sup>1</sup> К вопросу о префиксовых образованиях в баскском языке: Доклады РАН, 1924, В, окт.-декабрь, გვ. 159—160.

<sup>2</sup> ეს ძირი განხილულია ცალკე.

<sup>3</sup> იხ. ფსკერი (საბა).

<sup>4</sup> შდრ. ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა, Пгб. 1912, გვ. 32 და ილია ჭყონია, სიტყვის-კონა, Пгб. 1910, გვ. 39.

იდენტობისა და მნიშვნელობით მიახლოების შემდეგ ნე-ს პრეფიქსად აღიარება ძნელი არ უნდა იყოს.

4. ნეხტვი ძველს ქართულში არც ისე იშვიათად გვხვდება: დაჰბერეთ ნესტუსა (ძვ. სას. პ, პ<sub>2</sub>); ოხრამან ნესტუსამან აღაესნა ყოველნი ცის კიდენი (Ib., შეშ<sub>2</sub>). საბას სიტყვით „რაჲც საკრავი განკურეტილნი ბრიან, ნესტუად ითქმიან“; ჩუბინაშვილი ხსნის: „ნესტვი, ს. ნაბათი, ნალარა, საყვირი“... ამავე წარმოებისად მიგვაჩნია სტვ-ირი, ნესტო<sup>1</sup>, ნესტვა. ძირად სტჷ გამოეყოფა, რომლის მნიშვნელობის ძიება სტჷ-ენა, უ-სტუ-ენს: უ-სტუ-ინ-ა'ში ხერხდება. ამდენად, ნე ნესტვ'ს განუყრელი ნაწილი არ უნდა იყოს.

5. ნეშტი (და აღილეს ნეშტი ნამუსრევი: მრკ. VI. 43, აღიშ.). ცნობილია ბიბლიაში: ნეშტთა. მნიშვნელობით წარმოადგენს 'დანარჩომ'ს (საბათი), 'ნაშთ'ს, რაც აშკარაა ამ კონტექსტით: და მოვიღე ნეშტი იგი პურისაჲ და წყლისჲ (უნივ. ხელნ., № 1104, იე ა) და სხვა. ძირია: შტ. იგი მიღებული გახლავთ \*შედ კომპლექსისაგან, რომლის სემანტიკურ-ფონეტიკურ შესატყვისად მეგრულში სჷიდ მოგვეპოვება. \*შედ'ისაგან შტ'ს მიღება ორი ფონეტიკური მოვლენის გადახლართვით შეიძლება: რედუქცია-ასიმილაციით: \*ნე+შედ-ი → \*ნეშდი → ნეშტი. ასიმილაციის შემდეგ შთ'ს მიღებაც იყო მოსალოდნელი და ჩვეულებრივ ეს უკანასკნელი გვევლინება: რ'ლ ნეშტი დაუშთებოდის, მით ვიზარდებოდი (კიმენი, 163<sub>4</sub>-); არა დაშთა ქ'ყანაჲ (ib., 107<sub>6</sub>); ობლად დაეშთი (TP., III, კდ<sub>2</sub>)<sup>2</sup>... ამ შემთხვევაში ისეთსავე დამსგავსებასთან გვაქვს საქმე, როგორცაა სახელდახელოდ მოტანილი: გადახტა=გადახთა. ნე-ს პრეფიქსობა აქაც უტყუარია (იხ. ნ. მარი, TP., VII, გვ. LXIX).

6. ნეშვი საერთოდ დედალ წვრილფეხა ცხოველთ აღნიშნავს, საბათი კი 'თხანი დედალი'ა. ქანურსა და სვანურში მას გვერდში უდგას ზურა: Для обозначения женского пола животных названию их предпосылают ზურა *самка*, напр. ლაკი *собака, пс* — ზურა ლაკი *психа* или *псица*, მსქჷერი *олень* — ზურა მსქჷერი *самка олени* (ნ. მარი, Грам. чанск. яз., § 6), ხოლო სვანურში ასეთ კონტექსტში გვხვდება: ზურაჲ დაკჯლ დედალი თხა; აქედან: ზურალ ქალხ (შდრ. ი. ყიფშიძე, Дополнит. свед. о ван. яз., § 6, შნშ. I). ზურა'ში -რა ელემენტი იმავე დანიშნულებისა უნდა იყოს, როგორცაა: ტახ-რა (← ტახ ტახი), ფის-რა (← ფისე ფისი), კაპ-რა (← კაპ: 'ყბა', ნი-კაპი) და სხვა (იხ. ნ. მარი, К вопросу о полож. афх. яз., გვ. 16 და რფ. наз. дер. и раст., § 6, შდრ. 3, 4b, აგრეთვე გვ. 836—838). ზუ კი ძირია და აღის ქართ. ძუ და მეგრ. ჯუა'მდე. ამათში პირეანდელი ზუ უნდა იყოს, რასაც გვაფიქრებინებს ავ. შანიძის ცნობით ხე-

<sup>1</sup> მ. ჯანაშვილი, ნაშრომი, ტფ. 1907, გვ. 63, შნშ.

<sup>2</sup> ავტორის „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II: ტფ. უნივ. მოამბე, X, გვ. 303—304.

სურულში დღემდე დაცული ი-ზვ-ა 'მოიგო, შვა', სა-ზვ-ები<sup>1</sup> 'შაკე' და სვა-ნურში ლ-ი-ზ-წლ 'შობა პირუტყვისა' სიტყვები. ზუ ძირს რომ ნე-პრეფიქსი დაერთოს, მაშინ სრულებით ადვილი მისახვედრი იქნება ნე-ზუ-ის როგორც შედგენილობა, ისე მისი შინაარსი<sup>2</sup>.

7. ნეტარი ხშირად ხმარებული სიტყვაა ძვ. ქართულის ტექსტებში. მისი ეტიმოლოგიისათვის გამოსადეგია, გვეგონია, ძვ. ქართულში არაიშვიათად გამოყენებული ჰ-ნატრ-ის ზნა. ნეტარ და ჰ-ნატრ-ის<sup>3</sup> ში ძირად ტარ მიგვაჩნია, ხოლო ნე- და ნა-პრეფიქსებს უნდა წარმოადგენდნენ. ნეტარი — ჰ-ნატრ-ის<sup>3</sup> ში ფუძედრეკადობა არ უნდა იყოს, როგორც ესა გვაქვს მეტ-ი და ჰ-მატ-ს მაგალითებში. ჰ-ნატრ-ის<sup>3</sup> ში ტრ ნარედუქციალია, როგორც ნეტრეულ<sup>3</sup> ში. ტარ ძირი თავისთავადი მნიშვნელობითა და ცალკე ჯერჯერობით არ გვეგულება<sup>4</sup>.

შეიძლებოდა ანალოგიური შემთხვევების მოჩანა და მით რიცხვის გადიდება, მაგრამ ისინი ვრცელ ექსკურსს მოითხოვდნენ და ჩვენთვის საინტერესო ნე-ს კი მეტი სიცხადით ვერ წარმოგვიდგენდნენ. ამიტომ ვამჯობინეთ შემდეგი ნა-პრეფიქსის განხილვაზე გადასვლა.

## II. ნა -

ქართულურ ენებში ნა-პრეფიქსი ცნობილია როგორც ნამყოს მიმღეობის მაწარმოებელი: ნა-წერი, ნა-შთი, ნა-ყოფი, ნა-თესავი, ნა-ცუალი, ნა-წნაფი...; ნა-ქარა ნაწერი, ნა-ხანტი ნახატი, ნა-ქიმი ნაქნარი...; ნა-მზერ ნალოცი, ნა-გვამ ნაგები, ნა-მშაჟ ნამუშეგარი და სხ., ან კიდევ აწარმოებს სახელთაგან: ნა-კაცარი, ნა-ქალაქევი, ნა-კვლევი და სხვა მსგავსთ, მაგრამ აქ წერილში ჩვენს ყურადღებას იქცევს არა ეს ახლანდანი დასახელებული ნა-, არამედ ნა-, რომლის ფუნქცია ისეთივე იქნება, როგორც მიჩნეებული აქვს ლ-ას სვანურში.

1. ნატრვა → ნატერა (შდრ. ხნვა → ხენა, ძრვა → ძერა...)-ვა სუფიქსების მოცილებით ძირად ნატრ- მიიჩნევა. მართლაც: ნა-ნატრ-ი, სა-ნატრ-ელი, ჰ-ნატრ-ის ამის სასარგებლოდ ლაღადებს, მაგრამ ნეტართან პირისპირ წაყენებამ ნა- თავსართად გამოგვაცხადებინა და პირუელად ძირად ტარ მიგვალეებინა (იხ. ზემოთ I, 7). ასე: ნატრ მეორადი, გვიანდელი ძირია: \*ნა-ტარ-ი → \*ნა-ტრ-ი.

2. ნათელ ფუძე ხშირად გამოყენებულია სიტყვათა საწარმოებლად: ნათლისღება, ნათელა (← ნათლეა), სინათლე, ნათლია, განათლება, ნათელა და სხვა. ძირად მიჩნეულია: ნათ- (ი. ყიფშიძე, ქრესტომ. ლექსიკ., გვ. 58), ნ. მართი კი ნთ ← ნეთ (შდრ. ნთბ || ნთვ: Др.-гр.-р.

<sup>1</sup> ჩუბინაშვილით: ზვევა (ვიხვევები), ზვასტათათვის: მოვიშობიარებ; ვიყოლიებ, ამისაგან შობულს ეწოდება მეზვი და ბერწესა უზვი.

<sup>2</sup> მეგრულში ნეზვი და სვანურში ნეზვ ('დედალი ლორი') ნასესხებია ქართულიდან.

<sup>3</sup> სვანური ტარ 'ბრალი' (სგ იმი ტარ გვაბჟა: ლაშხური ტექსტები, 33, 'შევე წყლის ბრალი გვეგონია') ეგების იგივე იყოს, რაც ნეტარ<sup>3</sup> ში არის.

სივ., 16), რაც გვხვდება: გ-ნათ-ებ-ა, მ-ნათ-ე, ს-ნათ-ური, მ-ნათ-ობ-ი და სხვებში. დასახელებული ავტორები ამ ძირს უდარებენ ნთ კომპლექსის შემცველ სიტყვებს: ა-ნთ-ებ-ა (ნთ-ებ-ა), ს-ნთ-ელი (შდრ. მეგრ. სი-ნთ-ე სინათლე: ი. ყიფშიძე, მეგრ. ლექსიკ., 289) ერთის მხრით და მეორის მხრით თ ე ო თ ნ (ნ. მართ) ძირიანთ: თ ე ე ა ჯ, გ ა ნ-თ ე ნ ა, გ ა ნ-თ ი ა დ ი (იბ., გვ. 9, 10, დაუმატებთ: უ თ ე ნ ი ა, მ თ ი ე ბ ი და სხვა). ყველა ამ მაგალითიდან შეიძლება თ ძირის გამოყოფა და დანარჩენების საწარმოებელ აფიქსებად მიღება. ასე აქვს გაგებული მ. ქ. ყიფიანს (ეურნ. „განათლება“, 1912 წ., № IX, გვ. 676, შდრ. ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში: რტ. უნივ. მ., № 1. გვ. 93-94). თ'ს ძირობას ამართლებს ქანური თ-ე 'სინათლე' და მეგრ. გო-თ-ე (არდგილი 'ნათელი ადგილი'—არნ. ჩიქობავას ცნობით). თუ ეს ასეა, მაშინ ნათ-ელ'ში ნ-ა-ს პრეფიქსობას არაფერი დაუდგება წინ, ოღონდ ეკვის გამოწვევა შეუძლია ნ-ა-ს ფუნქციას: ეგების ვისმე იგი მიმღეობის ნ-ად მოეჩვენოს.

3. ნახვა, აქედან: ნ-ნახ-ი, ნახ-ული, ნახ-ა ძირად ნახ'ს იძლევა. მის გვერდით სახე სიტყვის ამოყენება ჩვენ დაუშვებელი არა გვეგონია იყოს. ზევით სახეს შედგენილობა გარკვეული გვაქვს: სა-—-ე აფიქსები აღ-მოჩნდა<sup>1</sup> და ხ ძირი. ეგვევ ხ უნდა გვევლინებოდეს ნახ ძირში, რომლის ნ-საწარმოებელი თაქსარაის როლს ასრულებს<sup>2</sup>.

### III. ნი-

ნა- პრეფიქსთან ერთად ვერც ნი- თავსართიანი სიტყვები იძლევა ბევრს სამკალს; ყოველ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად თავს მოვუყრით არსებულთ. ნ. მარნ, როგორც ზემოთ იყო ლიტერატურა ნაჩვენები, ნი- პრეფიქსის შემცველად მიაჩნია

1. ნი-სკარტი, ნი-ძლევი, 3. ნი-ქი (შდრ. *ნუ-ბ-აჟ* Грам. др.-лит. груз. яз., 137), 5. ნი-გოზი, ხოლო ი. ყიფშიძით ნი, ნე პრეფიქს ვ ი м е н а х გახლავთ და იგი მას ხედავს: 1. ნი-ჩვი (ძვ.-ქართ. ნიჩურ-ნი: და კუ-ლითა ნიჩურთა იფარავენ: ТР., VI, 37<sup>10-11</sup>), 2. ნი-ქითი მნიშვნელობით უდგება ნიჩვი'ს, 3. ნი-ძგვ- 'ნისკარტი' სიტყვებში (მეგრ. ლექსიკ.). ამათგან სრულის უეჭველობით შეიძლება მტკიცება, რომ

1. ნიჩვი იშლება ნი-ჩვი სახით, რადგანაც: очевидно одного корня с л е -ჩ ვ ი з р а и с г. ნი-ჩვირი, ჩიჩვირი, ქვიქვირი, причём два последних слова с повторением корня (მეგრ. ლექსიკ., გვ. 364). მეტი განმარტება არაა საჭირო.

2. ნიდაჯვი არსებულ ლექსიკონებში იდაჯვი'ს სახითაც არის წარმოდგენილი, რაც ნ'ს არამძირისეულობას მიაპყრობდა ჩვენს ყურადღებას, მაგრამ ამას საბუთად მაინც არ ვიყენებთ ნი-ს პრეფიქსობის დასამტკიცებლად, რადგანაც

<sup>1</sup> ნ. მართია (Др.-гр.-р. სივ., 35) და ი. ყიფშიძით (ქრესტომ. ლექსიკ., გვ. 80) სახე ← სა-ხედ-ი.

<sup>2</sup> იმერულ ფორმა ნ-უ-ბ-ე-ში I პ. სუბ. ვ-ს გაინფიქსება ნ-ა-ს თავსართობის დასადასტურებლად ვერ გამოდგება.



სიტყვათა ისტორიით ვიციით ძირის კუთვნილი ბგერის დაკარგვის არა ერთი შემთხვევა. ნი-ს თავსართად გაგებაში მეგრულს ვემაყრებით, სადაც მას ეკვივალენტად დუეი (← დოყვი) ევლინება: ნი-დაყვი-ი (\*დოყვი-→) დუეი. ნი-, აშკარაა, პრეფიქსად არის მიჩნეული.

3. ნიკაპ'ს სვანურში უდგება კაპრზა ('ყბა'), რომლის ძირად კაპ'ისა და სწარმოებელ ფორმანტად -რა'ს მიღება სვანური ენის ბუნების მკოდნისათვის შეუძლებელი არ არის (-რა'სთვის იხ. ზემოთ ნეზვი). სვანურ-ქართულის დაპირისპირებით ნი-ს პრეფიქსობა ნიკაპ'ში დასაშვებია და ასეც აქვს იგი გაგებული ნ. მარს (К р о и р о с ყ о и л о и ж. з н х. я з., გვ. 16). წამოყენებულ მოსაზრებას აძლიერებს თავის მხრით მეგრული, სადაც ნიკაპ'ის ეკვივალენტი და მისგან ნაწარმოები სიტყვებიც მოგვეპოვება. ასეთია უწინარეს ყოვლისა კაპუ, რომლის შესახებ მ. ლაბარტყაიას მიერ მოწოდებული შემდეგი ცნობა მომყავს: 1. „მოუსვენარ ღორს დიასახლისი დღესაც უსურვებს „კაპუ“ ჩაუეარდეს პირში, ე. ი. დაემართოს კაპუ—ავადმყოფობა. კაპუ—ღორის ავადმყოფობაა. მისგან მორჩენა ხალხში შეუძლებლად მიაჩნიათ. მისი წამალია: ნიკაპის ქვეშ იმავე ღორს ამოუქრა ხორცმეტი, თუ აღმოაჩნდა, ჩაუდვა ღომში და აჭამო... 2. ნამდვილი მნიშვნელობა „კაპუ, კაპუნია“-სი მარტვილის რაიონში არ დარჩენილა. მისი სალოცავი წელიწადში ერთხელაა: ყველიერის ხუთშაბათს. სწირავენ გასუქებულ ღორს. ლოცვა იწყება ხუთშაბათს დილა აღრიანად. დაკლული ღორის სისხლი გროვდება განსაკუთრებით ამისთვის ამოთხრილ მიწაში, რომელსაც ზევით გადააფარებენ კალათს, სანამ მიწა არ შესევამს ამ სისხლს... თვით კაპუნია-ეკრპი აღწერილია შემდეგნაირად: კაცის მსგავსად გაკეთებული იყო თუჯისაგან პირდაღებულნი. ქურუმნი პირში უდებდნენ ცოცხლად შეწირულ ბავშვებს (Сб. мат. Капк., XVIII, განყ. III, 37; XXXII, განყ. III, 99; მეგრ. ლექსიკ., 252). კაპუ, კაპუნია ჩვენ შეუძლებლად არ მიგვაჩნია დავეუქავშიროთ კაპუ=ნი-კაპ'ს. 3. კაპუ-საგან გვაქვს ნაწარმოები ქართულში კაპუნია ('ყბათა ყბის რქეცება': საბა; ტურჩებმ დაუწყო კაპუნია: ვაჟა) და მეგრულში უ-რ-კაპუ-ან-ს ზმნა ('ყბას აქნევს'—არნ. ჩიქობავას ცნობით). მაშასადამე, მეგრულიც გვიდასტურებს ნი-კაპ'ში ნი-ს თავსართობას.

ამგვარად, ზემომოტანილი მაგალითების ანალიზიდან ნათლად ჩანს ნე-, ნა-, ნი-ს პრეფიქსობა, ოღონდ სარკვევია, თუ რა ფუნქციით არის აღკურვლილი ეს ელემენტები. ნიმუშებით ესეც გამოაშკარავებულია: ნე- (ნეზვი, ნერწყვი, ნეშტი...)=ქართ. სე-სა და სეან. ლე-ს. იგი მაადიექტივებელია, და ნიშნულების გამომხატველი. შემდეგ ეს ე. წ. ადიექტივები სუბსტანტივად ქცეულა. ხოლო ნა-, ნი- = ქართ. სა-, სი-სა და სეან. ლა-, ლი-ს. ესენი უმთავრესად სუბსტანტივებს აწარმოებენ. გამოდის, რომ ქართულში ერთისა და იმავე მოვალეობის შემსრულებლად ფონეტიკურად განსხვავებული ორი თავსართი გვქონია: სე-|| ნე-, სა-|| ნა-, სი-|| ნი-. აქ პარალელურად წარმოდგენილ ფორმანტებიდან სე-, სა-, სი-ს ფონეტიკურ-მორფოლოგიურ შესატყვისად მეგრულში სულ სხვა ელემენტები მოგვეპოვება და მათ პარალელურად ნე-

ნა-, ნი-ც დაცულია, ან ზოგჯერ შეცვლილი (ლე-, ლი-) სახით გვევლინება. ეგვიპე ნე-, ნა-, ნი- ფორმანტები, როგორც ჩანს, არც სვანურისათვის არის უცხო, განსაკუთრებით ამ სიტყვებში:

ნე- : 1. ნესგა (შუა, საშუალო, შორის) ← ნე-ისგა. უკანასკნელი იშლება: ის-გა (ნ. მარი, Извлечение из сванско-русского словаря, Петрогр. 1922, გვ. 28) და შეეტყვება მას ქართ. შოგა || შოა → შუა და მეგრ. შქა (იფონეტიკ. დაკვირვებანი ქართველურ ენებში<sup>1</sup>: მიმოძილველი, I, 203).

2. ნაპრ (← ნეპრ, რაც ლაშხურში ასეა შენახული: 'ფრინველი') შედგება ნე- პრეფიქსისა და პერ ძირისაგან. \*პერ ფუძედრეკალია და გვხვდება ლი-პერ ('აფრენა') მასდარსა და პერ-ნი ('აფრინდება') ზმნაში.

3. ნაბოზ იგივე ნებოზ 'საღამო' არის (ნებოზ იხმარება ბალსქეე-მოურსა და ლაშხურში) და, ვფიქრობთ, სწორია დაშლა: ნე-ბოზ, რომლის ბოზ ნაწილი ბაზი ('ამაღამ') სიტყვაში უნდა იყოს მოცემული (ნე-ბოზ, შდრ. სა-ღამო; იხ. Извлеч. из св.-р. слов., 19), და სხვა<sup>1</sup>, რომლებიც სვანურ ლექსიკონში განიხილება.

ლე-, ლა-, ლი-, როგორც აკად. ნ. მარს აქვს აღნიშნული<sup>2</sup>, წარმომდინარე უნდა იყოს სვანურშივე შემონახული და ქართულ-მეგრულში არცთუ იშვიათად გამოყენებული ნე-, ნა-, ნი- პრეფიქსებისაგან. სამსავე ენაში ერთისა და იმავე აფიქსის ხმარება ნიშნავს ან მის სესხებას ერთი ენისაგან მეორის მიერ, ან მის საერთო ფორმანტობას. როგორც დავინახეთ, სესხებასთან არ უნდა გვკონდეს საქმე, მაშასადამე, რჩება შესაძლებლობა ნე-, ნა-, ნი- თავსართების საერთო ქართულის კუთვნილებად მიჩნევისა...

თუ რა წარმოშობისაა ნე-, ნა-, ნი- პრეფიქსები და რა მიმართებაშია მათთან სე-, სა-, სი- თავსართები, ეს გაირკვევა მაშინ, როცა ანალოგიური აფიქსები ზმნასა და სახელებში ასევე შეპირისპირებით დადგინდება და ამდენადვე დაისმის საკითხი ქართულ-მეგრულ ენათა შედგენილობის შესახებ. ამჟამად კი გვიანტერესებდა ქართულში ნე-, ნი-, ნა-ს პრეფიქსობა გამოგვეაშკარებინა და მათთვის ფონეტიკურ-მორფოლოგიური ეკვივალენტი მოძმე ენებში მოგვეძიო.

<sup>1</sup> ნ. მარს ნე- და ნა- პრეფიქსად აქვს გამოყოფილი სვანურის ამ სიტყვებში: ნე-ლარ, ნი-ლარ (ქასრი: ЯФ. назв. дер. и раст., გვ. 844), ნა-გვბა || ნა-ბ-გვბა, ნე-ბ-გვბა, ნი-გბა ('შუბლი': Где сохр. сван. склонение, 1204, 252.), ნი-კფა, ნე-პკა ('ნიკაპი': К вопросу о полож. абх. яз., 16; Извлеч. из св.-р. слов., 25), ნი-ც > ლი-ც ('წყალი': Где сохр. св. скл., 1203, 252. 1; К вопр. о пол. абх. яз., 38; Непоч. ист. Кавк. мира 315; П. Чара я, Об отнош. абх. яз., 25, 59); ნა-რგილ (Извлеч. из св.-р. слов., 28).

<sup>2</sup> К вопросу о полож. абх. яз., 27; К вопросу о происх. названий „этруски“ и „пеласги“, 17, და სხ.

### 3. თოფუარია

## ქართულურ მნათა სიტყვაწარმოებრიან

### II

#### -ედ, -ურ, რ- აფიქსებისათვის

ლაპარაკია ისეთ აფიქსებზე, რომელნიც ამჟამად ძირს არიან შეხორცე-ბულნი; მათი გამოყოფით ხერხდება როგორც ძირის პირვანდელი მნიშვნელო-ბის მიკვლევა, ისე აფიქსთა დადგენა და მათი ფუნქციის გაგება. აქ მოცემული სათაურით პირველი წერილი დაიბეჭდა „თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომების“ VII ტომში: I. ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის.

\* \* \*

#### 1. -ედ ბოლოხართი ზმნაში

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სახელებისაგან ვნებითი გეარის ზმნებს აწარმოებენ -ნ და -დ ბოლოსართები. -დ გვხვდება -რ, -ლ ან -ნ თანხმობებით დასრულებულ ფუძეებთან, -ნ კი დანარჩენ შემთხვევებში. მაგ.:

წუხ: შეწუხ-ნ-ა (საბა<sup>1</sup>, 9,) იწრ: დაიწრ-დ-ენ (საბა, 7<sub>1</sub>.)  
შტკიც: განშტკიც-ნ-ა (იქვე, 8<sub>2</sub>.) ბრწყინ: განბრწყინ-დ-ა (იქვე, 11<sub>2</sub>.)  
გლაბაკ: დაგლაბაკ-ნ-ა (ძვ. სას. პ., ნა)... მალალ: აღმალალ-დ-ებიან (ძვ. სას.

პ. კე)...

მართალია, ნარიანი ფორმები დროთა პირველ სერიაში შედარებით იშ-ვითად გვხვდება, ვიდრე ღონიანები, მაგრამ ეს შემთხვევითია. შდრ. მაგ.: დაგლაბაკების (ძვ. სას. პ., ა), განდიღების (TP, III, მ<sub>2</sub>ა<sub>3</sub>) — ცხოვრებოდა (ხანძთ. ბ<sub>1</sub>), აღორძნებოდეს (ზ<sub>4</sub>ა)<sup>2</sup>... გამორკვეულია აგრეთვე, რომ -ნ, -დ<sup>3</sup>ს პირვანდელი სახე იყო -ენ, -ედ. ამის საბუთია ერთი ის, რომ -ენ დატულია ნამყო წყვეტილის I და II პირის ფორმებში (განვკაც-ენ, განჰკაც-ენ)<sup>4</sup>, და მეორე: ფუძე იკუმშება (განმრავლდებოდეს — \*გან-მრავალ-ედ-ებოდეს. არნ.

<sup>1</sup> მაგალითები ამოღებულია ს. ჯანაშიას მიერ გამოცემული ძეგლიდან: „ცხოვრება საბა ასურისა“.

<sup>2</sup> დაწვრილებით: ა. შანიძე, ნასახლარი ზმნები ქართულში (ტფ. უნივ. მოამბე, I, გვ. 87 და სხ.), შდრ. ნ. მარო, Грамм. древнелит. груз. яз., გვ. 140.

<sup>3</sup> „კაცთმოყუარებისათვის განჰკაც-ენ“ (ხანძთ. მ<sub>2</sub>ა<sub>1</sub>), „დღმ-ენ, შვილი!“ (იქვე, ნ ა) და სხ.

ჩიკობავა). ახალ ქართულში ყველგან -ღ- არის გაბატონებული (შეწუხდა. დაგლაბაკდა და სხვა მრავალი). -ნ და -ღ'ს ურთიერთობის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირველადია -ნ, რომელიც -ნ, -რ, -ლ'სთან დისიმილაციის წესით -ღ'დ იქცა (\*დაცალიერ-ნ-ა — დაცალიერ-ღ-ა) და შემდეგში ხშირი ხმარების გამო ყველგან დამკვიდრდა (ა. შანიძეძე op. cit., 95—6).

ისმის კითხვები: 1. შემონახულია თუ არა საღმე — ედ ფორმანტი და 2. იგი მართლა მეორეული წარმოშობისაა, თუ იხმარებოდა თავიდანვე?

-ღ, როგორც ვნებიტის საწარმოებელი ფორმანტი, ზმნაშიც გვხვდება. ამის სამი მაგალითი უკვე მოყვანილია ლიტერატურაში:

მოქმ.	გან-ტეხა	ვნებიტი:	გან-ტყდა <sup>1</sup>
	გან-ხეთქა		გან-სთქდა
	და-ჰქსნა		და-ჰქსნდა (ნასახ. ზმნები, 89)

ცხადია, ამგვარსავე მიმართებაში არიან ერთმანეთთან: ბრწყინ-ავს—გან--ბრწყინ-ღ-ების, დაა-კლ-ო—დაა-კლ-ღ-ა, შეი-ყუარ-ა—შეუ-ყუარ-ღ-ა, ჰ-შუენ-ის—გან-შუენ-ღ-ა<sup>2</sup>, ჩანს—გამო-ჩან-ღ-ა<sup>3</sup>, აღმოა-ცენ-ა—აღმო-ცენ-ღ-ა და სხვა. ყველა ამ ღონიან ვნებიტის აწმუოში ჩვეულებისამებრ -ებ-ი სუფიქსები დაერთვის: დააკლდების, გამოჩნდების, შეუყუარდების და სხვა.

ამათ მიხედვით საფიქრებელია, რომ -ღ-ებ-იანი ზმნები ანალოგიური წარმოებისაა: ამჟამად ძირისეულად გამოცხადებული -ღ (-ედ) ისტორიულად ვნებიტის ფორმანტი უნდა იყოს. მართლაც:

1. ჯღ-ა („ჯღა მტირალი“), ე-ჯედ („ე-ჯედ რაჲ სენაკსა ჩემსა“: კიმენი, 28), ჯღ-ების, და-ჯღ-ა, და-ე-ჯედ, „და-შ-ჯედ (მალალთა შინა“: ძვ. სას. პ., ტი 72), „მჯღოში... გამოაჯღა“ (ხანძთ. გვ. მბ 3), ჯღომა და სხვებში ძირია ჯღედ. მაგრამ -ედ რომ ვნებიტის ნიშანია და ჯ პირვანდელი ძირი, ამას ამტკიცებს შემდეგი: 1. ჯ'ს შემცველი საშუალი ზმნა ჯ-ის ან მისი აღრინდელი სახე ე-ის დღესაც ხმარებაშია გურულში, განსაკუთრებით უკანასკნელი ფორმა. იგი (ჟ) მეგრულ-ქანური წარმოშობისა ჩანს (და არა ხალხური) და მისი ფარდია ზ-ის. ე-ის'ისაგან ნაწარმოებია მოქმედებითი გვარის ზმნა ა-ე-ენ-ს ისე, როგორც დგას'ისაგან—ა-ღ-ენ-ს, ჩა-ს'ისაგან—ა-ჩ-ენ-ს... ვნებიტის წარმოებისას ე — ჯ ძირს დაერთო -ედ და მივიღეთ: ჯ ედ, \*ჯედების — ჯღების. მაშასადამე, ე არაა ნაშთი უღბ || უღნ'სი (ნ. მარი, Грам. рр. яз., გვ. 208).

2. სხღ-ა, სხღ-ების, და-სხღ-ა, და-სხღ-ომაჲ, და-სხედ-ით... (ითქმის ბეე-რზე) ფორმებში ძირად გამოიყოფა სხედ. აქაც რომ -ედ ვნებიტის ფორმანტი უნდა იყოს და ძირი ხ, ამაზე მივივითითებ 1. მეგრულ-ქანური ხ: ხ-ენ 'ზის'<sup>4</sup>;

<sup>1</sup> განტყდა — განტეხდა. კარგი მაგალითია 1. იმისა, რომ ერთ ფუძეში ორი ხმოვნის ამოღების შემთხვევა გვაქვს, 2 -ედ ფორმანტის აღსადგენად და 3. ბგერათა კომპლექსების დასადგენად: მოსალოდნელი უჩვეულო კომპლექსი ტხღ (- ტეხედ) იქცა ჩვეულებრივ კომპლექსად ტჟღ. ტეხ ძირისაგან უნდა იყოს მიღებული აღ-ტყ-ინ-ება.

<sup>2</sup> ნაწარმოებია სახელისაგან შუენ (შღრ. შუენ-იერი, მეგრ. სქვამი).

<sup>3</sup> საინტერესოა იმ მხრივ, რომ შესაბამისი ნიშანი -ნ (ე-ჩა, შ-ჩა, ჩა-ნ) ფუძეს შეუბოტდა და მისგან მივიღეთ ჩნ-ღების—გამო-ჩნ-ღ-ა („ჰეშმარიტად გამოშინდი“: ძვ. სას. პ., ლტ).

<sup>4</sup> არნ. ჩიკობავა, კან-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკონი, 421—422.

2. -ენ და -ედ'ის მონაცვლეობა ძველ ქართულშივე (სხედ-ან და სხენ-ედ, შდრ. დადუმ-ნ-ა და დადუმ-დ-ა) და 3. საერთო ელემენტი ხხ—და-ხხ-დ-ა და და-ხხ-ა (და-სხ-ნ-ა იგინი) ზმნებში. ამ ფორმათა დაკავშირება ერთმანეთთან დასაშვებია მორფოლოგიურადაც და სემანტიკურადაც: დასხა მოქმედებითი გვარის ზმნაა, დასხ და კი მისი ვნებითია (შდრ. განტეხა და განტყდა), ხოლო მნიშვნელობის მხრივ ორივე ითქმის ბევრზე და დასხ და გამოხატავს 'დაჯდა'ს და დასხა—'დასავს', 'დააჯდინა'ს.

3. წულ-ომა||წლ-ომა, მის-წლ-ება, მისა-წლ-ომი, მიუ-წლ-ომელი და სხვები შეიცავენ ძირს წლ, რომელიც შეკუმშული სახეა წულ'ისა: მიწულე, ღირსო, მიუწლომელსა სიღრმესა<sup>1</sup> (ძვ. სას. პ., უა<sub>26</sub>). შეკუმშული წულ უმარცვლო უ'ს კარგავს ო'ს მეზობლობაში: „მიუწლომელ არს“ (იქვე, მმ<sub>3</sub>)... პირვანდელი ძირია წულ, რომელსაც რედუქცია მოუვიდა -ედ'ის დართვისას: წულ. მისი შესატყვისია მეგრულში ქ(ე): მიან-კ-უ 'მისწვდა'.

4. ჰ-ხულ-ა, შე-ჰ-ხულ-ა, და-ჰ-ხულ-ა, ჰ-ხულ-ების... „არავინ დახულა მათ“ (კიმენი, 30<sub>4</sub>) და სხვებში ამოღებულია -ე-: ხულე-ა—ხულ-ა. -ე- მოგვეპოვება შე-ხვედ-რა, შე-ხვედ-როა და მათგან ნაწარმოებ ფორმებში. ძველი ქართულით ცნობილია შეუკუმშავი შემთხვევა ნამყო წყვეტილის III პირში: „რ შრავალი ქირი შე მხულე და მე“ (ადიშის ოთხთავი, ტაბ. 61 ხ<sub>1</sub>)<sup>1</sup>, რაც მოსალოდნელი არ იყო. ძირი რომ ხულა და -ედ ვნებითის საწარმოებელი, ამას ნათელყოფს ერთი მხრით სვანური, სადაც გვაქვს: ლი-ხვ-ჲე 'შეხვედრა', ხე-ხვ-ა 'ხედება', ხვ-ხვ-ინა 'შეხვედრა' და სხვა, და მეორე მხრით, მეგრული: შე-ხვ-ალამა 'შეხვედრა', მე-ხვ-ალამა 'მიხვედრა' და სხ.<sup>2</sup>

5. კულედ'ის შემცველია: მო-ჰ-კულედ ვორცითა<sup>3</sup> (ძვ. სას. პ., ტი<sub>11</sub> 45), სიკუდილით მო-კულედ-ინ<sup>4</sup> (მარკ. 7, 16)... -ე- აქაც ამოღებულია: მო-კულ-ა (მათე 22, 25), მო-ვ-კულ-ები (ხანძთ. ზ<sub>37</sub>), სი-კულ-ილი, მ-კულ-არი და სხვა. კულედ'იც უნდა იშლებოდეს კულ ძირად და -ედ ფორმანტად. ამაზე მიგვიითებებს მისი აღნაგობა: კულედ—კულედ-ების (შდრ. ჯედ—ჯედ-ების).

6. კედ გვაქვს ზმნასა და ნაზარ სახელებში: გარდამო-კედ მაგიერ ჯუართი<sup>5</sup> (მარკ. 15, 20), მთასა მალასა... აჰ-კედ-ით<sup>6</sup> (ძვ. სას. პ., რლ<sub>3</sub> 39)... ფუძის შეკუმშვით: „მაშინ მოუ-კედ-ა“ (მათე 20, 20)... კედ ნიშნავს 'სვლა'ს და ის დღესაც ცოცხალია სვანურსა (კედ-ნი 'მოღის', ან-კედ 'მოვიდა') და ქანურში, ოღონდ აქ შეკუმშვის შემდეგ დამსგავსებია ხ'ს (ეშა-ხთ-უ 'ამოვიდა', მენდა-ხტ-უ 'წავიდა': კან.-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკ. 426). მთებედავად იმისა, რომ სვან.-ქანურშიც კედ დაცულია, მისი დაშლა კ-ედ'ად შეცდომა არ უნდა იყოს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს: კედ—კედ-ების<sup>7</sup> (შდრ. კულედ).

<sup>1</sup> კან.-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკ., გვ. 424.

<sup>2</sup> შდრ. ი. ყიფშიძე, მეგრ.-რუს. ლექსიკ., 401.

<sup>3</sup> ეგების კედ'ისგან იყოს წარმომდგარი მ-კედ-არი და სა-კედ-არი და მ-კედ-არი ნიშნავდეს 'მავალს, მოარულს, მოსიარულეს' და სა-კედ-არი—'სავალს, სასიარულოს' და არა 'მჯდომელს' და 'საჯდომს'.

7. ამავე ჯგუფში შემოვა ხლდ-ების, ცთ-ების (- \*ცედ-ების), შთ-ების (- \*შედ-ების) <sup>1</sup> ზმნები. ორ უკანასკნელ მაგალითში პირველად ცედ და შედ უნდა ყოფილიყო და არა ცეთ და შეთ, ეს იმიტაც მტკიცდება, რომ ესენი ვნე-ბითი გვარის ზმნებია (ცთ-ების, შთ-ების) და ამდენად უნდა ჰქონოდათ საწარ-მოებელი ფორმანტი -ედ.

კურადლებას იქცევენ სევანური ზმნები—ხეწდენი—ხეწედ-ენი 'ნახავს', ხედ-ნი 'რჩება', კედ-ნი 'ზოდის', ხო-ჩდ-ენი—ხო-ჩედ-ენი 'გაურბის', ხე-შედ-ენი—ხე-შყედ-ენი 'ეხსომება'—იმით, რომ 1. ყველას ქართულისებრი -ედ გააჩ-ნია და ვნებითი გვარისაა, 2. კედნი'ს გარდა არც ერთს საპირისპირო მოკმე-დებითი გვარის ფორმები არ მოეპოვება, 3. კავშირებით II-ში -ლ- არ ჩანს (ხე-წედ-ს 'ნახოს', ა-ჩ-ედ-ს 'წავიდეს'...) და 4. მეგრულ-ქართულთან შედარები-სას ირკვევა, რომ -ედ ძირისეული არ არის (ნ. კედ; ლი-წედ-ს შდრ. მეგრ. ორ-წყ-ე 'ხედავს'<sup>2</sup>). ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სევანურშიც ვნები-თის ფორმანტი -ედ შემოუნახავს რამდენიმე ზმნას.

დასკვნა. 1. ვნებითის საწარმოებლად -(ე)ნ ბოლოსართთან ერთად (ე)ლიც იყო გამოყენებული ძველ ქართულში. -(ე)ნ გვხვდებოდა უპირატესად სახელებთან, ხოლო -(ე)დ ზმნის ფუძეებთან. უკანასკნელი აღრიდანვე ძირისეუ-ლადაა ქცეული: ჯედ, სხედ, წუედ და სნ.

2. შეუკუმშავი სახე ამ ფორმანტებისა იყო -ენ და -ედ. მათ შეუბღალავად ვხედავთ დიდ წილ შემთხვევებში ნამყო წყვეტილის I და II პირში: დაედუმ-ენ, დასდუმ-ენ; ვ-ჯედ, ს-ჯედ.

3. -ედ იწვევდა ფუძის შეკუმშვას და თვითონაც განიცდიდა რედუქციას მომდევნო ხმოვნისაგან: ტებ: გან-ტყდ-ა — \*გან-ტებ-ედ-ა. ასევე გაუმარცხო-ბული ჩანს უ ხმოვანი წუ, ხუ, კუ ძირებში -ედ ნიშნის დართვის შემდეგ: \*მის-წუ-ედ-ა, \*შე-ხუ-ედ-ა, \*მო-კუ-ედ-ა იქცა: მის-წუდ-ა, შე-ხუდ-ა, მო-კუდ-ა (მისწვდა, შეხვდა, მოკვდა). ეს შემთხვევები მნიშვნელოვნია უმარცხო უს გენეზისის გასარკვევად.

4. ვნებითის -ედ'ის არსებობა ქართულ და სევანურ ზმნებში გვიჩვენებს, რომ ის ახალი წარმონაქმი არ არის. ამდენად უნდა გადაისინჯოს საკითხი -ედ'ის მეორეული წარმოშობის შესახებ. ამას მოითხოვს ისეთი ფორმების არ-სებობაც, როგორცაა: „დადუმ-დ-ენ“ (საბა, 17<sub>12</sub>), „დაუმძიმ-დ-ა“ (იქვე, 9<sub>1</sub>... ნაცვლად: დადუმ-ნ-ენ, დაუმძიმ-ნ-ა); „დდეს აღუავილ-ნ-ა კუერთხი იგი“ (ძვ. სას. 3., 3ა<sub>149</sub>; ნაცვლად: აღუავილ-დ-ა); სხედ-ან და სხენ-ედ... ადვილმოსალოდნელია ვნებითის -ენ და -ედ ისეთსავე მიმართებაში იყვნენ ერთმანეთთან, როგორც III პირის მრავლობითი რიცხვის -ენ და -ედ (არი-ან—არი-ედ). ეს ახლო მომავალში გაირკვევა.

<sup>1</sup> ავტორის „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართვ. ენებში“ (ტფ. უნივ. შ., X, გვ. 303).

<sup>2</sup> ჰან.-ზვარ.-ქართ. შედ. ლექსიკ., გვ. 398.

2. უქონლობის -ურ ბოლოხართი

მოსე ჯანაშვილი ჯერ კიდევ 1906 წელს შენიშნავდა<sup>1</sup>: „სვანურში უარყოფითი უ, ურ (=ქარ. უ, არა) დაისმის სიტყვის თავშიაც და ბოლოშიაც... ნიც-ურ-უწყლო (ნიც=ლიც-წყალი), ტოტ-ურ-უტოტო, ჯან-ურ-უჯანო, ჰერ-ურ-უხმო, ში-ურ-უხელო (ში-ხელი). იგივე ქართულში: კულა (ინგ. კულ-ურ)=უკულა (ალბად ყრუ-ც=ყურ-უ, აგრეთვე წყურვა). მეგრ. ჩხე-ცხელი, ჩხ-ური — ცივი=უცხელო), ჩე (=თერთი) — თერთი, უჩა — შავი (=უთერთო)“. ეგვეე გაიმეორა მან „საინგილოში“<sup>2</sup> 1913 წელს, მაგრამ „წყურვა“ გამოტოვა, ალბათ როგორც საექვეო მაგალითი. ვფიქრობთ, მისი „გარიცხვა“ უსაფუძვლოა.

მართლაც, სავნის უქონლობის გამოხატვაში სვანური და ქართულ-ზანური საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველი სუფიქსს იყენებს, უქანასკნელნი კი პრეფიქს-სუფიქსს მიმართავენ. მაგ.:

ქართ.	მეგრ.	ქან.	სვან.
უ-ცოლო	უ-ჩილ-ე	უ-ჩილ-უ	ხეხ-ურ, აეხ-ურ (- ხ/აეხე-ურ)
უ-დედ-ო	უ-დიდ-ე/ო	უ-ნან-ელ-ი	დი-ურ
უ-გუნ-ურ-ი (- უ-გონ-ურ-ი)	უ-მინჯ-ურ-ი	'უპატრონო'	
უ-ფსკრ-ულ-ი (- *უ-ფსკერ-ურ-ი)	უ-ხუჯ-ურ-ი	'უმხრო', 'მიუმხარი' და სხვა	

უარყოფით მიმღობაშიც ეგვეე აფიქსებია ხმარებული. დამატებით გვევლინება რამდენიმე ახალიც. მაგ.:

ქართ.	მეგრ.	ქან.	სვან.
უ-ტყე	უ-ქარ-უ	უ-ქარ-უ	უ-ირ-ა 'დაუწერელი'
უ-კმ-ელ-ი	უ-კკომ-ურ-ი		უმ-ა
ა-უ-დულ-არ-ი	უ-ლურ-ალ-ი (- *უ-ლურ-არ-ი)		უ-დგარ-ა 'უკვდავი'...
ამგეარად, უქონლობის აფიქსებია სახელებში		უარყოფითობის აფიქსებია მიმღობაში	
ქართ.-ში: უ- --- -ო, უ- --- -ურ			უ- --- , უ- --- -ელ, უ- --- -არ
მეგრ.-ში: უ- --- -ო, უ- --- -ე, უ- --- -ურ, უ- --- -ოლ			უ- --- -უ, უ- --- -ელ, უ- --- -არ
ქან.-ში: უ- --- -უ, უ- --- -ე			უ- --- -უ <sup>3</sup>
სვან.-ში: --- -ურ			უ- --- -ა <sup>4</sup>

<sup>1</sup> ქართული გრამატიკა, გვ. 28, 28შ.

<sup>2</sup> „ძველი საქართველო“, ტ. II, გვ. 251, 25შ.

<sup>3</sup> აფიქსების ამომწურავად წარმოდგენა აქ მიზნად არა გვაქვს დასახული.

<sup>4</sup> სვანურში არის შემთხვევები, რომ მიმღობის უ---ა აფიქსები სახელებთანაცა გამოყენებული; მაგ.: უ-გხელ-ა 'უშვილო ქალი'—გელურ. 'უშვილო', უ-თხვმ-ა 'უზეთაურო'—თხუმ-ურ 'უთავო'... მათ შორის განსხვავებაა, როგორც დანიშნულების მხრივ, ისე გავრცელებულობის მხრივაც.

სევანურისებრ ბოლოსართული წარმოება და -ურ სუფიქსი რომ თავის დროზე ქართულ-მეგრულსაც ახასიათებდა, ამას ამტკიცებენ ზემოხსენებული გარდმონათვები, სახელდობრ:

1. მეგრული ჩხურუ 'სიციიე'. იგი შესულია, ი. ყიფშიძის აზრით, სოფლის სახელეპში; ინჩხური (ინჩხირი) და წაჩხური (მეგრ.-რუს. ლექსიკონი). მისი ჩხ ძირის კანონზომიერი შესატყვისია ქართულში ცხ და გვაქვს დაცული შესაფარდ სიტყვებში: სინ-ჩხ-ე—სი-ცხ-ე, ჩხ-ანა—ცხ-უნება ('მზე, солнце, жар'), და-ჩხ-ირი—ცე-ცხ-ლი, ჩხ-ე—ცხ-ელი... აშკარაა, ჩხურუ მიღებულია ჩხ-ე'საგან -ურ ბოლოსართის მეშვეობით (ჩხ-ურ-უ) და ნიშნავს 'უცხელო'ს, 'ცივს, სიცივეს'. უარყოფითობის აფიქსები რომ საპირისპირო მნიშვნელობათა მისაღებად გამოიყენება, ამის ილუსტრაციას წარმოადგენს ზანური უ-ჩ-ა 'უთეთრო, შავი', ნაწარმოები ჩ-ე'საგან ('თეთრი').

2. ინგილოური კუღურ 'კუდა'. იგი ანალიზებულია სწორად: კუღ-ურ 'უკუღო'.

3. მეგრული ყურუ — ქართ. ყრუ. უკანასკნელი ყურუ'ს ნარედუქციალი ფორმაა და ბოლოკიდური -უ ნაშთია -ურ სუფიქსისა (თუ ეს ასე არ იშლება: ყ-ურ-უ, შდრ. ჩხ-ურ-უ). ამის შესახებ ნ. არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 47.

4. მეგრული ფური 'ცუდი, ავი'. ამ სიტყვაში -ურ თუ უარყოფითობის სუფიქსია, მაშინ დარჩენილი ფ ძირი 'კარგს' უნდა გამოხატავდეს. ეგების ეს ფ იყო შემონახული კანურ ზმნაში: ი-ფ-ელენ 'ვარგა'.

5. წყურილი, წყურიელი. ამ სახით ეს სიტყვები გვხვდება ძველ ქართულში: „იწყო... მოკლებად წყურილისა გ<sup>ნ</sup>“ (საბა, 9<sup>ა</sup>); „აღმოუცენა წყალი ერსა მას წყურიელსა“ (იქვე, 10<sup>ა</sup>)... საერთო ნაწილი წყურ გვაქვს ზმნაშიც „მ-წყურ-ის, გ-წყურ-ის, ს-წყურ-ის: „რომელთა გწყურის“ (ძვ. სას. პ., რიზ<sup>ა</sup>87). წყურ შესდგება წყლ'ის წყ ძირისა და -ურ სუფიქსისაგან და ნიშნავს 'უწყლო'ს. ამ მეორეული ძირისაგან არის წარმოებული ფორმები: ს-წყურ-ის, წყურ-ილი/წყურ-ვილი, წყურ-იელი, მ-წყურ-ვალი, მ-წყურ-ნები 'წყალმრავალი' (საბა)... წყალ სიტყვის ძირი რომ წყ არის (-წ+განვითარებული ყ), ეს მრავალჯერ იყო აღნიშნული ლიტერატურაში (მ. ჯანაშვილი, ნ. მარი აღრინდელ ნაწერებში და სხვ.) და ნათელია ასეთი შეპირისპირებიდან: წყ-ალი, წყ-არო, მე-წყ-ერი, რ-წყ-ვა, ნერ-წყ-ვი, სარ-წყ-ული და სხვა მრავალი.

დასკვნა. 1. ქართველურ ენებში საგნის უქონლობა გადმოიცემოდა სუფიქსური წარმოებით და 2. უქონლობის გამომხატველი იყო საერთო ბოლოსართი -ურ.



3. ზმნის საწარმოებელი რ- თავსართი ქართულში

ქართულში -ევ და -ენ ბოლოსართები სახელისაგან აწარმოებენ მოქმედებითი გეარის ზმნებს, გარდაუვალს აქცევენ გარდამავლად და გარდამავალ ორპირიანს ხდიან საშპირიანად. მაგ.:

-ევ: კვამ-ლი (კვამ-ს)—უ-კმ-ევ-ს      -ენ: რქა—ურქ-ენ-ს  
 რბ-ის—ა-რბ-ევ-ს      წევ-ს—ა-წვ-ენ-ს  
 კამ-ს—აკმ-ევ-ს<sup>1</sup>.

საშუალ ზმნაშიც შეიძლება იყოს -ევ: ძევ-ს, შდრ. მი-ძ-ს: ძალმიძს (-ძალ-მიც)... -ევ და -ენ'ის ფუნქციას ასრულებს აფხაზურში რ- თავსართი, მაგ.:

აკაქ	'მოკლე, დაბალი'	—ა-რ-კაკრა	'დამოკლება, დადაბლება'
აკცა	'წმინდა, სუფთა'	—ა-რ-ჯკცარა	'გაწმინდა, გასუფთავება'
აბარა	'ნახება'	—ა-რ-ბარა	'დანახება, ჩვენება'
აწარა	'სწავლა, учить, учиться'	—ა-რ-წარა	'სწავლება, учить, обучать'
აგვლარა	'დგომა'	—ა-რ-გვლარა	'დაყენება, დადგენა'... <sup>2</sup>

რიგი მაგალითებით ირკვევა, რომ აფხაზურისებრი რ- პრეფიქსი ქართულშიც გვაქვს. იგი აწარმოებს სახელისაგან ზმნას... საამისო მაგალითებია:

1. ცხვირი—ა-რ-ცხვენს. გარდაუვალი ფორმებია: პ-რ-ცხვენია, შეპ-რ-ცხვენა... ძველი ქართულით: „არცხვენე ძწვალეებელთა კრებულსა“ (ძვ. სას. პ., რლპ 100), „სირცხვლეულ იქმნეს“ (საბა, 19 ო)... მო-რ-ცხვ, უ-რ-ცხვ, სი-რ-ცხვილ, პ-რ-ცხვენია'ს რომ სემანტიკური კავშირი აქვს ცხვირ'თან და უკანასკნელისაგან არის ნაწარმოები, ამას თითქოს ადასტურებს თქმა: შეურცხვა ცხვირი<sup>3</sup>.

2. წამ-ება<sup>4</sup>—პ-რ-წამ-ს, პ-რ-წმ-ენა, ა-რ-წმ-უნებს... ძირად ქვეული რ-წმ მოგვეპოვება სიტყვებში: მრწამ-ს → მრწამ-სი, რწმ-ენა, მო-რწმ-უნე, უ-რწმ-უნო, სა-რწმ-უნობა და სხვა მრავალი. პ-რ-წამ-ს ნიშნავს 'საწამია, საწამებელია მისთვის', ა-რ-წმ-უნებს—'საწამს ხდის'...

3. წყ-ალი—რ-წყ-ავს: „მოპრწყავს იგი“ (კიმენი, 32 ო); „ირწყებოდა... მოძღურებთა მისითა“ (საბა, 11 ო)... რ-წყ ძირისაგანაა წარმომდგარი: რ-წყ-ვა.

<sup>1</sup> დაწვრილებით ავტორის „ფუძვლად ზმნათა სუფიქსაციისათვის“: ტფ. უნივ. შრომები, III, გვ. 229—230.

<sup>2</sup> ესარგებლობ დიმიტრი გულიასა და ქ. ლომთათიძის მაგალითებით.

<sup>3</sup> შდრ. სვანური: „ნებგვაჟი ნაი სვინდის ნულვა“—შებლზე ჩვენ სინდისი გვაქვს („სვანური პოეზია“, I, გვ. 80 ა).

<sup>4</sup> აქედანაა: წმ-ედა, წმ-იდა.

სა-წყ-ავი, უ-რ-წყ-ავი, უ-რ-წყ-ული, ნე-რ-წყ-ვი ('სარწყავი'), სა-რ-წყ-ული, რ-წყ-ევა და სხვადასხვა<sup>1</sup>.

ჰრქვია (ე-რქე-ა, და-რქე-ა...), რხ-ევა, ა-რტყ-ია და ზოგ სხვაშიც შეუძლებელი არ უნდა იყოს რ-ს პრეფიქსად მიჩნევა, მაგრამ პირვანდელი ძირის გააზრიანებისაგან ჯერჯერობით თავის შეკავება ჯობს.

ამგვარად, ქართულში მოიპოვება მახშნავებელი რ-, ბადალი აფხაზური რ- პრეფიქსისა.

---

<sup>1</sup> რწყვა, სარწყავი ში ძირად წყ მიაჩნდა და რ- გამოყოფილი ჰქონდა მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ს თავის გრამატიკაში (1906 წ., გვ. 64), ბოლო ა. შ ა ნ ი ძ ე წერდა: „შეიძლება... რაე ჩამომავლობით პრეფიქსიც იყოს (რადგანაც შო - რ წყვა - ს წყ ა ლ თ ა ნ უნდა ჰქონდეს ეტიმოლოგიური კავშირი), მაგრამ იგი უკვე ძველს ქართულში ძირის ბგერებთან არის შეხორცებული და გაგებულია, როგორც ძირეული...“ (S, და O, გვ. 121, შნშ. 1). აღსანიშნავია, რომ ხანდახან პირიერი ნიშანი ამ უკვე ძირეული რ-ს შემდეგ გვევლინება. „მორსწყენ მორწყმუნეთა გულნი“ (ძვ. სას. 3, რლა 78).

## 3. თოფურია

### ქართულურ ენათა სიტყვაწარმოებიდან

#### III

ენ, მ — არ, ხე<sup>1</sup>, აბა აზიძესობისათვის

#### 1. ენ ბოლოსართი ქართულ ზმნაში

ა) -ენ ფორმანტის დადგენისათვის.

-ენ ელემენტი ზოგჯერ მხოლოდ მასდარის (მოქმედების სახელის) კუთვნილებას წარმოადგენს, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა ის მასდარს გარდა ზმნას ყველა დროში გასდევს, ან აქა-იქ ამოყოფს თავს. მის ფუნქციაზე აკად. ნ. შარი შემდეგს გვაუწყებს: „...народный б я книжный и показатели множественности служат функциональными согласными для развития корня, получения его взращенного вида с переходным значением...“ (Грамм. др.-гр. яз., § 161 და ხხ.), თუმცა ეს -ენ მის ზოგჯერ ძირეულად მიაჩნია.

-ენს შემცველი მაგალითებია:

დეენა: „დეენა უყო“ (ხანძთ. <sup>2</sup> იბ<sub>16</sub>); „განდეენეს“ (სას. პ. შ<sub>16</sub>)...

მაგრამ „რომელსა ვსდეე“ (ხანძთ. იბ<sub>16</sub>)...

პოენა: „ლირს იქმენ ...პოენად“ (სას. პ. ნ<sub>16</sub>); „პოენილ იყო“ (ხანძთ. ე<sub>33</sub>)...

მაგრამ „პპოეე სატასეა“ (სას. პ. შ<sub>317</sub>)...

---

<sup>1</sup> ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1926 წელს წაკითხული მოხსენებიდან. ამ სათაურით მეორე წერილი დაიბეჭდა „აკად. ნ. შარის სახ. ენის, ისტ. და მატ. კულტ. ინსტ. მოამბეში, V-VI“. „მოამბე“ მიეძღვნა აკად. ივ. ჯავახიშვილს მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავზე.

<sup>2</sup> გამოყენებულია ძეგლები: ხანძთ. = გრ. ხანძთელის ცხოვრება: TP, VII, ნ. შარი გამოცემა; სას. პ. = ძველ-ქართული სასულიერო პოეზია. პ. ინგოროყვას გამოცემა; საბა = „ცხოვრება საბა ასურისაჲ“, ს. ჯანაშიას მიერ გამოქვეყნებული პროფ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ კრებ. „არილში“.

(აღგზნება): „ცეცხლი აღგზნა“ (სას. პ. შმ<sub>142</sub>); „არაა აღგზნა“ (ib. ძბ<sub>2</sub>)...  
მაგრამ „მარადის ეგზეზოლა“ (ib. მღ<sub>10</sub>)...

\* დატყენა: „დატყენულ იქმნა“ (სას. პ. ნზ<sub>3</sub>); „დაუტყენელი ზუნება“ (ib.<sub>2</sub>)...  
მაგრამ „დაუტყენა“ (ib. შმ<sub>161</sub>)...

შეწვენა: „მობუდ შეწვენად ჩუნდა“. „ქემმარიტად შეწვენა არს...“ (ხანძთ. ზ<sub>31</sub>); „ჰყოფენ შეწვენასა“ (სას. პ. მზ<sub>34</sub>); „შეწვენითა და ძალითა“ (საბა, 11<sub>32</sub>)...

გზავნა: „განზრახვასა და გზავნასა მისსა“ (ხანძთ. ე<sub>1</sub>); „წარმოგზავნა მამა“ (ib. ი<sub>1</sub>)...

ძველთან შედარებით ახალ ქართულში -ნ'ს ჩამრთველი შემოხვევები გაცილებით მეტი გვაქვს; მაგ.:

თხოვნა: „მოთხოვნილება“... მაგრამ „თხოვა“ (საბა, 5<sub>30</sub>); „სთხოვს“...  
და ასე ნ'არიანია ქართულში:

ყოფნა, შოვნა, ხვევნა, თოხნა, კვებნა, ხვეწნა, ვარდნა, ტყორცნა, კოცნა, ხსოვნა, ძებნა, ხელნა<sup>1</sup>, ჯღაბნა, წვრთნა და სხვა. ამათ რიგში შემოდის: ცოდნა, ლოდნა, ცხონება (← ცხოვნებისაგან)...

ყველა ამ შემთხვევაში -ნ რომ ძირისეული არ არის, ეს ნათლად ირკვევა ნაწარმოებ სიტყვათა შეპირისპირებით:

ხსოვ-ნ-ა : ა-ხსოვ-ს, სა-ხსოვ-არი, დამა-ხსოვ-რება...

ხვეწ-ნ-ა : შეე-ხვეწ-ა, სა-ხვეწ-არი, შე-ხვეწ-ება...

ძებ-ნ-ა : მე-ძებ-არი, სა-ძებ-არი...

ტყორც-ნ-ა : „აღილო ქვა და ს-ტყორც-ა“ (საბა, 8<sub>26</sub>)...

\* ცხოვ-ნ-ება → ცხონება, მაგრამ „ა-ცხოვ-ნ-ა“, „ა-ცხოვ-ნ-ოს“ (სას. პ. ძღ<sub>2</sub>)...  
საერთო ძირი აქვს ცხოვ-არ, ცხოვ-ელ, მა-ცხოვ-არ, ცხოვ-რება სიტყვებთან და ა. შ.

ამვე შეპირისპირებით მტკიცდება, რომ -ნ'ს წინ უძლიოდა ხმოვანი და ეს ხმოვანი იყო -ე. მართლაც, „ეი-ზამ, ი-ზამ, ი-ზამ-ს“, ძვ. ქართ. „რასა ჰ-ზამ-თ“ (მრკზ XI, 5) მაგალითში ფუძეა ზამ, მისი მასდარია ზამ-ნ-ა; უკანასკნელის ფუძეში კი არ ჩანს -ა-: \*ზამ-ნა'ს ნაცულად არის ზმ-ნა; ასევე ძელუ ფუძისაგან ნაწარმოებია, ერთი მხრით, ძლ-ოდა და, მეორე მხრით, ძლუ-ნ-ა მასდარი. ორსავე შემთხვევაში ამოღებულია ფუძისეული -ე-: \*ძელუ-ნ-ა → ძლუ-ნ-ა. ბმნა და „ლუნა'ს ფუძეთა შეკუმშვა (პირველში -ა-სა და მეორეში -ე-ს ამოღება) კი იმის მომასწავებელია, რომ -ნ იყო წინახმოვნიანი. რივი დაახლოებული ზმნები ნამყო წვეტილის I და II პირში ამ -ნს წინახმოვანს -ც-ს აღიღვენს. მაგ.:

აღგზნა: „არაა აღგზნა“ (სას. პ. ძბ<sub>2</sub>), მაგრამ: „აღგზნ საკუმილი“ (ib. ლმ<sub>32</sub>); „ცეცხლი ... აღგზნ“ (ib. რბ<sub>1</sub>)... უძლნა. მაგრამ: „უძლენ“, „შეწირეს ძლენი“ (სას. პ. ძე<sub>1</sub>) და სხვა (ნ. ქვევით).

<sup>1</sup> ხედ-ნა ნ. აკად. ნ. შარის წერილში: „Средства передвижения...“, გვ. 29, წევ-ნა. შე?-ნ კი მძ, X, გვ. 330, 332.

ჩანს, ზმნის საწარმოებელი ფორმანტი ან<sup>1</sup> და არა ნ.

უთუოდ ეს -ენ არის, რომ ძირისეულადაა ქცეული რიგს ზმნებში, სადაც მისი გამოყოფა დღესაც ხერხდება. მაგ.:

1. პხენ-ება: ა-ხსენ-ებს, მო-ხსენ-ება, გა-ხსენ-ება. სა-ხსენ-ებელი, ა-ხსენ-ა... შეიცავს ძირს ხსენ, მაგრამ ეს მეორადი, ნაწარმოები ძირია, პირველადი იყო პხ (ამჟამად იხმარება ხს) და ეს უკანასკნელი გვაქვს, ერთი მხრით, სიტყვებში— ხსოვ-ნა, სა-ხსოვ-არი, ა-ხსოვ-ს, დამა-ხსოვ-რება და სხ., სადაც -ოვ სუფიქსია, და, მეორე მხრით, მე-ხს-იერებაში. მაშასადამე, ხსენ იშლება: ხს-ენ<sup>2</sup> (ძვ. ქართ. კს-ენ).

2. პხენ (ხსენ): „მი-ჟსენ ჩუენ ბოროტისაგან“; ძირის შეკუმშვით ჟსნ (ხსნ): ი-ჟსნ-ა, მ-ჟსნ-ელი (სას. პ. 51<sub>11</sub>), გა-ხსნ-ა, მო-ხსნ-ა და სხვა. ძველ ქართულშიც ჟსენ ძირად იყო გაგებული და ამიტომ იწარმოებოდა „ჟ“ სუფიქსით ენებითი: „დაპ-ჟსნ-დ-ეს ძარღნი“ (ხანძთ. 50<sub>11</sub>)... მაგრამ აქაც რომ პხ არის ძირი, ამას გვაფიქრებინებს მისგან ნაწარმოები სა-ჟს-არ-ი (სახსარი: 1. сугаи; 2. сыкун; 3. срдство, ე. ი. ის, რის გახსნა, დაშლა შეიძლება, და ის, რითაც გამოხსნა შეიძლება). ამგვარად, ჟსნ-ა-ჟსენ-ა<sup>3</sup> საგან და იშლება: პხ-ენ-ა<sup>4</sup>.

3. ჰქმენ: „მსვავს ჩუენდა ი-ჰქმენ“ (სას. პ. სკმ<sub>12</sub>); ფუძის შეკუმშვით ჰქმნ: „ჰქმნ-ა ცაჲ...“ (იბ. პ<sub>112</sub>); „რომელი ე-ჰქმნ-ა“ (ხანძთ. ბ<sub>22</sub>)... ენ ძირის ნაწილად ძველ ქართულშივე არ ჩანდა; ჰმ ძირს შეიცავს და არა ჰქმნ<sup>5</sup>ს მაგალითები:

მო-ჰმ-ელ-ი: „მო-ჰმ-ელსა მას შეერაცხების“ (ხანძთ. 346; შდრ. მო-რბ-ელი: სას. პ. რი<sub>269</sub>).

სა-ჰმ-არ-ი: „ითხოვენ ქველის საქმარსა“<sup>6</sup> (საბა, 18<sub>22</sub>)...

უ-ჰმ-ი: „ენაჲ მათი... უტყვ არნ და ... უჰმ“ (ხანძთ. ბ<sub>10-11</sub>)...

სა-ჰმ-ე: „რ-ი სა-ჰმ-ე ვქმნე“ (მრკზ X, 17; შდრ. სა-ეს-ე)...

ი-ჰმ-ს, ი-ჰმ-ოდა: „ი-ჰმ-ოდა ველითა“ (საბა, 19<sub>22</sub>)...

ჰმ-არ-ი (ნ. ქვევით) და სხვა.

ამგვარად, ჰქმენ იშლება: ჰმ-ენ. ძირია ჰმ<sup>6</sup> და -ენ ბოლოსართი. მეგრულ-სვანურთან შედარებით ისიც მტკიცდება, რომ თავდაპირველი ძირი ჰამ იყო

<sup>1</sup> მაშასადამე, ზმნის „დაბოლოება -ნა“ კი არ ყოფილა, როგორც ეს მ. ჯანაშვილს ეგონა „თოხ-ნ-ა, ყოფ-ნ-ა“ და სხვ., არამედ -ენ-ა (ქართ. გრამატიკა, 1906, გვ. 63-64).

<sup>2</sup> მეთარია ნ. მარის ფორმულა: „ხსნ → \*ხსლ ~ ხსენ: ... ხსენ-ებ-ა-ა ... ხსოვ-ნ-ა-ა“ ნამდვილად კი არის: „ხს-ენ-ებ-ა-ა ... ხს-ოვ-ნ-ა-ა“ (Грам. др.-гр. яз. яз., § 245).

<sup>3</sup> ეს ძირის შესახებ მაგალითები და მისი შედარება მეგრულთან ნ. აეტორის წერილში „ჰ და ხ სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში“.

<sup>4</sup> ეს სიტყვა მეგრულში შევიდა და სახე იცვალა: საქვარი (პ. ჰარაია, Ог. стн. ах. яз. § 10...; ნ. მარის რეცენზია P. Peeters-ის შრომაზე, გვ. 7; შდრ. ხმარება → მეგრ. ხვარება).

<sup>5</sup> არ არის მართალი, თითქოს სა ჰქმე მიღებული იყო სა ჰქმენისაგან და ძირად მიიჩნეოდეს ჰქმნ, როგორც ეს აკად. ნ. მარს აქვს აღნიშნული ძირის სამთანზომიანობის დებულებაზე დამყარებით (პ. ჰარაიას გამოკვლევაში Ог. стн. ах. яз. § 10... და Гр. др.-гр. яз., § 221). აკად. ი. ვ. ჯაქეაზიშვილით „ნ ძირეული აკ აიის“ (ქართ. და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 227).

<sup>6</sup> და არა ჰ (მ. ჯანაშვილი, ქართ. გრამ., გვ. 64).

ქართულში. იგი დღესაც ცოცხალია ზოგ დიალექტში, მაგ., მთიულურში, ხევ-სურულში: „პატრონი... იქამს“ (ხევსურული, 136,<sup>1</sup> და სხ. შდრ. ქართ. ქამ, კან. კომ II ქუმ, მეგრ. კიმ ← ქომ, სვან. ჩომ<sup>2</sup>: ი-ჩომ-და „შვრებოდა“). ქამ ძირი შეიკუმშა -ენ-ის დართვისას: \*ქამ-ენ → ქმ-ენ, მასდარსა და სხვა შემთხვევებში კი -ენ-საც მოუვიდა რედუქცია: \*ქმ-ენ-ა → ქმ-ნ-ა. მაშასადამე, \*ქამ-ენ-ა → ქმ-ნ-ა ისე, როგორც \*ზამ-ენ-ა იქცა ზმ-ნ-ა'დ.

ეგვე -ენ უნდა გვეონდეს ზმნებში, რომელნიც ნამყო წყვეტილის I და II პირში -ენ-ს გამოივლენენ, მიუხედავად იმისა, რომ -ენ აქ მყარი ნაწილია ძირისა. ასეთებია:

წარ-რლუნ-ა: „წარპ-რლუნ-ენ“ (სას. პ. სპე,<sup>3</sup>)... ძირია რლუ. აქედანაა მიღებული რლუ-ევა, მეგრ. (რ)ლვ-აფა, სვან. ლი-რლუ-ე...

გან-ხრწ-ნ-ა : გან-ხრწ-ენ

გან-რყუ-ნ-ა : გან-რყუ-ენ

ი-ჯმ-ნ-ა : ი-ჯმ-ენ

ი-გრძ-ნ-ო : ი-გრძ-ენ

გა-ფტქვ-ნ-ა : გა-ფტქვ-ენ და უთუოდ ასეთივე იყო ფურჩქ-ნ-ა და სხ.

შესაძლებელია -ენ-ის მიერ ძირიც კი იყოს შეკუმშული, როგორც ეს ჩანს რლვ-ევ-ის შესატყვის სვანურ რედენ-ი ('ირლევვა') ზნიდან.

ამგვარად, -ენ რიც შემთხვევებში ძირსაა შეხორცებული.

ბ) -ენ ფორმანტის ფუნქციისათვის. 1. -ენ გვევლინება სახელი-საგან ნაწარმოებ გარდამავალ ზმნებში: თობ-ნ-ის, თობ-ნ-ა (← თობი); „დაა-ფუძ-ნ-ა (ქუყენაა“: სას. პ. იპ,<sup>4</sup>), და-ფუძ-ნ-ება (← ფუძე); „წარმო-ტყუენ-ა“, „ნა-ტყუენ-აი“ (იხ. ძღ<sub>1,22</sub>), „წარ-ტყუენ-ვაა“ (← ტყუე) და სხვა; 2. ხშირია შემთხვევები, როცა -ნ იხმარება დროთა პირველი სერიის ფორმებში და მეორე სერიაში უკვლევბელყოფილია: „პოვ-ნ-ილ იყო“ (ხანძთ. ეკ), „პოვ-ნ-ა“, მაგრამ „პ-პოვ-ე“ (სას. პ. შპ<sub>171</sub>); „დაუ-ტევ-ნ-ელი“, მაგრამ „დაუ-ტევ-ა“ და სხ. 3. მასდარში არის და დროებში არა: „თხოვ-ნ-ა“, მაგრამ „ს-თხოვ-ს“; „ვარდ-ნ-ა“, მაგრამ „ვარდ-ება“ და სხვა (შდრ. „ყიდ-ვ-ა“, მაგრამ „ყიდ-ი-ს“, „ღვ-ომ-ა“, მაგრამ „ღვ-ება“); 4. ეფარდება -ებ სუფიქსს და ამიტომ მის გვერდით გვხვდება: კოც-ნ-ის და ა-კოც-ებ-ს... ყველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს, რომ -ენ იგივეა თავის ფუნქციით, რაც -ებ, -ემ, -ავ, -ამ და სხ. მართალია, ამათგან განსხვავდება რიგი მოვლენებით (ხშირად ძირსაა შეხორცებული, მის შემდეგ იხმარება -ებ, -ავ, -ი სუფიქსები: ა-ფუძ-ნ-ებ-ს, კოც-ნ-ის-ს..., გვევლინება გარდაუვალ ზმნათა მასდარში: ვარდ-ნ-ა, ყოფ-ნ-ა...), მაგრამ ესენი მეორეული წარმოშობისა უნდა იყვნენ. -ენ-ის ძირის კუთვნილებად ქცევა, მასზე ახალი სუფიქსის დართვა მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, თუ მას, როგორც საწარმოებელ ელემენტს, სასიცოცხლო უნარი საქმაოდ დაქვეითებული ექნებოდა. ეს კი -ენ-ის სიძველის მაუწყებელია. გამოდის, რომ -ენ ერთ-ერთი უძვე-

<sup>1</sup> ტექსტები დაბეჭდილია პრაფ. ა. შანიძის მიერ „წელიწადულში“.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, კან.-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკ., გვ. 337.

ღესი საწარმოებელი ბოლოსართია მოქმედებითი გვარის ზმნებისა.

დასკვნა. 1. მოქმედებითი გვარის ზმნათა საწარმოებელ ელემენტებს შორის, როგორცაა -ებ, -ემ, -ავ, -ამ და სხვა, უნდა დასახელებულ იქნეს -ენ სუფიქსიც.

2. -ენ'ს ძალუძს ფუძის შეკუმშვა და თვითონაც ექვემდებარება რედუქციას (კნსა ← \*კს-ენ-ა; კმენ ← \*კამ-ენ). ჩანს, ერთდროულად ორი ხმოვნის ამოღება შეიძლება.

3. -ნ ← -ენ გვხვდება: ა) ზოგჯერ მხოლოდ ნაზმნარ სახელებში, ბ) დროთა პირველ სერიაში, გ) შეხორცების შედეგად ძირში და ამის გამო დროთა მეორე სერიაში. -ენ'ის ამგვარი გამოყენება ამჟღავნებს, რომ ის უძველესი სუფიქსთაგანია.

4. -ენ ისეთსავე მიმართებაშია ამ შემთხვევაში -ებ ბოლოსართთან, როგორც გვაქვს სახელთა მრ. რიცხვში (კაც-ნი და კაც-ებ-ი), ვნებითი გვარის ზმნებში (სვან. ლენტეხურად კედ ენ-'მოდის' და ქართ. კედ-ებ-ის), თურმეობით I-ში (უსესხ-ებ-ია და უსესხ-ნ-ია ← \*უსესხ-ენ-ია) და სხ. ეს გარემოებაც -ენ'ის სიძველეზე მიგვითითებს.

5. -ენ'ის სუფიქსობა შესაძლებლობას იძლევა პირველადი ძირის გამოყოფისას და სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობის დადგენისას.

## 2. მ — არ აფიქსები ქართულ სახელწვრი

მ — არ (დისიმილაციის შემთხვევაში მ — ალ) (ნობილი აფიქსებია ვნებითის მიმღობისა (მ-კვდ-არ-ი, და-მ-დგ-არ-ი, მ-კრთ-ალ-ი...)). ესენი ზოგჯერ მოქმედებითი გვარის მიმღობასაც აწარმოებენ: მ-ხატვ-არ-ი (გვარიც არის), მ-კვლევ-არ-ი, მ-ღებ-არ-ი (აქედან გვარი: მღებრიშვილი), მ-ზაკვ-არ-ი, მ-კბენ-არ-ი და სხვა. ფონეტიკურ ნიადაგზე, თუ სხვა მიზეზით, შესაძლებელია პრეფიქსი მ- დაიკარგოს; მაგ.: ბრწყინვ-ალე (← \*მ-ბრწყინვ-ალე, შდრ. მ-ხურვ-ალე), ცხოვ-არ-ი (← \*მ-ცხოვ-არ-ი). თუ პირველ შემთხვევაში მ- გაქრა მომდევნო ბაგის-მიერი ბგერის ბს ზეგავლენით (\*მ-ბრწყინვალე, შდრ. მ-ფრინველი → ფრინველი), ცხოვარ'ში კი მ'ს გაუჩინარება სხვა გარემოებით აიხსნება.

ცხოვარ'ის მსგავსად არის ნაწარმოები ქმ-არ-ი, რომლის ფონეტიკურ-სემანტიკური ეკვივალენტია მეგრ. ქომ-ონჯ-ი || ქომ-ოჯ-ი. ძირია ქამ (მეგრ. ქომ), რედუქციით ქმ (ნ. ქმენ), და ბოლოსართია -არ (მეგრ. -ონჯ || -ოჯ<sup>1</sup>), მ- თავსართი არ ჩანს: \*მ-ქმ-არ-ი → ქმ-არ-ი<sup>2</sup>. პრეფიქს მ-ს დაკარგვა ან ფონეტიკურ ნიადაგზე მოხდა (მ ქმ...), ან მისი გაქრობის მიზეზი არაენობრივს სამყაროში

<sup>1</sup> ავტორის -ენჯ სუფიქსი მეგრულში: ენიშკის მოამბე, I, გვ. 142—144.

<sup>2</sup> ქმარ'ის ამგვარი წარმოშობა აღნიშნული ჰქონდა თ. ქორ დანიას თავის „ქართ-გრამმატიკაში“, გვ. 98. მისი ეტიმოლოგია და შესატყვისები მთელი სისავსით მოცემული აქვს აკად ივ. ჯაკვახიშვილს თავის მასალებით უხესა და გონებამახვილური მოსახრებებით მდიდარს გამოკვლევაში (ქართ. და კავ. ენების თავდაპ. ბუნება და ნათესაობა, გვ. 226—228).

უნდა ვეძიოთ. ამგვარად, ირკვევა, ერთი მხრით, ქმარ სიტყვის გენეზისი და, მეორე მხრით, ქმნა'ში ნს არაძირეულობა.

მ. — არ აფიქსების შემცველად ჩანს ზამთარიც.

ზამთარი, როგორც წლის ერთ-ერთი დროის აღმნიშვნელი, ძველ ქართულში გვხვდება: „ზამთარი იყო“ (ადიშ., იე X, 27); „და ეგრევე ჰგინ ზაფხულსა და ზამთარსა“ (ტრ, III, ლს<sub>12-13</sub>)... ამ სიტყვის ეტიმოლოგიის ცდა მოცემული აქვთ მ. ჯანაშვილს, პ. ჯარაიასა და ნ. მარს. პ. ჯარაია სამართლიანად უპირისპირებს მას ზაფხულს და ასე ანაწევრებს: „ზამთარი“, ხოლო მის მეგრულ შესატყვისს „ზო-თონ-ჯი“; ნ. მარი კი არ იზიარებს ამას და იქვე იძლევა საკუთარ ანალიზს, პირველისათვის — „ზამთ-არ-ი“ და მეორისათვის — „ზო-თონ-ჯი“ (Об отн. аѣх. яз., გვ. 36). შემდეგში მრავალჯერ შეხებია ნ. მარი ამ სიტყვას და, მიუხედავად ნაირ-ნაირი ეკვივალენტის მონახვისა და გააზრებისა, დაახლოებით მაინც ერთნაირად შლის: „...თარ «зима (холод)», также... ზამ-თარ «зима», букв. «год зимний (холода)», так как в первой части мы имеем сван. ზაჟ || ზამ/\*ზამ → ზაბ → ზაფ, означющее «год»... ხოლო მეგრული ზოთონჯის მისაღებად „თარ подвергся изменению по норме шипящей группы, перегласовке а/о и перебою р ~ бჯ: -თონჯ..., но ზ в первой части остался все-таки без изменения... по-мегрельски «зима» ზო-თონჯ-ი, букв. опять таки «год зимний (холода)», точное соответствие грузинскому ზამ-თარ («ზაჟ-თარ»)¹.

სხვა წერილში სიტყვის მეორე ნაწილი დაკავშირებული აქვს თოვლ'თან, მეგრ. თირ'თან: „... ზამ-თარ 'зима', буквально 'год снега', 'холодный год'².

ამგვარად, ნ. მარი თ ჩვენთვის საინტერესო სიტყვა წარმოგვიდგება ზამ-თარ-ი, ზო-თონჯ-ის სახით, სადაც ზამ სვანური 'წელიწადი'ა და თარ 'თოვლი', და აღნიშნავს „თოვლის წელიწადს“.

მ. ჯანაშვილი თ „ზა ნიშნავს მიმავლობას, განუწყვეტელ სრბოლას წინისკენ... და მისგან გვაქვს ... ქართ. ზა-ფხული ... ზამთარი („მთარი“ = მეგრ. თირი — თოვლი, ინგ. თირთვილი = რთვილი“: „ნაშრომი“; ტფ. 1907, გვ. 81).

ამათგან ჩვენთვის მისაღებია, ერთი მხრით, მ. ჯანაშვილისა და პ. ჯარაიას ანალიზი იმდენად, რამდენადაც ისინი ზას დამოუკიდებლად მიიჩნევენ, და, მეორე მხრით, მ. ჯანაშვილისა და ნ. მარის ეტიმოლოგიებიდან — ზა'ს სვანურად გამოცხადება² და მთარ'ის თოვლ'თან დაკავშირება. ზა- მართლაც სვანურიდან უნდა იყოს შემოსული. მისი სახეა ზამა ('წელი', ლგ-ზამა 'წლისა', 'წლიანი'; ზამ-ამ-შ 'წლისა, წლიური'). რაც შეეხება ზაჟ თორ-მას, ის ხშირად ზმნისართებში გვევლინება: ამ ზაჟ 'წელს' („ამ წელს“), ზაჟდ 'გაისად'... ზაჟლადელ და სხვა. ე (ზაჟ'ში) ფუძის კუთვნილებათ, თუ ბრუნვის ნიშანი, ეს გამოსარკვევია, მაგრამ აშკარაა, რომ „ზამთარ“სა და „ზაფ-

¹ Заметки по яфетическим клинописям (ИРАИМК, 1924, т. III, გვ. 302—3).

² Н. Я. Марр, Ивранинские работы, III, 333; აგრეთვე ტ. II, გვ. 216—218, 222—223.

აქ საკუთარ არ არის შევებით ნ. მარის პალეონტოლოგიურ ძიებებს, წარმოდგენილს ამ სიტყვასთან დაკავშირებულ თ. ისინი იმავე ღირსებისანი არიან, როგორც ქსხე ძიებება, დამჯარებული მეთოდოლოგიურად დაუშვებელ ოთხ ელემენტზე.



ხულ“ში ნ. მარის მიერ გამოყოფილი „ზაჲ“ კი არ უნდა გვექონდეს, არამედ „ზა“. ამას ამტკიცებენ, ერთი მხრით, მეგრული ზო-თონჯი 'ზამთარი', სადაც ზო-ს შესატყვისი ზა- გვაქვს, სვან. ლუ-ფხჷ და აფხაზური ა-ფხგზ 'ზაფხული'<sup>1</sup>, საიდანაც ჩანს, რომ ფ არ განეკუთვნება ზა-ს. და, მეორე მხრით, ჩვენი ანალიზი: ზა + მ-თ-არ-ი. ზა- ქართულ-მეგრულში უკანასკნელთა დაშორებადგა გადმოსული სვანურიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ხმოვანთა შესატყვისობას არ ექნებოდა ადგილი<sup>2</sup>. მთარ ნაწილს კი თოველ'თან და თირ'თან საერთო აქვს მხოლოდ ძირი. შემთხვევა გვექონდა დაგვედგანა, რომ ქართული თოვე-ს, მეგრ. თუნ-ს, ჰან. თუმ-ს, მ-თუფს და სვან. შდუ[ქ]ე და ნაზჰ-ნარი სახელები თოვე-ლ-ი, მეგრ. თირ-ი, ჰან: თვირ-ი || მ-თვირ-ი შეიცავენ ძირს თჷ<sup>3</sup>, რომლის ჷ სხვადასხვა მიზეზით არ ჩანს თოვე-ს'სა (-\*თჷ+ოვე-ს: ჷ დაიქარგა ფონეტიკურ ნიადაგზე) და თ-ირ'ში... უთუოდ ეს თ ძირი მოგვეპოვება მთარ'ში, მ-—არ კი ზემოვანხილული მიმღეობის საწარმოებელი აფიქსებია. ამგვარად, ზამთარი იშლება ზა + მ-თ-არ-ი და ნიშნავს „წელიწადს მთოველს“ და არა «год зимний (холода)» ან «год снега»<sup>4</sup>.

მეგრული ზოთონჯი სრული ეკვივალენტია ზამთარ სიტყვისა. უკანასკნელის მსგავსად ისიც იშლება: ზო + თ-ონჯ-ი 'ზა + მ-თ-არ-ი': ზო = ზა, თ = თ, ონჯ = არ. მართალია, ქართ. მ'ს შესაფარდი მეგრულში არ ჩანს, მაგრამ ის არ ჩანდა აგრეთვე ქმ-არ'ის შესატყვისის ქომ-ონჯ || ქომ-ოჯ'ში.

დასკვნა. 1. მ- — არ აფიქსებიტაა ნაწარმოები ზა + მ-თ-არ-ისე, როგორც ქმ-არ-ი. უკანასკნელი შეიცავს ძირს ჰაჷ → ჰჷ, წარმოდგენილს ჰმ-ნ-ა'ში და პირველი — თ ძირს. მოცემულს თოვე-ს, თოველ'ში.

2. ზამთარი შეღებვა ორი ნაწილისაგან: ზა (სვან. ზაჷ 'წელიწადი') + ჰთარი — მიმღეობა 'მთოველი'; ზა + მ-თ-არ-ი აღნიშნავს „წელიწადს მთოველს“.

3. მ- — არ'ის ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატყვისია მეგრულში (მ) — ონჯ: ზა-მ-თ-არ-ი = ზო-თ-ონჯ-ი, ქმ-არ-ი = ქომ-ონჯ-ი (შდრ. სა-ვარცხ-ალ-ი ← \*სა ვარცხ-არ-ი = ორცხ-ონჯ-ი).

<sup>1</sup> რომ „ზაფხულ“ში ჲ წარმომდგარი იყოს თითქოს ქართ. სა- პრეფიქსისაგან და არა- უფრო საერთო ჰქონდეს მას სვან. „ზა“-სთან, ან „ზამთარ“ის ჲ ძირეული იყოს და არა შემადგენელი ნაწილი, — ეს მოსაზრება, გამოთქვული ნ. მარის მიერ 1913 წ. (Из лингв. поездами в Абхазию, გვ. 316—317 და 363), უარყოფილია მის მიერვე (5. ხევიტ). ზა-სა და სა პრეფიქსის ურთიერთობის შესახებ კოტეჯის დასმაც კი არ შეიძლება.

<sup>2</sup> შდრ. ნ. მარის, Заметки по яф. клинописям, გვ. 302.

<sup>3</sup> ავტორის ფონეტიკური დაკვ. ქართვ. ენებში, I: „მიმოზილველი“, გვ. 202.

<sup>4</sup> ოგი არც სპარსულიდანაა ნასესხები (სპ. سانس: ი. აბ ჯ ლ ა ძ ე, XII საუკ. ქართ. მწერლ. და ვეფხისტყა., ტფ. 1922, გვ. 102; შდრ. ბროსეს წინასიტყ. და ჩუბინაშვილი იუს ქართ.-რუს.-ფრანგ. ლექსიკონში, ს.-პეტერბ. 1840, გვ. არაა ნაჩვენები).

საინტერესოა პ. უსლარის აზრი აფხ. აძენ'ის ('ზამთარი') შესახებ: „Быть может, название это происходит от адж [вода], так как зима дождливое время года в Абхазии“ (Абх. яз., Тфл. 1887, გვ. 137). მართლაც, თუ პ. ქარაიას მიერ განმარტებულ -ნს-პოლიგონებთ (Ор. ел. 36), მაშინ აძენა—ძენა და ნიშნავს „წყლის დროს“<sup>5</sup>. მართი თაძენ-ანი... собственно „время дождя“ или „дождливое время“ (რე, X, გვ. 340).



4. ქ. კვარცხ(ლბერკი) = მ. კუჩხ-ი = სევან. ჭიშხ (მეგრ.-სევან. შესატყუე-სობები აღნიშნული ჰქონდა ნ. მარს Тур.-к. вклад в с.в., 1094, ხოლო ქართ. ეკვივალენტი დაასახელა ა. შანიძემ).

5. ქ. ცეშა = მ. ჩაშა 'ქმევა' = სევან. ლი-შხ-ე 'საკრავის დაკერა'.

6. ქ. აღმო-ცენ-ება = მ. ჩან-აუა = სევან. ლი-შხ-ე 'ხილის მოსხმა', უნ-შენ-ე 'მოისხა'.

7. ქ. ვაც-ი = მ. ოჩ-ი = სევან. ლ-ვაშ<sup>1</sup> 'ჯიხვი' (მაშალი) და სხ.

აშკარად ჩანს, რომ ქართ. ც = მეგრ. ჩ და სევან. შ. ვიცით, რომ ცე-ცხ-ლი = მეგრ. და-ჩხ-ირ-ი; მაგრამ რა უნდა იყოს სევანურში ამათი ეკვივალენტი? შედარებითი ფონეტიკის ჩვენებით ცე ცხ ლ- და ჩხ იჭ' ის შესატყუისი სევანურში იქნება შხ ძირის შემცველი სიტყვა; ასეთია ლი-შხ-ი ('წვა')<sup>2</sup>, ლე-შხ-ი ('საწვავი'), რომლის ძირი შხ ზღვსაც ცოცხალია და აღნიშნავს 'ნახშირს'. ამდენად ლი-შხ-ი ← \*ლი-შხ-ი შესაძლებელია ნაწარმოები იყოს შხხ ('ნახშირი') სიტყვისაგან და პირველად აღნიშნავდა 'დანახშირება' → 'წვა'ს.

საფიქრებელია, რომ ამავე შხ'ს შეიცავს სიტყვა ნა-შხ-ირ-ი, ნასესხები მეგრულიდან შხ-ირ-ი'ს სახით, რაც წარმოადგენდა ალბათ ნამყოს მიმღობას და ნიშნავდა 'მწვარს', და ქართულში დამატებული აქვს მას ნა- თავსართი და მეტათეზისთა მომხდარი: ნა + შხ-ირ-ი<sup>3</sup> → ნა-ხშირ-ი. ნა-ხშირ ფორმა ისევე მეგრულშია გადასული და ნაწილობრივ დაქვემდებარებულია მეგრულ ფონეტიკურ წესებს, რის გამოც გვაქვს ნო-შქ-ერ-ი. შხ ძირი უნდა მოგვეპოვებოდეს სიტყვა ში-შხ-ინ'ში (← \*ში-შხ-ინ-ი; შდრ. შიშინი, სიციინი → სიცილი... ს. ჯანაშიას ჩვენებით), რაც ნიშნავს 'ქონიანის წვის ხმას', შა-შხ'ში და სხ.

მეგრულ-სევანური ადრინდელი შხ ძირი უცვლელად შემოგვენახა სევანურში, ჩხ'დ იქცა მეგრულში და ცხ ეკვივალენტი მოგვევლინა ქართულში. ამ ძირთა შემცველი სიტყვებია:

ქართულში:	მეგრულში:	სევანურში:
ცე-ცხ-ლი <sup>4</sup>	და-ჩხ-ირი	შხხ 'ნახშირი'
სი-ცხ-ე	სი-ნ-ჩხ-ე	ლი-შხ-ი 'წვა' და
ცხ-ელი	ჩხ-ე	ამისგან ნაწარმოები
ცხ-ელა; ს-ცხ-ავ-ს	ჩხ-ანა 'შზე, жар'	სიტყვები
და-ცხ-ა	გეუ-ჩხ-ანუ	
ცხ-უნება; ცხ-ელება	ჩხ-ურუ 'სიცივე' და სხვ.	
მ-ცხ-ინვარება და სხ.		

ცხ-ობა, ცხ-ე-ა (აზლის კვერი ცხვა, ცხვა...<sup>4</sup>) სიტყვებიც ცხ ძირს შე-იცავენ და აშკარაპყოფენ მის პირვანდელ მნიშვნელობას — 'წვა'ს.

<sup>1</sup> ლ'ს შესახებ ცალკე.

<sup>2</sup> ასეთი შეპირისპირება მოცემული იყო ერთერთ წერილში.

<sup>3</sup> აღმოსავლური დიალექტები იცავენ ამ ძველ სახეს.

<sup>4</sup> ცეცხლი, ნაკვერცხალი, ნახშირი, ცხელი ნ. არნ. ჩიქო ბ ა ვ ა ს კან-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკონში

ამგვარად, სე-ცხ-ლ-ი და და-ჩხ-ირ-ი შეიცავენ სე- და და- დანიშნულების თავსართებს და -ცხ- და -ჩხ- ძირის მიხედვით აღნიშნავენ 'საწვავს', 'წვისათვის დანიშნულს', 'იარაღს, რითაც წვა შეიძლება'.

დასკვნა. 1. ქართ. ც = მეგრ.-ქან. ჩ = სვან. შ.

2. ამის კვალობაზე ქართ. ცეცხლის, მეგრ.-ქან. დაჩხირის შესატყვი-სად სვანურში გვაქვს ლეშხი (←\*ლე-ჩხ-ი), სადაც დანიშნულების პრეფიქსე-ბია: ცე-← ხე-, და- და ლე- და სუფიქსებად გამოიყოფა -ლ-, -ირ და -ი, ცხ, ჩხ ძირები, სვან. შხის შესატყვისი, ქართულსა და მეგრულში შეკუმშული ჩანს.

3. სვანურის მიხედვით ცე-ცხ-ლ-ის, და-ჩხ-ირ-ის პირველადი მნიშვნე-ლობა იყო 'საწვავი'.

4. ცხ, ჩხ ძირების შემცველი ცხ-ელი, ს-ცხ-ავს, ცხ-ობა... ჩხ-ე, ჩხ-ანა... სიტყვებიც ამართლებენ მათ (ძირთა) აღრინდელ მნიშვნელობას — 'წვა'ს.

#### 4.-აბა სუფიქსი პართულში

სვანურში მოქმედ სიტყვათსაწარმოებელ ფორმანტთა შორის საქმაოღ გავრცელებულია -ჯაქ ბოლოსართი. ის დაერთვის სახელებს და აქცევს მათ ზედსართავად, აძლევს მნიშვნელობას მასალისას; მაგ.:

აეხე 'ცოლი': აეხეაქ 'საცოლე' (ჩოლურულად)

ღაბ 'ყანა': ღაბაქ 'საყანე'

ქაშ 'ქმარი': ქაშაქ 'საქმრო' და სხვა

-ჯაქ სუფიქსში ჯ ორგანული ნაწილი არ არის; ეს მტკიცდება იმით, რომ მას ზღაპრის გამოწვევა არ შეუძლია: ქორ 'სახლი', მაგრამ ქორჯაქ 'სა-სახლე' (მასალა)... ჯაქ არც პირვანდელი სახითაა წარმოდგენილი: ის ნათესაო-ბითში აღიდგენს მოკვეცილ -აჰს; მაგ.:

სახ. ქორაქ 'სასახლე'	ნათ. ქორჯაქაშ	'სასახლე (მასალისა)'
ღაბაქ 'საყანე'	ღაბაქაშ	'საყანისა'...

ამგვარადვე უნდა იყოს ნაწარმოები ლოლაქ 'ცხვარი', ნათ.-ში იქნება ლო-ლაქაშ 'ცხვისა'¹.

ჩანს, ჯ ორგანული წევრი სუფიქსისა არაა, -ა მოკვეცილია; მაშ პირ-ვანდელი სახე იქნებოდა -აქა.

ხსენებული -აქა დაცული ჩანს ქართ. კინკრაქა სიტყვაში. იგი ნაწარ-მოები უნდა იყოს კინკარ სიტყვისაგან -აქა'ს საშუალებით: \*კინკარ-აქა → კინკრაქა (-აქა რედუქციას იწვევს) და უნდა ნიშნავდეს 'საქინკრე'ს. მცენა-რეთაგან ფრინველების სახელწოდების წარმოება ცნობილია ქართულში: მე-ლეღე-ია, მეგრ. მე-ბულეკ-იე 'მებოლოკია' და სხ.

თუ ეს ასეა, მაშინ ეგების მეგრ. ცინჭა, ქან. ცურჭა ნაწარმოები იყოს ცურჭედე'საგან ('კინკარი'), თუ არადა ისინი ნასესხები იქნებიან ქართულიდან ბოლო ნაწილის მოკვეცილთა და ნ და რ'ს ჩართვით.

¹ - ა რომ ფუძის ნაწილია, ამის შესახებ ნ. ავტორის წერილი: სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში: „ტფ. უნივ. მოამბე“, VI, გვ. 301 და სხ.

საინტერესოა, რომ რუსულშიც ამ ფრინველის სახელი — крапивник წარმომდგარია крапива 'საგან' ('კინკარი').

დასკენა. 1. სივრცეში სიტყვის საწარმოებელი ფორმანტის -აჰქის პირ-ვანდელი სახეა -აქა (-აქა?). იგი დაცულია ქართულშიც.

2. -აქა ბოლოსართით ნაწარმოებია კინკრაქა კინკარ სიტყვისაგან: \*კინკარ-აქა → (რედუქციით) კინკრაქა<sup>1</sup> და ნიშნავს „საკინკრეს“, „კინკრისათვის დანიშნულს“. ამდენად, კინკრაქა რთული ფუძე არაა<sup>2</sup>.

3. კინკრაქა გვიჩვენებს, რომ ძველი ფორმაა კინკარი. ამდენად სალიტერატურო ენაში უნდა დარჩეს ფორმა კინკარი.

## В. Топурия

### Заметки по словообразованию в картвельских языках

#### (Резюме)

Словообразовательными аффиксами в грузинском языке являются -с -и (← \* -ს -ი), მ- — -არ m- — ar, ს-ს se- и -აქა -აკა. Суффикс -ბ -ი использован для образования глаголов действительного залога, მ- — -არ m- — ar — причастий настоящего времени, ს-ს se- — причастий будущего вр. или имен орудия и -აქა -აკა — имен, выражающих предназначение. Выявив функцию вышеназванных аффиксов, автор статьи дает этимологию грузинских слов ზამთარი za-m-i-ar-i 'зима', ცეცხლი se-sx-i-i 'огонь' и კინკრაქა kinkra-aka 'крапивник' (пташка).

<sup>1</sup> აკად. ნ. მარს ჰინკრაქა ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებულ სახეცვლილებად მიაჩნდა ძირგაოკეცებული სომხ. სიტყვისა ჳაჳიჳ, ჳაჳიჳჳ ('ბელურა'), რომელთა თითქოსდა ადრინდელი საერთო ძირი ჰურ მას დაცული ეგონა ანუ. რედუქტივიზირებულ სიტყვაში -ჳგჳჳჳ- 'კიკიკი' და ანის გამო ჳაჳიჳჳ სთარგმნიდა 'пешуния, чиркающая' (К вопр. о пол. ანხ. яз. среди яф., Спб. 1912, გვ. 28—29). 1915 წ. დაბეჭდილ გამოკვლევაში ეს მოსაზრება უარყოფილია და კინკრაქა მიჩნეულია კინკარ სიტყვისაგან ნაწარმოებ მრჩობლდაბოლოებთან ფორმად მრ. რიცხვისა (კინკ+რა-ქა: Яф. назв. пер. и растений, გვ. 835, 839, 849, 939). 1921 წელს ჳაჳიჳჳ სიტყვის შესახებ დაბეჭდილ შენიშვნაში კი ჰინკრაქა მას კვლავ დაკავშირებული აქვს ჰინკართან (როგორც крапивник — крапива-სთან) და, ეტყობა, ქა'ს შესახებ ახრი არ შეუცვლია (ყურნ. ჳაჳიჳჳჳ М. შიორიძე, 1921, № 3—4, გვ. 227. მოიპოვება რუსული თარგმანიც). ჩვენი წერილი შეკრული იყო, როდესაც ამ შენიშვნაზე მიგვითითა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოკახსენებ.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, კან.-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკ., გვ. 107.

### 3. თოჟური

## ქართულურ ენათა სიტყვაწარმოებიდან

### IV

#### ხმოვანთავსართოვანი სახელები

1. სიტყვაწარმოებითს პრეფიქსებში ყველაზე უფრო პროდუქტიულია ქართულში ხ- და სვანურში ლ- ელემენტიათა თავსართები. მრავალგზის იყო ნაჩვენები, რომ ხა-, ხე-, ხე- პრეფიქსთა ფუნქციაა აწარმოოს ადგილის, დროის, იარაღის, დანიშნულების თუ აბსტრაქტულობის გამომხატველი სიტყვა როგორც სახელისაგან, ისე ზმნისაგან. მათი მორფოლოგიური ეკვივალენტია აწ უქმი ნა-, ნე-, ნი- თავსართები.

სვანურში ამ ორი სახეობიდან მხოლოდ უკანასკნელია დაცული და ისიც გადმონაშთს წარმოადგენს. სამაგიეროდ მისი ფონეტიკური სახეცვლილება ლა-, ლე-, ლი- ისევე ცოცხალი და აქტიურია, როგორადაც ხა-, ხე- ქართულში<sup>1</sup>.

ზანური მისდევს ქართულს. აქაც ორგვარი თავსართია: ერთია ნ- და მისი მონაცვლე ლ- ელემენტი — საერთო პრეფიქსი ქართულ-სვანურთან — და მეორეა ოდენ ხმოვანთავსართი, შესატყვისი ქართულ ხა-, ხე- ხე- ნიშნებისა.

ლა-, ლე- თავსართი გამოყოფილი აქვს ი. ყიფშიძეს გეოგრაფიულ სახელებს გარდა მეგრულ სიტყვებში: ლა-გვიმორია 'გვიმრა', ლა-კადა 'დაღმართი სოფ. ჯუმთან' (ზუგდიდის რ.), ლა-პარტყია 'ბრტყელი', ლა-ფართია 'ფართო', ლა-ტყუაია 'უხეირო თოფი...' (მეგრ. ლექსიკ.). ლა-ს შეიცავს ალბათ ლა-ფაჩ-ეც 'შილიფად', თუ იგი მიღებულია ფაჩ-უ-ა საგან 'შლა'.

ნ/ლ ხმოვანთავსართ თავსართად არის მიჩნეული მეგრულსა და ქანურში მთელ რიგ მაგალითებში, როგორიცაა: ქან. ნე-ნა 'ენა', ნუ-კუ 'ნიკაპი'... ლა-რდე 'ნედლი', ლე-მში 'ნემსი', ლუ-მჯ-ი 'სალამო'...<sup>2</sup>

ეგვეე ლა- ჩანს ქართულში:

ლა-ჩა-ა, მეგრ. ნა-რა-ა — საერთო ძარი რ ჩ უნდა ჰქონდეს ნე-რა ჩ' თან და სა-რა ჩ-ულ' თან.

<sup>1</sup> ლიტერატურა დასახელებულია და სათანადო მაგალითებიც მოყვანილი ჩვენს წერილში „ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის“; თბილისის სახ. უნივ. შრომათა, ტ. VI, გვ. 83—92.

<sup>2</sup> დაწვრილებით არნ. ჩიკობავა, ქან.-მეგრ.-ქართ. შედარებითი ლექსიკონი; სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვ. ენებში, გვ. 193 და სხვ.

ლა-რტყა (ლა-რტყი: ვ. ბერიძე)<sup>1</sup> — აქაც რ-ტყ ძირი საერთო უნდა იყოს მო-რტყ-მა და სა-რტყ-ელ'თან.

ლა-თარ-ო/ე 'სახლის გვერდზე გადმოხურული კედლების სიმშრილეში დასა-ცავად'<sup>2</sup> აშკარაა, წარმოქმნილია ფარ-ვა'საგან ლა — ე/ო აფიქსებით.

ლა-თაფ-ი და სა-თაფ-ური 'აყარი'<sup>3</sup> — შეპირისპირებულიანაც ჩანს, რომ ლა-თაფსართია.

ლა-ბახ-ო 'ალაგე, ლობეზე გადასასვლელი ადგილი'<sup>1</sup>, მეგრ. ლა-ბახ-უ (გვარი ლაბახუა), ცტყობა, ნაწარმოებია ბახ ძირისაგან ლა — ე სართებით. ბახ და სეან. ბჷკ იგივეა, რაც ფერკი, და სხვა.

ნარნარა წ/ლ ელემენტის პრეფიქსების პარალელურად ქართველურ ენებში, კერძოდ კი ზანურში, დ-თავსართიც იზბრებოდა ამავე ხმოვნებთან ერთად; მაგ.:

ქან. და-ჩხ-ურ-ი = ცე-ცხ-ლი  
 „ დუ-ცხ-უ = ცა-ცხ-ვი და ა. შ.<sup>2</sup>

რაც შეეხება ქართ. ხა-, ხა- პრეფიქსებს, იგი ხშირია მეგრულში (და იშვიათი სვანურში) არა მარტო ქართულიდან შეუღლ სიტყვებში, არამედ მეგრულ-შივე ნაწარმოებ სახელეუბნივ, როგორცაა გეოგრაფიული სახელეუბრი და სხვა, მაგრამ ცხადია მათი (პრეფიქსთა) გვიანდელი ნასესხობა; მაგ.: სა-ჯიმალო 'საძმო', სი-სერა 'სალამობა'... სა-ბოკუჩაო, სა-მარგალო 'სამეგრელო' და სხვ.<sup>3</sup>

ამგვარად, მივიღო

ქართულში:	სვანურში:	ზანურში:
ნა- (    ლა- )	(ნა-) → ლა-	ნა-    ლა-
ნე-	(ნე-) → ლე-	ნე-    ლე-
ნი-	(ნი-) → ლი-	ნი-    ლი-
		↙ ნუ-
და-	და-	და-
*დე-	დე-	*დე-
დი-	*დი-	დი-
დო-	დო-	დო-
↘ დუ-	↘ დუ-	↘ დუ-
სა-	სა-	სა-
სე-	—	—
სი-	—	— სი-

ამათგან საერთოა ქართველურ ენებში წ- და დ-, ცალკე დვას ქართული ხ-: უკანასკნელს ფონეტიკური შესატყვისი არ მოეპოვება ზანურ-სვანურში.

<sup>1</sup> ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა, პეტერბ. 1917.

<sup>2</sup> არნ. ჩიკობაძე, საბელის ფუნქს აკტბ. 192—3 და სხვა.

<sup>3</sup> ი. ყიფშიძე, Грамм. мшгр. яз., გვ. 0129.

ლ- ბგერინაცვალაი ნ-სი, ხოლო ნ- და ხ- ერთმანეთს უპირისპირდება, როგორც სხედასხვა ფენის მონაცემები.

საგულისხმოა ისიც, რომ ნაირ-ნაირ ნ-/ლ-, ღ-, ხ- თანხმოვნებს თან ახლავს ერთნაირი ხმოვნები ა ე ი ო → უ (ზანური ო ფარდია ქართ. ა-სი), ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, მხოლოდ ე-/ი- ო- ხმოვანთავსართებია წარმოდგენილი ანალოგურ შემთხვევებში ზანურში და ისიც თითქოს სპეციფიკური ჩანს ქანურ-მეგრულისათვის.

ე- პრეფიქსიანი მაგალითები ისევე ცოტაა ზანურში, როგორც ხე- თავ-სართიანი ქართულში. ნ. მარი აღნიშნავს: „ე წმინდა თებალ-კაინური ხასიათია II ქცევის ზნათა (§ 119 ა), იგი თავსართია მოქმედების სახელთა და საერთოდ სახელთა“: ე-ზმოჯა 'სიზმარი', ე-ენა 'კარი' (ლექსიკ.), მეგრ. ე-სხერი 'სესხი'...

ო კი „თებალ-კაინური ხასიათია III და აგრეთვე IV ქცევის ზნათა: 1) ეს პრეფიქსი, ე სუფიქსთან ერთად, აწარმოებს არსებით სახელთაგან ადგილის სახელებს...: ო-ფუტე-ე 'სახლის მიდამო', ო-ჯუმალ-ე 'სამარილე', 2) იძლევა, -აღ-ე ბოლოსართებთან ერთად, იარაღის სახელებს, მაგ.: ო-ქოს-აღ-ე 'ცოცხი'... (§ 119 ბ).

ამასვე ამბობს ი. ყიფშიძე მეგრულის მიმართ: „ო ხასიათი არსებით სახელთაგან -ე სუფიქსის მეშვეობით წარმოაქმნის ადგილისა და დანიშნულების სახელებს: ო-ცხენ-ე 'საცხენო, თავლა'..., ხოლო ზნის ფუძეთაგან -აღ- ბოლოსართის დართვით მომავლის მიმღობას, იარაღის სახელებს: ო-კომ-აღ-ი 'საქმელი'... ო-ხვამ-ე 'სალოცავი, ეკლესია'... (§ 128 კ).

მაშასადამე, თანხმოვანელემენტის (ნა-/ლა-, და-, სა-...) პრეფიქსების გვერდით ზანურში ხმოვანთავსართები (ე-/ი-, ო-) იხმარება და დღეს პროდუქტიულია სწორედ უკანასკნელი — ო.

რა მიმართებაშია ზანური ხმოვანთავსართები თანხმოვანელემენტის თავსართებთან? ახსნა მოცემულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

ნ. მარის აზრით, სა-, ხე-ს შესატყვისად ქანურში მოსალოდნელი შო-, შე-, რეჟი. ში-ს ელემენტი შ გადავიდა ე-დ და ხმოვანთა წინ ე გაქრა (ეე-/ეი-, ეო → ეი, ო), ხოლო ე-ს „рупои поддем в виде d“ დატულია დე-, დო-პრეფიქსებში (ქან. გრამ. § 119 ს—ძ).

ი. ყიფშიძის ვარაუდით ო მიღებულია დო-საგან დ თანხმოვნის დაკარგვით (მეგრ. გრამ. § 128 ს), ხოლო არნ. ჩიქობავას სიტყვით აღრინდელი აა-|| ზა-, სადაც ა/ჰ გარდამავალი ბგერაა. „ა/ჰა ქართულში ხა-დ იქცა, შო-მ მეგრულში მოგვცა -ო-...“ (შედარ. ლექსიკ. 240).

სამივე ახსნა სხედასხვაგვარია, ერთმანეთის საწინააღმდეგო და ამდენად სადავო. არ ვიცით შემთხვევა, რომ შ იქცეოდეს ე-დ და შემდეგ ის ქრებოდეს, ან ე გადადიოდეს დ-დ; არც ის დასტურდება, რომ დ უკვალოდ იკარგებოდეს.

<sup>1</sup> Н. Марр, Грамм. чанского яз., Петерб. 1910

<sup>2</sup> И. Кишкис, Грамм. шхур. яз., Петерб. 1914.

- შედარ. ლექსიკ. 151.



ძნელი სამტკიცებელია აგრეთვე, რომ **ა**:**შ** ადრინდელი პრეფიქსული ელემენტი იყოს და ნისგან **ხ** მიიღებოდეს; პირიქით კი — **ხ** იქცეს **ა** ან **ჰ**-დ, ან კიდევ ხმოვნის წინ **ა** თუ **ჰ** განეითარდეს, ადელი დასაჯერებელია. მოსაგონარია ისიც, რომ **ხ** **ნ** **ლ** **რ** **დ** პრეფიქსთა წყებაში **ა**:**შ** არა ჩანს. მაშასადამე, ზანურის ხმოვანთაესართთა გენეზისი დამაკმაყოფილებლად არაა ახსნილი.

**შ**. ხმოვანთაესართული წარმოება, სპეციფიკური დღეს ზანურისათვის, დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართულისა და სვანურისათვისაც. საამისო მაგალითები, მოღწეული გადმონაშთის სახით, მოიპოვება არცთუ მცირე. დავასახელებთ უდავოებს.

**ა პრეფიქსიანები:**

**ა-ბანო** სახელია. აქედან წარმომდგარია გეოგრაფიული სახელები: აბანოეთი, აბანოები, აბანოსწყალი... იგი შესულია მეგრულსა და სვანურში: აბანა, აბანო. ა-ბან-ო წარმოქმნილია ზმნისაგან ბან-ს, უკანასკნელი კი ძველ ქართულშიც შემოგვენახა: „ვიდრე არა გაჩინბანნიან, არა კამიან... გაჩინბანაჲ სასუმელთაჲ“ ((; მკზ 7, 4), მეგრ. ბონ-უა, კან. ო-ბონ-უ, სვან. ლი-ბრ-ვლ. ძირია ბან (შდრ. ნან-ჟ, ლათ. ban-neum, პერძნ. βαν-νευ...), ა-ო, ცხადია, აფიქსებია: ა-ბან-ო უდრის სა-ბანი-|| სა-ბან-ელ-ი. აქ -ო ბოლოსართი ისეთივეა, როგორიც არის -ო სასწაელო-ში.

**ა-დგილი** წარმოქმნილი სახელია. „საზეურც იგი არს ადგილი, სადა იგი ბაცსა უყოფედ“ (ბოლნ. 9<sub>22</sub>). ეს სიტყვა შევიდა მეგრულსა და სვანურში და სახე იცვალა: არდგილი (მეგრ.), ადგილ, არდგილ, არდგილ<sup>1</sup> და, უთუოდ, არგი, აგი 'ადგილი, სახლი'. ნაწარმოები ჩანს დგ-ას ზმნისაგან ა — ილ აფიქსებით<sup>2</sup>.

**ა-ლაგი** ძველ ქართულშიც არის ნახმარი: „წრფელ-ყვენით ალაგნი მისნი“ (11); მკზ 1, 3) და ნიშნავდა 'გზას, ახლა კი გაპოხატავს 'ადგილს; იმერულშია ალაგე 'ლობეზე გადასასვლელი ადგილი, ლაბახო, გადასაბიჯი' (ვ. ბერიძე); ამავე ძირისა და მნიშვნელობისაა მეგრ. ო-ლაგე; სვანურში კი ნასესხებია ქართულიდან: ალაგ (ლ'შხ. 'ქიშქარი'), ჰალაგ (ბქე. 'მესერი': ნ. მარი, ლექსიკ.). ი. ყიფშიძე გამოჰყოფს ლაგ ძირს და მას უკავშირებს ქართ. ლაგ-ს (მეგრ. ლექსიკ.). უდავოა, ა—ე თავიარო-ბოლოსართთა.

**ა-ჩრდილი** რომ ა- პრეფიქსიანია, ამას ამკლავებს ჩრდილი, ჩრდილო და ჩერო. ჩრდილო. დატულია ძველ ქართულში: „აღმოსავალით გნ მზისჯთ და ენ დასავალადმდე ჩრდილოთ და ბლუარამდე“ (ბოლნ. 2<sub>16-19</sub>). ჩერო-სთან შეპირისპირება ფუძის -ე-ს ამოღებასა და -დ-ს სუფიქსობაზედაც მიუთითებს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ნ. მარი, Имясечение и св.-р. словарь, Птрг. 1922.

<sup>2</sup> შდრ. ნ. მარი, Др.-гр.-р. словарь, СПб. 1913.

<sup>3</sup> „ქართ. ა-ბან-ო, ა-დგ-ილ-ი. ა ჩრდ-ილ-ი...: ა პრეფიქსი. აქაც, ალბათ, ჰ-ს გამარტივებული სახეობაა: ა — ჰა-|| ხა-“ (არნ ჩიქობაეა, სახელის ფუძის აგებ. 194, 267: შედარ. ლექსიკ. 53, 228).

ა- თავსართი აქვს სიტყვას ა-ლუდი ('ლუდი') თუშურში. ა- უნდა გამოიყოფოდეს სახელებში ა-კიდ-ო 'წყვილმტევნიანი რქა ვაზისა შესანახად' აქრილი' და ა-კვან-ი. უკანასკნელის ურედუქციო ფორმა, დაცული ხევისურულსა და ლეჩხუმურში — ა-კვან-ი || ლეჩხ. ა-ვაკან-ი<sup>1</sup>, ბადებს საკითხს ა-ს პრეფიქსობის შესახებ. აგრეთვე ა-დვილი-ის ასე დაშლა ნ. მარის მიერ ა-ს საწარმოებელ ნიშნად მიჩნევის მაუწყებელია<sup>2</sup>.

ე. ბერიძეს ა- გამოუცალკეებია, ვფიქრობთ, სამართლიანად, შემდეგს სიტყვებში: ა-თხაჯელა 'ცუდი ყოფაქცევის ქალი', ა-კაბელა 'აყლაყულა', ა-ლაჯა || ლაჯა 'ღვლეჭი', ა-ყარბ 'საკვამლე', ა-ჩაჩა 'ჩოჩიალა ურემი' და სხვა.

სევანურში ა- ჩანს თავსართად რიცხვით სახელში ა-რა (კან. ო-ერო) 'რვა'<sup>3</sup> და ქართულიდან შესულ სიტყვებში:

ლშხ. ა-ყბა (ლნტ. ა-ბაყა), ბზ. ჰა-ყბა ('ზღრ. ეც. ყაფ) 'ყბა, ლოყა'<sup>4</sup>

ლშხ. ა-კვედ, ბზ. ჰა-კვად, ლხმ. ჰა-კედ 'კული'

ლშხ. ა-ღვრა, ბზ. ჰა-ღვრა 'საზღვარი, მიჯნა'<sup>5</sup> და საფიქრებელია:

ლშხ. ა-გვ, ზსე. ჰა-გვ 'ქუსლი'<sup>6</sup>

ლშხ. ა-წვალ, ლხმ. ჰა-წვალ 'ჩალის ზინი'<sup>6</sup> და სხვ.

უდაეოა, რომ აქ ზ- ხმოვნის ფშვინეიერი შემართვის ნაწყალობევი, თავი-დური ა- თავსართია და არა პირიქით, როგორც ამას კაცი დაუშვებდა, თითქოს ქართ. ხა → ჰა (სა-ზღვარი → ჰა-ღვრა-ა). დებულების სისწორეს (ჰ- + ა-) ამტკიცებს: 1. ჰ-ს განვითარება ნასესხებ სიტყვებშიც<sup>7</sup>, 2. ა- პრეფიქსთან ერთად ა- ბოლოსართის გამოყენება (ა-ყბა, ა-ღვრა-...), 3. ხა- თავსართის უცვლელად ხმარება.

ამგვარად, ზანურის ო- პრეფიქსის შესატყვისი ოდენ ხმოვანთავსართი ა- შემონახულია ქართულსა და სევანურში.

### მ. პრეფიქსიანები:

მაგალითები ცოტაა და ყველა ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში; ესენია: კან. ე-კნ-ა || ნე-კნ-ა 'კარი'<sup>8</sup>; მეგრ. ე-ფშ-ა, კან. ო-ფშ-ა 'სა-ფს-ე'; კან. ე-ზმოჯა 'სიზმარი'; მეგრ. ე-სხერი<sup>9</sup> 'სესხი'; ქართ. ე-ნა, კან. ნე-ნა; ქართ. ე-რ-ქვ-ან-ი, შღრ. სა-რ-ქვ-ელ-ი<sup>10</sup>.... ე- თავსართიანი უნდა იყოს ე-ქვ-ი და

<sup>1</sup> ა. შანიძე, კვეს. მასალების ლექსიკონი; მ. აღავეძე, ლეჩხუმური ლექსიკონი.

<sup>2</sup> ოპ.რ.-რ. ცხოვრება.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, შედ. ლექსიკ. 217.

<sup>4</sup> ნ. მარი, Изна на св.-р. сл.

<sup>5</sup> ს. ელენტი, ხმოვანთა ფშვინეიერი შემართვა სევანურში: აკად. მოამბე, VI, № 5, 386-389.

<sup>6</sup> შედ. ლექსიკ. 155, 240, 53; სახელის ფუძის აგებ. 178.

<sup>7</sup> ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის, გვ. 86, შწმ. 1.

<sup>8</sup> სახელის ფუძის აგებ. 96; შღრ. ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიური ისტ., I, გვ. 219-20

ე-რენჯიკა, თუნდაც იმის გამო, რომ ე-ს ენაცვლება ი-: ი-ჟე-ი, ი-რენჯკა (იხ.) (მღრ. ჰან. ე-ზმოჯა/ი-ზმოჯა, ჰან. ნე-ნა/მეგრ. ნი-ნა).

ექვი არაა, რომ ოდენ ხმოვანთავსართი ე- ქართულშიც ყოფილა ხმა-რებულნი.

ი- პრეფიქსიანები საკმაოზე მეტია. უდავოდ მიიჩნევა:

ი-გავი: „ჰრქუა მათ იგავით: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა შეფესა“ (C მთ 22, 1—2)... ი-გავისა და მ-ს-გავ-ს'ის შეპირისპირებიდან ჩანს, რომ საერთოა გავ (ზმნაა: ჰ-გავ-ს) და ი- თავსართია.

ი-დაყვ: „უკუეთუ არა იდაყვთგან დაიბანნიან კელნი, არა ქამიან“ (DF მკ 7, 3): ი-დაყვ || ნი-დაყვ'ის შედარება ქართ. დღაყვ'თან (საბა) და მეგრ. დუყ-ი და ჰან. დუყ-უ'სთან ი-ს პრეფიქსობას უეკველს ხდის (შედ. ლექსიკ. 59).

ი-დუმალ და აქედან: სა-ი-დუმლო: „და ეგრეთ მოვიღებდეთ... საჩინოდ და ცხადად და უბრალოდ და არა იდუმალ და პარვით“ (ტიმ. ანტიოქ. 75<sub>24-25</sub>); „ოქუენდა მიცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ“ (C მკ 4, 11)... ძირია დუმ, წარმოდგენილი ფორმებში დუმ-ს, დუმ-ილი... ცხადია, ი-დუმ-ალ გამოიყოფს ი-ალ აფიქსებს.

ი-ფქლი: „...გამოიღის ნაყოფი... სრული იფქლი თავსა მას შინა“ (C მკ 4, 28). ივ. ჯავახიშვილის მოწმობით, იფქლი „ძველის-ძველი ქართული სახელია“ (ეკონ. ისტ., 1, 395). იგი დაკავშირებულია სვან. ფექ'თან 'ფქვილი' (სახ. ფუძის აგებ. 53—54). ასეთ შემთხვევაში ი- ძირს არ განე-ქუთვნება.

ი-ძულემა: „აიძულეს და ძლით წარიყვანეს“ (შუშ. 19<sub>6</sub>)... წარმო-ქმნილია ძ-ალ'ისაგან და ამდენად ი- და -ულ-(ებ-ა) სართებია (სახელის ფუძის აგებ. 25).

ი-ხარი და სრ-ოლა, სი-სრ-ა, ი-სერ-ის და ხევსურულში სრ-ევა ი-სრ-ევს, ე-სრ-ევს („თოფის სრევა“; „მეთოფე ...ესრევს“: კევს. მასალები, 147<sub>14, 24</sub>) უჩვენებს, რომ ძირია ხარ და ი- პრეფიქსი (სახელის ფუ-ძის აგებ. 224, 226). ჰან. ისიჯი 'ისარი' და მეგრ. ისგნდი 'შუბი', ისინდი 'ჯირითი', 'სისრა' იძლევა საშუალებას, რომ ისარ'ში -არ სუფიქსად გამოიყოს.

ი-ლლია და ლლია (ჩუბ.) ფორმების პარალელობა და მეგრ. რ-ლია-ს არსებობა ი-ს უდავო თავსართად გამოავლენს.

ი-სიპი: ისიპი ქჷა 'სიპი ქვა'<sup>1</sup> — აშვარაა, ი- დანართია.

ი-რენჯკა, ე-რენჯიკა/ე-ა, ი-ლინჯა, ი-ლინჯა, ი-რეჯა (ვ. ბერიძე), ი-რენჯკა/ე (ს. ქლენტი, გურ.), ი-რანჯკა (ბ. წერეთელი, იმერ.), ი-რეკი, ი-ლინჯა (საბა), ი-რეჯა (ჩუბ.) და ჰან. ი-რეკი, ე-რეკი, ე-რენჯი, ე-რერენჯი (ნ. მარო) 'მახე' — ყველა რომ ი- თავსართიანია,

<sup>1</sup> ს. ქლენტი, გურული კილო, 226.

ეს ნათლად ანს 1. *ე-* და *ე-ს* მონაცვლეობიდან (*ე-რენკეა* და *ე-რენჯიკა*) და 2. ნათი უპრეფიქსო ფორმებიდან: *რაკ. რენკეა* (*ვ. ბერიძე*) და *ლენხ. ლენჯიკა* (*ალავიძე*).

*ე-კანკელი* 'აღმართში მიმრეც-მომრეცად აღსლვა' (*საბა*), *ე-კანკელი* 'დაკლანკილი' (*ჩუბ.*) და *კანკელი*'ისა და *კანკელე*'ისა შეპირისპირება *ე-ს* მდგომარეობას არკვევს.

*ე* დიდი ხანია პრეფიქსად არის გამოცხადებული მაგალითებში: *ე-გვრდივ* (*← ვერდი*), *ე-რვლივ* || *ე-მრვლივ* (*← მ-რვალი*) (*საბა*, *ჩუბ.*, *მარი*, *შანიძე*), *ე-გრძივ*, *ე-ბრტყივ* (*შანიძე*<sup>1</sup>), *ე-ბელივ* (*აქედან: ე-ბელივი: საბა*, *ჩუბ.*) და *სხვა*. ამათთან შედარება *ხე-გრძივ*, *ხე-ბრტყე* და *ბელ'*'ისა და *სხვათა* დებულების სისწორის მხრივ დავას არ იწვევს.

ეგების ამგვარივე წარმოქმნისა იყოს *ე-ჩქ-ითი* 'მყისი' (*საბა*, *ჩუბ.*; *შღრ. ე-ჩქ-იტი: ვ. ბერიძე*, *ე-ჩქ-იში: ჩიქოვანი*, *ლენხ.*), თუ ეგ ქართული სიტყვაა და *ჩქ-არ'*თან საერთო ძირი აქვს.

*უღავოა*, *ე-* თავსართია, როგორც ეს *ვ. ბერიძის* ანალიზით ჩანს, სიტყვებში: *ე-ღება* || *ღება* 'უღელზე მიმაგრებული ჯოხი... ფარცვის დროს', *ე-წორწალი* || *ე-წონწალი* || *ე-წინწალი* || *ე-რწვეანი* 'ოწინარი'...

ამათ დამატება *ე-ღლიბაცური* (*შღრ. ღლაბუცი: სიტყვის-კონა*), *ე-სარნა* || *სარნა* 'ფართო ძროხანი კურკელი' (*ბ. წერეთელი*), *ე-ფრინდა* 'შეკრიკი' (*საბა*, *ჩუბ.*), *ე-სხერტი* (*იქვე*) || *ე-სხლეტი* (*ბ. წერეთელი*) 'მახე' და *ზოციც* *სხვა* (*ე-სხ-არი? 'ჩქარი წვიმა'* და *მისთ.*).

*ე-* სევანურშიც პრეფიქსია და იგი აღრევე შენიშნულია მაგალითებში: *ე-შვიდ* 'შვიდი', *ე-შგენ* 'სხვა', *ე-ფხ* 'გვიმრანაირი მყენარე', *ე-სნავ* || *ჰი-სტამ* 'სიზნარი', *ე-შღე* || *ე-შთხე* 'წიხლი', *ე-ნლა* (*ლნტ. ე-ნალა*) 'ყოლო', *ე-რთხინ* 'ციდა', *ე-თქ* 'პურის მარცვლეული'<sup>2</sup>, *ე-ცხ* 'შსხალი', *ე-სგა* 'შუა'... (*ნ. მარი*, *ИЗБА. ИЗ СБ. Р. СЛ.*). *სხვა* არა იყოს რა, ქართულის ძირისა *ე-შვიდ*, *ე-ცხ* (*აქ ი-ე-უ: მრ. უ-ცხ-არ'*) და *ქართ. 'შუა'*ს ეკვივალენტი *ე-სგა* ამჟღავნებს *ე-ს* არაძირისეულობას.

მაშასადამე, ოდენ ხმოვანთავსართი *ე-ც* დამახასიათებელია ქართველური ენებისა და იგი არც ისე იშვიათია.

ირკვევა აგრეთვე, რომ ხმოვანთავსართებში ექცევა ქართულში *ე-ც*, რომელიც ზოგჯერ *უ-*დ არის გადასული (*შღრ. მაგ. სა-ოცარი* და *სა-უცარი: С მკზ 4, 491*, და *უ-ც*). ამ შემთხვევაში მხედველობაშია მიღებული *ე-რძილი* | *აღ-ე-რძინება*, უკვე ანალიზებული *უ-ფალი* (*მე-უფე*, *ს-უფევა*, *შღრ. დედო-ფალი*, *ს-ოფელი*) და *სხვა*, მაგრამ ამ საკითხს საგანგებოდ დასკირდება განხილვა.

<sup>1</sup> ოლონდ ავტორი შესაძლებლად თვლის, რომ *ე-* პრეპოზიციული წარმოშობისა იყოს (წელიწადულო, გვ. 6).

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, იფქლის ანარეკლი უნდა გვქონდეს სევანურს „თაქ“-ში, რომელიც ივ. ნიქარაძის განმარტებით პნიშნაეს *ჰაანა*“, ხოლო მეგრ. „ირქი“ „იფქრისაგან“ უნდა იყოს „ფ“ გაქრობითა და „ქრ“-ს ადგილმონაცვლებით წარმომდგარი (საქ. ენ. ისტ., I, გვ. 327).

ამგვარად, შემორჩენილი მაგალითების ანალიზიდან აშკარად ჩანს, რომ სახელთა ხმოვანთავესართული წარმოება საერთო იყო ქართულური ენებისათვის: იგი ახასიათებდა ზანურთან ერთად ქართულსაც და სვანურსაც. ხმოვანთავესართოვან სახელებს შემდგომ ერთოდა ხ, ნ, ლ თუ დ თანხმოვანპრეფიქსები. ამას ამტკიცებს შემთხვევები, სადაც თანხმოვან ელემენტა (და ზოგჯერ ხმოვანთავესართთა) წარმოჩენა სავალდებულო არ იყო არამტყურონელიმე ქართველურ ენაში, არამედ ერთსა და იმავე ენაშიც კი; მაგ.:

ო-დაყვი და ნ-ო-დაყვი (შდრ. დლაყვი, მეგრ. დუყი)

ნ-ო-კაპი (შდრ. კაპ-უნნი, სვან. კაპ-რანჲ)

ა-ჩრდილი და ჩრდილი

ე-ნა და ნ-ე-ნა, ე-ქნ-ა და ნ-ე-ქნ-ა (შდრ. კარი-ი) და სხვა.

საგულისხმოა, რომ სვანურშიც მოიპოვება ანალოგიური პარალელები:

ო-სგა და ბქე. ლ-ო-სგა.

ბქე. ა-რტამ || ჰ-ა-რტამ და ბბ: ლ-ა-რტამ = მეგრ. ო-რ-ტილ-ი 'მტილი', 'ბოსტანი'... ნათელია, რომ აქ ლ ისევე დართულია, როგორც ქართულში ნ- (ნ-იდაყვ'სა და სხვ.).

მეგრულში იმდენად ხშირია ლ-ს დართვა; რომ ი. ყიფშიძე საგანგებოდ აღნიშნავს მეგრულ ლექსიკონში: „ლ- фонтанический народ в начале слов, начинающихся на гласные, как-то: ლ-აკანცია, ლ-ისერი и др. (გვ. 264). ამათ გარდა, ნ. მარო ასახელებს ასეთ მაგალითებს: მეგრ. ლიპა 'ომი', ლუბა უბე'; ლანგური 'ენგური' (მდ.)...<sup>1</sup> ლ- რომ აქ მეორეულია, ანა ააშკარავებენ ნასესხები სიტყვები: აკაცია (რუს. акация, ბერძნ. ακε' 'ეკალი'), ქართ. უბე, ისლი (→ მეგრ. ლ-ისერი) და სხვ. მეგრულს გარდა ლ-ს დართვა შექმნილია დასავლურ კილოებში: ლ-ეკალი (ლენჩ.: ალავეიძე), ლ-ონდკთ ('ნელა': იქვე; შდრ. მეგრ. ონდეთ 'ძლივს'), ლ-ალვა 'ალვა, გატრუსვა' (ბერიძე), ლ-აკვანი...<sup>2</sup>

თუ, მართლაც, ადრინდელია ხმოვანთავესართები და მერმინდელ. — თანხმოვანთავესართები, მაშინ ორი დასკვნა გამოიტანება:

1. ნა-/ლა-, ნე-/ლე-, ნი-/ლი-, ხა-, ხე-, ხი- თუ და-, დე-, დი- პრეფიქსები დაიშლება შემადგენელ თანხმოვან და ხმოვან ელემენტებად: ნა-/ლა-, ნე-/ლე-, ნი-/ლი-, ხა-, ხე-, ხი- და და-, დე-, დი-, რაც შესრულებულია კიდევ ზოგი კატეგორიის სიტყვათა მიმართ<sup>3</sup> და შესაძლებელია იგი გატარდეს ბოლომდის და

2. ამ ელემენტაგან ხმოვანთავესართი, თუ ის ფონეტიკურ ნიადაგზე არაა განვითარებული, აწარმოებს სახელებს სახელისაგან და ზმნისაგან და თანხმოვან-

<sup>1</sup> Определению из второй кат. Ахем. надп.: ЗВОРАО, т. XXII, гл. 43, №8. 2.

<sup>2</sup> ლ-ს პრეფიქსად გააზრების შედეგია უთვოდ, რომ იგი მოიკლებულია ნასესხებ სიტყვებში, როგორცაა, სვან. ლვრწ — || ვრწ (ბქე. — ალი დავეითიანი) და მეგრ. ლისმარი — || სსმარი (ყიფშიძე).

<sup>3</sup> სახელის ფუძის აგებ., გვ. 224—230.

თავსართი გარკვეული ფუნქციის მატარებელია, სახელდობრ, ხ ნ ლ დ პრეფიქსები სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია კლასიკატეგორიის ნიშნებად<sup>1</sup>.

უთუოდ ამ გარემოებით აიხსნება, რომ როგორც ხმოვანწლები, ისე თანხმოვანწლები ყველა ტიპის წარმოქმნილ სახელებში ჩანს; მაგ.:

ა: ა-ბანო, ს-ა-სწავლი, ნ-ა-თელი, დ-ა-თვ

ე: ე-ნა, ს-ე-ცხლი, ნ-ე-რგი

ი: ი-გაგი, ს-ი-გრძე, ნ-ი-კაპი, კან. დ-ი-ცხირი 'სისხლი' და სხვადასხვა.

ხსენებულ პრეფიქსთა ელემენტებად დაშლა და მათი ფუნქციის წარმოჩენა შესაძლებლობას იძლევა, რომ პრინციპული ხასიათის ზოგადი დებულება იქნეს წამოყენებული: ხ მო ვ ა ნ თ ა ვ ს ა რ თ ი ს ი ტ ყ ვ ა ს ა წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ნ ი შ ა - ნ ი ა , ხ ო ლ ო თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ვ ს ა რ თ ი გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს ი ს ე ქ ს - პ ო ნ ე ნ ტ ი ა .

ნ. მარის სახელობის  
ენის ინსტიტუტი

(შემოვიდა რედაქციაში 1947. VI. 10).

## В. Топуриа

### Из области словообразования в картвельских языках

#### IV

#### Производные имена с гласными префиксами

#### Резюме

1. Для образования имен от основы имени или глагола, обозначающих место и время действия, назначение, орудие производства, географические названия, а также отвлеченные понятия (*nomina abstracta*), в грузинском языке использованы префиксы *სა- sa-*, *სე- se-*, *სი- si-* и *ნა-/ლა- na-/la-*, *ნე- ne-*, *ნი- ni-*, в занском — префиксы *ლა- || ნა- la- || na-*, *ლე- || ნე- le- || ne-*, *ლი- || ნი- li- || ni-* и гласные элементы *ო- o-*, *ე- e-*, *ი- i-*, соответствующие груз. префиксам *სა- sa-*, *სე- se-*, *სი- si-*; а в сванском представлены общие с грузинским и занским языками префиксы *ლა- ნა- la-/na-*, *ლე-/ნე- le-/ne-*, *ლი-/ნი- li-/ni-*; кроме них имеются в пережиточных формах префиксы *და- da-*, *დე- de-*, *დი- di-*.

Наличие в одном и том же языке многих вариантов словообразующих префиксов с одинаковой функцией, при использовании одних и тех же

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწერილებით ფუძემდებელ მონოგრაფიებში: ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა და არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულურ ენებში.

гласных, объясняется двойко: различные согласные элементы или получены в результате фонетических процессов (как напр.  $n \rightarrow l$ :  $na \rightarrow la$ ,  $ne \rightarrow le$ ...), или они восходят к различным диалектным (георг. языковым) слоям (как напр.  $ka$ -,  $ze$ -,  $xi$ -, с одной стороны, и  $va$ -,  $pe$ -,  $ni$ -, с другой).

2. Гласные префиксы  $o$ -  $u$ -,  $ɔ$ -  $e$ -,  $o$ -  $i$ -, характерные для занского языка, считаются в специальной научной литературе полученными от префиксов с согласными элементами вследствие исчезновения согласного  $\theta$   $\&$  ( $zo \rightarrow zo \rightarrow o$ ...: Н. Марр, В. Беридзе), или  $\varrho$ -  $d$ - (И. Кипшидзе), или  $\int$   $h$  (А. Чикобава).

3. Однако эти объяснения неприемлемы, поскольку образование имен при помощи гласных префиксов отнюдь не является специфической особенностью только занского языка; оно характерно и для других картвельских языков — грузинского и сванского.

Доказательством этого служат пережиточные отыменные и отглагольные имена с гласными префиксами; напр.  $a$ -  $a$ -:  $a$ - $\delta$ - $\delta$  ( $a$ - $\delta$ - $\delta$ ) 'баня' (гл.  $\delta$ - $\delta$ - $\delta$   $\delta a$ - $\delta$  'купает'),  $a$ - $\delta$ - $\delta$   $a$ - $\delta$ - $\delta$  'стежка, место' (инф.  $\delta$ - $\delta$ - $\delta$   $\delta a$ - $\delta$  'убирать, класть'),  $a$ - $\delta$ - $\delta$   $a$ - $\delta$ - $\delta$  'место' (гл.  $\delta$ - $\delta$ - $\delta$   $\delta a$ - $\delta$  'стоит')... св.  $a$ - $\delta$ - $\delta$   $a$ - $\delta$ - $\delta$  (гр.  $\delta$ - $\delta$   $\delta a$ ) 'челюсть'...;  $ɔ$ -  $e$ -:  $ɔ$ - $e$ -  $ɔ$ - $e$ -  $ɔ$ - $e$ - 'язык', чан.  $ɔ$ - $e$ - $ɔ$ - $e$ -  $ɔ$ - $e$ - $ɔ$ - $e$ - 'сон'...  $o$ -  $i$ -:  $o$ - $i$ -  $o$ - $i$ -  $o$ - $i$ - 'притча' (гл.  $o$ - $i$ - $o$ - $i$ -  $o$ - $i$ - $o$ - $i$ - 'люхож'),  $o$ - $i$ - $o$ - $i$ -  $o$ - $i$ - $o$ - $i$ - 'стрела' (инф.  $o$ - $i$ - $o$ - $i$ -  $o$ - $i$ - $o$ - $i$ - 'стрелять')... св.  $o$ - $i$ -  $o$ - $i$ - 'половина' и др. Следовательно, образование имен при помощи гласных префиксов исторически являлось общим свойством картвельских языков.

4. Выявленные гласные префиксы  $a$ -  $a$ - (= зан.  $o$ -  $u$ -),  $ɔ$ -  $e$ -,  $o$ -  $i$ - имеют одинаковое с согласными префиксами  $ka$ -  $ka$ -,  $ke$ -  $ka$ -,  $ko$ -  $xi$ -,  $bo$ -  $na$ ,  $do$ -  $da$ -... значение. Наличие одних и тех же гласных элементов ( $a$   $\&$   $i$ ) во всех вариантах словообразующих префиксов дает возможность сделать два вывода:

а) можно разложить префиксы на согласный и гласный элементы:  $ka$ - $a$ -,  $ke$ - $e$ -,  $ko$ - $i$ -,  $na$ - $a$ -,  $ne$ - $e$ -,  $ni$ - $i$ -,  $ka$ - $a$ -,  $ke$ - $e$ -,  $ko$ - $i$ -,  $na$ - $a$ -,  $ne$ - $e$ -,  $ni$ - $i$ - и

в) выдвинуть положение принципиального характера: считать гласные элементы словообразующими префиксами, а согласные элементы, как это доказано в научной литературе, показателями грамматических классов (И. Джавахишвили, А. Чикобава).

კნინობითი ქართველურ ენებში

1. კნინობითი სიტყვაწარმოებას განეკუთვნება. იგი საკმარის შრავალთვეროვანია და გავრცელებული ქართველურ ენათაგან სეა-ნურში და ქართული ენის აღმოსავლური კილოებიდან—ხევსურულსა და ფშურში, ხოლო დასავლურიდან—რაჭულსა და გურულში.

2. ამის გამო. მან აღრიდანვე მიიპყრო გრამატიკოსთა თუ მკვლევართა ყურადღება. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში აღნუსხულია კნინობითის შემდეგი სუფიქსები: ა, ი-ა, აკ, უკ, უნ, აღ, ელ, ილ და მათი შერწყმით მიღებული რთული ბოლოსართები: -უნ-ი-ა, -იკ-ელ-ა და სხ.

3. სვანურში კნინობითის საწარმოებელი სუფიქსებია: გლ || გლ ან ულ || ულ, ილ || ილ, ოლ || ოლ. ესენი ამჟამადაც ცოცხალია და ხშირადაც გამოყენებული. შედარებით იშვიათია ოლ, ზღ...

5. ქართული მასალის, კერძოდ საკუთარ სახელთა და მათგან წარმოქმნილ გვართა, შესწავლა შესაძლებლობას იძლევა გაცილებით მეტი ნიშნები გამოეყოთ, ვიდრე ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია ნაჩვენები. გამოირკვა, რომ, ზემოაღნიშნულთ გარდა, კნინობითის სუფიქსებია: ოკ, ულ, ან, ინ, იტ, უც, უხ, უქ, იჩ, უჩ... და ამათი შეერთებით წარმოდგარი -ოკ-ინ-ა (წვერ-ოკ-ინ-ა), -უკ-ელ-ა (მამ-უკ-ელ-ა), -უც-უნ-ა (ბებრ-უც-უნ-ა), -უხ-ან-ა (ბებრ-უხ-ან-ა) და და სხვა. იშვიათი არაა ერთისა და იმავე სახელისაგან კნინობითის წარმოება სხვადასხვა ბოლოსართით, მაგ. პაპა-საგან გვაქვს: პა-პალ-ა (პაპალაშვილი), პაპ-ან-ა (პაპანაშვილი), პაპ-ი-ა (პაპიაშვილი); პაპ-ელ-ა/პაპ-უ-ა (პაპულაშვილი), პაპ-ინ-ა, პაპ-ულ-ა (პაპულაშვილი), პაპ-უნ-ა (პაპუნაშვილი), პაპ-იტ-ა (პაპიტაშვილი), პაპ-უჩ-ა და სხვ. აღსანიშნავია, რომ მარტივი თუ რთული სუფიქსების ამსო-ლუტური უმრავლესობა სრულდება -ა ელემენტით (კიკოლ-ა, გიგ-უ(-)ა, გიგ-ურ-ა... შდრ. პაპ-უჩ-ა და პაპ-უჩ-ი).

5. აღნუსხულ ბოლოსართთა შეპირისპირებით ირკვევა, რომ ა) საძებარია ზოგი სავარაუდებელი ნიშანთაგანი (მაგ., \*აღ, \*ოღ, \*ახ, \*ოჩ და სხვ.) და ბ) დასაშვებია ამ ნიშანთა დაშლა ხმოვან სა თანხმოვან ელემენტებად (-ი-ტ, -უ-ტ...).

6. ზოგი ამ სუფიქსთაგანი პარალელს პოულობს უცხოურ ენებში (მაგ. -აკ) და ამდენად დაისმის მათი სესხების საკითხი, სხვა

ბოლოსართთა თანხმოვანი ელემენტები კი დაიყვანება რამდენიმე ძირითად სახემდე (მაგ. ნ-ლ, დ-ტ; ც, ქ, წ).

7. კნინობითი რიგ ენებს ახასიათებს და საინტერესოა იგი ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. მასში მკაფიოდ ასახულია ა) ზოგჯერ გრამატიკულ კლასები (კერძოდ ნ და ლ კლასკატეგორიის ექსპონენტები ჩააან, ჯა ბ) კლასობრიობა ენისა. დაჩაგრულთა კლასის წარმომადგენლებია, რომ ატარებენ კნინობით სახელებს, როგორცაა ოქრ-ა (უნათლოშვილი). კიცი-ა (მუნ-ჯაქე), დათო, სიმონა, გლაბუკა, ნინია, ნინიკა და სხვა, რაც ასე მარჯვედ არის გამოყენებული XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.



### 3. თოფურია

## ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან

### VI. კომპოზიტი<sup>1</sup>

ენის ლექსიკური შემადგენლობის გასამდიდრებლად სხვადასხვა საშუალება არსებობს: წარმოქმნა (სიტყვაწარმოება), სიტყვის მნიშვნელობის ცვლა, ინტონაცია და სესხება. წარმოქმნის სხვადასხვა სახეა ცნობილი: აფიქსაცია, კომპოზიცია, რედუქციაცია (ფუძეთგანშეორება), შინაგანი ფლექსია (ფუძედრეკადობა) და სხვ. ამათგან ქართველურ ენებში გაბატონებულია აფიქსაცია და კომპოზიცია (რედუქციაციითურთ), სრულიად უმოქმედოა ქართულსა და ზანურში შინაგანი ფლექსია<sup>2</sup>.

აფიქსაცია გულისხმობს ახალ სიტყვათა წარმოქმნას ან პრეფიქსის, ან სუფიქსის, ან ერთდროულად პრეფიქსისა და სუფიქსის საშუალებით. ანით ქართველური ენები თვალსაჩინოდ განსხვავდება ზოგი სხვა სისტემის ენათაგან, სადაც სიტყვაწარმოება ხდება ძირითადად სუფიქსის მეშვეობით (ასეთია, მაგ., ინდოევროპული ენები). სხვაობა ჩანს თვით ქართველურ ენებშიც: პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების მხრივ სავსებით როდი ემთხვევიან ერთმანეთს. არის ხშირი შემთხვევა, რომ ერთ ენაში სუფიქსური წარმოებაა და მეორეში — მის შესატყვისად — პრეფიქსულ-სუფიქსური (შდრ. ხარ-იან-ი, სვან. ლგ-ჟან ← \* ლგ-ჟან-ი; დახატ-ულ-ი, სვან. ლგ-ხტაე-ე...). გარდა ამისა, თვით აფიქსებშიც არ არის შესატყვისობა დაკული: ერთში თანხმონიანი აფიქსია გამოყენებული, მეორეში — ხმოვანი (შდრ. ტებ-ა, სვან. ლი-კვშ-ე...). ეს გარემოება მიგვიჩინებს იმაზე, რომ საერთო:სთან ერთად შეიძლება გვექონდეს 1. საწარმოებელი აფიქსები სხვადასხვა წარმოშობისა და 2. წარმოქმნაც სხვადასხვა სტადიისა: ზოგი პრეფიქსული წარმოქმნა დროთა ვითარებაში უკმარი აღმოჩნდა და გაიჩინა სუფიქსი.

კომპოზიცია (თხზვა) მეტ-ნაკლებად გამოყენებულია თითქმის ყველა სისტემის ენაში ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოსაქმნელად. იგი ფართოდაა გავრცელებული რუსულში, ქართულში..., განსაკუთრებით კი გერმანულსა და სომხურში. კომპოზიციის პრინციპი ყველგან ერთია: ხდება ორი და მეტი ფუძის ან ბრუნვიანი სიტყვის შეკრება, განსხვავება მხოლოდ შეერთების სა-

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXVI სამეცნიერო სესიაზე 25 აპრილს 1948 წელს. იხეივდება მცირე ცვლილებით.

<sup>2</sup> დაწვრილებით: ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში. II. ენის ლექსიკური შემადგენლობა: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული IX, თბილისი, 1956, გვ. 17 — 32.

შუალელებშია. ცნობილია სულ სამი საშუალება: 1. უკავშირო (ასინდეტური, მარტივი) შეერთება; 2. კომპლარტიური (და კავშირით) შეერთება და 3. შემერთებელი ხნოვნით შეერთება (ასეთია რუსულში *o* და *e*: *мышоxоd, мышxоbкa*, სომხურში *ա* ან კავშირი *ხ*: *მსხამსხ...*). დადგენილია კომპოზიტთა ორი ტიპი: ფუძეგაორკეცებული (ფუძეგანმეორებული, რედუპლიკაციური) და ფუძეგანსხვევებული (ნაირფუძიანი). პირველი ტიპის კომპოზიტები მიიღება ფუძის გაორკეცებით, ე. ი. რედუპლიკაციით, ფუძის განმეორებით, ხოლო მეორე ტიპისა — სხვადასხვა ფუძეთა შეერთებით. უკანასკნელს განეკუთვნება სინონიმური კომპოზიტებიც.

ინდოელ გრამატიკოსთა კლასიფიკაციით გარჩეულია ოთხი ძირითადი ტიპი<sup>3</sup>, მაგრამ საკლასიფიკაციო ნიშანი აღრეულია: მხედველობაშია მიღებული კომპოზიტის წარმოების საშუალება, კომპონენტთა ფუნქცია და კომპონენტი რომელი მეტყველების ნაწილია. ამდენად ესა და მსგავსი კლასიფიკაცია გაუმართლებელია.

წერილის მიზანია დაადგინოს კომპოზიტთა ტიპები და წარმოების სახეობანი ზანურსა და სვანურში და გაარკვიოს მათი მსგავსება და განსხვავება ქართულთან შედარებით.

### 1. კომპოზიტი ქართულში

ეს საკითხი ქართულში რიგინადაა შესწავლილი. გამორკვეულია როგორც შედგენილობა და წარმოება, ისე ზოგ შემთხვევაში გენეზისიც. ჩვენ მას მოკლედ გავიმეორებთ, რომ გაადვილდეს ქართულთან ზანურისა და სვანურის შედარება.

შედგენილობის მხრივ ქართულში გვაქვს კომპოზიტთა ორი ტიპი:

1. ფუძეგაორკეცებული (ფუძეგანმეორებული, რედუპლიკაციური) და
2. ფუძეგანსხვევებული (ნაირფუძიანი).

ორივე შემთხვევაში წინამავალი კომპონენტი თუ კომპონენტები შესაძლებელია იყოს წმინდა ფუძე ან ბრუნვიანი სიტყვა და კომპოზიტში ადგილი ექნეს ფონეტიკურ პროცესებს: თანხმოვნის დისიმილაციას, თანხმოვნის დაკარგვას, ან ხმოვნის თუ თავკიდური მარცვლის შენაცვლებას, ან კიდევ ბრუნვის ნიშნის მოკვეცას.

ამდენად ფუძის ცვლილებას მხრივ კომპოზიტი ორგვარია: 1. ფუძეუცვლელი და 2. ფუძეუცვლილი.

შეერთებას (შეკავშირების) მხრივ კომპოზიტი ორგვარია: 1. დაკავშირიანი (კომპლარტიური) და 2. უკავშირო (ასინდეტური).

მეტყველების ნაწილთა მხრივ ნაირ-ნაირია: სუბსტანტიური (არსებითი სახელი + არსებითი სახელი), სუბსტანტიურ-ადიექტიური ან სუბსტანტიურ-პარტიციპიული (არსებითი + ზედსართავი და, პირუკუ, არსებითი + მიმღეობა), ნუმერალურ-სუბსტანტიური (რიცხვითი სახელი + არსებითი), ადვერბიალურ-სუბსტანტიური (ზმნისართი + არსებითი) და სხვ. ყველა სახე გვხვდება.

მნიშვნელობას (მნიშარსის) მხრივ ორგვარია: 1. ერთცნებიანი (ერთმნიშვნელობიანი) და 2. ორ- და მეტცნებიანი. უკანასკნელი სახის კომპოზიტთა კომპონენტებს შენარჩუნებული აქვთ თავ-თავისი მნიშვნელობა.

<sup>3</sup> გ. ახვლედიანი, სანსკრიტი, ტფილისი, 1920, გვ. 78 — 81; არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 224 — 225.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მასალა მთავარი მომენტების გათვალისწინებით.

**ფუძეგაორკეცებული** (რედულიკაციური) კომპოზიტი შეერთების მხრივ შეიძლება იყოს და **კ ა ე შ ი რ ი ა ნ ი** და **უ კ ა ე შ ი რ ო**. მნიშვნელობის მხრივ კომპოზიტის შექადგენელი წევრები, ალბულო ცალ-ცალკე, ან სრულებით გაუგებარია, ან ყველა გასაგები.

**ა) ფუძეუცვლილი.** 1. და **კ ა ე შ ი რ ი** თ შეერთებულია არსებით სახელთა მხოლოდ ფუძეები, ზმნისართები ან თანდებულები და ყველა ზმნისართს წარმოადგენს. მაგ.:

კვალდაკვალ	პირდაპირ	მინცდამაინც
ცხენდაცხენ	წინდაწინ	თანდათან (შდრ. თავი და თავი).

2. **უ კ ა ე შ ი რ ო** დ შეერთებულია უაზრო მარცვლები, ან სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი), ზმნისართები თუ შორისდებულები და მიიღება ერთმნიშვნელობიანი სახელი, ან შეერთებულ სახელებსა თუ ზმნისართებს შორის და კავშირი იგულისხმება და კომპონენტებს თავ-თავისი მნიშვნელობა აქვთ. მაგ., კომპოზიტი წარმოქმნილია.

ა) უაზრო მარცვალთა გაორკეცებით (განმეორებით):

ბუტბუტი	ლასლასი	ხარხარი
კაშკაში	ციმციმი	ჯაყჯაყი და სხვ.

ბ) სახელის ფუძის თუ შორისდებულის გაორკეცებით:

თავთავი	თვალთვალი	ვახვახი
დაფდაფი	წამწამი	ვიშვიში და სხვ.

გ) ამითვე განეკუთვნება ბრუნვიანი კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტი ამა თუ იმ ბრუნვაშია. მაგ.:

მოთხრ. ერთმანეთი (ერთი მაგალითია)

ნათ. პირახპირ (შდრ. ზედიზედ ← ზედხზედ).

ან ორივე კომპონენტი ბრუნვაშია: თავისთავად.

დ) ამივე ფუძეუცვლელთა ჯგუფში შემოდის ისეთი კომპოზიტებიც, სადაც განმეორებულ ფუძეთა შორის და კავშირი ივარაუდება. ასეთებია ზედსართავი, რიცხვითი სახელები, მიმლეობა, ზმნისართი და სხვ.

შავ-შავი	ერთ-ერთი	დრო-დრო	ადრე-ადრე
მალალ-მალალი	სამ-სამი	წყალ-წყალ	უკან-უკან და სხვ. (შდრ. თვალთვალი).

ბ) **ფუძეცვლილი** კომპოზიტი გულისხმობს ზეორე კომპონენტში (ზოგჯერ პირველშიც) მომხდარ ფონეტიკურ ცვლილებებს, როგორცაა:

ა) ხმოვნის შეცვლა:

ა — უ: აბდაუბდა, ნაყარწყარი... დაგადუგი, სხაპასხუპით...

ე — უ: ერთურთი || ურთიერთი, ბექბუქი, ხევხუვი...

ი — უ: ბინდბუნდი, ბიკბუქი...

ი — ა: კისკასი, ქივქავი, რიერაეი...

ი — ო: კირწიკორწი...

ბ) თანხმოვნის დართვა:

ბ: ალთაბალთა, ინჩიბინჩი...

თ: ოთლოთოთლო...

შ: არემარე, ახლომახლო...

ჩ: ოლროლრო (თუ აქ ჩ სხვა გზით არ არის მიღებული) და სხვ-

გ) თავკიდური თანხმობის ან მარცვლის (თანხმობან-ხმობის) შეცვლა:

წარამარა გიემაეი  
ხათრიმათრი კუქმაქი  
ხურდამურდა... ქობმახი და სხვ.

ან ხმობის შეცვლასთან ერთად თანხმობის დართვა: ალაბულა.

დ) თანხმობის დისიმილაცია: წანწალი, ჩურჩული...

ე) თანხმობის დაკარგვა: \* პაწაწა → პაწაწა

გორგორა → გოგორა...<sup>4</sup>

კომპოზიტის შედგენილობის თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს იმას, -ა დართვის თუ სხვა სუფიქსი (ზღრ. ბაჯბაჯ, ჯაყჯაყა...).

ფუძემდებანხმობილი კომპოზიტი სხვადასხვა ფუძეს შეიცავს, რაოდენობით ორს, სამსა და მეტსაც.

შეერთების მხრივ ესეც და კავშირიანი და უკავშირო (ასინდეტური). და კავშირიანი შედარებით ცოტაა და ისიც უმთავრესად რიცხვითი სახელია, ხოლო უკავშირო მრავალზე მრავალია.

1. და კავშირიანი რიცხვითი სახელებიდან ოცეულ-ერთეულები: ოცდაერთი, ოცდათვრამეტი, ორმოცდახუთი, სამოცდაჩვიდმეტი და სხვა, ზმნისართებიდან: დღეღამ, წამდაუწუმ... წინდებულებიდან: ზიდამო და სხვ.

2. უკავშირო კომპოზიტები აქაც ორად იყოფა: ერთი ჯგუფია, სადაც და კავშირი იგულისხმება; მეორეა, სადაც ასეთი კავშირი არ ივარაუდება.

ა) და კავშირი იგულისხმება, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ჩავარდნილია<sup>5</sup>, ასეთი კომპოზიტები მნიშვნელობის მხრივ ორ- და მეტენებიანია. მეტყველების ნაწილი აქ ერთი და იგივეა. მაგ.:

და-ძმა	კარ-მიდამო	კვლევა-ძიება	შავ-თეთრი
ხელ-ფეხი	მიწა-წყალი	პრანქვა-გრეხა	ქართულ-რუსული...
დაწმენდილ-დასუფთავებული		აქა-იქ	ვაი-უი
დაგლეჯილ-დაფლეთილი		წალმა-უკულმა	და სხვ.

ამავე ჯგუფისაა სინონიმური კომპოზიტებიც:

ტოლ-მეგობარი, მინდორ-ველი, ბედ-იღბალი... ალალ-მართალი...

ანტონიმური და სხვა ხასიათის კომპოზიტები: დღე-ღამე, კლდე-ღრე, თავ-ბოლო... გულ-მუცელი, ხე-ტყე, ხენა-თესვა და სხვა.

ყველა ეს დვანდვან-ს (composita copulativa-ს) ტიპია და საკმაოდ ბევრია ქართულში.

ბ) უკავშირო კომპოზიტი, სადაც და კავშირი არ ივარაუდება, ყველაზე მეტია. მნიშვნელობით ერთენებიანია. კომპონენტები მეტყველების ნაწილის მხრივ ერთი და იგივეა ან სხვადასხვა. პოზიცია ზოგი მეტყველების ნაწილისა მკვიდრია — ყოველთვის წინ უსწრებს ან მოსდევს, ზოგისაც არაა მყარი, მოძ-

<sup>4</sup> ესა და სხვა სახის კომპოზიტები დაწერილობით აქვს აღწერილი თავის კაპიტალურ შრომაში ა. შანიძეს, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 150 — 154.

<sup>5</sup> ეს კარგად ჩანს ისეთი მაგალითებიდან, სადაც და კავშირის ნაშთი ა შემონახულია კომპოზიტებში, როგორცაა: დაფაზურნა (← დაფ და ზურნა), ბუნანკალი (← ბუზ და პკალი), ბაკაური (ბაკვა || ხაკო და პური).

რავია. ფუნქციით პირველი კომპონენტი განსაზღვრებითია ან კომპოზიტი კუთვნილებითია (კონების აღმნიშვნელი).

განსაზღვრებითი უდრის ინდოელ გრამატიკოსთა შიერ გამოყოფილ ტიპს — ტატპურუშას (composita determinativa):

მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებულა არსებითი სახელი:

დედამიწა თავკაცი ძელქვა

დედაქალაქი ქალბატონი ხარირემი და სხვ.

მსაზღვრელი კომპონენტი ზედსართავი სახელია და იგი წინ უსწრებს: ახალსოფელი, დიდდა (← დიდდედა), გარეუბანი, შუადღე...

ან ინვერსიული წყობისა: ზედსართავი მოსდევს არსებითს. მაგ.:

გორმალაღი ქალადიდი

დაბადელი ქვათეთრი და სხვ.

ზედსართავის ანალოგიურია მიმღობა თავისი ინვერსიული წყობით: თავმჯდომარე, უღელტეხილი და სხვ.

რიცხვითი სახელი, როგორც განსაზღვრების ფუნქციის მქონე წევრი, ყოველთვის წინ უსწრებს:

ორასი ორლობე სამყურა

ხუთასი... სამფეხი

ორშაბათი და სხვა დღის სახელები...

ნაცვალსახელი უსწრებს ან მოსდევს: ამგვარი, ამნაირი, იმგვარი... ბიძაჩემი, მამაშენი...

ზმნისათი დ-თანდებული, თუ მათ ჩვეულებით მსაზღვრელად, ჩვეულებრივ წინ უსწრებს: ზეკაცი, ზედაპირი, შინაყმა, შინაარსი, თანავეტორი, თანაგრძნობა, წინასწარმეტყველი...

მაგრამ არის შემთხვევები, რომ მოსდევს: ზმნიზედა, ტბათანა და სხვ.

არსებითი სახელით წარმოდგენილი მსაზღვრელი კომპონენტი ზოგჯერ ბრუნვაში დგას სრული დაბოლოებით ან სუფიქსმოკვეცილად. მაგ.:

სახელ. ბერიკაცი, ვეიშვილი, ქალიშვილი...

ნათ. ასისთავი, ხვისბერი... ივანობისთვე (და თვეების სხვა სახელები), მეჯვრისხვევი, ციხისძირი (და სხვა გეოგრაფიული სახელები), ცისფერი (და ფერის დართვით სხვა სახელები), თავისუფლება, ჯარისკაცი და სხვ.

ხშირად დაბოლოების -ს მოკვეცილია: მამიდა, წუთისოფელი, ზმნიზედა, ვაკიჯვარი (და სხვა გეოგრაფიული სახელები), დათვიძხალა, ჩიტყეხა (და სხვა მცენარეთა სახელები)...

ან მთლიანად მოკვეცილია -ეს სუფიქსი: თავშალი (← თავის შალი), ფეხსაცმელი (← ფეხის საცმელი), ძალყურძენა (← ძალის ყურძენა) და სხვ. მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში დაცულია -თა ან -თ ნიშანი, ან მოკვეცილია: თვალთახედვა, მკათათვე... მზეთუნახავი, ვეძათხვევი... მაგრამ: თიბათვე, ნავსადგური (← ნავთსადგური)...

მოქმ. ქვითკირი → ქვიტკირი.

არამსაზღვრელი კომპონენტი დგას მიცემითსა და ვითარებითში. მაგ.: მიც. თავბრუ, თავლაფი, პირჯვარი... აქ მიცემითის -ს ნიშანი მოკვეცილია (თავსბრუ, პირსჯვარი).

ვითარ. ყურადღება და სხვ.

კოთენილებითი კომპოზიტი უკავშიროა. იგი შედგება არსებითი სახე-  
ლისა და ზედსართავისა ან მიმლეობისაგან. ზედსართავი შეიძლება უსწრებ-  
დეს ან მოსდევდეს, მიმლეობა კი ყოველთვის მოსდევს. მნიშვნელობის მხრივ  
გამოხატავს ზედსართავით ან მიმლეობით განსაზღვრული არსებითი სახელის  
ქონას და უდრის დამოკიდებულ წინადადებას. მაგ.:

დიდგული = ვისაც დიდი გული აქვს

თავლია = რასაც თავი ღია აქვს

ხელდამშვენებული = ვისაც ხელი აქვს დამშვენებული

პირმოტეხილი = რასაც პირი აქვს მოტეხილი...

ასეთი კომპოზიტები ინდურ გრამატიკაში ცალკე ტიპადაა მიჩნეული  
და მას ეწოდება ბაჰურეიჰი (composita possessiva).

შემთხვევები, რომ ზედსართავი უსწრებდეს არსებითს, შედარებით ცო-  
ტაა, მაგრამ ჩვეულებრივია, თუ არსებითი სახელი ნაწარმოებია ქონების  
(კოთენილების) საწარმოებელი -ა, -იან, -ოვან ან სხვა სუფიქსით. მაგ.: დიდ-  
გული, შავქლიაფი... მაგრამ: თეთრკბილება, თეთრგულა, შავთვალწარბა, წი-  
თელქელა, წითელლოყება... თეთრკანიანი, შავჩოხიანი, შავნიადავიანი... წი-  
თელდროშოვანი... შავწვეროსანი და სხვ.

რიცხვითი სახელი აქაც წინ უძღვის; ოთხფეხი, თორმეტგოჯა (ნაწლავი)  
და სხვ.

ჩვეულებრივია, რომ მოსდევს ზედსართავი თუ მიმლეობა. მაგ..

გულნაზი გულმოსული

ენაგრძელი ენამოჩლექილი

თავმდაბალი თავდაცული

სულმოკლე სულგანაბელი და სხვა მრავალი.

ასეთია მოკლედ კომპოზიტის ხასიათი. მას ეხებოდნენ ძალზე ძუნწად  
და თითქმის ერთნაირად ძველი გრამატიკოსები. პირველად იგი ჩამოაყალიბა  
ა. შანიძემ თავის გრამატიკაში<sup>6</sup>. შემდეგ კომპოზიტები განხილული იყო ჩვენ  
მიერ შედგენილობისა და მართლწერის მხრივ ქართული ენის განაკვეთებში<sup>7</sup>.  
შემოკლებით და ცოტა განსხვავებული მართლწერით იყო იგი წარმოდგენილი  
ს. ყაუხჩიშვილის მიერ X ნაკვეთში სერიისა „ქართული სალიტერა-  
ტურო ენის ნორმების დადგენისათვის“<sup>8</sup>. ნაკვეთებს აქვეყნებდა ენისა და  
ტერმინოლოგიის კომისია. ამავე სერიის VII ნაკვეთში ვრცლად აქვს მიმო-  
ხილული ს. იორდანიშვილს კომპოზიტთა შედგენილობა და მათი მართლ-  
წერის საკითხები<sup>9</sup>. მთელი თავი აქვს მიძღვნილი თხზვას (კომპოზიციას)  
აკაკი შანიძის შრომაში<sup>10</sup>, სადაც კომპოზიციასთან დაკავშირებით ზოგი  
სიტყვის საყურადღებო ეტიმოლოგიაა მოცემული და ფონეტიკურ პროცესთა  
ახსნის შედეგად გარკვეულია წარმოქმნილ სიტყვათა წარმოშობა; კომპო-  
ზიტთა მართლწერა კი აქ თვალსაჩინოდ განსხვავებულია.

<sup>6</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკა. I. მორფოლოგია, ტფილისი, 1930, გვ. 66 — 70.

<sup>7</sup> გ. თოფურია, ქართული ენა, განაკვეთი III და IV, დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის გამოცემა, ტფილისი, 1933, გვ. 2 — 9.

<sup>8</sup> ს. ყაუხჩიშვილი, Varii. კომპოზიტები, X ნაკვეთი, ტფილისი, 1933, გვ. 3 — 5.

<sup>9</sup> ს. იორდანიშვილი, ქართული კომპოზიტების დაწერილობისათვის, ნაკვეთი VII, ტფილისი, 1934, გვ. 3 — 20.

<sup>10</sup> აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია, თბილისი, 1953, გვ. 149 — 163.

კომპოზიტი და მისი სახეობანი, აგრეთვე ინდოელ გრამატიკოსთა მიერ დადგენილი ტიპები განხილულია არნ. ჩიქობავას „ზოგად ენათმეცნიერებაში“ და იქვე გაშუქებულია საკითხები ფუძის რაობისა, ერთი მხრივ, და კომპოზიტის დამოუკიდებულებისა ერთფუძიან სიტყვასთან და შესიტყვებასთან, მეორე მხრივ <sup>11</sup>.

კომპოზიტები ძველ ქართულში შესწავლილი აქვს თინ. ყაუხჩი-შვილს. თავის შრომაში ავტორი გამოყოფს 1. საკუთრივ ქართულ კომპოზიტებს (როგორცაა: მამა-დედა, დედა-მამა, მონა-მწვეალი, ცოლ-ქმარი, დედა-ძმძე, ძელქვა, გეოგრაფიული სახელები: დოლისყანა, უფლისციხე და სხვ.); საერთო შედგენილობის კომპოზიტებს ქართულსა და სომხურში (მაგ.: თესლტომი — *սղգստոմ*, გულმედგარი — *վատախրո*, ქვისდაკრება — *քարկանի*, კელტული — *ձևուհնայ* და სხვ.); 3. საერთო წარმოშობის ქართულსა და ბერძნულ კომპოზიტებს (მთავარეპისკოპოსი — *ἀρχιεπίσκοπος*, იფქლისსა-წყაული — *οὐρομάρτιον*, ყოვლადღიერი — *παναγράω* და სხვ.); 4. საერთო წარმოქმნის კომპოზიტებს ქართულსა, ბერძნულსა და სომხურში (ოთხფერკი — *τετραπαις*, ჯორჯიანსი — *თუმპყრობელი* — *ἀσχαράω*, *ჩხენსკას*, ღმრთის-შობელი — *θεοτόκος*, *աստուածածին*, ვეცხლისპოყუარე — *φιλάρყოიც*, *არბა-ქსანკ* და სხვ.). იქვე სწორადაა შენიშნული, რომ კომპოზიტის საერთო შედგენილობა კიდევ არ ნიშნავს მის სხვა ენის გაუღენით წარმოშობას. ქართულს სრულიად დამოუკიდებელი შექმლო წარმოქმნა მსგავსი კომპოზიტები, მით უფრო, როცა მას საკუთარი წარმოების რთული სიტყვები ბევრი მოეპოვებოდა. ასეთია ტოპონიმიკური სახელები, ცხოველთა, მცენარეთა, თანამდებობის, ზელობის, თვისების, ზნე-ჩვეულებისა და სხვათა სახელები (პირუტყვ, ჭილყუავი, კუროსთავი, ციხისთავი, კირთხურო, თავგედი, დღესასწაული და სხვ.). მაგრამ უდავოა, რომ გადმოღებულია ბერძნულიდან ქრისტიანული რელიგიის ცნებები ქართულშიც და სომხურშიც ისევე, როგორც ბერძნულშია ბევრი ცნება გადმოსული ებრაულიდან <sup>12</sup>. კომპოზიტის შედგენილობასა და ზმნიან კომპოზიტებს ძველსა და ახალ ქართულში ეხება მ. მრეველიშვილი <sup>13</sup>.

როგორც თავშივე ითქვა, კომპოზიცია ქართველურ ენათა სიტყვაწარმოების ოდითვე გამოყენებული პროდუქტიული საშუალებათაგანია. ამით აიხსნება, რომ ძველ ქართულში კომპოზიტები, მათ შორის ზნინიანიც, როგორც თარგმნილს, ისე ორიგინალურ ძეგლებში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ბევრი მათგანი უთუოდ ბერძნულის, სომხურის თუ სხვა ენის რთული სიტყვის კალკს წარმოადგენს (ღმრთისმეტყუელი, ღმრთისკაცი, მცირედმორწმუნე, მართლმადიდებელი, მთავარანგელოზი და სხვ.), მაგრამ საკუთარი უამრავია <sup>14</sup> და, თუ

<sup>11</sup> არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება. I. პროპედევტიკული ნაწილი, ტფილისი, 1935, გვ. 174 — 176; 1939, გვ. 187 — 189; 1946, გვ. 160 — 162, და მისივე, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 224 — 227.

<sup>12</sup> თინ. ყაუხჩი-შვილი, კომპოზიტები ძველ ქართულში: სტალინის სახელმწიფოს თბილისის საბ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 47, თბილისი, 1952, გვ. 59 — 90.

<sup>13</sup> მ. მრეველიშვილი, კომპოზიტები ქართულ ენაში: თბ. უნივ. შრომები, ტ. 67, თბილისი, 1957, გვ. 165 — 186.

<sup>14</sup> კომპოზიტები და რთული ზმნები სახელის ბრუნებასთან დაკავშირებით თავმოყრილი და გაანალიზებული აქვს ივ. იმნაიშვილს შრომაში: სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 134 — 143, 150 — 171, 196 — 198, 252 — 261, 467 — 472, 539 — 543.

რომელიმე მათგანი შედგენილობის მხრივ მსგავსია ბერძნულთან თუ სომხურთან (მაგ.: ოთხფერჯი — τετραφαιραჯ, კაცისმკვლელი — ἀνθρωποκτονος...), ეს მათი საერთო საფუძვლის ნაჩვენებელია. ამ მხრივ საჭიროა სხვადასხვა ენის კომპოზიტთა შესწავლა, მათ შორის მსგავსების დადგენა და საერთო საფუძვლის გამოკვევა. ეს საკითხი ზოგადენათმეცნიერული საკითხია და მის გასაშუქებლად ქართველური ენები მდიდარ მასალას იძლევიან.

ჩვენ ამჟამად მივუბრუნდეთ სვანურს.

## 2. კომპოზიტი სვანურში

სვანურში კომპოზიტის გამოსაყვანიად მოკლებული ვართ რიგ თვალსაჩინო ენობრივ საშუალებებს, რომელთა წყალობით ქართულში ხერხდება კომპოზიტის გარჩევა ჩვეულებრივი შესიტყვებისაგან. ესაა: 1. ემფატიკური -ა-ს უქონლობა ძველი ქართულის კომპოზიტში (დისწული, ერისთავი, ზეთისხილი, თავისუფალი და სხვა მრავალი, და არა: დისა წული, ზეთისა ხილი...); 2. ფუძის განსხვავება სახელობითი ბრუნვის ფორმისაგან (შდრ. ფუძე გ უ ლ და სახ. გ უ ლ - ა); 3. ბრუნვის თუ რიცხვის ნიშნის მოკვეცა მსაზღვრელ სახელში (ნათლიშამა ← ძვ. ქართ. ნათლისშამა, ნავსადგური ← ნავთსადგური, ბოროტმოქმედი ← ძვ. ქართ. ბოროტისმოქმედი...). სვანურში ემფატიკური -ა საერთოდ არაა, ფუძე და სახელობითი ბრუნვის ფორმა გათანაბრებულია (მაგ. ქათალ 'ქათამი' ფუძეცაა და სახელობითიც) და ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელს ისედაც ეკვეცება ნათესაობითის ნიშნის -შ ელემენტი ყველა დიალექტში, გარდა ბალსქვემოურისა. მიუხედავად ამისა მაინც ხერხდება კომპოზიტთა გამოყოფა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა ფუძე გარაკვეციებულია, ან კავშირი ო 'და' იგულისხმება.

მივპყვეთ ქართულს კვალდაკვალ.

კომპოზიტთა სახეობა, შედგენილობა, შეერთების საშუალება, მეტყველების ნაწილები და მნიშვნელობა ძირითადად ისეთივეა სვანურში, როგორც ქართულში, ოღონდ ზოგი სახის წარმოება ნაკლებ პროდუქტიულია ან სულ არა გვაქვს.

ფუძეგარკეცებულ ფუძეუცვლელ კომპოზიტში ო 'და' კავშირი არ გვხვდება, ამდენად არა გვაქვს კვალდაკვალ, პირდაპირის ანალოგიური მაგალითები. ამით განსხვავდება სვანური ქართულისაგან. სამაგიეროდ უკავშირო შეერთების შემთხვევები ხშირია, თუმცა ყველა სახეობა აქაც არა ჩანს.

ა) უკავშირო ფუძეუცვლელ კომპოზიტებში ა) არ შეიმჩნევა უაზრო მარცვალთა გარკეცება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიტყვას დ ა ბ დ ა ბ 'დაბადება', რომლის წარმოშობა მთლად ნათელი არ არის, თუმცა მისი დაკავშირება დაბადებ ა'სთან გამორიცხული არაა. მაშასადამე, ნ ა რ ნ ა რ ი, ძ ა გ ძ ა გ ი, ქ ა ხ ქ ა ხ ი და მსგავსი შემთხვევები სვანურში არ იცის. ბ) ჩვეულებრივია სახელისა (უპირატესად ზედსართავისა) და ზმნისართის გარკეცება, სადაც ფუძეთა შორის ო 'და' კავშირი ივარაუდება. მაგ.:

ბთუ-ბთუ	ცხელ-ცხელი	ლეთა-ლეთა	ზევ-ზევით, აღ-
მეგრე-მეგრე	მსხვილ-მსხვილი		მართ-აღმართ
ყვითელ-ყვითელ	ყვითელ-ყვითელი	ლექვა-ლექვა	ქვევ-ქვევით და სხვ.



ისტორიულად ამათვე უკავშირდება ისეთი კომპოზიტებიც, რომელთა კომპონენტი ცალკე არ იხმარება, ან არც ცალკე იხმარება და არც მნიშვნელობა აქვს ამჟამად. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი თავისთავადი სიტყვა იყო და მნიშვნელობას ატარებდა. ასეთებია:

შეღ - შეღ ახსება 242, შრიალ-შრიალი გსმენია  
როღა - როღა 352 p სიწყნარე-სიწყნარე

მაგრამ სრულიად გაუგებარია:

ზანგრი - ზანგრი კიულდში 264,  
რიკი - რიკი მორმოქალ 354, და სხვ.<sup>15</sup>

ესენი საგანგებოდ საკვიროებენ შესწავლას.

ფუძის გაორკეცებისას შეიძლება მეორე კომპონენტი ჩანდეს რომელიმე ბრუნვაში (ეითარებითში, მოქმედებითში ან სხვ.), ან ორივე კომპონენტი მოგვევლინოს ერთსა და იმავე ბრუნვაში, როგორც ეს ქართულშია. მაგ.:

ვითარ.: ეი პჯჯკრქნებ უმბილ - უმბილ 34<sub>187</sub> შეგკრეს უნებურად  
(„უნებურ-უნებურად“)

ურიგე-ურიგვდ 60<sub>26</sub> ურიგ-ურიგოდ  
ბგვი-ბგვიდ 240<sub>22</sub> მაგრა-მაგრად...

მოქმ.: თოთანა ესლური კაჩ - კაჩუშ 238, თოთანზე მივდივარ აღ-  
მართ-აღმართ („ზეზე დგომით, ამართვით“).

საფიქრებელია, რომ პირველ კომპონენტსაც ბრუნვის ნიშანი ჰქონდა და იგი მოექვეცა, როგორც ეს კარგად ჩანს მაგალითებიდან:

მეგრა-მეგრად 124, მსხვილ-მსხვილად (შდრ. სახ. მეგრე-მეგრე)  
კაფუ-კაფუშ 274<sub>14</sub> სიმწარ-სიმწარით (შდრ. სახ. კაფუ).

ბრუნვის სუფიქსები ორივე ნაწილში დაცულია:

მიც. ლაყვრან-ლაყვრან 18<sub>18</sub> საწოლ-საწოლ  
მოქმ. უფგოშ-უფგოშ 18<sub>18</sub> ჩუმ-ჩუმად  
ნათ. მრ. მინეშ-მინეშს 104<sub>17</sub> თავ-თავისას და სხვ.

b) ფუძეცვლილი კომპოზიტები სვანურშიც იმავე სახისაა, როგორისაც ქართულში. აქაც ადგილი აქვს შემდეგს მოვლენებს:

ა) ხმოვანი იცვლება ერთ-ერთ კომპონენტში, უფრო მეორეში. მაგ.:

ა — უ: კალარ-კულარ 200<sub>26</sub> კალელ-კულელები (კალ თემის სახელია,  
კალარ კალელები)

აპდა-უპდა 358<sub>9</sub> აბლაუბდა (ქართულიდან ნასესხებია)

ღარი-ღურა 242<sub>20</sub> ხეფხევი

კვფხი-კუფხა 250<sub>10</sub> ნეკერნუკერი...

გ — უ: ღელე-ღულე 352p ღელელულე

ო — ა: ბითქი-ბთქა 250<sub>4</sub> ბათქაბთქი (ზმნაშია ბეთქი)

ბიქკვი-ბპქკვა 250<sub>4</sub> სკლომა-ხეთქა (ზმნაშია ბექქკვი: ბექქკვი  
სკლება)

რიქი-რაქა 222<sub>9</sub> მითქმა-მოთქმა

<sup>15</sup> საილუსტრაციო მასალა ამოღებულია წიგნიდან „სვანური პოეზია“. I. სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიაშ და მ. გუჯუჯიაშ ანკა, თბილისი, 1939. სიმღერებში გრძელი და უმლაუტიანი ხმოვნები ყოველთვის დაცული არ არის. ზოგჯერ არც სიტყვებია ბუნებრივი სახით წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა სიმღერებიდან ამოღებულ მაგალითებს უცვლელად ვტოვებთ.

ტყიგი-ტყაგა 350<sub>1</sub> ბლაცუნი (ბზ. რიქნ-რჰჰა, ტყიგნ-ტყეგა) და სხვ.

ბ) ეგებას თანხმოვანი აქვს დართული მეორე ნაწილს:

ბ: ულდუ-ბულდუ 244<sub>1</sub>

აღდგრ-ბაღდგრ 258<sub>1</sub>

ესილ-ბესილ 354<sub>11</sub>

თ: ზლილოსა-თწლილოსა 262<sub>1</sub>

წლილწდ-თწლილწდ 352<sub>1</sub>

ონღურ-თონღურ 354<sub>1</sub>

შ: აკალწდ-მაკალწდ 356<sub>1</sub>

აელიდ-მაველიდ 361 და სხვ.<sup>16</sup>

გ) მაგრამ არის შემთხვევები, სადაც პირველ კომპონენტში მოკვეცილი ჩანს მეორე კომპონენტის თავკიდური თანხმოვანი. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ მეორე ნაწილი ზნიშენელობის მქონე სიტყვაა, ან იგი მეორედება ფრაზაში. მაგ.:

შ: ერწლ-მერწლ, ძულევ მეროლ 352<sub>2</sub> ურბელ-ღრუბელი, ზღვის ღრუბელი

ერე-მერე, დეცე მერე 260<sub>1</sub> ურბელ-ღრუბელი, ცისა ღრუბელი (მერე, კინი. მერწლ ღრუბელი)

ანგერ-მანგერ 350<sub>1</sub> აქონელ-საქონელი (მანგერ ლშხ. საქონელი)

ქ: ერთლა-ქერთლა, ქერთლამაზი 354<sub>1</sub>

ჯ: აულ-გაულ, ლექსიშ გაულ 262<sub>1</sub> და სხვ.<sup>17</sup>

აპიტომ, ვიდრე არ გაირკვევა რომელიმე კომპონენტის პირვანდელი სახე, ძნელია იმის გადაჭრით თქმა, მოკვეცილია თუ დართული თანხმოვანი. ასეთება განეკუთვნება:

ერეკენი-მერეკენი 354<sub>21</sub>

ოქო-ყოქო 352<sub>1</sub>

ინტრი-კინტრი 220<sub>10</sub> და სხვა<sup>18</sup>.

35<sub>1</sub>ქი-კვანჭი 'შესაწირავი ყველიანი პატარა კვერი' — მოკვეცილია პირველ კომპონენტში კვ, რამდენადაც ცოცხალია სიტყვა კვანჭილ<sup>19</sup>.

დ) თავკიდური თანხმოვნის ან ხმოვან-თანხმოვნის თუ თანხოვან-ხმოვნის შეცვლით მიღებულია ამგვარი კომპოზიტები:

ხულდუ-პულდუ 260<sub>2</sub> (შდრ. ქართ. ხურდამურდა)

ღლივარ-ბლივარ 208<sub>1</sub> კრელთვალება

კერკინასა-პერკინასა 356<sub>12</sub> (უნდა: კერპინას-პერკინას)

ცაქვა-ნაქვა ლშხ. 7 ერთი ამბივი, ერთი ლაპარაკი

<sup>16</sup> ა-ც გ გ ე ნ ა - მ ა - ც გ გ ე ნ ა 264<sub>1</sub> ნაცვალსახელოვანია 'ა-ზლაპარი, რა-ზლაპარი' და შიტრს არ შევა თანხოვანდართულთა ჯგუფში.

<sup>17</sup> თსლო-ბოსლოს პირველ ნაწილში ზ დაქარგულია: ვ. ბ არ და ვ ე ლ ი ძ ე, ქ არ-თული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი, 1953, გვ. 99, 100.

<sup>18</sup> არ ვეხებით ქართულიდან ნასესხებ კომპოზიტებს, როგორცაა: ააა-ბაბა 264<sub>11</sub>, იწილო-მიწილო, აღხო-მაღხო, იშტი-ბიშტი და სხვ. (გვხვდება სვანურ ლექსებში).

<sup>19</sup> ვ. ბ არ და ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი, ტფილისი, 1939, გვ. 200. სადაც მოყვანილია ტურმინი კვანჭილ. რაც შეეხება გ ვ ი ზ მ ა გ უ ზ ს (გვ. 93), აქ გ ვ ი ზ 'ზორბალია', გ ვ ი ზ მ ა გ ვ ი ზ 'ზორბლეულია, გადნახული და დღესასწაულისათვის დანიშნული. მისი ფქვილის პურის ქაშა შეეძლოთ მხოლოდ ოჯახის წევრებს (მ. გ უ ჯ ე ჯ ი ა ნ ი).

ანტყვესგ-მუტყვესგ 352, ვარსკვლავ-ნაპერწყალი ჩადარ-კუდარ 218 (წყევლა-გინება?) და სხვ., თუ ორ უკანასკნელ შავალითში ცალკე სიტყვები არ არის შექრებილი.

ე) საყურადღებოა მა შარცვლის ჩართვა ფუძის გაორკეცებისას: ხილ-მწხილ 'ხილულში', გვიზმავუზ || გვიზმავვიზ 'კვირტიანი თხილის ტოტების კონა'<sup>19</sup>. საფიქრებელია, რომ მა- საწარმოებელი თვისართი იყოს.

სხვა მოვლენა (დისიმილაცია) ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებში არ შეიმჩნევა.

ფუძეგანსხვავებული რთული სიტყვები სვანურშიც **ო 'და' კავშირიანი** და **უკავშირო.**

1. **ოკავშირიანი** უმთავრესად რიცხვითი სახელია და ისიც ოცის შემდეგ, როგორც ეს ქართულშია:

ბზ. მერვეშდიეშხუ	ოცდაერთი
მერვეშდისემი	ოცდასამი
მერვეშდიარა	ოცდარვა
სემეშდიეშხუ	ოცდაათობმეტი
უსგვეშდიუსგვა	სამოცდაექვსი და სხვ.

ოცამდე ბზ.-ში **ოკავშირის** შეიცავს **მეშდიეშხუ** 'თოთხმეტი' ('ათდათხი'), სხვა ათ-ერთეულში კავშირი არ ჩანს.

2. **უკავშირო** კომპოზიტები აქაც ორ ჯგუფად იყოფა. ერთ ჯგუფს ქმნიან ორცნებიანი კომპოზიტები, სადაც კომპონენტთა შორის **ოკავშირი** ჩაყარდნილია, იგი იგულისხმება და წვერებს შენარჩუნებული აქვთ თავ-თავისი მნიშვნელობა, ხოლო მეორე ჯგუფის კომპოზიტები ერთცნებიანია (ერთ-მნიშვნელობიანია) და მათ შორის **ო** არ იყარაუდება.

ა) **იკავშირი** რომ იგულისხმება, ასეთი კომპოზიტი საკმაოდ ბევრია, განსაკუთრებით პოეზიაში. მოვიყვანთ მრავალი მაგალითიდან რამდენიმეს:

გეოგრაფიული სახელები: მლახ-მგელ (უნდა: მლახ-მგელუ), ეცერ-ცხ-მარ და სიმღერიდან:

ეი ინზორალეხ:	იკრიბებიან:
სოლა-ლენჯარე...	სოლ-ლენჯერი,
მლახ მგელე,	მულახ-მგელი,
წვირში-იფარე,	წვირში იფარი,
კალა-უშგულა	კალა-უშგული და სხვა.

ადამიანის საკუთარი სახელები: ვიცილ-მაცბილ, სოზარ ციეოყ...

სინონიმები: ლიზი-ლიჩედი ან ლიზ-ლიჩედი (უნდა: ლიზი<sup>19</sup>-ლიჩედი) სელა-წასელა

რამ-ბედაურ (რამ-ბედავირ — ნასესხებია) რამ-ბედაური ბეგი-მეგპე (ვათარ. ბეგი-მეგპად) მაგარ-გამძლე და სხვ.

ანტონიმები: დეცე-გიმ ცა-დემამიწა  
 ლენგმე-უჩემა საქნარ-უქნარი  
 ლეთ-ლადელ ღამე-დღე  
 ლეფ-ლექვა ზევით-ქვევით და სხვ.

გაცილებით უფრო მეტია შინაარსობრივად ახლო მდგომ თუ დაშორებულ სიტყვათაგან შემდგარი რთული სიტყვები:

ხეხე-ქაშ, ლშხ. აეხე-ქაშ	ცოლ-ქმარი
დედე-ბაბა (   დედე-ა ბაბა)	დედ-მამა (   დედა და მამა)
მუ-გეზალ	მამა-შვილი
ყორ-ლაკვრა	კარ-ფანჯარა
თხვიმ-კიშხ	თაე-ფეხი
დაჯღლ-ლოლაჰქ	თხა-ცხვარი
ლეზეებ-ლეთრე	საქმელ-სასმელი
ლირდე-ლიზგე	ყოფა-ცხოვრება (ყოფა-სახლობა)
წკრინი-ყვითელ	წითელ-ყვითელი
უმჩა-უდგარა	უბერებელ-უკვდავი
არა-ჩხარა	რვა-ცხრა
ეჩხან-ამხან	იქიდან-აქედან და სხვ. <sup>20</sup>

მიუხედავად ი საგულისხმებელ კომპოზიტთა ასეთი ფართო გავრცელები-ბისა, ხშირია შემთხვევა, როცა კომპოზიტთა შორის ი ქვეშირი გვევლინება. და კომპოზიტს არ წარმოადგენს. მაგ.:

დრ-ა მუ დედ-მამა („დედა და მამა“)  
 ხოშა-ა ხოხერა დიდი და პატარა  
 თჳ-ა აყბა ლშხ. („თვალი და ყბა“) აეი თვალი  
 ლითონ-ა ლიქმე მკა და თიბუა  
 ყორ ი ლაკვრა (შდრ. ყორ-ლაკვრა) კარი და ფანჯარა  
 დეც ი გიმ (შდრ. დეცე-გიმ) ცა და დედამიწა  
 ცაგ ი მერხელ ეკალი და ქინკარი  
 ჰამს ი ნაბოზს დილას და საღამოს და სხვ.

ასეთი შემთხვევები ქართულშიც გვხვდება და ამდენად სვანურის სპე-ციფიკურ მოვლენად არ ჩაითვლება.

ფუძვანსახეებზელი ერთცნებიანი კომპოზიტები სვანურში ქართულთან შედარებით ცოტაა და იმგვარევე ნაირსახეობაც არ ახასიათებს, თანაც ჩვეუ-ლებრივ განსაზღვრებითია (composita determinativa).

მსაზღვრელია არსებითი სახელი:

ქვინტგეზალ	ვაფიშვილი
დინაგეზალ	ქალიშვილი
ლეპმარე	ვატაცი
ნაკიფზარ	ვაკეიფარი (სოფლის სახელია)
კერძმარე	(„კერძკაცი“) მეგობარი
აფხნეგმარე	(„ამხანაგკაცი“) ამხანაგი...

(ამათ საერთოდ ცალ-ცალკე წერენ).

მსაზღვრელია ზედსართავი სახელი ან მიმღეობა:

ისგლწთ შუალამე ისგლადელ შუადლე

ჩუბეტეე („ქვემო ხევი“) თემის სახელია. საერთოდ ზედსართავად გამოყე-ნებული ბქ. ებებ თუ ეიბე 'ზემო', ჩვაბე თუ ჩუბე 'ქვემო', ასევე ნათე-

<sup>20</sup> მაგალითები მოგვყავს დაბეჭდილი ბალსუმოური, ბალსქვემოური: და ლაშური-ტექსტებიდან. გვერდებს არ ვუჩვენებთ იმის გამო, რომ ეს გამოთქმები ცოცხალ საუბარშიც ხშირად იმის.

საობითის ფორმა ბზ. ლეენ (← ლეეზუ) 'ზემოს'. ლეეჰ (← ლეეჰუ) 'ქვემოს' გეოგრაფიულ სახელთან ერთად არ ქმნის კომპოზიტს: ბქ. ეახე ლჰა ზემო ლუჰა, ჩუბე მარლ ქვემო მარლი (სოფლებია)...

მახელეჰ<sup>21</sup> ახალგაზრდა  
 ეზარმარე მოკეთე, მეგობარი  
 ნესგამეზალა („შუამავლები“) შუაკაცები, მედიატორები (მხ. ნეს-

გამეზი<sup>22</sup>).

ინვერსიული წყობით:

ზომხა ← ზაჰ მახე ახალი წელიწადი

მიმღეობის გამოყენებით:

თაშმეჯაბ („ყველხარშული“) მოხარშული ყველი (იწელება) (შღრ. თაშლაჯაბ ყველის სახარში)

ცერმეჰე ცერამართული (გაშლილი ხელის ტოტი)

ყორმეჰე კარლია

ქვინლემგენე სულდგმული

უშქ[ვ]უბარდ ლშხ. („პირუბრად“) უბრად

უშქეუშემდ ბზ. („პირუხმოდ“) ხმაამოუღებლიე

ბოლლეკედ წვერამოსადგები

ტან-ლაგენ 170<sub>21</sub> („ტანსადგამი“) ტანადობა და სხე.

მსაზღვრელია ნა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი :

ეჯამაგ იმდენი (ეჯა ის + ალამაგ ამდენი (ალა ეს + მაგ  
 მაგ + ყველა) ყველა)

ეჯშელდ || ერშელდ იმდენი ამშელდ ამდენი (შე ლ დ რიცხვი)

ეჯკაღიბ იმისთანა ამკაღიბ ამისთანა (კაღიბ ← ყა-  
 ლიბ-ი)

ეჯგვარ იმგვარი, იმისთანა ამგვარ ამგვარი, ამისთანა

ეჯზუმ იმდენი ამზუმ ამდენი, მზუმ რამდენი  
 (ზუმ ← ზომა)

კომპოზიტში მონაწილეობას იღებს ზ მ ნ ი ს ა რ თ ი, თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ნ ა წ ი ლ ა კ ი :

ვეშგინაილ → || ლეეშგინაილ || ლოშგინაილს („უკან პირს“) უკა-  
 ნასკენელ, ბოლოს

დეცზუმ, გიმზუმ ცისოდენა, დედამიწისოდენა

კავეშგინ კერიის უკან

ამეგლეჰა („აქ ზემოთ“) ამის ზემოთ

ნესგალეჰა („შუას ზემოთ“) შუა, შუაში და სხე.

მამაგვეშ || მამგვეშ („არასაქმე“) არაფერი

მადხეჰა („არაბევრი“) ცოტა

ღარ (← დე ღარ) არავინ და სხე.

აქ გამოყენებული ზ უ მ, ვ ე შ გ ი ნ, ლ ე ე ა თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი ა. ისინი სახელს მიცემით ბრუნვაში დაერთვიან, თუმცა ბრუნვის ნიშანი -ხ არა ჩანს. ე ხმოვნის თანდებულისა სახელი მიცემითში ა-ნითაა წარმოდგენილი და ამას კარგად გვიჩვენებს ტერმინი ბზ. ღ ა რ ვ ნ ე ს გ ა, ბქ. ღ ა რ ვ ნ ე ნ ს გ ა

<sup>21</sup> მ ა ხ ე 'ახალი' ჯერ კიდევ შემტყიცებული რომ არ არის, იქიდან ჩანს, რომ ის იცუ-  
 ლება: მიტ. მ ა ხ ა ღ ვ ა ჯ ს.

<sup>22</sup> რ. ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, ტფილისი, 1939, გვ. 58, 59.

(„ორთაშუა“) ორი დღეობა: შობიდან ახალწლამდე და აღდგომიდან ახალ-  
კვირამდე<sup>23</sup>.

რაც შეეხება რიცხვით სახელს, იგი მსაზღვრელ კომპონენტად სეა-  
ნურში ქართულიდან ნასესხებ კომპოზიტებში გვაქვს: ეთ თ ხ მ ჯ ლ ← ო თ ხ-  
მა ე ა ლ - ი ოთხეფი საქონელი, ო რ კ ე ც ი - დ ← ო რ კ ე ც - ა დ...

ზოგი ფუძეგანსხვებულებული კომპოზიტის პირველი წევრი ბრუნვაში დგას.  
ნათესაობითში ბრუნვის ნიშნის ელემენტი - შ, საერთო წესის თანახ-  
მად, მოკვეცილია. იგი მოკვეცილია ბალსქვემოურ კომპოზიტშიც, წინააღმდეგ  
ნორმისა. ასეთია, მაგ.:

დო ლ ო ს ვ ი ფ (← დო ლ ო ს ვ ი ფ) ბეჩოს ცენტრის სახელია. ასევე  
უნდა იყოს მიღებული წ ი ფ ლ ა კ ა კ ა რ (← წ ი ფ ლ ო შ + კ ა კ ა რ),

.. სოფელა ლენტეხის რაიონში

ივალადელ (← ივა შ ლადელ ← ევა შ ლადელ ევას დღე? ა. შ ა ნ ი-  
ძ ე) მუღამ, „მიღღემჩი“

ტკტაღიარ ბზ. („ნაცრის პური“) დაკრძალვის წინა დღეს მეზობ-  
ლების მიერ მოტანილი პური

ქათლაქემ ლშხ. („ქათმის თივა“) მცენარეა

ბარჯიზობა ლშხ. (← ბარჯიშზობა) ბეკიქამია

მეგემსგდი ლშხ. („მზის მზირალი“) მზესუნებია

ზისხითგრა ლშხ. სისხლის მსმელი და სხვ.<sup>24</sup>

მაგრამ არის შემთხვევები, რომ სულ მოკვეცილია ნათ. ბრუნვის ნიშანი  
და პირველი წევრი ფუძის სახითაა შემორჩენილი:

გიმლიმზერ ← || გიმლიმზერ „ადგილის ლოცვა“, მიწის ლოცვა<sup>25</sup>

მიშლადელ (← მიეიმ ლადელ „მზის დღე“) კვირა (შდრ. ც ლადელ  
„ცის დღე“, ხუთშაბათი) და სხვ.

გვეპტაბელ (← გვექიშ ტაბელ) გოქის ტაბლა

ჩერშდა (← ჩერიშ შდა „თითისტარის თავი“) კვირისტავი, აქედან ბზ.

ჩერშდროლ, ლშხ. ჩერშტროლ მსხლის ჯიშია.

ამათ უნდა მისდევდეს ყორლიკრწლ „კარის გაღება“, გვეშლმპერათე  
„საქმის გასაგებად“ და სხვ.

მოკვეცილი ჩანს ვითარებითი ბრუნვის ნიშანი კომპოზიტში ლე გ მ ე-  
რ დ ე ← || ლეგდმერდე „აეადმყოფი“, ლეგდლიოდდე → || ლეგლირდე „აეადმყო-  
ფობა“

ზოგი ზმნისართის პირველი წევრი ბრუნვაში დგას:

ბზ. ჩილადელ ყოველდღე (ჩი მიცი.)

ჩიგვაშე („ყოველ საქმეს“) ყოველგვარს (ორივე წევრი მიცი.).

ჩიწსგიშ („ყოველი ადგილის“) ყოველი მხრისა

<sup>23</sup> გ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ-დღეობათა კალენდარი, გვ. 59 — 76.

<sup>24</sup> ტერმინების, მცენარეთა სახელებისა და მისთანათა მსაზღვრელი ნათ. ბრუნვის  
ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ სიტყვა ჯერ კიდევ კომპოზიტად ქცეული არ ჩანს. პში-  
ტომ ასეთი მაგალითები არ მოგვყავს: ლშხ. შდუგვი აკვედ („თავის კუდი“), შვეფვი ჰოშხ  
(„მწყრის ფეხი“) მცენარეთა სახელია, ლუნი თხუბ („ხბოს თავი“) სოკოა და სხვ. ან ტერ-  
მინები: ბზ. ჰორან მახუში „სახლის უფროსი“, ჰორან მგჭხი „სახლის მეკლე“, ასევე შიში ბე-  
რანო „ხელთათმანი“ და სხვ.

<sup>25</sup> გ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვან. დღეობათა კალენდარი, გვ. 15, 70 და სხვ.

შეიმჩნევა თანხმოვნის დაკარგვა, მარცვლისა თუ ბრუნვის ნიშნის მოკვეცა:

ბზ. კათხ-ტაბჷგ → || კათ-ტაბჷგ (ხ დაკარგულია ← კათხა-ტაბაკი) სულის მოსახსენებელი ხარჯი<sup>26</sup>

ჩიჷგ (← ჩი ჷგის „ყოველ ადგილას“) ყველგან

მერეჷგ (← მერეა ჷგის „სხვა ადგილას“) სხვაგან

ბზ. იშგნჷგ, ლწხ. იშგნჷგ (← იშგენ აგის „სხვა ადგილას“) სხვაგან  
 ცქემჷდ || ცქემჷდ || ცქემჷდ || ცხემჷდ (← ცხვი-ტემჷდ „ისარ-მშვილდი“) მშვილდ-ისარი

მწჷმ (მწა ჷმ „რა ზომა“) რამდენი და სხვ.

ნასესხები სახელი მცენარისა „ხარისძირა“ ლაშხურში შეცვლილია ხარძირ სახით.

კუთვნილებითი ნაირფუძიანი კომპოზიტი (composita possessiva) სუაწურში არც ისე ხშირია, მისი მოძებნა ტექსტებში არცთუ ადვილია<sup>27</sup>. რაც მოიპოვება, იგი ქართულისებრ აგებულია: სახელი + მიმღებობა. მაგ.:

ში-ლჯნე (ლაშარია შილჯნე „მარიამის ბელღებულ“) მარიამის

შესაწირავი კვერი

თხვიმ-მექეცე თავმოკრილი, ასევე: კინჩხ-მექეცე კისერმოკრილი

თე-ლჯნე თვალდამდგარი

ქად-ლჯყნე „მუცელდაბერტყილი“

სვიფ-ლუქბუნე მოედანდატყპნილი

ყორ-ლჯყნე კარდაკეტილი

ქაქ-ლჯბეღე გუდაგაბერილი

ურემ-უხლა („უცოდინარი“?)

კა-უტბიდა კერავაუმთბარი

ქარჯ-მჯარ („ხახადღებული“) ხახალია

თხვიმ-მეშვი თავგასივებული<sup>28</sup>

აღსანიშნავია, რომ ლგ — ე აფიქსებიანი მიმღებობის შემცველი კომპოზიტები გაცილებით უფრო ნაკლებ გავრცელებულია, ვიდრე მე — ე აფიქსებით წარმოებულ კომპოზიტები, როგორცაა: თხვიმ-მექეცე 'თავგატყპნილი', თემეხპე 'თვალგამსკდარი', ქიშხმეყყე 'ფეხმოტყხილი', ბარჯმეგბე 'ბეჭკაზოგდებული, ბექნაღრძობი' და სხვ.<sup>29</sup>

როგორც აღწერილან ჩანს, სუაწურ კომპოზიტთა შედგენილობა და წარმოების საშუალებები იგვევა, რაც ქართულისა, განსხვავება ჩანს მხოლოდ იმ მხრივ, რომ ზოგი სახის კომპოზიტი ნაკლებ გავრცელებულია, ან ზოგიც სულ არ გვხვდება.

<sup>26</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სუან. დღეობათა კალენდარი, გვ. 71. 74 და სხვ.

<sup>27</sup> შით უფრო, როცა კომპონენტებს ცალკე სიტყვად მიიჩნევენ და ცალ-ცალკე წარენ. ჩვენ აქ დეფისით შევაერთეთ, წესით კი ერთად უნდა დაიწეროს.

<sup>28</sup> ამ მაგალითთა უმეტესობა ამოღებულია ლაშხურში ჩაწერილი სახუნარო ლექსიდან: „სუაწური პოეზია“, გვ. 204 — 212.

<sup>29</sup> კომპოზიტები დაწვრილებით იქნება მიმოხილული და რთულ სიტყვათა ეტიმოლოგიებიც მოცემული სუაწურისთვის მიძღვნილ შრომაში.

## 8. კომპოზიტი ზანურში

რთული სიტყვა მეგრულში საკმაო სისრულით აქვს აღწერილი ი. ყიფშიძეს<sup>30</sup>. მის წიგნში მოყვანილი და ჩვენ მიერ შეკრებილი მასალები რომ ქართულ კომპოზიტთა ჯგუფების მიხედვით დავალაგოთ, ასეთ სახეს მიიღებს.

ფუძეგაორკეცებული ფუძეუცვლელებიდან ა) დო 'და' კავშირიანი, მსგავსი ქართული ცხენ და ცხენ<sup>31</sup>, კვალ და კვალ და სხვებისა, მეგრულში, ისევე როგორც სვანურში, არა გვაქვს, თუ ასეთად არ ჩავთვლით ტყა დო ტყა 'ტყე და ტყე', ეი დო ეი 'ზევით და ზევით', გა დო გას 'მთა და მთაში' და მათ მსგავს, რომლებიც კომპოზიტად ჯერ კიდევ შემტკიცებული არ ჩანან.

ბ) უმნიშვნელობო ფუძეთა გაორკეცების მაგალითები მეგრულშიც გვხვდება, მაგრამ არაახშირად. მაგ.:

ჩხვიჩხვი სიმინდის კატარი

გვაგვაფი ძლიერი ცემა, ბრაგვანი (შდრ. გვაგუა ბეძეა)

ჯგვაჯგვაფი ჯახანი (შდრ. ჯგვაჯგუა ცემა; გილეჯგვაჯგუა ზვიადად დადის)

ტურტურუე როკო (ალბათ ნასესხებია; შდრ. ლათინ. turtur, რუს. тетерев; ი. ყიფშიძე) და სხვ.

გ) დო 'და' კავშირი ივარაუდება მნიშვნელობის წქონე ფუძეთა შორის. მაგ.:

ლუკა-ლუკათ

ფუჩხა-ფუჩხათ

შხუ-შხუ

ჩხე-ჩხე

სუმ-სუმი

ოშ-ოში

მუშ-მუში

ვიშო-ვიშო

მუკი-მუკი

ლუკა-ლუკად

ნამცეც-ნამცეცად

მსხვილ-მსხვილი

ცხელ-ცხელი

სამ-სამი

ას-ასი

მის-მისი

იქით-იქით

ირგვლივ და სხვ.

ფუძეცვლილ კომპოზიტებში ადგილი აქვს იმავე ფონეტიკურ პროცესებს, როგორც არის ქართულსა და სვანურში, სახელდობრ:

ა) ხმოვანია შეცვლილი, მაგრამ მაგალითი ცოტაა. ჩანს, ეს მოვლენა არაა ისე დამაზასიათებელი ზანურისათვის. მაგ., ი — ა: კირუ-კარუ (სალოცავი ნამცხვარია), ზიკუ-ზაკუ 'საქანელა'<sup>32</sup>.

ბ) პირველ კომპონენტს თავიადური თანხმოვანი აქვს მოკვეცილი, როგორც ეს მართებულად აღნიშნა ი. ყიფშიძემ<sup>33</sup>:

<sup>30</sup> ი. ყიფშიძე, Грамматика мингрельского (шверского) языка, С.-Пб. 1914, გვ. 0129 — 0132.

<sup>31</sup> ა. ცაგარლის ამეგრული ეტიუდების<sup>1</sup> I ნაკვეთის (გვ. 23) ტექსტებში ნახმარი „ცხენდალცხენ“ ქართულის გაუგებრითაა წარმოქმნილი. ასევეა მიღებული შხვადოშხვა „სხვადასხვა“.

<sup>32</sup> ე — ა: მეკო-მოკონი 'რალა-რალაყა'. ამ მაგალითის პარალელური ფორმები — შიკი-მოკონი, მუკო-მოკონი — გვიჩვენებს, რომ აქ საორიენტაციო პრევერბებივითაა შეპირისპირებული. ამდენად ეს ხმოვანმონაცვლე კომპოზიტად ვერ ჩაითვლება.

<sup>33</sup> ი. ყიფშიძე, Грмм. мингр. яз., § 130, გვ. 0132



- ბ: აცა-ბაცა (მასდარი ბაცუა) მოხეტიალე  
 აძვა-ბაძვა (ბაძვი მცენარეა)  
 აიე-ბაიე (ბაიე ბაია)  
 კვ: აზა-კვაზა (მასდარი კვაზაფი) კოპწია  
 ფ: იშქი-ფიშქინე (← იშქინე-ფიშქინე, მასდარი ფიშქინი დგომის ხმაური)

ამათ მსგავსად მ თანხმოვანი უნდა ჰქონდეს მოკვეცილი ალას-მალას კომპოზიტს (მალას მალე), მაგრამ იგივე მ დართული ჩანს ალანური-მალანური, აქედან ალანურობა-მალანურობაში, თუ ამოვალთ ტომის სახელისაგან ალანი.

გასარკვევია აკაკე-ბაკაკე, ელესია-მელესია, რომელთაც ი. ყიფშიძე მორითმავე წარმოებად თვლის<sup>34</sup>.

აღსანიშნავია, რომ თანხმოვანთა და მარცვალთა შენაცვლებს მაგალითები არ ჩანს. ეგების არც ეს იყოს ბუნებრივი ზანურისათვის.

გ) ფუძის გაორკეცებისას დისიმილაცია მოსდის

- რ თანხმოვანს: გვარგვალი ძლიერი დულილი  
 ქვარქვალი ქურქული  
 ღვარღვალი ღვრა  
 ტვარტვალი ბევრი ლაპარაკი და სხვ.

დ) ერთ-ერთი ფუძე კარგავს თანხმოვანს. სახელდობრ, პირველ ფუძეს არ უჩანს თანხმოვანი

- ლ: ძეაძვალი ძუნძული  
 ნ: გოლვიღვინაფა გაღვივება  
 სვისვიანი მღუმარება  
 რ: ეი-ეირი ორ-ორი

მეორე ნაწილს მ: მუშუში მის-მისი და სხვ.<sup>35</sup>

ფუძეგანსხვაგვებული კავშირიანიცაა და უკავშიროც.

1. ღო 'ღა' კავშირიანი ქართულისა და სვანურის შესაბამისად ზანურშიც რიცხვითი სახელებია ოცის შემდეგ. მაგ.:

მეგრ. ეჩღოართი მეგრ.-ქან. ეჩი ღო ართი (ქან. ეჩი ღო არ) ოცდაერთი ეჩღოერი ეჩი ღო ეირი (ეჩი ღო ეურ) ოცდორი...

ოცამდის ღო დაცულია ქანურში, მაგრამ პარალელურად გამარტივებული (ღ-დაკარგული) სახითაც გვაქვს, როგორც ეს მეგრულშია:

მეგრ. ვითოერი, ქან. ვიტოეურ ← || ვით ღო ეურ თორმეტი ვითოსუმი, ქან. ვიტოსუმ ← ვით ღო სუმ ცამეტი და სხვ.<sup>36</sup>

<sup>34</sup> ი. ყიფშიძე, Грамм. мѣнгр. яз., § 165, 0149—0150 და გრამატიკას დართულ ლექსიკონში.

<sup>35</sup> მაგალითებში წყუწყუტო 'კოჭი', ჯგოჯგოტია 'ქიანქველა' ფუძის გაორკეცება არაა: თავიდაური მარცვალი ორივეგან პრეფიქსული წარმოშობისა ჩანს დუ-. ძირისეულ თანხმოვანთან ასიმილაციის შემდეგ დ-უ/ღ-ო- თავსართმა შეიძინა ძირშივე განვითარებული თანხმოვანი და ამჟამად გაორკეცების შთაბეჭდილება რჩება (ჯგოჯგოტია ← ჯიჯგოტია ← დიჯგოტია: არნ. ჩიქობავა, სახლის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 173—174).

ასევე გაორკეცება არ უნდა გვქონდეს მაგალითებში დიო[რ]დე 'ჯერ' და დგვინ-დგვი 'დინდგელი'. უკანასკნელი ქართულიდან ნასესხებია და მეგრულის ფონეტიკურ კანონზომიერებას დაქვემდებარებული (შდრ. ი. ყიფშიძე, Грамм., § 130, გვ. 0132).

<sup>36</sup> ი. ყიფშიძე, Грамм. мѣнгр. яз., § 35, გვ. 037—038; მ. ბარი, Грамматика хавского (авазского) языка, С.-Пб. 1910, § 34, გვ. 19—22.

ამაზე უფრო საგულისხმო ისაა, რომ დოკავშირი დატულია ისეთ სინონიმურ, ანტონიმურ და მნიშვნელობით ახლო მდგომ სახელთა შორის, რომლებიც ქართულში და ჩაყარდნის კომპოზიტებს წარმოადგენენ. მაგ.:

და დო ჯიმა	და-ძმა	(„და და ძმა“)
დიდა დო მუმა	დედ-მამა	(„დედა და მამა“)
ჩილ დო ქომონჯი	კოლ-ქმარი	(„კოლი და ქმარი“)
ჩილ დო სქუა	კოლ-შვილი	(„კოლი და შვილი“)
მუმა დო სქუა	მამა-შვილი	(„მამა და შვილი“)
შქვინდი დო კოპული	მშვილდ-ისარი	(„მშვილდი და ისარი“)

და სხვ.

ამათ კომპოზიტობას თითქოს ის უნდა უჩვენებდეს, რომ სახელობითის-  
-ს სუფიქსი შეიძლება არ იყოს ნახმარი: ჩილ დო ქომონჯი (|| ჩილი დო ქო-  
მონჯი), მაგრამ საცხებით შემტკიცებული რომ არ არის, ამას ამელავენებს  
შესაძლებლობა კომპონენტთა ცალ-ცალკე ბრუნებისა და მრავლ. რიცხვში  
ხმარებისა (მოთხრ. ჩილქ დო ქომოჩქ, მრ. დაღეფი და ჯიმაღეფი)<sup>27</sup>. სხვა  
შემთხვევაში დოკავშირი ჩვეულებრივია ისევე, როგორც ქართულში:

ცა დო დიხა	ცა და დეღამიწა
ჯა დო ქუა	ხე და ქვა
ოქრო და ვარჩხილი	ოქრო და ვერცხლი
გერი დო ტურა	მგელი და ტურა
დლა დო სერი	დღე და ღამე და სხვა მრავალი.

### 3. უკავშირო ფუძეგანსხვავებულებში

ა) დოკავშირი იგულისხმება ორცნებიან კომპოზიტებში (composita copulativa):

თო-ყუჯი	(← თოლ-ყუჯი) თვალ-ყური
დიდა-მუმა	დედ-მამა (ნაკლებ გავრცელებულია)
ოსე-სადილი	(← ოსერიშე-სადილი „ვახშამ-სადილი“) სადილ-ვახშამი
უქუ-უხაშუ	უწვევ უხარშავი
თაში-თეში	ასე-ისე
ათაურე-ეთეურე	აქეთ-იქით
ახა-ვაია	ახ-ვაიო და სხვ.

თუმცა ასეთი წარმოება მეგრულიისათვის უცხო არ არის, იგი ბუნებრივია, მაგრამ მას ისეთი ხშირი გავრცელება არა აქვს, როგორც ეს ქართულშია.

ბ) უკავშირო ერთცნებიან კომპოზიტებში დოკავშირი არ ივარაუდება. ფუნქციით პირველი წევრი მსაზღვრელია და კომპოზიტიც განსაზღვრებითია (composita determinativa).

არსებითი სახელი მსაზღვრელია ისევე არსებითისა:

ქომოლსქუა	ქომოლი სქუა	ვაგიშვილი
ოსურსქუა	ოსური სქუა	ქალიშვილი
ცირასქუა		ქალიშვილი
გურკოჩი	გური კოჩი	(„გულ-კაცი“) სახელია
ოჩიკოჩი	ოჩოკოჩი	(„ვაკაკი“)

<sup>27</sup> მდრ. კანური: არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 71.

აქაც პირველი წევრი შეიძლება ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი — ოსურპატონი 'ქალბატონი' — და ამან გადაწყვეტოს მისი კომპოზიტობა, თორემ სხვა ანალოგიურ შემთხვევაში არ ჩანს ზღვარი კომპოზიტსა და უბრალო მსაზღვრელ-საზღვრულს (შესიტყვებას) შორის. მაგ.:

ბოში კათა („ბაეშვი ხალხი“) ახალგაზრდობა  
ჩანჯი კითი ცერი თითი  
ალი დაჩხირი („ალი ცეცხლი“) გუზგუზა ცეცხლი  
ნინა დაჩხირი („ენა ცეცხლი“) ალიანი ცეცხლი  
ორქო ცირა ოქრო გოგო და სხე.<sup>38</sup>

მსაზღვრელი ზედსართავია, მაგრამ წინ რომ უსწრებდეს, ასეთი მაგალითი შედარებით ცოტაა:

შქასერი შუალამე, შქადლა 'შუადლე', შქააბანი 'შუადგილი'  
ეინოსქუა („ზენაშვილი“) აზნაური; შღრ, ეინმალუ 'ზემავალი'  
კოლოქურა (← კოლო ქურა) აყირო, მწარე კვახი

კოლინჯი შეკვეცილი კოლო ჯიჯია 'წარე ბირი (ი. ყიფშიძე). ასევე ორი ზედსართავის შემოკლებით მიღებულად თელის ი. ყიფშიძე კონწარსიტყვას (← კოლო + მწარე 'მწარე + მწარე').

რაც შეეხება ჩე ჯა 'თეთრი ხე, ალვა', ჩე გოლა 'თეთრი მთა' (მთის სახელია), კითა წყარი 'წითელი წყალი' (სოფელია) და სხე., ესენი უფრო კომპოზიტებია, რამდენადაც გაქვავებული გამოთქმებია და კომპონენტთა ადგილის შეცვლა ქირს. ამას თითქოს ეწინააღმდეგება დიდი ნეძი (სოფელია 'დიდი ნიგოზი'), სადაც მსაზღვრელი სახელობითის -ი ნიშნითაა წარმოდგენილი, მაგრამ თუ მოვიგონებთ, რომ -ი ფუძისთან შეიძლება შემტკიცებული იყოს და ბრუნებისას უცვლელად დარჩეს (მოთბრ. დიდი ნეძქ, მიც. დიდი ნეძის...), მაშინ წინააღმდეგობა მოიხსნება.

პოსტპოზიციური წყობის კომპოზიტები (არსებითი + ზედსართავი) ხშირია და მათი კომპოზიტობაც უდავო, რამდენადაც ასეთი წყობის შესიტყვება მეგრულმა არ იცის. აღსანიშნავია, რომ პირველი წევრი ხშირად სახელობითში ღვას. მაგ.:

წყურგილი („წყაროცივი“) წყარო  
დიდამოკა („დედა ორსული“) ადგილია მღ. ტეხურზე ნაქალაქევე-  
თან (თქმულება იხ. ი. ყიფშიძის ლექსიკონში).  
ჯარგვალი ხემრგვალი, ძელმრგვალი  
ქალადიდი სოფელია, ქყონდიდი „მუხადიდი“  
ხონარმალალო ხზამალა  
ტყაუჩა („ტყეშავი“) მცენარეა და სხე.

კომპონენტთა ასეთი შეკრებისას შესაძლებელია მოხდეს თანხმოვნის ან მთელი მარცვლის დაკარგვა. მაგ.:

ზუგიდი (← ზუგ + დიდი 'ბორციე დიდი') ქალაქია  
წაჩხურა (წყარ + ჩხურუ 'წყალცივი': ი. ყიფშიძე) მდინარეა-  
(გეგეპკორის რაიონში)

წყაქურთხია (მიღებული უნდა იყოს ქართ. წყალქურთხევაა'-  
საგან და არა წყარი + ქურთხუა'საგან: ი. ყიფშიძე)

<sup>38</sup> ეგების კიბ - ყვალღი 'გადაუხელებელი ყველი' იგივე იყოს, რაც კბილი ყველი ი-  
ო ბერა ხენი (სოფელია გეგეპკორის რაიონში) — დობირა რხენი 'დობილი ვაკე'.

ჯიმადი (← ჯიმა დიდაში 'ძმა დედისა': ნ. მარი, ი. ყიფშვიძე ბიძა

ბადიდი (← ბაბა დიდი) მოხუცი

ჯაშქინდა (← ჯა შქვიდაფა „ზე ხრახობა“: ი. ყიფშვიძე, § 129

ქა) ჯაშქუტა, მაკრატელა, ლედეცი

კინახონა (← რკინა ბონუა: იქვე) სახნისი და სხვ.

აზათ მისდევს არსებით სახელად ქცეული -აშ (-იან) სუფიქსით ნაწარმოები კომპოზიტები, როგორიცაა:

ყვამურიცხამი შუბლვარსკვლავიანი (ზღაპრის პერსონაჟი)

უჩალართამი შავჩოხიანი (= გველი) და სხვ.

მ ი მ ლ ე ო ბ ა კომპოზიტში ყოველთვის მოსდევს არსებით სახელს. მაგ.:

დაცონირი || დაცონილი („და დამცნობილი“) 'ნახევარდა'; ასევე:

ჯიმაყონირი 'ნახევარძმა', დიდაყონირი 'დედინაცვალი',

მუმაყონირი 'მამინაცვალი',

დაჩაფირი || დაჩაფილი 'დობილი'; ასევე: ჯიმაჩაფირი 'ძმობილი',

დიდაჩაფირი 'დედობილი', მუმაჩაფირი 'მამობილი'

ჯიმაღურელი მამაკვდარი (იტყვიან გაკვირვების, დანანების დროს)

ღუღღურელი თავშკვდარი

კიბირმოქადილი კბილმოქედილი (= თავვი)

პუხმეტხილი კუხმოტეხილი (= კიანჭველა: ი. ყიფშვიძე, § 156)...

მსაზღვრელია რიცხვითი სახელი და იგი საერთოდ პრეპოზიციულ წყობაში გვხვდება. მაგ.:

ჩხოროწყუ (= ცხრაწყარო) დაბის სახელია

სუმთოლი 'სამთვალი', ჩხოროთოლი 'ცხრათვალი'

სუმკუჩხი სამფეხი

სუმფა 'სამფა, სამკეცი', ჩხოროფა 'ცხრაფა'

აკაბუცხა („ერთი ფჩხილი“) ერთი ბეწო და სხვ.

უკავშიროდაა შეკრებილი ასს ზემოთ: ფიროში 'ორასი', სუმოში 'სამასი' და სხვ., ასევე ართი-მაეირა || ართი-მაეია 'ერთიშეორე, ერთმანეთი', მაგრამ აქ რიცხვითი სახელები ქმნიან კომპოზიტს.

მსაზღვრელია ნაცვალსახელი. იგი ჩვეულებრივ წინ უსწრებს, იშვიათად მოსდევს:

დიაჩქიმი 'დედაჩქიმი', მუაჩქიმი 'მამაჩქიმი'

დიასქანი 'დედაშენი', მუასქანი 'მამაშენი'

სხვა სახელებთან შეერთებისას (როგორიცაა: ფერი, ზემა 'ზომა', გვარი, ცალი, ჯგუა 'მსგავსი', სხიი 'ოდენი', ნეფი || ნერი 'ნაირი') მიიღება ჩვენებითი და სხვა ნაცვალსახელები, ხოლო ცქურე 'ყურე', დლა 'დღე', სერი 'ღამე' და სხვებთან — ზმნისართი. მაგ.:

ირკოჩი || ირიკოჩი („ყველა კაცი“) ყველა

ირფელი || ირიფელი (← ირი + ფერი) ყველაფერი

ათეფერი 'ამფერი', შხეაფერი 'სხეაფერი'

თეზუმა, ათეზუმა 'ამდენი'

თიზუმა, ეთიზუმა 'იმდენი'

მუზუმა 'რამდენი'

ათეგვარი, ათეგვარი 'ამგვარი'

თიგვარი, ეთიგვარი 'იმგვარი'

თეცალი, ათეცალი 'ამისთანა' თიცალი, ეთიცალი 'იმისთანა  
 თესხინი, ათესხი 'ამდენი' თისხი, ეთისხი 'იმდენი',  
 მუსხი 'რამდენი'

ათაურე (ათაქ+აურე აა მხარეს\*) ეთეურე 'იქით', სოურე  
 აქეთ 'საით'

ამუღლა || ამღლა ღღეს იმღლას || თიმღლას იმღღეს

ამუსერი || ამსერი ამალამ იმსერს || თიმსერს იმღამეს

მუღოს (← მუ ღოს) რა ღოს

მუღანს (← მუ ეამს „რა ეამს“) როღის და სხვ.

ან სხვაგვარად წარმოქმნილია ზნისართებად ქცეული ზნისართიანი  
 სახელები:

ღუღინი (← ღუღი + ინი), ღუღიგინე (← ღუღი თავი +  
 გინე ქვეით) თავქვე

პიჯიშე (← პიჯი პირი + ე შე ზეით, აღმა) პირალმა და სხვ.

ღუმენჯი (← ღუმა + ონჯუა) წუხელ

(დაწვრილებით იხ. ი. ყიფშიძის გრამატიკაში ნაცვალსახელები და  
 ზნისართები)<sup>39</sup>.

გ) მსაზღვრელია არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში, რომლის  
 ნიშნის ელემენტი -შ ან მთლიანად სუფიქსი -იშ მოკვეცილია:

აკლია -შ: ჯიმასქუა (← ჯიმაშ სქუა) 'ძმისწული', დასქუა 'დისწული',  
 თავადისქუა 'თავადიშვილი'

გეგეპკორი (← გეგეშ || ჯეგეშ || ჯეგეგეშ წმ. გიორგის + ქკო-  
 რი ყნა) გვარია

ბეაიოლუ (ბეაშ მზისა + იოლუ ამოსავალი) აღმოსავლეთი,  
 ბეადაალუ (← ბეაშ + დაალუ მზის დასავალი) დასავლეთი

გიმათუთა (← გიმუაშ ღომის ტების + თუთა თვე) 'ოქტომ-  
 ბერი', გერგებათუთა 'გიორგობისთვე', ქირსეთუთა (← ქრის-  
 ტეშ + თუთა) 'ქრისტეშობისთვე'

ზღვაპიჯი (← ზღვაშ + პიჯი 'პირი') ზღვისპირი

კიდაქი (← კიდაშ კედლის + ქი ქია, ა. კიზირიას ვარაუდით:  
 კიდაშ + ტილი. შდრ. იმერული კეტეტოლა ბალღინჯო)

შურიდგუმა (შურიშ სულის + დგუმა დგმა) სულისდგმა და ასე:  
 ღურადლა 'სიკვდილის დღე', პაპასკირი (← პაპაშ ხუცის +  
 + სკირი 'შვილი, ძე) გვარია, ოხორასკილი (← ოხორაშ  
 სახლის + სკირი) 'მაზლი, მული, ცოლისძმა, ცოლისდა',  
 ხინჯიკარი (ხინდისკარი\*), უფალიკარი სოფლებია, ტყაჩუ  
 (← ტყაში ტყის + ჩუალა დაცვა: ი. ყიფშიძე) ტყის  
 მცველი და სხვა ბევრი.

აკლია -იშ: ფირტხვალი (← ფირტვიშ ფილტვის + ხვალი ხვე-  
 ლა) ქლექი

<sup>39</sup> ი. ყიფშიძის კომპოზიტებში აქვს შეტანილი: პირდაპირდამატებიანი ზნა ბრძ-  
 ნებით ფორმაში, როგორცაა: უშქური კორობი 'ვაზლი კრიბე', ჩაკა ზიდი 'კალათი ზიდე',  
 ხომა კიკონი 'ხურმა კენკე'; ალბათ იმიტომ, რომ სახელს ნათესაობით ბრუნვაში ვარაუ-  
 დობდა (გრამატ., გვ. 0131). სინამდვილეში აქ საქმე გვაქვს სახელობით ბრუნვასთან და სა-  
 ხებით ანალოგიურია ქართული ნაცვარქვექია, ნარინგლეჯია და სხვებისა (იფ-  
 გიგინეიშვილი, გვ. ოსიძე), თღონდ ქართულში კომპოზიტია და მეგრულში — არა.

პიშქოსალი (პიჯიშ პირის + [ოქოსალი სახოცი: ი. ყიფ-  
შიძე) პირსახოცი

პატონსქუა (← პატონიშ + სქუა) ბატონიშვილი

ქუბურხინჯი (← ქუბურიშ წაბლის + ხინჯი ხიდი), კყონბოგა  
(კყონიშ მუაის + ბოგა ბოგირი) ადგილის სახელებია

კანჩაფულა || კანჩაფულა (← კანიშ ჩაფულა ტყავის წულა)  
ქალამანი

პიჩვანი (← პიჯიშ პირის + ჩულა შენახვა) მარხვა და სხვ.

ნათ. ბრუნეის ნიშანი დაკულია:

დღის სახელებში: ბეაშხა (← ბეაშ დღა მზის დღე) კვირა, თუ-  
თაშხა (← თუთაშ დღა მთვარის დღე) ორშაბათი და სხვ.  
(ი. ყიფშიძე)

ხეშეკტი (← ხეშ ხელის + კეტი) ხელკეტი

ცაშკარი ცის კარი

ხეშქოსალი (← ხეშ ხელის + ქოსალი: ი. ყიფშიძე) ხელსა-  
ხოცი...

ხშირად ასეთ შემთხვევაში კომპოზიტსა და შესიტყვებას შორის ზღვა-  
რის დაღება გაძნელებულია.

კუთვნილებითი კომპოზიტები აქაც სახელისა და მიმღობისა-  
გან შედგება შსგავსად ქართულისა და სვანურისა. განსხვავებას მეგრულში  
ისა ქმნის, რომ პირველი კომპონენტი ზოგჯერ სახელობითის ფორმითაა ნაბ-  
მარი. გარდა ამისა, ასეთი კომპოზიტის რაოდენობა განსაზღვრულია.

ბედიკირილი ბედშეკრული

ბედიქვირი || ბედიქვილი 'ბედდამწვარი', ცუდიქვილი 'სახლდამ-  
წვარი'

დუდიარდებული (ქართულის კალკია) თავაგდებული

დუდიკვათირი თავმოკრილი

გურიგედვალირი გულდადებული

დუდგოტახილი თავგატეხილი, გადატ. მოუშორებელი

თოღეკევიტილი თვალდახუკული

ოჯახტყვადირი ოჯახამოწყეტილი

ოსურღურელი ცოლმკვდარი

გურმოქვე ვისაც გული ეწვის

ხედაწყურული ბელდაკრეფილი და სხვ.

წარმოშობით კუთვნილებითი კომპოზიტია, მაგრამ ანემამდ ზოგიერთი  
სახელის ტაბუს გამო არსებით სახელადაა გამოყენებული და ამიტომ განსა-  
ზღვრებითებშია შეტანილი. ასეთია, მაგ :

პუნმეტახილი კუნმოტეხილი (= ქიანტევალი)

სახელუშინუ სახელუხსენებელი (= გველი)

კვალრქყერი კვალდაწყევლილი (= მელა) და სხვ. (ი. ყიფშიძე,  
გრამ., § 156, გვ. 0145).

საკმაოდაა პოსტპოზიციური წყობის ზედსართავიანი კუთვნილებითი  
კომპოზიტი (არსებითი + ზედსართავი):

ცუჯიფიჩა, ცუჯიფირა ყურფართო

ხეკულე ხელმოკლე

ღუღიქა თავშავი (ტაბუს გამო ნიშნავს ყვავს)

ცვარჩე შუბლთეთრი <sup>40</sup>

პირჩე (← პიჯი რჩე) პირთეთრი

ღვაჭითა ლოყაწითელი

გურიკითა გულწითელი (ფრინველია)

თოლიგვირა, თოლიხვირა თვალფართო

ამათვე განეკუთვნება -აშ (= -იან) სუფიქსიანი კომპოზიტები:

სუმკუჩხამი სამფეხიანი

ოთხბორკაში ოთხბარკლიანი

ქვარახინდამი („მუცელსენიანი“) დიდმუცლიანი და სხვ.

ჩანს, მეგრული ქართულს მისდევს, მაგრამ კომპოზიტის წარმოების ზოგი სახეობა შეზღუდულია, სახელდობრ: ძალზე მცირეა ხმოვანმონაცვლე, არაა თანხმოვან- და მარცვალმონაცვლე ფუძეგაორკეცებული კოსპოზიტები <sup>41</sup>, ქართულთან შედარებით საკმაოდ ნაკლებია დო კავშირჩაყარდნილი, განსაზღვრებითი და კუთვნილებითი კომპოზიტების რაოდენობა.

ქანურში კომპოზიტის წარმოებას ეხება ნ. მარო. იგი აღნიშნავს, რომ რთულ სიტყვას ერთი მახვილი ახასიათებს ბოლო კომპონენტზე <sup>42</sup>. მაგრამ მახვილი ზანურში სუსტია და მისი საშუალებით კომპოზიტის გამოვლენა ძალზე ძნელია. საქმეს ისიც ართულებს, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში უცვლელი რჩება, როგორც ეს კომპოზიტს ახასიათებს, და ამიტომ რთული სიტყვის გამოყოფა ორწევრიანი შესიტყვეებისაგან უკირს. საჭიროა დაიძებნოს დამდგარი და გარდამავალი საფეხულის კომპოზიტის ნიშნები <sup>43</sup>, რომ მისი ცნობა ადვილი იყოს.

ჩვენ აქ მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს სხვადასხვა სახის კომპოზიტებისას ნ. მაროს ქანურის ლექსიკონიდან.

ფუძეგაორკეცებულებიდან ფუძეუცვლელთა შორის დო 'და' კავშირი ივარაუდება:

ამოთ-ამოთ, თამო-თამო თანდათან, ნელა

კავშირი არ იგულისხმება: კიქკიქი მაქო...

ფუძეუცვლილია დისიმილაციის ან თანხმოვნის დაკარგვის გამო.

დისიმილაცია მოსდის ზ-ს:

გურგულ: გურგულამს, ლურლულაფს გრგვინაფს

ვირვილი სათამაშოა

ღარღალ: ოღარღალუ ლაპარაკი

ღარღალ: ოღარღალუ თრთოლა...

თანხმოვანი დაკარგულია (?): ფუფული მუწუკი

თანხმოვანდართულია თუ მოკვეცილი: ეგნა - მეგნა 'სხვადასხვაგვარი'...

<sup>40</sup> ქვემოიშვრულში ყვაჭიჭი 'ბაყაყი' მეგრულიდან შემოსულია და ნიშნავს ყვა შუბლ + ჭიჭე პატარა (გ. რ. ო. გ. ა. ე. ა.).

<sup>41</sup> მეგრულში ნახმარი ეკამუჯა 'გაურკვეველად მოლაპარაკე' სომხურიდან შემოსულად ითვლება (ნ. მარო).

<sup>42</sup> ნ. მარო, Грамматика грузинского яз., § 120, გვ. 76.

<sup>43</sup> არნ. ჩიქობავა ერთ-ერთ ასეთ ნიშნად მიიჩნევს კომპონენტთა გაუთიშველობას: „კომპოზიტის ნაწილები გათიშვას (ნაწილთა შორის ახალი სიტყვის ჩასმით ანდა რიგის შეცვლით) ვერ იტანენ“ (ქანურის გრამატიკული ანალიზი, § 18, გვ. 70). კომპოზიტები ზანურში წარმოსადგენია უფრო დაწვრილებით.

## ფუძვანსხვაეზული კომპოზიციებიდან

ა) დოკავშირიანია რიცხვითი სახელები (იხ. გვ. 297). ამის გარდა არის მახლობელი მნიშვნელობის სიტყვათა შესიტყვებებიც, მაგრამ ესენი კომპოზიტებს არ წარმოადგენენ (მაგ. ჯუმა დო და 'ძმა და და' და სხვ.).

ბ) განსაზღვრებითი კომპოზიტები ზოგი იგივეა, რაც მეგრულში იყო.

გურპიჯი („გულპირი“) მკერდი

ბადიდი (← ბაბა დიდი: იხ. ზემოთ გვ. 300)

თიხჩე 'თავთეთრი', თიტეტელი 'თავშიშველი'..

ქჩეჯა || ქშენჯა („თეთრი ხე“) ალვის ხე

მუფერი „რაფერი“, რანაირი

კატანდლა ყოველდღე

ამდლა || ანდლა („ამდლეს“) დღეს

ამსერი ამაღამ

წოქსერი (← წოხლე წინა + სერი ღამე) გუშინწინ...

ნათ. -შ/-იშ ბოლოსართი მოკვეცილია:

ობრასკირი („სახლის შვილი“) ცოლისძმა; ასევეა: ობრასურე.

'ცოლისდა', ობორძა, ობორჯა 'ქალი' და სხვ. (ნ. მარი,

ქან. ლექსიკ.).

კატუნჯა (← კატუნ ჯა „კატის ხე“) ალვის ხე

კატუნ-ნენა (← || კატუნ ნენა) ხეა

ხე-გური (← || ხეშ გური) ხელისგული და სხვ.

ჯოლორ-დაძი (← ჯოლორიშ დაძი „ძალის ეკალი“) მცენარეა

წკარ-მზესკუ (← წკარიშ-მზესკუ) წყლის შაში

ჯუმადი (← ჯუმა დიდაში „ძმა დედისა“) ბიძა

ნათ. -შ ნიშანი შენახულია აქაც დღის სახელებში, ოღონდ შ გა-

აფრიკატებულია ჩ-დ: ბეჩხა (← ბეშ დლა „მზის დღე“)

'კვირა', თუთაჩხა (← თუთაშ დლა „მთვარის დღე“) ორშა-

ბათი (ი. ყიფშიძე) და სხვ.

ზოგჯერ გასარკვევია, -შ მოკვეცილია თუ წმინდა ფუძესთან გვაქვს-საქმე. მაგ.:

დამანგაფერი („ღის მსგავსი“) ძიძისშვილი

ჯუმანგაფერი („ძმის მსგავსი“) ძიძისშვილი

ბეა-წკარი (რძე-წყალი თუ რძის წყალი) საფუარი და სხვ.

კუთვნილებითი კომპოზიტების შედგენილობა ქართულისებურია:

ნოსი-თუთხე გონებათხელი, კკუათხელი

ხე-კლიმერი ხელმოკიდებული (ვინც ხელი ხელს მოკიდა)

თოლი-გონწყიმერი („თვალგახელილი“) ფხიზელი, ნახული (კაცი);

გურიგედვალერი გულდადებული

ბუძოკოშუმერი ძუძუნაწოვი და სხვ.

-ონ (= -იან) სუფიქსიანიც კუთვნილებითი კომპოზიტის წევრია:

თი-მანდილონი „თავმანდილანი“, ქალი

კაი-გურონი || ვორსი-გურონი „კეთილგულიანი“

ხავი-გურონი || პატი-გურონი „ავგულიანი“, ავი...

ამ მცირე ცნობებიდანაც ჩანს, რომ ქანური მეგრულის წესს იცავს ოღონდ აქ უფრო შეზღუდული წარმოება ჩანს.



ამგვარად, კომპოზიტი ყველაზე მეტად გავრცელებულია ქართულში, განსაკუთრებით ლიტერატურულ ენაში. და ეს ასეც უნდა იყოს, ჩვეულებრივს კომპოზიტებთან ერთად, როგორცაა: და-ძმა, ცოლ-ქმარი, სულცხო-ნებული, გულდიდი. გულაღმა, თავხედი, თვალგახელილი და შრავალი სხვა, მოიპოვება მრავალზე მრავალი მწიგნობრული გზით შეთხზული და საერთოდ ენაში გავრცელებული რთული სიტყვები: მუშახელი, შრომადღე, ზომა-წონა, ანგარიშგება, დღელამური, ერთპიროვნული, ვადავასული, თავდაცვა, თვით-ლირებულება, თვითმფრინავი, თვითკრიტიკა, მიწათმოქმედება, გრძელვადიანი, მალალკვალიფიციური, საერთაშორისო და სხვ. ახალი ყოფის დაძვეიდ-რება, მეცნიერებისა და ტექნიკის, საერთოდ კულტურის, ფართო განვი-თარება, გამოწვეული ხალხის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების გარ-დატეხითა და ამაღლებით, ენაში აჩენს სხვადასხვა ახალი ცნების გამომხატ-ველ სიტყვებს, რომელთა წარმოქმნაში კომპოზიციჲ ერთ-ერთი მთავარ სა-შუალებათაგანია. ქართულში მრავალი კომპოზიტი საკუთარ ნიადაგზე ჩნდება, ბევრიც სხვა ენის, კერძოდ რუსულის, გავლენით წარმოიქმნება. ამიტომ მწე-რალთა (კერძოდ ლ. გოთუას) ცდა, რომ ახალ სიტყვათა წარმოსაქმნელად კომპოზიციას მიმართონ, გამართლებულია, ოღონდ საჭიროა დიდი სიფრთხილე წარმოებას წესისა და ზომიერების დაცვის მხრივ.

შეიძლება დავასკვნათ.

1. კომპოზიტი თავიდანვე დამახასიათებელია ყველა ქართველური ენი-სათვის. ყველაზე უფრო მდიდრად იგი წარმოდგენილია ქართულში, უპირა-ტესად ლიტერატურულ ენაში (როგორც ძველში, ისე ახალში), შედარებით ნაკლებად — სვანურსა და ზანურში.

2. კომპოზიტთა მეტსა თუ ნაკლებს გავრცელებულობას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მათი გენეზისის სარკვევად. შენიშნულია, რომ რთული სი-ტყვების სიჭარბე ლიტერატურულ ენაში გამოწვეულია ახალ ცნებათა გადმო-ცემის საჭიროებით, ზოგი ახალი კომპოზიტის წარმოქმნა ნაწილობრივ აი-ხსნება ქართულთან. კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობაში მყოფი ლიტე-რატურული ენების გავლენით.

3. ქართველურ ენებში დადგენილია კომპოზიტის ორი ძირითადი ტიპი: ფუძეგაორკეცებული და ფუძეგანსხვაეებული როგორც კავშირიანი, ისე უკავ-შირო (ასინდეტური). თითოეულ მათგანს ახასიათებს სხვადასხვა სახეობა. უფრო ხშირია უკავშირო კომპოზიტები. ფუძეგაორკეცებული შეიძლება იყოს ფუძეუცვლელი და ფუძეუცვლილი.

4. ფუძეგაორკეცებულიდან არა გვაქვს სვანურსა და ზანურში და კავ-შირიანი კომპოზიტები (მსგავსი კვალდაკვალ ტიპისა), სვანურში საძებ-ნია უაზრო მარცვლების გაორკეცების შემთხვევები (ბუტბუტის ტიპისა), ხოლო ზანურში ხმოვანმონაცვლე, თანხმოვან-ან მარცვალმონაცვლე რთული სიტყვები (როგორცაა: წარამარა, კოხმახი და სხვ.).

5. ფუძეგანსხვაეებულიდან შეზღუდულია ზანურში უკავშირო ორცნები-ანი კომპოზიტების ხმარება, ხოლო სვანურსა და ზანურში ერთცნებიანებე-დან — მიმღობიანი კუთვნილებითი კომპოზიტები. ამ სხვაობას თავისი საფუ-ძველი აქვს.

В. Т. ТОПУРИА

## ЗАМЕТКИ ПО СЛОВООБРАЗОВАНИЮ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

### VI. Композиты

#### Резюме

1. Одним из основных способов словообразования является словосложение. Оно характерно для всех картвельских языков, однако применение его неодинаково: словосложение широко распространено в грузинском языке, менее широко — в сванском и занском (мегрело-чанском).

2. Неодинаковое распространение композитов в картвельских языках имеет значение для выяснения вопроса их генезиса. Выявлено, что сложные слова (композиты) чаще встречаются в книжном (литературном) языке. Это объясняется появлением новых понятий, для выражения которых использованы в основном собственные композиты, частично — композиты, образованные влиянием других литературных языков.

3. Установлены два типа словосложения: а) тип редупликационных соединений и б) тип разнотемных соединений как копулятивных, так и асиндетических. Асиндетические композиты имеют более широкое распространение в сравнении с копулятивными.

4. Из характерных для грузинского языка видов редупликационных соединений не представлены в сванском и занском некоторые, именно: композиты с союзом და 'и' (типа კვალდაკვალ *qvaldaqval* 'вслед'), в занском — композиты с перегласовкой основы, равно и с заменой начального согласного или начального слога (типа ბბრბუბდი *bindbundi* 'заря', წაბზბა *saqabaqa* 'поинутно', კობბობო *koqbaqi* 'лачуга').

5. Из разнотемных соединений композиты, сохранившие значение составных членов, встречаются в грузинском часто, в — занском сравнительно редко, а композиты (*composita possessiva*) с причастным компонентом, выражающие одно понятие, используются ограничено как в мегрельском, так и в сванском, что имеет свое объяснение.

ა) ტექსტები

- არიმ. — წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათელმან ... და თხრობა აღშენებისათვის ეკლესიისა ნ. მარის გამოცემა: *Тексты и рассказы по армяво-грузинской филологии*, кн. II, С.-Пб. 1900.
- ბალაქ.რ. — ბალაქარანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1957.
- ბიბლ. რამდ. ფურც. — ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი, ილ. აბულაძის გამოცემა: სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVIII, 1941.
- ბოლნ. — იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, მ. ჯანაშვილის გამოცემა, ტფილისი, 1911.
- გამ. — გამოსვლათა: წიგნი ძველისა აღთქმისანი, ა. შანიძის გამოცემა, ტ. 1, ნაკ. 1, თბილისი, 1947.
- დაბ. — დაბადებისა, იხ. გ ა მ.
- დამასკ. — წამება წმიდისა ალთანგელში დამასკელ კათალიკოსისა, კ. ქეკელიძის გამოცემა: *Христианский Восток*, IV, выпуск III, Петроград, 1916.
- ვესტ. — ვესტათე მცხეთელის ცხოვრება, ს. კაკაბაძის გამოცემა: საისტორიო კრებული, III, თბილისი, 1928.
- ესაიკ — ესაიასი: წიგნი ძველისა აღთქმისანი, ტ. 1, ნაკ. 2, ა. შანიძის გამოცემა, თბილისი, 1948.
- ზარხმ. — ცხოვრება და მოქალაქობა სერაპიონ ზარხმელისა, კ. ქეკელიძის გამოცემა: ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფილისი, 1935.
- თელა — მარტვლობა თელასი, ილ. აბულაძის გამოცემა: ენის, ისტორიისა და მარტვობის ენციკლოპედიის ინსტიტუტის მოამბე, VIII, 1940.
- თულთ. — თულთა, ეპიფანე კპრელისა თქმული... ათორმეტთა მათ თულთათს, მ. ჯანაშვილის გამოცემა: *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*, вып. X XIV, Тифлис, 1898.
- ი — საბარბა იოვანსი: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, ა. შანიძის გამოცემა, თბილისი, 1945.
- იობ. — იობისი, იხ. ე ს ა ი ა.
- იპოლ. — ნეტარისა იპოლიტს თქმული თარგმანება, ნ. მარის გამოცემა: *Тексты и рассказы по армяво-грузинской филологии*, кн. III, С.-Пб. 1901.
- ისტ. კრ. — ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, V — X საუკ. ძეგლები, გამოსცა და ტაბულები დაურთო ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1953.
- კიმ. I — კიმენი, ტ. I, კ. ქეკელიძის გამოცემა, ტფილისი, 1918.
- კიმ. II — კიმენი, ტ. II, კ. ქეკელიძის გამოცემა, თბილისი, 1946.
- ლ — საბარბა ლუკასი, იხ. ი
- ლევ. — ლევითელთა, იხ. გ ა მ.
- მ — საბარბა მათსი, იხ. ი
- მამათა სწავ. — მამათა სწავლან X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955.
- მარტვლ. აღომისი — წამება წმიდისა აღომისი და ძისა მისისა და მოყუსთა მისთა: ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX — X სს-ში, გამოკლევა და ტექსტები, თბილისი, 1944.
- მრკ — საბარბა მარკოზისი, იხ. ი
- მსაჯ. — მსაჯულთა, იხ. ე ს ა ი ა.
- Опис. — Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Симонского монастыря, Москва-Ленинград, 1940.
- ოქროლ. — თქმული წმიდა იოანე ოქროპირისა, ი. ჯავახიშვილის გამოცემა: *Христианский Восток*, II, выпуск III, С.-Пб. 1913.
- პართ. — ცხოვრება წმ. გრიგოლ პართელისა, ლ. მელიქსეთბეგის გამოცემა, ტფილისი, 1920.

- რაგ. — ცხოვრება და წამება წმიდისა ანტონი რაეახისი, ი. ყიფშიძის გამოცემა: *Хри-  
стианская Восток, II, выпуск I, С.-Пб. 1913.*
- რუთ. — რუთისი, იხ. ესაი ა.
- საბა — ცხოვრება საბა ასურისა, ს. ჯანაშიას გამოცემა: არილი, ტფილისის უნივერსი-  
ტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილისადმი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის  
25 წლის თავზე (1900 — 1925) მიძღვნილი კრებული, ტფილისს, 1925.
- სასულ. პოეზ. — ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, პ. ინგოროყვას  
გამოცემა, ტფილისი, 1913.
- საქმე მოციქ. — საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძე,  
ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1950.
- სახისმეტყვე. — მკვლევართან სახისა სიტყუა, ნ. მარის გამოცემა: *Тексты и разсказы по  
армяно-грузинским филологии, кн. VI, С.-Пб. 1904.*
- სუან. — სუანეთის მრავალთავი, ს. გორგაძის გამოცემა: საქართველოს არქივი, III, ტფი-  
ლისი, 1927.
- სიყრ. უფლ. — სიყრმე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, ა. შანიძის გამოცემა: სტალინის  
სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, XVIII, 1941.
- ტიმ. — ცხოვრება და მოქალაქობა ტიმოთე ანტიოქელისა, კ. კეკელიძის გამოცემა:  
ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, VII, თბილისი,  
1940.
- ყუბ. ქრესტ. — ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I,  
თბილისი, 1940.
- შუშ. — იაკობ ცურტაველი, მარტულობა შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოცემა, თბი-  
ლისი, 1938.
- ცხორ. დავით გარეჯ. — ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გა-  
რეჯელისა: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები  
გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძე, თბილისი, 1955.
- ცხორ. იოვ. და ეფთ. — გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთემესი, გამო-  
საცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, რედაქტორი ა. შანიძე, თბილისი, 1946.
- ცხორ. იოვ. ზედან. — ცხოვრება წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედანელისა, იხ. ცხორ.  
დავით გარეჯ.
- ცხორ. შიოასი და ევაგ. — ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა მამისა ჩუენისა შიოასი და  
ევაგრესი. იხ. ცხორ. დავით გარეჯ.
- ძმ. კლ. — წამება ყრმათა წმიდათა, რიცხვთ ცხრათა, ნ. მარის გამოცემა: *Тексты и  
разсказы по армяно-грузинским филологии, кн. V, С.-Пб. 1903.*
- ზანმ. — ზანმეტი ლექციონარი, ა. შანიძის გამოცემა: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე,  
VII, 1927.
- ზანმ. იერ. — ზანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, ა. შანიძის გამოცემა: ენის, ის-  
ტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, II, 1937.
- ზანმ. მრ. — ზანმეტი მრავალთავი, ა. შანიძის გამოცემა: ტფილისის უნივერსიტეტის მო-  
ამბე, VII, 1927.
- ზანმ. — ცხოვრება გრიგოლ ზანთელისა, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა: ძველი ქარ-  
თული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946.
- ჰაბო — წამება... ჰაბოასი, კ. კეკელიძის გამოცემა: ადრინდელი ფეოდალური ქართული  
ლიტერატურა, ნაკვ. I, ტფილისი, 1935.
- ჰაემე. — ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისა-  
თვის. ჰაემეტი ტექსტების ნიმუშები: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923.

## ბ) დიალექტები და ენები

მკ.	—	აპარული
ბერ.	—	ბერული
ბზ.	—	ბალსხემოური <sup>1</sup>
ბკ.	—	ბალსქვემოური
ბურ.	—	ბურული
მცერ.	—	მცერული
ზან.	—	ზანური
ზს.	—	ზემოსვანური
თუშ., თშ.	—	თუშური
იმერ.	—	იმერული
ინგილ.	—	ინგილოური
კახ.	—	კახური
კუთხ.	—	ჩუთხური
ლერხ.	—	ლერხუმური
ლენტ.	—	ლენტეური
ლშხ.	—	ლაშხური <sup>1</sup>
ლხმ.	—	ლხამულური
მესხ.	—	მესხური
მთ.	—	მთიულური
მოხ.	—	მოხეური
რაკ.	—	რაკული
სვან.	—	სვანური
უშგ.	—	უშგულური
ფშ.	—	ფშური
ქართლ.	—	ქართლური
ქიხ.	—	ქიხიური
ქს.	—	ქვემოსვანური
ჩბხ.	—	ჩუბხეური
კან.	—	კანური
ხალხ.	—	ხალხური
ხევს.	—	ხევსურული

<sup>1</sup> თუ დამოწმებულ მასალას ციფრი ახლავს, მაშინ მაგალითი ამოღებულია ტექსტებიდან: სვანური პროზაული ტექსტები. I. ბალსხემოური კილა, ტექსტები შეკრიბეს ა. შან-ძევი და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939.

არსენ ონიანი, ლეონე ამბვარ ლგლშხუ შუმი ნინშე. აპეროგრაფი, 1917.

## ვარლამ თოფურია.

### ოცობითი თვლის სისტემისათვის პართველურ ენებში<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ ზოგიერთ კავკასურ ენასთან ერთად ქართულსა და მის გენეტურად მონათესავე მეგრულ-ქანურსა და სვანურის ორ კილოს, სახელდობრ: ლენტეხურს (ქვემოსვანეთში) და ბალსქვემოურს<sup>2</sup> (ზემოსვანეთში) ოცობითი თვლა ახასიათებს. ანგარიშის დროს ჩვენ ვამბობთ: ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი და აქედან: ორმოცდაათი, სამოცდათხუთმეტი, ოთხმოცდათერთმეტი და ასე შემდეგ.

დღევანდელთან შედარებით ოცობითი თვლა ძველს ქართულში ცოტა სხვანაირად არის წარმოდგენილი. იქ იხმარება: ორმეოცი, სამეოცი, ოთხმეოცი<sup>3</sup>. აი მაგალითებიც:

a) ორმეოცი: „ორას ორმეოცდა ოთხისა დრაჰქენისაჲ“ (ათონ. ივერ. მონასტ. კრებული, 17, 2-6); „ორმეოც დღე და ორმეოც ლამე პური არა ჰამა“ (ივე ბოლნ. ქადაგ., 5, 1); „რლთამე ორმეოცი წელი არს“ (კიმენი, 31, 25-26); „ჰქს მას ჰურიათა მათ ორმეოც და ექუსსა წელსა აღიშენა“ (ადიშის სახ., ივე II, 20)...

b) სამეოცი: „და გამოილის ერთმან ოცდაათი და სამეოცი და ასი“ (ადიშ. სახ., მრზ. IV, 8); „და ნაყოფი გამოილიან ერთმან ოცდაათი, ერთმან სამეოცი და ერთმან ასი“ (იბ., მრზ. IV, 20). აქვე აღსანიშნავია ერთი წვრიმალის ფონეტიკური მოვლენა: „სამეოც“-ში ორი მს მაგიერ, როგორც ეს ზემო მაგალითში გვაქვს, ჩვეულებრივ ერთი მ გვეელინება, რადგანაც ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე წესის მიხედვით მეზობლად მდგომ ორ თანაბარ თანხმოვანთაგან ერთი იკარგვის ამიტომ არის, რომ ძველს ქართულში ასეთი მაგალითები გვხვდება: „სამეოც და ათი დანაკის-კული“ (კიმენი, 31, 1); „გამოაჩინნა ონ სხუანი საეოც და ათორმეტნი“ (ადიშ. სახ., ლუკა X, 1); „სამეოცი წელი მაქუს“ (კელნ. № 1142, 6b); „ორათას სამეოცდა ათი“ (ვანის სახ., № 1392, გვ. 208b)...

c) ოთხმეოცი: „დაჯედ და დაწერე ოთხმეოცი“ (ადიშ. სახ., ლუკა XVI, 7); „მოისრნეს ფარანელთაგანნი... ოთხმეოც და ოთხი კაცი“ (კიმენი, 41, 25-26);

<sup>1</sup> წაკითხულ იქნა მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1925 წ. 27 ოქტომბერს.

<sup>2</sup> სვანური ენის კილოებად დაყოფის შესახებ იხ. აკაკი შანიძე, უმაღლესი სვანურში: „პარილი, პროფ. ივანე ჯავახიშვილისადმი... მიძღვნილი კრებული“, ტფილისი 1925, გვ. 171-172.

—ვიდრელარა ოთხმეოც და აცხრამეტთა [sic] მათ“ (ადიშ. სახ., მათე XVIII,13); „დაუტევენა ოთხმეოც და ა[თ]ცხრამეტნი იგი ანგლოზნი“ (იე ბოლნ. ქადაგ., 28,18)...

ამგვარად, ძველი ქართულით გვაქვს: ორმეოცი, სამმეოცი || სამეოცი, ოთხმეოცი, ხოლო ახლით: ორმოცი, ოთხმოცი (ეს შეკვეცილ) და სამოცი (შე'ს დაკარგვით). მაგრამ უნდა ითქვას, რომ -ე-სა და -მე-ს დაკარგვა ახალი ქართულის შემოქმედება არ არის; იგი დაკარგულადვე ჩანს იმავე ძველ ძეგლებში, სადაც ვკითხულობთ: „მოსცა ევლესიასა ორას ოთხმოცი“ (ათონ-კრებ., 226,12-11); „რომელსა შინა იყო სამოცი ექსავი“ (ib., 244,22-23); „ეპოვეთ... ას ოთხმოც და ათექუსმეტი“ (წარტყ. იერუს., 26,1-2)...

მოყვანილ მაგალითებში ჩვენთვის ნაცნობია ორ'ი, სამ'ი, ოთხ'ი და ოცი, ე. ი. პირველი და-უკანასკნელი შემადგენელი ნაწილი, ხოლო გაუგებარია ძველი ქართულით მათ შო'ის ჩართული მარცვლი -მე-. უნებლიედ იზადება კითხვა, თუ რას უნდა ნიშნავდეს იგი. ზის ასახსნელად შეიძებოდა ორ მოსაზრების წამოყენება: ა) ეგების იგი შემადგენელ ნაწილად მიგვეჩნია? მაგრამ ამას ეწინააღმდეგება თვით ქართულის ბუნება, რომელსაც კომპოზიტებში არავითარი შემადგენელი ნაწილაც არ ახასიათებს; ბ) თუ დავუშვებთ, რომ მ: ორმოც-ოთხმოც'ში სამოც'ის ანალოგიით მივიღეთ, მაშინ აუხსნელი დაგვჩნდება ე'ს ჩართვა ერთის მხრით, და მეორეს მხრით, რომ აქ ანალოგიასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, ამაში ცხადად დაერწმუნდებით, როცა ჩვენ ქართულის მონათესავე ენების თელას გავითვალისწინებთ.

აკად. ნ. მარჩი სულ სხვა განმარტებას იძლევა: მისი სიტყვით: „В числах 40, 60 и 80 двадцати должны бы стоять по мн. числу и определяющие их числительные единицы — быть согласованы с ними: ორ-ნი-ი ოც-ნი, სამ-ნი ოც-ნი და ოთხ-ნი ოც-ნი. На самом деле еще в древне-литературн. — двадцати стоят в ед. числе, как в новогрузинском, но—

В древне-литературном числительные единицы 2, 3 и 4, определяющие двадцати в 40, 60 и 80, стоят в форме на -მე — ორ-მე, სამ-მე → სამე, ოთხ-მე, представляющей собою разновидность формы народного мн. числа<sup>1</sup>. და აქვე ნაჩვენებ 52 §-ში აი რას ამბობს: „В именах окончание мн. числа с показателем множественности б имеет форму -ებ (←em). То-же окончание появляется в перемещенном состоянии, но с архаичным эквивалентом согласного элемента б, именно м- в виде -მე. Окончание -მე появляется в количественных числительных“ (ib, გვ. 35)<sup>2</sup>.

ამგვარად, როგორც ამ ვრცელი ამონაწერიდან ჩანს, ქართული ენის ოცობით თელაში გამოყენებული -მე- ელემენტი აკად. ნ. მარჩის მრავლ. რიცხვის მაწარმოებლის — მისი სიტყვით — ხალხური -ებ სუფიქსის არქაულ შესატყვისად შიაჩნია. უკანასკნელ განმარტებაში რომ მის ავტორს დავეთანხმობთ, ჩვენთვის მა-

<sup>1</sup>) Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград 1925, § 52, გვ. 73 და Др.-груз.-русский словарь к 1-2 гл. еванг. Марка, СПб. 1913, გვ.

<sup>2</sup>) -მე, როგორც მრავლ. რიცხ. მაჩვენებელი სუფიქსი, მოიპოვება, აკად. ნ. მარჩის ავე ჩვენებით, ახალ-ელამურში ანუ აქემენიდურ ლუარსმულ წარწერათა მე-2 კატეგორიის ენაში (ib., § 52 და Опред. яз. Ахем., §§ 17,18).

ინც გაუგებარი დარჩება, თუ რად უნდა ყოფილიყვნენ ან ოცეულნი და ან, მით უმეტეს, ერთეულნი მრავლობით რიცხვში დასწულნი? ამას რომ არ ეგუება ჩვეულებრივ სახელისა და განსაკუთრებით რიცხვის რიცხვთან შეთანხმება ქართულში?!<sup>1)</sup> მაგრამ დაუშვათ ერთი წუთით, რომ ეგ ნ. მარარის მიერ ახსნილი -მე მართლაც მრავლ. რიცხვის სუფიქსია, მაშინ ჩვენ საამისოდ მეგრულ-ქანურში ხმარებული -ონ, -ენ ელემენტი, ქართული -მე'ს მორფოლოგიური ექვივალენტი, მრავლ. რიცხვის ბოლოსართად უნდა გამოვაცხადოთ. ამგვარი ფუნქციით აღჭურვილი -ენ, -ონ სუფიქსი კი მეგრულ-ქანურმა არ იცის. მაშასადამე, ვერც აკად. ნ. მარარის განმარტებაა დამაკმაყოფილებელი.

ახლა გავითვალისწინოთ თვით მეგრულ-ქანური თვლა. გვაქვს:

მეგრულში:		ქანურში:
	40 *	ჟურენგი    ჟურენგი
სუმონეჩი    სუმენეჩი	60	სუმენეჩი
ოთხონეჩი	80	ოთხენეჩი ?

როგორც ვხედავთ, თვლის სისტემა აქაც ქართულისებურია: აღებულია \*ჟორ || ჟორ. ხუმ, ოთხ ერთეული და მიმატებულია ეჩი („ოცი“), ხოლო ქართული -მე'ს მსგავსად ჩართულია -ონ (მეგრულში) და -ენ (ქანურში). ეს ელემენტები მეგრულ-ქანურის ნიადაგზე დღეს აუხსნელია. შეიძლება კი ესენი ერთის შეხედვით ქანურში ხმარებულ რიცხობის მაწარმოებელ -ენეჩ ან

<sup>1)</sup> აი შ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: „და ვპოვეთ ოც და ათრეამეტი კაცი მოკლული“ (კიმენი, 30, 1-2); „გამოვლს ათორმეტი წყაროა და მოჭრუყავს იგი“ (იბ., 33, 1-2); „და აპა მოწიდა... ექუსასი მბრძოლი“ (იბ., 41, 18-19); ათრეამეტი წელი“ (ხელნ. № 1142, 51b)... ანდა: „ათა' ოთხას“ (წარტყ. იერუს., 62, 122-123); „იყო როცხუი იგი... სამეოც და ექუსი ათასი და ხუთასი და ცხრაას სული“ (იბ., 63, 20-21)... მაშასადამე, При количественных числительных свыше одного исчисляемые ими предметы в древне-литературном ставятся во мн. числе'ს—როგორც დებულების—აბსოლუტურად მიღება შეუძლებელია (Гр. др.-лит. гр. яз., § 92).

\* „ორმოცი“ მეგრულად იკნება „ჟარნეჩი || ჟარნეჩი“; უნდა ყოფილიყო კი „ჟორ-ონ-ეჩი“. ამ უკანასკნელისაგან თუ რა გზით მივიღეთ „ჟარნეჩი“, ჩვენთვის ნაწილობრივ მისაღებ ახსნას აძლევს განსვ. ი. ყიფშიძე: „ორი ონი ფეხს ვერ იკიდებს, მათ ადგილს იკეპის ანი... შემდეგ ოო-საგან წარმომდგარა აა. ორი ა მიიღება ინისა და ონისაგან. სხვანაირად ვერ აიხსნება წარმოშობა ფორმისა: ე ა (ა) რ ნ ე ჩ ი („ორმოცი“)... „ორმოცი“-სათვის უნდა ყოფილიყო \* ე ო რ ო ნ ე ჩ ი ქ ი რ ი („ორი“) + ე ჩ ი, მაგრამ არის ე ა (ა) რ ნ ე ჩ ი. ცხადია, აქაც მომხდარა რეგრესიული ასიმილაცია: ე ო რ ო ნ ე ჩ ი, ხოლო ამ უკანასკნელისაგან სხვა რომლისაზე ფორმის მიღება გარდა ე ა რ ნ ე ჩ ი-სა შეუძლებელია“ (იხ. „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“: ტფ. უნივ. შობამე, № 1, ტფ. 1914-20, გვ. 7-8).

რომ „ჟარნეჩი“ „ჟორანეჩი“-ისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, ეგ ცხადია, მაგრამ არა ინისა და ონის რეგრესული ასიმილაციით, არამედ, უნდა ვიგულისხმოთ რომ, დღევანდელი „ჟორი“-ის ნაცვლად მეგრულში უნდა ყოფილიყო \* ე ო რ ი, რასაც ცხადად გვიდასტურებს ქანური ე ო რ და მეგრული: ნ სესების გზით შესული სეანური ო ო რ ი და ქართ. ო რ ი || ჟორი (იხ. ნ. მარარი, Заимствование числительных в фетических языках: ИАН, СПб. 1913, გვ. 789 და Грамм. др.-лит. гр. яз., § 95 გ, აგრეთვე: Яфетические элементы, IX, გვ. 235).

<sup>2)</sup> ი. ყიფშიძე, Грамм. мингр. (ивер.) яз., СПб. 1914, § 35 с და ნ. მარარი, Грамм. чанск. (лазск.) яз., СПб. 1910, § 34 და ი. ყიფშიძე, Дополнит. свед. о чанском яз., СПб. 1911, § 34.



-ონ სუფიქსებთან<sup>1</sup> დაგვეკავშირებინა, მაგრამ რიგი დაბრკოლებათა აქაც გვე-  
ლობება: თუ პარველს (ე. ი. ვნერს) დავეუკავშირებთ, მაშინ -ერის დაკარგვა  
უნდა აეხსნათ; ყოველ შემთხვევაში -ენის ბუნება ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს.  
მისი მრავლობითი რიცხვის სუფიქსობა, როგორც ეს აკად. ნ. მარკსს მიაჩნია,  
ჩვენთვის საეჭვოა. თუ -ონს —ქანურს თელაში იგა არაა გამოყენებული.

მაშასადამე, ერთეულ-ოცეულ შორის მოქცეული ძველ ქართულში -მე (ახ  
ლით: -მ); მეგრულში -ონ და ქანურში -ენ ელემენტი არსებულ და მოსაყვანად  
შესაძლებელ მოსაზრებათა მიხედვით განუმარტებელია: იგი არც შემაერთე-  
ბელი ნაწილაკია, არც ანალოგიითაა მიღებული და არც  
მრავლ. რიცხვის სუფიქსია.

მაშ რა უნდა იყოს? გასაღებს ქართულსავე მონათესავე სვანური უნდა  
იძლეოდეს. სვანურის ორი კილო: ლაშხური და ბალსხემოური თელას ათო-  
ბით აწარმოებს, ამიტომ მათ ამ ფამად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს<sup>2</sup>, ხო-  
ლო დანარჩენი ორი კილო, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბალსქვემოური და  
ლენტეხური—ოცობით. თეთ, როცი\* კი ათობითი თელის სისტემაზეა დამყა-  
რებული: აერ ზეშდ [ $\langle$ აერ უ+აეშდ] (ორ+აბი)<sup>3</sup>. ლენტეხური ჩვენი სა-  
კითხის გასაშუქებლად საყურადღებოს არათერს წარმოადგენს, ამიტომ მას განზე  
ვტოვებთ. მიუხედავად ბალსქვემოურს; იქ თელთან:

აერ ზეშდ (ორათი\*), ური ნერ ზეშდ (ორმოცი\*), სუმინერ ზეშდ  
(სამოცი\*). ამათი დაშლა შეიძლება. შემდეგნაირად: ური-ნ-ერ ზეშდ, სუმ-  
ინ-ერ ზეშდ. პირველი ურ, ხუმ მიღებულია ა-ორ'ი და ხეშისაგან (ორი\*,  
სამი\*), ერ ზეშდ ჩვენთვის ნაცნობია, ხოლო მათ შორის ქართულ-მეგრულის  
მსგავსად ჩართულია -ონ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ -ონ არ არის ისე გაქვა-  
ვებულად წარმოდგენილი სვანურში, როგორც მისი მორფოლოგიური ექვივა-  
ლენტები ქართულ-მეგრულში. იგი ცოცხალი და გარკვეული ელემენტი სვა-  
ნურში: იხმარება რიცხვთან და რაოდენობით ზმნისართებთან (როგორცაა:  
(ბევრი, რამდენი\*) და ნიშნავს თანამედროვე ენით რომ ვთქვათ: „ჯერ, ხელ“  
(არომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს\*: გრგოლ ხანძთ., ნეჟ) და ძველი ქართ. „გზის“  
(სამგზის სანატრელი...), მაგ.: ეშხ ზეშინ (ერთჯერ\*), ზოშედლინ (რამ-  
დენჯერ\*), ხეაინ || ხეაადლინ (მრავალჯერ\*), მაშასადამე, ური ნერ ზეშდ =  
ურ (<ა-ორ „ორ“) + ინ (ჯერ, ხელ, გზის\*) + ერ ზეშდ (ორ-ათი\*).

ამგვარად, ქართულ-მეგრულ-ქანურისა და სვანურის თელის თანაბარი სი-  
სტემა და მორფოლოგიური იდენტობა გვაფიქრებინებს, რომ ქართ. -მე/სა და

<sup>1</sup>) Грамм. чанск. (паяск.) №., § 35 б.

<sup>2</sup>) დანტერესებულთ მიუვითებთ პროფ. აკ. შანიძის წერილზე: „ოცობით თელა და  
ათობით წერა ქართულში“ (ჩვენი მეცნიერება\*, 11-12, ტფ. 1024, გვ. 13).

<sup>3</sup>) „ათისა და სეჟან „ა-შდ“-ის ფონეტიკური სატყვისი მეგრულში \*ოთი\* გახლავთ,  
საიდანაც ონის „ვი“ ჯგუფად დაშლით [როგორც უხოშა || ხვიშა\*, ხოლარი || ხვილ-  
არი\*] დღევანდელი „ეითი“ უნდა იყოს წარმომდგარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვინის დართვა  
„ვით“ში გაუგებარი რჩება. სვანურ აერ ზეშდ'ის ზე აერ უ'ს რედუქციანული უა'  
და არა ეშდ'ის კუთვნილება, ამას ლენტეხური აერ ბეშდ ერთის მხრით და მეორე მხრით  
რიგიანი რიცხვი „მერზე“ [ $\langle$ მერ-ზე] (მეორე\*) გვიმოწმებს. უკანასკნელი ქართულშია შე-  
მოუსული (Н. М а р к с, М р.-г р.-р у с. слов., მ რ და Грамм., გვ. 18).

მეგრულ-ქანურ -ონ, -ენს ისეთივე ფუნქცია უნდა ჰქონდეთ დაკისრებული, როგორც დღეს სვანურში ცოცხლად დარჩენილ -ინს. და თუ ეს ასეა, მაშინ ორ-მეოცი =  $2 \times 20$ , სუმონეჩი =  $3 \times 20$  და სხ<sup>1</sup>.

ზემოთ გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებას მხარს უჭერს კავკასური ენებიდან აბხაზური, წოვა-თუშური (ბაცბური) და ჩაჩნური (ქისტურია), სადაც თელის ტიპი იგივეა, რაც ქართველურ ენებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ენათათვის საკირო სატრანსკრიპციო ნიშნების უქონლობის გამო იძულებულნი ვართ ავიყიადოთ მათი მითითების მოყვანაზე უარი ვთქვათ და მხოლოდ ლიტერატურაზე მივუთითოთ მკითხველს<sup>2</sup>.

## W. TOPOURIA.

### SUR LE SYSTÈME DU CALCUL VIGÉSIMAL DANS LES LANGUES KARTUÉLIENNES.

Le but de cet article est de définir la nature des éléments qui sont employés au moment du calcul vigésimal dans les langues kartuéliennes et précisément les infixes: „me“ (dans le vieux géorgien, „m“ dans le géorgien moderne), „on“ (dans le mingrélien) et „en“ (dans le tchanien ou le laze) qui sont intercalés entre les unités et les vingtaines et dont la signification est incompréhensible aujourd'hui, si on se base seulement sur le géorgien et le mingrélien (avec le laze), mais si nous considérons la langue suanienne, nous verrons que l'infixe „in“ employé dans l'un des dialectes de cette langue (notamment dans le Bas-Balien) pour la formation des vingtaines (40, 60), vit encore comme suffixe formatif et signifie simplement „fois“, (une fois, deux fois etc.) ainsi que les mots géorgiens „gzis“ et „khel“ qui expriment la même chose. C'est pourquoi leur identité morphologique et le système commun du calcul nous fait penser que dans les langues kartuéliennes les éléments cités ci-dessus doivent remplir les mêmes fonctions que le „in“ dans le suanien et par conséquent doivent signifier aussi „fois“ („khel“, „gzis“); il en résulte que p. ex. le mot géorg. „or-me-otsi“ (40) veut dire littéralement: deux fois vingt.

<sup>1</sup> მ. ბროსსეცი სწერს, რომ სამოცი სამჯერ ოციაო (3 fois 20... Grammaire Géorgienne, p. 56) და ალ. ცაგარელიც ადასტურებს, რომ: четные десятки образуются посредством умножения 20 на 2, 3, 4 и т. п. (Сравн. обзор морфологии иберийской группы Кавк. языков, СПб. 1872, გვ. 46-47), მაგრამ არა ჩანს, როგორ ესმისთ მათ, თუ როგორ ხდება სახელდობრ ეს ჯერობა ან გამრავლება. ი. ყიფშიძე ცთება, როცა წ ჩანართად მიანჩნია (Грэм. минг. яз., § 3, f და ასიმ. და დისიმ. წესი, გვ. 5).

<sup>2</sup> აფხაზურისათვის ნ. პ. უსლარ, Абхазский язык, Тифлис 1887, § 89; წოვა-თუშურისათვის A. Schiefner, Versuch über die Thusch-Sprache, S.-Petersb. 1856, §§ 141, 146 და ჩაჩნურისათვის (ქისტურისათვის): П. Услар, Чеченский язык, Тифлис 1888, §§ 44, 48.

პირველს (აბხაზურს) სიმ. ჯანაშიამ და მეორეს (წოვა-თუშურს) პროფ. აკ. შანიძემ მიუძღვეს ჩემი ყურადღება და სათანადო მასალებიც მომიწოდეს. რისთვისაც მათ მადლობას ვუცხადებ.

მ. თოფუზია

ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში<sup>1</sup>

სამი საკითხია წინასწარ მოსაგონარი: 1. როგორი შედგენილობისადაა მიჩნეული ქართველური ენები; 2. რა საურთიერთო ნიშნები გააჩნია სვანურს ნათესაობითსა და მიცემითში ამჟამად მოქმედ -იშ და -ს ბოლოსართთა პარალელურად და 3. როგორ იწარმოება და რა დამატებითი ფუნქცია აქვს ნათესაობით ბრუნვას კავკასურ ენებში და რა ურთიერთობაშია მათთან ამ მხრივ ქართველური ენები? დასმულ საკითხთა შესახებ ასე თუ ისე გარკვეული პასუხი მოიპოვება სამეცნიერო ლიტერატურაში; ამდენად მათი დასახელება და ზოგიერთი ახალი ცნობის მოყვანა სრულიად საკმარისია ჩვენი თემისათვის.

1. ქართველურ ენათა შედგენილობას არა ერთგზის შეხებია აკად. ნ. მ. არი და ყოველთვის გარკვეული დებულებები წამოუყენებია საერთოდ კავკასურ და კერძოდ ქართველურ ენათა ნარეობის შესახებ. მისი სიტყვებით „...грузинский язык, и тот оказался мешавым типом, притом не только древне-литературный, но и современный живой. Вместе с грузинским и другие яфетические языки сибиллянтвой ветви, мингрельский и чанский, оказываются мешавыми...“ ([1], გვ. 1387); „...сванский приходится признать типом мешаного языка...“ ([2], გვ. 16); შეჯავრდინება ხდებოდა დიალექტებისაც: „Скрещение диалектических явлений происходило не только в пределах каждого языка особо; скрещивались различные языки одной и той же группы, скрещивались и языки различных групп, в языке одной группы отливались диалектические явления других групп ([3], გვ. 8). ეს სწორი დებულებები გაზიარებულია მკვლევართა მიერ; საილუსტრაციო მასალაც საკმარისა მოყვანილი. მაგრამ, თუ არ ვცდებით, არც ნ. მ. არისა და არც სხვებს არ მოუნახავთ მოვლენები, რომლებიც გასდევდეს მორფოლოგიას მთელ სიგრძეზე. ასეთი რამ, როგორც ეტყობა, შესაძლებელია მოინახოს.

2. ნათესაობითისა და მიცემითის გაფორმება სვანურში. ამჟამად ცოცხალი ნიშანია ნათესაობითისა -იშ (ზოგჯერ -ეშ, -შ-იშ, ბალსქვემოურში -ემ<sup>2</sup>...) და მიცემითისა—-ს, ხოლო -ე ბოლოზმოვნინებთან—-ა; მაგ.:

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე 8 მაისს 1940 წ. იბეჭდება მაგალითების შეიკრებით.

<sup>2</sup> დეტალურად არ ვებუთ. საერთოდ სახელთა ბრუნება და კერძოდ ნათესაობითის წარმოება სვანურში ცალკე გვაქვს მიმოიხილული.

ლადელ, ლნტ. ლადელ 'დღე'—ლადლი-შ, ლშხ. ეტრ. ლადლ-იშ, ლნტ. ლადელ-იშ  
'დღისა'

გიმ 'მიწა; ქვეყანა' —გიმ-იშ, გიმ-ეშ 'მიწისა; ქვეყნისა'  
ზს. ხეხე 'ცოლი' —ზხ. ხეხე-მ-იშ, ეტრ. ლხმ. ხახე-ემ 'ცოლისა'...  
ქორ 'სახლი' —ქორ-ს 'სახლს; შინ'  
ბზ. მარე 'კაცი' —მარა 'კაცს' და სხვა მრავალი

აქედან ნათესაობითის -იშ და მიცემითის -ს სუფიქსები ნასესხებად აქვს გამოცხადებული ნ. მარს: პირველი (-იშ)—მეგრულ-ქანურიდან, მეორე (-ს) კი —ქართულიდან. ამას სხვებიც იზიარებენ. -ეშ სარკვევია. მაშ რაა საკუთრივ სევანური? ასეთად მიჩნეული იყო ნათ.-ისათვის -ინ, მიცემითისათვის -ან. ესენი აღდგენილია სემიტურ ენებთან, კერძოდ არაბულთან, შედარებით. მართალია, სხვა ენის მალლობიდან მხვერავს ზმირად მოუვა შეცდომა, მაგრამ ამ შემთხვევაში ნ. მარს არ უნდა ცდებოდეს. ამაში გვარწმუნებს საკმაო რაოდენობა მაგალითებისა, რომელთაგან რამდენიმე ნ. მარსვე აქვს დასახელებული [4, გვ. 1200—1205].

მიცემითის -ნ (და არა -ან) გამოვლინებულია ბოლოხმოვნისა სახელებში -ში, -ჩუ, -ქა და -ლო თანდებულებთან, რომლებიც მიცემით ბრუნვას იგუებენ: ბზ. მარან-ლო 'კაცის შემდეგ', დინან-ქა 'ქალიშვილის გარდა', ეჩქან-ლო 'მას შემდეგ' [5, გვ. 262<sub>1</sub>]... ამავე თანდებულებთან ბოლოთანხმოვნისა სახელებში გვაქვს -გნ- (ეტყობა, -გ- თანხმოვანთგასაყარია): ქათლან-გნ-ქა 'ქათმის გარდა' [5, 24<sub>3</sub>], ვორ-უნ-ჩუ (-ვორ-გნ-ჩუ) 'მიწის ქვეშ' [ib., 338<sub>16</sub>], ჩუბ-უნ-ტი 'ქვემო-დან (ზევით)' [ib., 76<sub>4</sub>]... ზმნისართებში მხოლოდ -ნ ჩანს: ხეგრამინაღდას ჰამნ ი ნაბოზნ 'დასაქერად დაესდევდი დილიდან საღამომდე' [ib., 234<sub>32</sub>], ლეთ ი ლადელნ 'დღე და ღამეს' [ib., 282<sub>4</sub>], ესკინაღლი ბაჩნ ი ბაჩან 'იხტუნებს ქვადა-ქვა' [ib., 130<sub>7</sub>]... ფრაზებში ასეთი მონაცვლეობა გვხვდება: შის ხულენდა [ib., 72<sub>7</sub>], და შუნ ხულენდა [ib., 32<sub>41</sub>] 'ხელთ ჰქონდა' და სხვა.

ნათესაობითის -ინ (ბოლოხმოვიანებთან -ნ) ბოლოსართიც შემონახულია ხალხურ სიმღერებში: ბოგრეში ბოგანი ჩუბაე 'ბოგრეშის ხიდის ქვემოთ' [ib., 224<sub>14</sub>], ყვიქან-ტაბილან მექაფი 'ლეიძლ-ტაბლის ნაცვლად' [ib., 24<sub>49</sub>] და სხვა. -ინ ფორმანტის შემცველად მიაჩნია ნ. მარს ზმნისართები ლოშინ 'უკან' და სგობინ<sup>(4)</sup> 'წინ'... [4, გვ. 1203].

ამგვარად, ნათესაობითის სუფიქსი ყოფილა აღრინდელს სევანურში -ინ და მიცემითისა—-ნ.

3. ნათესაობითის კავახხურ ენათა უმეტესობა აწარმოებს -ნ ან -ლ ბოლოსართით წინამავალხმოვიანად. -ნ<sup>5</sup>ს იყენებენ ჩარხურ-ლხლური ჯგუფის ენე-

(4) შედარებით-აღმატებით ხარისხთან, გვეშ ი ზედსართავთან და მაყ ლ უნი ზმნისთან ჩვეულებრივ გვევლინება -ინ, -უნ, -ნ სუფიქსიანი ფორმები, მაგრამ მათ ჯერჯერობით განხე ვტოვებთ ნათ.-მიცემითის ძველი ნიშნის გამოვლინებისას, რადგანაც აქ -ნ<sup>5</sup>ს ზმირად ენაცვლება -ლ: მაგ.: ჩინ მაჩენე—ჩიდ მაჩენე 'ყველაზე უკეთესი' [5, გვ. 1<sub>9</sub>, 2<sub>1</sub>]; მარჩნ ბოლოღატინ გვეში ხარხ 'მარხი ბოლოღატებით სავე აქეთ' [ib., 120<sub>37</sub>];—მარჩნ ბოლოღატით გვეში ჯარ 'მარხი ბოლოღატებით სავე გაქვს' [ib., 126<sub>41</sub>] და სხვა (შდრ. ფუსნ—ფუსნ 'ბატონი', ვედნ—ვედნ 'ძლივს').

ბი—ჩაჩნური, ინგუშური, წოვა-თუშური; კიურული, წახურული, აღლური და აგრეთვე ტაბასარანული, ხოლო ლ ელემენტი მიმართავენ ხუნძური, ლაკური და დარგული. ლაკურში -ნ მიცემითის ნიშანია. უთუოდ საგულისხმოა ისიც, რომ ბევრს ამ ენათაგან არსებითი სახელის ნათესაობითი ფორმა გამოყენებული აქვს ზედსართავად და პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი—კუთვნილებით ნაცვალსახელად [6], როგორც ეს ქართულშია.

მაშასადამე, ვიცით, რომ ქართველურ ენები ნარევი ტიპისაა, სვანურს ნათესაობითის ნიშნად ჰქონია -ინ და მიცემითისა—-ნ, კავკასურ ენებსაც ნათესაობითში აქვთ -ნ ან -ლ ელემენტი და ამავე ბრუნვას იყენებენ ზედსართავის ფუნქციით.

ამ ნიადაგის შემზადების შემდეგ გადავიდეთ ძირითად საკითხზე -ნ და -ხ ფენის შესახებ.

ქართულ ენაში შემჩნეულია მთელ რიგ შემთხვევაში ერთისა და იმავე დანიშნულების ორ-ორი (ზოგჯერ მეტი) აფიქსის ხპარება, მაგ.:

1. ზ მ ნ ა შ ი. აწმყოსა და ნამყო მრავალგზითში მოგვეპოვება პარალელური ფორმები, სადაც ერთი ფუნქციისად ჩანან -ნ და -ხ:

დგან ერი იგი — ...ერი დგახ შენ წინაშე (გამოსლვათაჲ 33<sup>8</sup>, 18<sup>14</sup>)

გალობნ და იტყუნ — ვითარცა იტყუნ (საბა ასური, 5<sup>23</sup>, 24)

ტკბილ არს (ib., 5<sup>23</sup>) — არა საცნაურ არნ (ხანძთ., მკ)...

მოილინ (ივ. ჯავახიშვილი, ხანმეტი, 377)—მოილის და სხვა

ნ აუცილებელია აგრეთვე III პირის ბრძანებითში: იყ.იზ, მოვედინ... დღეს საბოლოოდ დადგენილია, რომ -ნ „უძველესი სუფიქსია მესამე პირისა“ [7, გვ. 40]. მაშასადამე, ძველ ქართულში III პირს გამოხატავდა -ნ და -ხ. ამათგან -ნ ახალმა ქართულმა არ იცის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კვანან, ჩანან... შემთხვევებს; -ხ კი მკვიდრია.

2. ისევ ზ მ ნ ა შ ი, რომლის მრავლობითი ფორმები გადმოცემულია -ენ და -გხ ბოლოსართებით: ბრძანებენ—ბრძანებ... -ენ გვევლინებოდა აწმყოსა და კავშირებითებში, ხოლო -გხ ნამყოებში. თანამედროვე ქართულში -ენმა გაიფართოვა სამოქმედო ასპარეზი: ის დამკვიდრდა ნამყო უწყვეტელსა და გარდაუვალი ზმნების მიხედვით—ნამყო წყვეტილშიც (ქვემოიმერულ-გურულში -გხ თითქმის გადაშენდა): წერდენ (ძვ. ქართ. სწერდეს)—დაწერეს (იმერ.-გურ.-ში დაწერენ)... მიუხედავად -ენ, -გხ'ის ასეთი განაწილებისა დრო-კილოებში, მათ მაინც ერთი ფუნქცია აქვთ: გამოხატავენ მესამე პირის მრავლობითობას.

3. ნ ა წ ა რ მ ო ე ბ სა ხ ე ლ ე ბ შ ი, სადაც ერთი მხრივ გვაქვს ნა-, ნე- და ნი- და მეორე მხრივ ხა-, ხე- და ხი- თავსართები:

ნა-თ-ელი (შდრ. თ-ევა, თ-ენება...) —ნა-თ-ელი, ხა-თ-ევი...

ნა-ხ-ვა (ნა-ხ-ა, ნა-ხ-ული...) —ხა-ხ-ე და სხვა

ნე-რწვევი (-რწვეა) შეადარე \* ხე-შა — შეშა

ნე-რგი (-რგ-ა) " \* ხე-ცხლი — ცეცხლი

ნე-ზევი (იზვა 'მოიგო, შვა') " \* ხე-ფე (შდრ. მე-ფე) და სხვა

ნი-დაჟვი (შდრ. მეგრ. დუჯი) შდრ. \* ხი-ში — შიში

ნი-კაპე (-კაპ-უნი) " ხი-მშილი — შიმშილი და სხვა

შემთხვევა გვეკონდა გამოგვერკვია, რომ ეს პრეფიქსები ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიტყვებს, ოღონდ განსხვავება მათ შორის ერთ რამეში ჩანდა: ნა-, ნე-, ნი- უფრო ძველია და გადმონაშთის სახითღაა მოღწეული, ხა-, ხი- კი დღესაც მოქმედია (ხე- უკმი შეიქნა [8]).

4. სახელეზი, რომელთა მრავლობით რიცხვს აწარმოებენ -ნ (-ენ) და -ეზ. პირველი ძველ ქართულში იყო გაბატონებული, მეორე ამჟამადაა გავრცელებული. დიალექტებში -ნს სიცოცხლე შერჩა მთის კილოებში (განსაკუთრებით ხევსურულში). მის მიერ მრჩობლობის გამოხატვა, თუ ნამდვილად არის ასეთი რამ, უთუოდ მეორეული მოვლენაა. მართალია, აქ -ნ და -ხ არ ენაცვლებიან ერთმანეთს, მაგრამ საგულისხმოა, რომ -ეზ გასდევს -ხ ფენას და ამდენად ისიც შეიძლება -ნს შევეუპირისპიროთ.

5. -ხ და -ნს ასეთი პარალელიზმი უნებლიედ იწვევს კითხვას: იქ, სადაც -ხ არის დღეს, ხომ არ იყო წინათ -ნ, ვთქვათ, ნათესაობითისა და მიცემით ბრუნებში? ამაზედაც დადებითი პასუხია ვაქცემული: ნათესაობითადაა გამოცხადებული გუშ-ინ, რომლის ძირი გუშ დაცულია გურულ გუშხამ (-გუშინ ლამ) კომპოზიტში. მაშასადამე, გუშინ დელი წარმომდგარი ჩანს \*გუშინ-დ დელისაგან. ამგვარი წარმოშობისაა ხვალ-ინ-დელი, აწ-ინ-დელი... აქ ნათესაობითის -ინ ფორმანტს თითქოს უდაოს ხდის დელი-ინ-დელ ზედსართავი, რომლის პირველი ნაწილი დელი-ინ ისეა ნაწარმოები, როგორც დელი-ის (მაგ., დღეის იქით). ასევე ეფარდებიან ერთმანეთს -თე-ის და თე-ინ [4, გვ. 1204; 9, §§ 39, 138], -მდ-ის და -მდ-ინ თანდებულები (სოფლამდის || სოფლამდინ). -თე-ინ და -მდ-ინ, ჩანს, უძველესი ფორმებია და ამდენად მათი ღირებულება დიალექტოლოგიის ფარგლებს სცილდება. ამგვარად, ქართულ ნათესაობითსაც -ის სუფიქსის გვერდით -ინ აღმოაჩნდა. უკანასკნელი (-ინ) დღეს მკედარია. მიცემითისათვის -ნ საქმებარია. ძოდან, გვიან, უკან და სხვებში [9, §§ 39, 137] -ნს (მით უფრო -ანის) მიცემითობა დისპრტიკებულია.

6. ეგების ქონების გამოშატეული -ოხან ბოლოსართი იშლებოდეს -ოხ-ანად (ზღრ. -ოვ-ან) და თავისი -ოხ- ელემენტით შეესატყვისებოდეს -ონ- სუფიქსს, წარმოდგენილს მაყრიონსა და სხვა სახელეზში [10, გვ. 216].

თავი რომ მოუყაროთ გამოყოფილ აფიქსებს, მივიღებთ ორ რიგს; ესენია:

ნ რიგი	ხ რიგი
-ინ	-ის (ნათესაობითის ნიშანი)
-ნ	-ს (III პირის ბოლოსართი)
-ენ	-ეს (მრავლობითის სუფიქსი ზმნაში)
ნა-	სა-
ნე-	სე-
ნი-	სი-
-ონ-	-ოს-(?)
-(ე)ნ	-ეზ (მრავლობითის ნიშანი სახელში)

ს'ს რიგიდან ცოცხალია და, მაშასადამე, ამეამადაც მოქმედი ყველა აფიქსი, სე- და -ოს-ის გამოკლებით, ხოლო წ'ს რიგიდან დღესაც აქტიურია მრავლობითის -ენ ზმნებში; ცოცხალ-მკვდარია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მრავლობითისავე -ნ სახელებში, დანარჩენი კი უქმია.

მეგრულ-ქანური უმთავრესად ს'ს რიგისაა. ნათესაობითში მას გაბატონებული აქვს -იშ, შესატყვისი ქართული -ის ბოლოსართისა; სახელთა მრავლობითში -ნ არ ჩანს, მხოლოდ -ეფ მოქმედებს; სიტყვაწარმოებითი აფიქსებიდან ან ხა-, ხი-ა ქართულიდან შესული და დაცული, ან მათი ეკვივალენტები თ-, ე-, დო-, დი-... გვევლინებიან; წ'ს რიგიდან ცოცხალია ზმნაში III პირისა და მრავლობითის ნიშნები -ნ და -ან პარალელურად -ს და -ეს'ისა (განაწილებული არიან დრო-კილოსა და გარდამავლობის მიხედვით); -ონ- გავრცელებულია ქანურში (-ოს- არაა მოსალოდნელი); ნე- ან ლე-, ლი- აქა-იქ გვხვდება სახელებში; გეოგრაფიული სახელების ლე- კი (ლე-ქარღე, ლე-ხაინდრე...) სამართლიანადაა გამოცხადებული სვანურიდან ნასესხებად. თქმულის თანახმად ასე შეიცვლება 6 და ს'ს რიგი:

—	-იშ (ნათ. ნიშანი)	
-ნ	-ს	} (ბოლოსართები ზმნაში)
-ან	-ეს	
—	სა-, ო-, დო-	
(ნე-), ლე-	ე- (=სე-)	
ლი-	სი-, (ზი-), დი-	
ონ-	—	
—	-ეფ	

სვანურს პირიქით: ს'ს რიგისა არაფერია აქვს საკუთარი. ნათესაობითის -იშ და მიცემითის -ს შემოტანილია მეგრულიდან და ქართულიდან; III პირის -ს'ც ქართულიდანაა; მრავლობითის -ეს'სა და სიტყვაწარმოებით ხა- — -ოს- აფიქსებს სვანური არ იცნობს; მრავლ. -ებ არ ჩანს; სამაგიეროდ წ'ს რიგი შედარებით სრულადაა დაცული, ოღონდ საკმაო ცვლილებებით: III პირის -ნ წარმოდგენილია ლ'ს სახით, ისიც ხუთ ზმნაში და თავსართად (ლ-ი 'არის', ლ-გ 'დგას', ლა-ლ-ქმ 'შეკამა' და სხ.); ნა-, ნე-, ნი- შეცვლილია ლა-, ლე-, ლი- თავსართებით, რომელნიც ისეთივე მოქმედნი არიან, როგორც ქართულში ხა-, ხი-; -ენ, მრავლობითის ნიშანი ზმნაში, სვანურისათვის უცნობია, ხოლო სახელთა -(ე)წ'ის შესატყვისად მრავლობითობის -არ თუ გაქირდება, -ალ მინც გამოდგება; -ალ კი იზარება ბოლოზმონიან სახელთა მრავლობითის საწარმოებლად და ზოგიერთ ზმნაში ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად: დინა 'ქალიშვილი'—ბზ. დინაჲ 'ქალიშვილები'... ზს. ატვრე 'ანთებს (სანთელს)'—ბზ. ატვრაჲლი, ბქვ. ატვრაჲლი 'ანთებს (სანთელს)'... ამის თანახმად 6 და ს'ს რიგი ასეთ სახეს მიიღებს:

6 რიგი	ს რიგი
-ინ (მკვდარია)	-იშ (ნასესხებია: ნათ. ნიშანი)
-ნ ( " )	-ს ( " მიცემითის ნიშანი)
ლ- ( " )	-ს ( " III პირის ბოლოსართი)

6 რიგი	ხ რიგი
ლა- (-ნა-)	—
ლე- (-ნე-)	—
ლი- (-ნი-)	—
-ალ, -არ (ცოცხალი)	— (მრ. ნიშანი სახელში, ზმნაში)

ამგვარად, 6 კარგადაა წარმოდგენილი სვანურში; დღესაც ფართოა მისი სამოქმედო ასპარეზი; ქართულში წ'ს საკმაოდ დიდად ჰქონია ფეხი მოკიდებული, მაგრამ ხ'ს შესაძრწველ შეუწელებია მისი მოქმედება; მეგრულ-ქანურში კი თითქმის უმნიშვნელოა წ'ს როლი ხ'სთან შედარებით.

თუ ეს დაპირისპირება მართებულია, მაშინ სხვაგანაც უნდა მოინახოს ხ და წ'ს მიმართება; მართლაც გვაქვს ასეთი შემთხვევები.

1. ჩვენებითს ნაცვალსახელ ხ'ს წინ და უკან ერთი და იგივე ხმოვანი უნდა ხლებოდა; გვექნებოდა:

\*ახა (შდრ. ას-ე) ეხა ' (შდრ. ისი-ც; ისი ცოცხალია დღესაც დიალექტებში)

(შდრ. \*აგა ეგე იგი) ამას შეესატყვისება

მეგრ. \*ანა ენა ინა, ხოლო

სვან. ალა (-\*ანა) \*ელე (-\*ენე) \*ილი (-\*ინი, შდრ. ალი) (სვან. ლ-ქართ. ს)

2. მეგრ. ჯვ-ეშ-ი, ჰან. მ-ჯვ-ეშ-ი=ქართ. ძვ-ელ-ი (-\*ძვ-ენ, შდრ. ჰან. დი-მ-ჯვ-ენ)=სვან. ჯვ-ინ-ელ 'ძველი'. ძირია ჯვ, ქართ. ძვ [11, გვ. 238]. სვან. -ინ, მეგრ.-ჰან. -ეშ ნათ. ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს. მათი ფონეტიკურ-მორფოლოგიური ეკვივალენტი ქართ. -ელ'იც (-\*ენ)<sup>1</sup> ალბათ ნათესაობითის სუფიქსია. აშკენად დეტერმინანტი -ელ სხვა არაფერი უნდა იყოს, თუ არ ნათ. ბრუნვის ბოლოსართი. ეს კი სავსებით შესაძლებელია. ჩვენი ზედსართავები ან შეიცავენ -ელ/-ილ'ს (ყვით-ელ-ი, გრძ-ელ-ი... ტკმ-ილ-ი, თბ-ილ-ი...), ან დაირთავენ -ელ'ს (სოფლ-ელ-ი, გუშინდ-ელ-ი, გორ-ელ-ი...). თუ მოვიგონებთ, რომ ზედსართავები, ერთი მხრივ, საგნის თვისების, საგნის ნიშნის გამომხატველებია და ამდენადვე მისი მსაზღვრელები და; მეორე მხრივ, მიიღებიან არსებით სახელთა ნათესაობითისაგან, როგორც ეს მთელ რიგ კავკასურ ენებშია (ნ. გვ. 191), მაშინ ადვილდასაშვებია, რომ -ელ/-ილ'იანი ზედსართავები (და ზოგი არსებითიც) ნანათესაობითარ ფორმებად მივიჩნიოთ და -ელ/-ილ'ი კი -ენ/-ინისაგან წარმომდგარად დაესახოთ (სამამისო საბუთები არსებობს).

ასეთი საპირისპირო შემთხვევები სხვებიც მოინახება.

რას გვეუბნება ყველაფერი ეს? იმას, რომ, როგორც აკად. ნ. მარი აღნიშნავდა, სიბრტყლია ქართულ-მეგრულ-ქანური და ძირითადად მათი დამახასიათებელია ხ, ხოლო სონორულია სვანური და მისი ბუნებრივი დამახასიათებელია წ.

წ ფენა ძალიან ფართოდაა მოდებული. მას ჩვენ ვხედავთ კავკასურ ენათა უმეტესობაში და მკვდარ ენებში: ხალღურში, ხეთურ ენებში. ამიტომაც, რომ ისენი სპირანტულ ჯგუფისად ითვლებიან. მართლაც:

<sup>1</sup> -ელ და -ეშ'ის ურთიერთობას სხვაგან დაუბრუნდებით.



1. ქართულ-სვანური ნათესაობითი გამოვლინებული -ინ'ით და სვანური — მიცემითის -ნ ბოლოსართით უკავშირდებიან კავკასურ ენათა მეტ წილს, სადაც ნათესაობითის ნიშანია ხმოვნითურთ -ნ ან -ლ და მიცემითის სუფიქსია -ნ (მაგ., ლაკურში: ნ. გვ. 191). ამ მხრივ შეესატყვისებიან აგრეთვე სოლისებრ წარწერათა ენებს, რომელთაგან II კატეგორიის ენა გამოიყოფს ნათესაობითი -ინ'ს [3, გვ. 16] და ხალღური—მიცემითი -ინ'ს [12, გვ. 150 და სხვაგან].

2. ქართული მრავლობითის -ნ (-ენ) და სვანური -ალ, -არ სუფიქსებით კავშირს აბამენ ისევ კავკასურ ენებთან, სადაც მრავლობითის საწარმოებლად გვევლინება -რ/ლ- ელემენტიანი ბოლოსართები; მაგ.: ლაკურში -რჟ, ხუნძურში -ალ (ხშირად), კიურულში, რუტულურში და სხვაგან -არ. განსაკუთრებით „ზნიშენლოვანია ისიც, რომ მრავლობითი რიცხვის ნიშანიც მატერიალურად ერთიდაიგივეა ხარულ-მიტანურსა და ქართულში: -ნ(ი)“ [13, გვ. 693].

3. ხალღური ჩვენებითი ნაცვალსახელი ინი (ини) 'ეს' უთუოდ პარალელს პოულობს მეგრ. ინა და სვანურში ალა'ს მიხედვით აღდგენილ \*ილი (-ინი) ნაცვალსახელთან (ნ. გვ. 194). ალბათ სომხურში შემონახული -ნ მსაზღვრელი ნაწილაკიც კავშირშია ინ'სთან.

4. ურარტულ (ხალღურ) ძეგლთა ენაში ხშირი გამოყენება აქვს უფსთან ერთად სხვადასხვა ფუნქციის -ნი სუფიქსს. ამდენად ხალღურიც ნარევი ტიპის ენაა და თავისი ნარეობით ძალიან წააგავს სვანურს. აკად. ი. მე შჩანინის ოვის განმარტებით „...язык древневаянской письменности примыкает к шшя-ше-спираптвои группировке“ [12, გვ. 334] და, მაშასადამე, მას უფრო მეტი კავშირი უნდა ჰქონდეს სვანურთან, ვიდრე მეგრულ-ქანურთან. მართლაც საკმაოდაა ხალღურ-სვანური პარალელები, მაგრამ ამაზე შემდეგ.

დასკვნა. 1. ქართველური ენები „ნარევი ტიპის ენებია“ (ნ. მარი). მათში შემჩნეულა სხვადასხვა ფენა. ამ მხრივ ყველაზე რელიეფურად ჩანს ნ და ხ ფენა.

2. ნ (და მისი ბგერინაცვალი ლ) და ხ გვევლინება, როგორც ერთისა და იმავე ფუნქციის თავისთავადი აფიქსები, ისე სიტყვაწარმოებითი თუ საერთო აფიქსთა ელემენტი (მაგ.: არნ—არხ; თეის—თეინ; ნა-ხ-ვა—ხა-ხე...).

3. ნ ფენა მდიდრადაა წარმოდგენილი სვანურში, ხოლო ხ—ქართულ-მეგრულ-ქანურში, განსაკუთრებით უკანასკნელში. ხ ფენა იმდენადაა მოქმედი სვანურში, რამდენადაც ნ ფენა—ქართულში.

4. ნ ფენით ქართველური ენები უკავშირდებიან კავკასურსა და ძეგლებითლა წარმოდგენილ მკვდარ ენებს (ხალღურს, ხეთურ ენებს).

სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფრთხილი  
აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური  
კულტურის ინსტიტუტი  
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 7.2.1941)

В. ТОПУРИЯ

## К ВОПРОСУ О СЛОЯХ б N и ს S В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

1. Картвельские языки—языки «мешаного типа» (Н. Я. Марр): в них прослеживаются различные слои. С этой точки зрения особенно выделяются слои б n и ს s.

2. б n (—ლ l) и ს s, имея одинаковое грамматическое значение, являются как самостоятельными аффиксами, так и элементами словообразующих или словоизменяющих аффиксов (არ-ბ ar-n—არ-ს ar-s 'он есть', წერ-ებ ser-ep 'пишут'—წერ-ებს ser-es 'они написали', თვ-ობ tv-in—თვ-ობ tv-is (род. п.) 'ради, для'...).

3. Слои б n богато представлены в сванском, а слои ს s—в грузинском и мегрело-чанском, особенно в последнем.

4. Слоем б n картвельские языки имеют связь с кавказскими языками и языком клинообразной письменности, а именно—халдским.

Грузинский филиал АН ССР

Институт языка, истории и материальной культуры

имени акад. Н. Я. Марра

Тбилиси

## ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Н. Я. Марр. К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа, СПб. 1916.
2. Н. Я. Марр. Из поездки в Сванию. Христ. Восток, т. II, в. I.
3. Н. Я. Марр. Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языковедения, СПб. 1914.
4. Н. Я. Марр. Где сохранялось сванское склонение? СПб. 1911.
5. სვანური პოეზია. I. თბილისი, 1939.
6. Проф. М. Я. Немировский. Некоторые явления чеченско-дагестанских языков в свете общей лингвистики, 1930.
7. არნ. ჩიქობავა. შესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში. ენიმკის მოამბე, V—VI, მოძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი.
8. ვ. თოფურია. ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. I. თბ. უნივ. შრომები, VII.
9. Н. Я. Марр. Грамматика древнейт. грузинского языка. Ленинград, 1925.
10. სიმონ ჯანაშია. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. ენიმკის მოამბე, I. 1937.
11. არნ. ჩიქობავა. კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938.
12. И. Мещанинов. Язык вавской клинописи. II. Ленинград, 1935.
13. სიმონ ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრების შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე. ენიმკის მოამბე, V—VI, 1940.

რედუქციისათვის ძარტველურ ენეზი\*

1. ორიოდ სიტყვა ხაკითხის ინტორინათვის

ქართული გრამატიკული ლიტერატურიდან ჩანს; რომ რედუქციის საკითხი (სახელდობრ, ხმოვნის ამოღება თუ გაუმარცვლოება და მოკვეცა) თავიდანვე ცნობილი იყო ჩვენი გრამატიკოსებისათვის. ანტონ I წერდა: „ცნობა ესე სათანადო არს, რამეთუ სახელსა, რაჟვესაცა ეკიდურების ვმოვანი ო, ამის, ოდესმე, თუ სადამე აქუს საზოგადოსა სახელსა საშუალ ვმოვანი რაჟვე[.] მიმღე არს იგი ბრუნუთა შინა მერყეობისა. მაგალითი: ნათელი, ნათლიხა, ნათლიხაგან, ნათლითა. აჰა აქა ბრუნუთა შინა მიილო მერყეობად ჰსპობითი ასომან ამან ე“ (§ 5, გვ. 11). მაშასადამე, ამოღებულია ე ხმოვანი. ან: „გვაქვს უქუშ სიმკაცრედ, ამისთვის რომელ ბოლოდ არის ვმოვანისა ასოჲსა: ა. ...განკიდურებად სახელთა ბრუნვისა შინა ისპობის, გარნა საზოგადოთა სახელთა და არა სათვითთა... სახელნი უცხოთა ენათანი საზოგადონი, რომელა: ვაჰლუხია, აზია, ევროპია, ზარბარია, ამახია, ამთცა განკიდურებულნი იგი ა ესპობიან ბრუნუთა შინა“... მაგ.: არსება—არსებისა (§ 3, გვ. 9)<sup>1</sup>. მაშასადამე, მოკვეცილია ა ხმოვანი.

ანტონის შემუშავებული წესები და მონახული მაგალითები განმეორებულია ს. დოდაშვილისა, პლ. იოსელიანისა და სხვა ავტორთა გრამატიკებში, და არა მარტო ამ ნაწილში.

დ. ჩუბინაშვილი<sup>2</sup> და განსაკუთრებით დიმ. ყიფიანი შეეცადნენ ერთგვარი ზღვარი დაედოთ ხმოვანამოსალებ შემთხვევითათვის. დ. ყიფიანის სიტყვით, მეოთხე „მერყეობით დაბრუნდება ყოველი ორ-სამ-ოთხ და მეტმარცვლოვანი სახელი, რომელსაც ბოლოს დაჰყვება:

აღი, აჰი, ანი, არი; ეღი, ეჰი, ენი, ერი; ოღი, ოჰი, ონი, ორი.

და ამ სახელების ბრუნვის განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ა, ე და ო აკლდებათ: მხოლოდობითში—ნათესავობითსა და მრავლობითში—ყველა ოთხსავე ბრუნვას“ და ჩამოთვლილია მრავალი მაგალითი: აბჯარი, ატამი, დედანი... საბძელი, ყურძენი და სხვა, და თანაც ნაჩვენებია „ზოგი ისეთი სახელიცა“, რომელიც „ამ კანონს კი არ ემორჩილება“ (გვ. 34-37)<sup>3</sup>.

\* წაკითხულია მოხსენებად სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სესიაზე 1939 წლის 27 სექტემბერს. იბეჭდება შემდეგ გამოსული ლიტერატურის გათვალისწინებით.

<sup>1</sup> ქართული ლრამატიკა, თბილისი 1885.

<sup>2</sup> Краткая грузинская грамматика, СПб. 1855.

<sup>3</sup> ახალი ქართული გრამატიკა, სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის, სანკტ-პეტერბურდი 1882.

ეს წესი შევიდა სასკოლო გრამატიკებში დ. ჩუბინაშვილისა, თ. ჟორდანისა, ს. ხუნდაძისა, დ. კარიჭაშვილისა და სხვ.<sup>1</sup>

თ. ჟორდანია წინა ავტორებთან შედარებით შორს მიდის. იგი ამჩნევს, რომ ჳრა, კლვა და სხვა სიტყვებში ხმოვანი ჩანს გარკვეულ პირობებში, და ასეთ განმარტებას იძლევა: „სიტყვა ძნელად გამოსათქმელია, თუ მასში ერთად შეიყრება ა) მრავალი უხმო ანუ ბ) მრავალი ხმოვანი. პირველს შემთხვევაში უხმოებში... ხმოვანი ჩაემატება (მაგ. წერთა=ევწე-ა-რთე; ქრა=ვქ-ე-რ; სჯა=ვს-ა-ჯე; მოწყლვა=მოვწყ-ა-ლ; მოკლვა=მოკვ-ა-ლ; ადგომა=ადღ-ე-გ“ (§ 14, გვ. 27)<sup>2</sup>. ეს მცდარი ახსნა სამაგიეროდ ანაზღაურებულია უმარცვლო უ-ს გენეზისზე სწორი დაკვირვებით (იხ. გვ. 81).

ამგვარად, ხმოვანთა რედუქცია—ეს უაღრესი მნიშვნელობის ფონეტიკური პროცესი ჰქონდათ შენიშნული ძველ გრამატიკოსებს სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით. და აღწერილი მარტივად და ცალმხრივად, ხოლო ზმნის ძირებში ხმოვანთა გამოვლინება ახსნილი იყო შემცდარად—ხმოვანთა ჩართვით.

ხმოვანთა რედუქციის მეცნიერული აღწერა, მისი გავრცელების დადგენა და ამ მხრივ ქართულურ ენათა და მათ კილოთა ურთიერთობის გაშუქება ეკუთვნის ა. შანიძეს. მისი სხვა მხრივაც საყურადღებო გამოკვლევა „წილიწადის ეტიმოლოგიისათვის“<sup>3</sup> შეიცავს შემდეგს დებულებებს:

1. რედუქცია შეეხება ფუძისეულ ხმოვნებს და გამოწვეულია იგი პრეფიქსებისა და სუფიქსების გავლენით;

2. თვით ფუძის შეკუმშვის გამოწვევი პრეფიქსისა და სუფიქსის ხმოვნებიც ექვემდებარება რედუქციის კანონს;

3. „პრეფიქს-სუფიქსების გავლენა ფუძის ხმოვნებზე... განსაკუთრებით ძლიერი უნდა ყოფილიყო ძველად, ქამესური ენების<sup>4</sup> ერთობის ხანაში, ხოლო ერთობის დარღვევის შემდეგ, დაცალკეებისა და დაშორების პროცესში, თვითეულ კილოში თავისებურად განვითარებულა ეს კანონი“;

4. რედუქციის ძველებური ძალა დაცულია სვანურის სამს კილოში (ბალს-ზემოურსა, ბალსქვემოურსა და ლაშხურში), საკმაოდ შენელებულია იგი სვანურისავე ერთ კილოში—ლენტეხურში, და ქართულ ენაში, ხოლო მეგრულ-ქანურში უკვე უძღურა;

5. ქართულში ფუძის შეკუმშვისას უკვალოდ ამოიღება ა და ე ხმოვნები, ხოლო ა კვალს ტოვებს ვ თანხმოვნის სახით და ისიც განსაზღვრულ შემთხვევებში;

6. რედუქციის გამოწვევა ძალუძთ მხოლოდ სუფიქსებს;

7. ზოგი სიტყვა, ძველად რომ რედუქციის კანონს ემორჩილებოდა, ამჟამად გაურბის მას (მაგ., მყრდი—მყრდისა);

<sup>1</sup> ამჟამად დაწერილებით ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვ. I, თბილისი 1942, §§ 29—32, 67—73; ძველი ქართულისათვის ნ. მარტი, Грамматика др. жит. языка, §§ 61—64.

<sup>2</sup> ქართული გრამატიკა, ტფილისი 1889.

<sup>3</sup> ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, I—II, ტფილისი 1923-1924 გვ. 6—11.

<sup>4</sup> იგულისხმება ქართული, მეგრული და სვანური ენები.

8. ცოცხალი დიალექტებიდან რედუქცია უფრო მოქმედია აღმოსავლურ კილოებში, ვიდრე დასავლურში;

9. სვანურში, ქართულისგან განსხვავებით, პრეფიქსიც ისე მოქმედებს, როგორც სუფიქსი და.

10. ა და ე-ს გარდა, ამოიღება ი ხმოვანიც და კვალს ტოვებს ო-სთან ერთად უ-ც წყვილბაგისმიერი ჟ-ს სახით.

ნ. მარმა სცადა ეს ფონეტიკური პროცესი აეხსნა მახვილის გავლენით და აღნიშნა მეგრულში ფუძის სრულხმოვნობა და ქართულში სრულხმოვანი ფუძის ტენდენცია შექმშვისაკენ<sup>1</sup>.

მიუხედავად წარმოდგენილი მყარი დებულებებისა, ჯერ კიდევ ბევრი რამა გასარკვევი და დასადგენი. აქ ცადა აღდგენილ იქნეს აღრინდელი სურათი ხსენებული ფონეტიკური პროცესისა, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ჩვენ ხელთ არსებული მასალები იძლევა. მაგრამ მანამდე

2. რედუქციის შედეგებისათვის. რედუქცია ქართულისა და სვანურისათვის დამახასიათებელ ყველა ფონეტიკურ მოვლენასთან შედარებით, როგორცაა: ასიმილაცია, დისიმილაცია, სუბსტიტუცია, მეტათეზისი, დაკარგვა და სხვა, უფრო გავრცელებული და იმდენად ძლიერ მოქმედი ყოფილა, რომ დღევანდელი ვითარება ენისა თვალსაჩინოდ დაშორებული ჩანს აღრინდელისაგან. რედუქციის ძალით ფუძე იკუმშებაო, რომ ამბობენ,—ეს ნიშნავს, რომ: 1. არ ჩანს ხმოვანი; უკანასკნელის ალუდგენლად კი ძირზე სრული წარმოდგენა არ გვექნება; 2. ხმოვნის ამოღების თუ გაუმარცვლოების შედეგად თავს იყრის თანხმოვნები და მოსალოდნელი მათ ერთმანეთზე გავლენა მოახდინონ: დაემსგავსნენ, განემსგავსნენ, ან ერთი მათგანი (შეიძლება მეტიც!) დაიკარგოს, ან უჩვეულო კომპლექსის მიღების გამო გადასხვაფერდეს და ბუნებრივი კომპლექსი მოგვეცეს; ეს გარემოება კი ფუძეს თუ ძირს უკარგავს პირვანდელ სახეს; 3. მოხდება ხოლმე, აფიქსი შეერწყმის ძირს და შემდეგ ქირს მათი დაცალკევება. ერთი სიტყვით, რედუქციის გაუთვალისწინებლად ქართველურ ენათა შედარებისას ვერ აღვადგენთ პირვანდელ ძირს და ამდენად არც გვეცოდინება ამ ენათა განვითარების ისტორია. თუ რაოდენ რღვევის გამოწვევია რედუქცია, ამის საილუსტრაციოდ ორიოდვე ცნობილი მაგალითიც საკმარისია.

ყოფი წარმომდგარია ყავ-ო ფა'საგან: ა ამოღებულია და ჳ დაკარგულია ო-ს წინ;

ტყდომა — ტეხ-ედ-ომა'საგან: ორივე ე ამოღებულია და ტხ ქცეულია ბუნებრივ ტყ კომპლექსად;

შრომა — შუ-ერ-ომა'საგან: ე ამოღებულია და თანხმოვანთა შუა მოქცეული წყვილბაგისმიერი უმარცვლო უ დაკარგულია შომდევნო ო-ს გავლენით, ხოლო შენახულია იგი შჭრება ზმნაში;

ზმნა — ზამ-ენ-ა'საგან: ამოღებულია ა ე ხმოვნები, ხოლო ა დაცულია იზამ ზმნაში...

<sup>1</sup> ოპ. cit., § 61—63. ამჟამად სრულხმოვნობისა და მახვილის შესახებ არნ. ჩიქობავას მონოგრაფია „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, თბ. 1942.

ძლისპირი — ძალისპირისაგან (დაკარგულია ა)¹ და არა ძილისპირისაგან, როგორც ეს კაცს ეგონება.

ასევეა სვანურში:

ლიტკლებე, ლნტ. ლიდაკლებე 'დანანება' — \*ლი-დაკლებე-ე'საგან (ნასესხებია ქართ. დაკლებე ა): ამოღებულია ა ე ხმოვნები და თავმოყრილი დკ ასიმილაციის ძალით ქცეულია ტკ კომპლექსად;

ლიტფურე 'ტყავება' — \*ლი-ტ ფ-ურ-ე'საგან (ბქ. ლი-ტ მ-ურ-ე: ნაწარმოებია სიტყვისაგან ტ ფე 'ტყავი'): გაუმარცვლოებულია ძირისეული უ და თანხმოვანთა შორის მოქცეული უ დაკარგულია მომდევნო უ-ს გავლენით: ლი-ტ ფ-ურ-ე — ლი-ტ ფ-ურ-ე...²

ერთი ნაწყვეტი ძველი (X საუკ.) ტექსტისა შეძლებისდაგვარად რომ აღვადგინოთ, ასეთ სახეს მიიღებს:

რედუქციის შემდეგ:

და ეძიებდეს... რამცა ზაკუუთ  
შეიპარეს იგი და მოკლეს. ხ' იტყოდეს:  
ნუ დღესასწაულსა ამას, ნუ უკუე  
შფოთი იქმნეს ერისაჲ.

და ვა იყო ი'უ სახლსა სიმონ  
კეთროვნისასა და ინაჯით ჯდა იგი.  
იყვენეს ვინმე მუნ რ'ნი  
პრისხვიდეს თუსაგან და იტყოდეს:  
რამსა თუს იქმნა წარწყმედამ...

რედუქციამდე იქნებოდა:

და ეძიებდეს... რამთამცა ზაკუუთ  
შეიპარეს იგი და მოკლეს. ხ' იტყოდეს:  
ნუ დღესასწაულსა ამას, ნუ უკუე  
შფოთი იქაშენეს ერისაჲ.

და ვითარცა იყავა იესუ სახელსა სიმონ  
კეთროვნისასა და ინაჯით ჯდა იგი.  
იყავენეს ვინ(ა)მე მუნ რომელნი  
პრისხვიდეს თუისაგან და იტყოდეს:  
რამსა თუის იქაშენა წარწყმედამ...

(ტბ. მკზ XIV<sub>1-4</sub>)

უფრო თვალსაჩინოა ეს სხვაობა სვანურში:

ბალსზემოურში არის:

ლასტჷ სემი ლახტბა ი სემი  
ლაღჩურა. ხოშა უდილ ლაშეუდი-  
ქლთ' აჩად. ...ყორას ლახნაგან,  
ეჩკა ლახატქლ... ჯუმილს, ერე  
— ყორაუ ესერ ოთკარე—ჯუმილდ  
მად ოთკარე ყორა ..

რედუქციამდე უნდა ყოფილიყო:

ლასტჷ სემი ლახტბა ი სემი  
ლაღჩურა. ხოშა უდილა ლაშეუდი-  
ქლათე აჩად. ...ყორას ლახნაგან,  
ეჩკა ლახატქლ...ჯუმილას, ერე  
— ყორაუ ესერ ათოკარე—ჯუმილად  
მადე ათოკარე ყორა...<sup>4</sup>

(სვანური პროზაული ტექსტები, I, გვ. 295)

თარგმანი:

„იყვენენ სამი ძმები და სამი დები. უფროსი და სარეცხავად წავიდა... კარს მიადგა, მაშინ დაუძახა... ძმას, რომ კარიმც გაულოო (=კარი გამოიღეო)—ძმად არ გაულო კარი.

¹ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. II, მე-2 გამოც., თბ. 1941, გვ. 552; Иерусалимский канонарь, გვ. 340—341.

² ანალოგიური შემთხვევები გათვალისწინებულია ჩვენს წერილებში: ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. I: მიმომხილველი, გვ. 206—210, 215—216; II: ტფ. უნივ. მოაზბე, X, გვ. 293—295, 303—304.

³ უფრო სწორია იყოს არ და ხ.

⁴ ზოგი აქ აღდგენილ ფორმათაგანი დაცულია ლენტეხურში: ათოკარ, ლახატულე.

დაახლოებით ასეთსავე ცვლას განიცდიან ის ენები, რომელთაც რედუქცია ახასიათებთ: აფხაზური, სომხური, ნაწილობრივ რუსული და სხვ.

### 3. რედუქცია სვანურში

რედუქცია სვანურის სამს კილოში—ბალსჰემოურსა, ბალსქემოურსა და ლაშხურში, როგორც ითქვა, სანიმუშოდაა წარმოდგენილი. რამდენიმე წესი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. რედუქცია მოსდის ექვივე არაგრძელ ხმოვანს: ა (ა), ე, ი, ო (ო), უ (უ), ჯ-ს. უკვლოდ ამოიღება ა ჯ, ლაშხურში ე ი-ც (გამონაკლისს შეადგენენ პრეფერბიანი ზმნები); ე ი-ს ამოღება იწვევს წინა ხმოვნის გაუმლაუტებას ზემოსვანურსა და ლენტეხურში, ხოლო ო უ გაუმარცვლოვდება და ჭ-დ იქცევა; მაგ.:

- ა—0: ქათალ 'ქათამი' — მ.წ. ზს. ქათლარ = ლნტ. ქათალ-ალ  
გეზალ 'შვილი' — ნათ. გეზლან — " გეზალ-ან
- გ—0: ბგვი 'მაგარი' — ზს. ლიბგე — \*ლი-ბგე-ე,  
ლნტ. ლი-მ-ბგე-ე 'გამაგრება'
- ე—0: სოფელ — ნათ. სოფლიშ — ლნტ. სოფელ-იშ 'სოფლისა'  
ზს. ხეხტ 'ცოლი' — მრ. ლახხტა — \*ლა-ხეხტ-ა 'ცოლები'
- ი—0: ცგვინ 'არაკი' — მრ. ზს. ცგვანარ — \*ცგვინ-არ  
შიხ 'ნახშირი' — აშხი — \*ა-შიხ-ი 'წვავს'  
(ლნტ. იმეჩი 'ბერდება' — ლნტ. ვდმეჩან, ლშხ. ედმეჩან — \*ად-ი-მეჩან  
'დაბერდა')
- ო—უ: წორ 'სისხლის ფასი' — ზს. ლშხ. იწური — \*ი-წორ-ი (— ლნტ. ი-წურ-ერ-ი) 'სისხლს იღებს'  
ბზ. ნაბოზ — ნათ. ნაბზან — \*ნა-ბოზ-ან — ლნტ. ნე-ბოზ-ან
- უ—უ: ბუნ 'საძირკველი' — იბტნი — \*ი-ხუნ-ი 'საძირკველს ყრის'  
სგურ 'ზის' — ლასგურა — \*ლა-სგურ-ა 'საჯდომი' და სხვა.

2. რედუქცია არ მოსდის ერთმარცვლიანებს გაორმარცვლიანების შემთხვევაში, გასამმარცვლიანებისა; კი რედუქცია ჩვეულებრივია და ხმოვნის ამოღების შემდეგ ორი მარცვალი მაინც დარჩება;

მაგ.: ნათ. მრ.

- ბზ. ვან 'ხარი' ვან-იშ ვან-არ, მაგრამ ავნი — ლნტ. ა-ვან-ი 'ხნავს'  
ნაკ 'ვაკე' ნაკ-ანუ ნაკ-არ, " ანკე — " ა-ნაკ-ე 'ავაკებს'  
შიხ 'ნახშირი' შიხ-იშ შიხ-არ, " აშხი, ლშხ. აშხი — \*ა-შიხ-ი  
'წვავს'  
ელ 'ძალი' ელ-იშ ელ-არ, " ელარ-ეშ — ლნტ. ელ-არ-ეშ  
'ძაღლებისა'

ქორ 'სახლი' ნათ, ქორ-აშ მრ. ქორ-არ||ქორ-ალ, ნათ. ქორ-ლ-ეშ—\*ქორ-  
 არ-ეშ (ლნტ. ქორჷ-ალ—ქორჷ-ალ-ეშ) 'სახლებისა'  
 (შლრ. ბზ.ლშხ. ლუნ 'ხბო', ლუნ-იშ, მრ. ლუნჷ-ა/არ)

და ასე:

ლშხ. ქუნ, ზს. ქჷინ 'სული' —ი-ქჷინ-ი 'ყნოსავს'

ბზ.ლნტ. ჷად 'ნატვრა' ნათ. ჷად-აშ —ი-ჷდ-ი —ლნტ. ი-ვანდი 'ნატრულობს'

ბზ.ლნტ. ქაფ 'ტვირთი' „ ქაფ-აშ —ა-ქფ-ი —ლნტ. ა-ქაფ-ი 'ტვირთავს'

და სხვა მრავალი

3. რედუქციას იწვევს როგორც პრეფიქსი, ისე სუფიქსი. ორივე ერთნა-  
 ირად მოქმედებს ცალ-ცალკე; ერთდროულად დართვისას კი ფუძეს კუმშავს  
 პრეფიქსი, უმოქმედოა სუფიქსი; მაგრამ თუ რაიმე მიზეზით თავსართი უძლუ-  
 რი აღმოჩნდება ფუძის შეკუმშვაში, მაშინ ძალას იჩენს ბოლოსართი; მაგ.:

რედუქციას იწვევს პრეფიქსი

რედუქციას იწვევს სუფიქსი:

ლნტ. ნა-ხატაჷ — ნა-ხტაჷ 'ნახატი'

ლნტ. მალატ-აშ — ლშხ. მალტ-აშ  
 'სიყვარულისა'

ლნტ. უ-კალაჷა — უ-კლაჷა 'უღეწავი'

ლნტ. გარგალ-ა — ლშხ. გარგლ-ა,

„ ნა-მეზრ-უნ — ზს. ნა-მზგრ-უნ 'სალოცავი'

ბზ. გარგლ-ა 'ლაპარაკი'

ლნტ. უ-მეგრ-ა — უ-მვერა 'გაუგებარი'

\*ნა-ფიშირი-ი — ზს.ლნტ. ნა-ფშირი-ი

ლნტ. ჯამაშ-ა — ჯამშ-ა 'ლონე'

'სიმრავლე'

„ ტებედ-ი — ტებდ-ი 'თბილი'

ა-რიგ-ებს — ზს.ლნტ. ა-რგაჷ-ი

„ ტებ-ენ-ი — ტებ-ნი 'ბრუნ-

ლშხ. ა-ფუჷაჷ-ი — ბზ. ა-ფჷაჷ-ი 'აფუჷებს'

ღება'

ეცრ. ა-წუხბჷაჷ-ი — „ ა-წუხაჷ-ი 'აწუხებს'

ბზ. ნასგოჯ 'ნაბრძანები'—ნათ.

ნასგჷჯ-აშ

ლნტ. წგარანი 'წითელი' — ლი-წარანი-ი 'გაწითლება' დოშდულ ოთვარე—ნათ.

დოშდულ-აშ (= ლნტ.

დოშტულ-აშ)

პრეფიქს-სუფიქსის დართვისას მოქმედებს პრეფიქსი:

ლნტ. ა-ხაზაჷ-ი — ზს. ა-ხააჷ-ი, ლშხ. ა-ხააჷ-ი 'ხაზავს'

„ გაცხად(ება): ზს. ა-გცხად-ი 'აცხადებს'

„ ხო-ტებ-ენ-ი — ხო-ტებ-ენ-ი 'უბრუნდება'

ლნტ. მე-მეხე — ზს.ლშხ. მეშხე 'შავი'—(\* ხო-მეშხე-ა —) ზს.ლშხ. ხო-მშხე-ა 'უშა-  
 ვისი'

ნიშან: ბზ. ლი-ნშანი-ი 'ნიშნა' და სხვა (იხ. ზევით).

ცხადია, ერთმარცვლიანთა შეკუმშვისას გასამმარცვლიანების შემთხვევაში  
 მოქმედებს პრეფიქსი და არა სუფიქსი; მაგ.:

ლნტ. ი-ნად-ი — ბზ. ი-ნდ-ი 'ნადს იწვევს'

„ მე-ტებ-ე — მე-ტბ-ე 'დაბრუნებული'

„ ლგ-ქემ-ე — ლგ-ქმ-ე 'შოთიბული'

„ ხო-სკიდ-ი — ხო-სგდ-ი 'უყურებს'



ლნტ. ი-თჭერ-ი — ი-თჭრ-ი 'სწავლობს'

ბზ. შურ-აჲ, ლნტ. შურა: ბზ.ქესე. მუ-მჭრ-ია 'მაწყინარი' და სხვა.

პრეფიქსი ვერ იწვევს რედუქციას (ან იმის გამო, რომ მომდევნო ხმოვანი გრძელია, ან სხვა მიზეზით) და მოქმედებს სუფიქსი; მაგ.:

გათავ(ება): ბზ.ლშხ. ა-გათუ-ე, ლნტ. ა-გათუ-ე — \*ა-გათაუ-ე, მაგრამ ბქვ. ა-გათუ-ი 'ათავებს'

დაშავ(ება): „ ლი-დაშუ-ე — \*ლი-დაშა-ე (რადგანაც I პ. ოთ-დაშა-ე? 'დავაშავე')

ბზ. ი-მარალ-უნ-ი — \*ი-მარალ-უნ-ი 'ემზადებოდეს იქნება'

ი-ზელალ-უნ-ი — ი-ზელალ-უნ-ი 'იელის' და სხვა.

4. ფუძეში ჩვეულებრივ ამოიღება ან გაუმარცხოვდება ერთი ხმოვანი; მაგ.:

ქათალ 'ქათამი' — ზს. ქათალ-აჲ, მაგრამ ბზ. ლა-ქათალ-ირ 'საქათმი'

ლნტ. ხალატ-ენ 'უყვარდა' — ზს. ხალატ-ენ, „ ბზ. ლა-ხალატ-ენ, ლშხ.

ლა-ხალატ-ენ — ლნტ. ლა-ხალატ-ენ-(და) 'შეუყვარდა'

ლნტ. ჯამაშ-ა 'ლონე' — ზს.ლშხ. ჯამშ-ა, მაგრამ ზს. ლგ-ჯამშ, ლშხ. ლგ-ჯამშ 'ლონიერი'

ლნტ. უ-ჯან-ა 'უხნავე' — „ უ-ჯან-ა, მაგრამ ზს.ლნტ. ნა-ჟ-ჯან-ი, ლშხ. ნა-ჟ-ჯან-ი 'უხენელობა'

ლნტ. კედ-ენ-ი 'მოღის' — „ კედ-ენ-ი, მაგრამ ზს.ლშხ. ხო-კედ-ენ-ი — ლნტ. ხო-კედ-ენ-ი 'მოღის'

ლნტ. კლთხი 'მაღალი', ბზ. კვლთხ-ი, მაგრამ ბზ. ხო-კლათხ-ა 'უფრო მაღალი, უმიღლესი'

ბზ. მუქხუ-ი, ლნტ. მკვანხუ-ი 'ტკბილი', მაგრამ ხო-მკვხუ-ა, ლნტ. ხო-მკვანხუ-ა 'უტკბესი' და სხვა.

ამგვარად, ერთდროულად ორი ხმოვნის ამოღება ჩვეულებრივ არ ხდება, გარდა გარკვეული პირობებისა (იხ. გვ. 85). თუ თავსართი მოქმედებს მომდევნო ხმოვანზე, მაშინ ბოლოსართი გავლენას ვერ ახდენს წინა ხმოვანზე; მაგრამ თუ თავსართი უმოქმედოა, მაშინ ბოლოსართი იწვევს კუმშვას: ხაზავ: ზს. ა-ხზანუ-ი 'ხაზავს', მაგრამ ად-ხაზუ-ე 'დახაზა'...

შეცდომა იქნება, თუ ფუძის შეუკუმშველობას ორი ხმოვნით სვანურში თანხმოვანთა უჩვეულო კომპლექსის აცილებით ავხსნით. რედუქცია იმდენად ძალუმიტა სვანურში, რომ უკანასკნელი თანხმოვანთა თავმოყრისა და არაბუნებრივი კომპლექსის მიღებას სრულებით არ ერიდება. საამისოდ მას მოეპოვება თანხმოვანთკასაყარი ჯ ხმოვანი. ჯ ჩნდება იქ, სადაც რედუქციის შედეგად შე-ჯგუფდება ერთად ძნელად გამოსათქმელი თანხმოვნები. შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჯ მონაცვლე იყოს რედუქცირებული ხმოვნისა; მაგრამ ის გარემოება, რომ ჯ ადგილს იკერს ა ე ი ამოღებული ხმოვნებისა და შეერწყმის გაუმარცხოვებული ო უ-ს ნაშთ ჟ თანხმოვანს და უ ხმოვნად აქცევის მას, გვაფიქ-

რებინებს, რომ გ მხოლოდ თანხმობენთგასაყარია ორიოდე მაგალითი: კალმახ 'თეფი'—ზს. ლი-კლმზზ-ი, ლშზ. ლი-კლმზზ-ი 'თეფზაობა'...

შელდ: ამშელდ 'ამდენი', ლნტ. ლი-შელდზან-ი — ლშზ. ლი-შელდზან-ი 'თელა', აქედან: ბზ. ხზ-შელდზან-ი 'ათელის'...

სინჯავ: ლნტ. ლი-სინჯაპ-ი — ბზ. ლი-სინჯაპ-ი 'დახედვა', აქედან: ჰ-სინჯაპ-ი...

და ასე: ბზ. აღ-გ-რმე 'დაიჭირა', ოზ-გ-ლზინე (— ლნტ. აზ-ო-ლზინე) 'შო-ულზინა', ბზ. ოზ-უ-მზაპე 'უამზო' — \*ოზ-ტუ-მზაპე — ლნტ. აზ-ო-ამზაპე და სხ. <sup>1</sup> ამგვარად, სვანურში ოთხი ძირითადი დებულება გვაქვს: 1. რედუცირდება ყველა არაგრძელი ხმოვანი, 2. რედუქციას არ ემორჩილება ერთმარცვლიანი გაორმარცვლიანებისას, 3. რედუქციას იწვევს პრეფიქსიც და სუფიქსიც და 4. რედუცირდება ერთი ხმოვანი.

#### 4. რედუქცია ქართულში

ქართულში არ არის დაკული ის კანონზომიერება, რომელსაც ადგილი აქვს სვანურში. არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სიტყვა ხან ექვემდებარება რედუქციას და ხან არა. და ეს შეინიშნება არა მარტო დღევანდელ ქართულში აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტთა შეპირისპირებისას, არამედ ძველ ქართულში და ისიც ერთსა და იმავე ძეგლში; კიდევ მეტი: ერთსა და იმავე გვერდზე. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ თანამედროვე ქართულის რედუქციანი ფორმები ურედუქციოა ძველ ქართულში და პირუკუ <sup>2</sup>. რამდენიმე მაგალითი ნათელყოფს ნათქვამს. ოპიზა-ტბეთის X საუკ. ოთხთავის ერთსა და იმავე გვერდზე: „რამსა თჳს იქმნა წარწყმედაჲ ნელსა ცხებელისა [ა] ამის“ და „... უსწრო ნელსა ცხებელითა ცხებაჲ“ (მკზ XIV<sub>4</sub>, 9); „განწმიდეთ... შინაგანი იგი სასუმელისაჲ“ და „რ განწმედთ გარეშესა სასუმლისასა“ (მთ XXIII<sub>23</sub>, 26) და სხვა: პირველი შეუკუმშავია, მეორე შეუკუმშული. ისე ურედუქციოა მთელი რიგი ფორმები ახალ ქართულთან შედარებით:

„სამსც არიან ძუალებითა მკუდართაჲთა“ (მთ XXIII<sub>27</sub>);

„და იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუმეველისაჲ ... საწამებელად ყლთა წარმართთა“ (იქვე, XXIV<sub>14</sub>); „განიყარეთ მტურნი... საწამებელად მათა“ (მკზ VI<sub>11</sub>)...

ასევე საწამებელად არის მკზ I<sub>44</sub>, XIII<sub>5</sub>; საცსენებელად (მთ XXVI<sub>13</sub>, მკზ XI<sub>9</sub>), მისატევებელად ცოდვათა (მთ XXVI<sub>26</sub>, 28, მკზ I<sub>1</sub>), თავი იოვანე ნათლისმცემელისაჲ (მკზ VI<sub>24</sub>), ნაცვალად (იქვე, VIII<sub>27</sub>) საყოფელად (V<sub>2</sub>) და სხვა. აღიშნის ოთხთავშიც უკანასკნელის გამოკლებით (საყოფელად-ის ნაცვლად მყოფ არის) ყველა შეუკუმშავია; ურედუქციოა აგრეთვე ნელსა ცხებელისა (მკზ XIV<sub>9</sub>) და შესამოსელად, ხოლო შეკუმშულია ორივეგზის სასუმელისაჲ, სასუმლისასა. ამავე დროს ხმოვანამოღებულია ორივე ძეგლში მიმლეობის ფორმები: „აქუნდა ალაბასტრი

<sup>1</sup> სვანური ენა. I. ზნა, § 39, გვ. 158.

<sup>2</sup> ამ თვალსაზრისით გადასინჯულია ძველი ქართულის მთავარი ძეგლები.

ნელსაცხებლისაჲ მრავლისა სასყიდლისაჲ“ (ტბ. მთ XXVI<sub>1</sub>) = „აქუნდა... ნელსაცხებელი დიდის[ა] სასყიდლისაჲ“ (ადიში); შესაკრებლის მთავარი (ტბ. მკვ V<sub>22</sub>, 28), შესაკრებლის მთავრისა, შესაკრებლის მთავრისასა (V<sub>22</sub>, 28) = შესაკრებლთ მთავარი, მთავრისა, მთავრისასა (ადიში); აღლებად სამოსლისა თვისისა (ტბ. = ადიში მკვ XIII<sub>16</sub>) და სხვა<sup>1</sup>. ეგების ეს თითქმის ერთგვარობა ამ ძეგლთა საერთო წყაროთი აიხსნებოდეს, მაგრამ როგორი ახსნა დაეძებნება ანალოგიურ შემთხვევებს მცხეთის ჯვრის წარწერაში, ხანმეტსა და ჰაემეტში, რომლებიც წარმოშობის არც ადგილითა და არც დროით არ ემთხვევიან ზემოხსენებულ ოთხთავეს. ასეთია, მგ., საქსენებელად სულისა, თაყყანისაცემელად დედათა (მცხეთის ჯვრის წარწ.); წარსაწყმედელად (ხანმეტი ოთხთაგი); თავი იოვანსის ნათლისმცემელისაჲ (ჰაემეტი ოთხთ.); შუენიერად (შუშანიკის მარტულ. 31)<sup>2</sup>, ნოუწყინებელად (გვ. 33), ნაცვალად (35) და სხვ.

ასეთ პირობებში ძნელია მყარი დებულების წამოყენება, ვიდრე დეტალურად არ იქნება შესწავლილი სხვა მხრივაც ეს ძეგლები. სხვადასხვა თუ ერთისა და იმავე ძეგლის რედუქციან და ურედუქციო ფორმათა შეპირისპირებით, როგორცაა, მაგ., გამოსცდიდეს (ტბ. მკვ X<sub>2</sub>) და გამოიცადებოდა (იქვე, I<sub>12</sub>), იწარდებოდა და ზრდის, საზრდელი და სხვა მრავილი, და ამავე ფუძეთა ეკვივალენტების მონახვით მოძმე ენებში, ალბათ, გაირკვევა, თუ რამდენად დიალექტურია ეს მოვლენა, რა როლი ენიჭება სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურას და რა წარმოშობისაა ფუძისეული ხმოვანი.

ამეამად ქართულში რედუქციის ასეთი წესებია ცნობილი:

1. იკუმშება ა ე ო ხმოვნების შემცველი ფუძე.

ა უთუოდ ამოიღება

ა) ზნის -აჲ და -ამ სუფიქსებში, თუ მათ ხმოვნით დაწყებული ბოლოსართი დაერთვის: ჰბაძე-ა, ჰბაძე-იდა; მოჰკლავ: მოკლე-ა, მოჰკლე-იდეს; დაჰფარავ: დაფარე-ა, ჰფარე-იდა... სუამ: სუმ-ა, სუმ-იდა, სა-სუმ-ელი; [ი-სუამ]: ა-სუმ-ეინა...<sup>3</sup>

ბ) ზნებში, რომელთა ნამყო წყვეტილს -ე სუფიქსი არ აწარმოებს: უთხარ: უთხრა-ა; მოკალ: მოკლ-ა, ჰკლ-აეს; დაჰკარ: დაჰკრა-ა, ჰკრა-აეს; შეიპყარ: შეიპყრა-ა, უპყრა-ა, საპყრობილე; დაფთალ: დაჰფლ-ა, დაფლ-ა, საფლ-აეი; სცან: ცნ-ა, სცნ-ობს; ილქარ: აღძრა-ა, სძრა-აეს; დაჰჯაშ: დაჰჯშ-ა, დაეჯშ-ა|| დაეჯს-ა და სხვა.

გ) I სერიის ზნებში, რომელთა ფუძე II სერიაში შეუკუმშავია: აღზარდა, მაგრამ ზრდის; გათალა—თლ-ის; თხარა—თხრა-ა; საჯა—ს/შჯ-ის; განცადა, გამოცადა—გამოცდ-ის; დაცალა—ცლ-ის, გამოჯადა—გამოჯდ-ის...

<sup>1</sup> ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთაგი, გვ. 112: „ხმოვანი არ არის ამოღებული რედუქციის გზით: სასუმელისა, მახლობელად, მაგრამ ამოღებულია: საყოფლისა, კულად, შენდობლად...“

<sup>2</sup> ილია აბულაძის გამოკვლით.

<sup>3</sup> მაგალითები ამოკრებილია ძველი ქართულის ტექსტებიდან.

დ) რიგ ფუძეებში, რომელთაც ბოლოში მოუდით -აღ, -აზ, -ამ, -ავ, -ან ელემენტები: წყალ-ი: წყალ-ისა, ტაძარ-ი: ტაძარ-ისა, ქათამ-ი: ქათამ-ისა, კარავ-ი: კარავ-ისა, კეთროვან-ი: კეთროვან-ება და სხვა მრავალი: ეკლ-ისა, უფლ-ისა, მართლ-ისა, ცხედრ-ისა, ძმარ-ითა, საჭსრ-ად, ლერწმ-ითა, ჯეროვნ-ად, კიდობ-ნად... და სხვებიც: ნაბდ-ისა, კაკისა...

შენიშნულია, რომ ცალკე აღებული ზოგი ფუძე ურედუქციოა, მაგრამ კომპოზიტში შემავალი იკუმშება: კარ-ი: კარ-ისა, კარ-ები, მაგრამ ცისკრ-ისა, კიშკრ-ისა<sup>1</sup>; ასე ჩანს ძველ ქართულშიც: კ რ ე ტ ს ა ბ მ ე ლ ი (ტბ. მთ XXVII<sub>151</sub>) = კ რ ე თ ს ა ბ მ ე ლ ი (მკვ XV<sub>158</sub>).

ასევე ქალ-ი—ქალ-ისა, მაგრამ პ ა ტ ა რ ქ ლ ი შ ვ ი ლ ი (გვარია)

ე) ქართველურ ენათა შედარებით ირკვევა, რომ ქართულში წარმოდგენილი მთელი რიგი ფუძეები, რომელთაც აქვთ ბოლოკიდური -ა, -ე, -ო, -უ, ნარედუქციოა და ამის გამოა თავში შეჯგუფებული თანხმობენები: ძმა — \*ძამ-ან = ქან. მრ. ჯუმალ-(ეფე)<sup>2</sup>, ტბა — \*ტაბ-ან: ტ ა ბ ა ხ მ ე ლ ა = მეგრ.-ქან. ტობა (იქვე, გვ. 14), თხა — \*დაჯ-ან = მეგრ. თხ-ალ-(ეფი) = სვან. დაჯ-გლ (გვ. 16), დღე — \*დალ-ენ = მეგ.-ქ. დლ-ალ-(ეფი) = სვან. ლა-დელ (გვ. 17), კბო — \*კაბ-ორ (მრ. ხბორ-ები) = სვან. ხაბნ-ა, ლაბნა — \*ლაბ-ენ-ა და ასე: ცხრა — \*ცხარ-ა<sup>3</sup>, ხმა — \*ხამ-ა, თმა — \*თამ-ა და სხვა.

ვ) უთუოდ ამოიღება:

ა) III ტიპის ვნებითებში—ზმნებში, რომელთაც აწმყოში -ე ბ - ი აქვთ: აღდგე—ღგ-ების, აღღგ-ომა, აღღგ-ა...

დიჯდე—ჯდ-ება, ჯდ-ომა, .მჯდ-არი...

დასხედ-ით—დასხდ-ებით, სხდ-ომა, სასხდ-ომელები (ტბ. მკვ XI<sub>158</sub>) და სხვა.

ე) ამოღებულად ივარაუდება ამ ტიპის ყველა ზმნაში, როგორცაა: გახმ-ა, დადნ-ა, გატკბ-ა, დიშრ-ა და სხვა. ზოგი მათგანის აღრინდელი სახე დადასტურებულია ძველ ქართულში<sup>4</sup>.

ბ) ზმნებში, რომელთაც ნამყო წყვეტილში საწარმოებელი -ე ბოლოსართი არა აქვთ: დაედევ: დადვ-ა, დაიდვ-ა; აღმოფხუერ: აღმოფხურ-ა; ჰშევ: შვ-ა; შვ-ილი; დასქერ: დაქრ-ა, დაქრ-ილი; ახალი ქართ.: ავსენენ-ი—ახსნ-ა, ახსნ-ილი; ეახვლ: ეახლ-ა; გაეძელ: გასძლ-ო, გაძლ-ება და სხვა<sup>5</sup>.

გ) -ნ და -ლ ბოლოსართებში, როცა ისინი ენებით ზმნებს აწარმოებენ: დაჰგლახაკენ: დაგლ<sup>ა</sup>ხაკენ-ების, ღღმენ: ღღმნ-ა... ასევე -ელ უნდა ყოფილიყო ნასახელარ ზმნებში: \*განჰმრაველედ, \*ალჰმალღედ..., რაც ძველ ქართულში არ ჩანს, მაგრამ -ე ღ-ის არსებობას ამტკიცებენ, ერთი მხრივ, -ენ ფორმანტის გა-

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 25—26; 52—53.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი 1942, გვ. 6, 8.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, კან.-მეგრ.-ქართ. შედარებითი ლექსიკონი, ტფ. 1938, გვ. 218 და სხვ.

<sup>4</sup> ჩუენი მესამე ტიპის ენებითის წარმოება ქართულში: მეცნ. აკად. მოაზრებ, ტ. III, № 9, გვ. 966—968.

<sup>5</sup> შლრ. თ. ქორდანი, გვ. 55.

მოყენება და, მეორე მხრივ, ენებითები, სადაც -ედ ახლაც ვლინდება: დასხე-დ-ით, დაჯ-ედ, ძველი ქართულით: მოჰყუ-ედ, გარდამოჯ-ედ და სხვა<sup>1</sup>.

დ) პირდაპირი ობიექტის მრავლობითის გამომხატველ -ენ სუფიქსში: მიეც სიტყუაჲ—მისცენ სიტყუანი: მისცნ-ა სიტყუანი; ჯუარს აცუ იგი—ჯუარს აცუენ ჯორცნი: ჯუარს აცუნ-ა ჯორცნი; შეიპყართ მელი—შეიპყრენით მელნი: შეიპყრენ-ეს მელნი და სხვა<sup>2</sup> (ენებითისა და მრავლობითობის -ედ, -ენ ბოლოსართთა დადგენა არნ. ჩიქობავას ეკუთვნის).

ე) რიგ ფუძეებში, რომელთაც აქვთ ბოლოკიდური -ელ, -ერ, -ემ, -ენ: სოფელ-ი: სოფლ-ისა, კურკერ-ი: კურკერ-ად, მწყემსი: სამწყს-ოჲ, (სენ-ი): სნ-ეული და სხვა: სანთლ-ისა, სამოსლ-ად, ფსკერი: ფუსკრ-ული, ირმ-ისა, ყურძნ-ით... და აგრეთვე ფერჯი: სიფრჯ-ე, ბეჭედ-ი: ბეჭედ-ავს და ა.შ. ეს ამოღების შემდეგ ფუძისეული ჟ იკარგვის, თუ მეზობლად წყვილბაგისმიერი ბგერაა: წუთი, მაგრამ წთოდა 'წვეთდა', დაწთობა 'დაწვეთება'... (საბა).

აქაც აღნიშნულია კომპოზიტში შემავალი ფუძის შეკუმშვა მაშინ, როცა ცალკე ხმარებული რედუქციას გაურბის: ბერ-ი, ბერ-ემი, მაგრამ დედაბრ-ისა ('საბრალო დედაბრისასა თავენი ყანისა მკიანო')<sup>3</sup>.

თ-ს რედუქციისას კვალი რჩება გ-ს სახით: ნიგოზ-ი: ნიგოზ-ისა, მაწონ-ი: მაწვნ-ისა... მეზობელი ბაგისმიერი ბგერის გავლენით ეს გ-ც შეიძლება დაიკარგოს: ძველი ქართულით: მრჩობლ-ი, მაგრამ, მარჩბიე, მარჩბიოსანი... ცხადია, მარჩბიე—\*მარჩბიე—\*მარჩბ-იე, ხოლო მარჩბიოსანი—\*მარჩბიოსანი—\*მარჩბიოსანი<sup>4</sup>; ზომა, საზომ-ი, მაგრამ შეე-ზმანა, წა-ზმანა (საბა)... ჩანს, ზომ—\*ზტმ—\*ზმ; ობოლი: ობლად (კიშენი, 34<sub>19</sub>)... შემდგომი ქართულით: საპონ-ი: \*საპვნ-ისა—საპნ-ისა, გოდორ-ი: \*გოდვრ-ისა—გოდრ-ისა, ხობობ-ი: \*ხობვბ-ისა—ხობბ-ისა, ჩახობბ-ილი, კოტორ-ი: კოტრ-ვა (ე. ბერიძე)<sup>5</sup> და ასე -ოლ, -ორ და -ონ ელემენტის სახელები იკუმშებიან ჩვეულებრივ: მინდვრ-ისა, დიაკვნ-ები, ქორჩ-ისა და სხვა<sup>6</sup>.

• და უ ხმოვნების რედუქცია ნათლად არა ჩანს.

2. იკუმშება ერთმარცვლიანი ფუძეც გაორმაცვლიანების შემთხვევაში: ჰზამ-ს: ზმ-ენ (რასა ჰზამთ: ტბ. მკზ XI<sub>3</sub>—რასა ზმ-ენ: იქვე, II<sub>34</sub>), ჰყავ: ყვ-ეს, მხალ-ი: მხლ-ისა, კულ-ი: კულ-ად, ძალ-ი: ძლ-ით, სხედ-ით: სხდ-ეს, ჰშევე: შე-ა და სხვა. შეფერხებას აქ აღვიღო არა აქვს. გასამმარცვლიანებისას კუმშვადი ერთმარცვლიანი ფუძე რედუქციას განიცდის გაორმარცვლიანების

<sup>1</sup> ჩვენი ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. II: ენიქის მოამბე, V—VI, გვ. 533—536.

<sup>2</sup> დაწერილებით არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში: ტფ. უნივ. მოამბე, IX, გვ. 107—118.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული გრამ. საფუძვლები, გვ. 25—26, 52—53; N. Marr et M. Brière, La langue géorgienne, 1931, გვ. 33—35.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის აგებულება, გვ. 56; ნ. მარო, Грам. пр. груз. яз., СПб. 1925, § 96, გვ. 78.

<sup>5</sup> სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა: კოტორი 'ზის მრგვალი ნაშორი': კოტრ-ვა, მო-კოტრ-ვა 'შოჭრა'.

<sup>6</sup> ა. შანიძე, გვ. 53.

პირობებშიც: ჯედ: და-ჯღ-ა, მაგრამ ჯღ-ა; ქერ: და-ქრ-ა, მაგრამ ქრ-ა; ცან: ი-ცნ-ა, მაგრამ ცნ-ა და ა. შ.

3. რედუქციას იწვევს სუფიქსი, უძლური ჩანს პრეფიქსი; მაგ.: კარ: ჰკრ-აეს, ჰკრ-ა, კრ-ული, მაგრამ ი-კარ, შე-უ-კარ; ჰყარ: ჰყრ-ობა, მაგრამ სა-ჰყარ-ი, შე-ი-ჰყარ; დეგ: დგ-ას, მაგრამ წარმო-სა-დეგ-ი; ხსენ: ხსნ-ა, და-ხსნ-ილი, მაგრამ ი-ხსენ და სხვა.

4. ერთდროულად რედუქცირდება ორი ხმოვანი. მაგ.: \*ქამ-ენ-ა — ქმნ-ა: ამოღებულია ა ძირისეული და ე სუფიქსისეული. ქამ შემონახულია მთიულურში, ხევსურულში (იქამს) და უდრის სევანურში ჩომ (იჩომდა 'შერებოდა') და მეგ.-ქანურში ქომ/ქუმ — მეგრ. ქიმ-(ინ-უა) ძირს, -ნ სუფიქსი (—ენ) საწარმოებელი ელემენტია<sup>1</sup>. ასეა წარმომდგარი ზმნა-ც (—\*ზამ-ენ-ა—იხ. ზევით). საქნველ-ში (არავენ დასდგის გელი საქნველსა: აღიში, ლქ IX, 88) დაკარგულია ორი ა: \*სა-ჯან-ზე-ელი; ასევე საქლველი (ხანმეტი) — \*სა-კალ-ა-ე-ელი და სხვა.

სისტემატურად იკუმშება ორი ხმოვნით -ედ ბოლოსართით ნაწარმოები ვნებითები და მრავლობითობის -ენ სუფიქსჩართული ზმნები:

-ედ სუფიქსიანები:

ოჯერ: მო-ოჯრ-და — \*მო-ოჯერ-ედ-ა (მოოჯრდის: აღიში, ლქ XI<sub>17</sub>),

კელ: დაა-კლ-და — \*დაა-კელ-ედ-ა,

მჭედარ: აღ-მჭედრ-და — \*აღ-მჭედარ-ედ-ა,

ბარკალ: და-ბრკ-ოლ-და (დაბრკოლდიან: ტბ. მკვ IV<sub>17</sub>) — \*და-ბარკ-ოლ-ედ-ა და ასე ცნობილი მაგალითები: გან-ტყ-და, გან-სთქ-და (—\*გან-ხეთქ-ედ-ა), და-ჰ-ქსნ-და (—\*და-ჰ-ქსნ-ენ-ედ-ა), და-ზამთრ-და, გან-მდიდრ-და, აღ-მალლ-და და სხვა<sup>2</sup>.

მრ. -ენ სუფიქსიანი ზმნები:

შევ: შე-ა იგი, მაგრამ შეენ-ა (—\*შეე-ენ-ა) იგინი; შეამკევ: შეამკო — \*შეამკე-ა იგი, მაგრამ შეამკენ-ა (—\*შეამკეე-ენ-ა) იგინი.

ყავ: ყო — \*ყავ-ა იგი, მაგრამ ყენ-ა (—\*ყაე-ენ-ა) იგინი; მოსარ: მოსრ-ა იგი, მაგრამ მოსრნ-ა (—\*მოსარ-ენ-ა) იგინი და ასე: შეიპყარ: შეიპყრნ-ა, მოკალ: მოკლნ-ა, განჰქსენ: განჰქსნნ-ა და ა. შ.<sup>3</sup>

ამგვარად, ქართულშიც ოთხი ძირითადი დებულება მივიღეთ რედუქციის შესახებ. მაგრამ ქართული და სევანური ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდებიან. ეს სხვაობა შემდეგია:

1. სევანურში ყველა ხმოვანი რედუქცირდება, ქართულში კი სამი: ა ე ო; მაშასადამე, გეკლია ი უ-ს რედუქცია.

2. სევანურში ორ და მეტმარცვლიანი იკუმშება, ქართულში კი ერთმარცვლიანიც; მაშასადამე, ქართული უფრო „მოქნილი“ ჩანს რედუქციისათვის.

<sup>1</sup> ჩვენი ქართულურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III: თბ. უნივ. შრომები, ტ. XV, გვ. 43—44.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში: ტფ. უნივ. მოამბე, ტ. I, გვ. 89, 95.

<sup>3</sup> არჩ ჩიქოხავა, რით არის წარმოდგენილი... მორფოლოგიური ობიექტი, გვ. 112—114.

3. სვანურში ორივე აფიქსი—პრეფიქსი და სუფიქსი—მოქმედებს, ქართულში კი—მხოლოდ სუფიქსი; ჩანს, ქართული პრეფიქსით სუსტია სვანურთან შედარებით

4. სვანურში ერთი ხმოვანი ამოიღება, ქართულში—ორიც; გამოდის, რედუქცია მეტ ძალას იჩენს ქართულში, ვიდრე სვანურში.

### 5. რედუქციის ერთგვარობისათვის ქართულსა და სვანურში

მთავარი კითხვაა: ეს სხვაობა თავიდანვე მომდინარეობს, თუ იგი კეთილშენიძენია? თუ თავიდანვე იყო, რამ წარმოშვა ის?

ჩვენ თუ გამოვალთ იმ დებულებიდან, რომ სვანური და ქართული—ორივე განაყარი ენაა, რომ მათ საერთო ფონეტიკური მოვლენები ახასიათებდა დაშორებამდის და დაშორების შემდეგ შეიძლებოდა ეს საერთო ბგერითი მოვლენები ორივეგან ან ერთნაირად განვითარებულყო, ან ერთნაირად შენელებულიყო, ან, პირიქით, ერთ ენაში ზანვითარებულყო და მეორეში შეფერხებულყო, და რომ რედუქცია საერთო უნდა ყოფილიყო ქართველურ ენათათვის, კერძოდ, სვანურისა და ქართულისათვის, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ

ქართულშიც რედუქცირდებოდა *ე* და *ჟ* ხმოვნები და მოქმედებდა პრეფიქსი და სვანურშიც იკუთმებოდა ერთმარცვლიანი ფუძე და ერთსა და იმავე დროს ამოიღებოდა ორი ხმოვანი. ერთი სიტყვით, სვანურსა და ქართულს შორის არ იყო ამ მხრივ სხვაობა.

რამდენიმე მაგალითიც საკმარისია იმისათვის, რომ ეს დებულება მყარად მივიჩნიოთ. მართლაც,

ქართულში რედუქცირდებოდა *ე*. ამის ორი მაგალითი ცნობილია: ერთია უმცროსი და მეორეა აბჯენს.

მცირე ფუძისაგან მიღებულია მო-მცრ-ო და უფროობითი ხარისხი უ-მცრ-ოსი; ამისგანვე აქვს ნაწარმოები პეტრიწს ზმნა და გამცრვია<sup>1</sup>. ბიჯ-ისაგან წარმოქმნილია ზმნა ა-ბჯ-ენს, ნ. მართ ბრჯ-ენა<sup>2</sup>.

ალორძინება-ს ამოსავალი ფუძეა ორძინელი (საბა, ჩუბ.)—ორძინ-ი. ესა და მისი მიმღობა ალორძინებული (აღიში, მკვ IV<sub>ა</sub>) შეიცავს -ის, ხოლო ვნებითებში იგი არა ჩანს: ალორძინებოდა (ტბ. მკვ IV<sub>ა</sub>), ალორძინდის (ტბ. მკვ IV<sub>ა</sub>)=ალორძინდებინ (აღიში) და სხვა<sup>3</sup>.

ბატკან-ი, ივ. ჯაფახიშვილის ეტიმოლოგიით, არის ბათიკან-ი. ის ამოღების შემდეგ თქ კომპლექსი იქცა ტკ-დ<sup>4</sup>.

<sup>1</sup> „...რამდენად დაპრო და ჰმატო, და გიმცრვია და დაგვიჩინებია დართითა კეთილობაჲ“ 9<sub>11</sub>; იონანე პეტრიწის შრომები, ტ. I, გამოსცა სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1946; ვეჯ-ს (ტ. I, 113)—და მცრობა.

<sup>2</sup> Грам. ар. рр. №., § 6 ხ, გვ. 4.

<sup>3</sup> არ ვიმოწმებ აღმო-ჯეჯლ-და (სახისმეტყ.) ზმნას, რადგანაც იგი მიღებული ჩანს ჯეჯლ სიტყვისაგან.

<sup>4</sup> ქართული და კავკასიური ენების... ბუნება, ტ. II, გვ. 192; არნ. ჩიქობავა, ს. ხელის ფუძის აგებულება, გვ. 15.

მარგელა (— მარგლ-ვა), ს. ჯანაშიას აზრით, ნაწარმოებია მარგოლისაგან ის რედუქციით. ტერმინი მეტად საინტერესოა, როგორც „პირველყოფილ-თემური ტერმინის ნაკვალევი ქართულ ენაში შენახული“<sup>1</sup>.

ტიტბ-ი 'ბროწეულის ქერქი' გამოყენებულია ზმნის საწარმოებლად დავტიტბავ, რომლის მასდარია ქიზიყურში დატიტბ-ვ-ა, ხოლო ინგილოურში დატიტბ-ვ-ა (ზმნა დაპტიტბავ)<sup>2</sup>. უკანასკნელში ის არა გვაქვს.

სენ. შდიხ=თხილ-სა და მეგრ.-ქან. თხირ-ს. სენურის მიხედვით ალბათ ის ამოღებულია თხილ/თხირ-ში<sup>3</sup>.

ასევე შეიძლება ის რედუქციებულად მიგვეჩნია კბილ სიტყვაში, რომლის თითქოს ადრინდელი სახე კბილი აქარულშია დაკულიო<sup>4</sup> და რომლის შესატყვისია მეგრ.-ქან. კბირი, რომ ანალოგიური შემთხვევები არ გვაფიქრებდეს, სახელდობრ, ის არსებობა აქარულ ფორმებში, როგორცაა: კლდე, წიგინი, ტკბილი<sup>5</sup>, ხეხურულში ჩირდილი, ჩინდა ('ჩნდა'), ფორჩხილი (=მეგრ.-ქან. ბირცხა, ბუცხა)<sup>6</sup>, კილდე, გორწყილი<sup>7</sup>, ინგილოურში შიტო და მისთანები, სადაც ის ფონეტიკური წარმოშობისა ჩანს.

თუმცა ქართველურ ენათა შედარებით ხერხდება ნარედუქციული — ის აღდგენა ქართულში, როგორც მაგ., სენ. ჩუა-ყემ-ე 'დაახჩო' და ძვ. ქართ. სი-ყმ-ილი, შდიხ და თხ-ილი, მეგრ. ქინდორი 'ქელი, კისერი' და ჩაქინდრვა და სხვა, რომელთაგან ზოგი სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია და ზოგიც მომავალში ელის დადგენას, ჩვენ აქ მოტანილი მასალით დავკმაყოფილებით და დავასკენით: ქართულს ის რედუქცია ახასიათებდა, მაგრამ მაგალითების ნაკლებობა აიხსნება ის მოგვიანნი ძირების სიცოცხლითაც.

#### უ-ს რედუქცია.

უ-ს გაუმარცვლოების შემთხვევები მეტია ქართულში. რედუქციებული უ ისევე იწერებოდა ძველ ტექსტებში, როგორც ხმოვანი უ; მისი უმარცვლობა გასაგები გახდა წარმოთქმითა და წარმოთქმის შესატყვისი შემდგომდროინდელი მართლწერით: შტუსა = შესვა, თქუა = თქვა, ჯურელი = ხერელი, სიკუდილი = სიკვდილი და სხვა.

ძველი ქართულის მასალების ანალიზითა და ქართველურ ენათა მონაცემების შეპირისპირებით გაირკვა, რომ უმარცვლო უ (უ) წარმოიშვა სამი გზით მინც (ანგარიშგასაწვევია მეოთხე გზაც).

ერთი გზაა შენაცვლება უ უმარცვლო ბერისა შ-სთან. ამის ორი მაგალითია ცნობილი: ქურივი და ღუთივი (ღუთაეა...), „მოვიდა ქურივი ერთი“ (ტბ. მკვ. XII<sub>2</sub>). იგი წარმოებულია — ივ სუფიქსით ქმარ-ისაგან:

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ. 1943, გვ. 6.

<sup>2</sup> შ. ჯანაშვილი, საინგილო: ძვ. საქართველო, II, გვ. 140 (იხ. ი. ბუნიას სიტყვისკნა, ა. შანიძის რეცენზია: Зап. Вост. Ст. Р. Аpx. იხმ., т. XXII: დატიტბავ), სტ. მეწითე შავილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ. 1943.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, ქან.-მეგრ.-ქართ. შედარ. ლექსიკონი, გვ. 124.

<sup>4</sup> ჯ. ნოღაიძე, აკარა დიალექტოლოგიურად, ბათუმი 1936, გვ. 13.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> გან.-მეგრ.-ქართ. შედარ. ლექსიკონი, გვ. 61—62.

<sup>7</sup> ბ. გაბუნიას კვესურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით: წელიწდეული I—II, 1923—4.



\*ქმრივი — ქურივი-ი; ასეა \*ლმრთივ — ლრთივ (ა. შანიძე<sup>1</sup>). ეგების სხვაც მოინახოს ამათი მსგავსი.

მეორე გზაა ვ თანხმოვნის გადაკცვა უ-ღ უკანანისმიერ ხ, მ, ყ: ჰგერათა მეზობლად.

ა) სუბიექტური პრეფიქსი I პირისა ვ ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში III პირის ობიექტურ თავსართებ ხ, მ-სთან მეზობლობაში გადაისმის და იკცევა უმარცვლო უ-ღ: ხუ არწმუნოთ (—\*ვ-ბ-არწმუნოთ), აღხუ აგზნე (—\*აღ-ვ-ბ-აგზნე), ხტყოდი (—\*ვ-ბ-იტყოდი), აღჰუმართე (—\*აღ-ვ-ჰ-მართე) და ასე: ხუესავთ, შეხუაბთ, მიხუეც, ჰყყავ და სხვა<sup>2</sup>.

ბ) ვალ, ვედ ზმნის ვ ძირისეული თანხმოვანი II პირის სუბიექტურ პრეფიქს ხ-სთან მეზობლობაში გადადის უ-ღ: წარ-ვალს, მაგრამ თანა წარ-ხუალთ (ხანმეტი ტექსტიდან), შევიდოდით, მაგრამ შეხვდოდით ბქეთა (იქვე) და სხ.<sup>3</sup>

გ) ძირისეული ვ ბგერა მეტათეზისის შედეგად უკანანისმიერ თანხმოვან-თან მოგვევლინა უ-ღ: ბოლნისისა და მცხეთის ჯვრის წარწერის თავყუანის მცემელი და თავყუანისაცემელად — მოგვიანოდ თავყუანის მცემელი, თავყუანისაცემელად: თავყუანის სცა (ად. მკვ V<sub>6</sub>), თავყუანის სცემედ (იქვე, XV<sub>19</sub>)<sup>4</sup>. გვგვდება სინკრეტული ფორმა: თავყუანისცა, თავყუანისცემედ (ტბ. იქვე), ხანმეტშიც კი: თავყუანის სცა (ივ. ჯავახიშვილის გამოცემით, გვ. 372)<sup>5</sup>.

ამათ წაბადვით კაცი იფიქრებდა, რომ I პირის ობიექტურ პრეფიქს გუსა და ძირებში, როგორცაა: გუელი, გუერდი, უყუარს, კუალი, სხუა, მახვ-ლი, ჰუეშე; ზღუა და სხვა მრავალი, უმარცვლო უ უკანანისმიერ თანხმოვან-თა გავლენით არის გაჩენილი, რომ ორი დაბრკოლება არ იყოს: 1. რიგ ფუძეებში ვ შემონახულია ხელუხლებლად სწორედ გუტურალებთან, მაგ.: ჰგელის საქმშ (ხანმეტი ლექც.), ჰვავ (ხანმეტი), საზღვარი და სხვა და 2. აუხსნელი დარჩებოდა უ-ს გამაყენება წინანისმიერებთან: თუილი, მეზუერე, წუელი, ძუელი, ჯუარი, ტვრთი, შიშუელ და ა. შ. ჩანს, აქ სხვადასა მიზნი.

მესამე გზაა უ-ს რედუქცია.

1. ხმა მიღებულია ძე. კართ. ხუმა-სავან, უკანასკნელი კი \*სუ-ამ-ა-სავან (სუამს: ტბ. მთ IX<sub>11</sub>). ძირია ხუ: მიიღეთ და სუთ (ტბ. მთ XXVI<sub>27</sub>),

<sup>1</sup> წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, გვ. 6.

<sup>2</sup> მაგალითები ამოღებულია ა. შანიძის ძე. კართ. კრესტომათიიდან, წესი კი „ხანმეტ ლექციონარში“ მოცემული, ჩვ. 112.

<sup>3</sup> მაგრამ ხვალ სიტყვა არ შეცვლილა: „ხვალისა დღშ დგა“ (ჰაემეტი).

<sup>4</sup> ინგილოლოში უი კომპლექსი იძლევა რ-ს, უი კი — უ-ს: კურცხი, თქენ — კურცხ, ლქრ... ტუინი, მწუთიდობით — ტუნ, შუდობით... მაგრამ თუ ურქეში ე ი ხმოვანთა წინან შემდეგ უ (resp. ვ) არის, ჯერ ხდება მეტათეზისი და შემდეგ შენაცვლება: ლელუი — ლელ — ლრლ. კურცხ-ი — \*კრუხელ — კრრლ, ასევე: ზურკ 'ძ.ოკვი', სუკუდილ და სხვა (მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძე. საქართველო, II, ტექსტები).

<sup>5</sup> ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, გვ. 111. საგულისხმოა, რომ ხანმეტნი (ი. ჯავახიშვილის გამოც.) ამოკითხულია: ხიუენეს (გვ. 371), მიიუუანის (გვ. 378 ორჯერ), მიიუუანის (380), აღმოიუუანეს (გვ. 382). მაშინ როდესაც იგი ამავე ძეგლში და სხვაგანაც ვ-თი იხმარება: მიიუუანის (გვ. 380), მოხიუყა (384); (ხიუენეს (388), აღმოიუუანეს. აქ ისეთივე მდგომარეობა უნდა იყოს, როგორც უშლთა (იქვე, 377) და ხხედაჲ (გვ. 376) სიტყვებში გვაქვს.

არა შევსუ იგი (იქვეა), მასუთ მე (XXV<sub>33</sub>), გასუთ შენ (იქვეა)... აქ შეუძლებელია უ გამოთქმულიყო ჟ-დ; არც ის შეიძლება დავეუზიავთ, რომ მახვილის გავლენით ჟ — ჟ-დ (შდრ. თანამედროვე დიალექტ. რუა, ბეტური...), რადგანაც ნამყო წყვეტილში ზნები, რომელთაც -ე არ აწარმოებს, ყველა ქუ-მ შვეადია (ყან: ცნ-ა და სხვ. გვ. 71, 72ბ) და კავშირებით II-ში მათ -ა ბოლოსართი მოუღით (ყნას და სხვ.). ამით რიგშია სუ ზნაც: სუ-ა — სჟ-ა, სჟ-ა-ს. გარდა ამისა, მეგრულშია შუმა 'სმა', მაშუმილი 'შსმელი' და ა. შ.<sup>1</sup> მაწასადამე, „ძალ გიცა შესუმაღ სასუმელი“ (ტბ. მთ XX<sub>33</sub>) ნარედუქციალია: ა ამოღებულია და უ გაუმარცვლოებული.

ამავე ხუ ძირისგანაა მიღებული ხუ-ელი, რასაც ამტკიცებს ჭან. ა-შუ-ეუ 'დაუსეღდა'. აქაც (სუ-ელ-ში) ხუ ხმოვანდაკარგულია<sup>2</sup>.

2. თქმა — თჟუმა — \*თქუ-ამ-ა (აღუთ ქუამს) ანალოგიური სუმა-სი. ძირია თ-ქუ<sup>3</sup>. თქუ რა დასხდენ (ტბ. მთ XX<sub>31</sub>), ესრთ თქუთ (იქვე, XXVIII<sub>13</sub>), ადგიოთქუ შენ (XX<sub>31</sub>)... ამგვარიეა არქუ: გარქუ თქუენ (XXIV<sub>33</sub>), არქუთ (XXI<sub>3</sub>, XXII<sub>4</sub>) და სხვა. აქედან თქუ-ა და ჰრქუ-ა ნარედუქციალია, რადგანაც ნამყო წყვეტილში -ე ბოლოსართი არ ჩნდება და კავშირებით II-ს -ა აწარმოებს (თქუ-ა-ს, ჰრქუ-ა-ს). ჩანს, თქუ-მ-ა-სა და თქუმ-ულ-ში უ გაუმარცვლოებულია.

3. ცუა — ცუმა — \*ცუ-ამ-ა. ძირია ცუ: ჯუარს აცუ ეგე (ტბ. მჭ XV<sub>33</sub>). მისი შესატყვისია მეგრ. ქუ-ნა 'ცმა'. აქედან ჯუარს აცუ-ეს (XV<sub>34</sub>), ჯუარს აცუ-ან (XV<sub>35</sub>), ჯუარს ცუმულნი (XV<sub>33</sub>) შეკუმშულია.

4. უ გაუმარცვლოებულია აგრეთვე მოართუა, დაამეტუა, დაასუა, დაწუა ზნებში, რადგანაც I და II პირში უ ხმოვანი ჩანს: „მოართუ იგი ყოველივე... და მიერთუ პიტიაზსა“ (შუშანიკის მარტულ. 25<sub>33</sub>...<sub>38</sub>), „შენ ჩემი ხატი დაამეტუ... მემცა დავამეტუ“ (იქვე, 13<sub>17</sub>...<sub>21</sub>)... მოსალოდნელია გვექონდეს და-სუ, და-წუ ფორმებიც. გვიანდელ ქართულსა და მეგრულ-ჭანურში თუ უ — ჟ I—II პირში, ეგ ძნელი ასახსნელი არ არის: III პირის შეკუმშული ფუძე გადასულია I და II პირში, როგორც ეს სხვა შემთხვევაშიც გვაქვს (მოგკუდ, მოკჟუდ, მოკცდა ახლა: მოგკედ-ი, მოკცდი); მეგრ.-ჭანურში კი ამ შემთხვევაში ქართულის გავლენა ივარაუდება, თუმცა რედუქციის ძალა მთლად გამოსარეცხი იქაც არ უნდა იყოს (გვ. 86).

5. კურელი („უადგილს არს მანქანისა“) საბელი ქურელსა ნემსისა[სა] განსლვად: ტბ. მჭ X<sub>31</sub> შედგება კურ ძირისა და -ელ სუფიქსისაგან: ეს ჩანს, ერთი მხრით, კურ-ეტა, მეგრ. ხვირ-იტუა 'ხვრეტა', ხვირ-იტე 'ხვრეტილი' და, მეორე მხრით, სვან. კურ-უ (აქედან: ლი-კურა 'სარკმელი') სიტყვათაგან. აშკარაა უ — ჟ.

6. წუელი 'პურელის ღერო' („... ქყნად ნაყოფსა გამოიღებნ: პირველად წუელი, მერმე თავი და მაშინლა საეცს იფქლი თავსა მას შინა“: ტბ. მჭ

<sup>1</sup> ნამუში რომ გეში 'სვი' გვაქვს, ეს შეიძლება აიხსნას ან ქართულის გავლენით, ან რედუქციის შედეგად მეგრულში.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ჭან-მეგრ. ქართ. შედარ. ლექსიკონი, გვ. 362-3.

<sup>3</sup> ქუ ძირის შესახებ ჩვენი აღ-თავსართიანი ზნები ქართულში: სტალინის საზ. თბ. უნივ. შრომები, XXV, გვ. 147—149.

IV<sub>36</sub>) ნაწარმოებია — ელ ბოლოსართით, ძირია წუ. იგი დაცულია მეგრულში (ი. ყიფშიძე, მეგრ.-რუს. ლექსიკ.).

7. ურიმალი („რნიზე ყურიმალსა სცემდეს“: ტბ. მთ XXVI<sub>47</sub>; „... მი-  
იყვანეს იგი ყურიმლის ცემაღ“: მკზ XIV<sub>63</sub>) კომპოზიტია: ყურიმალ-  
ლი — ყურიმალი ‘ყურის გარეშემო’, ხოლო ყურიმლვა ‘ყურიმლის ცე-  
მა’ (საბა), ჩუბინაშვილის ლექსიკონით ყურიმალი, მაგრამ ყური-  
მლის ცემა, ყურიმლვა. ჩანს, უ გაუმარცვლოებულა: ყურის — ყურის.  
ამავე ყურ-ისგანაა ნაწარმოები ყრ-უ (— ყურუ — მეგრ. ყურუ) უ-ს  
რედუქციითა და შემდეგ უ-ს დაკარგვით<sup>1</sup>.

8. გულარძნილი („შ ნათესაეი გულარძნილი: აღიში, ლქ IX<sub>41</sub>; სა-  
ბას განმარტებით: „არს ვაკიანთა შინა სიმრუდე ღელოვან-ფოსიონი, რო-  
მელსა მსოფლიონი ოღრო-ჩოღროღ უწოდენ“) კომპოზიტია: გულ + არ-  
ძნილი; აქედან ზმნა: „... ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდა გულარძნეს“  
(აბო ტფილელი, 58<sub>15</sub>)<sup>2</sup>. ამ სიტყვის შექმნულობა აშკარადება ჩუბინა-  
შვილის ლექსიკონით: გულარძნა, გვლარძნა, გვლარძნილი (—  
გვარძნილი). გულობა, გულ ფუძეც რედუქციას დაქვემდებარებია. იგი იმ მხრივ  
გვერდში უდგას ყურ-ს (იხ. ზევით).

9. სუფიტი („ქუშე შეხუღგნა შუღნი სუფიტნი“: ხანმეტი) იშლება სუ-ეტი-  
რომლის სუ ძირი სუ-ამს (ა-სუ-ამს, დაა-სუ-ა, ახლა: ჩაასო) ზმნაში  
გვაქვს, ხოლო — ეტ სუფიქსი — სხვაგანაც: ხერ-ეტი-ხ, კენ-ეტი-ს და სხვა<sup>3</sup>.  
ირკვევა, სუფიტი ნარედუქციალია: სუ — სუ.

10. შიშულილი („შიშულილიბა და მოკულა“: ტბ. მთ XXVII<sub>5</sub>) შე-  
აკავს ძირს შულ, რომლის უ რედუქციის შემდეგ მეტათეზის განიცდის და გ-დ  
იწერება, წყვილბაგისმიერ ბგერებთან მეზობლობაში კი სულ იკარგება ძველ  
ტექსტებში: შეაშღვეს იგი (აღიში, მკზ IV<sub>7</sub>) — შეაშთვეს იგი (ტბ.),  
მაგრამ შეაშთობდა მას (ტბ. მთ XVIII<sub>26</sub>). შულ-ის ძირობას ამტკიცებს მეგრ.  
შქვიდ-ა ‘ხრჩობა’, სეან. ო-შგულ ‘დაეახრჩეე’, ლშხ. ლუ-შგულ ‘დამხრჩ-  
ვალი’<sup>4</sup>.

11. თთუე ნარედუქციალი და ნამეტათეზისარი ფორმა ჩანს \*დუთე სი-  
ტყვისა. მისი ეკვივალენტია სეან. დოშდ-ულ და მეგრ. თუთა<sup>5</sup>. უ-ს გა-  
უმარცვლოება ექვს არ იწვევს<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ჩვენი კართ. ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, გვ. 538.

<sup>2</sup> კ. კეკელიძის გამოცემით: აღრინდელი ფეოდალური კართული ლიტერატურა,  
ტფ. 1935.

განსვ. ასპირანტ ვახტანგ გაჩეჩილაძის შენიშვნით აქ I ობიექტური პირის გუ  
თავსართი კი არ უნდა იყოს, არამედ ძირეული გუ (გულარძნა): გარდა გულარძნ-  
ნეს იგინი, რაც სწორო ჩანს.

<sup>3</sup> ჩვენი ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის: ტფ. უნგ. შრომები, III, გვ. 232.

<sup>4</sup> ჩვენი ფონეტიკური დაკვირვებანი... I: მიმოზილველი, გვ. 213—214.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 217—219.

<sup>6</sup> შეიძლება გაუმარცვლოებული უ იყოს ამოღებული ჩჩკლ-ში. ამის საბუთია 1. ჯ-ს  
შემონახვა ჩჩ თანხმოვანთა შორის: „დაიცუნეს ჩჩკლნი“ (უდაბნოს მზავალთ. 169: არნ-  
ჩიქობა ევა, სახელის ფუძის აგებულება, გვ. 47) და 2. ჯ-ს შესატყვისია უ ჯან. ჩუჩქუ-ს  
მიხედვით და ვგევე უ დაცულია ქვემოთწერულ ჩუჩულ ფორმაში. გამოდის ჩუჩუ-ლი — ჩუჩულ  
— ჩჩკლ (შდრ. და ჩჩკლნიან: ხანმეტი ლექსი).

12. შუენიერ-ში შუენ ნაწილია ჰ-შუენ-ის ზმნისა. მისი შეპირისპირება უ-შუ-ერ-თან შუ ძირს გამოაქვს, რაც იხმარებოდა კიდევ: „...შონავს მე და შემაშუს ცხრბად იგი“ (№ 19, გვ. 323) და შესატყვისის პოულობს მეგრ. ო-სქუ და სიან. ხე-ს გუ „შენის“ ზმნებში. ივარაუდება შუ — შუ-დ ჰ-შუენ-ის და სხვებში.

13. შუა (— შოვა: № 1147), შუვა (ტბ. მკ XIII<sub>33</sub>), რომლის შუ ხეცურულში ახლაც ცოცხალია: შუ-და-შუ, შუ ლამე, წელ შუ (მაგრამ შუა კაცი შუამთა)<sup>1</sup>, აქედან სა-შუ-ალი<sup>2</sup> (ხეც. შე-შუ-ალა<sup>1</sup> თითი) იქცა შვა და სა-შვალ, მა-შვ-ალ<sup>2</sup> ფორმებად. უდავოა, უ — ვ.

14. ქუ-ე, ქუ-ე-ში (ქუ-ე-ში შეხუდგნა ზღნი სუეტნი<sup>3</sup>: ხანმეტი 372) ნარედუქციალი ჩანს სიან. ჩუ და მეგრ. ქო ნაწილაკებთან შედარებისას<sup>4</sup>. ამგებარ ქვე — ქუ-ე.

15. თუ არა იქცა თვარა-დ, ასევე თვარემ — თორემ და შეიცავს თუ არ ნაწილაკებს<sup>5</sup> (შდრ. უარესი — გურულში ვარესი).

16. ზაკუვა (ზაკუვანი: ტბ. მკ VII<sub>11</sub>) ფორმამ ალბათ შეკუმშვის შემდეგ ზაკუა მოგვცა. ეს უმარცვლო უ ზაკუა-სა და მისგან ნაწარმოებ მ-ზაკუ-არ-ში აშკარაა.

17. უგუნური (რ არს უგუნურთაგან<sup>6</sup>: ხანმეტი 372; „ცვალა... სახისა მისგან უგუნურებისა და იქნამცა გონიერებისა“: შუზანიკის მარტულ. 1<sub>11</sub>) — უ-გონ-ურ-ისაგან (წინა თუ) მომდევნო უ-სთან ასიმილაციით, მაგრამ ძირისეულ უ-ს რედუქცია განუცლია და წყვილბაგისმიერ უ-ს მეზობლად დაკარგულა; ამიტომია ამგებარ: უგნური, უგნურებ<sup>7</sup>.

18. ტუში ზმნად წარმოებისას იკუმშება და უმარცვლო უ იკარგება ბ თანხმოვნის მეზობლად: „შეიტყბნეს იგინი და ამბორს უყვეს ურთი-ერ-თას...“<sup>8</sup> (კიმენი, 3<sub>41</sub>).

19. თუბი კუთვნილებითი ნაკვალსახელი ანალიზდება: თუ-ბის-ი, ძირია თუ ‘თავი’. იგი ნათ. და მოქმ.-ში იკუმშება და -ბ-სთან შერწყმით იძლევა ვ-ს: თუბი. თუ ძირს შეიცავს სასთუნალი (‘თავსადები ფიცარი თუ რაც’) და სასთუნალი (‘თავსადები’), ხოლო თავს — სასთაული (საბა).

<sup>1</sup> ა. შანიძე, კვესურული მასალების ლექსიკონი: შუ.

<sup>2</sup> სახელის ფუძის აგებ., გვ. 157-8 და სხვ.

<sup>3</sup> გ. ბერიძე, სიტყვის-კონა: მა-შვალა.

<sup>4</sup> სიანური ენა, გვ. 65.

<sup>5</sup> ქკუა თუ პირვანდელია, მაშინ ქკეიანი (საბა), ქე.იშერ. ქკეერო, ინგლოური ქკო (— ქკუა) შეკუმშული ფორმები იქნება, სადაც უ გაუმარცვლოებულა.

<sup>6</sup> იგების უ-გონ-ური თავიდანვე შეიკუმშა და ო — უ და უკანასკნელი დაიკარგა (უგუნური — უგნური), იფიქრება კაცი, რომ უგუნური-ც არ იხმარებოდეს.

<sup>7</sup> სა-უდ-ედ-ის უდა ძირი მეგრულ ცუდ-ე-შია შემონახული. ნარედუქციალი და უ ამოღებული უდა ძირი საყდარ-ში დარჩა (სახელის ფუძის აგებ., 84-5), მაგრამ რამ ამოიღო უმარცვლო უ, როცა ბილაბიალური ბგერა მეზობლად არ არის? ჩვეულებრივ უ-ს დაკარგვის მიზეზია წყვილბაგისმიერთა მეზობლობა; მაგ.: მი-უ-წ-უ-დ-ო-მ-ქ-ლი — მი-წ-წ-დ-ო-მ-ქ-ლი (ქართვ. ენათა სიტყვარმოებიდან, II, 535) და სხვები (იხ. ზევით).

<sup>8</sup> ზენი ფონეტიკ. დავირებებანი ქართვ. ენებში. I: მიმოშობილელი, გვ. 201.

20. ქუხავს 'ქსოვს', საქუსალი 'ქსელი საქსოვი' (საბა) სენურში პოეზებს შესატყვისის ლი-ჯიშ 'ქსოვი' საბით<sup>1</sup>. ფონეტიკურ ეკვივალენტთა აღდგენით ქართ.ში უნდა გვექონოდა გუს ძირი, რაც საბას შემოუნახავს: „საქუსალი...“ სადამე საგუსალი ილწერიათ... საქუსალი უმჯობეს ჰგავს“. ნიმდვილად საგუსალი „ჰგავს უმჯობეს“. უ-ს რედუქციის შემდეგ დარჩებოდა საგუსალი. ესეც დაუცავს საბას საგხვალის ფორმით. ამგვარად, ქხოვა-ში ძირისეული უ გაუმარცვლებულია და -ო-ს გავლენით დაკარგული.

21. ტურფა, რა წარმოშობისაც უნდა იყოს ის, გამოყენებულია ტრფობას საწარმოებლად (ა. შანიძე). იგულისხმება, რომ ძირეულ უ-ს რედუქცია განუცლია და გაუჩინარებულა ფ თუ -ს მეზობლად.

ირკვევა, რომ უმარცვლო უ რიგ შემთხვევაში რედუქციის მოქმედების კვალს წარმოადგენს: ძირისეული უ ხმოვანი უ თანხმოვანი გამხდარა. შეიძლება იმის განზოგადება და ასეთი დებულების წამოყენება: თუ ძირში უ არის და მას მოსდევს ხმოვანი დაწყებული ფორმანტი, ის უ ნარედუქციალია. ასეთებია:

სი-ყუარ-ული, უ-ყუარ-ს, მაგრამ მო-ყუას-ი (უყუარებად მოყუასი ეა თავი თვისი: ტბ. მკვ XIIა)... ძირია ყუ და -არ, -ას ბოლოსართები;

ალი-ბუ-ენ, მოი-ბუ-ნა. —ალი-ბუ-ამს... ძირია ბუ, დანარჩენი აფიქსები; დავ-შუ-ერ, და-შუ-რა—მეგრ. შუ-რდუ 'იღლება', ძირია შუ;

მსგავსადე: ში-შუ-ელი, შემ-თხუ-ევა, სუ-ენება, მე-ზუ-ერე, კუ-ეთა, მ-წუ-ანვილი, წუ-ევა და სხვა, ოღონდ ამათ დამტკიცება უნდა.

სამართლიანობა მოითხოვს, აქვე საგანგებოდ იქნეს აღნიშნული თ. ეორ-დან იას სწორი მოსაზრებები უ-ს რედუქციის შესახებ. იგი წერს: „ასო უ (უნი ბრჯგუინი ანუ უნ-ბრჯგუ) გამოითქმის როგორც ევა... იგი საშვალო ხმაა ეუ და ეე შუა... მის მაგიერ ყოველგან უხმარნიათ ასო «უ», რადაგანაც ცხადია, რომ ეუ წინეთ გამოითქმოდა როგორც ეუ“-ნი და არა როგორც ეე და მხოლოდ შემდეგ ზოგიერთს სიტყვებში ეუ-ნი ეე-ნად შეცვლილა; მაგრამ მწერლობაში კი მაინც ძველებურად უწერიათ და მხოლოდ ეუ“-ზე „ბრჯგუ“ დაუსვიათ (ა) ნიშნად ეგრეთის ამ ასომს შეცვლისა. ამ გვარად ეუ შემოღებულ იქმნა იმ სიტყვებში, რომელთა ძველად ძირში ჰქონიათ ასო ეუ“ და შემდეგ ეს ხმა გარდაქცეულა ევ“-დ“<sup>2</sup>. თავი რომ დაეანებოთ რიგ უმართებულო ეტიმოლოგიებსა და არასწორ მართლწერას საკმაო რაოდენობის სიტყვებისას (როგორცაა: ღუმერთი, მღუმდელი, მარხუა, პირტლი, ქუა...), წამოყენებული დებულება მისაღებია და მის საილუსტრაციოდ მოცემული ანალოზი სიტყვათა და ზოგი ეტიმოლოგიური ძიება ვასაზიარებელი (მაგ.: სუმა, ცუმა, დაწუა, კუმევა, წუელი, ყურიმალი და

<sup>1</sup> იქვე, გვ. 209—210.

<sup>2</sup> ქუხს ძირი პეტრიწს მოეპოვება ფორმებში, როგორცაა: ალიქუსა, ანაქუსი, მქუსველი, ნაქუსი, ქუსავს, ქუსა (სიმ. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის შრომები, I, საძიებლები II ტ.).

<sup>3</sup> ქართული გრამმატიკა, გვ. 11—12.

სხვა)<sup>1</sup>. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მან პირველმა წარმოადგინა ჟ-ს ამგვარი გენეზისი.

დამტკიცდა, რომ უ რედუქციის ძალით იქცა ჟ-დ.

მიუხედავად იმისა, რომ უმარცვლო უ-ს წარმოშობის სამი გზაა ნაჩვენები, მაინც რჩება ერთი წყება სიტყვებისა, სადაც ჟ-ს არსებობა აუსხნელია: ქუაბი, გუამი, სხუა, მსხურაბლი, სიტყუა... ძირთა შეპირისპირებიდან ჩანს ერთგვარი რყევა ჟ-ს ხმარებაში; მაგ.:

მო-კუ-ედ და მო-კ-ალ<sup>2</sup> (შდრ. მო-ვ-ედ — მო-ვ-ალ): ძირია კ, სუფიქსები განარჩევენ მოქმ. და ვნებისთს გვარს, რაღაა ჟ?

ჩანს || ჩას — ჩენა, ჩუენება („ხუჩუენნა მათ“: ხანმეტი ლექც.): საერთო ძირია ჩ, რაღაა უმარცვლო უ?

თუ -ალი (— მეგრ. თოლი)—სენან. თე, სადაა ჟ? სენურმა დაკარგა იგი, თუ არ გადაჰყოლია ქართულიდან?

სენან. ლი-წ-ედ 'ნახვა'—ხო-წ-ა 'უნახავს', მეგრ. ორ-წ-ე 'ხელავს': ასახსნელია ჟ;

უკუეთუ (იუკუეთუ განუტეოს...<sup>3</sup> ტბ. მკვ X<sub>11</sub>), უკუანაქსკნელი („ხ მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანაქსკნელ და უკუანაქსკნელი პირველ“: ტბ. მკვ X<sub>21</sub>)—ახლა უკეთუ, უკანასკნელი, იმერ. უკანასკნელი და სხვა.

გასარკვევია, ჟ ძირისეულია თუ გაჩენილი?

არის ნაჩვენები მეოთხე გზაც ჟ-ს გენეზისისა: ესაა თანხმოვანთა ლაბიალიზება. დებულება, წამოყენებული ს. ელენტის მიერ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა არსებობის შესახებ ქართულურ ენებში<sup>4</sup>, გასაზიარებელია მხოლოდ შეზღუდულად. ყველა უმარცვლო უ ამ გზით არაა მიღებული, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობს აეტორი. ლაბიალიზებულად შეიძლება ჩაითვალოს ძირის თუ ფუძის ის თანხმოვანი, რომლის მხლები ჟ-ს წარმოშობა წინა სამი გზით გამოიციხულია.

მაშასადამე, ჟ მიღებულია: 1. მ თანხმოვანთა შენაცვლებით (ქურივი), 2. ვ-ს გაწყვილებაგის მიერებით გუტურალებთან (იუკუანის მცემელი), 3. უ ხმოვნის რედუქციით (ჭურელი, ყურიმალი...) და 4. თანხმოვანთა ლაბიალიზებით (მოკულა)<sup>5</sup>.

ჩვენთვის მთავარია აქ უ-ს რედუქციის შესაძლებლობა.

ამგვარად მტკიცდება, რომ ქართულშიც ყველა ხმოვანი ექვემდებარებოდა რედუქციას.

პრეფიქსიც რომ მოქმედებდა ქართულში, ეს ჩანს მცირე, მაგრამ უდავო ფაქტებიდან; მაგ.:

<sup>1</sup> იქვე, გვ. 11—17.

<sup>2</sup> სახელის ფუძის აგებულება, გვ. 122.

<sup>3</sup> ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ქართულურ ენებში: ენიმკის მოამბე, X, თბილისი 1941. გვ. 183—191.

<sup>4</sup> რაც შეეხება ვ-ს, მისი მართლწერითი დანიშნულება და ბგერითი ეკვივალენტები საგანგებოდ შესასწავლია. იგი მეტწილ შემთხვევაში შეიცავს უი-ს, ხოგჯერ ენაცვლება უ-ს (უმარცვლო უ-ს), იშვიათად ვ-საც, ხოლო ნასესხებ სიტყვებში ცვლის ბერძნულ ა: კატონი, ტკროსი და სხვა.

1. ქამს („ქამს მოყვარე მოყვრისათვის...“) — უ-ქმ-ს („ორა ... უქმს ეგბე“: ტბ. მკვ XI<sub>2</sub>; „მე შნ გნ მიქმს“: საბა ასური, 12<sub>21</sub>);

2. ქამ („პატრონი... იქამს“: ხევს. 137<sub>17</sub>; ქვემოიგერ. იქუმს) — ი-ქმ („რლითა გელმწიფებითა იქმ“: ტბ. მკვ XI<sub>27</sub>; ვიქმ იქვე 28; უ-ქმ-ი: „სდგათ... უქმად“: ტბ. მთ XX<sub>4</sub>);

3. ჩანს || ჩას (ბოლნ. 22<sub>17</sub>) — უ-ჩნ-ს („მელთა ქუოელი უჩნს“: ტბ. მთ VIII<sub>20</sub>. აქედან ნაწარმოებია ჩენა, ჩუნენბა);

4. ძეს („რაჲ ძეს ჩუენი და შენი“: მთ VIII<sub>23</sub>) — უ-ძ-ს (— უც: „ძალ- გი ც განწმედაჲ ჩემი“: მთ VIII<sub>4</sub>);

5. დეგ (— დგ-ა-ს) — ა-დგ-ს, უ-დგ-ს („გულსა შადგს“: საბა ასური, 15<sub>31</sub>; „ნუცა შეუდგთ“: ლქ XVII<sub>23</sub><sup>1)</sup>);

6. კელ: დიაკელ-მა-კლ-ს, გა-კლ-ს („რაჲლა მაკლს მე“; „ერთილბ გაკლს შენ“: ტბ. მკვ X<sub>20</sub>; 21);

7. ნეშტი („და აღიოეს ნეშტი ნამუსრევისაჲ“: ტბ. მკვ VI<sub>13</sub>), როგორც გამოირკვა, შედგება ნე- პრეფიქსისა და შედ-ისაგან: \*ნე-შედი — \*ნეშდი — ნეშტი<sup>2</sup>.

8. სარცხი (ქიზიურის ლექსიკ.) — სარცხ-ი<sup>3</sup>.

9. ი-პრიან-ა ზმნა, ცხადია, ნაწარმოებია პირიან-ისაგან, ოღონდ სა- ფიქრებელია, რომ ძირისეული ი- ამოღებულია თავსართის ზეგავლენით.

ეტყობა, თავსართიც კუმშავდა ფუჟეს. ამდენად ქართული არ განსხვავდებოდა სვანურისაგან რედუქციის წესებში.

ასევე სვანურშიც ძალში ჩანს ქართულის ძირითადი წესები; სახელდობრ:

I. ერთმარცვლიანი ფორმებიც განიცდიან რედუქციას.

ა) ბალზემოურში ფუძედრეკად ზმნათა ენებითი წყვეტილის I და II პირში სისტემებრ იკუმშება:

ა-ტებ — ბქვ.ლშ.	ო-ტებ — ლტ.	ა-ტებ 'დავბუნდი'
ა-ტბ —	ა-ტებ	ა-ტებ 'დაბრუნდი'
ლ-ტებ — ეცრ.	ლო-ტებ — ლტ.	ლა-ტებ 'დაიხიე'
ლ-ტბ —	ლა-ტებ	ლა-ტებ 'დაიხიე'

<sup>1</sup> 1911 წლ. გამოცემით.

<sup>2</sup> ხუთივე მაგალითი ნაჩვენებია აქვს არნ. ჩიქობავას „სახელის ფუძის აგებულება“- ში... გვ. 109—111, აგრეთვე წერილში „მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში“: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 2, გვ. 196; ქამს და ჩანს კი ნ. მარს Грам. ар. ррѣ- за, გვ. 209, 211.

<sup>3</sup> ჩენი ფონეტ. დაკვირვებანი ქართვ. ენებში, II: ტფ. უნივ. მოამბე, X, გვ. 303—304.

<sup>4</sup> სახლ-იც ამის მსგავსად უნდა იყოს შეუქმებული ხა- პრეფიქსის წყალობით. აღსად- გენია ფუძისეული ხმოვანი. მეგრ. კანურთან შედარება —ს გვაეარაუღებინებს, რადგანაც მეგრ.- კან. ო-ხ ორ-ი შუისაცყვისებს სა-ხალ- ფუძეს. მაგრამ ვითარებით ბრუნვაში ეს სახელი ყოველთვის იხშაობა სახი და ან სახე და ფორმით („წმიდანი შეროიხუნა სახი და თჳსა“: შუ- შანიკის მარტულ. 13<sub>31</sub>). ლ-ს თუ დაკარგულად ვეეარაუღებთ (როგორც ესაა სიქუდი და ადგილ-ში), მაშინ ან ე ასახსნელი იქნება. მეგრ. ო-ს ეყვივალენტად ქართულში ე-ც არის (კეორ-ი—მწყერ-ი: ნ. ჩენი შესამე ტიპის ენებითი, გვ. 967—8). მაშასადამე, სახელ უნდა ყოფილიყო. ამის ვითარებით ფორმა სახედ. ხომ არ არის სახი და უ და უს პლურის შედეგი?

და ასე: ა-ღვ (—ა-ღვგ) 'გაქრი', ა-ქუმ (—ა-ქუმ) 'გატყლი', ა-სდ (—ა-სედ) 'დარჩი' და სხვა.

ამ ზნათა რელატიურ ფორმებს სხვა კილოებიც შეკუმშულად წარმოგვიდგენენ:

ბუ-ე-წდ — \*ბუ-ე-წდ 'ენახე'

ბ-ე-წდ — \*ბე-წდ 'ნახე'...<sup>1</sup>

მოქმედებითი გვარის უპრევერო ზნათა წყვეტილის I და II პირის ფორმებშიც მაქცევარი კუმშავს ფუძის ერთ ხმოვანს:

ბუ-ა-ყრ, ლშხ. ბუ-ა-ყრ (— \*ბუ-ა-ყრ) 'ყუყუე'

ბ-ა-ყრ, ბ-ა-ყრ (— \*ბ-ა-ყრ) 'ყუყუე'

მაგრამ: ბ-ა-ყერ, ლნტ. ბ-ა-ყერ 'ყუყო'...<sup>2</sup>

ბ) არის შემთხვევები ერთმარცვლიან სახელთა რედუქციისა:

კიშხ 'ფეხი', ბზ. ნათ. კგშხ-ემ, მრ. კგშხ-არ... კგშხ-აშ 'ფერხული'

ლიც 'წული' ლგც-ემ, ლგც-არ

მიე 'მზე' ბქვ. მგე-ემ, ლა-მგე 'მზვარე'

შლიმ 'ყური' ბზ. შდგმ-ემ, შდგმ-არ-აშ

შლიქ 'კბილი' ბქვ. შდგქ-ემ, შდგქ-არ

შიყ 'ზურგი' ბზ. შგყ-ემ, შგყ-არ... ლა-შგყ 'გოდორი'...

გამორკვეულია, რომ აქ გ ენაცვლება ძირისეულ -ჟ-ს ნაუშლაუტე -ა-ს მეშვეობით (ჟ — უ — ი — გ) რედუქციის შედეგად \* და არა სხვა გზით (შდრ. უნაგირი — ბზ. ჰგნგირი). ამას უეკველს ხდის ასეთი მაგალითები:

ქან 'კანაფი' — ბზ. ნათ. ქგნ-აშ 'კანაფის თესლი დანაყილი და მოზელილი შექამანდალ'. აქედან: ქგნ-აშ 'კანაფის თესლის გულიანი პური'...

თაშ 'ყველი' — თგშ-ინგ 'ყველის ჩასადები ქურქელი' და სხვა.

აშკარაა, აქ (ჟ — ) ა-სა და ა-ს რედუქცია მოუვიდა და თანხმოდანთვასაყარად გ გაჩნდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ორ და მეტმარცვლიანებში; შდრ.

მერჩილ 'ცელი' — ბზ. ლა-მგრჩილ 'სათიბი'

შელდ: ამშელდ 'ამდენი' — ლი-შგლდ-ანი 'თვლა'

ჩანგ 'ჩანგი' — ლი-ჩგნგ-ი 'ჩანგის დაკერა'

ჰანწუ 'პატივი' — ლი-ჰგნწუ-ი 'გაპატივება'

სინჯვა — ლი-სგნჯაწუ-ი 'დახედვა' და სხვა მრავალი

<sup>1</sup> სვანური ენა. I. ზნა, გვ. 201—204.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 148—149.

<sup>3</sup> ჩვენი კვლავ უმლატისათვის სვანურში: ტფ. უნივ. შობებ, VIII, გვ. 339—344.

ეს გარემოება სხვა მხრივაც საგულისხმოა: თუ ა — უ რედუქცირდება და კვალს ტოვებს გ-ს სახით, ხომ არ არის ფუძედრეკად ზნათა მოქმედებითი გვარის ფორმების e/2 წარმოდგარი უ-საგანო? (მაგ., აწუყო ტიხ-ე, ლშხ. ტგე-ე 'აბრუნებს' — წყვეტილი: ხგვ.ლშხ. ო-ტგე დავაბრუნე', ა-ტის 'დააბრუნა'...: სვანური ენა, გვ. 155-6).



საესებით ანალოგიური მოვლენა აფხაზურში: ქლიბ-ი — ა-ქლებ, მიზეზ-ი — ა-მეზეზ... სცხა — სცხე (ბზიფურში) 'თაფლი' და სხვა<sup>1</sup>. ასეა სომხურშიც<sup>2</sup> ხმოვანი რედუქცირდება  $\epsilon$ -დ<sup>3</sup>.

II. შეიძლება ო რ გ ზ ის მ ო ხ დ ეს რ ე დ უ ქ ც ი ა. ამოიღება ო რ ი რ ო - გ ო რ ც ე რ თ გ ვ ა რ ი, ისე სხვადასხვა ხმოვანი. საამისო მაგალითები შედარებით ცოტაა, თუ შეხედვლობაში არ მივიღებთ პრევერიან ზმნებს, სადაც ფუძის თუ ძირის ხმოვანთან ერთად ჩვეულებრივ იკუმშება მაქცევარი ზემოსევანურსა და ლაშხურში; მაგ.: აღხატვე — ლნტ. აღ-ა-ხატჷ-ე 'დახატა' და სხვა (სუან. ჴნა, გვ. 140-142). ცალკე მაგალითები:

ბ ო გ რ ე შ 'სოფლის სახელია იფარში', წარმოშობით შრ. რ. ნათ. ბრუნ- ვაა ხმოვანამოღებული: \*ბოგ[ა]რ-ეშ 'ხილთა, ბოგათა' (შხ. ბოგ 'ბოგა, ხილი' — შრ. ბოგარ). აქედან: ბოგრეშჷლ 'ბოგრეშლები' — ნათ. ბოგრეშლეშ. უკანასკნელ- ში 'არა ჩანს ორი ა: ბოგ[ა]რეშ[ა]ლეს'.

დაგარ: დაგ[ა]რ-ა 'სიკვდილი', ლი-დ[ა]გარ-ი 'მოკლა', მაგრამ ბზ. II სე- რიის კონიუნქტივშია: ა-დგარ-ის — \*ა-დაგარ-ის 'მოკლას'. უკვალოდ გაქრა ორი ა. ნიბჷშინ 'ძმისწული, დისწული; ბიძაშვილი; შვილიშვილი' — შრ. ლნ-ნბჷშნ-ა (— \*ლი-ნ[ი]ბჷშ[ი]ნ-ა). ამოღებულია ორი ი.

ლნტ. მექჷშტე — ზსე. მექჷშდე 'მოკლე' — ზსე. ხონ-ქჷშდე — ლნტ. ხონ-ჩჷშტე — \*ხო-მ[ე]ქჷ[ე]შდეა 'უმოკლესი'.

ლნტ. მეშხე — მეშხე 'შავი' — ზსე. ლშხ. ხო-მშხ-ა — ლნტ. ხო-მშხ-ა — \*ხო-მ[ე]შ[ე]შ-ა 'უშავესი'; (ლი-მშხ-ე — \*ლი-მ[ე]შ[ე]შ-ე, ლნტ. ლი-მეშხ-ი 'შა- ვება')... ორსივე ზედსართავში არა ჩანს ორი ე.

ბზ. შუალობითი გზის ხზხუნჷნენ 'აწვევინებს' და მსგავსი ფორმები ორ- გზის შეკუმშული ჩანან: ამოღებულია ძირის ხმოვანი და გაუმარცვლობულია -უნ- სუფიქსი: ხა-შ[ი]ხ-უნ-ჷლ-უნ-ე. ასეთია:

ლშხ. ხაგმუნჷლჷნ-ე (— \*ხა-გ[ე]მ-უნ-ჷლ-უნ-ე, შდრ. ლნტ. ხა-გემ-ნ-უნ-ე) 'აშენებინებს'.

ბქვ. ხაკუნჷლჷნენ (— \*ხა-ქ[ა]რ-უნ-ა-უნ-ე) 'აღებინებს კარს' და სხვა<sup>4</sup>.

ამგვარად, სუანურსა და ქართულში რედუქციის წესები ძი- რითადად ერთნაირია; განსხვავებაა მხოლოდ ამა თუ იმ წესის მეტ- ნაკლებ აქტივობაში.

## 6. რედუქცია ზანურში

მეგრულ-ქანურში ფუძის კუმშვა უფრო მეტად სუსტია, ვიდრე სვანურის ლენტეხურ კილოში. უკანასკნელში ყველაზე ხშირად რედუქცია მოსდის ე და ზ ხმოვნებს, შედარებით იშვიათად ე და ა, ო, უ-ს. ამდენად ფუძის

<sup>1</sup> Н. Я. Марр, Абхазско-русский словарь, Ливр. 1926; აგრეთვე ქ. ლომთათი- ძის შერჩეული მაგალითები, რომელთა მოწოდებისათვის დიხ მადლობას მოვხსენებ.

<sup>2</sup> Н. Марр, Грамматика древнесванского языка, Птб. 1903; გვ. 39; А. Мей- ллет, Altarmenisches Elementarbuch, 1913, გვ. 14.

<sup>3</sup> სვანური ენა, გვ. 240.

<sup>4</sup> განვებ არ მოგვეყვს გ-ს შემცველი მაგალითები, როგორცაა ლქჷშ (— ქაშა 'ლონე' 'ლონიერი' — ხო-ლქჷშ-ა (— \*ხო-ლ[ქ]ქ[ა]შ-ა) 'უფრო ლონიერი' და სხვები, სადაც გ-სთან ერთად მეორე ხმოვანიცაა ამოღებული, რადგანაც ე აქ თანხმოვანთგასაყარია.

სრულხმოვნობა ყოველთვის არაა დაცული ლენტეხურში. თუ მე შეხეხე-ში ('შავი') ყველა ხმოვანია წარმოდგენილი, ხოლო მეხეხე-ში ('უშავისი') კი ე. ამოღებულია... ზანურში შეკუმშული ფორმა თითზე ჩამოსათვლელია. აქ სრულხმოვნობა თითქმის ხელუხლებელია. ამ მხრივ ლენტეხური სვანურის სხვა კილოებთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ზანური ქართულთან. მაგრამ რედუქცია აქაც რომ იყო, ამას უჩვენებს შემდეგი:

რეც-ვა, სა-რეც-ელ-ს მეგრ.-ქანურში შესატყვისება რჩ-აფა 'დაგება', სვანურში ლი-რშ-ი. ზანურში უნდა ყოფილიყო რაჩ, რაც დღემდე არაა დადასტურებულა და მხოლოდ შეკუმშულად იხმარება, სვანურში კი რაშ ხალხურ ლექსებშია შემონახული<sup>2</sup>.

რეცხ-ვა (მაგრამ სა-რცხ-ი; ძვ. ქართ. ოგან-რცხ-იღეს ბადეთა: პამეტი ლქ V, 2) ზანურშია რჩხ-ულა: მეგრ. რჩხ-უნს, ქან. ჩხ-იფს 'რეცხავს'. აქაც რაჩხ უნდა გვექონდეს, მაგრამ არაა მოღწეული. ჩანს, \*რჩ, რჩხ-ში ა ამოღებულია<sup>3</sup>.

ცოქვა (აქედან: მო-ცი ქ-ული, სა-ცი ქ-ელი)=მეგრ. ჩქვ-აფა, ქან. ჩქვ || შქვ. ზანურში -ის შესატყვისი ხმოვანი რედუქცირებულია<sup>4</sup>.

მეგრ. ფური 'ცუდი'—უ-ფრ-აში — უ-ფურ-აში 'უარესი': უ გაუმარცვლოებულია და ფ-ს მეზობლად გამჭრალი.

ქართ. კედ (გარდამო-ვედ, აღმო-ვედ) დაცულია ქანურში ზტ, ზთ-ს სახით: ე-ბ ტ-უ, ფე-ბ თ-უ 'ავიდა', მო-ხ თ-უ 'მოვიდა', გე-ხ თ-უ 'დავიდა, დაეშა'... მეგრულში ზ-ს ადგილას რ არის: მო-რ-თ-უ...<sup>5</sup>

ანალოგიურია ქეც (ი-ქეც, მოი-ქეც...)=ქან. ქთ: ო-ქ თ-უ, მეგრ. რ-თ-აფა 'ტრილი, ქეცა'. ვი-ქ ეც—ქან. ვი-ქ თ-ი, მეგრ. გინივ-რ-თ-ი... აქაც ქ-ს ადგილი რ-ს უჭირავს მეგრულში. ქართული ე-ს გვივალენტი ხმოვანი ზანურში ამოღებულია<sup>6</sup>.

უფრო შორს მიდის ქანური. ქართულისა და მეგრულის ხმოვანი ფუძე მას უხმოვნოდ აქვს წარმოდგენილი:

ზიდ-ვა, მეგრ. ზიდ-უა=ქან. ზდ: ე-ზდ-უ 'აღება, ზიდვა', ე-ზდ-ეს=ა-ზიდ-ეს... ქან.ში არაა ე...<sup>7</sup>

ეტყობა, მეგრ.-ქანურში ყველა ხმოვანი შეიძლებოდა დაქვემდებარებოდა რედუქციას, მაგრამ სხვა წესები (პროფიქსის -გავლენა, ერთზე მეტი ხმოვნის ამოღება, ერთმარცვლიანის შეკუმშვა...) თუ რამდენად მოქმედებდა, ამის დიდგენა მასალების სიმცირის გამო ჭირს. უფრო მეტიც—კითხვა ჩნდება: ახასია-

<sup>1</sup> რედუქცია სვანურის კილოებში საგანგებოდაა განხილული ცალკე ნარკვევში. აქ მას არ შეეხებოთ, რამდენადაც აშკარად საკითხი დგას რედუქციის საერთო წესების შესახებ ქართველურ ენებში.

<sup>2</sup> სვანური ენა, გვ. 78; ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, III: თბ. უნივ. შრომები, XV, გვ. 48.

<sup>3</sup> ნ. მარია, Грамм. хахского ди., გვ. 212: 2 ჩხ: ოჩხ; არნ. ჩიქობაძე, ქან.-მეგრ.-ქართ. შედარ. ლექსიკ., 310, 380.

<sup>4</sup> შედარ. ლექსიკ., 379.

<sup>5</sup> ნ. მარია ქან. გრამ., გვ. 234, 197; შედარ. ლექსიკ., გვ. 426-7, 334-5.

<sup>6</sup> ნ. მარია ქან. გრამ., 144; შედარ. ლექსიკ. 275-6.

თებდა თუ არა ზანურს რედუქცია და მოყვანილი მაგალითები ხომ არ არის შეკუმშული სახით ქართულიდან შესული და გაზანურებული, ან სესხებისას ხმოვანამოღებული ისე, როგორც ეს გვაქვს რიგ შემთხვევებში? (მელიტონ — მელტონ, კვირიკე — კვირკვე 'კვირკვობისთვე', საარიკო — საარკო 'საარაკო'... (შდრ. მართალ — მართლ[მსაჯული]); სვანურში კალაპოტი — კალპეტუ, დედაბერი — დედბერ, მეზობელი — მეზტბელ, ყავარი — ყწრ, დერეფანი — დრფან, კივილი — ლი-ვილ-ი...). წარმოდგენილი მასალები უფრო გვაფიქრებინებს, რომ რედუქციას ადგილი ჰქონდა ზანურში, ოღონდ იგი ძალზე სუსტი უნდა ყოფილიყო. ამით აიხსნება ზანურის მიერ შენარჩუნებული სრულხმოვნობა.

აქედან სხვა დასკვნაც გამოიტანება. ზანური ენისა და სვანურის ლენტეხური კილოს სრულხმოვნობა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ქართულისა და სვანურის ნარედუქციული ფუძეები, აღდგენილი როგორც მათ-მათ მასალათა შეპირისპირებით, ისე ქართველურ ენათა მონაცემების შედარებით, ადასტურებს, რომ რედუქცია შედარებით გვიანდელი მოვლენაა; იგი მეტნაკლები ძალისა და გავრცელებისა ქართველურ ენებსა და მათს კილოებში მათი განვითარების სხვადასხვა სტადიაზე და სრულხმოვნობა ზანურთან ერთად ქართულისა და სვანურის პირვანდელი თვისებებია.

რიგი საკითხები—როგორი ძალისა იყო რედუქცია ქართველურ ენათა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე (დიალექტებში, ძველი ქართული ენის ძეგლებში ცალ-ცალკე, რატომღაც, რომ ერთი და იგივე ფუძე ერთ ფორმაში იკუმშება და მეორეში—არა (ქარი: ქარ-ის, მაგრამ ქრ-ის, შალ-ა—შლ-ა...), ან ანალოგიური ფუძეები ერთნაირად არ ექვემდებარებიან რედუქციას (ახალი—ახლ-ის, მაგრამ ცალი—ცალ-ის...), როდის მიეცა რედუქციას დასაბამი—ქართველურ ენათა ერთობის ხანაში თუ შემდეგ, საკუთრივ ქართული მოვლენაა იგი, თუ სხვა ენათა გავლენას უძევს წილი მის წარმოშობაში და სხვა—აქ არ განიხილება. ასევე არ ვხვებით რედუქციის გამომწვევ მიზეზს—მახვილს<sup>2</sup>.

### დასკვნა

1. რედუქცია ქართველურ ენათა ერთ-ერთი ძირითად ფონეტიკურ მოვლენათაგანია. იგი ფართოდაა გავრცელებული სვანურის სამს დიალექტში (ბალსზემოურსა, ბალსქვემოურსა და ლაშხურში), თვალსაჩინოდ შენელებულია სვანურისავე კილოში—ლენტეხურში და თითქმის არ მოქმედებს მეგრულ-ქანურ-

<sup>2</sup> ზანურის შესაბამისად ქართულ-სვანურის მიმართ ეს დებულება წამოაყენა და უდავო გახადა არნ. ჩიქობავამ თავის ფუძემდებელ მონოგრაფიაში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (თბილისი 1942, გვ. 129, 271).

<sup>3</sup> რედუქციასთან დაკავშირებით მახვილის შესახებ ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის („წელიწადული“, გვ. 7), უმლაუტი სვანურში („არილი“, გვ. 199); ე. თ. ფურია, სვანური ენა, გვ. 153-155; საზოგადოდ მახვილისა და მის მიერ გამოწვეული მოვლენების შესახებ არნ. ჩიქობავა, გრჯელა ხმ.ფენები მთაულურში („ტფ. უნივ. შოამბე“, IV, 1924). სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართვ. ენებში (თბ. 1942, გვ. 128-9) და მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში („საქ. სსრ მეცნ. აკადემიის შოამბე“, ტ. III, №12 პ. 3).

ში; ამეამად ქართულის აღმოსავლურ კილოებში უფრო ძლიერია, ვიდრე დასავლურში (ა. შ ა ნ ი ძ ე); ახალ სალიტერატურო ქართულში ზოგიერთ შემთხვევაში უფროა გატარებული, ვიდრე ძველი ქართულის რიგ ძეგლებში.

2. რედუქციას ადგილი აქვს მაშინ, როცა ძირს თუ ფუძეს დაერთვის ხმოვნით გათავებული პრეფიქსი ან ხმოვნით დაწყებული სუფიქსი. რედუქცირდება როგორც ძირისეული, ისე აფიქსისეული ხმოვანი.

3. რედუქცია მოსდის მეტ-ნაკლებად ყველა ხმოვანს, ოღონდ ამ მხრივ განსხვავებაა როგორც ქართველურ ენათა და კილოთა შორის, ისე ერთი ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურებს შორისაც (უძველეს ხანაში რედუქცირდებოდა ქართულში **ა უ ხმოვანი**, ამეამად ეს არ ხდება).

4. ს ვ ა ნ უ რ შ ი და ი დ გ ი ნ ე ბ ა რ ე დ უ ქ ე ი ი ს შ ე მ დ ე გ ი წ ე ს ე ბ ი :

ა) რედუქციას იწვევს ან პრეფიქსი, ან სუფიქსი, იშვიათ შემთხვევაში ორივე ერთად.

ბ) რედუქცირდება ყველა არაგრძელი ხმოვანი (ა, გ, ი, ა, უ, გ).

შენიშვნა. რედუქციის შედეგად მიღებულ ჯთანხმოვანთა უჩვეულო კომპლექსში ჩნდება თანხმოვანთგასაყარი გ.

გ) რედუქციას ჩვეულებრივ არ ექვემდებარება კოთმარცვლიანი ძირი თუ ფუძე, ვიდრე ის არ გასამმარცვლიანდება და შეკუმშვის შემდეგ ორი ხმოვანი არ ღარჩება.

ამათგან განსხვავებით არის ერთი წყება სიტყვათა, რომელიც გაორმარცვლიანებისას იკუმშება; ასეთებია: 1) ნაუმლაუტეე -**ი**-ნიანი სახელები. ამით მისდევნ სხვა ხმოვნის შემცველი სახელებიც; 2) ბალსზემოურში ფუძედრეკად ზმანათა ენებითი აორისტის I და II პირში და 3) უპრევერო მოქმედებითი გვარის ზმნები აორისტის I და II პირში.

დ) ფუძის შეკუმშვა ხდება ჩვეულებრივ ერთხელ. შედარებით ცოტაა შემთხვევები ორი ხმოვნის ამოღებისა.

5. ქ ა რ თ უ ლ შ ი, ს ვ ა ნ უ რ ის გ ა ნ განსხვავებით, ა) კუმშვას იწვევს მხოლოდ სუფიქსი, ბ) რედუქცირდება მარტო სამი ხმოვანი (ა, გ, ა), გ) იკუმშება ერთმარცვლიანებიც გაორმარცვლიანების შემთხვევაში და დ) ერთდროულად ამოიღება ორი ხმოვანი.

6. რედუქციის წესები საერთო უნდა ყოფილიყო თავის დროზე ქართველურ ენათათვის; სახელდობრ, ძველ ქართულში ა) კუმშვას იწვევდა პრეფიქსიც და ბ) რედუქცირდებოდა **ა და უ ხმოვნებიც**. ამდენად, სვანურსა და ქართულს შორის რედუქციის მხრივ სხვაობა არ იყო.

7. ძველი ქართულის უმარცვლო უ ოთხი გზითაა მიღებული: ა) უ ხმოვანი რედუქციის ძალით უმარცვლო უ გამზდარა; ბ) გ თანხმოვანი ქცეულა უმარცვლო უ-დ უკანაენისმიერ თანხმოვანთა შემდეგ; გ) წყვილბაგისმიერი მ თანხმოვანთა თავმოყრისას შეცვლილა უ-თი და დ) ზოგ შემთხვევაში უმარცვლო უ თანხმოვანთა ლაბიალიზაციის შედეგი ჩანს. მეტწილად უ ნარედუქციალი უნდა იყოს.

8. რედუქცია ზ ა ნ უ რ ს ა ც ახსიათებდა, მაგრამ იგი იმთავითვე სუსტი უნდა ყოფილიყო. ამით აიხსნება ზანურში შემონახული სრულხმოვნობა.

9. რედუქცია შედარებით გვიანდელი მოვლენაა. იგი ერთნაირია ძალისა და ერთნაირად გავრცელებული არ ყოფილა ქართველურ ენებსა და მათს კილოებში.

В. Т. ТОПУРИА

## К ВОПРОСУ О РЕДУКЦИИ ГЛАСНЫХ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

1. Редукция гласных—одно из основных фонетических явлений картвельских языков. Она очень распространена в трех диалектах сванского языка (верхнебальском, нижнебальском и лашкском), слабо развита она в лентехском наречии того же языка и почти отсутствует в мегрело-чанском; в восточных диалектах современного грузинского языка она встречается чаще, нежели в западных (А. Шанидзе); случаи редукции в поволитературном грузинском более часты, чем в языке ряда памятников древнелитературного грузинского языка.

2. Редукция имеет место при присоединении к корню или основе префикса с гласным исходом и суффикса с гласным началом; ей подвергаются как корневой, так и аффиксальный гласный.

3. Редуцируются более или менее все гласные, но в этом отношении обнаруживается разница как между картвельскими языками и диалектами, так и между разными стадиями развития одного и того же языка (напр., в древнегрузинском редуцировались гласные *o i u*, но этого явления нет уже в новогрузинском).

4. В сванском языке установлены следующие правила редукции гласных:

а) Редукция гласных вызывается влиянием префикса или суффикса; случаи их одновременного воздействия редки. Суффикс воздействует только в том случае, если префикс по какой-нибудь причине (как, напр., долгота гласных и т. п.) не может вызвать редукцию (напр.: лент. ლი-ბატჳნი *li-xatv-i* — св. ლი-ბტჳნი *li-xatv-i* 'рисовать', но ა-ჯჳლ[ა]ტი *a-ǰel[a]t-i* 'подметает').

б) Редуцируются все недолгие гласные (*o e o u ǰ a e i o u ə*). Из них бесследно исчезают *o ǰ a ə* (в лашкском диалекте также *o ǰ i e*, за исключением определенных случаев), а другие (*o e o u i e o u*) оставляют какой-нибудь след: *o ǰ i e* умлаутируют предыдущие гласные (*o o u a o u*), *a o u o u*, теряя гласный элемент, превращаются в неслоговой *u* (напр.: ა-ǰ[ə]ნ-ი *a-ǰ[ə]n-i* 'пашет', ა-ბ[ǰ]ე-ი *a-b[ǰ]e-i* 'крепит', შ[შ]ი-ბ-ი *š[š]i-b-i* 'жжет', ა-ჭ[ე]შ-ი *a-ǰ[š]i* 'кóсят', ხა-თურ-ი *xa-tur-i* (— \*ხა-თორ-ო *xa-tor-i*) 'учит', ლა-სგურ-ა *la-sgur-a* (— \*ლა-სგურ-ა *la-sgur-a*) 'седалище'.

*Примечание.* В непривычных комплексах согласных, получаемых в результате редукции, появляется слогораздел *ǰ ə* (напр. შანკ *šank* 'дефект', но ხე-მგნკ-ი *xe-mǰnk-i* 'будет иметь дефект').

в) Редукции не подвергаются обыкновенно односложные корни или основы, если они, в результате наращенния аффикса, дают двусложную

форму (напр., შობ-ის შიხ-ის 'угля' (род. пад.), ლა-შობ ლა-შიხ 'место для угля'). Но, в случаях превращения их в трехсложную форму, корневой гласный редуцируется (ა-შ[ი]ბ-ო ა-ში[ი]ხ-ი 'жжет').

Редукция имеет место в некоторых двусложных именах и глаголах действит. залога, и в глаголах с флексией основ страд. залога, но в последнем случае она характерна только для верхнебальского наречия, напр.: ჭიშხ ჭიშხ 'нога', во род. ჭიშხ-ის ჭიშხ-ის 'хоровод', мн. ჭიშხ-ის ჭიშხ-ის 'ноги'... ხა-ფხე ხა-ფხე 'ты схватил'... ა-ტუხ ა-ტუხ (- лентех. ა-ტუხ ა-ტუხ) 'я вернулся'...

г) Редуцируется обычно один гласный. Сравнительно редки случаи редуцирования двух гласных в одном слове, напр.: ნიბაზიბი ნიბაზიბი 'двоюродный брат', 'двоюродная сестра', мн. ლა-ნიბაზიბი ლა-ნიბაზიბი-ა (- \*ლა-ნიბაზიბი-ა ლა-ნიბაზიბი-ა).

5. В грузинском, в отличие от сванского: а) редукция вызывается только суффиксом; б) редуцируются лишь три гласных ა ე ო а е о (из них бесследно исчезают ე ო а е, а ო о превращается в ვ v, который в соседстве с губными согласными тоже исчезает); в) редукция подвергается и одвосложные корни и г) нередки случаи одновременного выпадения двух гласных (напр.: ქბა კმა — \*ქამბა კამეა 'делать').

6. Правила редукции должны были быть общими в картвельских языках в древнейшее время; а именно: в древнегрузинском а) редукция имела место и при присоединении префикса с гласным исходом (ი-ქმ ი-ქმ — \*ი-ქმ ი-ქამ 'ты делаешь') и б) редуцировались также гласные ი უ ი u (напр.: ბიჯი ბიჯი 'шаг', აბჯენს აბჯენს (-\*ა-ბ[ი]ჯ-ენს ა-ბ[ი]ჯენს) 'упирает', თქვა თქვა (-\*თქვა თქუ-ა) 'он сказал').

7. Неслоговой უ u в древнегрузинском языке четвероякого происхождения: а) гласный უ u в силу редукции дает უ ŵ (напр.: სუ : სუ-ა 'он выпил'); б) согласный ვ v превращается в неслоговой უ u в соседстве с заднеязычными согласными (напр.: თავყანისცემა თავყანისცემა taqwaniscema 'поклонение', 'поклоняться'); в) согласный მ m переходит в неслоговой უ u при стечении согласных (напр.: ქმ[ა]რივი კმ[ა]რივი — ქურვი კურივი kwirivi 'вдова') и г) უ ŵ u получается, повидимому, в результате лабиализации согласных (напр.: აჩენს ა-ჩ-ენს 'выявляет', но უჩენებს უ-ჩ-ენებს 'показывает ему').

8. Редукция была свойственна и мегрело-чанскому языку, что видно по целому ряду случаев, выявленных путем сравнения с сванско-грузинскими (напр.: რჩა-ვა რჩ-არა=გრ. რე-ვა რე-ვა 'постилать', мегр. ურჩი რჩი 'плохой, худой'—сравнит. ст. უგრამი უგრამი — უ-ურამი უ-ურამი 'хуже'), но она была слабо развита. Этим и объясняется полвогласие, характерное для занского языка.

9. Редукция—явление более позднего происхождения. Она как по силе, так и по распространению неодинаково была характерна для всех картвельских языков и их диалектов.

### 3. თოჭურია

#### ბრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში<sup>1</sup>

აღიარებულია, რომ ენა ისტორიულად ცვალებადი მოვლენაა. ცვლა ხდება განუწყვეტლივ და იგი, ი. სტალინის მოძღვრებით, წარმოადგენს ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, განვითარების საფუძველს. ენის განვითარება კი შეპირობებულია მისი შემქმნელი და მატარებელი საზოგადოების განვითარებით. ცვალებადობას განიცდის ენის ყველა მხარე: ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა, ოლონდ ცვლის ტემპები ნაირგვარია.

ენის ცვლის პროცესში ქრება ესა თუ ის ძველი მოვლენა და წარმოიქმნება ახალი. ერთივ და მეორეც წარმოებს როგორც ერთსა და იმავე ენაში, ისე სხვადასხვა ენაში ერთდროულად ან სხვადასხვა დროს.

მაგალითად,

გარკვეულია, რომ ინდოევროპულ ენებში გარჩეული იყო სამი რიცხვი: მხოლოობითი, წყვილობითი და მრავლობითი. ამათგან წყვილობითი (მრჩობლობითი, ორობითი) რიცხვის თანდათანობით დაკარგვა შემჩნეულია ძველი ბერძნულის ატიკურ დიალექტში V საუკუნიდან ჩვენს ერამდე. 440—425 წლებს შუა დაბადებულნი პლატონი და ქსენოფონტე, რომელნიც წერდნენ ატიკურ დიალექტზე, წყვილობით რიცხვს მიმართავენ არაყოველთისა. შემდგომ იგი აღარ გვაქვდება სახელობითსა და ბრალდებითს ბრუნვებში, მაგრამ განაგრძობს არსებობას ნათესაობით ბრუნვაში და ისიც გარკვეულ პირობებში. ამ ბრუნვაში იყენებს მას დემოსთენე (383—322), მაგრამ 329 წლიდან უკვე ნათესაობითშიც აღარ ჩანს წარწერებში<sup>2</sup>. ეტყობა, წყვილობითი რიცხვი ატიკურ დიალექტში სრულებით გაქრა ერთი საუკუნის განმავლობაში. გაცილებით უფრო გვიან დაიკარგა იგი სლაურ ენებში — რუსულში, სადაც მხოლოდ გადმონაშთებია (один, два, три...), ლიტურში და სხვ., სამაჟიეროდ დღესაც ცოცხალია სლოვენურში და სხვაგან. ეგვემ წყვილობითი ახასიათებს არაბულს, მაგრამ იგი დაკულია, არ გადაშენებულა.

დადგენილია, რომ გრამატიკულ კლასის კატეგორია და მისი მორფოლოგიური გამოხატვა ისტორიულად ყველა იბერიულ-კავკასიური ენის სტრუქტურის ნიშანდობლივი თვისება იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში მისი გაგება დაეკარგა წყება ენებს, უწინარეს ყოვლისა ქართველურსა და შემდეგ მთის კავკასიურ ენებს — ლეზგიურს, უღურს, ყაბარდოულსა და სხვებს. მხოლოდ

<sup>1</sup> წაითხუთა მოხსენებად 1953 წლის 20 ივნისს ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა ი. სტალინის ფუძემდებელი შრომის მაკოსში და ენათმეცნიერების საკითხების გამოსვლის სამი წლის თავს.

<sup>2</sup> А. Мейс, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, რუსული თარგმანი, მოსკოვი, 1938, გვ. 53-54.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ხერხდება მისი გამოვლინება ამ ენებში, ზევრმა სხვა ენამ კი შემოგვინახა იგი თუ პირვანდელი სახით არა, სამაგიეროდ საკმაოდ სრულად და მკვიდრად.

მაგრამ გაქრობის თანმხლებია ახლის წარმოქმნა. ამისათვის ან ძველი მოვლენაა შეცვლილად, ფუნქციის შენაცვლებით გამოყენებული, ან სულ ახალი საშუალებაა შეძენილი. ამას ნათელყოფს ჩვენი სინამდვილეც. დასაბუთებულია, რომ გრამატიკული კლასის სისტემა შესცვალა ბრუნებისა და უღვლილების სისტემამ და გამოხატვის საშუალებად ენამ ძირითადად იგივე კლასის ნიშნები გამოიყენა<sup>1</sup>. შეიძლებოდა სხვა ფაქტების მოყვანაც, მაგრამ დებულების საილუსტრაციოდ ესეც კმარა—

ძველი და ახალი ქართულის შედარება გვიჩვენებს, რომ მოხდა რიგი ცვლილებები: ზოგი ფონეტიკური და გრამატიკული მოვლენა უკვალოდ დაიკარგა, ზოგიც შეიცვალა და აღმოცენდა ახალი, მანამდე უცნობი.

მაგალითად, ა) დაიკარგა ლიტერატურულ ქართულსა და რიგს დიალექტებში ბგერები ჯ, წყვილბაგისმიერი ვ;

ბ) ხმარებიდან გამოვიდა ხოლმეობითი (ზოგიერთი კილოს გამოკლებით);

გ) შეიცვალა სინტაქსური კონსტრუქციის ფუნქცია: ინვერსიულ ზმნებთან ხმარებული მიცემითი მოგვევლინა სუბიექტის ბრუნვად და შეიძინა სინტაქსური ძალა ზმნის შეთანხმებისა რიცხვში და სხვა ასეთები<sup>2</sup>.

ენის (ცვლის ფაქტების გამოვლინება არის საფუძველი ენის განვითარების კანონზომიერების დიდგენისა და შინაგანი კანონის შესწავლისა. ი. სტალინის მოძღვრებით, ენათმეცნიერების მთავარ ამოცანას სწორედ ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლა შეადგენს. ეს კიდევ თავის მხრით იწვევს ენის სხვადასხვა მხარეზე ყურადღების გამახვილებას, დანახვას იმისას, რაც აქამდე შეუმჩნეველი იყო, ან განზოგადებას იმისას, რაც კერძო მოვლენად იყო მიჩნეული.

ამ წერილის მიზანიც ეს არის. იგი წარმოადგენს ცდას თავი მოუყაროს სხვადასხვა კილოსა და ენაში ერთიანი პროცესით გამოწვეულ ცნობილ ფაქტებს და მათ ერთიანი საფუძველი გამოუნახოს. რომელია ასეთი ერთნაირი მოვლენები<sup>3</sup> და სად არის იგი აღმოცენებული?

1. ცნობილია, რომ ძველსა და ახალ ქართულში სახელთა ბრუნებისას ფუძე ცვლილებას (რედუქციას, კვეცის) განიცდის ბრუნვის ნიშანთა გავლენით და, პირიქით, ბრუნვის ნიშნებიც განიცდიან ფუძის ზემოქმედებას. ამ შემთხვევაში მოგვაგონდება ფუძის ბოლოკიდურ -ა და -ე ხმოვანთა მოკვეცა

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში და სხვა გამოკვლევები; გ. რ. თ. გ. ა. ვ. კ. вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адгских (черкесских) языках და სხვათა შრომები.

<sup>2</sup> განსხვავებანი აღწესებული აქვს ა. შანიძეს ძველი ქართული ენის სახელმძღვანელოში, ქ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. ძ. შრომაში—ენის განვითარების კანონზომიერების საკითხის შესახებ; იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, III, გვ. 116.

<sup>3</sup> წერილში ლაპარაკი არ არის ისეთ მოვლენებზე, როგორიცაა -თ ვ ი ს თანდებულანი ნათესაობითის ფუნქციით გამოყენებული ნათესაობითარი ვითარებითი ბრუნვა; მაგ.: კაცისა-და (ძე. ქართ.) = კაცისა-და (ხვეს., ფშ.) = კაც-იხ-და (რაქ.) — კაც-იხ-ა (გურ., აქარ., ქვ. იმერ.) = კოჩ-იშ-ოთი (გურ.) = მარგ-იშ-მ (სვან.), არ არის ლაპარაკი იმის გამო, რომ იგი საერთო ქართულ-ქართველური მოვლენა ჩანს და არა შემდეგ წარმოშობილი. ჩვენ კი აქ გვინტერესებს ერთიანი პროცესის ერთიანი შედეგები, მაგრამ სხვადასხვა ადგილასა და სხვადასხვა დროს მიღებული.



ნათესაობითსა და მოქმედებითში (სახ. მიწა, ღამე... ნათ. მიწ-ის, ღამ-ის, მოქმ. მიწ-ით, ღამ-ით); ისიც, რომ ბოლოხმოვნიან ფუძეთა ზეგავლენით ახალ ქართულში აღარა ჩანს სახელობითის ნიშანი -ე → -ა, მოთხრობითის სუფიქსის -ან ელემენტი (და წოდებითის ბოლოსართი -თ → -ვ), ხოლო ბოლოუკვე-ცელ ფუძეთა აქტიური ზემოქმედებით იკარგება ნათესაობითისა და მოქმედებითის ნიშანთა -ე (→ ა) ელემენტი და გვაქვს ახალ ქართულში ნაცვლად ძველი ქართულისა:

სახ. მიწა, ღამე	ნაცვლად ძველისა: მიწა-ა, ღამე-ა ო ღამწ
მოთხრ. მიწა-მ, ღამე-მ	მიწა-მან, ღამე-მან
(წოდ. მიწა-ვ ო მიწა, ღამე-ვ ო ღამე	მიწა-ო, ღამე-ო)
ნათ. ოქრო-ს	ოქრო-ას-ა
მოქმ. ოქრო-თ(ი)	ოქრო-ათ-ა

ასეთი ურთიერთგავლენით მიღებული შედეგები ფონეტიკური ხასიათისა და ამდენად იგი ბგერითი ცვლილებებია და არა მორფოლოგიური, გრამატიკული ცვლილებები. ეგ მოვლენა დამახასიათებელია როგორც ძველი და ახალი ლიტერატურული ქართულისა, ისე ქართული ენის დიალექტებისა. მაშასადამე, სახელის ფუძისა და ბრუნვს ნიშანთა ურთიერთმოქმედება საერთო ქართული მოვლენაა ისტორიულად.

რა მდგომარეობაა სხვა ქართულურ ენებში?

ზანურში (მეგრულ-ქანურში) ფუძე სახელთა ბრუნებისას ცვლილებას სრულებით არ განიცდის. ჩანს, ბრუნვის ექსპონენტთა გავლენა მასზე ნულამდება დაყვანილი. მაგრამ ამას ვერ ვიტყვი ბრუნვის ნიშნებზე: ბოლოხმოვნიანი ფუძე მათზე მოქმედებს და იკარგება სახელობითის -ე სუფიქსი და ნათესაობითისა და მოქმედებითის ნიშანთა -ე ელემენტი; მაგ.: სახ. თომა 'თმა', ნათ. თომა-ში (ნაცვლად ფორმისა "თომა-იშ 'თმისა', შდრ. ჯიხა-იშ-ი), მოქმ. თომა-თ, კან. თომა-თე (ნაცვლად ფორმისა "თომა-ით)<sup>1</sup>. ჩანს, ფუძისა და ბრუნვის ფორმანტთა ურთიერთმოქმედება შეიცვალა ცალმხრივ მოქმედებად ზანურში: ფუძე ახდენს გავლენას ბრუნვის ნიშნებზე.

სვანურში ანალოგიური მდგომარეობაა: აქაც ბოლოხმოვნიანი ფუძე უკვეცვლია. მაგრამ ფუძე ცვლის ბრუნვის ნიშნებს: სახელობითში -ე (თუ -ე) ნიშანი არა ჩანს და ამჟამად არც მისი გავლენის კვალი ეტყობა -ა, -თ, უ ბოლოხმოვნიან სახელებს<sup>2</sup> (დინა 'ქალიშვილი', ტუნუ 'ქოთანა'); ნათესაობითში -ეშ (თუ -ეშ) სუფიქსის ხმოვანი ელემენტი იკარგება ზემოსვანურსა და ლაშხურში, მაგრამ არა უკვეცვლი: საკომპენსაციოდ იგი წინა ხმოვანს აუჟღერებს და აგრძელებს დიალექტებში (დინაშ ბზ., დინაშ ლზ., დინაშ ბქვ., შდრ. დინაშ ლნტ. 'ქალიშვილისა'). მართალია, ბრუნვის ნიშანი ცვლის ფუძეს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მას არ კვეცს.

სვანურის მსგავსად რიგი ბოლოხმოვნიანი სახელების ფუძე უკვეცვლია ნათესაობითსა და მოქმედებითში ქართული ენის დასავლურ კილოებში—ქვემო-იმერულსა და გურულში. მაგ., ქვემოიმერულში: დეიდე, ბიძიე, ბაღანე, დანე...

<sup>1</sup> ნ. მარის, ი. ყიფშიძისა და არნ. ჩიქობავას მეგრულია და ქანურის გრამატიკულ მონობილვაში ჯერონად გაშუქებულია ეს საკითხი.

<sup>2</sup> ე ბოლოხმოვნიანები ცალკე დგანან. მათ შესახებ აქვე, მეორე მუხლში გვექნება დაპარაკი.

ნათ. დეიდეს, ბიძიეს, ბალანეს, დანეს ან: დეიდის, ბიძიის, ბალანის, დანის... მოქმ. დეიდეთ, ბიძიეთ... ან: დეიდით, ბიძიით, ბალანით და სხვ.<sup>1</sup>

გურულში: სახ. დაი, ძმაი, ყპაი, რძეი, ძამიეი...

ნათ. დაის, ძმაის, ყპაის, რძეის, ძამიეის...

მოქმ. დაით, ძმაით, ყპაით, რძეით და სხვ.<sup>2</sup>

გურულში მოვლენა უფრო შორს არის წასული: არც ფუძე იკვეცება და არც ბრუნვის ნიშანი იცვლება, მაგრამ ეს ითქმის მხოლოდ სახელთა გარკვეულ ნაწილზე<sup>3</sup>.

ამგვარად, სახელის ფუძე უკვეცელი რჩება გურულში, ქვემოიმერულსა, ზანურსა და სვანურში. გამოდის, რომ ბრუნვის ნიშნის ზემოქმედების შესუსტება კვეცის მხრივ, ე. ი. ფუძის უკვეცელობა და ფუძის მეტ-ნაკლები გაველენა ბრუნვის ნიშნებზე საერთოა ერგურისა და ცხენისწყლის ხეობის კილოთა და ენათათვის. აქ ფუძისა და ბრუნვის დაბოლოებათა ურთიერთმოქმედება შესუსტებულია ცალმხრივ მოქმედებამდე ან უმოქმედობამდე. ამ საერთო მოვლენას საერთო საფუძველი აქვს. მაგრამ მარტო ეს არ არის საერთო.

2. სვანურში - ე ბოლო- თუ შიგნი-ხმოვნიან სახელთა ბრუნება განმარტობით დგას. სახელობითსა, მოთხრობითსა და მისგან ნაწარმოებ ნათესაობითში - ე ჩანს, სხვა ბრუნვებში კი - ა (სახ. მარე 'კაცი', მოთხრ. მარემ, ნათ. მარემ-იშ, მაგრამ: მიც. მარა, მოთხრ. და ვითარ. მარა-დ, მოქმ. მაროშ ← მარაევ ← მარაშე). ამ თავისებურებამ, ბუნებრივია, განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია: იგი შეფასებულ იქნა ორფუძიანობად და ჩაითვალა ისეთი მნიშვნელობის ფაქტად, როგორცაა მთის კავკასიურ ენათა, კერძოდ ხუნძურის, სახელთა ორფუძიანობა<sup>4</sup>.

შემდგომმა კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ სვანურის ანალოგიური ვითარებაა გურულსა და განსაკუთრებით ქვემოიმერულში. რიგი ქართული - ა ბოლოკიდურიანი სახელი - ე ხმოვნიანი სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში: ბაბუე, დაიე, ძამიე, ბიცოლე, ბაქიე, ტომარე, ბუზარე... ბაბუენის, ბიცოლენის, ბუზარენის... ბაბუენით, ბიცოლენით, ბუზარენით და სხვ., მაგრამ სხვა ბრუნვებში - მოთხრობითში, მიცემითსა და ვითარებითში, აგრეთვე წოდებითს ფორმაში დაცულია ამოსავალი - ა ბოლოკიდურიანი - ფუძე: ბაბუამ, ბიცოლამ... ბაბუას, ბიცოლას... ბაბუათ, ბიცოლათ... ბაბუა! ბიცოლა!..

ეს თავისებურება კარგად არის დაცული ქვემოიმერულ ცოცხალ მეტყველებასში და შეუცდომლად აქვს გამოყენებული ნიკო ლორთქიფანიძის პერსონაჟთა მონოლოგში თუ დიალოგებში: „მევიდენ სოფიკე ბიცოლე და სამსონე, ჩემი ნათლიე“ (იმერი, გვ. 174); „ბაბიე ქე უძახის“, მაგრამ: „ბაბიამ გოკი დაქლა“; „ოლღაიე პირველათ შეძერა“, მაგრამ: „მითხრა ოლღა-

<sup>1</sup> ოტ. კახაძე, --ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, გვ. 189 და სხვ.

<sup>2</sup> ს. უღენტო, გურული კილო, თბილისი, 1936, გვ. 58.

<sup>3</sup> ასეთივე ტენდენცია შეინიშნება ხევსურულსა და ფერეიდნულში, ოღონდ გაცილებით უფრო მცირე შემთხვევათა მიხედვით (მაგ.: დროშაის ტარი: ხვეს. 123, სუყველაის კარად მიე: 129, ყანას ენვა: ფერეიდნ. 212, დანაათ, სუფრაათ: იქვე, და სხვ.).

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში: სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივ. შრომები, XVIII, გვ. 56.

ი ა მ ე; „რატომ ისობს დე დ ი ე უმარულს?“ მაგრამ: „დე დ ი ა მ უმარული წეისეა“, „ზოგი: კი აზართლებდა დე დ ი ა ს“ (იქვე, გვ. 174—176)

მოვლენა სწორად არის შენიშნული და ნაჩვენებია იმერულ და რაჭულ თქმითა სიტყვის-კონაში“ (გვ. IV) და შ. ძიძიგურის შრომაში<sup>1</sup>, საკითხი საგანგებოდ და ღრმად აქვს შესწავლილი ოტ. კახაძეს<sup>2</sup>.

ახსნილია -ე ბოლოკიდური ხმოვნის წარმომავლობაც. იგი მიღებულია ბოლოკიდური -ა-საგან სახელობითის -ე ნიშნთან რეგრესული ასიმილაციით: დეიდა+ი → დეიდე და შემდეგ -ე დაბოლოების მოკვეთით: დეიდე. ამას თვალნათლივ ამტკიცებს ნათესაობითი და მოქმედებითის ფორმები (დეიდა+ის → დეიდე+ის → დეიდე+ს... დეიდა+ით → დეიდე+ით → დეიდე+თ)<sup>3</sup> და, როგორც ქვევით დავინახავთ, გურულის მონაცემები.

მაშასადამე, სადაც არის ბრუნვის ნიშანი -ე (სახ.) ან ნიშნისეული -ე ელემენტი (ნათ.-მოქმ.), იქ ფუძისეული ბოლოკიდური -ა იქცევა -ე-დ ნაწილობრივი ასიმილაციის მეოხებით<sup>4</sup>, სადაც -ე არ არის მოსალოდნელი, იქ -ა რჩება უცვლელად.

ამ წესს არ ექვემდებარება: ერთმარცვლიანი სახელები (და, ძმა, ქვა, ზღვა, გზა... მაგრამ: დეიდე, ძელქვე...)<sup>5</sup>, რიგი ორ-და მეტმარცვლიანი სახელები (დედა, შამა, შარა, ქვეყანა...)<sup>6</sup>.

ზემოაღვრული ამ მხრივ მისდევს ქვემოიმერულს: აქაც -ე გვევლინება სახელობითში, ნათ-სა და მოქმედებითში -ა ბოლოსმოწინა სახელებთან; მაგ.: „მუღებდა პატარე გოგოე“, „უთხარი — დედი გოგოესაა-თქვა“ (ნათ.), მაგრამ: „წვეიდა პატარა გოგოამ“, „უთხრა პატარე გოგოას“, „ვისია, გოგოა, მია ცხენიო?“ „მისცა რვა ტუშარე ოქრო“, მაგრამ: „რვა ტუშარა ოქროთო“ (ვითარ.) და ასე: ყველე, იქინე და სხვ. (ს. ელენტი, გურული კილო, გვ. 104—106). -ე რომ ბრუნვის -ე დაბოლოებასთან ასიმილაციით არის წარმოშობილი, ამას ნათელყოფს საინტერესო დაპირისპირება ზემოაღვრულისა ქვემოაღვრულთან; მაგ.:

ზ. გურ.	ჰ. გურ.
ბალანა/ე	ბალანი
ბაბუა/ე	ბაბუაი, ბაბუეი
ძამია/ე	ძამიეი

<sup>1</sup> К характеристике нижнеимерского говора грузинского языка, გვ. 124.

<sup>2</sup> -ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელს ბრუნებისათვის ქვემოიმერულში, გვ. 183—192.

<sup>3</sup> შ. ძიძიგური, ხოვანთა კომპლექსების დონტიკურ პროცესთა საერთო საფუძვლი ქართულ კილოებსა და ხანჯრში: იხრეკულ-კავკასიურთა ენათმეცნიერება, I, გვ. 22.

ოტ. კახაძე, დასაბუღებული შრომა, გვ. 184—186.

უნდა შეენიშნათ, რომ -ა+ი → -ე+ი არა მარტო კნინობით სახელებში, როგორც ეს შ. ძიძიგურს აქვს ნათქვამი (გვ. 22), არაუღ სხვა შემთხვევებშიც (ძელქვე, დეიდე, დანე.. შდრ. ოტ. კახაძე, გვ. 191). არც ისაა სწორი, თითქოს ტომარე და მისთანა ფორმებში -ე ნიშანი ხელახლა იყოს დართული (К характ. нижнеимерского говора, გვ. 124), შდრ. მისივე ხმოვანთა კომპლ., გვ. 22, სადაც მოცემული ახსნა მისაღებია.

ამ გზით არის მიღებული იმერული სახელი ქუთისი და უთუოდ გვარებიც: ცაგარეი-შვილი, ჯიშველი შვილი, ჯინკველი შვილი, რუსეი შვილი... (შდრ. რუსაძე)...

<sup>4</sup> ოტ. კახაძე დასაბ. შრომა, გვ. 191.

<sup>5</sup> აქ არ ვხვებით ბოლოკიდური -ას სრულ ასიმილაციას -ე-სთან: კალი (≠ კალიე), კოწი (≠ კოწიე), პეტროი (იმერი, გვ. 166) და სხვ., რამდენადაც ჩვენი საკითხისათვის მას მნიშვნელობა არა აქვს.

ლობიე	ლობიაი, ლობიეი
გაბილა/ე	გაბილაი
პავლია/ე	პავლიაი, პავლიეი და სხვ. <sup>1</sup>

ამ ქვემოკურულმა მოვლენამ თავისი ასახვა პოეზიაში ეგნ. ნინოშვილის მოთხრობებში: „მომართიე აქანაი“ (გვ. 148); „ბალანაია“ (გვ. 174); „დათიკაის სიმინდი“ (173)... და იქვე: „ჩემი ძამიეი“ (176); „პავლიეის დაი“ (177)<sup>2</sup>... ასევე აქარულში. როგორც ვხედავთ, ქვემოკურული ფორმები ამოსავალია ზემოკურული და ქვემოიმერული ფორმებისათვის.

ლენჩხუშურიც ქვემოიმერულს ჰგავს უმთავრესად კნინობით სახელთა გაფორმებაში: იასონე (— იასონაი), ვასილე, ტარიელე და სხვ.<sup>3</sup>

მეგრულში რიგი -ე ბოლოზმოვნიაიანი სახელი მომდინარეობს -ა ბოლოზმოვნიაისაგან. ამას ამტკიცებს შემდეგი:

ა) ქართულიდან ნასესხებია -ა-ნიანი ფორმა და მეგრულში ქცეულია -ე-ნიან სახელ: ბამბე (— ბამბა), კინკე (— კინკა) და ასე: ტომარე, ქვიჯე, კართე (— კალთა)... არაა საფიქრებელი, რომ „ტომარე“ და მისთანები უშუალოდ ქვემოიმერულიდან იყოს შესული, რადგანაც -ე-ნიანი გვაქვს მაშინაც, როცა ქვემოიმერულში -ა-ნიანია (ბამბა...).

ბ) ნასესხები -ავ-ი ნაწილიანი სიტყვებიც -ე-ნიან სახელ იქცევა: კარე (— კარავი), ანბე (— ამბავი), კილე (მკლავი)...

გ) საერთოდ აი — ე: მესი (— მაისი); სენი (← საინი), ბერალი (← ბაირალი), პენქი (← პაიქი)... უნდა დაეუშვათ, რომ „ბამბე“ და მისთანებში -ე ← ა+ი-საგან, ისე როგორც ეს ქვემოიმერულშია, ოლონდ უკანასკნელისაგან მეგრული იმით განსხვავდება, რომ -ე შეხორცებულია ფუძეს და იგი ყველა ბრუნვაში გადაჰყვება (მოთხრ. ბამბე-ქ, მიც. ბამბე-ს და სხვ.)<sup>4</sup>.

მეგრულსა და ქანურში ბევრია როგორც ნასესხები, ისე საკუთარი -ა ბოლოკიდურიანი სახელები, რომელთაც ცვლილება არ განუცდიათ: დლა 'დლე', თხა, თუთა 'მთვარე; თვე', ნანა 'დედა', ბაბა 'მამა', ბიცხა, ქან. ბუცხა 'ფრჩხილი', თომა 'თმა', ქორა. ქან. ქორბა 'ჩუტელი' და სხვ.

ბევრია აგრეთვე სიტყვა, რომელთა ბოლოკიდური -ე სიტყვაწარმოებითი სუფიქსია და გენეზისით არ ემთხვევა სახელობითის -ე-ს: ო-ქუმარ-ე 'დილა', სიტყვასიტყვით: 'სახელობა', ო-ისირ-ე 'საისლე', ო-ქოთომ-ე 'საქათმე' და სხვ.

რა მდგომარეობაა სვანურში? როგორც ზემოთ დავინახეთ, -ე ბოლოკითუ ზოგი შიგნითმოვნიაიანი სახელი ბრუნებისას ისე იცვლის ფუძეს, როგორც ქვემოიმერულში. მაშასადამე, ფუძის ცვლა და სახელობითში -ე-ს გაჩენა უთუოდ შედეგია ფუძისეულ -ა-ს ასიმილაციისა სახელობითის -ი, resp. -ე დაბოლოებასთან: მარა + -ი (-ე?) → მარე 'კაცი'. ბრუნვის ნიშანი -ი რომ იმსგავ-

<sup>1</sup> ს. ძღენტი, გურული კილო. გვ. 44-45, 65.

<sup>2</sup> ეგნატე ნინოშვილი, ტ. I, თბილისი, 1950.

<sup>3</sup> მ. ალავიძე, ლენჩხუშურის თავისებურებანი: აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პენიტენციური შრომები, II, 232.

<sup>4</sup> ქანური ამ მხრივ განზე დგას. აქ ბოლოკიდური -ე ამჟამად ფუძისეულია, მაგრამ წარმოშობით იგი სახელობითი ბრუნვის ძველი ნიშანია, შესატყვისი ქართული -ი სუფიქსისა; მაგ.: კუჩხ-ე = მეგრ. კუჩხ-ი, ქართ. კვარცხლ-ი; ბერ-ე = ბერ-ი 'შვილი, ბიჭი' (ნ. მარი, ქან. გრამ, გვ. 9-10, დაწვრილებით არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქან. გრამატ. ანალიზი, გვ. 49-51, 53).

სებს ფუძისეულ ხმოვანს, ამას უმლაუტის წესი ადასტურებს: ხამ — ხამ + ი 'ლორი', ჯან — ჯან + ი 'ხარი'¹...

ამდენად, ვარაუდი, რომ -ე ბოლოხმოვანთა ამოსავალ ფუძედ -ა ბოლო-ხმოვანიანებია მისაჩნევი და -ე მომდინარეობს -ა-საგან², საყსებით გასაზიარებელი ჩანს (ა. შანიძე, თ. შარაძენიძე). ირკვევა, რომ ამათ წრეში შემოდის ზოგი -ე- შიგნიხმოვნიანიც: ხეხე 'ცოლი', ეშუ 'ერთი', სემი 'სამი', ეელე 'ძალი' და სხვ.

მართალია, ზოგი რამ ჯერ კიდევ დასაზუსტებელია (სახელობითში -ი სუფიქსი იმსგავსებს -ა-ს თუ ოდინდელი -ე სუფიქსი; თუ „ხეხე“ და მისთანა ფორმები სახელობითის დაბოლოებასთან ასიმილაციითაა მიღებული, რატომ არ ვრცელდება ეს „ხამ, ჯან“ და მსგავს შემთხვევებზე; თუ მეორეულია -ე- „ხეხე“ და მისთანებში, რატომ იწვევს ის უმლაუტს: ლახხე 'ცოლები' და სხვ.), მაგრამ ე-ს გენეზისი რომ სწორადაა დადგენილი, ეს უდავო ჩანს.

სვანურის ამ თავისებური მოვლენის ახსნას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ისტორიულ-გენეზისური თვალსაზრისით. სახელდობრ: ა) სვანურში დასტურდება სახელის ორფუძიანობის ტიპი, მაგრამ იგი ფონეტიკური ხასიათისაა. ამდენად სვანური საყსებით ემთხვევა იმერულ-გურულს ორფუძიანობის ტიპით და სცილდება კავკასიურ (ხუნძურ და მისთანა) ენებს³, სადაც ორფუძიანობა მორფოლოგიური წარმოშობისაა.

ბ) „სემი, ეელე“ და მისთანა -ე- ხმოვნის ამოსავალი თუ -ა- ხმოვანია, მაშინ ამ ნაწილში ზანურობის საკითხი იხსნება და სვანური ქართულს დაემთხვევა. ამ შემთხვევაში სვანური -ე- კი არ არის ზანური -ი-ს ნაუმლაუტევი ხმოვანი, არამედ ა. შაშასადაძე, ქართულ-სვანურის ხმოვნითი შესატყვისობა სხვა სიბრტყეზე დგება: ქართ. ა = სვანურ ე-ს კი არა, არამედ ა-ს, როგორც ეს სწორად იყო აღნიშნული (არნ. ჩიქობავა, თ. შარაძენიძე)⁴.

საერთოდ, რიგ სახელებში ბოლოკიდური -ე შეიცავს ამოსავალ ფუძისეულ -ა-სა და ბრუნვის -ი- ნიშნის კვალს. ეს მოვლენა საერთოა ქვემოიმერულ-ზიგურულ-ლიგზებურ დიალექტებში, მეგრულსა და სვანურში. მაშასადაძე, ამ საერთო მოვლენას საერთო საფუძველი აქვს, მაგრამ იგი არ არის არც საერთო ქართულ-ქართველური და არც ძალიან ძველი. წარმოიშვა წმინდა ფონეტიკურ ნიადაგზე ასიმილაციის გზით უთუოდ სხვიდასხვა დროს და სხვადასხვა გავრცელებითა და ინტენსივობით. იგი არ შეიძინევა აქართულში, ზემოიმერულსა და რაქულში, მით უფრო აღმოსავლურ დიალექტებში.

შ. ძველ ქართულში III პირის მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად ეველა ნამუოში (უწყეტალი, წყეტლი, თურმეობითი II) გამოყენებული იყო

¹ ა. შანიძე. უმლაუტი სვანურში; ჩვენი: სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში.

² ეს არ ვრცელდება წარმონაქვნი სახელებზე, სადაც -ე სიტყვაწარმოებითი სუფიქსია: მუამ-ე 'მესამე', ლეღვ-ე 'დაშავებული', ლიღვ-ე 'გაქრობა' და სხვა მრავალი.

³ ამათში ლაკური ენა არ შემოდის: იქ ორფუძიანობა მორფოლოგიური ხასიათისა არა ჩანს. ბრუნვის ნიშნის წინ ნათესაობითი გამოვლენილი ელემენტი ფუძისეულია, იგი სახელობითში მოკეცილია (ჩვენი: ბრუნვის სისტემისათვის ლაკური ენაში: საქართველოს მუხუმის შობებ, X ბ, გვ. 232, შფ. 1).

⁴ გ. რ. გ. ა. ე. ა., ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, გვ. 50-51.

-ებს სუფიქსი. ახალ ქართულში იგი შერჩა გარდამავალ ზმნებს წყვეტილში, ხოლო -(6)ენ გაუჩნდა გარდაუვალ ზმნებს იმავე წყვეტილში და ყველა ზმნას უწყვეტელში, აწმყოში კი გვაქვს -ენ და -ან სუფიქსები (აქებ-ენ, მკი-ან... შეაკ-ეს, მაგრამ: აქებდ-ნ-ენ, წავიდ-ნ-ენ). ამჟამად გურულში, იმერულსა და ლეჩხუმურში გაბატონებულია -ენ სუფიქსი. მაგ., გურულში: არიენ, დგებიენ (ს. ქლენტი, 62), „ბალანე უნახავენ, შეშინებულარიენ, მარა ვეფერი გვევენ“ (იქვე, 109), „თასში ჩაახსენ წყალი და გამორეცხენ“ (106) და სხვ. ძველი ფორმები გამოყენებული აქვს ეგნ. ნინოშვილს, ოლონდ იშვიათად.

იმერულში: მოსულარიენ, დგანარიენ, იმლერენ... მოკლენ, კამენ (აწმყო და ნამყო ერთნაირადაა), მიცენ და სხვ.

ლეჩხუმურში: უმკიენ, თოხნიენ, ყრიენ, მიდიენ... მაგრამ გარდამავალ ზმნებს -ეს სუფიქსი დაცული აქვთ წყვეტილში: მოქრეს, მოკლეს, წაიყვანეს და სხვ.<sup>1</sup>

მეგრულმა და ქანურმა უწყვეტელსა და წყვეტილში შემოინახეს ძველი ქართულს-ვითარება—სუფიქსი -ებს (ქარუნდეს 'წერდნენ', დოქარეს 'დაწერეს'; ქან. ზუმუმტეს 'ზომავდნენ', ზუმეს 'ზომეს')<sup>2</sup>.

რით აიხსნება ეს საერთო მოვლენა? მხოლოდ უნიკორმაციით, ენის ტენდენციით, რომ ერთისა და იმავე ფუნქციის მატარებელი ნაირ-ნაირი ფორმები ერთ ფორმამდე დაიყვანოს. ეს ფორმათა უნიფიკაცია ენის განვითარების შინაგან კანონს განეკუთვნება და იგი ახასიათებს რიგ ენებს. მაშასადამე, ფორმათა უნიფიკაცია გვაქვს იმერულ-გურულ-ლეჩხუმურში.

4. ინვერსიულ ან გაინვერსიულების გზაზე მდგომ ზმნებში, იქნება იგი გარდამავალი თუ გარდაუვალი ზმნა, მიცემით ბრუნვაში დასმული II და III პირის რეალური სუბიექტის მრავლობითობის გამოსახატავად საბოლოო ტენდენცია იჩენს თავს: ერთია — ყუ ნაწილაკის გამოყენება ქართული ენის წყება დიალექტებში, როგორცაა: რაქვლი, ლეჩხუმური, იმერული, ფერეიდნული, ინგილოური, კახურ-ქიზიყური და მთიულურ-მოხეური<sup>3</sup> (მაგ.: უთქომ-ყე/უთქვამს-ყე, უქნია-ყე, ინგ. აუგლევია-ყ...). მეორეა — ყუ ნაწილაკის ნაცვლად I და II სუბიექტური პირის მრავლობითობის -თ სუფიქსის ხმარება ახალ ლიტერატურულ ქართულსა და ქართულ დიალექტთა აბსოლუტურ უმრავლესობაში<sup>4</sup> (უთქვამთ, უქნიათ, უყვართ, გიყვართ, აქვთ, გაქვთ და სხვა). მესამეა — III სუბიექტური პირის მრავლობითობის სუფიქსის დართვა ქვემო-იმერულ-გურულ-აქარულ-მესხურსა და ზანურ-სევანურში. მაგ.:

ქვემოიმერულში: გებურენ, გეძინენ, დოუნიშენ, გაქვენ, გეყოფიენ და სხვ.<sup>5</sup>

გურულში: გეძინენ, გეყვენ, ქონდენ, მოყავენ<sup>6</sup>... და ნაგალითები ეგნ. ნინოშვილის მოთხრობებიდან: ეძინენ, გეესწრენ და სხვ. (ტ. I, გვ. 242, 243).

<sup>1</sup> მ. ა. ლ. ა. ი. ძ. ე, დასახ. შრომა, გვ. 233.

<sup>2</sup> არნ. ჩ. ი. კ. ბ. ა. ე, კან. გრამატ. ანალიზი. გვ. 137-138.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, ყუ ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: წელიწადეული, გვ. 59, 65.

<sup>4</sup> იქვე, 59, 66.

<sup>5</sup> შ. ძ. ი. ძ. გ. უ. რ. ი. ა, К характеристике нижнеиммерского говора. გვ. 131.

<sup>6</sup> ს. ქლენტი, გურული კილო. გვ. 62.

აქარულში: გვაქვენ, გაქვენ, იქვენ, ყავენ, გეთქვენ, მოგვხსენებინ და სხვ.<sup>1</sup>

ზანური: მილუნ-აწ, გილუნ-აწ, ულუნ-აწ

სევანური: ჯულვა-ხ, ხულვა-ხ 'გაქვთ, აქვთ'<sup>2</sup>.

-თ სუფიქსის გამოყენება ქართულში ახალი ჰოვლენაა, იგი ყოველ შემთხვევაში არ გვხვდება XVI საუკუნეზე ადრე. პირველად დადასტურებულია საბუთებში<sup>3</sup>. უთუოდ გვიანდელი წარმოშობისაა სევანურსა და ზანურშიც. ამ მოვლენის წარმოჩენას საერთო საფუძველი აქვს, ოღონდ გამოხატვის საშუალება სხვადასხვაა. საერთო საფუძველი ისაა, რომ, როგორც არაერთხელ აღნიშნულა, ენაში მოხდა გარდატეხა და გრამატიკული ობიექტი რეალურ სუბიექტად იქნა გაგებული და სუბიექტმა კი მისთვის შესაფერი მრავლობით რიცხვში შეთანხმების სინტაქსური ძალა შეიძინა. ახალმა ფუნქციამ ახალი ფორმობრივი გამოხატულება პოვა, ოღონდ საკითხავია, გასაფორმებლად რატომ იქნა არჩეული სხვადასხვა სუფიქსი. ჩვენთვის საინტერესო ფაქტი აქ ისაა, რომ ქართული ენის დასავლურ კილოებს — ქვემოიმერულს, გურულსა და აქარულს — ერთგვარობა ახასიათებს მეგრულ-ქანურთან და სევანურთან (ყავენ = ცუნ-ან = ხაყა-ხ).

ბ. ისევ მორფოლოგიიდან. თურმეობითის, უნახავი, სხვისგან განაგონი ფორმის საწარმოებლად მეგრულში გამოყენებულია აგრეთვე ნო- პრეფიქსით წარმოქმნილი ნამყოს მიმღეობა პლუს მეშველი ზმნა:

ნოქარუ+ე 'ნაწერა', ნოკითხირუ-ე 'ნაკითხავა' და სხვა. იგი ქმნის მთელ სისტემას მეგრულში: ნოქარუე-დ-უ 'ნაწერიყო', ნოქარუე-დ-ა-ს 'ნაწერიყოს'...

მეგრული ამ მხრივ ცალკე არ დგას. სევანურშიც ამავე აღნაგობისაა: ლემზრდ 'ნამყოფა', ლემგემუნ 'ნაშენება', ლემდიგენ 'ნაქრობა'...

მეგრულინისებრი აღნაგობისა და ფუნქციისაა რაქული, იმერული და ლეჩხუმური ფორმები: ნაკითხავა, ნაწერა, ნაყურება, ნაყვარება და სხვა მრავალი.

მოვლენა საერთო ქართულ-ქართველური არ არის. იგი წარმოშობილია სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენაში (სევანურში, მეგრულში და ქართულ კილოებში)<sup>4</sup>. მის გაჩენას საერთო საფუძველი აქვს.

გადავიდეთ სინტაქსზე.

გ. მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობის განვითარების ისტორია საკმაოდ ცნობილია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი მოვლენა: ერთი ის, რომ პოსტპოზიციური წყობა მთლიანად შეიცვალა პრეპოზიციულით და უკანასკნელი გაბატონდა კიდევ (მაგ.: ვრცელი ქვეყანა და არა: ქვეყანა ვრცელი) და მეორე: ამას- მოჰყვა შეთანხმების შესუსტება: ბოლო-

<sup>1</sup> ჯ. ნ. ო. ლ. ი. დ. ე. ლ. ი., აქარულის თავისებურებანი (გამოსაცემად დამზადებული შრომა), გვ. 54-55.

<sup>2</sup> არნ. ჩ. ი. კ. ო. ბ. ა. ვ. ა. ყ. ნაწილაკი. გვ. 28-29.

<sup>3</sup> ანტ. კ. ი. ბ. ი. ო. ა., საერო მწერლობის ძეგლთა ენის სინტაქსის ზოგიერთი საკითხი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, გვ. 137.

<sup>4</sup> ჩვენი: სევანური ენა. გვ. 134-139. დაწერილობით შედგენილობისა, ფუნქციისა და გამოყენების, აგრეთვე გენეზისის თვალსაზრისით განხილული აქვს გ. რ. ო. გ. ა. ვ. ა. ს., დრო-კილოთა მეოთხე უკუდუის ნაკვთები ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, გვ. 17-32.

ხმოვნიან სახელთა შეთანხმების მოშლა საზღვრულ სახელებთან (მწვანე ველმა, მწვანე ველს...).

ქვემოთმეტრული ლამობს ერთგვარობა დაამყაროს მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობაში ბოლოთანხმოვნიანებისა ბოლოხმოვნიანებთან, ე. ი. უცვლელად შეუგუოს ყველა მსაზღვრელი საზღვრულს; მაგ.:

შენი მეზობელმა ჩემი ძმამ დიდი სახლმა  
შენი მეზობელს... ჩემი ძმას... დიდი სახლს<sup>1</sup> და ა. შ.

ეგვე შეინიშნება გურულში.

საკვებით ასეთი მდგომარეობაა მეგრულ-ქანურში (დიდი ოხორიქ 'დიდ-მა სახლმა', დიდი ოხორის 'დიდ სახლს'...) <sup>2</sup>. კაცი იფიქრებდა, რომ იმერულში ეს შეთანხმების დარღვევა მეგრულის გავლენაო, მაგრამ ანალოგიური ვითარება შენიშნულია ფერეიდნულსა <sup>3</sup> და ქართლურში <sup>4</sup>. (მაგ.: ქართლ. მოქირილი თავებსა, ტრიალი მინდორზე... ფერეიდნ. ჩემი ამხანაგებმა ც. და სხვ.)-მასასადამე, მოვლენა სცილდება ზანურის გავლენის არეს.

ხვანურში შეთანხმების შემთხვევები გვაქვს -ე და -ა ბოლოხმოვნიანი მსაზღვრელისა საზღვრულთან (თვეთნე ჯნ 'თეთრი ხარი', ხოჩა მწარე 'ქარგი კაცი', მიცემითი კი თვეთნა ჯნს, ხოჩამ მწარა...), მაგრამ არის ტენდენცია აქაც მსაზღვრელის უცვლელად დატოვებისა (თვეთნე ჯნს...) <sup>5</sup>.

რით აიხსნება ეს? საერთო პროცესით, სინტაქსური ურთიერთობის გამარტივებისაკენ ტენდენციით. იგი დაიწყო ადრე და დღესაც გრძელდება: ზანურში დამთავრებულია, სვანურსა და იმერულ-ფერეიდნულ-ქართლურში იწყება და გაგრძელდება, თუ იმერულ-ქართლურში სალიტერატურო ენის გავლენამ არ შეაჩერა.

7. ქართველურ ენათა საერთო წესი იყო გარდაუვალ ზნებთან ქვემდებარის გამოყენება სახელობით ბრუნვაში. ეს წესი წმინდად შემორჩა სვანურს, ქანურს, და ძირითადად ქართული ენის რიგ დიალექტებს. მაგრამ იმავე ქართული ენის კილოებში ნორმის დარღვევა დაიწყო: ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში შეეგუა გარდაუვალ ზნასაც, ცალმხრივი მართვის ნაცვლად მივიღეთ საურთიერთო მართვა: კაცმა წავიდა, მოხუცმა მოკვდა, ბავშვმა ადგა, ქალმა შეეკითხა და სხვ.

ეს პროცესი მეგრულში კარგა ხანია დამთავრდა (კოჩქ დოლურუ 'კაცმა მოკვდა'...) <sup>6</sup>, ქართული ენის კილოებიდან ფართოდ გავრცელდა გურულში და აგრეთვე ქვემოიმერულში, ფეხს იკიდებს რაჭულში, ქართლურში, კახურში და სხვაგანაც და, რაც საინტერესოა, ფერეიდნულში. სათანადო მაგალითები დასახელებულია ამ კილოებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში.

<sup>1</sup> შ. ძიძიგური, К характеристике. გვ. 133.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკა. ახალიბი, გვ. 68—71.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფილისის უნივ. მოამბე, VII, გვ. 215.

<sup>4</sup> არ. თაყაიშვილი, ქართული კილოს თავისებურებანი (კასპის რ. შეკრებილი მასალების მიხედვით): სტუდენტთა XV სამეცნიერო კონფერენცია, 1953, გვ. 173.

<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ სვანურში ამჟამად ე ფუძიანი სახელები ბრუნებისას ხშირად ფუძის არ იცლიან ახალგაზრდების მტკვევლებში (ნ. კოტიხოვი, -უ ხმოვნიან სახელთა ბრუნებისათვის სვანურში: სტუდენტთა XV სამეცნიერ. კონფერენცია, გვ. 163).

<sup>6</sup> ქანურში სუბიექტი გარდაუვალ ზნებთან მხოლოდ სახელობითშია, გარდამავალ ზნებთან მოთხრობითში. მაშასადამე. უნიფორმაცია გატარებულია ყველა სერიაში (ქანურის გრამატიკა. ახალიბი, გვ. 103-104, 180—184).



ამგვარად, ეს მოვლენაც საერთოა შევარული ენისა და ქართული კილო-ებისათვის. მის წარმოშობას საერთო საფუძველი უძევს. ესაა: აქტიური, დინამიკური ზმნების გათანაბრება და მათთან II სერიაში ქვემდებარის უნიფიკაცია მოთხრობით ბრუნვაში, ჩანს, აქაც ტენდენციაა უნიფორმაციისაკენ.

ამით შეიძლება დავეთავროთ საერთო მოვლენების ილუსტრაცია, თუმცა იგი ამოწურული არ არის. ჩვენ აქ არ შეეჩერდით ნაცვალსახელთა ბრუნვაზე, თანდებულებზე, ნაწილაკებსა და სხვებზე.

რაც წარმოდგენილია, იმის მიხედვით ჩანს, რომ:

1. ქართველურ ენებში გვაქვს რიგი ახალი გრამატიკული წარმოქმნა. ესენი საერთოა უმთავრესად ქართული ენის დასავლურ დიალექტებსა და ზანურ-სვანურში. პროცესი ზოგი მოვლენისა უკვე დამთავრებულია, ზოგისა ახლაც გრძელდება. მაშასადამე, ესა თუ ის მოვლენა წარმოშობილია ერთდროულად ან სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენასა და კილოში.

2. ეს ახალი წარმოქმნანი გავრცელებულია ენათა და კილოთა ერთ ზონაში. თითქოს ეს არსებითი მნიშვნელობის ფაქტია მოვლენის ასახსნელად: ერთ ზონაში მოქცეულ სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში სხვადასხვა დროს წარმოშობილი ერთნაირი მოვლენები ალბათ ენათა ურთიერთგავლენით აიხსნებაო, — იტყვოდა კაცი, მაგრამ არა. მეტ-ნაკლები ურთიერთმოქმედება გამოსარიცხი არ არის, მაგრამ იგი მინც არაა მთავარი.

3. ერთგვარ მოვლენათა წარმოშობას ერთგვარი საფუძველი უძევს. ეს საერთო საფუძველი გზადაგზა დაისახა. ესაა: ა) ახალწარმოშობილი ერთნაირი ფუნქციის ერთნაირად გამოხატვა ენაში არსებული საშუალებებით;

ბ) ენის ტენდენცია რთული ფორმის გამარტივებისაკენ;

გ) ენის ტენდენცია სხვადასხვა ფორმის გაერთოფორმინებისაკენ, უნიფორმაციისაკენ.

4. ეს საფუძველი სხვა ენებშიც შეინიშნება. მაშასადამე, იგი არაა კერძობითი ხასიათისა, იგი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა დროს ან ერთდროულად მოქმედებს. ამდენად ასეთი საერთო საფუძველი ენის განვითარების შინაგან კანონს განეკუთვნება.

В. Т. ТОПУРИА

## К ВОПРОСУ ОБ ОБЩНОСТИ ГРАММАТИЧЕСКИХ НОВООБРАЗОВАНИЙ В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

1. Анализ языковых материалов и изучение существующей по данному вопросу научной литературы позволили выявить ряд общих грамматических новообразований в западных диалектах грузинского языка, в занском и сванском языках. Такими новыми грамматическими явлениями считаются: ослабление взаимовлияния основы и падежных окончаний при склонении имен, наличие имен с двумя основами, унификация форм III л. множественного числа, согласование глагола с субъектом дативной конструкции в числе, образование I заочного, ослабление согласования определяющего с определяемым в падежах и т. д. Установлено, что процесс

зарождения и развития грамматических фактов в разных диалектах и языках протекает неодинаково: развитие некоторых из вышеуказанных явлений закончено, но не везде, а некоторых — продолжается и в настоящее время.

2. Выясняется, что зарождение и распространение общих грамматических явлений в зоне территориально соприкасающихся диалектов и языков объясняется не взаимовлиянием, хотя отчасти нельзя и его отрицать, а общностью грамматических процессов. Устанавливается, что эти грамматические новообразования вызваны тенденцией языка:

- а) морфологически одинаково выразить общие явления с помощью множественных в языке способов;
- б) упростить более сложные формы;
- г) унифицировать разные грамматические формы с одинаковой функцией.

Эти разновидности (упрощение, унификация и др.) тенденции языка действуют одновременно или разновременно и в языках другой системы. Стало быть, они относятся к внутренним законам развития языка.

---

### 3. თოფხრია

პართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი<sup>1</sup>

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველური (სამხრული) ჯგუფის ენების — ქართულის, ზანურის (მეგრულ-ზანურისა) და სვანურის — გენეტური ნათესაობის პრობლემა დიდი ხანია გადაკრილია. უკვე დადგენილია ამ ენათა ბგერითი სისტემისა და მთავარ ფონეტიკურ მოვლენათა ერთგვარობა, გრამატიკული წყობის ერთიანობა, კერძოდ წყება ზორფოლოგიურ-სინტაქსურ კატეგორიათა და ზათ გამომხატველ ექსპონენტთა ერთსახეობა, სიტყვაწარმოების წესისა და საწარმოებელ აფიქსთა მსგავსება, ბგერითი შესატყვისობანი და ლექსიკის ძირითადი ნაწილის ერთობლიობა. არსებობს ამის თაობაზე საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა და მკვლევართა ერთნაირი შეხედულება რიგ მოვლენებზე. მაგრამ იმავე სამეცნიერო ლიტერატურაში ნათლად არის აღნიშნული მკიდრო კავშირი ზანურისა ქართულ და სვანურ ენებთან და ერთგვარი დაშორებულობა სვანურისა იმავე ქართულისაგან.

ქართველურ ენათა შორის არსებული როგორც სიახლოვე, ისე დაშორებულება ყველაზე უფრო მკაფიოდ ჩანს შედარებით ფონეტიკასა და ლექსიკაში, კერძოდ ლექსიკურ შემადგენლობაში, სადაც მრავალი სიტყვა სხვა ძირისა და სხვა წარმოშობისაა.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მარჯვე გამოყენებით ქართველურ ენათა დიდძალი მასალის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა, ერთი მხრივ, საწარმოებელ აფიქსთა გამოყოფა და აღრიხდელი საერთო ძირის გამოვლინება და, მეორე მხრივ, ბგერით ეკვივალენტთა გარკვევა. ქართველურ ენათა მკვლევრებს (ალ. ცაგარელს, ნ. მარს, ა. შანიძეს, არნ. ზიქობავას, გ. როგავას და სხვებს) დადგენილი აქვთ როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა ეკვივალენტები და ზოგ შემთხვევაში კანონზომიერ შესატყვისობათაგან გადახევეები. მიღწევა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ზოგ მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია მოგვეცეს «Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка-основы» და ეს მაშინ, როდესაც, იმავე ავტორის სიტყვით, „წინარექართველური სისტემის ფონემათა რეკონსტრუქციის წყება საკითხებისა რჩება... სადისკუსიოდ“<sup>2</sup>. შეიძლება ითქვას მეტიც: არამტყუ რეკონსტრუქციის საკითხებია საპაექრო, არამედ თვით ბგერათა რეფლექსები და

<sup>1</sup> მოხსენდა მოსკოვში ორიენტალისტთა XXV საერთაშორისო კონგრესის კავკასიოლოგიის სექციის 15 აგვისტოს 1960 წელს. იბეჭდება უფრო გვიანებით.

<sup>2</sup> ნაეუველობაში გვაქვს გ. ა. კლიმოვის ზემოდასახელებული სტატია, გამოქვეყნებული ჟურნალში Известия АН СССР, Отделение литературы и языка, т. XIX, вып. 1, 1950, გვ. 30—31.

მით გამოწვეული შესატყვისობათა გადახვევები ჯერ კიდევ გაურკვეველია და ზოგ შემთხვევაში ეკვივალენტთა დაზუსტება და დადგენაც კი საჭიროა. ამდენად რეკონსტრუქცია, იქნება იგი წინარექართველური ფუძეენის ფონემური შემადგენლობისა თუ გრამატიკული წყობისა, ნაადრევად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი ეს მცირე შრომა ეხება ბგერათშესატყვისობათა გადახვევებს და მათ წარმომშობ მიზეზთა გამოვლინებას.

ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ საბოლოოდ დადგენილია კანონზომიერი შესატყვისობა ქართველურ ენებში ისეთი თანხმოვნებისა, როგორცაა ხშულ-მსკდომი ბაგისმიერი სამეული ზ, ჰ, ფ, წინაენისმიერი სამეულიდან დ, ტ, ხორხისმიერი ყ, ჯ და ნაპარალ-აენი უკანაენისმიერი ლ, ზ. მაგრამ ამასთანავე გარკვეულია სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება სისინა წინაენისმიერ მარტივ ხ, ზ და რთულ წ, ძ, ც, ჭ, ჯ, ჩ თანხმოვნებთან და უკანაენისმიერ ხშულ-მსკდომ ზ, კ, ქ ბგერებთან. ერთი მხრივ, ქართულ-ზანურსა და, მეორე მხრივ, ქართულ-სვანურსა და ზანურ-სვანურს შორის.

ყველა მკვლევარის მიერ გაზიარებულია ალ. ცაგარლის მიერ მოცემული დებულება ამ ბგერათა ძირითადი ეკვივალენტებისა, რის თანახმადაც

#### ქართულს შესატყვისება ზანურში

ს	შ
ზ	ძ
წ	ჭ
ძ	ჯ
ც	ჩ
ქ	ჭკ
ჯ	ჯგ
ჩ	ჩქ

შემდეგში ეს მოვლენა პირველი ხუთი თანხმოვნის — წყვილეთისა და-სამეულის — მიმართ ახსნილია ზანურში არტიკულაციის გადაწვეით: „წინაენის მიერი სპირანტებში და აფრიკატებში ხ, ზ, ძ, წ. ც შენაცვლებულია ალვეოლარული. სპირანტებითა და აფრიკატებით შ, ყ, ჯ, ჭ, ჩ“<sup>1</sup>. რაც შეეხება უკანას-კნელ სამეულს და მათთან ერთად შ, ფ სპირანტებს, ისინი დაცულია, ოღონდ-დართული აქვთ უკანაენისმიერი თანხმოვნები და ქმნიან შქ, ფდ, ჭკ || ჭყ, ჯგ || ჯლ, ჩქ დეცესიური რიგის პარმონიულ ჯგუფებს (გ. ახვლედიანის ტერმი-ნოლოგიით)<sup>2</sup>.

უცვლელად არის წარმოდგენილი უკანაენისმიერი ზ, კ, ქ ზანურში.

სვანურში მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულია. ნ. ზარისა და სხვათა მიერ დადგენილი შესატყვისობა ქართული და სვანური ენის სპირანტებისა და აფრიკატებისა ასეთი სახით წარმოგვიდგება:

ქართული	სვანური
ს	შ
ზ	ძ

<sup>1</sup> არი. Чикобава *Каргудльские языки, их исторический состав и древний лингвистический облик Иберийско-кавказское языковедение*; II, Тбилиси, 1948. გვ. 259.

<sup>2</sup> *ibid.*

წ

ძ

ც

ქ

ჯ

ჩ

შ

ძ

შ

შგ სგ

ეკვივალენტები სვანურში, მეგრულთან შედარებით, საკმაოდ ლარიზად გამოიყურება, თანაც ყველა აფრიკატი ერთნაირად არ განიცდის სპირანტიზაციას. გარდა ამისა, ეკვივალენტები და მათი ამოსავალი ფონემები ისტორიული თვალსაზრისით სხვადასხვაგვარად განიხილება. ქართულ ხ, ზ სპირანტთა სვანური შესატყვისი შ, ძ ზანიზმად, ზანურ ფენად არის მიჩნეული (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა), ხოლო ქართულ აფრიკატთა ტოლად წარმოდგენილი სვანური ძ, შ (ძალი — ძელ, რეც-ვა — ლი-რშ-ი) არ არის ქართული ძ, ც თანხმოვანთა უშუალო ეკვივალენტი, არამედ ზანურ ჯ, ჩ აფრიკატთა ამოსავალ ფონემებად არის გამოცხადებული (ნ. მარი).

მართლაც, სპირანტებისა და აფრიკატების მხრივ ქართულ-ზანურ და სვანურ შესატყვისობაში შეიმჩნევა უდავოდ დიდი გადახრები და ეს აიხსნება სვანურის ისტორიული ბედით. სვანური ითვლება ნარეე ენად. მასში არჩევენ სამ ძირითად ფენას: საკუთრივ სვანურს (ქართველურს), ზანურსა და აფხაზურ-ადიღურს (ნ. მარი<sup>5</sup>, ს. ჯანაშია<sup>6</sup>). ამით არის შეპირობებული სვანურის თავისებური განვითარება, მისი ქართველური ნორმებისაგან გადახრილი ფონეტიკური და გრამატიკული მოვლენები.

სვანურ ენაში შენიშნულია ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ფონეტიკური პროცესი: ერთი მხრივ, მარტივ თანხმოვანთა აფრიკატიზაცია და, მეორე მხრივ, რთულ თანხმოვანთა დეზაფრიკატიზაცია და ამ გზით მარტივ სპირანტებად ქცევა.

პირველი, თანხმოვანთა აფრიკატიზაცია, ჯერ კიდევ ნ. მარს ჰქონდა აღნიშნული 1912 წელს. იგი წერდა: «... есть более трудные случаи, когда усвоенный тубал-кайнизм в сванском успел подвергнуться законам местной фонетики, так, напр., в сванском ქ ჟ мы нередко имеем закономерный перебой картского к (← к), почему к. კონვა კოძ-ვა... *связывать* в сванском звучит ლი-ჰონი li-čoni *заворачивать, обвязывать* и т. п. Соответственно этому в сванском интерес представляют два слова კაშ ქაშ *муж* и კიშ ქიშ *нога*»<sup>7</sup>.

კაშის ადრინდელ სახედ ნ. მარს მიაჩნია \*kaš. «Эту-то архаическую форму тубал-кайнского слова и имеем в св. კაშ ქაშ... с закономерным общелфетическим, разделяемым и сванским языком, перебоем კ в ქ»<sup>8</sup>.

ამავე გზით არის მიღებული სვან. კიშხ 'ფეხი', მეგრ. კუჩხ-ი და კან. კუჩხ-ე-საგან<sup>9</sup>. აქაც კ აფრიკატიზებულია ჰ-დ.

<sup>5</sup> ნ. მარი, Из воездки в Сванию: ХВ, ტ. III, ნაკვ. 1, გვ. 16.

<sup>6</sup> ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები: ენიკის მოამბე, ტ. XII, გვ. 252—253 (=ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბილისი, 1959, გვ. 85—86).

<sup>7</sup> ნ. მარი, Тубал-кайнский вклад в сванском: Известия АН, 1912, გვ. 1093—94.

<sup>8</sup> ibid., გვ. 1094.

<sup>9</sup> იქვე.

მსგავსი მაგალითები სხვებიცაა დაძებნილი და სამეცნიერო ლიტერატურაში შეტანილი.

აფრიკატიზაციას უკანაენისმიერი სამეულიდან ზ და ქ თანხმოვნებიც ვანიცდის. პირველი, ზ. იძლევა ჯ-ს და შემდეგ ზოგ შემთხვევაში იქცევა ა-დ, ხოლო მეორე, ქ თანხმოვანი, ჩ-ს სახით არის წარმოდგენილი. მაგ.:

ჯ → ჯ: II პირის ობიექტური პრეფიქსი ზ-, ეს საერთო ქართველური ექსპონენტი, სვანურში სისტემატურად ჯ-ს სახით გვევლინება: ზ-ყავს — ჯ-აყა... აღსანიშნავია სხვა შემთხვევებიც: ჰ-გ-ავ-ს — ხა-ჯ-ემ, ეგა — სვან. ეჯა და სხვ.

ქ → ჩ: კმ-ნა (←\*კამ-ენ-ა), მეგრ. ქი-ინუ (←\*ქომ-ინ-უ) — სვან. ჩომ-ინ; ნაწილაკი ქვე, მეგრ. ქო. სვან. ჩუ და სხვ.

ანალოგიური ვითარებაა ჰანურის. ათინურ კილოვაეში (გენი → ჯენი 'ხბო'... ლაკი → ლაკი 'ლეკო'... ქითაბი → ჩითაბი 'წიგნი'...) <sup>10</sup>.

სვანურსა და ჰანურში ეს ფონეტიკური პროცესი, ქართულთან და მეგრულთან შედარებით, სადაც იგი სუსტადაა წარმოდგენილი, სპეციფიკურია. მაგრამ იგი საერთოდ ცნობილია მთელ რიგ ენებში (ადილურში, დაღესტურში — ლაკურში, ანდიურში... ინდოევროპულიდან — რუსულში, იტალიურში, ინგლისურში და სხვ.). ასევე ერთი ენის ფარგლებშიც — დიალექტებში (იგულისხმება ზანურიდან — ჰანური, ასევე დარგულის, ოსურისა და სხვა ენათა დიალექტები).

სხვა საკითხია, თუ: 1. უკანაენისმიერთა აფრიკატიზაცია პალატალიზაციის რამელი საშუალებით აიხსნება (მოტაციის საფუძველზე, მომდევნო ხმოვნის გავლენით, ენათა ურთიერთზეგავლენით თუ სხვა გზით) და 2. რატომ დაექვემდებარა აფრიკატიზაციას წყება საერთოქართველური და ნასესხები სიტყვების უკანაენისმიერი თანხმოვნები, მაშინ როდესაც უმეტეს შემთხვევაში იგი იმავე პოზიციაში უცვლელად დარჩა (მაგ.: ლი-გემ — ა-გემ-ა; ლი-ქილი — კიილი; ად-ქარე-ე — გაა-ქარე-ა... და აგრეთვე სვანურ ძირეულ სიტყვებში: აღ-გან 'აღგა'; ლი-კედ: ან-კად 'ამოწყდა': მნ-კიდ 'აილო, აიკიდა'; ლი-ქად 'ა-ტყენა' და სხვ.).

გააფრიკატება ხდება აგრეთვე წინაენისმიერ ხ, ზ, ყ თანხმოვნებისა: ი-ცხ — მ-სხ-ალი; ბზ. ესნარ || ეცნარ 'თურმე'... ძულდა — ზღვა; ბზ. ბერეე || ბერეე 'რკინა' და სხვა <sup>11</sup>.

უთუოდ აქედან ამოდიოდა ნ. მარო. როცა ამტკიცებდა, რომ სვანურის შ თანხმოვნის ეკვივალენტი მეგრ. ჩ პირველის აფრიკატიზაციას (აწვეას 'подзем') წარმოადგენს: т... შ [ჩ] тубал-кайнский группы и ქ [ც] картского языка представляли подьем сибиланта, первый — ш, второй — ж. И первый коренной к, гезр. k... является также в степени подьема... мы получаем архаическую (но не первоначальную!) форму слова для картского языка \*kas, для тубал-кайнских языков \*kash. ეს უკანასკნელია, როგორც ზემოთ ითქვა, სვანურში დაკული ქპპ (ქპარი) სიტყვის სახით. ამისდაგვარად სვან. ქი-ნხ (←\*ქუ-შხ) ზანურის არქაულ სახეობადაა მიჩნეული და შ-ს გააფრიკატებით მეგრ. კუჩხ-ი და ქან. კუჩხ-ე მეორეული წარმოშობისად არის გამოცხადებული <sup>12</sup>.

<sup>10</sup> არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი. 1936, გვ. 26—27.

<sup>11</sup> ხ. ელენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1946, გვ. 179—180.

<sup>12</sup> ნ. მარო, Тубал-кайнский язык в сванском. გვ. 1094.

ამგვარად, ნ. მარის დებულებით, ამოსავალი ხ, შ და მათი შესატყვისი ქართ. ც და ზან. ჩ მეორეულია, შედეგია ხ და შ-ს გააფრთხილებებისა.

სევანურშივე შენიშნულია აფრთხილების საპირისპირო პროცესი — დეზაფრთხილება — როგორც საკუთრივ სევანურ, ისე ნასესხებ სიტყვებში. მაგ., უკანასკნელის ნიმუშებია:

ძ → ზ: ყუნ<sup>ზ</sup>ელ ← ყურძენ-ი; გან<sup>ზ</sup> ← განძ-ი...

ც → ხ: ტკიც, მაგრამ: ტკიცდ || ტკიხდ მტკიცედ

ვესკაცხ ← ქართ. ვაცკაცი (მღრ. მეგრ. ოჩკოჩი) <sup>13</sup>

ზე-სხ-რა ← ცა-ცხე-ი და სხვ.

მაგრამ მთავარია სევანურში, ადილურ ენათა მსგავსად, აფრთხილება სპირანტიზაცია, მათი დეზაფრთხილება. ეს დებულება, წამოყენებული გ. როგავას მიერ, დასტურდება სევანურის მონაცემებით. ამ გზითაიხსნება ზანიზმების აფრთხილება მართივ ბგერებამდე, სპირანტიზაციამდე დასვლა. მართლაც, სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ ზან. ჯ წარმოდგენილია სევანურში ჟ-ს სახით:

სინჯა	ჩინე	სიძე
ჯღ-ონა	ლი-ჟოღ, ბზ. ლი-ძვეღ	ძღ-ოლა
ჯ-ირა 'წოლა'	ჟ-ჟ	ძილი
ჯოლორ-ი	ჟელ	ძაღლი
ჯობო	ჟახე	ძახ-ილი, „სახელი“ და სხვ.

ზან. ჩ ეფარდება სევან. შ:

მაგ.: ჩან-აფა

ლი-შნ-ე (← ლი-შენ-ე) 'მოსხმა ხილისა'

ოჩ-ი

ღ-ვაშ ჯიხეი

ჟ-ჩ-ანი

ხო-შ-ა „ხუცესი“, უფროსი (ნ. მარი, ა. შანიძე)

კოჩ-ი 'კაცი'

კვშ 'ქმარი' (ნ. მარი)

ჩხიბ-ვა 'ხლართვა' ლი-შხბ-ი (← \*ლი-შხებ-ი) 'კერვა' და სხვ. <sup>14</sup>

ამის კვალობაზე გამოტანილია დასკვნა, რომ „სევანურის ჟ და შ სპირანტიზმი მიღებულია სათანადო აფრთხილების გასპირანტიზებით“. ამდენად ეს შოვლენა მეორეულია, საერთოდ „სევანურისათვის ამოსავალია აფრთხილ სახეობა — შინა აფრთხილ, ე. ი. სევანურის ძველი ვითარება ამ მხრივ ემთხვევა ზანურისას“ <sup>15</sup>.

დებულების თანახმად აფრთხილება ფარდი სევანურში უნდა იყოს:

ზან.	სევან.
წ	ს
ძ	ზ

<sup>13</sup> ს. ჟღერძო, სევანური ვნის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, გვ. 180—182.

<sup>14</sup> ნ. მარის, ა. შანიძისა და სხვათა მიერ მოპოვებული მაგალითები თავმოყრილია ჩვენს შრომაში „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“, III: თბილისის უნივ. შრომები, 1940, XV, გვ. 48—50.

<sup>15</sup> გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, 1952, გვ. 47.

ც	ს
ჭ	შ
ჯ	ძ
ჩ	წ

მიუხედავად იმისა, რომ მევეთრი სპირანტიები ქართველურ ენებში არა გვაქვს, აქ მათ (წ და ჭ-ს) შესატყვისად ზ და შ გვევლინება<sup>16</sup>, რაც კარგად არის შემონახული დეცესიური რიგის ჰარმონიულ კომპლექსებში, სახელდობრ უკანანისმიერი კ და ფარინგალური ყ-ს წინ. მაგალითები მოყვანილია სამეცნიერო ლიტერატურაში ჭყ, ჭკ კომპლექსებზე:

ჭკ → შკ: ზან. ჭკად-უა — სევან. ლი-შკაღ-ი 'ქედვა', მეგრ. ჭკად-უ — სევან. მე-შკიდ 'შქედელი'

ჭყ → შყ: ზან. ჭყორ-ი — სევან. შყაგე ← \*ჭყაჯე 'მწყერი' (ნ. მარი, გ. როგავა).

ამათვე განეკუთვნება: ჭან. დუ-მ-ჭკუ — სევან. მე-რ-შკ 'ჭიანჭველა'; მეგრ. ლე-რ-ჭყე-ა 'ნერწყვი' — სევან. ნა-შყე 'ფურთხი'; მეგრ. ჭყორდ-უა 'გაწყდომა' — სევან. შყედ-ნი 'ეარდება', ოლონდ ეფარდება მეგრულს და არა ქართულ გა-წყე-და (← \*გა-წყედ-ა-ს), როგორც ამას 'ფთქრობს გ. მაჭავარიანი.

წყ → ხყ: რ-წყ-ილი სევან. ზი-ხყ  
 მარწყე-ი ბახყ  
 მო-წყ-ობა ლი-ხყ-ი 'გაკეთება' (ან-ხყ-ან 'გაკეთდა', 'მო-ეწყო').

წყ → ხკ: მეგრ. წკირ-უა 'პობა' — სევან. ლი-ხკრ-ე 'წათლა'; მეგრ. მა-რ-წკინდ-ი, ჭან. მა-წკინდ-ი II მა-წინდ-ი — სევან. მე-ხკაღ 'ბეჭედი' და სხვ.

ზან. ჩქ ჩვეულებრივ შგ-ს სახით რომ არის სევანურში გავრცელებული; ეს საერთოდ ცნობილია: ჩქიმი — სევან. მი-შგე-ი 'ჩემი'; ჩქინი — სევან. ნი-შგევა (გვი-შგევა) 'ჩენი'; შდრ. შქვიდა — ლი-შგედ-ი 'ხრჩობა' და სხვ.<sup>17</sup>

მსგავსადვე უნდა მიგველო ზან. ძგ კომპლექსისაგან შგ, მაგრამ ნაცვლად ამისა გვაქვს ხგ:

ზან. მარ-ძგე-ანი სკახ. ლე-რ-ხგე-ენ მარჯვენა (გ. როგავა)  
 ძი-ძგ-ინი ლი-ხგ-იდ-ი ძუძგური, ყურება, ხედვა  
 ქართ. ძაგ-ს ხასი-ხგ სძულს და სხვ.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ანალოგიური სპირანტიზაცია აფრიკატებისა უკანანისმიერთა კომპლექსებში შეინიშნება იშვიათად ქართულში და შედარებით ხშირად ქანურში. მაგ.: წკვარამი — ხკვარამი... ქანურის ათინურმა კილოკავმა ჭკ კომპლექსში კ \*შეიძლება შეინარჩუნოს მხოლოდ იმ

<sup>16</sup> ესა და სხვა გარემოება ბადებდა საკითხს წყვილფულის სამეული სისტემისგან მომდინარეობის შესახებ, რის შესახებაც იყო ლაბარაკი მოხსენებებში: გ. როგავა, ბერათა-ფარდობის ზოგი საკითხი ქართველურსა და ადიღურ ენებში; ვ. თ. ფ. უ. რ. ა., უკანანისმიერ თანხმოვანთა ცვლის პროცესებისათვის ქართველურ ენებში (თეზისები: ენათმეცნიერების ინსტიტუტის XII, 1955 წ. და XIV, 1957 წლის სამეცნიერო სესია).

<sup>17</sup> თ. გამყრელიძე, სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, 1959; ი. კობახიძე, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1958, ტ. IX—X, გვ. 57—97. შდრ. ვ. თ. ფ. უ. რ. ა., ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I: „მიმოზილველი“, I, ტფილისი, 1926, გვ. 213.



შემთხვევაში, თუ წინა მკვეთრ აფრიკატს სპირანტი შეეკლის: ფ-შკომი ← მეგრ. ვ-ჟკომი 'ვჟამე'; ქოგმო-შკორ-ეს (მეგრ. ქოგმო-ჟკირ-ეს) 'დააქრეს'; ლემშკვა ← ლემშკვა (მეგრ. ლერჟყვა) 'ნერწყვი'<sup>18</sup>.

ასევე ჩქ კომპლექსის პარალელურად შქ, შკ გვევლინება: ჩქუ || შქუ 'ჩვენ'; ჩქიმი || შქიმი 'ჩემი'; ჩქუნი || შქუნი 'ჩენი'; უჩქინ || უშქუნ || უშკუნ 'იცის' და სხვ.<sup>19</sup>

სვანურში, როგორც ვნახეთ, აფრიკატთა სპირანტიზაცია კომპლექსებში სისტემურ ხასიათს ატარებს. შეიძლება ეს მოხდეს კომპლექსის გარეშეც. მაგ. სავარაუდებელია, რომ გა-ს-წ რ-ება (ძირია წ-არ) სვანურში ლი-ხრ-ე'ს სახით გვევლინებოდეს (ძირია ხ-ერ: ათ-სერ 'აჯობა'): წარ — ხერ სახეებით კანონზომიერი შესატყვისობაა...

ლი-წხსდან — წუწნ-ა: მეორე წ → ხ, თუ ეს დ თანხმოვნის მეზობლობით არ არის გამოწვეული.

საფიქრებელია, რომ ჰ იყოს გასპირანტებული შ-ს სახით ზმნაში ხ-წშდ-ნი — მეგრ. თ-ჟყორდ-უ 'ავიწყდება' და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მაგალითების სიმცირე შეიმჩნევა, რაც აიხსნება აფრიკატთა რეფლექსების შემდგომი ცვალებადობით: ხ → შ → 0 (ნულად). აი სამაგისო მაგალითები:

ხ ე-შ-ი იგივეა, რაც ე-წ-ევა; ა დ-შ-ე მილ-წ-ია

ამავე ძირს შეიცავს: ი-შ-ი მოი-წ-ევა, მ-წ-იფ-დება; ლი-შ-ესგი მილ-წ-ე-ვა და სხვ.

ჰო ლ-ი 'ყიდის', ხ ა-ჰ ე დ-ი 'აძლევს' შეიცავს ძირს ჰო ლ (ა-ჰო ლ 'გაყიდა', ლამ-ჰო ლ-ნა 'მომცემია'...), რომელსაც უნდა შესატყვისებოდეს ქართ. წო ლ: ა-წ ე დ-ის, მია-წო ლ-ა<sup>20</sup>. სვანურის მნიშვნელობა ყიდის და აძლევს ამათ კავშირს ხელს არ უშლის.

წ-ს მესამე რეფლექსი შ-ს დაკარგვაა, რის სარწმუნო მაგალითსაც წარმოადგენს სვანური ზმნა ა-ი-რ-ი, რომლის ეკვივალენტად სამართლიანად მიჩნეულია ქართ. წე რ-ს<sup>21</sup>.

მსგავსავე რეფლექსს იძლევა ც აფრიკატი: ც → ხ → შ → 0 (ნული). მაგალითებში მეორეული რეფლექსი შ კარგად არის შემონახული: ც არ-იელი (← ცა ლ-იერი) — სვან. ჰპ რ-ი. აქედან ლი-შ რ-ე ც ლ-ა; ა-ჰ რ-ე ც ლ-ის — ა დ-ჰ არ-ე და-ცა ლ-ა

ძუ-ჰ ნ რ-ა — სა-ც ე რ-ი

<sup>18</sup> არნ. ჩი ქო ბ ა ვ ა, კანურის გრამ. ანალიზი, გვ. 17.

<sup>19</sup> არნ. ჩი ქო ბ ა ვ ა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 222—23, 379.

<sup>20</sup> ამის გამო მისაღები ჩანს ქართ. წა ბ-ლი'ს შესატყვისად სვან. ჰე ბ 'ბალი', რაც ნ. მარს აღრევე ჰქონდა აღნიშნული, მიუხედავად მათი სემანტიკური განსხვავებულობისა (Опред. языка второй катег. Ахеменид. клинообр. надписей (გვ. 3—4), თუმცა გამოირიყვლი არაა შესაძლებლობა, რომ სვან. ჰე-ბ დაუკავშირდეს სიტყვას ბალი.

<sup>21</sup> Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей, გვ. 7, 14, 15.

ეგების წვე რ-ისაგან იყოს მიღებული სვან. ვე რ ე წ-ს შ რეფლექსის გაქრობით (მათთანავე შესატყვისად თელის გ. კლი მო ვ ე).

უთუოდ მოსაჯონარია შ და ხ-ს მონაცვლეობა სვანურში: ლი-ძ-ენი || ლი-ძს-ენი 'დაკვლა', ლი-წ-ი || ლი-წს-ი 'პატივი'. უკანასკნელის ძირი წოშ უდრის ქართულ წ ე ს: უ-წ ე ს-ს 'უძახის'.

მა-ჰ ვ რ-ნენ — გველაზე უმ-ც რ-ოსი, უმ-ც ი რ-ესი: \*ხო-ჰ ვ რ-ა → ხო-ხ ვ რ-ა უმ-ც რ-ოსი, ძირია ჰ ო რ და შეესატყვისება მ-ც ი რ-ე. ამ ძირისგანაა ნაწარმოები ლი-ჰ ვ რ-ე 'დაკლება (სინძიმეში), შე-მ-ც ი რ-ება': ბღ-ჰ ვ ე რ (← \*ბღ-ი ჰ ო რ-ე დამ-ც ი რ-და).

ლახ-გ ე მ 'მისცა' იხმარება II სერიაში, I სერიაში ენაცვლება ხა-ჰ ვ დ-ი 'აძლევს'. აქ არა მარტო სუბლექტურობაა საყურადღებო, არამედ თვით ზმნის ძირი, რომელიც კარგად ჩანს კავშირებით II-ში: ლახ-რ მ-ას 'მისცეს'. ძირია რ მ და შეესატყვისება ქ ართ. ემ ფუძეს (მის-ც ე მ-ს). უნდა ვივარაუდოთ, რომ ც → ჰ და უკანასკნელის დაქარგვის კომპენსაციას წარმოადგენს ო-ს დაგრძელება, რაც შენიშნულია სევანურში (ბქვ. კაჰდა → ბზ. კნდა 'ნაჯახი': ა. შანიძე).

ანალოგიური ფონეტიკური პროცესი აქვს განვლილი ზქნას ჰ ვ მ-ა, რომლის ეკვივალენტი აგრეთვე II სერიაშია დაცული (I სერიაში ენაცვლება ი ზ-ე ბი 'ჰამს' ზმნა). ესაა ლალ-წ მ = ჰ ვ მ-ა. აქ უნდა ვიუიქროთ, რომ ჭ → შ → ჰ და უკანასკნელის გაქრობამ ე დააგრძელა. სევანური ლალ-წ მ'ის დაქავეშირება მეგრულ ჰ ქ ო მ-უ'სთან გამორიცხულია: მივიღებდით ლალ-შ ქ ე მ ფორმას<sup>22</sup>.

ამგვარად, ზემონათქვამის საფუძველზე აფრიკატთა შესატყვისობის ასეთ ცხრილს მივიღებთ:

ზან.	ქართ.	სევან.
	წ	ს → ჰ → ო
	ძ	
	ც	*ს → ჰ → ო
	ჭ	*შ → *ჰ → ო
ჯ		ძ
ჩ		შ
	წყ წკ	სყ სკ; ს
ძგ	ძგ	სგ
ჭყ ჰქ		შყ შკ; შ
ჩქ		შგ

ცხრილის მიხედვით ირქვევა, რომ:

1. დეზაფრიკატიზაციის შედეგად მიღებული სპირანტი დაცულია, თუ იგი პარამონიული კომპლექსის ძირითადი წევრია ან ხორხისმიერი ყ არ არის წარმოდგენილი.

2. სევანურისათვის ამოსაეალია აფრიკატები. ზოგმა მათგანმა სამგზის განიცადა ცვლილება. მათი პირველადი რეფლექსია ს, მეორეული — ჰ და მესამეული — ჰ-ს დაქარგვა. ს, ძ, შ რეფლექსები, რაც შედეგია ქ ართ. წ და ზან. ჯ, ჩ აფრიკატთა სპირანტიზაციისა, დაცულია; დაცულია აგრეთვე ც-ს მეორეული რეფლექსი ჰ, ხოლო ქ ართულ წ, ც და ჭ აფრიკატთა მესამეული რეფლექსი -- ჰ-ს დაქარგვა — დადასტურებულია გარკვეულ სიტყვებში, სადაც არ არის შემონახული პირველადი რეფლექსები ს და შ და არც მათი შუამავალი რგოლი ჰ (ეს ცხრილში აღნიშნულია ვარსკვლავით).

<sup>22</sup> აღსანიშნავია, რომ ეს სევანურ-ქართლის ურთიერთკავშირი და ფონეტიკური პროცესი მ. ბარს თვისებურად აქვს გაკებული. იგი წერს: «...язык клинописи дает прекрасный пример. параллельный тому, что наблюдаем в сванском в отношении... შ მ აჩ *ესტ* ვმ. უაშ. გერ. \*hast, падения \*kajm. перебойного эквивалента к. \*idm iw h. *ბა-მ-ღ* ლაშ-el *შვათბ*, в грузинском под т.-к. влиянием ჰ ვ მ (აშა)» (Ахемен. надпис., გვ. 14).

ამდენად უკუგდებულ უნდა იქნეს ნ. მარის აზრი იმის შესახებ, თითქოს «...в коренных сванских словах картскому [ʃ] соответствует... или его закономерный перебой к [ç] или ослабление всего к [ç], т. е. *ჴპირანტ ხ*»<sup>23</sup>.

3. სპირანტიზაცია მეორეული მოვლენაა, ამოსავალია არა მარტო შიშინა, არამედ სისინა აფრიკატებიც და ამდენად სვანური თავისი ადრინდელი სახით ემთხვევა ზანურსაც და ქართულსაც.

4. სპირანტიზაცია მომხდარია სვანური ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. ამჟამად ეს პროცესი მოქმედი არ არის. ამიტომ ზანურიდან და ქართულიდან უფრო გვიან შესულ სიტყვათა აფრიკატები უცვლელადაა წარმოდგენილი (ლი-წ ნ-ვე-ი — და-წ უ ნ-ეზა, ლი-წ ვრ-ე — გა-წ უ ლ-ეზა 'გათხოვება'... ლი-ც ე ე მ — მო-ც მ-ა (← მო-ც უ მ-ა) 'აქიდება', ლი-ც ხ ე ნ-ი ე ლ — ვარ-ც ხ ნ-ა... ლი-ჭ-ი — მეგრ. ჰ უ-ალა 'წვა', ლი-ჭ კერ-ე — მეგრ. ჰ კ ი რ-უა 'ჭრა', ლი-ჭ ყ გ ლ-ი — ჰ ყ ი ე ი ლ-ი და სხვა მრავალი).

5. ზოგ სამეცნიერო შრომაში ეკვივალენტებად მიჩნეული სიტყვები ნასესხებია ან ზანურიდან, ან ქართულიდან, განსხვავების გამომხატველი ნიშნები კი გამოწვეულია ფონეტიკური ან მორფოლოგიური მოვლენებით, ან კიდევ, როგორც აღნიშნავენ, ენათა ურთიერთზეგავლენით (მაგ.: გზნჴე ← მეგრ. ინჴ-ირია ← \*ონჴ-ირია, სვანურად \*ე ე ნ ჴ-ი რ ი ა' საგან; ჯვინელ ← მეგრ. ჯვეშ-ი, ქართ. ძველ'ისაგან; ჯპრლვ ← მეგრ. ჯერლვ'ისაგან 'ძარღვი' და სხვა). ასეთი ნასესხები სიტყვები ბევრათშესატყვისობათა დასადგენად გამოუსადეგარია.

6. სვანური ენის ლექსიკის შედგენილობის შემდგომი შესწავლა გამოავლენს არა მარტო ქართული, ზანური და სხვა ენებიდან სიტყვათა შესვლის ქრონოლოგიას, მათ ფონეტიკურ და მორფოლოგიურ ცვლილებას, არამედ საკუთრივ სვანურ ფონდსაც და მის დამოკიდებულებას სხვა ქართველურ ენათა ფონდთან და შექმნის შესაძლებლობას საერთოქართველურ ძირთა დადგენისას, რაც მომავლის საქმა.

В Т. ТОПУРИА

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СРАВНИТЕЛЬНОЙ ФОНЕТИКИ КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКОВ

Резюме

1. Проблема генетического родства языков картвельской группы иберийско-кавказской семьи языков — грузинского, занского (мегрельско-чанского) и сванского — в основном давно решена. Установлены однородность звуковой системы и основных фонетических явлений названных языков, общность их грамматической структуры (в частности, тождество ряда морфологических и синтаксических категорий и их показателей), сходство словообразовательных аффиксов, общность основной части лексики. По этим основным вопросам имеется богатая литература.

<sup>23</sup> ნ. მარის, Тубალ-каинский вклад в сванском, გვ. 1093.

2. Исследователями картвельских языков (А. Цагвели, Н. Марр, А. Шанидзе, Арн. Чикобава, Г. Рогава и др.) устоявлены корреспонденции как гласных, так и согласных звуков, а в ряде случаев отмечены отклонения от общепризнанных звукосоответствий.

Установленными считаются звукосоответствия следующих согласных: губных  $\delta \text{ } \beta \text{ } \vartheta \text{ } \text{b} \text{ } \text{p}$ , зубных  $\text{c} \text{ } \text{c}' \text{ } \text{d} \text{ } \text{t}$  (из числа переднеязычных), фарингальных  $\text{y} \text{ } \text{j} \text{ } \text{q} \text{ } \text{q}'$  и заднеязычных щелевых  $\text{c} \text{ } \text{b} \text{ } \text{g}$ . Однако установлено дифференцированное отношение к щелевым переднеязычным согласным простым  $\text{b} \text{ } \text{v} \text{ } \text{s} \text{ } \text{z}$  и сложным  $\text{f} \text{ } \text{d} \text{ } \text{c} \text{ } \text{j} \text{ } \text{x} \text{ } \text{h} \text{ } \text{c} \text{ } \text{z} \text{ } \text{c}' \text{ } \text{z}' \text{ } \text{c}'' \text{ } \text{z}''$ , равно и заднеязычным смычным  $\text{g} \text{ } \text{j} \text{ } \text{j}' \text{ } \text{g} \text{ } \text{k} \text{ } \text{k}'$  в грузинском, занском и грузинском и сванском языках, с одной стороны, и в занском и сванском, — с другой.

3. В отношении звукосоответствия спирантов и аффрикат в грузинском, занском и сванском языках наблюдаются значительные отклонения. Эти отклонения объясняются исторической судьбой сванского языка. В нем выделяют три основных слоя: собственно сванский (грузинско-кавказский), занский и абхазско-адыгский (Н. Марр, С. Джанашиа). Исторические судьбы сванского языка определили его своеобразное развитие, а также присущие ему отклонения в области фонетики и морфологии: от норм других картвельских языков.

4. В сванском языке выявляются два противоположных фонетических процесса: аффрикатизация простых согласных и дезаффрикатизация сложных согласных с переходом их в простые спиранты.

5. Аффрикатизация распространена в сванском и занском значительно больше, чем в грузинском и мегрельском.

Аффрикатизации подверглись заднеязычные смычные согласные  $\text{g} \text{ } \text{j} \text{ } \text{j}' \text{ } \text{g} \text{ } \text{k} \text{ } \text{k}'$ , а также переднеязычные спиранты  $\text{b} \text{ } \text{v} \text{ } \text{s} \text{ } \text{z}$ . Исходя из этого, Н. Марр считает, что в картвельских языках  $\text{b} \text{ } \text{v} \text{ } \text{s} \text{ } \text{z}$  являются исходными, а их соответствия в грузинском  $\text{c} \text{ } \text{c}'$  и занском  $\text{h} \text{ } \text{c}$  возникли в результате аффрикатизаций.

6. В сванском языке аффрикатизации противодействовал весьма активный в свое время процесс дезаффрикатизации.

На основе анализа материалов адыгейского языка, где процесс дезаффрикатизации сильно распространен, и материалов сванского языка выдвинуто положение, согласно которому исходными для сванского языка являются аффрикатные варианты — шипящие аффрикаты, а не спиранты (Г. Рогава).

7. Анализ ряда общих корней дает основание предложить следующую таблицу соответствий аффрикат:

Занский	Грузинский	Сванский
	$\text{c} \text{ } \text{f}$	$\text{s} \rightarrow \text{h} \rightarrow \text{o} \quad \text{b} \rightarrow \text{j} \rightarrow \text{o}$
	$\text{c}' \text{ } \text{d}$	
	$\text{c} \text{ } \text{c}'$	$*\text{s} \rightarrow \text{h} \rightarrow \text{o} \quad * \text{b} \rightarrow \text{j} \rightarrow \text{o}$
	$\text{c}'' \text{ } \text{j}$	$*\text{s} \rightarrow * \text{h} \rightarrow \text{c} \quad * \text{b} \rightarrow \text{j} \rightarrow \text{o}$
$\text{c}'' \text{ } \text{x}$		$\text{z} \text{ } \text{q}$
$\text{c}'' \text{ } \text{b}$		$\text{s} \text{ } \text{v}$

	ცა /ცქ წყ წქ	აგ აქ; ა სყ სქ; ს
ზგ ძგ	ზგ ძგ	აგ სგ
ცა ცქ ჰყ ჰქ		სა სქ; ჰ შყ შქ; შ
ცკ ჰქ		სგ შგ

8. Спирант, полученный в результате дезаффрикатизации, сохраняется лишь тогда, когда он является основным элементом гармоничного комплекса, или когда в комплексе не представлен фарингальный  $y$   $q$ .

9. Аффрикаты являются исходными и для сванского языка. Некоторые из них претерпели тройное видоизменение. Первичным их рефлексом являются  $ს$   $შ$   $ს$   $ჰ$ , вторичным —  $ჰ$   $ჰ$ , а третичным — утеря последнего. Рефлексы  $ს$   $შ$   $ს$   $ჰ$   $ჰ$  — результат спирантизации грузинской аффрикаты  $წ$   $ყ$  и занского аффрикат  $ჩ$   $ხ$   $ჭ$   $ც$  — сохранены, равно как и вторичный рефлекс  $ჰ$   $ჰ$  груз. аффрикаты  $ც$   $ც$ , но утеря третичного рефлекса грузинских аффрикат  $წ$   $ყ$   $ყ$   $ც$  и  $ჭ$   $ც$  наблюдается только в определенных словах, где не удержались рефлексы  $ს$   $ვ$  и  $შ$   $ს$  грузинских аффрикат  $ც$   $ც$  и  $ჭ$   $ც$ , а также посредствующее звено последнего  $ჰ$   $ჰ$ .

Следует отвергнуть мнение Н. Марра о том, что «...в коренных сванских словах картскому [იჭ წ] соответствует... или его закономерный перебой  $k$  [ $q$   $y$ ] или ослабление сего  $k$  [ $q$   $y$ ], т. е. спирант  $h$  [ $ჰ$ ].»

10. Спирантизация характерна как для шипящих, так и для свистящих аффрикат, а потому сванский язык своим древнейшим фонетическим строем совпадает и с занским, и с грузинским.

11. Процесс дезаффрикатизации протекал на определенном этапе развития сванского языка, в настоящее время этот процесс не действует. Поэтому аффрикаты слов, вошедших позже из занского и грузинского языков, не подверглись в сванском спирантизации (напр.  $li$ - $წყან$ - $i$  ლო-წყან-ი ← груз. და-წყნ-ება და-წყნ-ება 'забраковать'...  $li$ - $სვეთ$  ლო-სვეთ ← груз. თო-სთ-ა მო-ცმ-ა ← თო-სთ-ა მო-ცუმ-ა 'взвалить на себя; надеть'...  $li$ - $ც$ - $i$  ლო-ც-ი ← мегр. ჯი-ალა ქუ-ალა 'печь' и много др.).

12. Некоторые слова, которые исследователи считали эквивалентами, заимствованы из занского или грузинского языков; приваки, выражающие сходство или расхождение, вызваны фонетическими или морфологическими явлениями, или, как не раз было замечено, взаимовлиянием языков (напр., сван.  $განძვ$   $განძვე$  ← мегр.  $inč$ - $igiv$  ინჩ-იგია \* $onč$ - $igiv$  \* $onč$ - $igiv$  'бузина'; сван.  $ჭანგუ$   $ჯანგლ$  ← мегр.  $žeguv$ - $i$  ჯერღვ-ი (срв. груз.  $ჯანგუ$ - $i$  ძანგლი 'жила') и т. д. Такие заимствования не должны использоваться для установления звукосоответствий.

13. Дальнейшее изучение лексического состава сванского языка не только выявит время заимствования слов из занского, грузинского и других языков и фонетические изменения этих слов в сванском языке, но и поможет определить словарный фонд собственно сванской лексики и его отношение к фонду других картвельских языков. Это даст возможность установить общекартвельские корни.

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СРАВНИТЕЛЬНОЙ ФОНЕТИКИ КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКОВ

Проблема генетического родства языков картвельской группы иберийско-кавказской семьи языков - грузинского, ванского (мегрельско-чанского) и сванского - в основном давно решена. Установлены однородность звуковой системы и основных фонетических явлений названных языков, общность их грамматической структуры (в частности, тождество ряда морфологических и синтаксических категорий и их показателей, сходство словообразовательных аффиксов), общность основной части лексики. По этим основным вопросам имеется богатая литература; мнения исследователей по ним в общих чертах совпадают.

Лингвисты, изучающие проблему генетического родства языков картвельской группы, отметили тесную связь ванского языка с грузинским и сванским и некоторую отдаленность сванского языка от грузинского.

Характер взаимосвязей картвельских языков ярче всего проявляется в сравнительной фонетике и лексике. Значительная часть лексического состава картвельских языков различна по происхождению.

Благодаря сравнительно-историческому изучению картвельских языков удалось выявить общекартвельские корни, выделив наращенные на них детерминативные аффиксы, и установить закономерные звукосоответствия.

Исследователи картвельских языков (А.Цагарели, Н.Марр, А.Шанидзе, Арн.Чикобава, Г.Рогова и др.) установили корреспонденции как гласных, так и согласных звуков, а в ряде случаев отметили отклонения от общепризнанных звукосоответствий. Достижения в этой

области настолько очевидны, что некоторые исследователи пытаются реконструировать фонемный состав общекартвельского языка-основы и восстановить фонемическую модель языка-основы, хотя и учитывают, что "ряд вопросов реконструкции пракартвельской системы фонем остается ... дискуссионным"<sup>1)</sup>. Серьезного изучения требует не только реконструкция языка-основы, но и характер звуковых рефлексов; в ряде случаев необходимо уточнение корреспонденций согласных. Поэтому мы считаем нужным отметить, что в настоящее время реконструкция фонемного состава или грамматического строя пракартвельского языка-основы является преждевременной.

В данном докладе рассматриваются отклонения от общепризнанных звукосоответствий, и причины, вызвавшие эти отклонения.

В картвельских языках окончательно установленными считаются звукосоответствия следующих согласных: губных *б в р* (из числа смычных), зубных *д т* (из числа переднеязычных), фарингальных *а г* и заднеязычных щелевых *у х*. Однако установлено дифференцированное отношение к щелевым переднеязычным согласным простым *в з* и сложным *с ж о џ џ џ*, равно и заднеязычным смычным *г к* в грузинском и ванском и грузинском и сванском языках, с одной стороны, и в ванском и сванском, - с другой.

Все исследователи картвельских языков приняли формулу эквивалентов, данную впервые А.Цагарели. Согласно А.Цагарели, материал грузинского и ванского языков позволяет вывести следующие звукосоответствия спирантов и аффрикат:

Грузинский

в  
з  
с  
з  
с  
ц  
ч  
ц

Занский

в  
з  
с  
з  
с  
цк  
чк  
сч

В занском языке такое шипящее соответствие первых пяти согласных – парных ( в з ) и троечных ( с з с ) – объяснено перемещением артикуляции: "...занские шипящие варианты не что иное, как результат сдвига артикуляции: переднеязычные спиранты и аффрикаты в з с з с замещены альвеолярными спирантами и аффрикатами в з с з с".

Что же касается последней тройки шипящих аффрикат ( с з с ) и вместе с ними спирантов в з, они удержались, но с наращенными заднеязычными согласными вк зч сч // сз зч // сч зч, образуя гармоничные группы децессивного ряда (по терминологии Г.Ахвледиани)<sup>2</sup>.

В неизменном виде сохранились заднеязычные смычные г к к в занском языке.

В сванском языке положение гораздо сложнее. На основе изысканий Н.Марра и других исследователей можно представить соответствие спирантов и аффрикат грузинского и сванского языков в следующем виде.



<u>Грузинский</u>	<u>Сванский</u>
в	ǃ
з	ǂ
с	
ǰ	ǃ
с	ǂ
с̣	
ǰ̣	
с̣	
ǰ̣	ǃg

Таблица показывает, что звукосоответствия сванского языка с грузинским отличаются от звукосоответствий грузинского и занского языков. Не все аффрикаты сванского языка испытывают спирантизацию одинаково.

Следует учитывать, что приведенные выше эквиваленты и их исходные фонемы имеют различное происхождение. Сванские спиранты ǃ ǂ соответствующие грузинским спирантам в з являются занским слогом (Н.Марр, Арн.Чикобава); фонемы соответствующие грузинским аффрикатам с ǰ, признаны исходными фонемами занских аффрикат с̣ ǰ̣ (Н.Марр).

Рассматривая звукосоответствия спирантов и аффрикат в грузинском, занском и сванском языках, мы наблюдаем значительные отклонения от предполагаемых эквивалентов. Эти отклонения объясняются исторической судьбой сванского языка. В нем выделяют три основных слоя: собственно сванский (грузинско-кавказский), занский и абхазско-адыгский (Н.Марр, С.Джанашиа)<sup>3)</sup>. Исторические судьбы сванского языка определили его своеобразное развитие, а также присущие ему отклонения в области фонетики и морфологии

от норм других картвельских языков.

В сванском языке выявляются два противоположных фонетических процесса: аффрикатизация простых согласных и деаффрикатизация сложных согласных с переходом их в простые спиранты.

На аффрикатизацию согласных указывал еще Н.Март в 1912 году: "...Есть более трудные случаи, когда усвоенный тубал-кайниам в сванском успел подвергнуться законам местной фонетики, так, напр., в сванском  $\text{t} / \text{t}^{\text{h}} /$  мы нередко имеем закономерный перебой картского  $\text{k} (> \text{k})$ , почему к.  $\text{kop-va}$  (в истинном грузинском произношении -  $\text{kop-va} <^* \text{kwap-va}$ ) связывать в сванском звучит  $\text{li-t}^{\text{h}}\text{ni}$  заворачивать, обвязывать и т.п. Соответственно этому в сванском интерес представляют два слова  $\text{tash} / \text{t}^{\text{h}}\text{a}^{\text{h}} /$  муж и  $\text{timq} / \text{t}^{\text{h}}\text{i}^{\text{h}}\text{xu}$  нога<sup>4)</sup>.

Аналогичные примеры перехода  $\text{k}$  в  $\text{t}^{\text{h}}$  выявлены и представлены в научной литературе, рассматривающей историю сванского языка.

Из ряда заднеязычных смычных согласных аффрикатизации подверглись также  $\text{g}$  и  $\text{k.g}$  переходит в  $\text{t}^{\text{h}}$  а впоследствии иногда - в  $\text{j}$  тогда, как  $\text{k}$  переходит в  $\text{t}^{\text{h}}$ .

Например,  $\text{g} \rightarrow \text{t}^{\text{h}}$  общекартвельский экспонент  $\text{P}$  объектного лица в сванском систематически представлен в виде  $\text{t}^{\text{h}}$ :  $\text{g-dav-s}$  ован.  $\text{t}^{\text{h}}\text{-ada}$  'имеется у тебя';  $\text{h-g-av-s}$  ха- $\text{t}^{\text{h}}$  - $\text{av}$  'он похож';  $\text{ega-e}^{\text{h}}\text{a}$  'тот' и др.  $\text{k} \rightarrow \text{t}^{\text{h}}$ : гр. гр.  $\text{km-n-a}$  - $\text{tom-in}$  'он сделал'; послелог и частица  $\text{kve}$ , мегр.  $\text{ko}$  -сван.  $\text{t}^{\text{h}}\text{u}$  'вниз, внизу' и др.

Аналогичный процесс засвидетельствован в атинском говоре чанского диалекта ( $\text{geni} \rightarrow \text{t}^{\text{h}}\text{eni}$  'теле-нок';  $\text{laki} \rightarrow \text{t}^{\text{h}}\text{aci}$  'ценок'; араб.  $\text{kitab-i} \rightarrow \text{t}^{\text{h}}\text{itab-i}$  'книга' и др.<sup>5)</sup>

Аффрикативация распространена в сванском и чанском языке значительно больше, чем в грузинском и мегрельском; поэтому мы вправе считать это явление характерным для сванского и чанского. Следует отметить, что аффрикативация свойственна многим языкам различных систем (адыгейскому, лакскому, андийскому - из числа дагестанских языков; русскому, английскому, итальянскому и другим индоевропейским языкам). Аффрикативация частично наблюдается также в пределах одного языка (мы имеем в виду атинский говор чанского диалекта, а также диалекты даргинского, осетинского и других языков).

Докладчик не имеет возможности затронуть ряд важных вопросов истории языка - какими путями осуществляется палатализация заднеязычных согласных (путем йотации, влияния последующего гласного, взаимовлияния языков и т.д.), и какие причины могли вызвать аффрикативацию согласных ряда общекартвельских и заимствованных слов. Последнее обстоятельство представляет особый интерес, поскольку эти согласные в аналогичной позиции удержались в большинстве случаев без изменения (напр.: а-г-еба → сван. li-g-em 'строить'; kivil-i → li-kʰil-i 'крик'; gaa-karv-a ad-karv-e 'он рассеял (печаль)' ... в общекартвельских и собственно сванских словах: adʰ-g-ān - e-d-g-a 'он встал'; ān-ki-d 'он взял' - a-i-ki-d-a 'он ввалил на себя'; li-kʰad 'промахнуться' и др.).

Аффрикативации подверглись также переднеязычные спиранты в з: ш-ах-ali - i-sx 'груша'; i-sxem 'растет' ← груз. i-axam-s 'плодоносит'; espār//espār 'оказывается'... zi груз. j-ev-z 'дежит'; сван. berež//bereʃ 'железо' и др.<sup>6)</sup>

Исходя из этого, Н.Мартр доказывал, что "... ʃ [ɕ]

тубал-кяинской группы и  $\tilde{a}$  /с/ картского языка представляют подъем сибиллянта, первый  $\tilde{a}$  / $\tilde{a}$ /, второй  $\tilde{a}$  "7). Соответственно этому автор считал архаической формой тубал-кяинского слова  $\tilde{c}a\tilde{a}$  форму "для картского  $\tilde{c}an$ , для тубал-кяинских языков  $\tilde{c}am/\tilde{c}a\tilde{a}/$  с закономерным общепетическим, разделяемым и сванским языком, перебоем  $\tilde{c}$  в  $\tilde{t}/\tilde{c}/$  "8). Такой же первоначальной формой было объявлено восстановленное слово  $\tilde{c}u\tilde{x}$ , изменившееся в сванском в  $\tilde{c}i\tilde{x}$ , а в результате аффрикатизации - в мегр. в  $\tilde{c}u\tilde{x}$ -i и чан. - $\tilde{c}u\tilde{x}$ -e 'нога'.

Таким образом, по мнению Н.Марра, в картвельских языках  $\tilde{c}$  и  $\tilde{c}$  являются исходными, а их соответствия в грузинском с и занском  $\tilde{c}$  возникли в результате аффрикатизации.

Как уже отмечалось выше, в сванском языке аффрикатизации противодействовал весьма активный в свое время процесс деаффрикатизации. Соответствующие примеры приведены в научной литературе.

$\tilde{z} \rightarrow z$ :  $\tilde{c}ur\tilde{z}en-i$  сван.  $\tilde{c}urzel$  'виноград';  
 $\tilde{c}an\tilde{z}-i$   $\tilde{c}anz$  'клад'...  
 $c \rightarrow s$ :  $\tilde{c}a-s\tilde{c}v-i$  сван.  $ze-s\tilde{c}v-a$  'липа',  
 $\tilde{m}-\tilde{t}riced \rightarrow \tilde{t}ricd//\tilde{t}ricd$  'действительно'  
и др.

Занское  $\tilde{z}$

→

Сванское  $\tilde{z}$

$\tilde{c}in\tilde{z}a$

$\tilde{c}i\tilde{z}e$

зять

$\tilde{z}\tilde{c}o\tilde{p}a$

$li-\tilde{z}o\tilde{p}$

предводительствовать

$\tilde{z}-i\tilde{t}a$

'лежать'

$u-\tilde{z}$

сон

$\tilde{z}o\tilde{p}o\tilde{t}-i$

'называется'

$\tilde{z}e\tilde{p}$

собака

$\tilde{z}o\tilde{c}o$

$\tilde{z}a\tilde{c}e$

имя и др.

ʃ oʃi 'ковак' ʃan-apa u-c-aʃi	→	ʃ: ɣ-vaʃ tur li-ʃne (←li-ʃen-e) плодоносить xo-ʃ-a старший и др. <sup>9)</sup>
----------------------------------------	---	--------------------------------------------------------------------------------------------

На основе материалов адыгейского языка, где процесс деаффрикатизации сильно распространен, и материалов сванского языка Г.Рогва выдвинул положение о спирантизации аффрикат. Это положение представляется верным, поскольку дальнейшее изучение сванской лексики подтверждает его. Автор делает вывод, что "исходными для сванского языка являются аффрикатные варианты - шипящие аффрикаты, следовательно, древнее состояние сванского в этом отношении совпадает с занским<sup>10)</sup>.

В этом свете занско-сванские звукосоответствия представляются в следующем виде:

Занский	Сванский
ç	в
ʃ	з
ç	в
ç	ʃ
ç	ʃ
ç	ʃ

Несмотря на отсутствие абруптивных спирантов в картвельских языках, абруптивам ç и ʃ соответствует в и ʃ хорошо сохранившиеся в гармоничных комплексах децессивного ряда (перед заднеязычным к и фарингальным г). В научной литературе приводятся примеры соответствий комплексов çк и çг.

čk → šk: зан. čkad-ua - сван. li-škad<sup>n</sup>-i  
'ковать'; зан. čkad-u - сван. mə-škid, срв.  
груз. m-čed-el, 'кузнец'.

čq → šq: зан. čqor i - сван. šqāšv  
(←šqāšv) срв. груз. m-čqer-i 'перепелка'.

Приведем еще примеры: мегр. le-r-čqv-a (срв.  
груз. ne-r-čqv-i) 'слина' - сван. nā-šqv 'пле-  
вок' (Г.Климов); зан. du-m-čku - сван. məg-šk  
'муравей'; сван. šqed-ni 'падает' следует увязать с  
мегр. čqord-u а не с груз. čqd-eba (←\*čqed-eba)  
'вымер'; был прерван', как это полагают (напр. Г.Мача-  
მა-ნა

—

მა-რა

მა-ვა

მა-ჰა

§ 4. ნაცვალსახელი მეგრულში. ა) პირის ნაცვალსახელი მეგრულში. პირის ნაცვალსახელებია მეგრულში: მა, სი, ჩქი/ჩქე და თქვა. ესენი არ იბრუნვიან სახ., მოთხრ. და მიცემითში, ნათესაობითში კი ზოგი ფუძეს იცვლის და ზოგი — ფორმას:

სახ.	}	მა	სი	ჩქი/ჩქგ	ტქვა
მოთხ.					
მიც.					
ნათ.		ჩქიმ/ჩქგმ	სქან	ჩქინ/ჩქგნ	ქვან

(ეს ნათ. გამოყენებულია ფუძელ სხვა ფორმათა საწარმოებლად). საგულისხმოა, რომ ნათესაობითში უფრო კარგად არის შემონახული ქართულის შესატყვისი ფორმები (ნ. ჭანური).

ბ) III პ. და ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი. III პ. ნაცვალსახელი იგივეა, რაც ჩვენებითი, ამიტომ ერთად განვიხილავთ. ესენია:

მუ (←მუნ)		მრ. მუნ-ფე-ი	'ის თეთონ'
თენა	'ეს'	თინა	'ის'
ათენა	'აი ეს'	ეთინა	'აი ის'
ამ	'ამ'	იმ/თიმ	'იმ'
ამღლა	'ღლეს'	თიმღლას	'იმღლეს'

აქ თანხმოვნებიდან გამოიყოფა თ (←ღ) და მ; ამ, იმ კი ნასესხები ჩანს, -ნა კი (თე-ნა, თი-ნა<sup>ში</sup>) საერთოა ქართულთან: მე-ნა, აქა-ნა... და მსაზღვრელად გამოყენებისას არ ჩანს.

ხმოვნებიდან გვაქვს: ა-, ე- თავკიდურად და -ე, -ი ბოლოკიდურად. აქედან ჩანს, რომ სიახლოვე-სიშორის გამოხატვა ევალეზა არა მარტო თავკიდურ ხმოვნებს, არამედ ბოლოკიდურებსაც. აქ ყურადღებას იქცევს ერთისა და იმავე ხმოვნის საპირისპირო მნიშვნელობა:

ათე-ნა	'ეს'	—	ე-თი-ნა	'ის'
თე-ნა	'ეს'		თი-ნა	'ის'
ე	'ეს'		ი	'ის'

ეტყობა, თავკიდურები უფრო გვიანდელია(?) და სხვა წარმოშობისაა? საქმეში უფრო გაგეარკვევს ზმნიზელები.

ათაში    თაში	'ასე'	—	ეთეში    თეში	'ისე'	თაში-თეში	'ასე-ისე'
ათაქი    თაქი	'აქ'	—	ეთექი    თექი	'იქ'		
აშო	'აქეთ'	—	ეიშო	'იქით'	(§ 118).	

აქ თანხმოვნებიდან შეგვეძინა შ, ჭ, ხოლო ხმოვნები იგივე დარჩა, ოღონდ ყურადღებას იქცევს თავკიდურ-ბოლოკიდურ ხმოვანთა ერთგეარობა: ა თ ა-ქ || ე თ ე-ქ...

ამგეარად: აქეთა	იქითა
ა (ე)	ე (ი)

თანხმოვნებია: თ (←ღ), შ, ჭ, მ

§ 5. ნაცვალსახელი ჭანურში. ჭანურში ნაცვალსახელები უკეთაა შემონახული, როგორც ზოგი სხვა ნაწილი.

ა) პირის ნაცვალსახელებია: მა/მან, სი/სინ, ჩქინ/შქუ, თქვან/თქვა. -ნ'არიანი ფორმა უფრო ძველი ჩანს და კარგადაა დაცული ჩხალურში<sup>1</sup>. ბრუნებისას ერთ-ვეარადაა სახ., მოთხრ. და მიც.-ში, ხოლო ნათ. მეგრულისებრ იცვლება, მაგ.:

სახ.	}	მა/მან	სი/სინ	შ/ჩქუ    ჩქუნ/ჩქინ	თქვა/თქვან
მოთხრ.		შქიმ/ჩქიმ	სკან	შ/ჩქუნ    ჩქინ	თქვან <sup>2</sup>
მიც.					
ნათ.					

ქართულის შედარება ქანურთან გვაფიქრებინებს, რომ ნათ. ბრუნვა უფრო კარგად წარმოგვიდგენს აღრინდელ სახეს:

ქართ.	მეგრ.-ქან.	აღდგენით
მე-ნა	მა-ნ	საერთოა: მ
ჩემ	ჩქიმ/შქიმ	ჩმ
შე-ნა	სქა-ნ	შ ?
ჩუე-ნა	ჩქუნ-ნ	ჩუ(უ?)
თქუე-ნა	თქუა-ნ	თქუ

გასაკრევეია, რა წარმოშობისაა სი: ხომ არ არის ის სქი'საგან ქს დაკარგვით? რთულ ახსნას საჭიროებს ვარაუდი, შენ მეგრული იყოს და სი ქართული<sup>3</sup>.

ბ) ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი. III პ. ნაცვალსახელი იგივეა, რაც მეგრულში: მ უ, ხოლო ჩვენებით ნაცვალსახელზე წერდა ნ. მარი:

„В чанском три основы указательного местонмения, именно ჰე или ჰი для указания дальнего предмета, ჰა для указания ближнего предмета“<sup>4</sup>. ესენი დაერთვიან III პ. ნაცვალსახელებს და ვიღებთ:

ვიწ.-არქ.	ხოფ.-ჩხალ.	ათინ.
ჰაჰა	აჰა	ჰამ 'ეს'
ჰეა	ია(←ეა)	ჰიმ 'ის'

ამათგან, როგორც ითქვა, ჰა→ა=ქართ. ა  
ჰე-|| ჰი→ე/ი=ქართ. ი

ბოლო მა||ა = -ნა, ნაცვალსახელიდან რჩება თანხმ. მ.

ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნებიდან მხ. და მრ. რიცხვში შესაძლებელი ხდება თანხმოვნების გამოყოფა. „მხოლოდობითში ხოფურ აჰა-ს რიგია „ამ უ ქ, ამ უ ს, ამ უ შ ი...“: არსად თავიიდური ჰ არ არის; ჰამ უ ქ, ჰამ უ ს, ჰამ უ შ ი — საზიაროა ათინური ჰამ-ისა და ვიწურ-არქაბული ჰა-მა-სთვის... (გვ. 81).

„მრავლობითი ქანურში არსებითად სხვადასხვაგვარად აქვს ნაწარმოები ხოფურსა და ვიწურ-არქაბულს, ერთის მხრით, და ათინურს, მეორე მხრით...“

<sup>1</sup> ი. ყიფშიძე, Дополн. свед., § 37.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავია, ქან. გრ. ანალიზი, § 19.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავია, ქან.-მეგრ.-ქართ. შედ. ლექსიკ., გვ. 8.

<sup>4</sup> ნ. მარი, Грамм. чанского (лазского) языка, § 41.



ხოფ. ა-ნ-თ-ფ-ე, ე-წ.-არქ. ჰა-შ-თ-ფ-ე||ჰა-თ-ფ-ე, თ-ს წინ მ||ნ ფონეტიკურ-  
რალაა განვითარებული...

რაკი -ფე მრავლობითის ნიშანია, წინა ნაწილი მხოლოდობითის ფუძე უნდა იყოს: ჰა-თ||ა-თ; ჰე-თ||ე-თ — მივიღეთ მხოლოდობითის ფუძედ, ექვს გარეშეა, რომ ეს იგივე მასალაა, რაც მეგრულს გააჩნია: ა-თ-ე კოჩი, ე-თ-ი კოჩი... მხოლოდობითში ეს თ-იანი ჩვენებითი სახელები ჰანურმა დაჯარგა...“ (გვ. 82)<sup>1</sup>.

ამათ გარდა არის ზმნიზედები მეგრულისებრი:

ჰა-ქო || ჰა-ქ || აქ 'აქ' — ჰე-ქო || ჰე-ქ || ე-ქ || ჰი-ქ 'იქ'  
ჰა-შო || ა-შო 'ასე' — ჰე-შო || ე-შო 'ისე'

გაირკვა, რომ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი დ ა ნ გვაქვს:

ჰა/ა ჰე/ე ჰი/ი

თანხმოვნებიდან:

ქ შ თ (—ღ) შ

§ 6. ნაცვალსახელი ხვანურში. ა) პირის ნაცვალსახელი. პირთა ნაცვალსახელი თავისი შედგენილობითა და ცვლით ახლოს დგას მეგრულ-ჰანურთან. ესაა: მი, სი, ნა||ნა||ნა, სგა||სგა||სგა; ლნტ. სკა.

იბრუნება სხვა ქართვ. ენათა მსგავსად: სახ., მოთხრ. და მიც. ერთნაირი (არ იცვლება), ნათ. ფუძეს იცვლის და იგია გამოსავალი ყველა სხვა ფორმისათვის.

სახ- მოთხრ.	}	მი	სი	ნა	სგა, ლენტ. სკა
მიც. ..					
ნათ.		მიშგუ/ტი	ისგუ/ტი	ნიშგუ გუ/ტიშგუ ბქე. გტიშგე/ნიშგე	ისგუ ისკუ
		ლენტ. მიშკტი	ისკტი	გუშკუ	ისკტი

შესატყვისობები ასეთია: მი უთუოდ ქართ. მე-ა შეტანილი, რადგანაც მეგრ.-ჰან. შა არ მოგვემდა მი'ს. ხი მეგრ.-ჰანურიდან შეტანილია, ან მომდინარეობს \*სგო ფორმისაგან, როგორც მეგრ. სქი'საგან. ყოველ შემთხვევაში ზანურ-სვანურში ერთნაირი მდგომარეობაა.

ნა და სგა სულ სხვა წარმოშობისაა, არა აქვთ საერთო ჩვენ-თქვენთან. მას სხვა ენებში უნდა მოეძებნოს პარალელი.

რაც შეეხება ნათ. ფორმებს, ყურადღებას იქცევს მიშგუ, ისგუ, ნიშგუ, ისგუ იმ მხრივ, რომ მრ. ნიშნად გამოდის -ეა(?) და 0 პრეფ. I პ. pl.

ნიშგუ — ნ  
გუიშგუ — გუ

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ჰან. გრამტ. ანალიზი; მისივე, მოთხრ. ბრ. გენეზისათვის, გვ. 171, 173—4.

ფუძე საერთოა ი-შგუ:  
 მ-ი-შგუ  
 ნ-ი-შგუჲ  
 გუ-ი-შგუჲ

ე-სგუ — ე-სგუი — თავსართი ი ასახსნელია, შგ=ჩ და ხგ=შ (მდრ. აფ-ზაზ.). სხვა რამ გასარკვევია.

ბ) ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი არც თანხმოვნებისა და არც ხმოვნების მხრივ ჩამოკვეთილი, წმინდა სვანური არ არის, საკმაოდ ჭრელია. ჭერ ბრუნვებში ვნახოთ.

	ბზ.	ბქვ.	ქვ. სვან.
სახ.	ალა 'ეს'	ალი	ლნტ. ალე
მიც.	ალას    ამის/ამენ	ალის    ამის	ალეს    ამის
ნათ.	ამიშ	ამიშ	ამშა
მოთხ.	ამ-ნ-ნემ	ამნემ	ამემდ
მოქმ.	ამ-ნ-ოშ	ამნოშ	ამოვშ    ამნოვშ
მიზ.	ამ-ნ-პრ-დ	ამნპრ	ამდ

Pl.

სახ.	ალაპრ	ალაპრ    ალპრ	ალმინ    ამნილ
მიც.	ალაპრს	ალაპრს	ალმინს
მოთხრ.	ალაპრდ	ალაპრდ	ალმინდ
ნათ.	ალაპრეშ	ამ(ა)პრეშ	ალმინეშ    ამნილეშ

ლნტ. ლშხ.

სახ.	ეჭა	ეჭი	ეჭი
მიც.	ეჭას    ეჩას	ეჭის	ეჩის
ნათ.	ეჩიშ    (ეჭიშ)	ეჩა	ეჩა
მოთხრ.	ეჯნეშ	ეჯნემ	ეჯ/ჩემდ
მოქმ.	ეჯნოვშ    ეჯნოშ	ეჯნოშ	ეჯოვშ    ეჯნოვშ
მიზ.	იმპნრდ	ეჯპრ	ეჯდ

Pl.

სახ.	ეჯაპრ	ეჯაპრ	ეჯმინ
მიც.	ეჯაპრს	ეჯაპრს	ეჯმინს
მოთხ.	ეჯაპრდ	ეჯაპრდ	ეჯმინდ
ნათ.	ეჯაპრეშ	ეჯაპრეშ	ეჯმინეშ

აქ თანხმოვნებია ლ, ჯ—ჩ და მ, ხოლო თავკიდური ხმოვნებია ა (ალა) და ე (ეჭა), ბოლოკიდური ხმოვნებია ა ე ი (ალ-ა/ალ-ი/ალ-ე) და ა, ი (ეჯ-ა, ეჯ-ი)... ჩანს, ბოლოკიდური ხმოვანი სიახლოვე-სიშორეს არ გამოხატავს.

ბოლოკიდური ხმოვანი არაა საჭირო, როცა ნაცვალსახ. მსახლერელადაა გამოყენებული: ალ მპრე, ეჯ მპრე 'ეს კაცი', 'ის კაცი'.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ სხვა ქართველურ ენებთან შედარებით თანხმოვნებთანაა დაკავშირებული სიახლოვე-სიშორე და ამიტომ ხმოვნები არ თამაშობენ როლს: ლ გამოხატავს I პირთან ახლო მყოფს:

აღ-ა აღ-ი აღ-ე 'ეს'

ჭ გამოხატავს III პირთან ახლო მყოფს:

ა-ჭ-ა (უშგ.) ე-ჭ-ა ე-ჭ-ი 'ის'  
ჭ-ა 'თვითონ'

(ჩ დაყრუებული ჭ-აა ნათ.-მიც. დაბოლოებათა წყალობით). ეგების აჭა ნიშნავდა 'ამას' და ეჭა 'იმას'. ერთადერთი თანხმოვანია შ, რომელთანაც ხმოვნებს შერჩათ სიახლოვე-სიშორის ჩვენება:

ამის	'ამას'	—	იმის	'იმას'
ა მ ნ შ რ	'ამისთვის'	—	ი მ ნ შ რ	'იმისთვის'
ამალა	'ამიტომ'	—	იმალა	'იმიტომ'

ნაცვალსახელები გამოყენებულია ზმნისართებთანაც. საჭიროა ისინიც ჩამოვთვალოთ.

ლნტ. ა მ ო ხ ჭ ა 'აქამდე'  
ა მ დ რ ო ს

ამალა		მეხზარ ერეხ	'ზეგ'
ამ ზაჲშ	'წლევანდელი'	ერეჩუ    ერე	'იქ'
ამ ზაე	'წელს'	ეროხ	'იქეთ'
აშიშტ	'ახლავე'	ეროხავ	'იქეთკენ'
ამერეუ    ამე	'აქ'	ერეურა    ერერუნაშუ    ერესკია	'იქაური'
ამოხ	'აქეთ'	ერქა	'მაშინ'
ამოხავ	'აქეთკენ'	ერქაშია	'მაშინდელი'
ამეურა    ამერუნაშუ    ამესკია 'აქაური'		ერქად	'მანამდე'
ათხე 'ახლა' (←აღ-ხენ)			
ათხენაშუ  ათხელაშუ 'ახლანდელი'			

### ბ ა ლ ს ქ ე ე მ ო უ რ ი

ამ ზაე 'წელს'		ჯი გარ	'მარტო'
ამ თევისგა    აღ თევისგა 'ამ თვეს'		ეჭ მუშ	
აღ ზაჲსგა	'ამ წელს'	მეხზარ ერეხენ	'ზეგ'
ამ მგეშ	ამ ცვირას'		
ამერეუ (ამერეუშუ    ამერევიშუ)	'აქაური'	ერეჩუ (-უშუ)	'იქაური'
ამეგ	'აქ'	ერეგ	'იქ'
ამხენ	'აქედან'	ერხენ	'იქიდან'
ამხავ    აშთე	'აქეთ'	ერხავ    ეშთე	'იქით'
ამხავიშ	'აქეთური'	ერხავიშ	'იქითური'
ამგიშ	'აქაური'	ერგიშ	'იქაური'

ამლა 'ამიტომ'  
 ათხე 'ახლა'  
 ათხელდ 'აქამდე'  
 ამშეულდ 'ამდენი'  
 ამზემ  
 აღმად

ეჲლა 'იმიტომ'  
 ეჲლაი 'მაინც'  
 ეჲშეულდ  
 ეჲზემ  
 იმეგ (იმგიშ) 'სადაური'

ლაშხური

ამლა 'ამისთვის'  
 ამნარ  
 ალ ზაჲსა 'ამ წელს'  
 ალ თოჲსა 'ამ თვეს'  
 ამ ზაჲიშ 'წლევანდელი'  
 ამეჩუ  
 ამხვე 'აქეთ'  
 ამეი  
 ათხე 'ახლა'  
 აშიშდ 'ახლავე'  
 ამე 'აქ'

ეჲლა  
 ეჲნარ  
 ეჲლ'ერე  
 ეჲ ზაჲსა 'იმ წელს'  
 ეჲ თოჲსა 'იმ თვეს'  
 ეჲხხვე 'იქით'  
 ეჲჩეუ II ეჩე  
 ეჩე-ამწ 'აქა-იქ'  
 ეჩქა 'მაშინ'  
 მეხარ ეჩხენ 'ზეგ'  
 ეჩე-ეჩხენ 'ზეგის ზეგ'  
 ეჲჲი  
 აჲალ 'კიდეგ'  
 იმე  
 იმთე  
 იმხენ  
 იმეი  
 'სად'  
 'საით'  
 'საიდან'

ბალსზემოური

ერთგვარობაა თითქმის ლაშხურსა და ბალსზემოურს შორის. მაინც მოვიყვანოთ:

ათხე 'ახლა'  
 აშიშდ 'ახლავე'  
 ალ თვეეს 'ამ თვეს'  
 ალ ზაე 'ამ წელს'  
 ამ ზაეიშ 'წლევანდელი'  
 ამეჩუ 'აქ'  
 ამლა 'ამისათვის'  
 ამლ'ერე  
 ამნარ 'ამისათვის'  
 ამხვე  
 ამკწლი 'აქეთ'  
 'ამისთანა'

მეხარეჩხენ 'ზეგ'  
 ეჲ თვეეს 'იმ თვეს'  
 ეჲ ზაე 'იმ წელს'  
 ეჩქა 'მაშინ'  
 ეჩეჩუ II ეჩე 'იქ'  
 ეჲლა 'იმისათვის'  
 ეჲლ'ერე  
 ეჲნარ  
 აჲალ 'ისევე, კიდეგ'  
 ეჩხხვე  
 ეჲკწლი

ამზგმ	‘ამზომა’	ეჭზგმ
ამშელდ	‘ამდენი’	ეჭშელდ
აშ	‘ასე’	ეშ ‘ისე’
იმზან	‘საიდან’	
იმე	‘სადა’?	
იმთე	‘საით’	

ა მ ო ნ ა წ ე რ ე ბ ი ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი დ ა ნ .

ე ს , ა ქ ე თ , ა ქ ე თ უ რ ი

- ა ლ ა ს ი ა ნ ო ვ ლ ა ქ ს ე ლ ა ს ე ა ნ . პ ო ე ზ ი ა , 164 — ე ს შ ე ნ ნ უ მ ც შ ე გ რ ჩ ე ნ ი ა
- ა ლ უ რ წ მ უ ლ ე ს ა ვ ა რ ი ს გ ა 204 — ა მ უ რ წ მ უ ნ ო ს ა ვ ე ბ შ ი
- ა ლ მ ა რ ს ვ ე შ გ მ ა ე ქ ა ნ დ ლ ა ხ ტ ო ნ ნ ე 828 — ე ს ნ ე ს ც კ ე ლ ა ე უ კ უ ქ ი ა
- ა ლ ი ს ი მ ა დ მ ა ქ ე ს გ ო შ ი 404 — ე ს შ ე ნ ა რ გ შ ე ნ ი ს
- ა ლ ე ზ ე თ უ ნ ა ხ ა ე ლ გ მ ა რ ლ ი 7123 — ე ს მ ზ ე თ უ ნ ა ხ ა ვ ი ყ ო ფ ი ლ ა
- ა მ ი ს ა თ გ რ მ ა ნ 5933 — ა მ ა ხ დ ა ე ქ ი რ ა
- ა მ რ შ : მ ა მ ა ხ ო მ ე ქ ე რ ა ა მ რ შ 6135 — ა რ გ ა უ გ ი ა ა მ ი ს ა
- ა მ ლ ე თ ს ე . პ . 815 — ა მ ლ ა მ ე ს
- ა მ უ რ ა ქ უ ლ უ ს ა ვ ი ა რ ე 1438 — ე ს უ რ ა ქ უ ლ ო ს ა ვ ე ბ ი
- ა მ ნ ე მ მ ა ხ ე ქ ა ბ რ ა ნ ლ ა მ დ ე 300100 — ა მ ა ნ ა ხ ა ლ ი ბ ა ნ დ ლ უ ლ ე ბ ი ჩ ა მ ა ც ვ ა
- ა მ უ ნ ჩ უ ბ ა ე ჩ უ ე ხ ო გ ე ნ ა 2864 — ა მ ი ს ქ ე ე ვ ი თ ჩ ა ვ ე ყ ვ ა ნ ი ვ ა რ
- ა მ გ ე ნ ხ ო შ ა მ ი მ ა მ მ ი ბ ი ც 3828 — ა მ ა ზ ე მ ე ტ ი მ ე ა რ შ ე მ ი ძ ლ ი ა
- ა მ ი შ თ ე რ ა ნ ლ ა შ დ ე შ ი გ ნ ი ს 2868 — ა მ ი ს თ ვ ა ლ ე ბ ი ა ს ე ვ ე რ გ ა ჩ ე რ დ ე ბ ი ა ნ
- ა შ ხ ო ბ ი ნ ა ლ ი ზ - ლ ი ჩ ი ე დ ი ს ე . პ . 823 — ა ს ე დ ა უ წ ყ ი ა ს ე ლ ა - წ ა ს ე ლ ა
- ე შ ლ ა მ ქ ა რ ე ვ ხ ნ ა ხ ა შ თ ე ს გ ა 3842-43 — ა ს ე გ ა მ ა ქ ა რ ე ვ ს ნ ა ხ ა შ შ ი
- ა მ შ ა დ ა გ რ ა 63 — ა მ ი ს მ ო კ ე ლ ა
- ა მ შ ა || ა მ რ შ : ... ხ ა ქ ი დ ა მ შ ა (|| ა მ რ ) რ ა შ დ 7027 — ს ც ა ა მ ი ს რ ა შ მ ა
- ა მ ე ლ ა ქ ე ა ქ გ გ რ ა ნ ა ნ ქ ა ნ დ ბ ზ . 6429 — ა მ ი ს ქ ე ე ვ ი თ წ მ . გ ო მ ო ვ ი დ ა
- პ რ ი ა მ ე ი ს გ ა ზ ე თ უ ნ ა ხ ა ე 7236 — ა მ ა შ ი მ ზ ე თ უ ნ ა ხ ა ვ ი ა
- ა მ ... მ უ ხ ვ ბ ე მ ... ლ ა მ მ ე ზ ზ ე 788 — ა მ ... მ მ ა მ ... მ ო ი მ ი ზ ე ზ ა
- ა მ ე : ჩ ი ე ს გ ი მ დ ა ვ ა მ ე პ რ ი 3237 — ყ ვ ე ლ ა მ ხ რ ი ს დ ე ვ ი ა ქ ა რ ი ს
- ს ი ა მ ე გ დ ე მ ი ს ა ქ ც ე ი რ ე 1458 — შ ე ნ ა ქ ა რ დ ა გ ტ ო ვ ე ბ
- ა მ ე გ ლ ე ე ა კ ა ნ ა რ ა ნ ლ რ ი ს 208 — ა მ ი ს ზ ე მ ო თ ხ ა რ ე ბ ი მ ო ლ ი ა ნ
- ა მ ე ს გ ა დ ა რ ი ი ა ნ პ რ ი ბ ზ . 5934 — ა მ ა შ ი დ ა რ ე ყ ა ნ ი ა
- ა მ ე ლ ე ე ა ს ე მ ი მ ა რ ე ა ნ ლ რ ი ს 6322 — ა მ ა ზ ე ( ა ქ ე თ ) ს ა მ ი კ ა ც ი მ ო ლ ი ს
- ა მ ა ე დ ე შ კ ე დ ნ ი ბ ზ . 648 — ა ქ ე თ ვ ე რ მ ო ვ ა
- ფ ა თ უ ლ დ ა მ ნ ა რ დ ე შ გ ვ ი კ ი ჩ ა 1628 — ა მ ი თ ბ ე წ ვ ი ც ვ ე რ გ ა ვ ა ყ რ ე ვ ი ნ ე თ
- ა მ ე შ ი ხ ო რ ი ც 6724 — ა მ ა ზ ე ( ა ქ ) კ ე ი ლ ი ა
- ა მ ე ი ე ბ წ ა ნ დ ს გ ა მ ე რ დ ე ლ ხ ი 2083 — ა ს ე ე ბ წ ა ნ დ შ ი დ ა ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ხ ა რ , მ ი ს უ ლ - ხ ა რ
- ა მ ე ი ნ უ შ ხ ვ ა რ დ ე შ ლ ო ქ ა ბ ი დ 1860 — ა ს ე ე რ თ მ ა ნ ე თ ს გ ვ ე რ დ ს ვ ე რ ა ვ უ ხ ვ ე ვ ო
- ა მ ს ლ ე თ (|| ა მ ლ ე თ ) ... ქ ა ნ შ ე ე მ ხ 786 — ა მ ა ლ ა მ დ ა ი ს ე ვ ე ნ ე ს
- ა მ ე ჩ უ : ჩ ა ც ვ ი რ ა მ ე ჩ უ 6429 — დ ა ტ ო ვ ა ა ქ

ამ რ უ: მახან ღმბღაზ ამ რ უ ჯაღდა 24<sub>10</sub> — ახალი დაბადება აქ გექნა.  
ყვეგმიშ მახეში ამ რ უ არაა 26<sub>39</sub> — ჩეგემის ბატონი აქ იყო  
ამ ი შ თ ა ნ ი ხოჩა მარე 26<sub>51</sub> — ამისთანა კარგი კაცი  
ამ შ ე ლ ლ: მად ჭყყრენდა ამ შ ე ლ ლ ხოლა 70<sub>32</sub> — არ დაგემართებოდა ამდენი  
ცული

ამ ი შ ლ: ჩვაქურ აშიშლ 70<sub>30</sub> — გაჩუმდი ახლავე  
ათ ხ ა ქანთე ჭურ ხოკიდახ 26<sub>54</sub> — ახლა გარეთ გამოუყვანიათ  
ამ შ-ი-ამ ესერ 26<sub>534</sub> — ასე და ასე  
ა ჯ ა ლი ისგვი ლემხუბურ ბზ. 54<sub>22</sub> — ისაა შენი საქმო  
ა ჯ ა ლ ანშიდლ პ. 18<sub>70</sub> — კიდევ ჩამოყარეთ  
ა ჯ ა გოგვერ ზურაღ ლი 64<sub>3</sub> — ის ეშმაკი ქალია (კულიანია)  
წხთხლ ა ჩ ა ს ბზ. 59<sub>23</sub> — მონახე ის [ეძიე მას]  
ა ჯ ე ი: ესლრი აჯეი 64<sub>14</sub> — მიდის ისე  
ა ჩ გ ნ ქ ა მუხებე ღწრ ჭაყა ბზ. 59<sub>22</sub> — იმის გარდა ძმა არავინ გყავს

მარღ' ვლა ქა ლქქვეს ნენშე, ა ჯ ა გრეი მუქოხლუ ალსყული 61<sub>34</sub> — ვინც ეს  
თქვას ენით, ის მწვანე ქვად იქცეს

ა ჯ ზ უ მ ანსსტკე 62<sub>7</sub> — იმდენად გაწყრა  
ა ჩ ა ლ ა ქ ე ვ ა ანქდენის ლერთაღ ბზ. 64<sub>21</sub> — ამის ქვევით მოვლენ ღმერთები  
ე შ: ყეგამ ჩუბენ ეშ ლამკიპეხ 28<sub>57</sub> — ჩეგემის ქვევით ისე გამაქარვეს  
ე შ ლამკიპეხ ქაშაჯითე 28<sub>58</sub> — ისე გამაქარვეს ჩერქეზეთში  
ე შ ი ამავე ღეშ ქედნი ბზ. 64<sub>8</sub> — მაინც აქეთ ვერ მოვა  
ე ჯ ზ უ მ ნაშრომ ლი ისგვაი ბზ. 63<sub>6</sub> — იმდენი ნაშრომია შენთვის  
ე ჩ ხ ა ნ-ა მ ხ ა ნ: ჰაქენარ ე ჩ ხ ა ნ-ა მ ხ ა ნ ლახგე 65<sub>2</sub> — აკენები იქით-აქეთ  
დაუღდა

ეჩხავ-ამხავ ხოცწხვრინღლი ბოფშარს 65<sub>4-5</sub> — იქეთ-აქეთ უჩხუტუნებს (უღიტი-  
ნებს) ბავშვებს

ა ჩ ქ ა ს მი ს ი ი მ ჭაშჩუქერი 72<sub>12</sub> — მაშინ მე შენ რას გაჩუქებ  
ე ჩ ქ ა ს ლქქვინიდლ ბზ. 60<sub>26</sub> — მაშინ ვიტყვი  
ე ჩ ა ნ ლ ო მიჩა მეხე... ღანავ ლგმწრ 62<sub>13</sub> — შემდეგ მისი ცოლი ორსული  
ყოფილა

ა ჩ უ ნ ლ ო ღომგვაშ მანო მი! 66<sub>34</sub> — ამის შემდეგ არაფერს მიზამს მე!

ა ჯ ლ ა ხიგენი მო ს ი? 67<sub>23</sub> — იმისათვის ტირი?

ე ჯ ლ ა ღემ ოფშენი 68<sub>6</sub> — იმისათვის არ ვინალვლებ

ა ჩ ა ს ხენთედ 68<sub>30</sub> — იმას ვიყოფთ

ა ჯ ი ჩუ ჩეგმ 70<sub>13</sub> — ეს ჰქენი

ა ჩ ქ ა ღ მამას ნოსავ ხორი 70<sub>24</sub> — მანამდე მამას ნუმც ჰყავხარ

ა ჯ ა ნ უ რ ღეშ ხეიგნიდ 76<sub>35</sub> — უმისოდ ვერ დავდგებით

ის, იქით, იქითური

ე ჯ ა ლამხვრ ღკვეცირახან 38<sub>26</sub> — ის შემხვდა ნადირობიდან  
ე ჯ ი სწავარს ჩუ ხობაყახ სე. პ. 8<sub>18</sub> — იგი სავეებს გაუგიათ

- მ ქ ა წ რ ლაღვეპარდ მალყნარს არდახ სვ. პ. 10<sub>82</sub> — ისინი სავაქროდ მალყარში იყვენენ
- ე ქ ფინთარე ზურალარე პ. 8<sub>25</sub> — ის ფინთი ქალეზი
- ე ჩ ის: სეფსკევერდ მიჩა ეჩის ლანყუედ 10<sub>83</sub> — მის სეფსკევერდ ი მ ა ს გამო-  
ვაცხოზოთ
- ე ჩ უ ნ ლო ლალ ეი მეტხელხი 20<sub>79</sub> — იმის შემდეგ ამოსულხარ
- ე ჩ ე: ლიმადალი ე ჩ ე მადა 24<sub>38</sub> — სამხრობა ი ქ მქონდა
- ე ჩ ა ვ ჯიღდახ სანდილ-ვახშამს პ. 6<sub>4</sub> — იქ გიზიდავდენენ სადილ-ვახშამს
- ე ჩ ხ ა ვ ქოჩულს ხეძხილალე 14<sub>50</sub> — იქით ქოჩულს გასძახის
- ე ჩ ქ ა ლამერდას ხოსგოჯა 10<sub>76</sub> — მაშინ მარიაშს უბრძანებია
- ე ჩ ქ ა დ ნაბეი ქურ ხეყუადანს 26<sub>21</sub> — მ ა ნ ა მ დ ე ნებაზე ვაყავდი
- ე ჩ ხ ა ნ: ლვინალ-ზედაშ ეჩხან იშგემინ 10<sub>85</sub> — ლვინო-ზედაშე ი ქ ი დ ა ნ მო-  
ითხოვა
- ე ქ ნ ა რ ლუხორ ჩუ ხოკეამახ 12<sub>91</sub> — მ ის თ ვ ის ლუხორი დაულოცავთ

### ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი

- მ ი ნ: იშგვიდ მინ ლიხ პ. 1<sub>553</sub>! — შეიღნი თვითონ არიან
- მ ი ნ ე შ: ალა ლემწარ მამა მინეშ 77<sub>28</sub> — ეს ყოფილა მათი მამა
- მინე-მინე ლათხეარ მინს ხოთრახ 77<sub>33</sub> — თავ-თავისი სანადირო მათ იციან
- ჰერ ათლანდა კუთხეას მიჩა პ. 8<sub>40</sub> — ხმა გაედინა მის კუთხეას
- მ ი ჩ მ შ მ ა ხახლანა ბზ. 62<sub>13</sub> — მას არა სცოდნია
- მ ი ჩ ა ვ შ: ანკად ალ დონა მ ი ჩ ა ვ შ 69<sub>5</sub> — მოვიდა ეს ქალიშვილი მისით
- ფანდეს იმეი მ ი ნ ს ხახლნახ პ. 8<sub>26</sub> — მღვერობა მათ როგორ სცოდნიათ
- ჯ ა ლოხტერდა ბზ. 61<sub>2</sub> — ის (თვითონ) ეახლა, გაჰყვა
- ჯ ა ი ს გა ლოხტერდა 61<sub>2-3</sub> — ისიც ეახლა (თან გაჰყვა)
- ჯ ა ლოქ ფრინველ ირა ბზ. 61<sub>32</sub> — ის ფრინველი იქნებარა

### ც ა ლ კ ე ხ მ ო ვ ნ ე ბ ი

- ა: ამლა მამ აფაშ ა ლ ა. ჰყინტ 223<sub>6</sub> — ამისათვის არ დაღონდა ეს, ბიჭი  
ამ ლწთ ა ლ ა, ზურალ, ტყიკუმ ჩვანდლანენ 236<sub>31</sub> — ამალამ ეს ქალი მართ-  
ლაც დაორსულდა .
- აჩნდ ალა: დეკვენ, ბაპთე 237<sub>33</sub> — წაეიდა ეს, დიაკონი, მღვდელთან  
ლაშპარს ხადის, ა მ ე ' ა 13<sub>13</sub> — ლაშპარებს დებენ, ასეა
- ე: ჰაგარ იმწარ ჯიკიდახ ე, ამიშთანი ხოჩა მარე? 26<sub>50-51</sub> — ფეხშიშველა რად  
მოგიყვანიათ ამისთანა კარგი კაცი?
- ე: ჰულვათ. უსერ ლეხ ნოსავ ოთხკვარა 140<sub>28</sub>
- ა: ხიად, ალა მნ ჩუ მამაღდნ 307<sub>2</sub>
- ა: ხიად, ალა მნ ჩუ მამაღდნ 307<sub>2</sub>  
ალა ნ უ ლ ვ ა, წამა ნწყუნ 306<sub>3</sub>

- o მ ე პ რ ი ს ა ჯ ა რ ? 67<sub>23</sub> — საღ არიან ისინი?  
 o მ ე ჯ ე კ ე ვ ს ბ ზ . 66<sub>26</sub> — საღ აც გინდოღეს  
 o მ ე : იმ ' პ რ ი 58<sub>29</sub> ბ ზ . — საღ აა?  
 o მ ე ვ ა რ გ პ ი ი რ ო ლ ე 40<sub>22</sub> — საღ აც სინათღე იქნება  
 o მ გ ნ ა ნ ჯ ა ნ დ ლ ? 77<sub>2</sub> — საიღან მოხვეღით?  
 o მ ა ვ ე ს ლ რ ი , მ უ რ ზ ა ბ ე ვ ა ? 18<sub>56</sub> — საით მიღიხარ , მ უ რ ზ ა ბ ე ვ ?  
 o მ ვ ე ლ ე ... არღა 78<sub>23</sub> — საღ ლაც ... იყ  
 ფ ე ლ ჳ ს ი მ ე ი მ ინ ს ხ ა ხ ლ ე ნ ა ხ პ . 8<sub>26</sub> — მღღეღობა მათ როგორ სცოღნიათ .  
 o მ ე ე ი : აღ ღ ა ვ ე რ ს ი მ ე ' ო ხ ს ე ღ ნ ი ? ! 32<sub>39</sub> — ამ ღღეღებს როგორ გაღღავურჩეღი?  
 o მ ე ე ი ა ღ რ ი 32<sub>61</sub> — როგორ წ ა ხ ვ ა ლ  
 o მ ლ ა ხ ი გ ე ნ ი ? ბ ზ . 61<sub>17</sub> — რაღ სტირი?  
 ე შ ჭ ი ზ მ ი ნ ა ის ა მ ა 66<sub>21</sub> ბ ზ . — ისე გიქნია რამე?

რა გამოიღრვა?

ხმოვნებთან ა ე ო 'სთან ღაკვეშიღრებით აშქარაღ არ ჩანს ჩვენებითი ფუნქცია, მაგრამ ზოგ ნეიტრალღურ ნაცვალსახელთან (მაგ., მ, შ) იღრკვევა, რომ ა I პირთან სიახლოვეს უჩვენებს, ე და ო — III პირთან (ეშ, იმის).

თანხმოვნებია: ლ I პ. სიახლოვის მაჩვენებელი  
 ჭ III პ. " "

ხოლო გ, მ, შ, ღ და ჩ ღა უარყოფითი ნაწიღაკების მიხეღვით ხ, რ, ნეიტრალღურია: ყვეღა პირთან იხმარება; განარჩევს ხმოვანი. ამათგან ლ, აღბათ, მომღღინარეობს ნ'სგან, ჭ=ქართ. გ'ს, შ=ქართ. ხ; ჩ ზოგ შემთხვევაში ასიმიღაციით—ჭ: ეჩხანს—ეჯხან, მაგრამ ზოგჯერ იგი გააფრიაღებულღ ქ არის, მიღღებულღ ქართულისაგან: ეჩე=იქი (შღრ. ქმნა=ჩომინ, ქვე=ჩუ-), მ ღა ს, აღბათ, ქართულიღან შესულია, ან საერთოა ქართულ-სვანურში.

თუ სამივე ხმოვანს ღავეუშეღბთ, უნღა აღღადღინოთ

აღა	*ეღე	*იღი
აჯა	ეჯე	*იჯი
*აგა	ეგე	*იგი
ამა	*ემე	იმი
აშა	ეშე	*იში
აღა	*ეღე	*იღი (შღრ. ჯღ)
აჩა	ეჩე	*იჩი
*ასა	ესე	ისი
*არა	ერე	*ირი

როგორც ვხეღავთ, ო ხმოვანი ნაკღებ აქტიუღრობს ღა ის შეიღღლება შემოღღებული იყოს; თანხმოვნებღდან გ, ხ, რ ჩვეუღღებრივ ხშირი არ არის, ასევე ღ'ც, მაგრამ იგი წმინღა სვანურ ფორმებშია, უკეთ ნაწიღაკებშია შემონახული: აღღაღღ, ჯღ.



დამატებითი შესწავლა სვანური ფორმებისა კვლავ გაარკვევს ამ ელემენტთა სიხშირეს. ყოველ შემთხვევაში აჯალ, აღაღლ, ეჭემ, ჯღ, ერე/ი დაუბრკოლებლევ ნაცვალსახელებს გამოივლენენ და ამ გზით გამოაშქარავდება სხვა ელემენტები.

§ 7. ნაცვალსახელები ქართველურ ენებში. ა) პ ი რ თ ა ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი :

ქართ.	მეგრ.	ჭან.	სვან.
მე-ნა	მა	მა-ნ	მი
შე-ნა	სი	სი-ნ	სი
ჩუე-ნა	ჩქი/ჯ	ჩქუ-ნ	ნაჲ
თქუე-ნა	თქვა	თქუა-ნ	სგჲა

-ნა, -ნ, როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში, ძირისეული არაა: ელემენტია, საერთოა I პ. მ: მე=მა, სვანურში ქართულიდანაა შესული, თუ შესატყვისია(?).

ზანურ-სვანურში საერთოა სი. სვანურში თუ სი არ არის—სგჲი (მღრ. სგჲა), მაშინ იგი ნასესხებია. დღესაც გაურკვეველია სი და შენ'ის მიმართება: რა რომელი ენისაა.

მრავლ. რიცხვის შესახებ უკვე ითქვა და აქ მეტს ვეღარას ვიტყვი.

აშქარაა, I და II პირის ნაცვალსახელებში მეტი სიჭრელე და გაურკვევლობაა, ვიდრე III პირთან. საჭიროა დამატებითი მასალები.

ბ) ჩ ე ე ნ ე ბ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი

1) ხ მ ო ვ ნ ე ბ ი :

ქართ.	მეგრ.	ჭან.	სვან.
ა	ა	ა	ა
ფ	ფ	ფ	ფ
ო	ო	ო	ო

ა, როგორც ირკვევა, საერთოა. აქ ორი აზრი არ არსებობს, ე მეგრულ-ჭანურ-სვანურში საერთო ჩანს; იგი უპირისპირდება ქართულ ი'ს. თუ ქართულში სამ სისტემიან ჩვენებითს ნაცვალსახელს დავეუშვებთ, როგორც ჩვენ გვგონია, მაშინ ე'ც საერთო იქნება.

რაც შეეხება ი'ს, იგი ჩვეულებრივია ქართულში, მაგრამ ხშირი არაა ზანურ-სვანურში. უმთავრესად იქ გვხვდება მ ნაცვალსახელთან: იმის (სვან.), ჰიმ (ჭან.).

სამსისტემიანობა და ზოგიერთი ნაწილაკისა და ნაცვალსახელის ანალიზი გვაპარაუდებინებს, რომ ი'ც საერთოა.

ამგვარად, ა ე ი ხმოვნები ქართველურ ენათა ჩვენებითი ელემენტებია: ა — I პირისა, ე — II პირისა და ი — III პირისა<sup>1</sup>.

2) თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი:

ქართ.	მეგრ.	ჭან.	სვან.
მ ე	მ	მ	მ
დ ნ რ	თ (←დ) ნ	თ (←დ)	დ ლ რ
ს	შ	შ	ს შ
გ ქ	ქ	ქ	გ ჩ ჯ
ჰ			

ყველაზე მდიდრად წარმოდგენილია ქართულსა და სვანურში, ძალზე და-რიბად მეგრულ-ჭანურში. ზოგი ნაცვალსახელი თითქოს საერთოა, მაგრამ მაგალითებით აშკარად ეტყობა, რომ კარგა ხნის ნასესხები უნდა იყოს. ზოგი ერთ ენაშია წარმოდგენილი და, ამდენად, საერთოზე ლაპარაკი არ შეიძლება (სხვაგან დაკარგულად არ ჩანს), ზოგი შესატყვისობებს პოულობს. გარდა ამისა ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ზოგი ძალზე აქტიურია და ზოგიც პასიური. სხვა დროს ალბათ მოხერხდება მათი განვითარების ისტორიის გათვალისწინება; ახლა კი ამაზე არ ვიმსჯელებთ.

ერთი შეხედვით ჩანს:

მ, დ, ქ საერთოა. აქედან მ<sup>1</sup>ს ნასესხობა დასამტკიცებლად ძნელი არ უნდა იყოს. იგი ქართულსა და სვანურში უფრო მკვიდრობს, ვიდრე ზანურში. უნდა მომდინარეობდეს აფხაზურ-ჩერქეზულიდან.

დ შეიძლება ქართველური იყოს. მას ბევრი რამ უჭერს მხარს.

ქ ქართველურია. იგი მომდინარეობს გ<sup>1</sup>საგან, თუმცა ამას დამტკიცება მაინც დასჭირდება.

ხ საერთოა, ოღონდ მისი შესატყვისია შ (სვანურში იგი შესულია შიშინა წრიდან).

ნ საერთოა, ოღონდ ის ყველგან დაკარგულია და სვანურში ქცეულია ლ<sup>1</sup>დ.

გ ქართულ-სვანურია, ოღონდ სვანურში → ჯ.

რ საძიებელია

ვ არაა ქართველური

ზ გამოსარკვევია

<sup>1</sup> არის ექვი სამსისტემიანობისა. ასეთ შემთხვევაში ა ო ქართულსაა, ე ნასესხებია შიშინა წრიდან, ა ე ზან.-სვანურისა, ი ნასესხებია ქართულიდან. მ თანამოვანი არაა სავარაუდო: იგი გაჩენილია.

## მცენარეთა სახელწოდების შესავალი ნათესის ქართულ ენაზე

წინასწარი მოხსენება

კაცობრიობის წინაისტორიით ცნობილია, რომ მცენარეთა და ცხოველთა სამყარო ბუნების სხვა სამყაროსთან და მოვლენებთან ერთად, ადამიანთა მოდგმის უწინარესია. აღიარებულია, რომ მეოთხეულ პერიოდში პირენეს ნახევარკუნძულით დაწყებული აღმოსავლეთით ვიდრე ჩინეთამდე და აზიისა და მეტი წილი აფრიკის სამხრეთით მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე სუფევდა სუბტროპიკული ჰავა და მისი შესაფერისი ფლორა და ფაუნა. ამ გარემომ შექმნა პირობა, რომ ადამიანი გამოყოფოდა ცხოველთა სამეფოს. ამდენად, ადამიანის არსებობის მთელ მანძილზე, მცენარეთა სამყარო მისი განუყრელი თანამგზავია და მთავარი საარსებო საშუალებათაგანი. როგორც ლ. მორგანი აღნიშნავს და ფრ. ენგელსიც მას ემოწმება, „ყველა ცოცხალი არსებიდან მხოლოდ ადამიანმა მიაღწია თითქმის შეუზღუდველ ბატონობას კვების საშუალებათა წარმოებაზე. ადამიანის პროგრესის ყველა დიდი ეპოქა ცოტად თუ ბევრად პირდაპირ ემთხვევა საარსებო წყაროების გაფართოების ეპოქებს“. საინტერესოა ამ საარსებო წყაროთა გაფართოებაში მცენარეთა კულტურის ადგილისა და ფართოდ გამოყენების გათვალისწინება. მიღებული პერიოდიზაციის საში ეპოქის ყოველ საფეხურზე მცენარის საბაზო ადგილი ეჭირა და თანდათან ზღვროდა მისი მოხმარების განვრცობა და გაუმჯობესება. თუ ველურობის დაბალ საფეხურზე ადამიანები ბინადრობდნენ ტროპიკულ თუ სუბტროპიკულ ტყეებში, ცხოვრობდნენ ნაწილობრივ მაინც ხეებზე და იკვებებოდნენ მცენარეთა ნაყოფით, კაკლით და ფესვებით, შუა საფეხურზე, ცეცხლის გაჩენასთან დაკავშირებით, მცენარის ფესვებსა და ბოლქვებს შემწვარს იყენებდნენ და პალეოლითურა იარაღის საშუალებით დასახლებას იწყებდნენ, ხოლო უმაღლეს საფეხურზე მშვილდ-ისრის გამოგონებით ვითარდება ნადირობა და საფუძველი ეყრება სოფლებად დასახლების ჩანასახს, რასაც მოსდევს ხის ჭურჭლისა და ავეჯეულობის დამზადება, ხელით ქსოვა ხის ბოჭკოსაგან, კალათების დაწვნა ლაფანი-საგან ან ლერწმისაგან, მთლიანი ხისაგან ნავის გამოჭრა და ალაგ-ალაგ მორისაგან თუ ფიცრისაგან სახლის აშენება.

შემდგომი ეპოქის ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე იწყება მეათუნობა, ცხოველების მოშინაურება და მოშენება და მცენარეების გაშენება. ამ მხრივ თავს იჩენს სხვაობა კონტინენტთა შორის: აღმოსავლეთ კონტინენტს, ე. ი. ძველ ქვეყანას მოეპოვებოდა თითქმის ყველა მოსაშინაურებლად გამოსადეგი ცხოველი და კულტურული მარცვლეულის ყველა სახეობა, ხოლო დასავლეთ კონტინენტს, ამერიკას, შეეძლო მოეშინაურებინა მხოლოდ ერთი ძუძუმწოვა-

რი ცხოველი ლამა და მცენარეულობიდან — სიმინდი, შესაძლოა ჰქონდათ გოგარის, ნესვისა და სხვა ბოსტნეული მცენარეების კულტურა, ცხოვრობდნენ ხის სახლებში, მესერშემოვლებულ სოფლებში.

შუა საფეხურზე დასაბამი ეძლევა მარცვლეულის მოყვანას და უმაღლეს საფეხურზე რკინის დამუშავებამ შესაძლებელი გახადა მიწათმოქმედების, კერძოდ მემინდვრობის ფართო მასშტაბით წარმოება. ამ დროსაა, რომ მზადდება მცენარეული ზეთი და ღვინო, ჩნდება ურემი და საბრძოლო ეტლი, შენდება გემები ძელებისა და ფიცრებისაგან, ქალაქები, გარშემორტყმული გალავნითა და კოშკებით, ერთი სიტყვით, ვითარდება ხელოვნების მნიშვნელოვანი დარგი — ხუროთმოძღვრება<sup>1</sup>.

დღეს ცივილიზაციის ეპოქაში, მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების განვითარების წყალობით თუ რა ადგილი უქირავს მცენარეულობას მრეწველობაში, ეს ადვილწარმოსადგენია. ამდენად, მცენარეთა როლის შესწავლას, საერთოდ კულტურის ისტორიისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

განარჩევნ ველურ და კულტურულ მცენარეებს. დადგენილია, რომ ყოველი კულტურული მცენარის წინაპარია მისი ველური სახეობა. ველური მცენარის განიხილვებით, — გადარგვით, მყნობით, სელექციისა და აგროტექნიკის ამაღლების შემთხვევებით მიიღება ახალი კულტურული ჯიშები, ან ნიკოლოზ გულაბერიძის თქმით, „მცენარენი... შინაურთა და ველურთანი“ (ეკ. ისტ. I, 274). მარტო ი. მიჩურინმა თავისი მოღვაწეობის მანძილზე 300-ზე მეტი ხილ-კენკრის ახალი მაღალხარისხოვანი სახესხვაობა შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ერს ამ მხრივ დიდი ამაგი მიუძღვის. ივ. ჭავჭავიძის სიტყვით: სხვადასხვა ხორბლეულისა და საერთოდ მარცვლეულის „ჯიშებისა და სახეობათა სიმრავლე ქართველი მიწისმოქმედის ხანგრძლივი შეგნებული დაკვირვება-შერჩევის ნაყოფი უნდა იყოს“<sup>2</sup>. ნ. კეცხოველის დასკვნით: „საქართველო მრავალი ხორბლეულის და, კერძოდ, წმინდა პურების სამშობლოა“. ამ დასკვნამდე მივიდა კავკასიის პურების ყველა მკვლვარი (ნ. ვაგილოვი, პ. ჟუკოვსკი, ლ. დეკაპრელევიჩი, ვლ. მენაბდე და სხვ.), ... რომ საქართველო კულტურული ხორბლების წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრია<sup>3</sup>. ასევე ადგილობრივ გამოყვანილია ველურისაგან კულტურული ვაზი, ხილი და სხვ. ივ. ჭავჭავიძის, ნ. კეცხოველისა და სხვა ავტორთ დადგენილი აქვთ, რომ „დიკა საქართველოში წარმოიშვა“ (ნ. კეცხოველი, ლ. დეკაპრელევიჩი)<sup>4</sup>, ზანდურის „წარმოშობის ადგილიც საქართველოში უნდა იყოს“ (გ. აბესაძე)<sup>5</sup> „... დოლის პური, დიკა, ქართული თავთუხები და სხვა ასეთები პირმშო შვილებია ქართველი მხვენელ-მთესველისა, დიდი სიყვარულის შედეგი“ (გვ. 282). „კულტურული ჰეავი სარეველა ჰეავის პირმშო შვილია“ (გვ. 291) „... ხორბლის პირველყოფილმა ფორმებმა თავის შემადგენლობაში შეინარჩუნეს ევოლუციის ძირითადი ეტაპები — ველურობიდან ნახევრადველურებით კულტურულობისაკენ“ (გვ. 283). „ჩვენს

<sup>1</sup> ამოღებულია შრომიდან: ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 26—34; П. И. Борисовский, Начальный этап первобытного общества, Ленинград, 1950, გვ. 16—17.

<sup>2</sup> საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ. I. გვ. 390.

<sup>3</sup> ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბილისი, 1957, გვ. 289.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 290; შდრ. საქ. ეკ. ისტ., I, გვ. 393.

<sup>5</sup> საქ. ეკ. ისტ. I, გვ. 394.

ბაღებში გავრცელებული ადგილობრივი მსხლის ჯიშების უძრავლეისობა თავის დროზე ტყიდან გადმოტანილი, კულტურაში გაკეთილშობილებული და გაუმჯობესებული ჯიშებია“ (გვ. 316).

საგულისხმოა ამ მხრივ ვაჟა-ფშაველას ერთი მოთხრობა „ჟოლი“, რომელიც თავის გაკულტურებას ასე მოთქვამს: „ვითომ მე ბედნიერი ვარ? ჩემს პატრონს, ჩემს მთიდან მომთხრელს და აქ ბაღში დამრგველს, ჰგონია, ბედნიერება მომანიჭა, რაკი უღრანს, უდაბურს ადგილს მომამორა და თავის ზეარში დამრგო. მილით მოყვანილი წყალი მრწყავს: ჩემს ბატონს ჰსურს ბევრი, ბევრი ნაყოფი მიგცე ერთგულად მივიღოს, მალაობს; ზოგიც ჩემს გულში ჩამოიხედოს, მე რაღას ვამბობ! არამია მასზე ჩემი ამაგი, ჩემი ნაყოფი, რადგან გამაუბედურა და ჩემს უბედურებით თითონ ხარობს...“

მცენარის გაკულტურება და თანდათან გაუმჯობესება ყოველთვის ხდებოდა. ს. ჭიჭიას მტკიცებობა, XVI საუკუნის მეორე ნახევარში ჰანეთში შემოტანილ ამერიკულ კულტურას, რომელიც თურქეთში (ანატოლიაში) ლაზუთის სახელით გავრცელდა, საქართველოში X საუკუნეში ნახმარი სიმინდაა—სიმინდი დაერქვა<sup>1</sup> და „ქართველმა მხენელ-მთესველმა არც ამ მცენარეს დააკლო ამაგი. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობების მიხედვით გამოყვანილ იქნა საადრეო და გვალვაგამძლე ჯიშები, მაგალითად, კაჟოვანა სიმინდის ქვესახეობანა...“<sup>2</sup> ასევე „საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი ლეღვის ჯიშში თავის სათავეს უძველესად ჩვენში გავრცელებული ველური ჯიშებისაგან იღებს“ (გვ. 309). „... ადგილობრივი ბროწეულები ველური ბროწეულებიდანაა წარმოშობილი (გვ. 311). „ფშატი — ... ველურად გავრცელებულია ქალის ტყეებში, სადაც მრავალნაირი ფორმა იზრდება: ფრიად წერილნაყოფა, რომელსაც კატაფშატა<sup>3</sup> საც უწოდებენ და მსხვილნაყოფა. ალბათ ამ უკანასკნელმა მისცა სათავე კულტურულ ფორმებს, რომელნიც დიდი სელექციური მუშაობის შედეგად დასცილდნენ საწყის ფორმებს (დაჰქარგეს ეკლები, გაეზარდათ ნაყოფი, ფოთოლი, ნაყოფს მოემატა სიტკობა და სხვა) (გვ. 313, ნ. 312 და სხვ.).

მაგრამ ისიც დადგენილია, რომ შემონახულია კულტურული სახეობა და გამქრალია მისი წინაპარი. მაგ. „ოსპი... ველურად არსად გვხვდება, გაშინაურებულია დიდი ხნის წინათ“ (გვ. 296). ამნაირადვე, „ვაზის ველური წინაპრები ამოწყდნენ და ამგვარად ჩვენს წინაშე თავის წარსულს მოწყვეტილი, ადამიანის მიერ შექმნილი სახეობაა“, — წერდა ბოტანიკოსი კომაროვი (გვ. 228).

ადგილი ჰქონდა საწინააღმდეგო პროცესსაც — კულტურული მცენარე ველურდებოდა. ამის არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა საქართველოს სინამდვილეში. მ. რამიშვილის ცნობით, „ზემო აჭარაში (ხულოს რაიონში)... ვაზები თავის ნებაზეა მიშვებული მეტად მაღალ ხეებზე, რის გამოც თითქმის ვაველურებულია“<sup>4</sup> და, ალბათ, ამის გამო ტყის ყურძენა ეწოდება. ნ. კეცხოველის<sup>5</sup> სიტყვით „ჩვენს ველურსა და კულტურულ ბროწეულებს შორის მრავალი გარდამავალი ფორმა არსებობს. შირაქის ბროწეულიანებში ხშირად გვხვდება მსხვილნაყოფა და ტკბილნაყოფა კულტურული ფორმის ეგზემპლარები. ცხადია, ესენი კულტურიდან გადასული ფორმებია“. და იქვე დასახელებულია მი-

<sup>1</sup> ს. ჭიჭია, შენიშენები „სიმინდ-სემიდალის“ შესახებ. თბ. უნეგ. შრომები, XXXI-B, გვ. 437—446.

<sup>2</sup> ნ. კეცხოველი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, გვ. 292.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 228.

<sup>4</sup> იქვე, ივ. 311.

ზეზი, რამაც გამოიწვია ეს მოვლენა. ვერაგი შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრებას მოჰყვა სოფლებისა და ქალაქების გააპარტახება და უპატრონოდ დარჩენილ „ბალ-ვენახებიდან, ლელოვანებიდან და წალკოტებიდან ზოგიერთი მცენარის“ გაველურება, მათ შორის ბროწეულის ველურ ბროწეულიანებში გარევა და ურთიერთ ზეგავლენით „მრავალი ახალი ფორმის ჩამოყალიბება“. ეგვე უნდა ითქვას ტყის ყურძენაზუნდაც, რაც შედეგია თურქების მიერ აჭარის დაპყრობისა და სარწმუნოების შეცვლისა.

მცენარის გაკულტურება თუ გაველურება — ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ევოლუციური პროცესი განსაკუთრებული ღირებულებისაა აგრონომიობოტანიკის ისტორიისათვის, საერთოდ ბუნებისმეტყველების ისტორიისათვის. მაგრამ ის, რაც ზემოთ ითქვა, ჩვენთვის ფასეულია არა კულტურისა და ბუნებისმეტყველების ისტორიის თვალსაზრისით, მას კულტურისა და ბუნებისმეტყველების ისტორიის თვალსაზრისით. ფ. ენგელსს გაკვრით აქვს შენიშნული, რომ „აღმოსავლეთში ბარბაროსობის შუა საფეხური დაიწყო რძის და ხორცის მომცემი ცხოველების მოშინაურებით, მაშინ როდესაც მცენარეთა კულტურა, როგორც ეტყობა, ამ პერიოდის მანძილზე აქ ჯერ კიდევ დიდხანს უცნობი რჩებოდა“. ამით აიხსნება, რომ „ევროპელ და აზიელ არიელებს შინაური პირუტყვისათვის ჯერ კიდევ საერთო სახელები აქვთ, კულტურული მცენარეებისათვის კი — თითქმის სრულიად არა“<sup>1</sup>.

მცენარეთა გაკულტურება არა მარტო ნაირნაირ სახესხვაობას იძლეოდა, არამედ იგი ასახვას პოულობდა ენაშიც და სახესხვაობათა მიხედვით სინონიმებს ან კიდევ განუყრელ ეპითეტებს აჩენდა. ვლ. მენაბდის აზრით<sup>2</sup>, მ ა ხ ა ერთ-ერთი უძველესი პურია, მიწათმოქმედების გარიჟრაჟის ერთ-ერთი პირველი სახეობა. მიუხედავად იმისა, რომ მისი გავრცელება შეზღუდულია ლეჩხუმით, იგი მრავალნაირ სახესხვაობებს და ფორმებს შეიცავს. გვხვდება ვლ. მენაბდისა და ლ. დეკაპრელევიჩის დადგენით georgicum, ibericum, letschumicum, colchicum, album, rubiginosum (დაჟანგული, ჟანგიანი) და სხვ. თვით ხალხიც აჩენს ამ სახესხვაობებს. ლიტერატურაშიც აღნიშნულია და მიმდინარე წელს ლეჩხუმში ჩავიწერე მ ა ხ ა ს აღწერაც და სახელწოდებებიც: „მ ა ხ ა და ზ ა ნ დ უ რ ი ორივე თითქმის ერთნაირი პური იყო, ორივე საკრეფი და საცეხვი... არის წითელი მახა, ჩელტა მახა და ზანდური, გვაწა მახა და ზანდური...“. ასევე ნაირსახეობა და ნაირსახელწოდებაა ცნობილი ლობიოსი: ბაკლა ლობიო, გურული ლობიო, კუტი ლობიო, თეთრი ლობიო, წითელი ლობიო, მიწის ლობიო, სარის ლობიო, სიმინდის ლობიო, ცანაოს (=ცანავას) ლობიო (დუშეთის რაიონშიც კი!), რუსული ლობიო, ჭრელი ლობიო და ასე სამოცამდე, ნ. კეცხოველით 1.500—2.000-მდე. ასევე საერთოდ ვაზის 20.000-ზე მეტი ჯიშიდან და საბჭოთა კავშირში გავრცელებული 1.180-მდე ჯიშიდან მარტო საქართველოზე მოდის 500-ზე მეტი. ხორბლის მსოფლიოში ცნობილ 18 სახეობიდან საქართველოში 14 სახეობა გვხვდება; კავკასიაში არსებული მსხლის 27 სახეობიდან 15-მდე ქართულია. ყველა ამ სახეობას თუ ჯიშს თავისი სახელი აქვს, რაც ეგოდენ ამდიდრებს ქართული ენის ლექსიკას და მნიშვნელოვან მასალას

<sup>1</sup> ოჯახის, ერაძო საკუთრების წარმოშობა. გვ. 31.

<sup>2</sup> ნ. კეცხოველი, დასახ. ნაშრ., გვ. 285.

წარმოადგენს სიტყვაწარმოების შესწავლისა და ეტიმოლოგიის დადგენისათვის. ამით ამხსნება ამ საკითხებისადმი ჩვენი ინტერესი.

განარჩევენ ენდემურ (ადგილობრივსა) და ინტროდუქციულ (შემოტანილ) მცენარეებს. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. საერთოდ დადემურ მცენარეს ადგილობრივ ენაზე შერქმეული სახელი აქვს, მაშინ, როდესაც შემოტანილს იმ ენის სახელი შემოჰყვება, საიდანაც ის მოდის, ან ეს სახელი ითარგმნება ადგილობრივს ენაზე ან კიდევ მიეთითება მის წარმოშობილობაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ადგილობრივი სახელია მ უ ხ ა, თ ე ლ ა, ე ა ზ ი, ი ფ ქ ლ ი და სხვა მრავალი, მაგრამ შემოსულია, ნასესხებია ა ბ ა ნ ო ზ ი, ა კ ა ც ი ა, კ ო მ ბ ო ს ტ ო, ლ ა ხ ა ნ ა, ბ რ ი ნ ჯ ი, ან თარგმნილია: ა ნ გ ე ლ ო ზ ა (Angelica), მიწის თხილი (Arachis, земляной орех) და ასე თარგმნილიცაა და წარმოშობაზე მიუთითებს: ამერიკული ცუგა, цуга американская, Tsuga americana. ალექსანდრიული სამყურა — Trifolium alexandrinum... და სხვა მრავალი. საგულისხმოა სახელწოდებათა მოძრაობაც. ფქვილის სახით ჩვენში შემოტანილ ამერიკულ მცენარეს ხორბლის არაბულის გზით შემოსული ბერძნული სახელი ს ი მ ი ნ დ ი დაერქვა, იგი (მცენარე) ქანეთიდან თურქეთში გადავიდა და იქ ლ ა ზ უ თ ი 'ლაზთა მცენარე' დაარქვეს და იქიდან ეს სახელი სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს დაუბრუნდა: ლაზუტი—ლაიტი. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობისაა ენდემურ მცენარეთა სახელწოდება. იგი ენის ძირითად ლექსიკას განეკუთვნება და შედარებით-ისტორიული ლექსიკონისათვის სანდო და აუცილებელ მასალას წარმოადგენს ისევე, როგორც ნათესაობის გამომხატველი სახელები, სომატური, ბუნების მოვლენათა და მოქმედების აღმნიშვნელი სახელები. ამიტომაც, რომ ამას შედარებითს ლექსიკონებში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი. ამიტომაც რომ არს. ჩიქობავას ქანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში ნათესაური ურთიერთობების სახელებთან, ცხოველების, ფრინველების, შენობების, სამუშაო იარაღების და სხვა სახელებთან ერთად მოცემულია მთელი თავი მცენარეულობის (ხეების, ყანის, ბოსტნის) სახელთა შედარებისა ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე; მაგ.: მსხალი—სხული—მცხელი—იცხ, ვაშლი—უშქური—ვისგვ, ბალი—ბული—ჭებ, თხილი—თხირი—შღიხ, ცაცხვი—ცხაცხუ—ღუცხუ და სხვ. სხვა მიზნით, მაგრამ მცენარეთა სახელების შედარება გვაქვს ნ. მარის ნაშრომში „Яфетические названия деревьев и растений (Pluralia tantum)“, 1915. შემდგომი მუშაობა სიტყვაწარმოებაში დღემდე მოპოვებულ მიღწევათა მიხედვით უფრო განავრცობს შედარებას იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის და დადებულ მკვიდრ საფუძველზე ახალ-ახალი მასალით შენობის აგებას განაგრძობს. ამ მხრივ ნათლად ჩანს შეხვედრები ქართველურ და დაღესტნის ენებში. მაგ.: ვაშლი — ჰიეჩ, ბია — ბიჰ და სხვ. ამდენად მცენარეთა სახელწოდების შესწავლა მარტო ამ თვალსაზრისითაც აუცილებელი და საკმარისი იქნებოდა, მაგრამ გარდა ამისა, მას ახლავს სხვა მრავალმხრივი ინტერესი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით. რიგი სახელწოდება საფუძველად უდევს ტოპონომიკას. საკმარისია თვალი გადაავლოს ადამიანმა გეოგრაფიულ სახელწოდებს, რომ თვალში ეცეს ასეთი შეხვედრები:

მუხა: მუხიანი — მუხიანი — ცხრამუხა — მუხათგვერდი — დიდმუხა — მუხანეტატი.

თელა: თელიანი — თელავი — თელეთი — თელავანი (დიდის ს. საბჰო), — თელათგორი (კასპის რ.).

ვაშლი: ვაშლევი — ვაშლიანი — ვაშლობი — ვაშლოვანი — ვაშლარა (ქვ. რაქა).

ვერხვი: ვერხვნარი — ვერხველი — ვერხვეულა — ვერხვიანი — ვერხვის მინდორი — ვერხოვანი.

თხილი: თხილოვანი — თხილვანა — თხილთაწყარო — თხილიანა — თხილნარი...

ბზიფი — ბზა	დიდი ნეძი	} ზუგდ. რ-ნი
ბიკვინთა	დიდი წიფური	
ბჟოლა — ბჟალიეთი	დიდი ქყონი	
ბროწყელა — ბროწყლეთი	დიდწიფელა (ზესტ. რ-ნი)	

ბულიში, ბულიწყუ (ხობის რ-ნი)

დურღენა (ხობის რ-ნი)

გვიმრიანი		
გრაკალი	ვაზიანი	ვარციხე
დაფნარი	ვარდიგორა	
დგნალი	ვარდისუბანი	

ნიგოზეთი — ნიგოზი

პიმპილეთი

ტყემლოვანი/ა

წაბლოვანი

ცხინვალი

კოპიტნარი

ნაძენარი

ფიქვნარი

### ქვემო რაქაში:

ასკილაური

ბარდნალა

გვიმბრალა

ხატიფნა

სხალანა, სხლავანი, სხლოვანი, სხლუვანი

ფეტვაური

თხმელარი — თხმორი

ლელიანი — ლელობი — ლელოვანი — ლელუბანი

პანტიანი, პრასიანი

რცხილისწყარო — რცხილათი — რცხმელური

წაბლანა — წაბლიანი — წაბლოვანა

წნორი, წითა — წითლარი, წითლოვანა — წითლოვანი, წითის წყარო —

წიფრალა



ჰადნუ — ჰადრი  
 ლაბსყალდ — ბჰსყ  
 ლეწფერი  
 წიფლჳკაკჳრ  
 ცაგჳრ — ცაგერი  
 იფჳრ

ლეჳობალე  
 ოსუნელა (ჳეთაისის რ-ნი)  
 ოჩამჩირე  
 ოჳანდარე  
 ოჳუბურე  
 ჳყონა, ჳყონბოგა, ჳყონაგორა, ჳყონხუმლე  
 და სხვადასხვა.

აჳევე მოგვაგონდება „ონ სუფიჳსი მეგრულში“ (არნ. ჩიჳობავასი), სადაც -ონ სუფიჳსიანი გეოგრ. სახელებია მოყვანილი: გვიმარონი, ჳუბურონა, ჳორთონა, ჳველეთონა, თხირონა || თხირეჳუნა, ლიმხონონა || ლიმხანაფუნა, ტირიფონა და სხვ.

ეგვევე მცენარეთა სახელები გამოყენებულია გვართა საჳარამოებლად; აი ოიროდე მაგალითი:

	მუხაძე შდრ. ჳყონია	
	კვახაძე	ჳობალავა    ჳობალაია
	ნაფეტვარიძე	ჳუმბურძე
	თარგამაძე	წიფურია
	ტყემალაძე	
	ბალიაშვილი	
	თხილაიშვილი	
	ჩინჳარაძე	
ნიორაძე	ნივრაძე (დოკ. სოც. ურთ.) <sup>1</sup>	
	ფხალაძე	
	ცერცვაძე	
	კიტრიაშვილი	

მცენარეთა სახელწოდება შეადგენს ფუძეს მთელი რიგი სახელებისას, როგორცაა: ფ რ ი ნ ე ე ლ თ ა სახელები: მებოლოკია, მელედვია, მეფეტვია, ჳინჳრაჳა (крупивник), სოჳის ყარანა, ჩვეულებრივი ნიორა (ივ. ჩხიკვ. თარგმანია), ლელწამა (დიდი ლელწამა). ფ ე რ თ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ი: ჳერა (ჳერის ფერი), შვინდა (შინდის ფერი) და იისფერი, ყაფისფერი, ჩალისფერი და მსგავსნი.

ზ მ ნ ე ბ ი	და	ნ ა ზ მ ნ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი
აბილჳილება		აბილჳილებული
აჳარხლება		აჳარხლებული
გაფითრება		გაფითრებული
გაწიწმატება		გაწიწმატებული
დადაფნული		(დადაფნული თავები)

<sup>1</sup> იგულისხმება: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I. ბატონყმური ურთიერთობა XV—XVIII სს. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940 (რედაქციის შენიშვნა).

სვ. ბოლექდ ლიკედ „ამოგდება“, „ამოწყვეტა“  
ქემ — ლიქმე „თიბვა“  
მგგოწხიროლ — მგეოწახურე (მცენ.)  
მგმერხელოლ — მგქინჭრე „ და სხვ.

ფერის — შავის, სიბნელის აღსანიშნავად იხმარება სიტყვა კ უ ნ ა პ ე -  
ტ ი: კუნაპეტივით შავი თვალები, კუნაპეტივით შავი თმა, კუნაპეტი ღამე. ირ-  
კვევა, რომ კუნაპეტი მცენარეა. მაყვალა მელითაურის მიერ სოფ. კარალეთში  
ჩაწერილია, რომ „კუნაპეტი იყო საკმელი, როგორც მოცივი, ეგრეთსა ისხამდა,  
მაგრამ გადაგვარდა, როგორც წინანდელი ხილი“ (გიორგი ფირუაშვილის  
თქმით).

ამგვარად, მცენარეთა სახელწოდების შესწავლა ახალ თუ არქაულ სიტყ-  
ვათა ფუძის გამოსანახად აუცილებელი ჩანს.

ზოგი ენდემური მცენარე იმდენად სპეციფიკურია, რომ მისი სახელწოდე-  
ბა საერთაშორისო ბოტანიკურ ლექსიკონშია შესული. ამ მხრივ ცნობილი იყო  
ძ ე ლ ქ ვ ა, გადაშენების გზაზე მდგარი ხის სახელწოდება შეტანილი Zelkova-ს  
სახელით.

უფროდ ბედნიერი მიგნებაა Quercus ტერმინისა და ქართულ გ უ რ კ ო ს  
დაკავშირება. აკაკი შანიძის ერთ-ერთ ნაშრომში „ეტიმოლოგიური ძიებანი.  
I. რკო და მუხა“ (რომელიც მოხსენებდა იყო წაკითხული და შემდეგ თეზისე-  
ბად დაიბეჭდა)<sup>1</sup> ნაჩვენებია, რომ მცენარესა და ნაყოფს ზოგჯერ ერთი და იგივე  
სახელი აქვს და ასე უნდა ყოფილიყო მუხის მიმართაც: მუხა-ს ერქვა კ რ კ ო —  
კ უ რ კ ო — გ ი რ კ ო — რ კ ო და იგი შეტანილია ბოტანიკურ ლექსიკონში.

ჩვენი ცნობილი ბოტანიკოს-გენეტიკოსის ვლ. მენაბდისა და სელეკციონე-  
რის ლ. დეკარტლევინის წყალობით შესულია macha: Triticum macha და  
მისი მრავალსახეობა.

შეიძლება მომავალშიც შეემატოს სხვა ტერმინებიც.

აქ არაფერს ვამბობთ ქართველი ერის იმ დიდი როლის შესახებ მევენა-  
ხეობა-მელვინეობის საქმეში, რაც მას ადრე გაუწყევია და რის შედეგადაც უნდა  
იყოს ღ ვ ი ნ ო სიტყვის გადასვლა ინდოევროპულ და სემიტურ ენებში. არნ. ჩი-  
ქობავას ერთ ვრცელ მოხსენებაში, რომელიც მან წაკითხა საენათმეცნიერო სა-  
ზოგადოებაში და არკი დაუბეჭდავს, მოცემული იყო ღვინის ეტიმოლოგია, მი-  
სი შეხვედრები რიგს ევროპულ ენებში და ვაზის კულტურის გავრცელება.

ამ მხრივ საყურადღებოა გ. წერეთლის აზრი ქართულისა და სემიტურა  
ენების ურთიერთობის შესახებ, რაც მას გამოთქმული აქვს ნაშრომში „სემი-  
ტური ენები“ (მოხსენებათა კრებული, 1947, გვ. 18—19)<sup>2</sup>. იგი აღნიშნავს,  
რომ „ღვინო“ გარდა ევროპული ენებისა გვხვდება სემიტურშიც: არაბ. wayin,  
ებრ. yayin, ასურულ-ბაბილ. īnu და სხვ. მაგრამ ინდოევროპული ენების სპე-  
ციალისტებს იგი ინდოევროპულში ნასესხებად მიაჩნიათ (ა. ი. ტომსონი). არც  
სემიტოლოგების მიერ არის იგი სემიტურად მიჩნეული (ლაგარდი, ჰომპელი,  
გუზენიუსი). სათანადო საბუთების განხილვის შემდეგ გ. წერეთელი დაასკვ-

<sup>1</sup> ა. შანიძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები. რკო და მუხა. თბილისის სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1947, გვ. 3—4 (რედ.).

<sup>2</sup> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო სესიები, № 1. მოხსენებათა კრებული,  
თბილისი, 1947, გვ. 18—19 (რედ.).

ნის რომ „სერიოზული საფუძველი გვექნება გამორიცხვულად არ ჩავთვალოთ შესაძლებლობა, რომ მაღალი კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა, როგორც არის ღვინო და თვით საგანი... ქართულიდან იყოს მთელ მსოფლიოში გავრცელებული“. ეს ღვინო კი დაკავშირებულია მცენარესთან ვენახი — ბინები (ივ. ჭავჭავიძე, არნ. ჩიქობავა) და ამდენად, მისი მოგონება აქ საჭირო იყო.

საფიქრებელია, რომ დასავლეთ საქართველოდან უნდა იყოს გადასული ნი გ ო ზ ი, მეგრ. ნ ე ძ ი, სომხ. *ս ո յ ս* ევროპულ ენებში: ლათ. *nux* (*nucis*), ფრანგ. *noix*, გერმ. *nuss*, იტალ. *noce* და სხვ.

როგორც ვხედავთ, ამ მხრითაც საჭიროა ქართველურ ენათა მონაცემების გაცნობიერება და იმის დადგენა, თუ რა ურთიერთობაა არა მარტო იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის, არამედ ინდოევროპულ და სემიტურ ენებთან მიმართებაში. ეტყობა, აქ ნიადაგი საკმაოდ პოხიერია.

აღიარებულია, რომ საქართველოს ფლორა მეტად მდიდარია და მრავალგვაროვანი. ეს ჩანს იმ მრავალსახეობათა გამოვლენით, რაც ინტენსიური შესწავლით შეძლეს ჩვენმა ბოტანიკოსებმა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა. ეგვე ასახულია ქართულ ენებში რამდენიმე ათასი სახელწოდებით, რომელთა ერთმანეთთან შეჯერება გვიჩვენებს, რომ საერთოდ ქართულ თუ ქართველურ სახელწოდებათა პარალელურად მოიპოვება მრავალი სინონიმი დიალექტური თუ სხვა წარმოშობისა.

მცენარეთა მრავალფეროვნება ჩანს, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე მხატვრულ ნაწერებში:

#### „სამამურნალო წიბნი“ ფანასკარტ.

ს ხ უ ა წ ა მ ა ლ ი გ უ ლ ი ს ა და ს ტ ო მ ა ქ ი ს ა — აიღე კულიავი და პილპილი და ჭაქური, წიწმბატის თესლი, თუთოსაგან — ორი ღრამი, დანაყე და გაცერი წმიდად, შეზილე და ერთსა დღესა და ღამესა მიეც თუთო კოვზი შუიდ ღღემდის, უზმა შეინახე და ყოვლისა მკაყისაგან ფარეზი შეინახე (= მოარიდე) და უშუელის.

გვ. 176

ს ხ უ ა წ ა მ ა ლ ი. ბროწეულისა და წყალშიგან კალი გაურივე, შეასუი და გულზედაცა დასდვა და უშუელოს.

გვ. 176

ს ხ ვ ა წ ა მ ა ლ ი ფ ი რ ტ უ ი ს [ა] — აიღე ლელუი და ძირტკილა, აღუღე, შეასუი და უშუელის.

გვ. 136

აიღე ძირტკილა კმელი ოთხი ღრამი, თეთრი ლელუი — ცხრა მარცუალი; უნაბი — ოცდაერთი მარცუალი, ხუარასნული ჩამიჩი — ოცი ღრამი, კურკა გამოღებული, სეფისტონი (= ეგვიპტური ქლიავი) — ოცდათერთმეტი მარცუალი, კმელი ია — ოთხი ღრამი; ყუელა ერთსა კოჭობშიგან ჩადევ და ზედა ორი ლიტრა წყალი დაასხი, აღუღე, რომე ას ღრამად მოიყაროს, გაწურე და გაურიე ხიარი-შამბარი ათი ღრამი და გაქენ და გაწურე და თხუთმეტი ღრამი

<sup>1</sup> აქაც ავტორის მიერ დამოწმებული მასალები დავტოვეთ ისე, როგორც ხელნაწერში იყო (რედ.).

ჯულაბი (= შარბათი) გაურიე და თფილ-თფილი შეასუი სხუის მათბუხის (= გამონახარშის) წესითა და უშუელოს ღთ'ითა.

გვ. 187

„შსწორო კარაბადინი“

ფეტვისა და ასლისა გუნება ერთი არის, გრილია... და ხმელი... გვიან დადნების სტომაქშიგა და კაცის მუცელსა შეჰკრავს... თუ რაითა ან ნუშის ზეთითა შექნან, ისი სჯობს და გუნებას არ შეჰკრავს. მისი პური ცოტად ერგოს, მუცელი შეჰკრას და სტომაქით გვიან გავიდეს.

გვ. 435

ლობიო... საკმელად ტანსა კარგად არგებს და რა მოხარშო და მისი წყალი თაფლითა შესვა, ნაწლევშიგა თუ მღიერი იყოს და ან სხვა გონჯი სენი, მას უშველის და თუ უზმოსა ჰამოს თაფლითა ანუ ლეღვითა ანუ ხურმითა, სქელი ბალდამი გამოწმინდოს ტანისაგან, თუ ძრმითა ჰამოს უზმომან, ჰიას მოჰკლავს მუცელშიგა, მაგრა თავს ატკივნებს, ოფლის სულსა წაახდენს და ხელი კარგად გარეცხოს.

გვ. 437

წიწმატი... ფიცხლად მოიდნობის, ქარსა გამოაჩენს,... თავის ტკივილსა მოუმატებს და სტომაქისა ტკივილსა უშველის და მუცელშიც მგურგვალსა (ჰიასა) მოჰკლავს. თუ კაცმან დანაყოს და ოთხი დრამი თბილითა წყლითა შესვას, მუცელსა გახსნის და რაც წელშიგა ქარია, ყუელას გამოსწმენდს და ყოლინჯსა (=კოლიტს) უშველის.

გვ. 443

ბოლოკი... ორფერია: ერთი მინდურისა და ერთი ბოსტნისა, და ფურცელი ერთმანეთსა უგავს. მინდურისა ძირის გრძელი ექნების და ღრმად წავა... უკეთესი ბოსტნისა არის და მწვანე იყოს... ბოლოკისა გული მაგარია და გვიან მოიდნობს, მისი ნაფტკვენი პურითა ჰამოს, საკმელსა მოანდომებს. მისი ფურცელი დანაყო და თვალშიგა ჩაიწვეთოს, თვალსა სინათლეს მატებს. თუ მისი ფურცელი დანაყო და შეასვა, ღვიძლისა გზასა გახსნის...

გვ. 444

... თუ [თესლი] მოხარშული აჰამო, ხველასა გასწმენდს... თუ ფურცელი ჰამოს, საკმელს მოანდომებს და ქარსა გაიღებს, მისთვის რომე ბევრსა აბოყინებს, მაგრა ქარსა შეაქვს. ტანსა წესიერად ერგების და გულ-სტომაქზედა კარგი არ არის...

გვ. 446

ტყემალი გრილია და რბილი და რომელიცა მყავე არის, ისი უსქე არის და წყურვილი მოკლას, ზაფრა დასვას და რაც ტყემალი ტკბილი იყოს, სტომაქი და გული დააღბოს და ხმელი ტყემალი პირშიგა დაიჭირო, წყურვილი მოკლას. ტყემლისა ჰამასა ნედლი ხილი არ უნდა ჰამოს.

გვ. 451

ქლიავი... ტანსა კარგად მოუხდების და სტომაქსა გაანედლებს. თუ კაცი გახსნას, ზაფრა გაიღოს ტანისაგან. თეთრსა და სხვაფერსა შავი სჯობს. თუ კაცი ზაფრისაგან ცხლად იყოს, ქლიავი ჰამოს. ზაფრას მოერევის, გახსნის და ცხელებას უშველის...

გვ. 452

და ასე სხვა მრავალი.

საინტერესოა ბროწეული. გვ. 453.

„გველის-მჰამელი“

... ყვაილნი ყელ-გადაგდებით,  
დახატულები კალმითა,  
„მინდიას გაუმარჯოსო“,  
ერთხმად ასტეხენ ჟიჟინსა  
ხეები ფოთლებს არხევენ,  
ბუნება იწყებს ბიბინსა  
და მერე სათითაოდა  
ყველა მოჰყვება ტიტინსა:  
„მე ვარო ამის წამალი“;  
სხვა გაიძახის — „იმისა“;  
მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს,  
ჯერ ზედ ნამი აქვთ დილისა.  
თურმე ზნედა სჭირთ ყვაილთა:  
ოღონდ ეწამლონ სხეულთა,  
სიცოცხლით გაფუფუნებულს  
არად აგდებენ სხეულთა...

ტ. IV, გვ. 29

ტყე

წიფელა, რცხილა და მუხა,  
ნაძვი, ურთხმელი, ფიკვები,  
ცაცხვი, თელა და ქორაფი  
სულ აქ შეყრილან ბიჭები.

ვ ა ქ ა ფ შ ა ე ე ლ ა

„ყოველი მხრიდან“

ამ მიწებში ეთესა: პური, ქერი, სიმინდი, ლობიო, დიკა, ასლი, მუხუდო, შვრია, ფეტვი, უგრეხელი და სხვ. ... იგი წარმოადგენდა ერთ დიდებულს სურათს ადამიანისა და ბუნების ძალთა შეერთებულ მოქმედებისას. შემოსული და სრულიად გამხმარი ქერები ყვითლად გამოჩანდნენ და, ... თითქო შურით გასცქეროდნენ მათ გვერდზე მწვანეთ მოღალანე ტან-დაბალ ფეტესა და ყელ-მოღერებულ წითელ ქოჩოჩიან სიმინდებსა...

გვ. 346

[ვენახს] გარშემო კარგი მაღალი და ეკლიანის ძეძვით გამაგრებული ღობე ჰქონდა შემოვლებული... ამ ველზე იყო პირდაპირ გამწყრივებული მსხმოიარე, დახუნძლული ხეხილი: ყინვარე შაქარივით ტკბილი თურაშაული, მჟავე და გამძლე კიტრა-ვაშლს გასცქეროდა და წითლად დატკრუცული გემრიელი აბოლაური წვრილ, საბებრო შეყვითლებულ ქაშა ვაშლს გადახვეოდა. მუშტის ოდენა გულაბები ისეთი ეშხით გამოიპვირიტებოდნენ მწვანე ფოთლებიდან, თითქო ეუბნებიან ვისმეო... დახუნძლულ ხეკეპურებს, მაგრამ საზამთრო შავ მსხალს, სეფნიაურს, საჩირე ბორბალას და საზაფხულო, უკვე შეთქვირებულ მსხლებს ისე ღონივრად დაეზნიქათ ტოტები...

გვ. 353

251

... გრილი ნიავეი... აბიბინებდა... წმინდა პრასა ბალახსა. ვენახის ბოლოში, კაკლების გასწვრივ, ბოსტანი იყო გამართული... საესე იყო ის ყოველგვარის მწვანელიეულითა. ხახვსა და კარტოფილს ყველაზე დიდი ადგილი ეჭირათ; შემდეგ მათ მოსდევდნენ კომბოსტო, კიტრი, ქარხალი, ქინძი, წიწმბატი და სხვა მრავალი...

გვ. 354

შავ-კაპიტოს შეხედავდით, თუ წითელ კლერტოიან საფერავსა; მსხვილ მარცვლებიან ხარი-თვალას თუ გამოსავლიან მწვანესა; ნაზ-თხელ კანიან ბუდე-შურს თუ მოგრძო და თაფლივით ტკბილ თითას...

გვ. 356

### „არსენა მარაბდელი“

დეკას ცეცხლი...

აქა-იქ არყი და ცირცელი გაბნეულა. დაბალი კეწერა მიწაზე გართმეულა. მთის მოცივი, ჟოლო, მაყვალი, უფრო ქვევით კი — პანტა, მაჟალო, კუნელი, ზღმარტლი, ისრიმი, თიმელი, შინდი, თხილა, წიფელი და კაკალი — ყველა თავის დროზე დამწიფდება, გამოდგება და იქმევა, ეხლა კი მარინეს ყოველდღე არდავით მოაქვს ბეგ-ქონდარა და ლანძილი, სოკო და კვერცხი...

